146286

ბიბლიოთეკა

ქართული პედაგოგიკის ისტორია

ქართული პედაგოგიკის ისტორია

განათლება

ქართული პედაგოგიკის ისტორია

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო
სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ
დამტკიცებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ
პედაგოგიური ინსტიტუტებისათვის

გამომცემლობა „განათლება"
თბილისი — 1974

ლ 852
371 (09)

ქართული პედაგოგიკის ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგიური ინსტიტუტებისათვის შედგენილია პედაგოგიკის ისტორიის მოქმედი პროგრამის მიხედვით.

შესავალი და I, II, III, VII თავები დაწერა დოც. **ვ. ქაჯაიამ**, IV, V, IX XV — დოც. **გ. სიხარულიძემ**, VI, VIII, XI, XIV პროფ. **ხ. სიგუამ**, X — პროფ. **დ. ლორთქიფანიძემ**, XII და XIII — პროფ. **ტ. სარიშვილმა**.

ნ-4-6
196-74 აღგ-
602-M

© გამომცემლობა „განათლება",
1974

Каджая Варлам Николаевич, Лордкипанидзе Давид Онисимович
Саришвили Титэ Сачиноевич, Сигуа Сергей Ноевич,
Сихарулидзе Галактион Фомич

-146286

ИСТОРИЯ ГРУЗИНСКОЙ ПЕДАГОГИКИ

Учебное пособие для педагогических институтов
(на грузинском языке)

რედაქტორი გ. სიხარულიძე
გამომც. რედაქტორები: თ. გოგოლაშვილი
გ. მენაღარიშვილი
მხატვრული რედაქტორი ე. სულთანიშვილი
ტექრედაქტორი ნ. ჭყოიძე
კორექტორი ნ. დგებუაძე
გამომშვები ი. დონაძე

გადაეცა წარმოებას 7.IV.1973 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/I-74 წ. ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆ ნაბეჭდი თაბახი 18. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 16,69
ტირაჟი 1000 უე 00315 შეკვ. № 1357
ფასი 85 კაპ.

გამომცემლობა „განათლება", თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5

Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.
1974

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახ. კომიტეტის პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს შე-17 სტამბა.
თბილისი, სურამის ქ. № 13

Типография № 17. Главполиграфпрома Госкомитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли.
г. Тбилиси, ул. Сурамская, № 13.

შესავალი

ქართული პედაგოგიკის ისტორიის საგანი, წყაროები და პერიოდიზაცია

ქართული პედაგოგიკის ისტორია სწავლობს საქართველოში ბავშვთა და მოზარდთა სწავლა-აღზრდის, სკოლებისა და პედაგოგიკური აზრის განვითარებას წარმოშობიდან დღემდე. მისი მიზანია, გამოავლინოს, დაადგინოს და მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე, საზოგადოებრივ ცხოვრებასთან ორგანულ კავშირში, მეცნიერულად გაანალიზოს პედაგოგიური პრაქტიკისა და თეორიის ფაქტები და მოვლენები, დაასაბუთოს მათი წარმოშობის ისტორიული აუცილებლობა, დაადგინოს მათი განვითარების ძირითადი ეტაპები და კანონზომიერებანი და ნათლად წარმოგვიდგინოს ის შედეგები, რაც მოუტანეს მათ ქართული კულტურისა და განათლების შემდგომ განვითარებას. დიდი ლენინი გვასწავლიდა, რომ „ყოველ საკითხს შევხედოთ იმ თვალსაზრისით, თუ როგორ წარმოიშვა ისტორიაში განსაზღვრული მოვლენა, რა და რა მთავარი ეტაპები განვლო ამ მოვლენამ თავის განვითარებაში, და მისი ამ განვითარების თვალსაზრისით შევხედოთ, თუ რად იქცა ეს მოვლენა ამჟამად".[1]

ვ. ი. ლენინის ამ სახელმძღვანელო მითითების საფუძველზე ქართული პედაგოგიკის ისტორიის შესწავლა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჩვენი მდიდარი პედაგოგიური მემკვიდრეობის მეცნიერულ შეთვისება-დაუფლებას და ჩვენი სტუდენტებისა და მასწავლებელთა შეიარაღებას იმ დიდი პრაქტიკული და თეორიული პედაგოგიური ცოდნა-გამოცდილებით, რომელიც ჩვენს ხალხს და მის მოწინავე ადამიანებს შეუქმნიათ.

ქართული პედაგოგიკის ისტორიის შესწავლა დაგვეხმარება, აგრეთვე, საბჭოთა სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებასა და პედაგოგიკის თეორიის საკითხების დამუშავებაშიც, რადგან „ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდა და განათლება უნდა გა-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 29, გამოცემა მეოთხე, 1952, გვ. 556.

მომდინარეობდეს იმ მასალიდან, რომელიც ძველმა საზოგადოებამ დაგვიტოვა“.[1]

სწავლა-აღზრდას, სკოლებისა და პედაგოგიკური აზროვნების განვითარებას საქართველოში მორეული ისტორია აქვს.

დიდი ხნის განმავლობაში სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების დარგში, ქართველი ხალხის მიერ შექმნილ-დაგროვილი მდიდარი პედაგოგიური მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლისათვის პირველ რიგში იმ ისტორიული წყაროების დამუშავებაა საჭირო, რომლებშიც ქართული პედაგოგიკის ისტორიის ფაქტიური მასალებია მოცემული. ისტორიული წყაროები კი ძალზე მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანია.

ქართული პედაგოგიკის ისტორიისათვის ძვირფას წყაროს წარმოადგენს, უპირველეს ყოვლისა, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა თხზულებანი, რომლებშიც ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდისა და განათლების საკითხებია განხილული, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ისტორიული დადგენილებანი სკოლის, მასწავლებლისა და პედაგოგიკურ მეცნიერებათა შესახებ.

ქართული პედაგოგიკის ისტორია ემყარება ძველი მატერიალური კულტურის იმ ძვირფას და უნიკალურ ძეგლებს, რომლებიც არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად უხვად არის მოპოვებული ჩვენში, ქართული მითოლოგიური და ფოლკლორული შემოქმედების მასალებს, უძველეს, ძველ და ახალ გამოუქვეყნებელ და გამოქვეყნებულ ქართულ წერილობით ძეგლებს, რომლებითაც ძალზე მდიდარია ჩვენი სიძველეთსაცავები და ბიბლიოთეკები, ძვირფას ისტორიულ მატიანეს („ქართლის ცხოვრება“), ისტორიულ ქრონიკებს და სიგელ-გუჯრებს, ოფიციალურ სახელმძღვანელო დოკუმენტებს (ყრილობათა მასალებს, კანონებს, დადგენილებებს, სკოლის წესდებებს, ინსტრუქციებს და სხვ.), სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლების საარქივო მასალებს, სკოლის სასწავლო გეგმებს, პროგრამებს, ხელნაწერ და დაბეჭდილ სახელმძღვანელოებს, კლასიკოს და გამოჩენილ პედაგოგთა თხზულებებს, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ლიტერატურული და პედაგოგიური პრესის მასალებს, მხატვრულ ლიტერატურას და მემუარებს, ისტორიულ-პედაგოგიურ სამეცნიერო ლიტერატურას და სხვა ისტორიულ წყაროებს.

ამ გზით მოპოვებული და დაგროვილი მრავალმხრივი და მრავალსაუკუნოვანი ისტორიული მასალების მეცნიერული დამუშავება-შესწავლის შედეგად ქართული პედაგოგიკის ისტორია, როგორც ეს საერთოდ მიღებულია მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში, ჩვენი ხალხის მიერ განვლილი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების მიხედვით, შემდეგ ისტორიულ პერიოდებად იყოფა:

1. სწავლა-აღზრდა პირველყოფილ-თემურ საზოგადოებაში (უძველესი დროიდან VI საუკ. ძვ. წ. აღ-ით); 2. სწავლა-აღზრდა და განათლება ადრეკლასობრივ საზოგადოებაში (ძვ. წ. აღ-ით VI საუკუნიდან IV საუკუნემდე); 3. სწავლა-აღზრდა, სკოლა და პედაგოგიკური აზროვნება ფეოდალურ საქართველოში (V—XVIII საუკ.); 4. სახალხო განათლება და პედაგოგიკური აზროვნება კაპიტალისტურ საზოგადოებაში (XIX საუკუნის I ნახევრიდან 1921 წლამდე) და 5. სახალხო განათლება და პედაგოგიკური აზროვნება საბჭოთა საქართველოში (1921—1972 წწ.).

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 31, გვ. 339.

თავი პირველი

ადზრდა პირველყოფილი თემური წყობილებისა და ადრეკლასობრივი საზოგადოების დროს

1. ადზრდა პირველყოფილ თემურ საზოგადოებაში

ქართველ ისტორიკოსთა და არქეოლოგთა ნაყოფიერი კვლევა-ძიების შედეგად უკანასკნელ პერიოდში მოპოვებული მასალებით მტკიცდება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ წინაგვაროვნულ საზოგადოებას განვითარების ხანგრძლივი პერიოდი გაუვლია და ამის უტყუარი ნაშთებიც დაუტოვებია შთამომავლობისათვის.

ამ ხანგრძლივ ისტორიულ პროცესში გადამწყვეტ როლს შრომა ასრულებდა. თუ წინაგვაროვნულ საზოგადოებაში ადამიანები საზრდოს ბუნების წიაღიდან მზამზარეულად იღებდნენ, გვაროვნულ-თემურ საზოგადოებაში ისინი იძულებული გახდნენ პრიმიტიული იარაღები შეექმნათ და მათი გამოყენებით შრომის პროცესში მოეპოვებინათ კვების პროდუქტები. ამან განაპირობა ასეთი იარაღების ხელოვნური დამზადებისა და მათი გამოყენების ემპირიული ცოდნა და ამ ცოდნის შესწავლა-გავრცელება თემში (გვაროში), რომელიც თავდაპირველად უშუალო მიბაძვით წარმოებდა, ხოლო შემდეგში ცოდნა-გამოცდილების დაგროვების შედეგად საგანგებო შესწავლის საგანი გახდა.

პირველყოფილი ადამიანები შრომისათვის საჭირო იარაღებს, როგორც ცნობილია, ძირითადად ქვისაგან აკეთებდნენ და ამიტომ საზოგადოების განვითარების ამ უძველეს პერიოდს უწოდებენ ქვის ხანას, რომელიც ძველი ქვის ხანად (პალეოლითი) და ახალი ქვის ხანად (ნეოლითი) იყოფა.

პალეოლითის ხანაში მატრიარქალური გვარი („სახლი") „დიასახლისის" მეთაურობით, კლიმატური პირობების გამო, ძირითადად გამოქვაბულებში ცხოვრობდა და ამიტომ ამ ხანის იარაღები ჩვენშიც გამოქვაბულებში (საკაჟიაში, დევის ხვრელში, გვარჯილის კლდეში და სხვ.) არის შემორჩენილი. იარაღებს თავდაპირველად ხის, ძვლისა და

ობსიდიანისაგან (ვულკანური ქანი) აკეთებდნენ და, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ დამზადებას ახალგაზრდებსაც აჩვევდნენ. გამოქვაბულებში ნაპოვნი ცხოველთა ძვლები, ძვლებისა და რქებისაგან დამზადებული იარაღები (წვეტიანი ძვლები, ხელის ცულები და სხვ.) ადასტურებენ, რომ ჩვენი უძველესი წინაპრები (მამაკაცები) ნადირობას მისდევდნენ, ძირითადად ნადირობით ირჩენდნენ თავს და ამ პრიმიტიული იარაღების დამზადებისა და ნადირობაში მათი გამოყენების პროცესში წვრთნიდნენ ახალგაზრდებს (ვაჟებს). გამოქვაბულებში შემონახული ძვლისა და რქის წერაქვები და თოხისნაირი მოყვანილობის იარაღები კი იმაზე მიუთითებენ, რომ იმდროინდელი ადამიანები მიწიდანაც იღებდნენ მცენარეულ საკვებს. ამ საქმიანობაში ახალგაზრდებიც მონაწილეობდნენ, და, ცხადია, პირველყოფილი სამეურნეო იარაღების გამოყენებასაც ეუფლებოდნენ.

ამრიგად, ჯერ კიდევ ძველ ქვის ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები პირველყოფილ იარაღებს ქმნიდნენ ნადირობასა და პრიმიტიულ სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებლად და ამ შრომით პროცესთან დაკავშირებით იარაღების კეთებასა და გამოყენებასაც ასწავლიდნენ ახალგაზრდებს.

ნეოლითის, განვითარებული პატრიარქატის ხანის საქართველოში (მესამე ათასწლეულამდე) მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამეურნეო და საბრძოლო იარაღები, განვითარდა ქვის და ქაჟის დამუშავების ტექნიკა, ნადირობაში დამკვიდრდა შუბი და მშვილდ-ისარი. ამის უტყუარი საბუთია ნეოლითური კულტურის მეტად საყურადღებო კერებში (ქუთაისის მახლობლად, თრიალეთში, სოფ. ოდიშში და სხვ.) უხვად აღმოჩენილი ქვის საინტერესო ინვენტარი, გათლილ-გაკრიალებული ქვის ცულები, სატეხი იარაღები და პირველი იარაღები მიწათმოქმედებისათვის (ქვის თოხები, რქის წერაქვები, ნამგლის პირის გასამართავი ქაჟის იარაღები, ქვის ხელსაფქვავი და სხვ.). აქვე ვხვდებით ხელოსნობისა (მეჭურჭლეობა) და მეთევზეობისათვის საჭირო ხელსაწყოებსაც, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ახალი ქვის ხანაში ჩვენი წინაპრები, ნადირობასა და მიწის დამუშავებასთან ერთად, მეთევზეობასა და ხელოსნობასაც მისდევდნენ.

ჩანს, ამ ხანაში გაუმჯობესებული იარაღების დამზადებისა და მათი მეურნეობაში ნაყოფიერად გამოყენების შესწავლაც უფრო მაღალ საფეხურზე იდგა.

გვიანი ნეოლითის ხანაში დადასტურებული მეგალური კულტურის ძეგლები (აკლდამები, სამლოცველოები, ციხე-სიმაგრეები, საცხოვრებელი სახლები, ქანდაკებანი და სხვ.) უეჭველს ხდიან, რომ ჩვენში

მაღალ დონეზე იდგა უზარმაზარი ქვების გათლა-დამუშავების ტექნიკაც და, ცხადია, ამის ცოდნაც ვრცელდებოდა ახალგაზრდობაში.

ნეოლითიდან ბრინჯაოს ხანაში გადასვლის შუა პერიოდში, როდესაც ქვის იარაღებთან ერთად სპილენძის იარაღებიც გაჩნდა, ჩვენში (აფხაზეთის ტერიტორიაზე, საჩხერეში და სხვ. აღმოჩნდა სპილენძის იარაღების მდიდარი კომპლექტი). საქართველოში ჩაისახა ენეოლითური კულტურა, რამაც დასაბამი მისცა მეტალურგიული წარმოების განვითარებას, ხელი შეუწყო შრომითი და სანადირო იარაღების შემდგომ გაუმჯობესებას და მეტალურგიული წარმოების ცოდნა-გამოცდილების პირვანდელ დაგროვება-შესწავლასაც.

ამ გარდამავალ პერიოდში გაძლიერდა პირუტყვის მოშენების პრაქტიკა და მიწის დამუშავებასთან ერთად მესაქონლეობა იქცა ქართველ ტომთა ძირითად სამეურნეო საქმიანობად, რამაც ნიადაგი მოამზადა პატრიარქატზე გადასასვლელად, და ამით პირველყოფილი საგვარეულო საზოგადოება მისი განვითარების ახალ ფაზაში შევიდა.

თრიალეთის ყორღანების გათხრების (ბ. კუფტინი) შედეგად აღმოჩენილი ნივთები ნათელჰყოფს, რომ საქართველოში მეტალურგიულ კულტურას, ლითონის (სპილენძის) წარმოებას მესამე ათასწლეულის მეორე ნახევრიდან მისდევდნენ, ხოლო მეორე ათასწლეულის შუა ხანებში ვერცხლისა და ოქროს წარმოებასაც დაეუფლნენ. თრიალეთში აღმოჩენილი ძვირფასი ოქროსა და ვერცხლის თასები, ოქროს სამკაულები, ამ ლითონების მოპოვება-დამუშავების მაღალ კულტურაზე მეტყველებს.

აკად. შ. ამირანაშვილის სამართლიანი მტკიცებით, „ნაპოვნი მოხატული კერამიკა, ოქროს ნივთები, თასი რიტუალური სიუჟეტით, ქალის ოქროს თავსაბურავი და სხვა საგნები გვიჩვენებენ, რომ თრიალეთის მაღალი განვითარებული კულტურა და მხატვრული წარმოება შემოტანილი არ იყო ძველი აღმოსავლეთის ან ეგეის სამყაროს რომელიმე ცენტრიდან. ამას მოწმობენ როგორც ობსიდიანის, ოქროს და სხვა ადგილობრივი ნედლეულების ბაზები (ოქროს მოპოვება მდინარე ხრამის ხეობაში ახლაც წარმოებს), ისე თავსაბურავის ფორმა ქალის სამარხიდან, ოქროს თასის და საფეთქლებზე თმის ნაწნავების სამაგრი ოქროს ხვეულების ფორმა. მარცვლოვანი ბირთვების შესრულების ტექნიკა, მძივების შემკობა ძვირფასი ქვებით, გრეხილის (ფილიგრანის) გამოყენება მიგვითითებს ადგილობრივ ტრადიციებზე, რომლებიც ქართულ ოქრომჭედლობაში თითქმის დღემდეა შენარჩუნებული“.[1]

[1] შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1961, გვ. 25

ნიშანდობლივია ისიც, რომ ცნობილ უძველეს ქართულ ეპოსში „თქმულება ამირანზე“ (ფშაური ვარიანტი), რომელიც, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, მეორე ათასწლეულის მეორე ნახევარში უნდა იყოს შექმნილი, ოქრო რამდენჯერმე არის ნახსენები:

„მარჯვნივ ედო თავის ხმალი, პირი ჰქონდა ალმასისა,
ერთ კუთხეში — ოქრო-ვერცხლი ნაგროვები ცამცუმისა“.

შეშინებული დევი ეხვეწება ამირანს:

„ნუ მომკლავ დარეჯანის ძევ, ხელი გაფიცო ხმლიანი,
მანდილი დედიშენისა, თაკლაი ოქროიანი“.

თვით ამირანსაც ხომ ოქროს კბილი ჰქონდა გაკეთებული. რაჭული ვერსიით ამირანის დედასაც ოქროს ნაწნავები აქვს. სვანური თქმულებით დალისაც ოქროს თმები ჰქონდა.

ოქროს წარმოების ხელოვნების მაღალ დონეზე მიუთითებს ბერძნულ და ლათინურ წყაროებში უხვად დაცული თქმულებაც არგონავტების მოგზაურობაზე კოლხეთში ოქროს საწმისისათვის, რომელიც ანტიკური ეპოქის მწერალთა შემოქმედების დაუშრეტელ წყაროდ იქცა. ეს ფაქტი ადრიდანვე ბერძენ-ქართველთა ურთიერთობის დადასტურებაც არის.

არქეოლოგიური კვლევა-ძიებით, ქართული და ბერძნული ფოლკლორით, ბერძენ და რომაელ მწერალთა გადმოცემით ეჭვმიუტანლად დადასტურებულია ოქროს ფართოდ წარმოება ჩვენში, მისგან მეტად მაღალი ოსტატობით შესრულებული მრავალნაირი ნივთების არსებობა იმაზე მეტყველებს, რომ ოქროს დამუშავების რთული ხელოვნება სპეციალური შესწავლის საგანი უნდა ყოფილიყო და ამ გზით უნდა გავრცელებულიყო მოსახლეობის გარკვეულ ფენებში.

მეტალურგიული წარმოების კულტურის დაუფლება-შესწავლა კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ადის მეორე ათასწლეულის მიწურულსა და პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარში. ამ პერიოდის ნამუშევრებს ეტყობა ტექნიკური შესრულების მაღალი დონე, მხატვრული სიფაქიზე და ფანტაზიის სიმდიდრე. ფართოდ ვითარდება რკინის წარმოება და მისი შესწავლა საქართველოში. ეუფლებიან რკინის გამოწრთობისა და მისგან იმ დროისათვის მაღალხარისხოვანი სამეურნეო, სანადირო და საომარი იარაღების დამზადების ტექნიკას (ეს ჯერ კიდევ ამირანის თქმულებიდანაც ჩანს).

პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის პერიოდში, როდესაც ზოგიერთ დიდ ქართველ ტომთა დაკავშირება-გაერთიანება ხდებოდა, მეტალურგიის განვითარებასთან ერთად მიწათმოქმედება და მესაქონლეობაც ვითარდებოდა. ხარი და ცხენი გამოიყენეს სოფლის მეურნეობაში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მებაღეობა-

სა და მევენახეობას. ქართველმა ტომებმა კულტურულ მცენარეთა მრავალი სახეობა მოაშენეს, განსაკუთრებით საკვები მცენარეები.

მიწათმოქმედების წარმატებას ჩვენში დიდად უწყობდა ხელს მეტალურგიული წარმოების ზრდა-განვითარება, რომლის შედეგად მიწათმოქმედებაში ფართოდ დაინერგა სასოფლო-სამეურნეო იარაღები: რკინის თოხი, ცული, ნამგალი, კევრი და სხვ. საყოველთაოდ ცნობილი გახდა და შორეულ ქვეყნებში გავრცელდა კოლხური ცული და თოხი, რომელთაც გამოცდილი ეგრისელი ხელოსან-ოსტატები ჭმნიდნენ. ჩანს, „ქართველ ტომებს მარტო თავისთვის კი არ უკეთებიათ მადნეული, ჭურჭელი და იარაღი, არამედ შორეულ ქვეყნებშიც კი მიჰქონდათ გასაყიდად“ (ივ. ჯავახიშვილი).

ცხადია, მიწათმოქმედების კულტურის ასე განვითარება ქართველ ტომებში და ამ დარგში დაგროვილი ცოდნა-გამოცდილება საგანგებო შესწავლა-შეთვისების საგანი უნდა გამხდარიყო, ხოლო მაღალხარისხოვანი მეტალურგიული წარმოება და ხელოსნობის ნაირსახეობაც სათანადო შესწავლა-დაუფლებას მოითხოვდა. ამის შედეგად მიწათმოქმედთა რიგებს პროფესიონალ ხელოსანთა ფენა გამოეყო თანდათან და ხელოსნობათა შესასწავლად შეგირდობაც ჩამოყალიბდა, რომელიც, უნდა ვივარაუდოთ, თავდაპირველად თვით გამოჩენილ ხელოსანთა შვილებისა თუ ახლობლებისაგან შედგებოდა.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ: პირველყოფილი თემური საზოგადოების შორეულ ეპოქაში ჩვენში უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო (მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის) და სახელოსნო (ქვის, ბრინჯაოს, რკინის, ვერცხლისა და ოქროს) იარაღებისა და ნივთების დამუშავება და ცოდნა-გამოცდილების შესწავლა-დაუფლება წარმოებდა, რომელიც უველაზე გამოცდილი ოსტატის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა ინდივიდუალურად და, შეიძლება, ზოგჯერ ჯგუფურადაც.

ამ უძველეს პერიოდში ქართველ ტომებში სამკურნალო (სამედიცინო) ცოდნა-გამოცდილებაც საკმაოდ იყო გავრცელებული (ამას ადასტურებს ამირანისა და არგონავტების თქმულებანიც), რაც, როგორც წესი, თაობიდან თაობებს გადაეცემოდა და ამ გზით ინერგებოდა ხალხში.

პირველყოფილ თემურ საზოგადოებაში არა მარტო სამიწათმოქმედო, მეტალურგიულ-სახელოსნო, ხელოვნების, სამედიცინო თუ სხვა სახის ცოდნას ნერგავდნენ ბავშვებსა და ახალგაზრდებში, არამედ მათ აღზრდასაც აწარმოებდნენ, რომელსაც პირველ რიგში დედები ეწეოდნენ, როგორც ეს ამირანის თქმულებაშია დადასტურებული, ხოლო შემდეგში თემის მეთაური („მამასახლისი“) ხელმძღვანელობდა. იგი აჩვევდა მოზარდებს თემის ადათ-წესებს, ზნეობას, შრომა-საქმიანობას, წვრთნიდა თამაშობასა და სიმღერაში, სამხედრო საქმეში, სიმამაცესა და გამძლეობაში.

2. აღზრდა-განათლება ადრეკლასობრივ საზოგადოებაში

პირველყოფილი თემური საზოგადოების დაშლის პერიოდში კერძო საკუთრებისა და მონოგამიური ოჯახის შექმნამ განაპირობა კერძო საოჯახო მეურნეობის წარმოშობა, რამაც, თავის მხრივ, დასაბამი მისცა ბავშვთა საოჯახო აღზრდას.

ცოდნა-გამოცდილება თანდათან კერძო მესაკუთრეთა პრივილეგიად იქცა. საუკუნეების განმავლობაში მიწათმოქმედება-ნადირობისა და ხელოსნობა-ხელოვნების დარგში დაგროვილ ცოდნა-ჩვევებს პირველ რიგში გაბატონებული კლასის და ხელოსანთა შთამომავლობას გადასცემდნენ. სწავლა-აღზრდის ფუნქციას უველაზე გამოცდილი პირები (მეურნენი და ხელოსან-ოსტატები) ასრულებდნენ. ასე ჩაისახა პედაგოგიური საქმიანობა და პირვანდელი სკოლებიც ადრეკლასობრივ საქართველოში. ცხადია, მონათა სწავლა-აღზრდაზე არავინ ზრუნავდა. ახალი თაობის აღზრდას აშკარა კლასობრივი ხასიათი მიეცა.

ადრემონათმფლობელურ კოლხეთში (VI—III სს.) ცოდნა-გამოცდილებისა და სწავლა-აღზრდის მაღალ დონეზე მიუთითებს მიწათმოქმედებაში მემინდვრეობის (პურეული), მებაღეობისა და მევენახეობის გარდა, ბოჭკოვანი მცენარეების (სელისა და კანაფის) მოყვანა-გამოყენების იმდენად მაღალი კულტურა, რომ, როგორც ბერძნები გადმოგვცემენ, მათგან დამზადებული ქსოვილი მეტად განთქმული ყოფილა ანტიკურ ქვეყნებშიც.

ბრინჯაოს, რკინისა და თიხის (კერამიკა) დამუშავების ტექნიკაც ადასტურებს, რომ კოლხეთის ხელოვნება ემყარებოდა ადრინდელ ტრადიციებს და საფუძვლიანი შესწავლა-განვითარების შედეგს წარმოადგენდა. ამ პროცესს ხელს უწყობდა ისეთი სავაჭრო ცენტრების წარმოშობა, როგორიც იყო ფაზისი (ფოთი), დიოსკურია (სოხუმი), პიტიუნტი (ბიჭვინთა) და სხვ.

იბერიის სახელმწიფოს წარმოქმნამ (IV-III სს.) და, განსაკუთრებით, მისმა გაძლიერებამ (I-III სს.) მკვიდრი ნიადაგი შეუქმნა აღმოსავლეთ საქართველოში სამიწათმოქმედო და სახელოსნო ცოდნა-გამოცდილების დაგროვება-განვითარებას. იბერიელებმა კარგად იცოდნენ სოფლის მეურნეობაც და ბრინჯაოსა და რკინის, ოქროსა და ვერცხლის, ძვლისა და ქვის, მინისა და ჭარვის მოპოვება-დამუშავება და მათგან იარაღებისა და ძვირფასი სამკაულების შექმნა-დამზადებაც.

მიწათმოქმედების დარგში, რომლითაც საქართველო უძველესი დროიდან განთქმული იყო საზღვარგარეთაც (ბერძნები ქართველებს „გეორგებს“ — მიწისდამმუშავებელს, ხოლო საქართველოს „გეორგიას“ უწოდებდნენ), დაგროვილი ცოდნა-გამოცდილება დიდი ხნიდან შეადგენდა ჩვენში შესწავლა-დაუფლების საგანს. ივ. ჯავახიშვილის დასკვნით: „სოფლის მეურნეს, რომ დასახული მიზნისათვის მიეღწია და მისი ნამუშევარი უხვად ყოფილიყო დაჯილდოებული, მას უნდა ბევრი რამე სცოდნოდა და ყოველგვარი გარემოებისათვის გაეწია ანგარიში. საუკუნეთა განმავლობაში წარმოებულმა ამ მუშაობამ, თაობიდან თაობამდე შეძენილმა გამოცდილებამ მიწისმოქმედს საშუალება მისცა ბუნებისმეტყველების ზოგიერთი, მისთვის აუცილებლად საჭირო მოვლენების თვისება ისე შ ე ს წ ა ვ ლ ა, რომ მისი სამეურნეო მიზნისათვის გამოყენება შესძლებოდა“.[1]

იბერიის უძველესი დედაქალაქის — მცხეთის მიდამოებში (არმაზისხევი, ბაგინეთი და სხვ.) აღმოჩენილი ხუროთმოძღვრების ძეგლები და უძვირფასესი განძეულობანი, რომელმაც განაცვიფრა ჩვენი და უცხოელი სპეციალისტები, იმის უეჭველი დადასტურებაა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში (II-IV სს.) მეტად მაღალ დონეზე იდგა ოქრომჭედლობა და ხელოვნების სხვა მრავალი დარგი, რომელთა ნიმუშები პროფესიონალი ოსტატების იშვიათი ნახელავია და სათანადო ცოდნა-ჩვევების სპეციალური შესწავლა-დაუფლების ბრწყინვალე შედეგი.

ასე რომ, კოლხეთისა და იბერიის ტერიტორიაზე მრავლად აღმოჩენილი განძეულობა უტყუარი საბუთია ადრეკლასობრივი საქართველოს მაღალი კულტურული დონისა, რისი მიღწევაც შესაფერისი და საგანგებო სწავლა-განათლების გარეშე ყოველად წარმოუდგენელი იქნებოდა.

მაგრამ ყველაფერი ეს, რაც აქ მხოლოდ გაკვრით ითქვა, და, რასაკვირველია, სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ვრცლად არის განხილულ-გაანალიზებული. შეიძლება ადრეკლასობრივ საქართველოში ხელოსნობა-ხელოვნების ზეპირსიტყვიერ შესწავლა-დაუფლებაზე მიუთითებდეს და ამდენად ჯერ გამოდგეს ჩვენში მწიგნობრული სწავლა-განათლების გავრცელების უტყუარ საბუთად.

ჩვენს წინაშე იბადება კითხვა — როდის დაიწყო საქართველოში ნამდვილი, მწიგნობრული სწავლა-განათლება?

როგორც ირკვევა, ჩვენში ადრეკლასობრივ საზოგადოებაში არა

1 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, 1930, გვ. 269.

მარტო ზეპირი სწავლების სკოლები არსებობდა, არამედ ქართული დამწერლობის შექმნის დროიდან ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდას მწიგნობრული და ორგანიზებული ხასიათი უნდა ჰქონოდა.

როდის წარმოიშვა ქართული დამწერლობა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ დადგენილი არ არის. აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „ჯერხანად ცნობილი VI საუკუნის ქართული დამწერლობის ძეგლები ისეთ მაღალხარისხოვანი კალიგრაფიული განვითარების საფეხურს წარმოადგენენ, რომ ქართული ანბანის დასაწყისი ხანა სულ ცოტა 7-8 საუკუნით უწინარეს არის საგულისხმებელი“[1], ე. ი. ჩვენს ერამდე 1-2 საუკუნით ადრე.

დიდი ქართველი მეცნიერის ეს ჰიპოთეზა შემდგომდროინდელი აღმოჩენებით თანდათან უფრო სარწმუნო გახდა. ამის პირველ საბუთს ბოლნისის სიონის ქართული წარწერა წარმოადგენს, რომელიც 492-93 წლებით თარიღდება. ამ ბოლო ხანს (1953 წ.) იტალიელთა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ პ. ვირგილიო კორბოს ხელმძღვანელობით პალესტინაში იუდას უდაბნოში (ბეთლემის მახლობლად) აღმოაჩინა ცამეტი ქართული ეკლესია-მონასტრის ნანგრევები ოთხი ქართული წარწერით, რომელთაგან II და III წარწერები, აკად. გ. წერეთლის აზრით, „არიან უძველესი დღემდე ცნობილ ყველაზე ძველ ქართულ წარწერათა შორის, ვინაიდან ნახევარი საუკუნით მაინც წინ უსწრებენ დღემდე ყველაზე ძველად მიჩნეულს ბოლნისის წარწერებს“.[2] ამ ახალ აღმოჩენილ ქართულ წარწერებს აკად. გ. წერეთელი მეხუთე საუკუნის ოცდაათიან წლებით ათარიღებს. მისი აზრით, პალესტინის აღმოჩენების შემდეგ, ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც ვარაუდობენ, რომ ქართული ანბანი ახალი წელთაღრიცხვის 412-429 წლებში უნდა იყოს შექმნილი (კ. კეკელიძე), საბოლოოდ უნდა იქნეს უარყოფილი. ტრადიცია ქართულ ენაზე წერისა გაცილებით ადრე არსებობდა. ამაზე მიუთითებს ორთოგრაფიული და ენობრივი ნორმებიც, რომლებიც წარწერათა ტექსტებში უკვე დადგენილი და ჩამოყალიბებული ჩანს. ამას მოწმობს აგრეთვე ტექსტის პალეოგრაფიული ხასიათი. ამრიგად, ასკვნის აკად. გ. წერეთელი, ვარაუდი ქართული დამწერლობის არსებობისა V საუკუნეზე გაცილებით ადრინდელ ეპოქაში ამჟამად ბევრად უფრო დამაჯერებელი, შესაძლებელი და რეალური ჩანს, რასაც ხელს არ უშლის ის გარემოება, რომ მეხუთე საუ-

1 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია, მეორე გამოცემა, 1949, გვ. 235.

2 გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, 1960, გვ. 29.

კუნეზე ადრინდელი ქართული წარწერა ჯერჯერობით ნაპოვნი არ არის.

IV და შემდეგი საუკუნეების ბერძენი მწერლების ცნობებით ქართველებს საკუთარი დამწერლობა ადრევე ჰქონიათ. მრავალი ბერძენი ინტერპრეტატორის აზრით, ძველ კოლხეთში დაცული ოქროს საწმისი სინამდვილეში ტყავზე ნაწერი წიგნი იყო, რომელიც შეიცავდა იმის აღწერას, თუ როგორ შეიძლება მივიღოთ ოქრო ქიმიური საშუალებით. ეს ცნობები პ. ინგოროყვას საშუალებას აძლევს წამოაყენოს დებულება ამ პერიოდის კოლხეთში ოქროს ასოებით წერის ხელოვნების (ხრისოგრაფია) არსებობის შესახებ. აკად. შ. ამირანაშვილი ფიქრობს, რომ ენეოლითური და ბრინჯაოს კულტურის მაღალი მხატერული დონე უთუოდ ამტკიცებს იმას, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას დამწერლობა უნდა ჰქონოდა. რასაკვირველია, აქ ლაპარაკია იმ თავისებურ (შეიძლება ლურსმნულ) დამწერლობაზე, რომელიც დიდი ხნით წინ უსწრებდა ქართულ ანბანურ დამწერლობას.

ჩვენი წყაროებიდან პირველი ცნობა ქართული დამწერლობის შესახებ, როგორც ცნობილია, ეკუთვნის XI საუკუნის ქართველ ისტორიკოსს ლეონტი მროველს, რომლის მიხედვითაც ქართული ანბანი შეუქმნია ქართლის მეფე ფარნავაზს ჩვ. წ. აღ-მდე III საუკუნეში. იგი წერს: ფარნავაზმა „განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“.[1]

ქართველი ისტორიკოსები, არქეოლოგები და ლინგვისტები ვარაუდობენ, რომ არც ისე შორეულ მომავალში, საქართველოში ან მისი ტერიტორიის გარეთ, აღმოჩენილი იქნება უძველესი ქართული დამწერლობის ნიმუშები, რომლებიც, ალბათ, ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხს ნათელს მოჰფენს და მის პირველ ძირებს ჩვენი წელთაღრიცხვის წინა საუკუნეებში (VII-VI სს.) დააფუძნებს.

ქართული სწავლა-განათლებისა და პედაგოგიკის ისტორიისათვის ჯერჯერობით ისიც საკმარისია, რაც ამჟამად მეცნიერებაში არის დადგენილი. მოტანილი მასალებიდან აშკარად ჩანს, რომ ქართული დამწერლობის წარმოშობა და არსებობა გაცილებით უფრო შორეულ ეპოქას განეკუთვნება, ვიდრე უტყუარი მასალებით ჯერჯერობით არის დადასტურებული და ამდენად, ცხადია, ქართული წერა-კითხვის სწავლების საწყისებიც იმ შორეულ საუკუნეებში უნდა ვეძებოთ. ამ პერიოდში ქართული წერა-კითხვის სწავლება, როგორც

[1] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, 1955, გვ. 26.

ფოლკლორული მასალებითა და შემდგომი დროის საისტორიო წყაროებით დასტურდება, უპირატესად ინდივიდუალური წესით წარმოებდა ოჯახებში, ხოლო შემდეგში თანდათანობით ჯგუფური მეცადინეობის ფორმაში გადაიზარდა, რომელმაც ქართულ დაწყებით სკოლას მისცა დასაბამი.

საქართველოში წინაქრისტიანულ ეპოქაში არა მარტო ქართული სწავლა-განათლების პირველ საწყისებს ეუფლებოდნენ, არამედ, როგორც ძველი ბერძნული წყაროდან ჩანს, საფუძვლიან უმაღლეს ფილოსოფიურ განათლებასაც იღებდნენ.

გამოჩენილი ბერძენი ფილოსოფოსისა და რიტორის თემისტიოსის (317-388 სს.) ცნობით დასტურდება კოლხეთში, პონტოს ბოლოში, ფაზისის (ფოთის) მახლობლად, მეტად სახელგანთქმული ფილოსოფიურ-რიტორიკული სკოლის არსებობა, რომელშიც თვით ბერძნებიც მიდიოდნენ უმაღლესი რიტორიკული განათლების მისაღებად. პირადად თემისტიოსს და მამამისსაც — ფილოსოფოს ევგენიოსს, რომელიც შემდეგში ფილოსოფიის განთქმული მასწავლებელი იყო კონსტანტინეპოლში, ფილოსოფიურ-რიტორიკული განათლება კოლხეთში მიუღიათ.

ბიზანტიის ერთ პროვინციულ ქალაქში საჯარო გამოსვლისას თემისტიოსისათვის ერთ ახალგაზრდას თხოვნით მიუმართავს: დამეხმარე, რომ სატახტო ქალაქში, კონსტანტინეპოლში მივიღო სწავლა-განათლებაო. თემისტიოსი უპასუხებს მას: „მეცნიერებას არ ესაჭიროება განთქმული დედაქალაქი... ოდისევსმა ითაკაზე მიიღო განათლება, ნესტორმა — პილოსში... მეც, ჩემო კარგო ახალგაზრდავ, რიტორიკის ნაყოფნი მოვწყვიტე გაცილებით უფრო უჩინარ ადგილას, ვიდრე ეს ჩვენი ადგილია, არა წუნარსა და ელინურ ადგილას, არამედ პონტოს ბოლოში, ფაზისის მახლობლად, სადაც არგომ, თესალიიდან წამოსულმა, დაისადგურა — რასაც პოეტები გაკვირვებით მოგვითხრობენ... და, აი, ასეთი ბარბაროსული და პირქუში ადგილი ერთი კაცის სიბრძნემ და სათნოებამ გახადეს ელინური და აქციეს მუზების ტაძრად, იმ ერთი კაცისა, რომელიც დამკვიდრდა კოლხებისა და არმენიელების ქვეყანაში და ასწავლიდა არა ისართ ტყორცნას, ოროლთ სროლას ან ჯირითს, მახლობელ ბარბაროსთა წესისდა მიხედვით, არამედ იმას, თუ როგორ გაიწვრთნა რიტორიკულ ხელოვნებაში და როგორ ბრწყინავდა ელინთა დღეობებზე. მართალია თუ არა ის, რასაც ვამბობ, ცხადი გახდება ეხლავე, თუ დავსძენ შემდეგსაც: იქ ჩავედი მე არა საკუთარი მისწრაფებითა და გადაწყვეტილებით, არამედ მე გამგზავნა იქ ისეთმა კეთილმოსურნე კაცმა, როგორიც შეიძლება იყოს მამა, და ისეთმა მართებულად მოაზროვნემ, როგორიც შეიძლება იყო-

ოს ფილოსოფოსი. იქნებ შენ ის სრულიად დაჰგმო იმისათვის, რომ მან თვითონაც თავისი განთქმული ფილოსოფია სწორედ იქ შეიძინა, ან უფრო დამგმო მე, რომელიც (ფილოსოფიის) საიდუმლოებას ბავშვობიდანვე ვარ ზიარებული".[1]

თემისტიოსის ამ მეტად საინტერესო ისტორიული ცნობიდან მრავალი საყურადღებო დასკვნის გამოტანა შეიძლება:

1. თუმცა თემისტიოსის ამ სიტყვაში არ არის მოცემული პირდაპირი მითითება კოლხეთის უმაღლესი ფილოსოფიურ-რიტორიკული სკოლის დაარსებისა და მოქმედების ხანგრძლივობის შესახებ, მაგრამ როგორც პროფ. ს. ყაუხჩიშვილი და აკად. შ. ნუცუბიძე ფიქრობენ, იმ ცნობებითაც, რაც მასშია მოცემული, შესაძლებელია დაახლოებით მაინც იქნეს გათვალისწინებული ამ სკოლის წარმოშობისა და აყვავების ზუსტი თარიღები თუ არა — საუკუნეები მაინც. ჯერ ერთი, თვით ამ ძეგლიდან და თემისტიოსის ცხოვრების ბიოგრაფიული ცნობებიდან ირკვევა, რომ კოლხეთის რიტორიკულ სკოლაში თემისტიოსს განათლება უნდა მიეღო IV საუკუნის პირველ ნახევარში, ყოველ შემთხვევაში 337 წლამდე, როდესაც იგი კოლხეთიდან წასულია და კონსტანტინეპოლში ეწევა რიტორიკულ-ფილოსოფიურ მოღვაწეობას; მეორეც, უნდა ვივარაუდოთ, რომ თემისტიოსის მამას — ევგენიოსს სწავლა-განათლება კოლხეთის რიტორიკულ სკოლაში უნდა მიეღო დაახლოებით მესამე-მეოთხე საუკუნის მიჯნაზე; და ბოლოს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კოლხეთის ფილოსოფიურ-რიტორიკული სკოლა ერთბაშად, დაარსების პირველი დღეებიდანვე ვერ გახდებოდა ისე სახელგანთქმული სასწავლებელი და ისიც საზღვარგარეთ — ბიზანტიაში, მაშინ კოლხეთის უმაღლესი ფილოსოფიურ-რიტორიკული სკოლის (აკადემიის) დაარსება მესამე საუკუნის მეორე ნახევარში მაინც უნდა ვივარაუდოთ.

2. კოლხეთის რიტორიკული სკოლა IV საუკუნის დასაწყისში იმდენად სახელგანთქმული ყოფილა, რომ აქ უმაღლესი ფილოსოფიურ-რიტორიკული განათლების მისაღებად თვით უბრელესი და უმდიდრესი კულტურის მქონე ბერძნები (უნდა ვიფიქროთ, არამარტო თემისტიოსი და ევგენიოსი) მოდიოდნენ, და ამ სკოლას, რომელიც „ბარბაროსულ და პირქუშ ადგილას" მოქმედებდა, თემისტიოსი გაცილებით უფრო მაღალ შეფასებას აძლევს, ვიდრე „წუწნარსა და ელინურ ადგილას", თვით ბიზანტიაში არსებულ ტრადიციულ-რიტორიკულ

[1] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტომი პირველი, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს აკ. გამყრელიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა. 1961, გვ. 50-51.

სკოლებს და მას „ბუზების ტაძარს" უწოდებს, ე. ი. მეცნიერებისა და ხელოვნების კერას, სადაც ასწავლიან „თუ როგორ უნდა გაიწვრთნა რიტორიკულ ხელოვნებაში და როგორ ბრწყინავდე ელინთა დღეობებზე", და სადაც ევგენიოსმა შეიძინა „თავისი განთქმული ფილოსოფია".

3. თუმცა თემისტიოსი მის სიტყვაში არაფერს ამბობს იმაზე, თუ ვინ შეადგენდა კოლხეთის რიტორიკული სკოლის მოსწავლეთა ძირითად კონტინგენტს, მაგრამ, რადგანაც კოლხეთში ისეთი სახელგანთქმული ფილოსოფიურ-რიტორიკული სკოლა არსებობდა, სადაც ბერძნებიც იღებდნენ სწავლა-განათლებას, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს სკოლა პირველ რიგში ადგილობრივ მკვიდრთათვის — კოლხებისათვის უნდა ყოფილიყო დაარსებული და, მაშასადამე, მისი ძირითადი მსმენელებიც კოლხები იქნებოდნენ.

4. და, თუ კოლხეთის რიტორიკული სკოლა თვით კოლხებისათვის იყო დაარსებული და მასში კოლხები სწავლობდნენ, ცხადია, ამ სკოლის დამაარსებელი (რომელსაც, შესაძლებელია, განათლება კონსტანტინეპოლში ჰქონდა მიღებული), რომლის „სიბრძნემ და სათნოებამ" ეს ქვეყანა გახადა „ელინური", მისი შემდგომი მეთაურები და მასწავლებლებიც ძირითადად კოლხები (ქართველები) უნდა ყოფილიყვნენ, რაც არ გამორიცხავს ბიზანტიიდან სწავლულთა მოწვევის შესაძლებლობასაც.

5. ასეთ ვითარებაში კოლხეთის რიტორიკულ სკოლაში სწავლება პირველ რიგში ადგილობრივ ენაზე უნდა ვიგულისხმოთ, მაგრამ, რადგანაც შავი ზღვის სანაპიროებზე ბერძნული კოლონიები არსებობდა და კოლხთა მაღალ ფენებში ბერძნული ენაც იყო გავრცელებული, კოლხეთის რიტორიკულ სკოლაში სწავლება ბერძნულ ენაზედაც უნდა ყოფილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ბერძნები იქ ვერ მიიღებდნენ სწავლა-განათლებას; და, მაშასადამე, კოლხეთის ფილოსოფიურ-რიტორიკული სკოლა ორენოვან (ქართულ, ბერძნულ) სკოლად უნდა მივიჩნიოთ.[1]

6. როგორც აკად. შ. ნუცუბიძე ფიქრობს, „არ არსებობს არავითარი საბუთი, რომ კოლხეთის რიტორიკული სკოლა საკულტო და, მით უფრო ქრისტიანულ-თეოლოგიურ ინტერესებს ემსახურებოდა... რელიგიის საკითხი — იქნება იგი ანტიკურ-წარმართული თუ ქრისტიანული, სავსებით მოხსნილია კოლხეთის რიტორიკული სკოლის საქმიანობაში. ირკვევა, რომ არც მმართველ არისტოკრატიას და არც

[1] ს. ყაუხჩიშვილი, რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, 1964, გვ. 117.

ბ- 146286

რელიგიის მსახურთ ამ საქმეში წილი არ უდევთ“.[1] აკად. შ. ნუცუბიძის აზრით, კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლა უფრო საეკლესიო წრეების პრაქტიკულ მიზანდასახულობას გამოხატავდა და სასამართლო მოხელეებს (იურისტ-ორატორებს) ამზადებდა.

7. თემისტიოსის ცნობებიდან ისიც არ ჩანს, თუ როგორი იყო სწავლების შინაარსი და მეთოდები კოლხეთის უმაღლეს რიტორიკულ სკოლაში, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ მასში დაახლოებით ის მეცნიერებანი ისწავლებოდა და იმავე წესით (შესაძლებელია, რამდენადმე განსხვავებულად და გარკვეული ცვლილებებითაც), რომლებიც ციცერონისა და კვინტილიანეს (42-118 წწ.) თეორიული ნაშრომებითა და პრაქტიკულ-პედაგოგიური მოღვაწეობით არის ცნობილი (არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია, მუსიკა, სამართალი, ანტიკური ლიტერატურა, ფილოსოფია-რიტორიკა).

როგორც ამ დასკვნებიდან ჩანს, კოლხეთის ფილოსოფიურ-რიტორიკული სკოლის არსებობა უდიდესი ისტორიულ-კულტურული მოვლენა იყო დასავლეთ საქართველოს ცხოვრებაში და ამ სკოლამ ფრიად დიდი როლი შეასრულა ჩვენში ანტიკური განათლების გავრცელებისა და მეცნიერული აზრის შემდგომი განვითარებისათვის. ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მან თვით ბიზანტიური კულტურის განვითარებაშიც.

თუ რამდენ ხანს გრძელდებოდა სწავლა-განათლების ამ დიდი კერის არსებობა, მეცნიერებაში ჯერჯერობით საბოლოოდ დადგენილი არ არის, მაგრამ მაინც გამოთქმულია ანგარიშგასაწევი მოსაზრებანი (პროფ. სიმ. ყაუხჩიშვილი, აკად. შ. ნუცუბიძე), რომელთა მიხედვით კოლხეთის უმაღლესი ფილოსოფიურ-რიტორიკული სკოლა, მიუხედავად ქრისტიანობის მხრივ სასტიკი დევნა-შევიწროებისა, ქრისტიანობის გავრცელება-გაბატონების შემდეგაც განაგრძობდა მოქმედებას და რეალურ შესაძლებლობად არის მიჩნეული, რომ ამ სკოლაში მიეღოთ საფუძვლიანი ფილოსოფიურ-რიტორიკული განათლება საბერძნეთში საკმაოდ ცნობილ და ლიბანიოსის მიერ დიდად დაფასებულ ქართველ რიტორს — ბაკურს (IV ს.), სახელგანთქმული პეტრე იბერიელის აღმზრდელ-მასწავლებელს — იოანე ლაზს (V ს.) და ცნობილ ლაზ რიტორებს — აიეტსა და ფარტაძეს (VI ს.). მაშასადამე, კოლხეთის უმაღლესი ფილოსოფიურ-რიტორიკული სკოლა V და VI საუკუნეების პირველ ნახევარშიც განაგრძობდა არსებობას.

კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლის არსებობა III-IV საუკუნეებში იმაზედაც მეტყველებს, რომ ამ პერიოდში და გაცილებით უფრო ადრე კოლხეთში დაწყებითი სკოლების მნიშვნელოვანი ქსელიც უნდა ყოფილიყო, სხვანაირად წარმოუდგენელი იქნებოდა უმაღლესი ტიპის ასეთი სახელგანთქმული სკოლის არსებობა. მართლაც, ძველი ბერძენი ისტორიკოსები და გეოგრაფები გარკვევით მიუთითებენ, რომ როგორც დასავლეთ საქართველოში (კოლხეთი), ისე აღმოსავლეთ საქართველოში (იბერია) ყოფილა „აყვავებული ქალაქები“ შესანიშნავი „საზოგადოებრივი შენობებით“, რომლებშიც სკოლებიც შეიძლება იგულისხმებოდეს. ისიც ცნობილია, რომ ამავე პერიოდში კოლხეთში ელინისტური „გიმნასიონებიც“ (გიმნაზიები) არსებობდნენ, რომლებშიც ტანვარჯიშსა და ფილოსოფიას ასწავლიდნენ.

ასეთი იყო სწავლა-განათლება ჩვენში ადრეკლასობრივი საზოგადოების დროს და მოგვიანო ანტიკურ პერიოდში, როდესაც არა მარტო სოფლის მეურნეობასა და წელოსნობას სწავლობდნენ და პირველდაწყებით ცოდნას იძენდნენ, არამედ უმაღლეს რიტორიკულ-ფილოსოფიურ განათლებასაც საფუძვლიანად ეუფლებოდნენ და სახელმოხვეჭილი მჭევრმეტყველები (ორატორები) გამოდიოდნენ.

[1] შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. I, 1956, გვ. 92.

თავი მეორე

აღზრდა-განათლება და პედაგოგიკური აზროვნება ადრეფეოდალურ ხანაში

ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვას (IV-VI სს.) და ქრისტიანული რელიგიის მიღება-გავრცელებას (IV ს.) საქართველოში თან მოჰყვა ანტიკური განათლების კერებისა და დაწესებულებების მოქმედების სარბიელის შეკვეცა და მათი თანდათან მოსპობა. კულტურა-განათლებისა, მწერლობისა და საერთოდ იდეოლოგიის სადავეები ქრისტიანულმა ეკლესიამ ჩაიგდო ხელთ. ამიერიდან მხოლოდ ქრისტიანული საეკლესიო ცენტრები და სკოლები ყალიბდება ჯერ აღმოსავლეთ და შემდეგ დასავლეთ საქართველოში, რომლებშიც სასტიკი რელიგიურ-დოგმატიკური აღზრდა-განათლება მიმდინარეობს. ასეთი სკოლები ქრისტიანულ ეკლესია-მონასტრებთან იქმნებოდა და მათ ხელმძღვანელობას ემორჩილებოდა.

1. დაწყებითი სკოლები

სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება უტყუარი ისტორიული წყაროები ამ პერიოდის საეკლესიო-ქრისტიანული სკოლების არსებობისა და მათში სწავლა-განათლების მდგომარეობის შესახებ, მაგრამ მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრებანი, რომელთა მიხედვით საეკლესიო-ქრისტიანული სკოლები ისევე უნდა არსებულიყო ჩვენშიც, როგორც საერთოდ ამ პერიოდის ქრისტიანულ ქვეყნებში არსებობდა.

აკადემიკოსი კორნ. კეკელიძე ბოლომდე იცავდა ამ საკითხზე მოსაზრებას, რომელიც მან თავის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველ ტომში გამოთქვა ჯერ კიდევ 1923 წელს. „შემოვიდოდა თუ არა რომელიმე ერში ქრისტიანობა, — წერდა იგი, — მას თან მოჰქონდა ხოლმე საქრისტიანო სკოლებიც, მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, ამ მოვლენას ჩვენშიაც ექნებოდა ადგილი. ჩვენმა ქვეყანამ ქრისტიანობა მიიღო და საქრისტიანო მწერლობა გააჩაღა სწორედ იმ დროს, როდესაც აღმოსავლეთის საქრისტიანოში, რომელსაც ქართული ქრისტიანობაც ეკუთვნოდა, გაბატონებული იყო ცნობილი ნიზიბინის[1] სკოლა. მაშასადამე, თუ ჩვენში ამ დროს რაიმე სკოლა იყო, ის, უეჭველია, მოწყობილი იქნებოდა ნიზიბინის სკოლის ყაიდაზე, ხოლო ნიზიბინის სკოლის დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა პრაქტიციზმი, რომელიც გამოიხატებოდა სასწავლო მასალის შერჩევაში: განყენებულ სისტემატურ ცოდნას, არც ფილოსოფიურს, არც თეოლოგიურს, იქ არ მისდევდნენ. უმთავრეს სასწავლო საგნებად ითვლებოდა ეგზეგეტიკა, ესე იგი ბიბლიური ტექსტის შესწავლა და ახსნა-განმარტება, ჰომილეტიკა ან ეკლესიაში საჯაროდ სწავლა-მოძღვრების წარმოება, ლიტურგიკა ან ღვთისმსახურების შესრულება და საეკლესიო გალობა. ერთი სიტყვით, ნიზიბინის სკოლაში და იმ სკოლებში, რომლებიც V-VII საუკუნეებში მრავლად იხსნებოდა მონოფიზიტურ-ნესტორიანულ ეკლესია-მონასტრებთან, მხედველობაში ჰქონდათ პრაქტიკული მიზნები: ქრისტიანული დამოძღვრა და ეკლესიის მსახურთა მომზადება. ამით აიხსნება, რომ ამ სკოლებში სწავლობდნენ როგორც ბავშვები, ისე მოზრდილები და ხანში შესულნი. ვიმეორებთ, თუ ქართველთა შორის ამ დროს, V-VII საუკუნეებში სკოლები არსებობდა, ისინი, უეჭველია, მოწყობილი იქნებოდა ნიზიბინის სკოლის პროგრამაზე“[2].

აკად. კ. კეკელიძე ამ ვარაუდის განსამტკიცებლად სომეხი ისტორიკოსების ცნობებსაც იშველიებდა. იგი წერდა: „საეკლესიო მწერლობის დაწყებასთან ერთად ჩვენში თითქოს სკოლებიც გაჩენილა. კორიუნი ამბობს: მეფე ბაკურმა „უბრძანა ერთს, ქართული ენის მცოდნე კაცს, ჯაღის, შეეკრიბა ბავშვები სხვადასხვა კუთხიდან, სადაც სხვადასხვა კილოკავზე ლაპარაკობდნენ, და ესწავლებინა მათთვის ერთი ენა, რომლითაც ქართველებმა ღვთის დიდება დაიწყესო“. მოსე ხორენელის გადმოცემით, მეფე ბაკურისა და ეპისკოპოსის მოსეს ინიციატივით შეუგროვებიათ სწავლების მიზნით ყმაწვილები, რომელნიც ორ ჯგუფად გაუყვიათ. ეჭვს გარეშეა, მაშინდელი ქართული სკოლები იყო ელემენტარული, პირველდაწყებითი, სადაც უპირველესად საღმრთო წერილს ასწავლიდნენ და ეკლესიის მსახურთ ამზადებდნენ“[3].

ცხადია, ავტორს ამ მსჯელობის დროს მხედველობაში აქვს მხოლოდ ქრისტიანული საეკლესიო დაწყებითი სკოლები, რაც ჩვენი აზრით, იმას როდი გულისხმობს, რომ ქრისტიანობამდე ჩვენში ელემენტარული სწავლების სკოლები საერთოდ არ არსებობდა.

---

[1] ნიზიბინი ქალაქი იყო, რომელიც ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, ტიგროსის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა. (ვ. ჯ.).

[2] კორნ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. პირველი, ძველი მწერლობა, 1960, გვ. 80-81.

[3] იქვე, გვ. 81.

ამასთან ერთად, ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ კოლხეთსა და იბერიაში წარჩინებულ პირთა შვილებისათვის, განსაკუთრებით მეფის შთამომავალთათვის საშინაო, ინდივიდუალური სწავლა-აღზრდა იყო გავრცელებული: ცნობილია, რომ პეტრე იბერიელს (ბავშვობაში მურმანოზს, ბაქარ მეფის შვილს) საშინაო აღმზრდელ-მასწავლებლად მითრიდატე (იოანე ლაზი) ჰყავდა. „ქართლის ცხოვრების“ დამოწმებით, ვახტანგ გორგასალსაც ოჯახში (სასახლეში) მიუღია სწავლა-განათლება. იქ წერია: „მაშინ ვახტანგ იზარდებოდა და ისწავლიდა მიქაელ ეპისკოპოსისაგან ყოველსა მცნებასა უფლისასა“.[1] ხოლო თხუთმეტი წლის ვახტანგი ფილოსოფოსთა მიერაც ყოფილა აღზრდილ-განსწავლული: „მაშინ მეფემან, ვითარცა მოხუცებულმან და ბრძენმან და ვითარცა აღზრდილმან ფილოსოფოსთა თანა, იწყო ზრახვად ხმითა მადლითა“.[2] ჩანს, რომ ვახტანგი 15 წლის ასაკში გონებრივად საკმაოდ მომწიფებულ-განვითარებული ყოფილა, რაც იმის დამადასტურებელია, რომ მის საშინაო სწავლა-განათლებაში არა მარტო ერთი პირი, არამედ პედაგოგთა მთელი ჯგუფი იღებდა მონაწილეობას, რაც მომავალი მეფის ფართო განათლების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.

ბავშვების პირველდაწყებით საშინაო სწავლა-განათლებას ამ პერიოდში, როგორც ირკვევა, ადრეული ასაკიდან იწყებდნენ. აკად. კ. კეკელიძე წერს, რომ „პეტრე მაიუმელს, მაგალითად, მისი ბიოგრაფის სიტყვით, რაც, ცოტა არ იყოს, ძლიერ ეჭვს ბადებს, სამი წლისას დაუწყია სწავლა. ამ დროს ჩვეულება ყოფილა, რომ თავიანთ შვილებს, უფრო დიდებულნი და დიდგვარიანნი, გააბარებდნენ ხოლმე გასაზრდელად. რაჟდენ პირველმოწამის ცხოვრებაში სწერია, რომ მას, რაჟდენს, „არწმუნეს ასული მეფისა აღსაზრდელად... რომელსა მამამძუძედ უხმობდეს და დიდად რადმე პატივად ანიჭებდეს“. მამამძუძე ჰყოლია აგრეთვე შუშანიკ დედოფალსაც; გრიგოლ ხანძთელი მიბარებული ყოფილა აღსაზრდელად თავისი მამიდის მეუღლის ერისთავთ-ერისთავის ნერსეს სახლში. გაბარებულ ბავშვებს, რომელნიც სხვის სახლში იზრდებოდნენ, ეწოდებოდათ ძუძუსმტე, ესე იგი, ძუძუს მოზიარე სხვა ბავშვებთან. მიაბარებდნენ ბავშვებს აღსაზრდელად სასულიერო პირთაც. მაგალითად, ილარიონ ქართველი მისმა მამამ „მისცა სწავლად კაცსა ღირსსა და ღმრთის მოყუარესა, რომელი იყო დაბასა მისსა, სადა იყოფებოდა თვით იგი“[3].

[1] ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 146.

[2] იქვე, გვ. 147.

[3] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 81-82.

დიდგვაროვანთა ბავშვების გაძიძებისა და აღსაზრდელად გაბარების პრაქტიკა საერთოდ დამახასიათებელი იყო ფეოდალური საზოგადოებისათვის და, როგორც ჩანს, იგი თავიდანვე დამკვიდრებულა ჩვენშიც, საქართველოშიც.

მაგრამ სწავლა-განათლება მაინც ძირითადად ქრისტიანულ-საეკლესიო სკოლებში მიმდინარეობდა. პირველდაწყებითი რელიგიური სკოლები, რომლებიც, როგორც წესი, ეკლესია-მონასტრებთან არსებობდა, უფრო გავრცელებულია მე-8—9 საუკუნეებში და მათში სწავლა-აღზრდის შინაარსიც უფრო გაფართოებულია.

2. დაწყებითი სწავლა-განათლების შინაარსი

სკოლებში, როგორც საყოველთაოდ აღიარებულია, ძირითადი სასწავლო საგანი თეოლოგია იყო. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში, მაგალითად, ვკითხულობთ, რომ მისთვის შეუსწავლებიათ „დავითი და ხმითა სასწავლო სწავლაი საეკლესიოთ სამოძღუროი ქართულსა ენასა შინა“. მან თურმე „საღმრთონი წიგნნი ზეპირით მოიწუართნა“.[1] ილარიონ ქართველზე ნათქვამია, რომ ექვსი წელი როცა შეუსრულდა, „მიეცა სწავლად საღმრთოთა წერილთა“. გრიგოლისა და ილარიონის სწავლებით საეკლესიო მსახურის აღზრდას ისახავდნენ მიზნად, მაგრამ ისეთ შემთხვევაშიც, როცა საეკლესიო მსახურს არ ამზადებდნენ, თეოლოგიას მაინც ასწავლიდნენ ახალგაზრდებს, როგორც მთავარ სასწავლო საგანს. ასევე შეუდგნენ ნერსე ერისთავის ინიციატივით საქართველოში გადმოხვეწილი და ნერსესთან შეკედლებული არაბი ჰაბუკის — აბოს სწავლებასაც. აბომ თურმე „იწყო ზედ მიწევნად და სწავლად საღმრთოთა წიგნთა ძველისა და ახლისა ჰსჯულისათა“.

პირველდაწყებით ქრისტიანულ-რელიგიურ სკოლებში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი საეკლესიო გალობასაც, რისთვისაც უხვად იყენებდნენ ჰიმნოგრაფიულ თხზულებებს, რომლებიც ეკლესიის საჭიროებისათვის მრავლად იქმნებოდა იმდროინდელ საქართველოში. ამაზე პირდაპირ მიუთითებს გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, რომელშიც სასწავლო საგანთა შორის მოხსენებულია „ხმითა სასწავლელი სწავლაი“, რაც რიტორიკასა და გალობასაც უნდა გულისხმობდეს. ცნობილია, რომ შემდეგში გრ. ხანძთელი მართლაც შესანიშნავი მგალობელი იყო. „ცხოვრებაში“ ისიც წერია, რომ

[1] გიორგი მერჩულე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, ს. ინგოროყვას გამოცემა, 1949, გვ. 14.

გრ. ხანძთელმა, გარდა თეოლოგიისა და გალობისა, შეისწავლა „მწიგნობრობაიცა მრავალთა ენათაი“, რის გამოც იმ მრავალ ენათა „წურთიელ იყო“.

მაგრამ, მიუხედავად პირველდაწყებითი საეკლესიო სკოლების სწავლების პროგრამის გაფართოებისა, ეს სკოლები საბოლოოდ მაინც პირველ რიგში წერა-კითხვის სწავლების სკოლები იყო. ცხადია, ეს იყო მათი არსებითი დანიშნულება და ისტორიული მნიშვნელობაც ქართული წერა-კითხვის გავრცელებასა და განვითარებაში.

რა მასალებს იყენებდნენ პირველდაწყებით სკოლებში სწავლებისათვის, ან უკეთ, რა სახელმძღვანელო წიგნებით ასწავლიდნენ ბავშვებს?

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ „სასწავლოდ განკუთვნილი სახელმძღვანელო წიგნები ჯერ კიდევ ასურელი მამების დროს იწერებოდა. მაგალითად, შიო მღვიმელს ორიგინალური სახელმძღვანელო წიგნი დაუწერია თავისი მოსწავლეებისათვის, რომ ისინი შეევედრნენ, „რათა მისცეს მათ სწავლანი მის მიერნი“. მაშინ „აღუწერა მათ“ შიომ „ას სამოცი თავი სწავლა ყოვლად შუენიერი და ტკბილი, რომლითა განისწავლებოდეს ყოველნი იგი კრებულნი“. ეს სახელმძღვანელო, რასაკვირველია, იმდროინდელ მონასტრებთან არსებული სკოლის მიზნებს ემსახურებოდა და ასკეტურ-მისტიკური შინაარსის შემცველი იქნებოდა. შიოსადმი „სწავლანი მის მიერნის“ დაწერის მოთხოვნა თავისთავად იმაზე მეტყველებს, რომ მის მოწაფეებს უცხო ენაზე დაწერილი სახელმძღვანელოებიც ჰქონდათ ხელთ, რომლებიც შემდეგ თანდათან ქართულ ენაზე ითარგმნებოდა. სასწავლო სახელმძღვანელოდ გამოყენებული იყო აგრეთვე ჰაგიოგრაფიული თხზულებებიც, როგორც ეს VIII საუკუნის ცნობილი ჰაგიოგრაფიული ძეგლის „აბოს წამების“ პირველი თავის დასათაურებიდანაც აშკარად ჩანს: „ღმრთის-მსახურებისათვის შეკრებულთა მათ უწყებაი და მარტვილთმოყვარეთა მათ სწავლაი ახლისა ამის მოწამისა მოხსენებაი წმიდისა ჰაბოისი“.[1]

ამრიგად, როგორც ირკვევა, ადრეფეოდალურ ეპოქაში პირველდაწყებით საეკლესიო-ქრისტიანულ სკოლებში სასწავლო სახელმძღვანელოდ გარდა ნათარგმნი და საგანგებოდ შედგენილი ორიგინალური წიგნებისა, საერთოდ რელიგიურ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებსაც იყენებდნენ, საკითხავადაც და დასაზეპირებლადაც.

[1] სვ. გამსახურდია, სწავლა-აღზრდა IV-X საუკუნეების საქართველოში, ჟურ. „სკოლა და ცხოვრება“, 1967, № 4 გვ. 24.

3. წერა და მისი სწავლების საშუალებანი

აკადემიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა დაწვრილებით შეისწავლა თუ რას ნიშნავდა ძველ საქართველოში მწიგნობრობა, რა საწერ მასალას, იარაღ-საღებავებსა და ტექნიკას ხმარობდნენ. მისი მტკიცებით „მწიგნობრობა“ ძველად პირველ რიგში წერა-კითხვის ცოდნას ნიშნავდა. სიტყვა „მწიგნობრობა“ ანბანის, საწერი ნიშნების ზოგად სახელადაც იხმარებოდა. ლეონტი მროველს თავის თხზულებაში აღნიშნული აქვს, პირველად ფარნაოზ მეფემ „შექმნა მწიგნობრობა ქართული“, ე. ი. ქართული ანბანის მომპოვებელი და შემომღები იყოო.

ივ. ჯავახიშვილი წერს, რომ „მწერლობის და ძეგლებისათვის სხვადასხვა დროს სხვადასხვა მასალა იხმარებოდა ხოლმე, ჯერ ქვა, ლითონი, ძვალი და, საზოგადოდ, მაგარი, შედარებით მძიმე და ხშირად ძნელად შესაძრავი ნივთიერებები იყო მიღებული, შემდეგ თხელი და მსუბუქი მასალა შემოვიდა. ადამიანის ნააზრევის მაგარ ნივთიერებაზე აღბეჭდვა, რასაკვირველია, სულ სხვანაირ იარაღსაც მოითხოვდა, ვიდრე შემდეგდროინდელ თხელ მასალაზე დასაწერად იყო საჭირო. ამიტომ მასალისა, იარაღისა და ტექნიკური აღსრულების აღსანიშნავად ძველადაც თავ-თავისი ტერმინები იხმარებოდა და ახლაც ასეევე მიღებული“.[1]

ჩვენი დიდი მეცნიერის ამ დასკვნის საფუძველზე უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართული წერა-კითხვის შესასწავლადაც ამ მასალებს იყენებდნენ ჩვენი ძველი წინაპრები, კერძოდ, ქართული ანბანისა და საერთოდ ქართული წერის შესწავლის პროცესი ამ მასალებითა და ამ მასალებზე სრულდებოდა.

ივ. ჯავახიშვილი საგანგებოდ აზუსტებს ყველა იმ ტერმინს, რომლითაც ძველ საქართველოში სხვადასხვა საწერ მასალას აღნიშნავდნენ. მისი გამოკვლევით, ქვაზე და სხვა მაგარ ნივთიერებაზე გამოყენილ სიტყვას თუ აზრს, რასაც ახლა წარწერა ეწოდება, ძველ დროს „ზედაწერილი“ ერქვა. მაგრამ უკვე ძველადვე ამავე მნიშვნელობით „წარწერასა“ და „წარწერილსაც“ ხმარობდნენ.

წარწერებს, რომლებიც ქვაზე ან ლითონზე იყო შესრულებული, მაგრამ კედელში არ იყო ჩატანებული, „ფიცარნი ქვისანი“ ეწოდებოდა, ხოლო თუ ეს წარწერები ხის ფიცარზე იყო ამოკვეთილი, „ფიცარნი ცვილოანნი“ ერქვა. ეგვიპტური „პაპირუსის“ აღმნიშვნელი ქართულად „ჭილი“ უნდა ყოფილიყო.

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, მეორე გამოცემა, 1949, გვ. 27.

ჩვენში ყველა საწერ მასალაზე უფრო მეტად გავრცელებული იყო ტყავი. ბერძნულ „დიფთერას“ და „პერგამენონისა“ და ლათინურ „მემბრას“ და „პერგამენას“ შესატყვისად საწერად დამუშავებულ ტყავს „ეტრატი“ ეწოდებოდა, მაგრამ ეტრატსაც შემდეგში თავისი მეტოქე გამოუჩნდა. ამგვარ მეტოქედ სამწიგნობრო ხელოვნებაში ქაღალდი გამოვიდა, რომელიც პირველად ჩინეთში იქნა შემოღებული 105 წელს ჩვენი წელთაღრიცხვით. ქაღალდი ჩვენში XII საუკუნის მეორე ნახევარში საეკლესიო მწერლობის ძეგლებისათვისაც კი იხმარებოდა, ხოლო, რადგან ეკლესია ძველ ჩვეულებას უფრო დიდხანს ინახავდა და ახალს ნელა ითვისებდა, ამიტომ, საფიქრებელია, რომ საერო ძეგლებისათვის და კერძო პირთაგან ქაღალდის ხმარება საქართველოში თუ იმაზე უწინარეს არა, XI საუკუნიდან მაინც არის საგულისხმებელი. ტერმინი „ქაღალდი“ პირველად მხოლოდ ძოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება. დიდებული მგოსანი ნესტან დარეჯანს ასე ალაპარაკებს:

„ჰე ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონაღვაწები,
ტანი კალმად მაქვს, კალამი ნაღველსა ამონაწები,
მე გული შენი ქაღალდად გულსავე ჩემსა ვაწები“.

იე. ჯავახიშვილი ძველ საქართველოში ხმარებული საწერი იარაღებისა და საღებავების ნომენკლატურა-ტერმინებსაც ადგენს. იგი წერს: „საწერი იარაღი, რასაკვირველია, საწერი მასალის თვისებებზე იყო დამოკიდებული. საამისოდ მაგარი, მკვრივი ნივთიერება იყო ნახმარი, თუ რბილი და ნაზი. ამის გარდა, თვით რბილი საწერი მასალისათვისაც საწერი იარაღი დროთა განმავლობაში რამდენჯერმე გამოიცვალა და ყველა ამ გარემოებას დამწერლობათმცოდნეობაში, რასაკვირველია, ანგარიში უნდა გაეწიოს. მაგარ მასალაზე გამოყვანილი წარწერები ორნაირად იყო შესრულებული, ან „მთაწერილნი“, „ამოჭრილი“ ასოებით, როდესაც ასოთა მოხაზულობა ჩაღრმავებითა და ამოჭრით იყო გამოყვანილი, ანდა, პირიქით, ასოების მოყვანილობა და ნაკვეთი წარწერის ეზოზე უფრო ამაღლებული იყო და „გამოქანდაკებით“ იყო გამოყვანილი“.[1] რკინის, ბრჰენისა და სხვა მაგარ მასალაზე „მთაწერისათვის“ არსებობდა განსაკუთრებული იარაღი, რომელიც შეიძლება ყოფილიყო „ბრჰხილი ადამანტისაი“ ან რკინისა. მაშინ რბილ მასალაზე საწერ იარაღსაც თავისი სახელი ჰქონდა — „საწერელი“. „კალამი“, როგორც ეტყობა, ჯერ არ იხმარებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც საწერ ნივთად ქვისა, ლითონისა და ცვილის მაგიერ ქილის ფურცლები და ტყავი შემოიღეს, ძველი

[1] იე. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 40.

„საწერელითა“ და „ბრჰხილით“ მუშაობა შეუძლებელი იყო. ტყავი იმდენად ნაზი ნივთიერებაა, რომ ამოკაწვრით, ამოჭრით, თუ ჩაუედით ასოების გამოყვანა შეუძლებელი იქნებოდა, ამიტომ საწერ იარაღად ლერწმის კალამი შემოვიდა. რადგან ქართული ეტრატის ძეგლები მე-5—6 სს. დროიდანაც გვაქვს შენახული, ლერწმის საწერი იარაღი საქართველოში ამ დროს და უფრო ადრეც უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ჯერ „საწერელთან“ ერთად, ხოლო შემდეგ საწერად. საწერ იარაღად მხოლოდ „კალამი“ იხმარებოდა. მეათე საუკუნეში უკვე სხვა იარაღი ვეღარც კი წარმოედგინათ, შოთა რუსთაველი წერს:

„მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მინა რხეული“.

თუმცა კალამი თავდაპირველად და შემდეგშიც განსაკუთრებით ლერწმისაგან გაკეთებულ საწერ იარაღს ნიშნავდა, მაგრამ მაშინაც კი, როდესაც მას ლერწმისაგან აღარ აკეთებდნენ და სხვა ნივთიერებისაგან ამზადებდნენ ხოლმე, საწერი იარაღის აღმნიშვნელ ტერმინად წინანდებურად „კალამი“ იხმარებოდა. ლერწმის მაგიერ ფრინველის ფრთისაგან, მეტადრე ბატის ფრთისაგან დაიწყეს კალმის გამოჭრა და მას „ფრთის კალამი“ უწოდეს.

იე. ჯავახიშვილი წერს: „ლერწმის, ფოლადისა და ფრთის კალმებს, მხოლოდ ხელის დაჭერით არც ქილზე, არც, მით უმეტეს, ეტრატზე და ქაღალდზე ასოების მტკიცედ აღბეჭდვა არ შეეძლოთ: თუ კალმის წვერი რომელსამე საღებავში ჩაწობილი, „ამონაწობი“ არ იყო, მისი მოსმის კვალი ან ოდნავ, ან სრულებით არ ჩანდა, ამიტომ კალმის შემოღებისთანავე საღებავის ხმარებასაც მიჰყვეს ხელი და საღებავით დაიწყეს წერა... რაკი საწერი მასალა, ჩვეულებრივ, თეთრი ან მოყვითალო იყო, საღებავიც შავი ან წითელი იხმარებოდა ხოლმე. ჩვეულებრივ, საღებავი შავი იყო მიღებული, წითელსა და მწვანეს კი განსაკუთრებულ შემთხვევებში მოიშველიებდნენ ხოლმე... ქართულ თანამედროვე ენასა და მწერლობაში საწერ-საღებავების საზოგადო სახელად „მელანი“ იხმარება... ძველად კი „მელანი“ მარტო შავი საწერ-საღებავის აღმნიშვნელი ტერმინი იყო. ბერძნულად, საიდანაც „მელანი“ შემოვიდა ჩვენში, იგი სწორედ შავს, მუქს, ბნელს ნიშნავდა.[1]

ასეთი იყო ძირითადად ძველ საქართველოში ქართული წერისათვის გამოყენებული საწერი მასალები და იარაღ-საღებავები, რომლებითაც არა მარტო ქართული წიგნები იწერებოდა, არამედ მათ ოჯახებსა (საშინაო მასწავლებლები) თუ დაწყებით სკოლებში ქართული ანბანისა და წერის შესასწავლად იყენებდნენ.

[1] იე. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 43-45.

თუ როგორი დიდაქტიკურ-მეთოდიკური სისტემით და ხერხებით წარმოებდა ქართული წერა-კითხვის შესწავლა ადრეფეოდალური ეპოქის საქართველოს პირველდაწყებით სკოლებში, ეს საკითხი ჯერ კიდევ შესასწავლია და შემდგომი სპეციალური კვლევა-ძიების საგანს შეადგენს.

4. სწავლების დაწყების ასაკი

როგორც სათანადო წყაროებიდან ჩანს, ძველ საქართველოში ბავშვებს ასწავლიდნენ 6-7 წლის ასაკიდან. ილარიონ ქართველის ცხოვრების აღწერაში აღნიშნულია, რომ იგი „ექვსი წლისა მიეცა სწავლად", გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში წერია, რომ არსენ ქართლის კათალიკოსი „მცირე იყო ჟამითა ვითარ ექვსისა წლისა",[1] როცა სასწავლებლად მიაბარეს. გიორგი ათონელის (მთაწმინდელის) ბიოგრაფიის მიხედვით, იგი და მისი და შვიდი წლის ასაკში მონასტერში მიაბარეს აღსაზრდელად: „რამეთუ, ვითარცა იქმნა შვიდის წლის, აღთქმაი იგი აღასრულეს მშობელთა მისთა და... მონასტერსა ტაძრისს დისა თვისისა თანა ღმრთისა შეწირეს".[2]

სწავლის დამთავრების ასაკად 16 წელი იყო მიჩნეული. შიო მღვიმელმა ამ ასაკში დაამთავრა სწავლა-აღზრდა. ილარიონ ქართველიც „თექვსმეტი წლისა განეშორა... მოღვაწეთა მამათა".

5. პედაგოგიკური ტერმინები

ადრეფეოდალურ საქართველოში შემუშავებული იყო პედაგოგიკური ტერმინოლოგიის (ცნებების) გარკვეული ნომენკლატურაც.

აღმზრდელ-მასწავლებლებს მზრდელი, გამზრდელი („მამამძუძე", „დედამძუძე"), მზარდელი, მწურთელი, მასწავლელი, მასწავლებელი, განმსწავლელი, მოძღვარი ეწოდებოდა; ხოლო აღსაზრდელს — მოწაფე, მოსწაელე, საწვრთნელი. სწავლა-აღზრდის პროცესისა და მის ცალკეულ მხარეთა გამოსახატავად იხმარებოდა ტერმინები: სწავლა, წურთვნა, დამოძღვრება, ასწავა (ასწავლა), დაასწავა (სწავლა მისცა), ისწავა (ისწავლა), ესწავა (ესწავლა,) აცოდნა (ცოდნა მისცა), სწავლება, სწავლა, შესწავება (წინასწარ შესწავლა), განსწავლული (ნასწავლი), წურთილი (გაწვრთნილ-განსწავლული), ვაცოდინე (ცოდნა მივეცი), მცოდნარე (მცოდნე), კითხვა (წერილთა ამოკითხვა), მცნება (დარიგება; სწავლება), სასწავლო (სასწავლებელი), განსწავლა (შთაგონება, დარიგება), დაიმოწაფებს (მოწაფედ აიყვანს), მოსწრაფე (გულმოდგინე), წურთილობა (განსწავლულობა) და სხვ.

ძველი ქართული საისტორიო ძეგლების მიხედვით, სწავლების პროცესი პირველდაწყებით სკოლებში ძირითადად ინდივიდუალურად მიმდინარეობდა, მაგრამ არის ცნობები, რომ, ამავე დროს, ჯგუფურ სწავლებასაც ჰქონდა ადგილი. შიო მღვიმელის ცხოვრებიდან ჩანს, რომ მასთან ერთად სხვებიც სწავლობდნენ, დაახლოებით ერთნაირი ასაკის ბავშვები.

აი, თითქმის ყველაფერი ის, რაც ადრეფეოდალური ეპოქის ქართული დაწყებითი საეკლესიო-რელიგიური განათლების შესახებ შეიძლება ითქვას იმ საისტორიო წყაროების მიხედვით, რომლებიც ჯერჯერობით ჩვენ მოგვეპოვება.

ამრიგად, როგორც აქ მოტანილი მასალებიდან ჩანს, ადრეფეოდალურ ხანაში (V-X სს.) საბოლოოდ დამკვიდრდა ჩვენში საეკლესიო-რელიგიური განათლების პირველდაწყებითი სკოლები, რომლებიც თუმცა ქრისტიანული რელიგიის დაცვა-განმტკიცების უძლიერეს იარაღს წარმოადგენდნენ, მაგრამ, ამავე დროს, ოჯახებთან ერთად, ქართული წერა-კითხვისა და სწავლა-განათლების (მწიგნობრობის) გავრცელების ძირითადი კერები იყო.

6. უმაღლესი განათლება

ადრეფეოდალურ ხანაში ქართველები არამარტო პირველდაწყებით ცოდნა-განათლებას იღებდნენ და ავრცელებდნენ, არამედ საშუალო და უმაღლეს განათლებასაც ეუფლებოდნენ. ამის დამადასტურებელი ისტორიული ცნობები ჩვენ საკმარისად მოგვეპოვება.

მაგრამ ისიც ნათელია, რომ ამ პერიოდში თვით საქართველოს ტერიტორიაზე საშუალო, და მით უმეტეს, უმაღლესი სასულიერო-რელიგიური განათლების სკოლა შეიძლება არ ყოფილიყო (ცხადია, კოლხიდის აკადემიას არ ვგულისხმობთ), რადგან ამის დამადასტურებელი უტყუარი საბუთი არ ჩანს.

სამაგიეროდ, უმაღლესი განათლების კერა ქართველებს საქართველოს ტერიტორიის გარეთ, შორეულ სირიაში, შეუქმნიათ V საუკუნეში.

სირიის ამ უმაღლესი განათლების კერას იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს შუა საუკუნეების ჩვენი (და მსოფლიოს) რელიგიურ-ფილოსოფიური წარსულის გასათვალისწინებლად, რომ აქ მასზე შედარებით უფრო ვრცლად უნდა შევჩერდეთ.

V საუკუნის დასაწყისში (420 წლიდან) იმდროინდელ ორ უდიდეს სახელმწიფოს — ბიზანტიასა და სპარსეთს შორის გამწვავებული ურ-

[1] ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, 1949, გვ. 50.

[2] ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI-XVI სს.), 1967, გვ. 112.

თიერთობის შედეგად საომარი ოპერაციები დაიწყო. ბიზანტიის კეისარმა, თეოდოსი მეორემ, იმის საგარანტიოდ, რომ ქართლის მეფე ვარაზ ბაქარი სპარსეთს არ მიმხრობოდა, მძევლად მისი შვილი მურვანოსი მოსთხოვა. უფლისწული მურვანოსი (მურვანი) ამ დროს 12 წლისა ყოფილა და, როგორც ისტორიულ დოკუმენტებშია აღნიშნული, ქართლის მეფის სასახლეში მას, მაშინდელი წესის მიხედვით, აღმზრდელ-მასწავლებლად დასავლეთ საქართველოდან საგანგებოდ მოწვეული ფრიად განათლებული ლაზი — მითრიდატე ჰყოლია, რომელიც როგორც პროფ. სიმ. ყაუხჩიშვილი ფიქრობს, კოლხეთის უმაღლეს რიტორიკულ „სკოლასთან დაკავშირებული ადამიანი იქნებოდა ან კოლხეთის სკოლის პროფესორი, ან ყოველ შემთხვევაში, ამ სკოლაში მიიღებდა განათლებას“.[1]

პეტრე იბერიელის ცხოვრებაში, რომელიც მის მოწაფეს და მეგობარს, ზაქარია ქართველს სირიულ ენაზე დაუწერია V საუკუნის დამლევს, ხოლო ქართულ ენაზე მხოლოდ XIII-XIV სს. გადმოუთარგმნიათ, აღნიშნულია, რომ პეტრესათვის ნაადრევი ასაკიდან დაუწყიათ სწავლა-აღზრდა: „და ვითარ იქმნა ყმაი იგი სამი წლის, მისცეს სამწიგნობრედ, და დაისწავლა მან ყოველივე სწავლაი და გულისხმისყოფით აღმოიკითხოვნ წმიდათა წერილთა და იწურთინ მათ დღე და ღამე“ (ალბათ, მითრიდატე ლაზის ხელმძღვანელობით).

ფრიად განათლებულ-განსწავლული მითრიდატე, შემდეგში იოანე ლაზი, ევნუქად წოდებული, ბიზანტიაში თან გაჰყოლია უფლისწულ მურვანს, რომელსაც ბიზანტიის კეისრის სასახლეში, კონსტანტინეპოლში თეოდოსი ისე სიყვარულით ეპყრობოდა და ზრდიდა, „ვითარცა ძესა თვისსა“. მურვანმაც „მცირეთა ჟამთა ისწავა ენა ბერძნული და ასურებრივი და ყოველივე სწავლულება საეკლესიო და საფილოსოფოსო[2]“. პეტრეს ბიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ „კონსტანტინეპოლეს ეგზომ ადვილად დაისწავლა მან ენაი ბერძნული და სწავლაი, ვიდრეღა უკვირდა ფრიად მეფესა და ყოველთა ფილოსოფოსთა პალატისათა სიმახვილე გონებისა მისისაი“. ჩანს, რომ მურვანს კონსტანტინეპოლში არამცთუ გაუგრძელებია ქართლში იოანე ლაზის ხელმძღვანელობით მიღებული ქართული სწავლა-განათლება, არამედ იმდენად ღრმად შეუსწავლია ბერძნული ენა და ამ ენაზე არსებული „ფილოსოფია სრული“, რომ ყველა გაუკვირვებია თავისი ცოდნა-განსწავლულობით.

ამ დროს ბიზანტიაში გააფთრებული იდეოლოგიური ბრძოლა

[1] ს. ყაუხჩიშვილი, პეტრე იბერიელი და იოანე ლაზი V საუკუნის გამოჩენილი მოღვაწეები, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1955, № 68.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. I, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, 1955, გვ. 133.

წარმოებდა ქრისტიანობაში ორი ძირითადი მიმდინარეობის — მონოფიზიტთა და დიოფიზიტთა შორის. იმპერიის ცენტრში დიოფიზიტობას იცავდნენ, ხოლო პროვინციებში (სირია, პალესტინა, ეგვიპტე) — მონოფიზიტობას (ქრისტეღმერთში ერთი ბუნების არსებობას). მეფისწული მურვანი მონოფიზიტობას იზიარებდა და ამიტომ იძულებული გახდა დაეტოვებინა კეისრის სასახლეში მეფური ცხოვრება, გაქცეულიყო პალესტინაში და იქ ჭალაქ ლაზაში დამკვიდრებულიყო. აქვე აღიკვეცა ბერად (445 წ.) და პეტრეს (პეტრე ქართველის) სახელით გააჩაღა შეუნელებელი ბრძოლა დიოფიზიტების წინააღმდეგ. ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი ამ ფაქტს ასე გადმოგვცემს: „წარვიდა რა ერუსალიმად, საფლავსა უფლისასა მიიწია, და მუნ აღკვეცილ იქნა მონოზნებად, და უწოდეს სახელით პეტრე. ისწავა ენა და სწავლულება ასურებრივი, ვიდრემდის უკვირდა ყოველთა სიფრთხილე და სიმახვილე გონებისა მისისა“.[1] მისივე ცნობით პეტრეს აქაც თან ახლდა „იოანე, რომელთა (პეტრეს და იოანეს — ვ. ჭ.) ღვაწლნი და შრომანი გამოუთქმელ არიან. და აღაშენეს მონასტერნი და ქსენონი“.[2] პეტრე ქართველის (იბერიელის) ქართულ და ბერძნულ-სირიულ ბიოგრაფიებშიც არის აღნიშნული, რომ მურვანს (პეტრეს) კონსტანტინეპოლშიც და სირიაშიც თან ახლდა მისი აღმზრდელი, სახელად მითრიდატე ლაზი, ბერად აღკვეთის შემდეგ იოანე ლაზი, „რომელიც მის აზრებს და მისწრაფებას იზიარებს, მასავით საუკუნო ცხოვრებისკენ მიილტვის და ამ ცხოვრების გზაზე მისი თანაშემწეა“. გარდა იოანე ლაზისა პეტრესთან სხვა ქართველებიც (ზაქარია ქართველი და სხვ.) უნდა ვიგულისხმოთ, რომლებიც მისი ხელმძღვანელობით და მასთან ერთად ეწეოდნენ მოღვაწეობას.

პეტრე იბერიელის (დაიბადა 411 წელს, გარდაიცვალა 491 წელს) რელიგიურ-ფილოსოფიური მოღვაწეობა პალესტინაში ძალზე ფართოდ გაიშალა, და მიუხედავად იმისა, რომ ქალკედონიის მსოფლიო საეკლესიო კრებამ (451 წ.) მონოფიზიტობა სასტიკად დაგმო და დიოფიზიტობა აღიარა ორთოდოქსულ ქრისტიანულ რელიგიად, რასაც შედეგად მონოფიზიტთა სასტიკი დევნა მოჰყვა, პეტრე იბერიელი მაინც ლაზას რელიგიურ-საზოგადოებრივი წრეების მეთაურია და მას მაიუმის ეპისკოპოსადაც ირჩევენ (452 წ.).

იმდენად გაიზარდა და ამაღლდა პეტრე იბერიელის, როგორც უაღრესად განათლებული და უდიდესი ერუდიციის ადამიანის სახელი და ავტორიტეტი, რომ მან მაიუმში თავისი სახელგანთქმული რელიგი-

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 133.

[2] იქვე, გვ. 134.

ურ-ფილოსოფიური სკოლაც დააარსა, რომლის მუშაობაში აქტიურად ჩაება როგორც ქართველი, ისე უცხოელი სწავლულები (ქართველები — იოანე ლაზი და ზაქარია ქართველი, ბერძნები — იოანე და რუფუსი; სირიელი — სერგიოს რეშაინელი და სხვ.), ირგვლივ შემოიკრიბა სწავლას მოწყურებული ქართველი, ბერძენი, სირიელი და სხვ. ახალგაზრდები. პეტრე იბერიელის სირიული სკოლა საფუძვლიანი რელიგიურ-ფილოსოფიური განათლების უდიდესი ცენტრი გახდა წინა აზიაში V საუკუნის მეორე ნახევარში.

აკადემიკოსი შ. ნუცუბიძე სამართლიანად წერს: „ყველა ბიოგრაფის ცნობით, იყო ეს სირიულ, ბერძნულ თუ ქართულ ენაზე, ერთხმად არის დადასტურებული ის ფაქტი, რომ საკმარისი იყო პეტრე იბერის, რომელიც ხშირად ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა, სადმე საგრძნობლად შეჩერება, რომ მის ირგვლივ დაუყოვნებლივ გაჩენილიყო მოწაფეთა და მსმენელთა წრეები. ძნელი წარმოსადგენია, რომ, თუ ამ გამოჩენილ ქართველს უკან დასდევდა მთელი მაშინდელი განათლებული წინა აზიის და ბიზანტიის სხვა ნაწილების მოსახლეობა, და თუ ქართველებს რაიმე შესაძლებლობა ჰქონდათ თავისი სამშობლოდან წასვლისა და სირია-პალესტინაში ჩასვლისა, რომ მათ არ ეძებნათ საშუალება თავის სახელგანთქმულ თანამემამულეს როგორმე დაახლოვებოდნენ“.[1] ეს მით უმეტეს ითქმის პეტრე იბერიელის მოღვაწეობაზე მაიუმის სახელგანთქმულ სირიულ სკოლაში.

აქედან, ცხადია, რომ პეტრე იბერის სირიულ რელიგიურ-ფილოსოფიურ სკოლაში ქართველი სწავლულები მოღვაწეობდნენ და ქართველი ახალგაზრდებიც იღებდნენ საფუძვლიან სწავლა-განათლებას. ამდენად ეს სკოლა ინტერნაციონალური იყო თავისი შემადგენლობით იმ მხრივაც, რომ მასში სწავლება სამ ენაზე (ქართულ, ბერძნულ და სირიულ ენებზე) არის საეარაუდო. ამის საკმარ საფუძველს გვაძლევს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თვით ამ სკოლის დიდი მეთაურის — პეტრე იბერიელის ღრმად განსწავლულობა ქართულ, ბერძნულ და სირიულ ენებსა და ფილოსოფიაში და, აგრეთვე ამ სკოლის პედაგოგთა და მოსწავლეთა ინტერნაციონალური შემადგენლობა.

ამდენად, სრულიად სამართლიანად უნდა ჩაითვალოს აკად. შ. ნუცუბიძის შემდეგი მოსაზრებანი: „სირიულ სკოლას არ ჰქონდა მარტო ქართული ხასიათი. მასში მონაწილეობას იღებდნენ, როგორც ითქვა, სხვადასხვა კუთხის და ხალხების წარმომადგენელნი. სხვათა შორის, ესეც იმ გარემოებას ადასტურებს, რომ სირია-პალესტინის ისეთ ცენტრში, როგორსაც მაიუმი წარმოადგენდა და მის ნავსადგურში მრა-

[1] შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, კრიტიკული ნარკვევები, 1965, გვ. 340.

ვალმხრივ იყრიდნენ თავს სხვადასხვა ერების წარმომადგენლები, რაც ეკონომიური გზებისა და ფაქტორების გარეშე სრულიად დაუშვებელია. იმ დროს ამ სკოლაში თავმოყრილი ბერძნები საკმაოდ მნიშვნელოვანი მოაზროვნენი არიან. მათ შორის ისეთი პირები იმყოფება როგორიც იყო ზაქარია რიტორი—ბერძენი ფილოსოფოსი და ისტორიკოსი და სხვ. ყველა ეს გარემოება ნათელს ყოფს, რომ სირიულ სკოლას, როგორც ქართულს, მნიშვნელობა ჰქონდა იმდენად, რამდენადაც მის შემადგენლობაში მრავლად იყო ქართველები. აგრეთვე მისი მეთაური ქართველი კაცი იყო, ამიტომ შეიძლება ჩვენ მას ყოველგვარი უფლებით ვუწოდოთ სირიის ქართული სკოლა“.[1]

პეტრე იბერიელის სირიულ სკოლაში სწავლების შინაარსი მრავალფეროვანი იყო. მასში ქრისტიანულ რელიგიასთან ერთად ანტიკურ ფილოსოფიასაც ასწავლიდნენ, კერძოდ პლატონის ფილოსოფიას, პეტრე იბერს საამისოდ საუკეთესო გზა აურჩევია. მას ამოურჩევია თანამედროვე გაბატონებული ფილოსოფიის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი, სახელდობრ ფილოსოფოსი პროკლე, ე. წ. დიადოხოსი, რაც ნიშნავდა პლატონის მემკვიდრეს ფილოსოფიურ სკოლაში, და მისი მთავარი წიგნი, განსაკუთრებით მიზეზთა შესახებ, გასაგებად და სათანადო ახსნა-განმარტებით დაულაგებია.[2]

ეს სახელგანთქმული წიგნი, რომელიც ფილოსოფოს პროკლეს თხზულების შინაარსის გადმოცემა-განმარტებებს შეიცავდა, როგორც ირკვევა, პეტრე იბერიელს პირველად ქართულ ენაზე შეუდგენია სირიული სკოლის ქართველი მსმენელებისათვის, შემდეგ იგი სერგი რეშაინელს სირიულ ენაზე უთარგმნია სირიელებისათვის, ამავე დროს, ეს სახელმძღვანელო ლათინურ ენაზედაც უთარგმნიათ და ამ ენაზე გავრცელებულა საშუალო საუკუნეებში. სირიულ და ლათინურ ენებზე ამ წიგნს („წიგნი მიზეზთაი“) რასაკვირველია, ქართულიდან ვერ თარგმნიდნენ და ამდენად ფიქრობენ, რომ ეს სახელმძღვანელო თვით პეტრე იბერიელმა ბერძნი მსმენელებისათვის ბერძნულ ენაზე თარგმნა, საიდანაც სირიულ და ლათინურ ენებზეც გადათარგმნეს.

როგორც აკად. შ. ნუცუბიძე ფიქრობს, პეტრე იბერს (იბერიელს) სირიაში არა მარტო ეს ერთი სახელმძღვანელო წიგნი შეუქმნია, არამედ, უნდა ვიგულისხმოთ, სხვა მრავალი თხზულებაც დაუწერია, რომლებშიც მისი ფილოსოფიურ-ქრისტოლოგიური მოძღვრება იყო გადმოცემული. მისი აზრით: „პეტრე იბერის ეს თხზულებანია ის წიგნები, რომლებიც შუასაუკუნეების მთელ ქრისტიანულ სამყაროში

[1] შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, კრიტიკული ნარკვევები, 1965, გვ. 341.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 345.

დიონისე არეოპაგელის ფსევდონიმით იყო ცნობილი". შ. ნუცუბიძე წერს, რომ, როდესაც ფაქტიურ მასალებზე დაყრდნობით დადასტურებულია, რომ პეტრე იბერიელს ეკუთვნის სახელმძღვანელო „წიგნი მიზეზთაი", „მაშინ აღარაა ძნელი სწორედ სახელმძღვანელოების თვალსაზრისით დავინახოთ ის უწყვეტი კავშირი, რომელიც არსებობს პროკლეს ფილოსოფიის გადმომცემ და განმმარტებელ წიგნს შორის და ქრისტიანული ფილოსოფიის შემცველ არეოპაგიტულ წიგნებს შორის. ბუნებრივია, რომ შესავალი სწორედ იმიტომ იყო შესავალი, რომ ის ქრისტოლოგიური ფილოსოფიის შესავალი იყო. არეოპაგიტული წიგნები, როგორც ერთგვარი დამხმარე, ქრისტოლოგიურ ფილოსოფიაში გამრკვევი წიგნები, აუცილებლად საჭიროებდნენ ისეთ შესავალს, როგორიც პეტრე იბერის, როგორც ავტორის სახელს უკავშირდება. აქედან თითქოს ბუნებრივია, რომ ის წიგნებიც, რომლებიც ქრისტოლოგიურ ფილოსოფიას შეიცავდნენ, დაწერილი ყოფილიყო იმავე ავტორის მიერ, რომლებმაც მათთვის შესავალი დასწერა".[1]

აკად. შ. ნუცუბიძე გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1942 წელს, თავის ნაშრომში «Тайна Псевдо-Дионисия Ареопагита», მსოფლიო მეცნიერებაში პირველად ამტკიცებდა, რომ დიონისე არეოპაგელის ფსევდონიმით ცნობილი თხზულებანი ეკუთვნის V საუკუნის ქართველ მოაზროვნესა და მოღვაწეს სირიაში პეტრე იბერიელს.

აკად. შ. ნუცუბიძის ამ ნაშრომმა დიდი გამოხმაურება და შეფასება ჰპოვა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. ზუსტად ათი წლის შემდეგ ქართველი საბჭოთა მეცნიერის ისტორიული აღმოჩენა ბრწყინვალედ დაადასტურა, ნუცუბიძისაგან დამოუკიდებლად, ბელგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორმა ერნსტ ჰონიგმონმა 1952 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „პეტრე იბერიელი და ფსევდოდიონისე არეოპაგელის თხზულებანი", რომელიც სხვა კუთხით და სხვა მასალათა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე იმავე დასკვნამდე მივიდა.

ასე აეხადა ფარდა თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში ბურუსით მოცულ საიდუმლოებას და ამჟამად მსოფლიო მეცნიერთა პროგრესული ნაწილი იზიარებს და მხარს უჭერს ნუცუბიძე-ჰონიგმონის აღმოჩენას და ამდენად თითქმის უდავოდ არის მიჩნეული, რომ ფსევდოდიონისე არეოპაგელის სახელით აქამდე ცნობილი ფილოსოფიურ-ქრისტოლოგიური თხზულებანი ეკუთვნის დიდ ქართველ მოაზროვნეს — პეტრე იბერიელს[2].

[1] შ. ნუცუბიძე, იქვე, გვ. 357-358.

[2] პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, 1961 წ.

ამრიგად, გამოირკვა, რომ პეტრე იბერიელის მიერ შექმნილი სირიული ფილოსოფიურ-რელიგიური სკოლა, რომელშიც ქართველები, ბერძნები და სირიელები იღებდნენ საფუძვლიან ფილოსოფიურ-ქრისტოლოგიურ აღზრდა-განათლებას და, მაშასადამე, იგი სამენიანი სკოლა იყო, არა მარტო სასწავლო-პედაგოგიურ დანიშნულებას ემსახურებოდა, არამედ უდიდეს სამეცნიერო ცენტრს წარმოადგენდა მთელს წინა აზიაში, სადაც პეტრე იბერიელის მეთაურობითა და ხელმძღვანელობით გამოჩენილი ქართველი, ბერძენი და სირიელი სწავლულნი ქმნიდნენ და ავრცელებდნენ თავიანთ მოძღვრებას; და, რაც ყველაზე მთავარია, აქ შეიქმნა აქამდე ფსევდო-დიონისე არეოპაგელის სახელით მთელ მსოფლიოში ცნობილი ფილოსოფიურ-ქრისტოლოგიური თხზულებანი, რომელნიც პეტრე იბერიელს ეკუთვნოდა.

სირიული სკოლა იყო მეორე (ქოლხიდის აკადემიის შემდეგ) ქართული უმაღლესი განათლების ცენტრი, მაგრამ არა საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთ — სირიაში.

გამოსარკვევია, თუ ვინ იყვნენ პეტრე იბერიელის სირიული სკოლის ქართველი მსმენელები და რა როლი შეასრულეს მათ ქართული კულტურის განვითარებაში.

„ქართლის ცხოვრება" გვაუწყებს, რომ „მეფემან ქართველთამან... ძე თვისი მურმანოს" მძევლად გაგზავნა ქალაქ კონსტანტინეპოლს „სხვათა თანა სეფე-წულთა, მრავლითა პატივითა და დიდებითა"[1]; ე. ი. დიდებულთა მთელი ამალით, რომელშიც, ცხადია, იოანე ლაზიც იგულისხმება. ქართველთა ეს მთელი ამალა, რასაკვირველია, შექმნილი მდგომარეობის გამო, პეტრე იბერიელთან ერთად კონსტანტინეპოლიდან იერუსალიმში გამოიქცეოდა და ჭ. ლაზასა და შემდეგ მაიუმში დამკვიდრდებოდა. ეს ქართველები იყვნენ, ალბათ, პეტრე იბერის სირიული სკოლის პირველი მსმენელები.

გარდა ამისა, როგორც ჩანს, იმის შემდეგ, რაც პეტრე იბერიელის სირიულმა სკოლამ წინა აზიაში უდიდესი სახელი გაითქვა, თვით საქართველოდანაც სპეციალურად წავიდნენ ქართველი ახალგაზრდები სირიულ სკოლაში სწავლა-განათლების მისაღებად, რომლებიც საფუძვლიანი მომზადების შემდეგ, რასაკვირველია, დედასამშობლოში— საქართველოში დაბრუნდნენ. თუ რამდენი ქართველი ახალგაზრდა ჩავიდა შორეულ სირიაში და რამდენი მათგანი განათლებული დაბრუნდა სამშობლოში, ამის ზუსტად დადგენა შეუძლებელია. მაგრამ მათ შორის უსათუოდ უნდა ვიგულისხმოთ ე. წ. ათცამეტი ასურელი (სირიელი) მამა, რომლებიც საქართველოში VI საუკუნეში მოსულან.

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 133.

ეს ქართველები, რომელთა რიცხვს აკად. კ. კეკელიძე 17-მდე ადიდებს, თავისი ნება-სურვილით ჩასულან სირიაში სწავლა-განათლების მისაღებად და, ამავე მეცნიერის აზრით, ქართლში VI საუკუნის განმავლობაში სხვადასხვა დროს დაბრუნებულან: დავით გარეჯელი — 520 წელს, იოანე ზედაზნელი ექვსი მოწაფით — 543 წ., ანტონ მარტყოფელი — 545 წ., აბიბოს ნეკრესელი — 571 წელს. ისინი არ ყოფილან მართლმადიდებელი-დიოფიზიტები, არამედ მონოფიზიტები, ანტიქალკედონისტები იყვნენ, ამიტომ სირიიდან იძულებით გამოიქცნენ ქართლში, როგორც დევნილნი[1]. აკად. შ. ნუცუბიძის აზრით კი, სირიელ მამებს შემარიგებელი პოზიცია ეჭირათ დიოფიზიტებსა და მონოფიზიტებს შორის და ამიტომ სირიიდან მათი გამოქცევა თითქოს არ იყო აუცილებელი, თუმცა იგი ამ მოტივს საკუთარი მაინც არ უარყოფს. აკად. შ. ნუცუბიძე წერს: „მართალია, ამ გარემოებამ უდავოდ ერთგვარი როლი ითამაშა სირიელ მოღვაწეთა საქართველოში დაბრუნების საქმეში, მაგრამ არც იმის მტკიცება შეიძლება, რომ ეს გარემოება გადამწყვეტი იყო. სირიაში უმაღლესი განათლების მიზნით ჩასული ქართველები ხომ არ ისახავდნენ მიზნად იქ მთელი სიცოცხლე დარჩენილიყვნენ. მაშასადამე, ასეთი განსწავლის შემდეგ ისინი ადრე თუ გვიან სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყვნენ და ასეთი გადაწყვეტილების მიღებისათვის ზემოთ დასახელებული ღონისძიებები არაფერ შუაში იყო“ [2].

სირიელი მამები, რომელთაც საფუძვლიანი ფილოსოფიურ-ქრისტოლოგიური განათლება ჰქონდათ მიღებული, პეტრე იბერიელის სირიულ სკოლაში მისივე სახელმძღვანელოებით და აქამდე დიონისე არეოპაგელის სახელით ცნობილი თხზულებების მიხედვით, ღრმად იყვნენ დაუფლებულნი ამ დიდი ქართველი მოაზროვნის მოძღვრებას, VI საუკუნეში საქართველოში ჩამოვიდნენ და დაუცხრომლად შეუდგნენ ქართველთა შორის მისი მოძღვრების სწავლა-ქადაგებასა და გავრცელებას.

აკად. კ. კეკელიძე სამართლიანად წერს: „მათ დიდი ღვაწლი დასდეს ქართლის ეკლესიის გაძლიერებას კერპთაყვანისმცემლობასთან ბრძოლაში, აგრეთვე სამონასტრო ცხოვრების და მისი ორგანიზაციის დამყარება-ჩამოყალიბებას. ამ მოღვაწეებს დაუმსახურებიათ დიდი ყურადღება, ნდობა და პატივისცემა თანამედროვე ქართველებში. ამიტომ მოსალოდნელი იყო, მათი ცხოვრება აღიწერებოდა და

[1] კ. კეკელიძე, საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ. ეტიუდები ტ. I, 1966, გვ. 43-44.

[2] შ. ნუცუბიძე, კრიტიკული ნარკვევები, 1965, გვ. 360.

შთამომავლობას სახსოვრად დარჩებოდა“.[1] მართლაც, ჩვენამდე მოაღწია მათი ცხოვრების აღწერის სრულმა და სვინაქსარულ-შემოკლებულმა რედაქციებმა,[2] რომელშიც, თუმცა მეტ-ნაკლებობით, მაგრამ მაინც მოთხრობილია მათი დიდი ღვაწლი არა მარტო ქართული ეკლესიის წინაშე, არამედ ქართული კულტურისა და სწავლა-განათლების დარგშიც.

აკად. ი. ჯავახიშვილი არ იზიარებდა ასურელ მოღვაწეთა მონოფიზიტობას და საეჭვოდ მიიჩნევდა მათ ქართველობასაც, „წმინდა სამონაზნო მოღვაწეობის გარდა, ასურელი მამების ცხოვრებათა გადმკეთებლებსაც შერჩენილი აქვთ ცნობები, რომ ისინი საქართველოში მოსული იყვნენ საქადაგებლად, ქვეყნის განსამტკიცებლად, „სარწმუნოებითა მართლითა“ და „წმიდისა სამებისასა“, ე. ი. მართლმადიდებლობის გასაძლიერებლად“.[3] თუ ე. წ. სირიელი მოღვაწენი პეტრე იბერიელის სირიულ სკოლაში აღიზარდნენ, რაც სრულიად შესაძლებელია, და მისი ფილოსოფიურ-ქრისტოლოგიური მოძღვრების მქადაგებელნი იყვნენ საქართველოში მთელი VI საუკუნის განმავლობაში,[4] მაშინ სირიული სკოლა მაიუმში პეტრე იბერის გარდაცვალების (491 წ.) შემდეგაც უნდა ვიგულისხმოთ, ყოველ შემთხვევაში VI საუკუნის მეორე ნახევრამდე და ამ ხნის განმავლობაში უნდა ვეძებოთ ამ სკოლის გავლენის კვალი ქართული რელიგიურ-ფილოსოფიური აზროვნებისა და სწავლა-განათლების ისტორიაში.

თუ სომეხი ისტორიკოსის უხტანესის სიტყვებს დავეყრდნობით, რომ ქართლის კათალიკოსი კირიონი (VI-VII სს.) სწავლის დასამთავრებლად იძულებული გამხდარა წასულიყო მცირე აზიის ქალაქ ნიკოპოლში, სადაც 15 წელიწადი დაყო და საფუძვლიანი საღვთისმეტყველო განათლება შეიძინა[4], უნდა ვიფიქროთ, ამ დროისათვის პეტრე იბერის მიერ დაარსებული სირიული სკოლა არ მოქმედებდა და ქართველებს სხვა ცენტრების ძებნა სჭირდებოდათ უმაღლესი სწავლა-განათლების მისაღებად.

ამის შემდეგ, ვიდრე XI საუკუნის მეორე ნახევრამდე, უმაღლესი განათლების ქართული კერის ხსენება არ ჩანს არც ჩვენში — საქართველოში და არც მისი ტერიტორიის გარეთ.

[1] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 157.

[2] ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნის ძველი რედაქციები, ილ. აბულაძის გამოცემა, 1955.

[3] ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, 1960, გვ. 371.

[4] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1960, გვ. 81.

ადრეფეოდალურ საქართველოში, სასკოლო (დაწყებითი სკოლები, უმაღლესი სკოლა) სწავლა-განათლებასთან ერთად იქმნებოდა და ვითარდებოდა ამ პრაქტიკის შესაფერისი პედაგოგიკური აზროვნებაც. ცხადია, იმ ერს, რომელმაც შექმნა კოლხიდის უმაღლესი რიტორიკული სკოლა (III-IV სს.), პეტრე იბერიელის სირიული სკოლა (V ს.), იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“ (476-483 წწ.), „ესტატე მცხეთელის წამება“ (VI ს.), ბოლნისისა და ურბნისის ტაძრები (V ს.), მცხეთის ჯვარი (VI ს.) და მრავალი სხვ., ლიტერატურულ-შემოქმედებით და რელიგიურ-ფილოსოფიურ აზროვნებასთან ერთად და მათთან ორგანულ კავშირში ამ ეპოქის შესაფერისი პედაგოგიკური შეხედულებებიც უნდა შეემუშავებინა. როგორც ირკვევა, ასეთი პედაგოგიკური შეხედულებები შემუშავებულა კიდეც, თუმცა ის სხვადასხვა ისტორიულ ძეგლებსა და ანალებშია გაბნეული, რის გამოც მათი სრული სახით აღდგენა და სისტემაში მოყვანა ძნელდება.

უძველესი მხატვრულ-ლიტერატურული ძეგლი იაკობ ცურტაველის „წამებაი წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაი“ თითქმის არავითარ ცნობას არ გვაწვდის იმ პერიოდის სწავლა-აღზრდის პრაქტიკისა და მით უმეტეს, ავტორის პედაგოგიკურ შეხედულებებზე. ამ ძეგლით დასტურდება V საუკუნის საქართველოში „მამა-მძუძეობისა“ და „ძუძუმტეობის“ ფაქტი, რომ „ასწავებდნენ“ შუშანიკს, რომ იგი „ერთგანა გაზრდილი“ იყო და როგორც ავტორი ამბობს, შუშანიკი ცხენში ექვსი წლის განმავლობაში „კითხვითა წიგნითაი მოუწყინებლად“ იყო. მაშასადამე, ჩანს შუშანიკს სწავლა-აღზრდა აქვს მიღებული, მაგრამ თუ როგორი იყო მისი სწავლა-განათლება და აღზრდა, თხზულებაში არ ჩანს. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ იაკობის შემონახული თხზულება წარმოადგენს მეორე ნაწილს — შუშანიკის აღსასრულის აშსახველს, ხოლო პირველი ნაწილი, რომელშიც ლაპარაკი იქნებოდა მისი ბავშვობის შესახებ, ავტორს ამ შემთხვევაში განგებ არ მოუყვანია.[1] არც „ესტატე მცხეთელის წამებაა“ ამ მხრივ მნიშვნელოვანი. მასში ნათქვამია მხოლოდ ის, რომ ესტატე მცხეთაში რომ მოვიდა, „ისწავებდა ხელსა მეხამლობისასა“ და, როგორც თვითონ ამბობს: „დღისით მამაი ჩემი მოგუებასა მასწავებნ და ღამეღა ქრისტეანეთა დარეკიან, ეკლესიად მივედი და ვისმენდ ჟამობასა მას მათსა და ვხედავდი მსახურებასა მას ქრისტიანესა“.

ამ პერიოდის სხვა ჰაგიოგრაფიული ძეგლებიც, პედაგოგიური

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული საისტორიო მწერლობა, II-III შევსებული გამოცემა, 1945, გვ. 54.

თვალსაზრისით, ანალოგიური ხასიათისაა და ამიტომ მათზე არ შევჩერდებით.

ერთადერთი ძეგლი, რომელშიც შედარებით მნიშვნელოვანი მასალაა სწავლა-აღზრდის საკითხებზე, ეს არის „სიბრძნე ბალავარისა“, რომლის ქართული ვარიანტი, როგორც აკად. შ. ნუცუბიძე ფიქრობს, VII საუკუნის პირველ ნახევარში უნდა იყოს შექმნილი. „მისი ჩაწერა ქართულად მოხდა სულ უგვიანეს VII საუკუნის პირველ ნახევარში. იგი არ შეიძლებოდა არც VI საუკუნეზე ადრე მომხდარიყო, რადგან ბუდა გარდაიცვალა 543 წელს. VIII საუკუნეში ქართული რელიგიური აზროვნება დოგმატიკურია. იგი არ საჭიროებს, ზედმეტად თვლის ფილოსოფიურ არგუმენტაციას და ჰეშმარიტების ერთადერთ წყაროდ რწმენას აღიარებს. ამდენად, ბუდას ცხოვრების დამუშავება, შესრულებული, შესაძლებელია, საერთო ძალით სხვადასხვა ეროვნების ქრისტიანთა მიერ, ჩაიწერა საქართველოში VII საუკუნის პირველ ნახევარში, საბაწმინდაში, ქართველი მწიგნობრის იოანე მოსხის (მესხის) მიერ“.[1]

ამ ძეგლის ანალიზი გვიჩვენებს, რომ VII საუკუნის საქართველოში უპირატესად ინდივიდუალურ სწავლა-აღზრდას ჰქონდა ადგილი, უკეთეს შემთხვევაში მოსწავლეთა რიცხვი ორ-სამ ახალგაზრდას არ აღემატებოდა და მხოლოდ ფეოდალური არისტოკრატიის შთამომავლობას შეეხებოდა. მოსახლეობის დაბალი ფენებისათვის იგი სრულიად მიუწვდომელი იყო. სწავლა-აღზრდის ამ ინდივიდუალური ხასიათის გამო, „სიბრძნე ბალავარისას“ ავტორს „სხვანაირად არც შეეძლო დაელაგებინა პედაგოგიკურ შეხედულებათა იდეები, თუ არა ინდივიდუალური აღზრდისა და გონებრივი მუშაობის გაშლა-განვითარებით და სწორედ ამის გამო ისარგებლა ქართულმა ფილოსოფიურ-პედაგოგიურმა აზროვნებამ VII საუკუნეში იმ ძეგლით, რომელიც მას საშუალებას აძლევდა აღზრდისა და სწავლა-განათლების საკითხები დაეკავშირებინა და ჩაექსოვა ისეთ ძეგლში, რომელიც პიროვნული აღზრდა-განვითარების საქმეს შეიცავდა[2]“.

ამ ძეგლის მიხედვით უურადღების ცენტრშია ბავშვი, რომლის ირგვლივ იბრძვის ორგვარი, ერთმანეთის საწინააღმდეგო მსოფლგაგება. ერთის მხრივ, იქ გამოყვანილია ინდოთ მეფე-აბენესი, ხოლო მეორეს მხრივ, ქრისტიანული თვალსაზრისის მატარებელი ბალავარი. ეს ორი პირი ცდილობს აღზარდოს ყრმა იოდასაფი თავისი იდეების მიხედვით. ამის მიღწევის საშუალებად ძეგლში პედაგოგიური პრაქტიკისა

[1] შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. I, 1956, გვ. 288.
[2] შ. ნუცუბიძე, კრიტიკული ნარკვევები, 1965, გვ. 372.

და პედაგოგიკური აზროვნებისათვის ადრე ცნობილი დიალოგის მეთოდია გამოყენებული, რომლითაც უნდა განხორციელებულიყო ახალგაზრდა იოდასაფის აღზრდა ერთი რომელიმე გარკვეული მსოფლგაგების მისაღებად.

იოდასაფის სწავლა-განათლების შინაარსს განსაზღვრავდა ის ცოდნა-სიბრძნე, რომელიც მაშინდელი განათლებული ადამიანისათვის იყო აუცილებელი, ხოლო ეს სიბრძნე იმ ეპოქასთან შედარებით ჩვენში საკმაოდ მაღალი და მრავალმხრივი ჩანს, რაც დასავლურ, ბერძნულ-ბიზანტიურ და აღმოსავლურ, ინდურ-არაბულ კულტურულ-იდეოლოგიურ სამყაროსთან სიახლოვითა და აქტიური ურთიერთობით უნდა აიხსნას.

მეტად საინტერესოდ და ორიგინალურად არის გადაწყვეტილი ამ თხზულებაში აღსაზრდელის პიროვნული უნარ-თვისებებისა და მათი ურთიერთობის დიდმნიშვნელოვანი პედაგოგიური საკითხი.

იოდასაფი, როგორც აღზრდა-განათლების ობიექტი, ამ ძეგლში წარმოდგენილია საკმაოდ ნიჭიერ მოწაფედ, რომელიც ყველაფერს დაკვირვებით, შეგნებულად და სწრაფად ითვისებს. მას არ აკლია არც სურვილი და არც უნარი ცოდნის შეთვისებისა და მისი დამახსოვრებისა. იგი აქტიურად არის განწყობილი ფართო ცოდნა-სიბრძნის შეთვისებისა და ამ ცოდნის რწმენად გადაქცევისათვის. იოდასაფი ძლიერი ნებისყოფის ახალგაზრდაა, იგი მამასაც კი არ ემორჩილება, დამოუკიდებელი აზრისა და რწმენის ადამიანად ყალიბდება.

იოდასაფი მხოლოდ მისმა აღმზრდელ-მასწავლებელმა, ბალავარმა, დაიმორჩილა და მისგან ისეთი მტკიცე პიროვნება გამოსჭედა, რომელიც მზადაა ყოველგვარი საშუალებით იბრძოლოს თავისი შეხედულებების დაცვა-განმტკიცებისათვის.[1]

მოსწავლე-აღსაზრდელის ასეთი ძლიერი პიროვნება ქართულ წყაროებში შემდეგ საუკუნეებში, დოგმატიზმის გაბატონების პირობებში, ნაკლებად გვხვდება, რაც სავსებით ბუნებრივი და გასაგებია.

აღმზრდელ-მასწავლებლის პიროვნება და მისი როლი იმდენად დიდად არის შეფასებული ამ ძეგლში, რომ თვით თხზულებასაც აღმზრდელის — „ბალავარის სიბრძნე“ ეწოდება. ბალავარი არა მარტო ბრძენი პიროვნებაა, არამედ მეტად უშიშარი და პრინციპულიც. იგი შემკულია ყველა იმ თვისებითაც, რომელიც მასავით მტკიცე ნებისყოფის მქონე და ცოდნა-სიბრძნით აღჭურვილი პიროვნების აღზრდისათვის არის აუცილებელი. „ბრძენი ბალავარი გონებამახვილი ადამიანია. მას კარგად ესმის, თუ როგორ უნდა მოიქცეს იმისათვის, რომ

[1] შ. ნუცუბიძე, კრიტიკული ნარკვევები, 1965, გვ. 375.

თავისი მოწაფისაგან ისეთი ადამიანი აღზარდოს, როგორიც მას ესახება, როგორც სჯასურველი და დამთავრებული აღზრდილი. ის მიმართავს ყოველგვარ საშუალებას, რომელსაც შეუძლია ბუნებრივად შთაგონოს მოწაფეს ისეთი განწყობა, რომლის ნიადაგზე უნდა აიგოს სწავლების მთელი შენობა“ [1].

ასეთი ორი დიდი ცოცხალი ძალა, ორი ძლიერი პიროვნება, აღსაზრდელი და აღმზრდელი და მათი სწორი ურთიერთობა სწავლა-აღზრდის პროცესში, რასაკვირველია, აღმზრდელ-მასწავლებლის წამყვანი როლის აუცილებლობით, უზრუნველყოფს აღზრდის მთავარი იდეალის — ნებისყოფითა და სიბრძნით ისეთი ძლიერი პიროვნების ჩამოყალიბებას, როგორიც იოდასაფი გახდა.

ასე მართებულად, იმ დროისათვის მეტად ორიგინალურად და პროგრესულად წყვეტს თხზულების ავტორი აღსაზრდელისა და აღმზრდელის პიროვნებისა და როლის პრობლემას ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის ერთიან პროცესში. ამიტომ, ჩვენ სავსებით უნდა გავიზიაროთ აკად. შ. ნუცუბიძის დებულება, რომ ყოვლად დაუშვებელია ვიფიქროთ, მოწაფისა და მასწავლებლის ასეთი ზედმიწევნითი აღწერისა და დახასიათების დროს, ამ თხზულების ქართველ გადმომკეთებელს მხედველობაში არ ჰქონოდა წმინდა აღმზრდელობითი, ანუ პედაგოგიკური პრობლემები,[2] და, ამდენად, „სიბრძნე ბალავარისა“ პედაგოგიურ თხზულებადაც უნდა მივიჩნიოთ.

ეს ძეგლი დიდაქტიკურ-მეთოდური თვალსაზრისითაც საინტერესოა. მის ავტორს მასწავლებლის მიერ მოსწავლისათვის ცოდნის მზამზარეულად გადაცემა არ მიაჩნია სასურველად, თუმცა არც ეს გზა არის სავსებით გამორიცხული. მოსწავლისაგან მისი შედარებით დამოუკიდებლად, დასაბუთებულად, დიალოგის მეთოდით („სიტყვის გება“) შეთვისება, რაშიც აშკარად ანტიკური სკოლისა და პედაგოგიკის (სოკრატე) გავლენა გამოკრთის, მოსწავლის ზნეობრივი აღზრდისათვის, კერძოდ, ძლიერი ნებისყოფის აღზრდისათვის ზნეობრივ დებულებათა დასაბუთება, მათში დარწმუნება მიაჩნია აუცილებლად. ამ გზით ახერხებს ბალავარი თავის აღსაზრდელში განათლებული, მტკიცე და მთლიანი პიროვნების ჩამოყალიბებას, რომელშიც შერწყმულია გრძნობა, გონება და ნებისყოფა. ეს არის ამ ძეგლისა და მისი ავტორის უდიდესი დამსახურება ქართული პედაგოგიკის ისტორიაში. რასაკვირველია, „სიბრძნე ბალავარისა“ არა მარტო პედაგოგიური

[1] შ. ნუცუბიძე, კრიტიკული ნარკვევები, გვ. 376.
[2] იქვე, გვ. 376.

ძეგლია, არამედ პირველ რიგში უდიდესი ლიტერატურული და ფილოსოფიური თხზულებაა, რომელსაც მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ამჟამადაც.

სწორედ ამიტომ მეტად დიდია ექვთიმე ათონელის დამსახურება, მან ქართული თხზულება „სიბრძნე ბალავარისა“, რომელიც ბუდას შესახებ აღმოსავლური თქმულების მიხედვით იყო დამუშავებული, მაგრამ ამავე დროს ღრმა აზრებისა და მაღალი მხატვრული ღირსებისა იყო, გააცნო მთელ ქრისტიანულ სამყაროს იმით, რომ იგი მე-11 საუკუნის პირველ ნახევარში ბერძნულ ენაზე გადაიღო, ხოლო ბერძნული ენიდან მაშინვე გადაითარგმნა ლათინურ ენაზედაც და ამ გზით მთელ მსოფლიოში გავრცელდა.

ქართულ კულტურასა და სწავლა-განათლებაზე, როგორც ქართველი ხალხის ცხოვრებაზე საერთოდ, უდიდესი გამანადგურებელი გავლენა მოახდინა არაბების ბატონობამ საქართველოში (მე-8-9 სს), რომელმაც მოსპო და „აღგავა პირისაგან მიწისა“ ძველი ქრისტიანული განათლების მრავალი კერა, რამაც ჩვენში კულტურისა და სწავლა-განათლების უდიდესი დაცემა-დაქვეითება გამოიწვია. რასაკვირველია, საქმეს ოდნავადაც ვერ შველოდა აღმოსავლური სამედიცინო, ასტრონომიული და მათემატიკური ცოდნის ნაწილობრივი, კანტი-კუნტად გავრცელება და ანბანურის ნაცვლად არაბული ციფრების შემოღება.

მაგრამ, მიუხედავად სასტიკი რეპრესიებისა, არაბებმა თავისი ხანგრძლივი ბატონობის პერიოდში მაინც ვერ შეძლეს ქართული კულტურისა და სწავლა-განათლების ყველა ცენტრის საბოლოოდ მოსპობა. ვერც ქართული ენის დაცემა-დაქვეითება შეძლეს დამპყრობლებმა. პირიქით, ამ პერიოდში კიდევ უფრო გაიზარდა ქართული ენის როლი და მნიშვნელობა. „უკვე IX საუკუნეში როგორც ქართლში, ისე ტაო-კლარჯეთში, კახეთში, ჰერეთსა და აფხაზეთის სამეფოში ქართული ენა იყო მწერლობის, სახელმწიფო მართვა-გამგეობის, სამოქალაქო ურთიერთობისა და ეკლესიის ერთადერთი ენა. ქრისტიანობის საშუალებით ქართული ენა გადავიდა ჩრდილო კავკასიაშიც. უპირველეს ყოვლისა, — ჩერქეზებსა და ალანებში. ქართულის ასეთმა გავრცელებამ და ქართული მწერლობის აყვავებამ იმდროინდელ ქართველ მოღვაწეებს ჩაუნერგა დედაენის დიდი ღირებულებისა და ღირსების შეგნება. X საუკუნის მწერალმა იოანე ზოსიმემ აღტაცებული შესხმა, ოდა უძღვნა ქართულ ენას — „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისა“. ამ ჰიმნში ავტორი ქართულ ენას განსაკუთრებულ როლს აკისრებს მსოფლიო ენათა შორის“.[1]

[1] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. ფესხია, ვ. რატიანი, საქართველოს ისტორია, ტ. 1, გვ. 133.

ამ პერიოდში დაიწერა ცნობილი ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულებანი: იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამება“ (VIII ს.), ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და სხვ. ეს ძეგლები იმდროინდელი საქართველოს სწავლა-განათლებისა და დიდი კულტურის უტყუარი ისტორიული დოკუმენტებია.

მართალია, ი. საბანისძის „აბო თბილელის“ მიხედვით, სწავლა-განათლების დარგში, ჩვენში სქოლასტიკა, დოგმატიკა და ზეპირობაა უკვე გაბატონებული და ე. წ. „აუცილებელი ჰეშმარიტება“ ისწავლება მხოლოდ, მაგრამ ცოდნა მაინც ვრცელდება. ამ ძეგლში წერია, რომ „რაჟამს მოვიდა იგი (აბო) ქართლად, ცხომდებოდა იგი ნერსე ერისთავისა თანა და თვისითა სათნოებითა იქმნა იგი საყუარელ ყოვლისა ერისა და შესძინა სწავლად ქართულისა მწიგნობრებისა და ზრახვისა ხსნილად. მაშინ იწყო ზედაშიწევნად და სწავლად წმიდათა საღმრთოთა წიგნთა ძუელისა და ახლისა შჯულისათა, რამეთუ უფალი მეცნიერ-ყოფდა მას. და მოვიდის იგი წმიდათ ეკლესიად და მარადის ისმენნ წმიდათა სახარებათაგან და საკითხავთა მათ საწინასწარმეტყუელოთა და მოციქულთა და მრავალთაგან შჯულის-მეცნიერთა იკითხავნ და ისწავებნ“.

რასაკვირველია, ეს ცოდნა დოგმატიკურ-რელიგიურია. „აბო თბილელის“ ავტორის აზრით, საერთოდ ყოველგვარი ცოდნა, გარდა ქრისტიანულისა, საეპვო და დაუსაბუთებელია. ერთადერთი ჰეშმარიტი ცოდნა ეს არის ღვთაების მიერ შთაგონებული ცოდნა, რომელიც არავითარ მტკიცებას არ საჭიროებს. ამიტომ აბო თბილელიც ხანგრძლივი წვრთნისა და სწავლის გზით კი არ დარწმუნებულა ქრისტიანული სარწმუნოების ჰეშმარიტებაში, არამედ მხოლოდ იმით, რომ მან იგი იწამა. ამრიგად, აბოს რწმენა არის მისი ცოდნა.

მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც შ. ნუცუბიძე ასკვნის, „საგულისხმოა ის გარემოება, რომ იოანე საბანისძე ქრისტიანული სარწმუნოების ჰეშმარიტების საკითხში ბერძნებს ედავება და ფიქრობს, რომ ქართველი ერი არავითარ შემთხვევაში არ დაუთმობს ბერძნებს ქრისტიანული ჰეშმარიტების გაგების, ვითომდა, მეტ ძალას. იოანე საბანისძე ვერ ამჩნევს, რომ ამ სადაო შედარების დროს ის შეუცნობლად მაინც აღიარებს, რომ არსებობს სხვადასხვა დონე ქრისტიანული განათლებისა. მაგალითად, დონე ბერძნული და დონე ქართული“.[1] ქართული განათლების ეს დონე, ი. საბანისძის აზრით, იმდროინდელ საქართველოში თურმე ბერძნულს კი არ ჩამოუვარდებოდა, არამედ გა-

[1] შ. ნუცუბიძე, კრიტიკული ნარკვევები, გვ. 392.

ცილებით მაღლა იდგა, თუმცა ეს განათლება არსებითად საეკლესიო-რელიგიური განათლება იყო და საეკლესიო ცენტრების (უპირატესად მონასტრების) მეშვეობით ვრცელდებოდა.

არც იმის თქმა შეიძლება დაბეჯითებით, რომ თითქოს ამ პერიოდში (და მით უფრო შემდეგში) ჩვენში მაინცდამაინც მხოლოდ ქრისტიანულ-რელიგიური ცოდნა-განათლება ვრცელდებოდა. ფაქტები გვიდასტურებენ, რომ ამასთან ერთად, იმდროინდელ სწავლა-ცოდნაში საერო განათლების გარკვეული ნაკადი მაინც შედის, რაც VIII საუკუნის დასაწყისისათვის უკვე აშკარად იგრძნობა. ამას თუნდაც ის მიგვანიშნებს, რომ უკვე შემოსულია ხმარებაში ორი სხვადასხვა მნიშვნელობის ტერმინი: „სამოძღვარო“ და „სიბრძნე ამა სოფლისა ფილოსოფოსთა“, რომელთაგან პირველი საეკლესიო-რელიგიურ ცოდნას უნდა გულისხმობდეს, ხოლო მეორე — საეროს. საერო ცოდნა-განათლებაზე უნდა მიუთითებდეს ავრეთვე ცნობილი ტერმინები: „მრავალ ენათა წურთილი“ და „მწიგნობრობაი მრავალთა ენათა“, რომელნიც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ გვხვდება.

ამრიგად, VIII-X საუკუნეებში ცოდნა-განათლების დონე ჩვენში საკმაოდ მაღალ საფეხურზე მდგარა და იგი მარტო რელიგიურ-დოგმატიკური შინაარსისა კი არ ყოფილა, არამედ საერო განათლების მნიშვნელოვან ნაკადსაც შეიცავდა.

ჩვენ მოგვეპოვება საკმაო ისტორიული ცნობები იმის დასამტკიცებლად, რომ ამ პერიოდის საქართველოში სწავლა-განათლებას, რომლის ცენტრები ეკლესია-მონასტრებთან იყო, მაინც შედარებით ფართო და მრავალმხრივი ხასიათი ჰქონდა, განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოში (სამხრეთ ქართლში), რის გამოც ამ კუთხეს „ქართულ სინას“ უწოდებდნენ.

ასეთი სკოლა იყო, მაგალითად, მიქელ პარეხელის მიერ დაარსებული პარეხის სკოლა, რომელშიც როგორც ბასილ ზარზმელის თხზულებიდან ჩანს, საფუძვლიანი სწავლა-განათლება მიუღიათ ისეთ ცნობილ ისტორიულ პირებს, როგორიც იყვნენ: თვით ბასილი, სერაპიონ და იოანე ზარზმელები და სხვ., რომლებიც თურმე კიდეც ამაყობდნენ თავიანთი მასწავლებლით: „მოწაფენი ვართ დიდისა მის და განთქმულისა მიქელ პარეხელისანი“.

ასეთი იყო ოპიზის სახელგანთქმული სკოლაც. ბასილ ზარზმელის ცნობით გიორგი მაწყვერელი „აღიზარდა განთქმულსა მას ოპიზასა“. ოპიზაში იყო არა ნაკლებ სახელგანთქმული, სამხატვრო სკოლაც, სადაც აღიზარდნენ ქართული ხელოვნების სწორუპოვარი ოსტატები — ბექა და ბეშქენ ოპიზრები.

საყოველთაოდ ცნობილი იყო ხანძთის სკოლა, სადაც გრიგოლ ხანძთელი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას და საიდანაც მრავალი გამოჩენილი ადამიანი გამოვიდა, მათ შორის თვით გიორგი მერჩულეც — „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ავტორი.

ანალოგიური საეკლესიო-საგანმანათლებლო ცენტრები იყო ტაოკლარჯეთში, აგრეთვე შატბერდში, იშხანში, ოშკში, წყაროსთავსა, ბანასა და სხვ.

უსათუოდ ფართო განათლების მქონე ადამიანებად ჩანან: იოანე საბანისძე, არსენ საფარელი (კათალიკოსი) და სხვ., რომელთაც სწავლა-განათლება ამ პერიოდში აქვთ მიღებული და თვითონაც ასეთივე ხასიათის ცოდნა-განათლებას ავრცელებენ. ისტორიული ცნობებით, მათი განსწავლულობა მარტო რელიგიური ცოდნით არ ამოიწურება, ისინი ფილოსოფიასაც არიან დაუფლებულნი. განსაკუთრებით არსენ საფარელს საეკლესიო-ქრისტიანულ განათლებასთან ერთად, საკმაო ფილოსოფიური განათლებაც უნდა ჰქონოდა, რომ მის მიერ გადამუშავებულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში ფილოსოფიური მანიპულაციები გაეკეთებინა. „გასაგებია, რომ მას საერთო, ზოგად განათლებასთან ერთად, საეკლესიო-დოგმატიკური განათლებაც ჰქონია და ამდენად თავისი დროისათვის ფრიად მეცნიერი და განსწავლული კაცი ყოფილა“.[1]

ყველაზე უფრო განათლებულ ადამიანად მე-7-10 სს. ქართველ მოღვაწეთა შორის მაინც გრიგოლ ხანძთელი გვევლინება. მას საფუძვლიანი დაწყებითი განათლება აქვს მიღებული ქართლის ერისთავის ნერსეს ოჯახში. შემდეგში ეს ცოდნა-განათლება მას თანდათან შეუვსია თვით საქართველოში და შეიძლება მის გარეთაც. გიორგი მერჩულეს ცნობით, გრიგოლ ხანძთელის „გულისხმიერობაი სწავლისაი განსაკვირვებელი იყო ფრიად, რამეთუ მსწრაფლ ხოლო დაისწავლა დავითი და ხმითა სასწავლელი სწავლაი საეკლესიოი, სამოძღვაროი ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა, და მწიგნობრობაიცა ისწავა მრავალთა ენათაი, და საღმრთონი წიგნნი ზეპირით მოიწუართნა. ხოლო სიბრძნეიცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაი ისწავა კეთილად, და რომელი პოვის სიტყუაი კეთილი, შეიწყნარის, ხოლო ჯერკუალი განაგდის. და განითქუა სისრულეი იგი მისი სახელოვნად ყოველთა შორის“.[2] მაშასადამე, გრიგოლ ხანძთელს საეკლესიო ცოდნაც შეუთვისებია, მრავალი ენაც და ამქვეყნიური სიბრძნე-ფილოსოფიაც და თავისი ცოდნის სისრულით სახელოვანი გამხდარა „ყოველთა შორის“.

---

1 შ. ნუცუბიძე, კრიტიკული ნარკვევები, გვ. 410.
2 გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, 1949, გვ. 14.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ეს ადგილი პროფ. ს. ყაუხჩიშვილს სამართლიანად აფიქრებინებს, რომ იგი ასე ფართო და მრავალმხრივ განათლებას საშუალო სკოლაში ვერ მიიღებდა და, მაშასადამე, სადღაც უმაღლეს სკოლაში უსწავლიაო. მით უმეტეს იგი საბერძნეთში, კონსტანტინეპოლში არის ნამყოფიო.

თვით გრიგოლ ხანძთელი თავისი მოღვაწეობის დროს დიდად აფასებდა ფართო ცოდნა-განათლებას და თავგამოდებით ზრუნავდა მისი გავრცელებისათვის, როგორც მოძღვარ-მასწავლებელი. იგი არა მარტო ორგანიზატორი იყო სწავლა-განათლების საქმისა, არამედ მისი უშუალო ხელმძღვანელიცა და მონაწილეც.

სხვა საბუთებიც შეიძლებოდა მოგვეტანა ადრეფეოდალურ საქართველოში ცოდნა-განათლების გავრცელებისა და მისი საერთო დონის გასათვალისწინებლად, მაგრამ, ვფიქრობთ, თქმულიც საკმარისი უნდა იყოს ამ დარგში არსებული კულტურულ-ისტორიული ვითარების გასათვალისწინებლად.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ახალგაზრდობის სწავლა-განათლება ამ პერიოდის საქართველოში, რომელიც ძირითადად ტაო-კლარჯეთის რელიგიურ ცენტრებსა და სკოლებში მიმდინარეობდა, და პედაგოგიკური აზროვნება არსებითად რელიგიურ-დოგმატიკური არტახებით იყო შემოზღუდულ-შებოჭილი და, ამდენად, აშკარა რელიგიურ-სქოლასტიკურ ხასიათს ატარებდა, ამავე დროს, იგი ხელს უწყობდა მშობლიური ენისა და მწერლობის შესწავლა-გავრცელებას, უცხოური ენების (განსაკუთრებით ბერძნული ენის) დაუფლებას, რაც ქართულ აზროვნებას ანტიკურობას უკავშირებდა, და საკმაო ფილოსოფიურ-ლიტერატურული განათლების მიღებასაც, რითაც თავისი დადებითი წვლილი შეჰქონდა ქართული კულტურის საერთო განვითარებაში.

ამდენად, სავსებით სამართლიანია აკად. კ. კეკელიძის დებულება ტაო-კლარჯეთის სამონასტრო-კულტურული ცენტრების მნიშვნელობის შესახებ ქართული მწერლობის ისტორიაში და დაახლოებით იგივე როლი უნდა მივაკუთვნოთ ამ ცენტრებს საქართველოში სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების განვითარებაშიც. ტაო-კლარჯეთში „დუღდა ლიტერატურული შემოქმედება... უდიდესი ნაწილი იმ საგანძურისა, რაც ჩვენ მოგვეპოვება მეცხრე-მეათე საუკუნიდან, შექმნილია ამ მონასტრებში. აქ ჩამოყალიბდა ტაო-კლარჯეთის საგანგებო სალიტერატურო სკოლა, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული, რომელმაც შეიმუშავა თავისი საკუთარი გრამატიკა, ენა, ხელი და მიმართულება. ქართველთა შემოქმედებითი ენერგია იმდენად გაიზარდა ამ მონასტრებში, რომ ტაო-კლარჯეთის საზღვრებში ის ვეღარ დაეტია, ამიტომ მან გადალახა ეს საზღვრები, გამოვიდა თავის კალაპოტიდან და ფართო ნაკადით გადავიდა მცირე აზიის სხვადასხვა პუნქტში და მერე ათონის ნახევარკუნძულზე, სადაც მან შექმნა ჩვენი მწერლობის ახალი ცენტრი ი ვ ე რ ი ი ს მ ო ნ ა ს ტ რ ი ს სახით. ათონის სამონასტრო და სალიტერატურო წრე თავდაპირველად წარმოადგენდა ვეებერთელა ტაო-კლარჯეთის საეკლესიო ხის ერთ შტოს. ივერიის მონასტერი პირველ ხანებში იკვებებოდა ტაო-კლარჯეთიდან მომდინარე ტრადიციებით“.[1]

ასე იყო ეს სწავლა-განათლების დარგშიც.

[1] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. ქართული ლიტერატურის ისტორია, 1960, გვ. 97.

თავი მესამე

ალზრდა-განათლება და პედაგოგიკური აზროვნება განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში (XI-XII სს.)

მე-10 საუკუნიდან საქართველოში დაიწყო ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა. ამ ისტორიულმა პროცესმა არსებითი ცვლილებები გამოიწვია ქართველი ხალხის სოციალურ და ეკონომიურ ცხოვრებაში. გაძლიერდა აზნაურთა უფლებები. ყმებმა თანდათან დაკარგეს თავისუფლების ყოველგვარი ნიშანი. გამწვავდა კლასობრივი წინააღმდეგობანი. განვითარდა ქვეყნის საწარმოო ძალები, ხელოსნობა. უფრო ინტენსიური გახდა სოფლის მეურნეობა, გაფართოვდა ვაჭრობა და აღებ-მიცემობა, დაიწყო ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რამაც აღაშფოთა დიდგვაროვანი აზნაურები. ბრძოლა ქვეყნის გაერთიანება-განმტკიცებისათვის მთელი მე-11 საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა.

დაჩუცმაცებული ფეოდალური საქართველოს გაერთიანების ისტორიული მისია ჩინებულად შეასრულა დიდმა ქართველმა მოაზროვნემ და მეფემ დავით აღმაშენებელმა (1089-1125 წ.წ.), რომლის გონივრული მოქმედებისა და პოლიტიკის წყალობით შეიქმნა საქართველოს მრავალეროვანი, ერთიანი და ძლიერი ფეოდალური სახელმწიფო და ძალზე გაფართოვდა მისი ტერიტორიის ფარგლები. დავით აღმაშენებელმა განახორციელა მთელი რიგი საშინაო პოლიტიკური, ეკონომიური, სამხედრო, საეკლესიო და კულტურულ-საგანმანათლებლო რეფორმები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს და განამტკიცეს აღმოსავლეთში ერთ-ერთი უძლიერესი ფეოდალურ-მონარქიული სახელმწიფოს — საქართველოს საშინაო ძლიერება და დიდად აამაღლეს მისი საერთაშორისო ავტორიტეტი.

დავით აღმაშენებლის დიდი ისტორიული საქმე ბოლომდე მიიყვანა ნიჭიერმა სახელმწიფო მოღვაწემ თამარ მეფემ (1184-1213 წ წ.). მან საქართველო გადააქცია იმ დროისათვის უდიდეს და უძლიერეს ფეოდალურ მონარქიად ახლო აღმოსავლეთში, რომლის საზღვრები შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, ჩრდილო კავკასიიდან ტრაპიზონამდე გადაიჭიმა.

საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიურმა და სახელმწიფოებრივმა ვითარებამ განაპირობა და მეტად ნოყიერი ნიადაგი შექმნა ამ პერიოდში ქართული კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების და სწავ-

ლა-განათლების დიდი აღმავლობისათვის, რომელიც ჯერ კიდევ XI საუკუნიდან დაიწყო.

ცნობილია, რომ XI საუკუნეში აღორძინდა ქართული ფილოსოფია, ფილოლოგია, ისტორიოგრაფია, მწერლობა, მხატვრობა, ხუროთმოძღვრება და ხელოვნების სხვა დარგები.

პირველ რიგში ეს გამოიხატა ქრისტიანული ლიტერატურის ბერძნულიდან ქართულ ენაზე თარგმნის გაცხოველებაში, რომლის ტრადიციები საქართველოში და მის გარეთ (საბერძნეთში, სირიაში, პალესტინაში) უკვე არსებობდა. ამ დარგში მეტად ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა ათონის ქართველთა მონასტერმა (ბალყანეთის ნახევარკუნძულზე), რომელიც ჯერ კიდევ X საუკუნის დამლევს იქნა დაარსებული ტაო-კლარჯეთიდან წამოსული იოანე მონაზონის მიერ. აქ მეტად ნაყოფიერი მთარგმნელობითი მუშაობა ჩაატარეს XI საუკუნეში ექვთიმე და გიორგი ათონელებმა (მთაწმიდელებმა).

ფასდაუდებელია ეფრემ მცირის (შავი მთის ქართველთა მონასტერი სირიაში) და იოანე პეტრიწონის (პეტრიწონის ქართველთა მონასტერი ბულგარეთში) მოღვაწეობა ფილოსოფიის, ფილოლოგიისა და ისტორიის დარგებში.

გაძლიერდა მუშაობა საქართველოს ისტორიის საკითხებზე (გიორგი ათონელი, ლეონტი მროველი და სხვ.).

საყოველთაო განცვიფრებას იწვევს და მოწონებას იმსახურებს XI საუკუნის ხუროთმოძღვრებისა და ფერწერის უნიკალური ძეგლები (ბედია — აფხაზეთში, ბაგრატის ტაძარი — ქუთაისში, სვეტიცხოველი და სამთავრო — მცხეთაში, ნიკორწმინდა, — რაჭაში, სამთავისი — ქართლში და სხვ.).

თამარ მეფის დროს უმაღლეს საფეხურზე ავიდა მეცნიერულ-ფილოსოფიური მუშაობა საქართველოში, რომელიც ძირითადად გელათისა და იყალთოს აკადემიებში მიმდინარეობდა. მეცნიერებასა და ხელოვნებაში ორგანიზებულად შეერთდა დასავლური და აღმოსავლური აზროვნებისა და შემოქმედების ნაკადები, რომელთა ნიადაგზე შეიქმნა მეცნიერებისა და ხელოვნების მეტად მონუმენტური ძეგლები. განვითარდა მუსიკა და პოეზია. დაიწერა იოანე შავთელის „აბდულ მესია“, ჩახრუხაძის ხოტბანი და ბოლოს შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“.

ბევრი პირველხარისხოვანი ხელოვნების ნიმუში დაგვიტოვა XI-XII საუკუნეების ხუროთმოძღვრებამ, კედლისა და ხელნაწერების მხატვრობამ, ჭედურმა ხელოვნებამ და მინანქარმა. ცნობილია ურბნისის, ყინწვისის, გელათის, ბეთანიისა და ბერთუბნის კედლის მხატ-

ვრობა და მოზაიკა; ჯრუჭის ოთხთავი, ტბეთის სახარება, ხახულისა და ანჩის ხატების მოქედილობა, რომელიც ცნობილ ოქრომჭედლებს — ბექა და ბეშქენ ოპიზარებს ეკუთვნით. აღსანიშნავია იკორთის, ბერთუბნის, ბეთანიის და სხვ. ტაძრების დიდებული ხუროთმოძღვრება.

XI-XII საუკუნეების ქართულ ფილოსოფიას, მეცნიერების და ხელოვნების დარგებს აშკარად ემჩნევა ის ძირითადი ნიშან-თვისებები, რომლებიც რამდენიმე საუკუნის შემდეგ დასავლეთ ევროპის რენესანსს (აღორძინებას) დაედო საფუძვლად. ამიტომ სრულიად არ არის მოკლებული სათანადო მეცნიერულ საფუძველს და ყოველ პროგრესულად მოაზროვნე ადამიანს საკმაოდ დამაჯერებლადაც უნდა მიაჩნდეს ქართველოლოგიაში ამ უკანასკნელ ხანებში გავრცელებული მსჯელობა „აღმოსავლური რენესანსის", „ქართული რენესანსის" და „ქართული ჰუმანიზმის" შესახებ[1].

სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიური ცხოვრებისა და მეცნიერულ-კულტურული განვითარების ასეთი მაღალი დონე ბუნებრივად მოითხოვდა და განაპირობებდა ცოდნა-განათლების ფართოდ გავრცელებას მე-11-12 საუკუნეების საქართველოში. თანდათან მრავლდებოდა სკოლებისა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებათა რიცხვი, პირველ რიგში ჩვენი ქვეყნის — საქართველოს ტერიტორიაზე, მაღლდებოდა მათში ახალგაზრდობის სწავლა-განათლების ხარისხი. მაგრამ, როგორც ჩანს, მე-11 საუკუნის დიდგვაროვანი ქართველები მარტო სამშობლოში მიღებული ცოდნით არ კმაყოფილდებოდნენ და უცხოეთში, კერძოდ, ბიზანტიაში მიემგზავრებოდნენ საფუძვლიანი განათლების დასაუფლებლად. ცნობილია, რომ მე-11 საუკუნის დამდეგს ბიზანტიაში გადასახლდა ვაჩე კარიჭისძე, რომლის ოჯახიდან გამოვიდა შესანიშნავი ქართველი მოღვაწე ეფრემ მცირე, რომელმაც აღზრდა-განათლება საბერძნეთში მიიღო.

ქართველები თვითონაც ქმნიდნენ საზღვარგარეთ ქრისტიანული რელიგიისა და ქართული კულტურის დამოუკიდებელ კერებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართული კულტურის განვითარებაში. ასეთი ქართული სამონასტრო ცენტრები იყო: შავი მთისა (სირიაში), სინას მთისა, იერუსალიმისა და ჯვრისა (პალესტინაში), ულუმბოსი და სხვა.

მაგრამ საზღვარგარეთის ქართული საგანმანათლებლო ცენტრებიდან ყველაზე დიდი სამსახური ქართულ ლიტერატურას, მწერლობას, მეცნიერებას და სწავლა-განათლებას ათონის (საბერძნეთის) ივერთა მონასტრის აკადემიამ და პეტრიწონის (ბულგარეთი) ქართულ მონასტერთან არსებულმა სემინარიამ (აკადემიამ) გაუწია, რომლებშიც ჩატარებულ სამეცნიერო-სალიტერატურო მუშაობას მსოფლიო მნიშვნელობაც აქვს.

[1] Ш. Нýцубидзе, Руставели и Восточный ренесанс, 1947., მისივე ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. II, 1958.

1. უმაღლესი განათლების ქართული კერები

ა. ათონის ივერთა მონასტრის აკადემია

ათონის ივერთა მონასტერი დაარსებულია ცნობილი სამცხელი სასულიერო მოღვაწის იოანე ხურსიძის (მთაწმიდელის) მიერ მეათე საუკუნის დასასრულს (982-985 წწ.). იოანე ხურსიძე, ექვთიმე მთაწმიდელია (ათონელის) მამა, ტაო-კლარჯეთის ქართული სალიტერატურო სკოლიდან არის გამოსული და მისი ტრადიციების განმგრძობია. გიორგი ათონელი (მთაწმიდელი) ცნობილ ბიოგრაფიულ ნაშრომში „ცხოვრებაი ნეტარისა მამისა ჩუენის იოვანესი და ეფთვიმესი" წერს: „ესე ნეტარი მამაი ჩუენი იოვანე იყო ნათესავით ქართველი, მშობელთა და პაპაითგან დიდებული და წარჩინებული და საჩინოი მთავართა შორის დავით კუროპალატისთა, მხნე და ახოვანი და განთქმული წყობათაშინა, მაღალი და შუენიერი ჰასაკითა და აგებულებითა გუამისაითა და ბრძენი და გონიერი გონებითა და გულისხმის-ყოფითა და სავსე შიშითა ღვთისაითა და ყოველთავე კეთილისა საქმითა".[1]

იოანე მთაწმიდელს, ბერად აღკვეცის შემდეგ, თავისი მცირეწლოვანი შვილები, მათ შორის ექვთიმე, მიუტოვებია და ოლიმპოს მთაზე დაბკვიდრებულა „დიდებულსა ლავრასა ოთხთა ეკლესიისთანა შინა", მაგრამ როცა შეუტყვია, რომ მისი შვილები, მათ შორის ექვთიმეც, იმპერატორთან მძევლად მოხვედრილან და იოანეს სიმამრს და ცოლის ძმებს კონსტანტინეპოლში წაუყვანიათ, იოანე იქ ჩასულა და იმპერატორის ნებართვით ექვთიმე უკან დაუბრუნებია და ოლიმპოს მთაზე აუყვანია. ბიოგრაფის ცნობით: „წარიყვანა სამეუფოით შვილი თვისი ეფთვიმე მამამან იოანე და პირველად ქართული სწავლაი ასწავა და მერმე ბერძნულად გაასწავლა ყოველითავე სწავლულებითა სრულებით"[2]. აქ ბავშვობაში ექვთიმე, როგორც ჩანს, ქართულად ხეირიანად ვერც კი ლაპარაკობდა. „ძნიად უბნობენ ქართულად და ფრი-

[1] ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, ილიას აბულაძის რედაქციით, 1967, გვ. 42.

[2] იქვე, გვ. 60

ად მწუხარე ვიყავ ამის პირისათვის“ — ამბობს იოანე[1], მაგრამ შემდეგში, იოანეს ენერგიული მზრუნველობის შედეგად, ექვთიმეს არა მარტო ბერძნული ენა, არამედ ქართულიც იმდენად საფუძვლიანად შეუსწავლია, რომ სრულიად თავისუფლად შეეძლო ბერძნულიდან ქართულ ენაზე და პირუკუც (მაგალითად, „სიბრძნე ბალავარისა“) ეთარგმნა სხვადასხვა დარგის საეკლესიო-თეოლოგიური თხზულებანი. გიორგი ათონელის (მთაწმიდელის) ცნობით, იოანეს თითქოს კიდეც უთქვამს შვილისათვის: „შვილო ჩემო, ქართლისა ქვეყანაი დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლან, და ვხედავ, რომელ ღმერთსა მოუმადლებია შენდა. აწ ილუაწე, რაითა განამრავლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან“. და იგი, ვითარცა იყო ყოველსავე ზედა მორჩილი, მოსწრაფედ შეუდგა ბრძანებასა მისსა და იწყო თარგმნად“, და, როგორც ბიოგრაფი განაგრძობს: „ყოველნივე განაკვირვნა, რამეთუ ეგევითარი თარგმანი, გარეშე მათ პირველთასა, არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩუენსა და ვჰგონებ, თუ არცა-ღა გამოჩინებად არს“ [2] და მართლაც, ექვთიმე ათონელი „შეუსვენებლად თარგმნინ და რაითურთით არა სცემდა განუსვენებასა თავსა თვისსა, არამედ დღე და ღამე ტკბილსა მას თაფლსა წიგნთა საღმრთოთასა შეურებოდა, რომლისა მიერ დაატკბო ენაი ჩუენი და ეკლესიაი. რამეთუ თარგმნა წიგნნი საღმრთონი, რომელთა აღრიცხუეაი კნინ-ღა და შეუძლებელ არს“[3].

ასე ფრიად მაღალ და სრულიან შეფასებას აძლევდა თავისი დროის დიდი ქართველი მოღვაწე გიორგი ათონელი მისი მასწავლებლის ექვთიმე ათონელის მრავალნაყოფიერ მთარგმნელობით-ლიტერატურულ მოღვაწეობას ათონის ივერთა მონასტერში. და მართლაც, ექვთიმე ათონელის კალამს ეკუთვნის ურიცხვი რელიგიურ-ქრისტიანული წიგნების ნიჭიერი თარგმანი ბერძნულიდან ქართულ ენაზე ბიბლიოლოგიის, აპოკრიფების, ეგზეგეტიკის, დოგმატიკის, პოლემიკის, ასკეტიკის, მისტიკის, ჰომილეტიკის, ჰაგიოგრაფიის, ლიტურგიკის და საეკლესიო სამართლის დარგებში. ექვთიმე ათონელი, ამავე დროს, მეტად თავისებური მთარგმნელია. მას სათარგმნი მასალის შერჩევასა და თვით თარგმნის პროცესში მხედველობაში აქვს ქართველთა ინტელექტუალური მოთხოვნილებანი და განვითარების დონე. როგორც აკად. კეკელიძე წერს: „თითქმის არც ერთ მის მიერ ნათარგმნ თხზულებაში დედანი უცვლელად მოცემული არაა ...ის იძ-

[1] ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, გვ. 61-62.
[2] იქვე, გვ. 61.
[3] იქვე, გვ. 61.

ლეოდა ახალ რედაქციას ამა თუ იმ თხზულებისას ...უცხო ძეგლები მის მიერ ...გაქართულებულია. როგორც ბიზანტიელთა შორის კარგად ცნობილმა და დიდად პოპულარულმა მოღვაწემ, ცხადად დაანახა ბერძნებს შემოქმედებითი უნარი ქართველებისა, დონე და დიაპაზონი ქართული კულტურისა და ის საპატიო ადგილი, რომელიც მის სამშობლოს მოპოვებული ჰქონდა მოწინავე ქრისტიან ერთა შორის“[1].

საყურადღებოა ისიც, რომ ექვთიმე ათონელი, როგორც ირკვევა, თავისი წინაპრების (პეტრე იბერი) მსგავსად, ორიგინალურ თხზულებებსაც წერდა ბერძნულ ენაზე. ასე, მაგალითად, თავისი მოწაფეებისათვის მას ბერძნულ ენაზე დაუწერია სამონაზვნო ცხოვრების წესი[2].

ასე ნაყოფიერი იყო იოანესი და, განსაკუთრებით, ექვთიმე ათონელის (955-1028 წწ.) საეკლესიო-სალიტერატურო მოღვაწეობა ათონის ივერთა მონასტერში, რამაც მყარი საფუძველი ჩაუყარა და სახელი გაუთქვა საქვეყნოდ ამ მონასტერთან არსებულ ათონის ივერთა (ქართველთა) აკადემიას, რომელიც უდიდეს სწავლო-პედაგოგიურ და სალიტერატურო-სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა მთელი XI-XII საუკუნეების განმავლობაში. სავსებით სამართლიანად ასკვნიდა დიდი ქართველი მეცნიერი — აკად. ი. ჯავახიშვილი: „ათონის მონასტრის დაარსებას ქართული კულტურის ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ საზღვარგარეთ მყოფ ქართველთა სავანეების კულტურული მნიშვნელობა ფრიად დიდი იყო, იმიტომ რომ სწავლა-განათლების კერა საშუალო საუკუნეებში ყველგან სამონასტრო დაწესებულებებში იყო მოთავსებული. იმ დიდი კულტურული მემკვიდრეობის გარდა, რომელიც საქართველოს წარსული საუკუნეების განმავლობაში დაუნჯებული ჰქონდა, უცხოეთში მყოფი მონასტრების წყალობით საქართველოს შეეძლო მაშინდელი განათლებული ქვეყნების კულტურული განვითარების ყოველი წარმატებისათვისაც თვალყური ედევნებინა. ყველაფერი, რაც-კი იქ ახალი და მნიშვნელოვანი იწერებოდა, ანდა კეთდებოდა, უცხოეთში დაარსებულს ქართველთა სავანეებში მომუშავე ქართველი მოღვაწეების, მწერლების, მეცნიერებისა და ხელოვანთა წყალობით საქართველოსაც საშუალება ჰქონდა სცოდნოდა. საუკეთესო თხზულებანი ან ითარგმნებოდა, ანდა გადმოქართულებული იყო ხოლმე.

უცხოეთის ქართულ სავანეებს შორის ყველაზე დიდი ღვაწლი ამ ხანაში ათონის მონასტერს მიუძღვის. იოანე და ეფთვიმე

[1] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 212-213.
[2] კ. კეკელიძე, ზოგიერთი საკითხი ექვთიმე ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ეტიუდები, ტ. I, გვ. 158-163.

მთაწმინდელების მიერ დაარსებულ ამ სავანეში, რომელშიც 300 ქართველი ბერი იყო თავმოყრილი, X საუკუნის დამლევითგან მოყოლებული ორ მთავარ ამოცანას ჰქონდა ყურადღება მიქცეული. იოანე მთაწმინდელისაგან დასახული მიზნის თანახმად ეს სავანე ქართული კულტურის ცენტრად უნდა ქცეულიყო: ყველაფერი, რაც ქართულ მწერლობას, მსოფლიო ლიტერატურასთან შედარებით აკლდა, აქ უნდა ყოფილიყო შევსებული".[1]

ექვთიმე ათონელის სალიტერატურო-მთარგმნელობითი და სასწავლო-მეცნიერული ტრადიციები განაგრძო, გააფართოვა და გაცილებით უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა XI საუკუნის მეორე ნახევრის ჩინებულმა ქართველმა მოღვაწემ გიორგი ათონელმა (მთაწმიდელმა).

თვალსაჩინო სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწე, მთარგმნელ-ლიტერატორი, ისტორიკოსი, ქართული კულტურის დიდი მოამაგე — გ ი ო რ გ ი ა თ ო ნ ე ლ ი (1009-1065 წწ.), რომელსაც საფუძვლიანი სწავლა-განათლება ჰქონდა მიღებული ჯერ საქართველოში — ხახულის მონასტერში (1019-1022 წწ.), ხოლო შემდეგ ბიზანტიაში — კონსტანტინეპოლში (1022-1034 წწ.). საქართველოში, შავმთასა და იერუსალიმში მცირე ხნით ცხოვრება-მოღვაწეობის შემდეგ იგი ათონის ივერთა მონასტერში დამკვიდრდა (1040 წ.), სადაც მონასტრის წინამძღვრისა და, ცხადია, ათონის ქართული აკადემიის ხელმძღვანელის თანამდებობას ენერგიულად ასრულებდა სრული 12 წლის განმავლობაში (1044-1056 წწ.).

ძველი ქართული კულტურისა და ლიტერატურის ისტორიის უბადლო მკვლევარის — აკად. ქ. კეკელიძის ობიექტური დახასიათებით, „გიორგი შესანიშნავი მოღვაწეა ჩვენს ისტორიაში, მან თავისი კვალი აღბეჭდა ცხოვრების ყოველ დარგში; ის იყო უდიდესი პატრიოტი, რომელსაც არ ავიწყდებოდა სამშობლოს ინტერესები არც სამშობლოში, არც უცხოეთში, საქართველოს სახელი, დიდება მან გაიტანა შორს დასავლეთში. საყურადღებოა მისი პრაქტიკული საქმიანობაც. მას დიდი დამსახურება მიუძღვის ჩვენი იმდროინდელი საეკლესიო და საერო ცხოვრების ანომალიების გამოსწორება-აღმოფხვრაში. ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია მისი ლიტერატურული მოღვაწეობა, რომლისთვისაც დაბადებული იყო იგი. როგორც ექვთიმეს, მას „უფროსნი წიგნნი ღამით უთარგმნიან"... თარგმნიდა ის ყველგან, სადაც კი უხდებოდა ყოფნა: „რამეთუ არა თუ მთაწმიდასა და შავსა მთასა ოდენ თარგმნა", შენიშნავს მისი ბიოგრაფი, „არამედ სამეუფოსა გზასა, სულუმბრას, ანტიოქიას, სვიმონწმიდას და კალიპოსს". ამიტომ თავისი დაუღალავი შრომით მან „ყოველნი განაკვირნა, არა ხოლო თუ ქართველნი, არამედ ბერძენნიცა და ასურნი". თარგმნიდა თუ არა გიორგი რომელიმე წიგნს, იმწამსვე შეუდგებოდნენ მის გადაწერას საქართველოს ყველა კუთხეში და საზღვარგარეთულ ქართულ სამონასტრო-საეკლესიო ცენტრებში".[1]

გიორგი ათონელის ლიტერატურულ-მთარგმნელობითი და მეცნიერული დამსახურების შესახებ მისი ბიოგრაფი გიორგი მცირე (ხუცესმონაზონი) შემდეგ ცნობებს იძლევა: გიორგიმ „რომელნიმე წიგნნი, სრულიად არა ყოფილნი და ენისაგან ჩუენისა უცხონი, სიღრმეთაგან უმეცრებისათა ნათლად გამოაბრწყინვა"; „ხოლო სხუანი, ოდესმე თარგმნილნი და წუთ ვერ კეთილად გადმოღებულნი, გინა თუ ჟამთა სიგრძითა უცებთა და უგუნურთა მხმარებელთაგან დაგესლებულნი, ბრძოლასა მას შინა წმიდისა გონებისა თვისისა გამოადგნა და გამოახურვნა"; „ხოლო კუალად სხუანი წიგნნი წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთვიმეს მიერ თარგმნილნი და უცალობათა წუთ ვერ სრულქმნილნი, არამედ სულ მცირედ აღწერილნი, განასრულნა და განავრცვნა"; „და კუალად სხუანი რომელნიმე ბერძნულსა შეაწამნა და ყოვლისა ნაკლულევანებისაგან განასრულნა და სიტყვადუხჭირობისა და ვერაგობისაგან განაშუენა და განაბრწყინვა".[2]

ბიოგრაფი განცვიფრებულია გიორგი ათონელის მრავალნაყოფიერი და მეტად შრომატევადი მუშაობით და წერს: „მოსაგონებლადცა დიდ არს, ვითარმცა ესეოდენნი წიგნნი ერთმან კაცმან მზანი თარგმნილნი ცხორებასა შინა თვისსა აღწერნა, არა რათამცა ბერძულისაგან სრულიად თარგმნნა".[3]

გიორგი ათონელი სასულიერო მწერლობის ყველა იმ დარგში ეწეოდა შეუდარებელ მთარგმნელობით მუშაობას, რომელშიც ექვთიმე ათონელმა ესოდენ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას იგი მაინც ლიტერატურულ თხზულებებს აქცევდა და ყველაზე მეტი სწორედ ამ მხრივ გააკეთა.

გიორგი ათონელი დიდად ეკომაგებოდა ქართველი საზოგადოების ყველა ფენის, სასულიეროსა და საეროს წარმომადგენლებს, განსაკუთრებით კი ღარიბებსა და გაჭირვებულთ, და ცდილობდა ისინი კეთილ გზაზე დაეყენებინა. მისი ბიოგრაფის ცნობით, იმ დროს, როდესაც საქართველოში ისეთი საშინელი შიმშილობა მძვინვარებდა, რომ მშობლებიც კი თავიანთ შვილებს უპატრონოდ სტოვებდნენ და მათი

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, 1965, გვ. 339-340.

[1] ქ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 220.
[2] იქვე, გვ. 220.
[3] იქვე, გვ. 221.

დამხმარე არავინ ჩანდა, გიორგი ათონელმა შეკრიბა 80-მდე მცირეწლოვანი, შიმშილისაგან განსაცდელში ჩავარდნილი ბავშვი, მათს მოვლა-პატრონობას შეუდგა, მოამზადა ისინი ათონში წასაყვანად და წაიყვანა კიდეც. მისი ბიოგრაფი აღნიშნავს: „და ეხრეთ აღზარდნა ყოველნივე და ღვთივ სულიერითა სწავლითა სრულ ჰყვნა“. მეორე ადგილას იგი წერს, რომ გიორგი ათონელი „თვით ასწავებნ და მოძღურინ მწყობრთა და მწყობრთა ასეულთა“,[1] ე. ი. ასწავლიდა არა ცალკეულ, არამედ ასეულობით ახალგაზრდას.

ათონის ივერთა აკადემიაში სწავლა-განათლებამიღებული ახალგაზრდობის ნაწილი იქვე რჩებოდა, უმრავლესობა კი სამოღვაწეოდ სამშობლოში მოემგზავრებოდა.

ამრიგად, როგორც ირკვევა, ათონის ქართულ აკადემიაში არა მარტო ბიზანტიაში მყოფი ქართველები სწავლობდნენ, არამედ საქართველოდანაც მიემგზავრებოდნენ საფუძვლიანი უმაღლესი განათლების მისაღებად ახალგაზრდები, რომლებიც შემდეგში დედა-სამშობლოში მოღვაწეობდნენ და აქაურ ეკლესია-ტაძრებსა თუ სკოლებში ავრცელებდნენ ათონში მიღებულ ცოდნა-განათლებას.

ათონის ქართულმა აკადემიამ უდიდესი როლი შეასრულა ქართული კულტურის, მეცნიერებისა და მწერლობის განვითარებაში. იქ მეტად ნაყოფიერი მუშაობა ტარდებოდა არა მარტო თეოლოგიაში, არამედ ფილოსოფიაში, ენების, ლიტერატურის, მედიცინის, ისტორიის, პოლემისტიკის, კალიგრაფიისა და სხვა დარგებში.

ასეთი იყო ის დიდი მნიშვნელობის სალიტერატურო, პედაგოგიური და მეცნიერული მუშაობა, რომელსაც ათონის ქართული აკადემია ეწეოდა მთელი XI-XII საუკუნეების მანძილზე და შეიძლება შემდეგაც.

მაგრამ ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში ქართველი ახალგაზრდები არა მარტო ათონის ქართულ აკადემიაში იღებდნენ სწავლა-განათლებას, რომელიც ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, არამედ ბიზანტიის სხვა ცენტრებსა და სკოლებშიც ეუფლებოდნენ მეცნიერებას, რასაკვირველია, ბერძნულ ენაზე. როგორც აკად. კ. კეკელიძე გადმოგვცემს: „დავით აღმაშენებელმა საბერძნეთში გაგზავნა 40 ახალგაზრდა იქაურ სკოლებში სწავლების მისაღებად. დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონსტანტინე მონომახის მიერ 1044-1047 წლებში დაარსებული აკადემია, რომელიც ბერძენთა რენესანსის კერად გადაიქცა, არა ერთ და ორ ქართველს იწყნარებდა თავის კედლებში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის პირნი, რომელთაც მეთერთმეტე

[1] ვ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 471.

საუკუნეში სისტემატური სასკოლო განათლება მიუღიათ ბიზანტიაში, სწორედ ამ აკადემიაში გაიწვრთნენ; სხვათა შორის, აქ მიიღეს განათლება არსენ იყალთოელმა და იოანე პეტრიწმა[1].

ბ) პეტრიწონის აკადემია

სწორედ იოანე პეტრიწონელი იყო ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი უმაღლესი განათლების მეოთხე (საზღვარგარეთ მესამე) დიდი კერისა, რომელიც ქართველებმა XI საუკუნის ბოლოს დააარსეს აღმოსავლეთ ბიზანტიაში, სოფელ პეტრიწონში (ამჟამად ბულგარეთში, სოფ. ბაჩკოვო), რისთვისაც მას პეტრიწონის სემინარია (აკადემია) ეწოდა. იგი პეტრიწონის მონასტერთან ერთად დაუარსებია 1083 წელს ცნობილ ქართველ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს გრიგოლ ბაკურიანის ძეს, რომელსაც 1084 წელს ამ დიდი ქართული სავანის ვრცელი წესდებაც (ტიპიკონი) შეუდგენია ქართულ და ბერძნულ ენებზე[2].

ამ ისტორიულ დოკუმენტში გრიგოლ ბაკურიანისძე თავის ვინაობაზე გვაწვდის ცნობებს. ირკვევა, რომ იგი ქართველთა ბრწყინვალე ერისთავთერისთავის ბაკურის შვილი ყოფილა, დაჯილდოებული „სევასტოსის“ პატივით, ბიზანტიაში დაკავებული ჰქონია დასავლეთის დომესტიკოსის თანამდებობა და უმაღლეს მთავრობასთან დაახლოებული ყოფილა.

როგორც საისტორიო წყაროებიდან ჩანს, ბიზანტიაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო (ქართველების დევნა), გრიგოლ ბაკურიანისძე იძულებული გამხდარა დაეტოვებინა თანამდებობა, ცენტრიდან აღმოსავლეთ ბიზანტიაში გადმოხვეწილიყო და საზოგადოებრივი მუშაობა გაეშალა სოფელ პეტრიწონში, რომელიც მას ბიზანტიის იმპერატორმა უბოძა და სადაც გრ. ბაკურიანის ძემ თავი მოუყარა და შემოიკრიბა ბიზანტიაში მცხოვრები, შევიწროებული ქართველები.

გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ შედგენილი პეტრიწონის ტიპიკონი, რომელიც 33 ძირითადი (დასათაურებული) და 3 დამატებითი (დაუსათაურებელი) თავისაგან შედგება, ზუსტად განსაზღვრავდა ამ ქართული სავანის მთელს ცხოვრებას და მისი მოღვაწეობის მტკიცე რეგლამენტაციას წარმოადგენდა.

ტიპიკონის (წესდების) ოცდაშეთორმეტე თავი „შესახებ ნორჩი ჰა-

[1] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 82.

[2] პეტრიწონის ტიპიკონის ბერძნული და ქართული ტექსტი სათანადო კომენტარებით მთლიანად გამოსცა პროფ. სიმ. ყაუხჩიშვილმა, „გეორგიკის“ მეხუთე ტომი, 1963, გვ. 83-302.

ბუკებისა, რა წრეში უნდა ტრიალებდნენ და იზრდებოდნენ და როგორ უნდა სწავლობდნენ საღმრთო წიგნს", რომელიც ექვსი მუხლისაგან შედგება, ზუსტად განსაზღვრავს პეტრიწონის მონასტერთან არსებული სემინარიის (აკადემიის) მთელ მოღვაწეობას: თუ ვინ უნდა სწავლობდეს იქ და რა მიზნით, ვინ უნდა იყოს მათი ხელმძღვანელ-მასწავლებელი, რამდენი მოსწავლე უნდა ჰყავდეს მას, რა უფლებით უნდა სარგებლობდნენ ისინი, ვინ უნდა გაიღოს მოსწავლეთა შენახვის ხარჯები და აღმზრდელ-მასწავლებელთა გასამრჯელო, სად და როგორ უნდა მოეწყონ სამოღვაწეოდ სემინარიის კურსდამთავრებულნი და სად უნდა წავიდნენ ისინი, რომელთაც სემინარიის სწავლა-აღზრდის კურსი ვერ შეითვისეს.

წესდების ამ თავში წერია: „ასეთი მოყმენი განწესებულნი არიან წმინდა ნიკოლოზის მონასტერში, ციხის მახლობლად რომ არის. იქ უნდა იყვნენ, იქ იზრდებოდნენ და სწავლობდნენ. ხუცესთაგან ერთი მოხუცებული, სიკეთითა და ცოდნით აღსავსე, მათ ზედამდგომლად იყოს, ასწავლიდეს მათ საღმრთო წიგნს, აგრეთვე მღვდელმსახურებას წმინდა ნიკოლოზის ყოვლად პატიოსან ტაძარში. ასეთი ხუცესი უნდა ღებულობდეს როქსა და მთელ თავის სახმარს უკლებლივ მსგავსად დიდი მონასტრის იმ ძმებისა, რომლებიც მისი დასისანი არიან... ხსენებულ ყრმათაგან უნდა ისწავლოს იმ მოხუცებულ მღვდელთან ექვსმა ბავშვმა, და ისინი უნდა იღებდნენ დიდი მონასტრიდან თავიანთ საზრდოს და ყოველგვარ სამოსელს, როგორც შეეფერება, და იყვნენ იქ, ვიდრე საბოლოოდ არ განისწავლებიან და არ მიაღწევენ მღვდლობის ასაკს. ხოლო მაშინ, როდესაც მათ წერი წამოეზრდებათ, ვინც ღირსია მღვდლობის ხარისხში ავიდეს, ესენი კანონის მიხედვით უნდა დადგინდნენ მონასტერში დანარჩენ მღვდლებთან ერთად ჟამისწირვის შესასრულებლად, თუ არ არის დაკავებული მღვდელთა განსაზღვრული გუნდი. ისინი უნდა ღებულობდნენ უკლებლივ ყველაფერს, რასაც კი ღებულობდნენ პირველი ჟამთამწირველნი. ხოლო ვინც არ იყოს ღირსი მღვდლობისა, სრულიად განიძეონ ისინი, რადგან თვითონვე არიან ამის მიზეზნი; მაგრამ რიცხვი ექვსი; წმინდა ნიკოლოზის ტაძარში მოსწავლე ყრმათა, არასოდეს არ უნდა იყოს დაკლებული".[1]

ამ დოკუმენტით მტკიცდება, რომ პეტრიწონის სემინარიაში ჰაბუკები სწავლობენ, რომელთაც, „სიკეთითა და სათნოებით აღსავსე უხუცესი" ასწავლის საღმრთო წიგნებს. სწავლება სემინარიაში მოსწავლეთა ჯგუფთან (6 კაცი) მიმდინარეობს და არა ინდივიდუალურად, როგორც მანამდე და იმ დროსაც წარმოებდა დასავლეთ ევროპაში. მოსწავლეები სემინარიაში მანამდე რჩებიან, სანამ მის კურსს არ დაამთავრებენ. სემინარიის კურსდამთავრებულნი მონასტრის შტატში ჩაირიცხებიან მღვდლად (თუ ადგილი ვაკანტურია), ხოლო ისინი, რომლებიც სემინარიის კურსს ვერ შეასრულებენ, „განიძევებიან" სემინარიიდან.

პეტრიწონის სემინარიის ეს წესები ძალზე ორიგინალურია და ისტორიულად საინტერესო, რამდენადაც ამდაგვარი წესები ამ პერიოდის სასკოლო სწავლა-აღზრდის პრაქტიკაში ნაკლებად არის ცნობილი. ამდენად, ჩვენ სავსებით უნდა დავეთანხმოთ პეტრიწონის სემინარიის წესდების ბერძნული ტექსტის გამომცემელს (1904 წ.) ლუი პეტიტს, რომელიც, ამ სემინარიის გამო სამართლიანად წერდა: „ეს მეტად იშვიათი მაგალითია და შეიძლება ეს სემინარია მთელს ბიზანტიაში ერთადერთი სემინარია იყოს, სიტყვის ეხლანდელი მნიშვნელობით".

სწავლა-აღზრდა პეტრიწონის სემინარიაში, უდავოდ, ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, რადგან წესდებით მონასტერში (და, ცხადია, სემინარიაშიც) სხვა ეროვნების (კერძოდ ბერძნების) შესვლა სასტიკად იყო აკრძალული. ამიტომ უნდა გავიზიაროთ აკად. კ. კეკელიძისა და პროფ. სიმ. ყაუხჩიშვილის აზრი, რომელიც ადრე აკად. ნ. მარმაც გამოთქვა. აკად. კ. კეკელიძე წერს: „თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ეს სემინარია ამზადებდა მღვდლებს მონასტრისათვის, რომელშიც შესვლა შეეძლოთ მხოლოდ ისეთებს, ვინც ქართული ენა და წერა-კითხვა იცოდა, სწავლა ამ სემინარიაში, უეჭველია, ქართულ ენაზე წარმოებდა".[1] პროფ. სიმ. ყაუხჩიშვილი ასკვნის: „ამრიგად, ცხადია, რომ მონასტრის მცხოვრებლები ქართულ ენაზე მეტყველებდნენ, ქართულ ენაზე ისმენდნენ ჟამისწირვას, და მაშასადამე, სემინარიის მოსწავლეებიც ქართულ ენაზე სწავლობდნენ სამეცნიერო დისციპლინებს".[2]

პეტრიწონის სემინარიის (აკადემიის) პირველ ხელმძღვანელად, და შესაძლებელია, მასწავლებლადაც, მისი დამაარსებელი გრიგოლ ბაკურიანისძე, უნდა ვიფიქროთ, იმ ქართველებს მოიწვევდა, რომლებიც თავიანთი მოღვაწეობით უკვე საკმაოდ ცნობილი იყვნენ ბიზანტიაში. აკად. კ. კეკელიძის აზრით, ესენი იქნებოდნენ ის ქართველი მოღვაწეები, რომელთაც მანგანის (კონსტანტინეპოლის) აკადემიაში მიიღეს საფუძვლიანი სწავლა-განათლება. ამათგან კი პირველ რიგში, იოანე ქართველი (შემდეგში პეტრიწონელი) იქნებოდა, რომელსაც, აკად. ნიკო მარის ცნობით, 1069 წლიდან დაუწყია სამეცნიერო მუშაობა, და

---

[1] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტომი მეხუთე, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმ. ყაუხჩიშვილმა, 1963, გვ. 235-237 .

[1] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 106.
[2] გეორგიკა, ტომი მეხუთე, 1963, გვ. 88.

არსებობს საკმაო საფუძველი ვივარაუდოთ, რომ პეტრიწონის სემინარიის პირველი რექტორი იოანე პეტრიწონელი იყო, რომელმაც ფსევდონიმი სწორედ აქედან მიიღო. იოანე პეტრიწონელს უნდა გაეშალა ის დიდი სასწავლო-სამეცნიერო მუშაობა, რომელიც პეტრიწონის აკადემიამ ჩაატარა. უნდა ვიფიქროთ, რომ იოანე პეტრიწონელი ამ აკადემიაში მოღვაწეობდა მისი დაარსებიდან ჩვენში გელათის აკადემიის შექმნამდე (1106 წ.)

პროფ. გ. თავზიშვილი ფიქრობს, რომ პეტრიწონის აკადემიაში სასწავლო და სამეცნიერო მუშაობა მიმდინარეობდა შემდეგ დარგებში: ფილოსოფია, ისტორია, გრამატიკა, ასტრონომია, ბიბლიოლოგია, ჰაგიოგრაფია, პიიტიკა და სხვ.[1], ხოლო პროფ. სიმ. ყაუხჩიშვილის აზრით, რომელიც უფრო დასაბუთებულია, ამ აკადემიაში „ასწავლიდნენ ყველა იმ საგანს, რომელიც კი მიღებული იყო მაშინდელ განათლებულ მსოფლიოში. სახელდობრ, სისტემა განათლებისა იყო ეგრეთ წოდებული „ტრივიუმ-კვადრივიუმი“, ე. ი. შვიდი ძირითადი საგანი. ეს საგნები იყო: ფილოსოფია (დიალექტიკა), გრამატიკა, რიტორიკა, მუსიკა, ასტრონომია, არითმეტიკა და გეომეტრია. ეს საგნები თვითონ პეტრიწს აქვს ჩამოთვლილი „განმარტებაში“, თავის საკუთარ ფილოსოფიურ ნარკვევში. პეტრიწის ამ სიტყვებიდან შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ ამ სკოლაში მედიცინასაც ასწავლიდნენ“.[2]

პეტრიწონის სემინარია (აკადემია) მე-11—12 საუკუნეებში ქართული მწერლობის, მეცნიერებისა და სწავლა-განათლების ერთ-ერთი უმთავრესი ცენტრი გახდა.

აკადემია დაარბიეს ჯვაროსნებმა, მაგრამ ქართველოლოგიური მუშაობა მასში მე-14 საუკუნის დასაწყისამდე გრძელდებოდა. „აქ ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სალიტერატურო სკოლა, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ პეტრიწონულ სკოლას და რომელმაც შემოიტანა ჩვენში ელინოფილური მიმართულება. განსაკუთრებული ყურადღება ამ სკოლაში მიჩქცეული ჰქონდა განყენებული დოგმატიკური და ფილოსოფიური ხასიათის თხზულებათა დამუშავებას, რამაც ხელი შეუწყო ქართული ფილოსოფიური ენისა და ტერმინოლოგიის შექმნას. ამ სკოლამ შექმნა მთელი ეპოქა ჩვენს მწერლობაში, მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებო“[3].

პეტრიწონის აკადემია ნამდვილად ქართული ეროვნული სამეც-

[1] პროფ. გ. თავზიშვილი, უმაღლესი განათლების ისტორიისათვის საქართველოში, ნარკვევი პირველი, 1938, გვ. 29.

[2] ს. ყაუხჩიშვილი, რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, 1964, გვ. 121.

[3] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960 გვ. 107.

ნიერო-პედაგოგიური დაწესებულება იყო, რომლის მუშაობაში იმდენად ძლიერად იგრძნობოდა საერო მიმართულება და ღვთისმეტყველება-სქოლასტიკისაგან განთავისუფლების ტენდენცია, რომ ნოყიერ ნიადაგს ამზადებდა მომავალი კულტურულ-იდეოლოგიური და ლიტერატურულ-მეცნიერული რენესანსისათვის მე-12 საუკუნის საქართველოში.

ბ) გელათის აკადემია

მე-12 საუკუნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა და იდეოლოგიურ-კულტურულმა ვითარებამ რეალური პირობები შექმნა იმისათვის, რომ თვით საქართველოს ტერიტორიაზე წარმოქმნილიყო ისეთი დიდი სამეცნიერო-პედაგოგიური კერა, როგორიც გელათის აკადემია იყო. მისი შექმნის აუცილებლობა იმითაც იყო გამოწვეული, რომ საზღვარგარეთის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები, მათი სიშორის გამო, იმდენ გავლენას ვერ ახდენდნენ ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, რამდენსაც გათვითცნობიერებული ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვდა. სწორედ ამიტომ დიდმა მეფემ, დავით აღმაშენებელმა, რომელმაც, როგორც „ქართლის ცხოვრება“ გადმოგვცემს, „რამეთუ მოიგონა აღშენება მონასტრისა და დაამტკიცა რომელიცა გამოირჩია მადლმან საღმრთომან ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლოსა, რომელსა შინა ვითარცა მეორე ცაი გარდაართხა ტაძარი ყოვლად წმიდისა და უფროსად კურთხეულისა დედისა ღმრთისა, რაბამ რამე აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნულთა, რომელი ზეშთა ჰმატს შუენიერებასა ყოველთასა, სივრცითა და ნივთთა სიკეთითა და სიმრავლითა, და მოქმნულობისა შეუსწორებლობითა, რომელსა აწ თანამოწმობით ხედვენ თვალნი ყოველთანი. და აღავსო სიწმიდეთა მიერ პატიოსანთა ნაწილთა წმიდათასა, და წმიდათა ხატთა მიერ და სიწმიდისა სამსახურებელთა ყოვლად დიდებულთა და სხუათა ნივთთა ძნიად საპოვნელთა“.[1] ამ დიდებულ მონასტერთან დავით აღმაშენებელმა „მუნვე შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა, არა თვისთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი, არამედ ქვეყანისა კიდეთათ სადათცა ესმა ვიეთმე სიწმიდე, სიკეთე, სისრულე, სულიერითა და ხორციე-

[1] „ქართლის ცხოვრება“. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმ. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, 1955, გვ. 329-330.

ლითა სათნოებითა აღსავსეობა, იძინა და კეთილად გამოიძინა, მოიყვანნა და დაამკვიდრნა მას შინა.

და მამული ლიპარიტეთი უმკვიდროდ დარჩომილ იყო, არამედ სხუათა მრავალთა და სამართლიანთა უსარჩელ-მიუხუეჭელთა სოფელთა თანა მისცნა დედასა ღმრთისასა სამსახურებლად მისსა წინაშე მდგომელთა მისთათვის, და უზრუნველი ტრაპეზი განუჩინა, რომელიცა აწ წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავლისა მეორედ იერუსალემად, სასწაულოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა საღმრთოთა შინა წესთა, დიაკონად ყოველისა საეკლესიოსა შუენიერებისად. ხოლო სახელი მისი გელათი".[1]

ეს არის პირველი, საკმაოდ დაწვრილებითი ისტორიული ცნობა „ქართლის ცხოვრებაში" ქართული სწავლა-განათლებისა და მეცნიერული მუშაობის ცენტრის შესახებ, რომლითაც ეჭვმიუტანლად დამოწმებულია გელათის მონასტრისა და მასთან აკადემიის დაარსება, რომელიც დავით აღმაშენებელმა განახორციელა 1106-1125 წლებში.

გელათის აკადემიაში დავით აღმაშენებელმა თავი მოუყარა იმ დროს თვით საქართველოში და საზღვარგარეთ მყოფ ცნობილ ქართველ სწავლულებს, პირველ რიგში უკვე სახელგანთქმულ იოანე პეტრიწონელს, არსენ იყალთოელს, იოანე ტარიჩისძეს, თეოფილეს და სხვ., რომელთაც უაღრესად დიდი სასწავლო-პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა გაეჩაღეს აკადემიაში. დავით აღმაშენებელმა გელათის აკადემიას სათავეში პეტრიწონის აკადემიის გამოცდილი რექტორი, იოანე პეტრიწონელი ჩაუყენა, რომლის სიცოცხლეში აკადემიის მთელი მუშაობა მისი ხელმძღვანელობა-მეთაურობით მიმდინარეობდა და იგი „სხვად ათინად", „მეორე იერუსალიმად" გადაიქცა.

გელათის აკადემიამ უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო და ფილოსოფიურ-ლიტერატურულ განვითარებაში. მრავალმა ქართველმა ახალგაზრდამ მიიღო საფუძვლიანი ფილოსოფიურ-მეცნიერული განათლება გელათის აკადემიაში, რომლის მუშაობა, შესაძლებელია, თამარ მეფის (1213 წ.) შემდეგაც გრძელდებოდა.

გელათის აკადემიაში დაიწერა იოანე პეტრიწონელის სახელგანთქმული ფილოსოფიური შრომები.

გელათის აკადემიამ უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული რენესანსის იდეოლოგიურ-ფილოსოფიურ და ლიტერატურულ მემკვიდრეობაში.

[1] „ქართლის ცხოვრება". ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმ. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, 1955. გვ. 330-331.

დ) იყალთოს აკადემია

არის მოგვიანო პერიოდის ცნობები, რომლის მიხედვითაც XII საუკუნის საქართველოში არსებობდა მეორე აკადემიაც, კერძოდ, იყალთოში (კახეთში), თუმცა არც „ქართლის ცხოვრება" და არც სხვა ისტორიული წყაროები ამ აკადემიას არ იხსენიებენ. ქართველოლოგები (მიხეილ საბინინი, თეიმურაზ ბატონიშვილი, პლატონ იოსელიანი, ნიკო ურბნელი, მოსე ჯანაშვილი, პროფ ალ. ხახანაშვილი და სხვ.) იყალთოს აკადემიის არსებობას საეჭვოდ არ თვლიან და მის ხელმძღვანელად არსენ იყალთოელს ასახელებენ, რომელიც იოანე პეტრიწონელთან რელიგიური და იდეოლოგიურ-ფილოსოფიური უთანხმოების გამო, გელათის აკადემიიდან წასულა და იყალთოში მეორე ქართული აკადემია დაუარსებია.

თვით არსენ იყალთოელს, რომელსაც განათლება კონსტანტინეპოლის აკადემიაში ჰქონდა მიღებული, „ქართლის ცხოვრება" იხსენიებს, როგორც „თარგმანსა და მეცნიერსა ბერძენთა და ქართველთა ენათასა და განმანათლებელსა ყოველთა ეკლესიასთასა". ხოლო კათალიკოსი ანტონი მას ასე ახასიათებს „არსენის ფრასი ბრწყინვალე, მშვენიერი, ალიდორიკა გასაკვირვო; არსენი აღმოაჩენებს დოღმატთა, ვერვის ძალუძს დარღვევა ანუ უკუქნა; არსენი სტვინავს ოქრო მუსიკთა ხმითა; ღვთისმეტყველება ამისი არს საქებელ, ფისიკა, კვალად ანატომია, ფილოსოფია ხედვითი პრაქტიკითურთ გამოჩინება, სილოგიზმი ჭეშმარიტ; არსენის მიერ ქმნილნი პიიტიკა, შაირნი დასდებულ სტიხნი ოქრო წახსნაგებულნი, სპეკალთა მიერ ძვირფასთა მოოქვილნი" („წყობილსიტყვაობა").

აი, ეს არსენ იყალთოელი ჩასდგომია სათავეში იყალთოს აკადემიას, რომელიც არსენის საქართველოში ჩამოსვლიდან (1114 წ.) მის გარდაცვალებამდე უნდა იყოს დაარსებული, ყოველ შემთხვევაში XII საუკუნის პირველ მეოთხედში, და სასწავლო-სამეცნიერო მუშაობას აწარმოებდა თამარ მეფის ეპოქაშიც და შეიძლება შემდეგაც.

ქართველ ხალხში იმდენად დიდი სახელი და ავტორიტეტი ჰქონია იყალთოს აკადემიას, რომ ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერ შემოქმედებაში დღემდე დარჩენილია ცნობა, რომ თითქოს შოთა რუსთაველსაც იქ ჰქონდა სწავლა-განათლება მიღებული. პროფ. ალ. ხახანაშვილი წერს, რომ „არსენის სკოლამ ქალაქ იყალთოში აღზარდა

[1] А. Хаханов. История Грузинской Словестности, ტ. II, გვ. 122.

მთელი რიგი შესანიშნავი მოღვაწეებისა და სხვათა შორის პოეტი შოთა რუსთაველი"[1].

იყალთოს აკადემიაში, როგორც ირკვევა, გარდა იმ დროის სხვა აკადემიებისათვის დამახასიათებელი ზოგადი მეცნიერული დისციპლინებისა (ღვთისმეტყველება, ფილოსოფია, ასტრონომია, რიტორიკა და სხვ.) ისწავლებოდა აგრეთვე ხელოსნობის ზოგიერთი დარგი: მჭედლობა, კერამიკა („მეკეცეობა") და მევენახეობა-მეღვინეობა.[1]

გამოთქმულია მოსაზრებანი (მარი ბროსე, დ. ბაქრაძე, ალ. ხახანაშვილი, ალ. ცაგარელი და სხვ.), რომელთა მიხედვით, თითქოს საქართველოში არსებობდა მესამე აკადემიაც, გრემის აკადემია, მაგრამ არავითარი ისტორიული ცნობა მისი არსებობის შესახებ არ მოიპოვება და ამიტომ ჯერჯერობით ამ აკადემიის არსებობის შესახებ მსჯელობა შეუძლებელია.

ამრიგად, XII საუკუნის საქართველოში ორი აკადემია მაინც არსებობდა და ნაყოფიერად ემსახურებოდა ქართული კულტურის, მეცნიერებისა და სწავლა-განათლების საშვილიშვილო საქმეს.

ამ აკადემიების სტრუქტურა და სწავლების შინაარსი ანალოგიური უნდა ყოფილიყო დასავლეთში იმ დროს სახელგანთქმული კონსტანტინეპოლის (მანგანის) აკადემიისა, რომელიც ფილოსოფიის, იურისპრუდენციის, რიტორიკისა და დიდაქტოლოგიის დარგებს (კათედრებს) აერთიანებდა. პროფ. გ. თავზიშვილის აზრით, ქართულ აკადემიებში „თუ ფაკულტეტები არა, სათანადო გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ე ბ ი ან დარგები მაინც არსებობდნენ, რომლებიც საერთო საღვთისმეტყველო და ფილოსოფიურ მეცნიერებათა გარდა, სხვადასხვა სპეციალურ დისციპლინებს აერთიანებდნენ და გარკვეული ცოდნის სპეციალისტებს ამზადებდნენ".[2] იგივე ავტორი ფიქრობდა, რომ ჩვენს აკადემიებში ისწავლებოდა ღვთისმეტყველება, ფილოსოფია, ისტორია (საქართველოსი და უცხო ქვეყნების), მედიცინა (ბუნებისმეტყველებით), იურისპრუდენცია (სამართალი; სჯული), ხელოვნება (პოეზია, მხატვრობა, ქანდაკება), ენათმეცნიერება (გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა) და ენები (ირანული; არაბული; ბერძნული). მათემატიკა (ფიზიკით), გეოგრაფია, მუსიკა, დიალექტიკა და სხვ.

პეტრიწონის, გელათის და იყალთოს აკადემიების ხელმძღვანელებს (რექტორებს) „მოძღვართ მოძღვარი" ეწოდებოდა, მასწავლებლებს — „მოძღვარი", ხოლო მსმენელებს — მოსწავლე (მოწაფე), რომელთა ასაკი განსაზღვრული არ იყო. არც აკადემიის მოსწავლეთა კონტინგენტი იყო დადგენილი. ზოგი (მაგალითად, ზაქ. ჭიჭინაძე) ფიქრობს, რომ გელათისა და იყალთოს აკადემიებში 700-700 მსმენელი (მოსწავლე) იყოო,[1] მაგრამ ეს ცნობები არაფრით არ არის დამოწმებული და ამდენად რეალობას მოკლებულად უნდა მივიჩნიოთ.

უმაღლესი განათლების ასეთი მძლავრი კერების არსებობა XI-XII საუკუნეების საქართველოში (და მის ფარგლებს გარეთაც) უდავოდ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ამ პერიოდში ჩვენში დაწყებითი სკოლების (შესაძლებელია უფრო მაღალი ტიპის სკოლებისაც) შედარებით ფართო ქსელი უნდა ყოფილიყო გაშლილი, რომლებშიც, რელიგიურ სწავლა-აღზრდასთან ერთად, ქართულ წერა-კითხვას საფუძვლიანად ეუფლებოდნენ და აკადემიებში შესასვლელადაც ემზადებოდნენ. სამწუხაროდ, ცნობები ამ სკოლების შესახებ აღარ გაგვაჩნია.

2. პედაგოგიკური აზროვნება

თავისებურად განვითარდა და აღმავლობის გზით წარიმართა პედაგოგიკური აზროვნება XI-XII საუკუნეების საქართველოში. გაფართოვდა პედაგოგიკური ძიების, პრობლემატიკის არე და მრავალმხრივი გახდა მისი შინაარსი. რენესანსულ-ჰუმანისტურმა იდეოლოგიამ და პეტრიწონ-გელათ-იყალთოს აკადემიების სამეცნიერო-ლიტერატურულმა მუშაობამ ადამიანისა და მისი აღზრდის პრობლემები დააყენა საგანგებო ყურადღებისა და პედაგოგიკური აზროვნების ცენტრში. ამ პრობლემების ანალიზი და პედაგოგიკურ ასპექტში მათი ახლებური, ორიგინალური გადაწყვეტა ამ ისტორიული ეპოქის უდიდეს მოაზროვნეებს — პირველ რიგში იოანე პეტრიწონელსა და შოთა რუსთაველს დაეკისრათ. საჭირო ნიადაგი ამისათვის წინა პერიოდის— XI საუკუნის ქართველმა მოაზროვნეებმა მოამზადეს. ამათგან უპირატესი როლი ათონის აკადემიის მოღვაწეებმა — ექვთიმე და გიორგი ათონელებმა შეასრულეს.

სამწუხაროდ, სათანადო მასალების უქონლობის გამო, ჩვენ მოკლებული ვართ იმის შესაძლებლობას, რომ მათი ნააზრევის პედაგოგიური ასპექტები რამდენადმე მაინც დამაკმაყოფილებლად წარმოვიდგინოთ, მაგრამ მათი პედაგოგიკური აზროვნების საერთო დონე და ხასიათიც, შეიძლება იმის მიხედვით გავითვალისწინოთ, რასაც, კერძოდ, გიორგი ათონელის შესახებ მისი შესანიშნავი ბიოგრაფი გიორგი მცირე (ხუცეს მონაზონი) გვაწვდის, და ჩვენც ამჟამად ამით უნდა დავკმაყოფილდეთ; მით უმეტეს, რომ ჩვენი ბიოგრაფის ყველა პედაგოგიური დებულება გიორგი ათონელის ცხოვრება-მოღვაწეობით არ-

1 ალ. მ ა მ უ ლ ა შ ვ ი ლ ი, იყალთოს აკადემია, 1948, გვ. 4.

2 პროფ. გ. თ ა ვ ზ ი შ ვ ი ლ ი, უმაღლესი განათლების ისტორიისათვის საქართველოში, 1938, გვ. 70.

1 ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში, გვ. 30.

ის დასაბუთებულ-დადასტურებული და თვით მისი „ცხოვრებაც“ არსებითად პედაგოგიურ-სააღმზრდელო მიზნით არის აღწერილი: „შემდგომ ნათესავთა საწურთელად და გულის საყოფელად“, ისე, როგორც თვითონ გიორგიც ექვთიმე ათონელის „ცხოვრებას“ აღწერდა „სახედ და ხატად სათნოებისა მომავალთა ნათესავთათვის“. ამიტომ გიორგი ათონელის ბიოგრაფიაში სწორედ პედაგოგიური მხარეებია წინ წამოწეული და ნათლად გადმოცემული.

ადამიანის სწავლა-აღზრდა იმდენად და იმიტომ არის შესაძლებელი,რომ მას დაბადებიდან დაჰყვება „სიკეთე, სიმახვილე და მისწრაფება გონებისა“, როგორც ბუნებრივი ნიჭი, და მათი განვითარების შესაძლებლობა. გიორგი ათონელმა და მისმა ბიოგრაფმაც კარგად იციან, რომ მარტო ეს თანდაყოლილი ნიჭი არ არის საკმარისი ადამიანისათვის, ამასთანავე ერთად საჭირო და აუცილებელია „კეთილად აღზრდა“ და გიორგიც, „ვითარცა ახალი ნერგი შუენიერი“ ისწავლიდა წერილთა საღმრთოთა“ და „ჰასაკითა ათი წლისა“ გახდა „გონებითა ვითარცა მხცოვანი“, ე. ი. ათი წლის ასაკში გიორგი გონებით საკმაოდ განვითარებული იყო, რადგან ამის შინაგანი ინდივიდუალური შესაძლებლობანი (ნიჭი, უნარი) მას საკმაოდ გააჩნდა.

გიორგი ათონელის ბიოგრაფიიდან ისიც ირკვევა, რომ იმდროინდელ საქართველოში ბავშვის ასაკი და მისი სწავლა-აღზრდა სამ საფეხურად (პერიოდად) განიყოფებოდა: ყრმობად, როდესაც მთავარი ყურადღება „კეთილად აღზრდას“ ექცევა, ჭაბუკობად, როდესაც სწავლაა მთავარი ამოცანა და სრულ ასაკად, როდესაც სრულად „განათლდება“.[1]

ადამიანის იდეალად გონიერება (აზროვნების უნარი), „დაწყნარებულება“ (სიმშვიდე), უშფოთველი და „აღუძვრელი“ ქცევა ითვლება, რომელნიც, ავტორის აზრით, მემკვიდრეობისა (პირველი ორი) და სწავლა-აღზრდის შედეგია (დანარჩენი ორი თვისება). აღზრდის იდეალად სიბრძნე და გონიერებაა მიჩნეული. მოწაფე კი „გულს-მოდგინე, მოსწრაფე და გონება მახვილი“ უნდა იყოს. მოწაფე მოვალეა აღასრულოს მოძღვრის ნება. მოძღვარი ვალდებულია მოსწავლეს „არა სიტყვით ასწავლოს, არამედ საქმით უჩვენოს“. გიორგი ათონელი „გუფური სწავლების მომხრეა, უნდა ასწავლოო „მწყობრთა და მწყობრთა, ჰასაკეულთა და ჰასაკეულთა მოსწავლეთა.“ ამავე დროს მას შესაძლებლად მიაჩნია, რომ სხვადასხვა ასაკის მოსწავლენი „სწავლულების მიერ ურთიერთის მოჰასაკე“ ყოფილიყვნენ, მაგრამ გარკვეულ ასაკს თავისი „სწავლულება“ შეიძლება ჰქონოდა. სწორედ ამიტომ გიორგის მიერ მოსწავლეთა ასეთ სწავლებას განსაკუთრებულად აღნიშნავს მისი „ცხოვრების“ აღმწერი.

[1] ათონის იველრიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერები აღაბებით, გვ. 288.

როგორც ჩანს, გიორგი ათონელი თავისი პედაგოგიკური ნააზრევით გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს სქოლასტიკურ-დოგმატიკური სწავლა-აღზრდიდან რენესანსულ-ჰუმანისტური სწავლა-აღზრდისაკენ და ამიტომაც გარკვეული წინააღმდეგობანი ნათლად შეინიშნება მის სასწავლო-პედაგოგიკურ პრაქტიკასა და შეხედულებებში.

ა) იოანე პეტრიწონელის პედაგოგიკური იდეები

ადამიანის სწავლა-აღზრდის შეუდარებლად უფრო მწყობრი და თავისებური სისტემა შექმნა სახელგანთქმულმა ქართველმა ფილოსოფოსმა იოანე პეტრიწონელმა, რომელმაც თავის ორიგინალურ ფილოსოფიურ ნაშრომში „განმარტებაი პროკლესათვის დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვის“ მაშინდელ სკოლებში გაბატონებული „შვიდი თავისუფალი ხელოვნების“ ნაცვლად დაადგინა სამეცნიერო-სასწავლო საგანთა ახალი ნომენკლატურა, რომელშიც შეიტანა: გრამატიკა, რიტორიკა, არითმეტიკა, მიწათმზომელობა (გეომეტრია), ასტრონომია, ფილოსოფია, ბუნებათმცოდნეობა, მუსიკა და სხვ. და ამით არა მარტო გააფართოვა ახალგაზრდობის გონებრივი აღზრდა-განათლების შინაარსი, არამედ მას აშკარა საერო-მეცნიერული ხასიათი მისცა.

იოანე პეტრიწონელმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ბუნებისა და მისი განვითარების კანონზომიერების შესწავლას, სხვადასხვა მეცნიერებაში საგნებისა და მოვლენების არსისა და მიზეზების დადგენას, „რამეთუ ცნობაი მიზეზთაი ცნობაი არს ზესთაით უმჯობესად“, „რამეთუ ყოველი ცნობაი უმჯობესი მიზეზთა დასაბამთაი“.[1] ამით სხვადასხვა მეცნიერების სწავლებას სკოლაში დასაბუთებული ხასიათი მისცა და ძირი გამოუთხარა სქოლასტიკურ-დოგმატურ სწავლებას. მეცნიერების ყოველი დარგი (მათ შორის მედიცინაც), იოანე პეტრიწონელის აზრით, სინამდვილის სწორად შემეცნებას ისახავს მიზნად, ამისათვის კი სინამდვილის შესწავლა, გამოცდილებაა საჭირო, „რამეთუ ცნობიერებაი გამოცდილებათაგან მიღებს შეკრებასა“.[2]

ასე ფართოდ და მართებულად ესმოდა იოანე პეტრიწონელს ფილოსოფიისა და მეცნიერებათა დანიშნულება და აქედან გამოჰყავდა მას სკოლის სასწავლო-საგანმანათლებლო სისტემა, რომელშიც ახალგაზრდობის გონებრივ განათლებასთან ერთად მათ ფიზიკურ გაჯანსა-

[1] იოანე პეტრიწის შრომები, ტ. II. 1937, გვ. 185.
[2] იქვე, გვ. 220.

ლებას, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდასაც მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა.

მოსწავლეთა გონებრივი განათლებისათვის იოანე პეტრიწონელს საჭიროდ მიაჩნია, რომ სწავლების პროცესი შეგნებულად (ტექსტის გაგებით) და ხშირ განმეორებათა გზით მიმდინარეობდეს: „ვითარ იკითხვიდიან ყრმანი მცირენი. და კუალად შეექცის მასვე წარკითხულსა, რამეთუ არა თუ გუარსა ჯერ არს საკითხავისასა მიცემაი, არამედ ცნობისა და აღუწყებისათვის არს სათანადოი, და გაკუეთისა და შედგმისა და უკუნქცევისა და უკუანაით პირთა აღებისა და წერტილთა და სხუათა ყოველთა მოძღვართა“.[1] იოანე პეტრიწონელი სწავლებაში მარტივიდან რთულისაკენ გადასვლის აუცილებლობაზედაც გარკვევით მიუთითებს: „რამეთუ სასწავლოდ შემაეალთა ყოველთა პირველად უმარტივესთა ასწავებენ, და მერმეღა მათგან შედგმულთა ვითარცა ასოთა მიერ სახელსა, ხოლო სახელთა მიერ თქუმასა, და კუალად თქუმისა მიერღა სიტყუასა“.[2] იგი მოსწავლეების მიერ ხმამაღლა კითხვის წიხააღძდეგია, რადგან ტექსტის გაგებას ხელს უშლის: „რაითა გონებაი უცდომელი აღვიუწყოთ. და ესეცა შეეისწაოთ, რომელ მაღლიად კითხვაი მოშლის გაგონებასა. რამეთუ ძგერაი ხმისაი რეც თუ თანა წარიტაცებს გამგონესა“.[3] სწავლებაში უნდა მიემართოთ მტკიცებას, რომ მიღებული ცოდნა დასაბუთებული იყოს, ხოლო ამისათვის მსჯელობაა აუცილებელი. მსჯელობისას აზროვნების ლოგიკას უნდა დავემყაროთ. ჯერ საკითხი უნდა დავაყენოთ, მსჯელობის ამ პირველ ეტაპს პეტრიწონელი „წინჩამოსაგებელს“ უწოდებს, შემდეგ უნდა დავამტკიცოთ, რომელსაც „დაკაზმაი“-ს უწოდებს, ხოლო ბოლოს დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, „რომელ არს თანგასავალი“.[4] სწავლებაში მსჯელობის ასეთი წესი ცოდნის შეგნებულად და ღრმად შეთვისებას შეუწყობს ხელს და ამ გზით შეთვისებული ცოდნაც დიდ ხანს დარჩება მოსწავლის მეხსიერებაში. აქედან ჩანს, რომ იოანე პეტრიწონელი ახალგაზრდობის გონებრივი განათლებისათვის საჭირო და აუცილებელ ძირითად დიდაქტიკურ დებულება-წესებსაც გვთავაზობს და მისი პროგრესულ-ფილოსოფიური (კერძოდ გნოსეოლოგიური) კონცეფციის საფუძველზე და ამ დარგში ისეთ მოწინავე იდეებს ანვითარებდა, რომლებიც დასავლეთ ევროპაში რამდენიმე საუკუნის შემდეგ დასაბუთდა და დადგინდა პედაგოგიკის თეორიაში.

ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდის დარგში იოანე პეტრიწონელი გამოდიოდა იმ სწორი დებულებიდან, რომ ადამიანი ბუნებით არც კეთილია და არც ბოროტი. იგი წერდა: „ხედავა, თუ ვითარ არა არს ბუნებით ბოროტი, ვითად იგი კეთილობაი? რამეთუ რომელი სხვისა მიმართ იყო ცოდვა, სხვისად იქნა სათნოება“.[1] და აი იმ პრინციპული პოზიციის საფუძველზე, რომ ადამიანის ზნეობა მემკვიდრეობით გაპირობებული თვისება არ არის, იოანე პეტრიწონელი მოითხოვს ისე წარიმართოს ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდა, რომ მას ორგანული კავშირი ჰქონდეს გონებრივ განათლებასთან და მოძღვარ-მასწავლებელი სწავლა-აღზრდის სწორი ორგანიზაციით „აცისკროვნებდეს“ მოსწავლეთა მორალურ სახეს. იგი წერს: „ვიტყვით მკადრენი სხუათასავე თანა შეაკრნა და მოუზიდნა თანამეღაღადედ წამებათა მისთა ცისკროვნებისად, ვითარ მოწაფენი მოძღუარსა“[2].

იოანე პეტრიწონელი ესთეტიკურ აღზრდას მიიჩნევდა მოსწავლეთა სულიერი და, საერთოდ, ჰარმონიული აღზრდის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად, რომელიც პირველ რიგში მუსიკის საშუალებით ხორციელდება. მუსიკა, კერძოდ საგუნდო მუსიკა, არა მარტო ახალგაზრდების ესთეტიკური აღზრდის მძლავრი საშუალებაა, არამედ მათი გონების განწმენდისა და სწორი აზროვნების გამომუშავების აუცილებელი პირობაც.

ამრიგად, იოანე პეტრიწონელი, მიუხედავად მისი მოძღვრების ისტორიულ-კლასობრივი განსაზღვრულობისა, ჰუმანისტური იდეოლოგიისა და პედაგოგიკის ღირსეული წარმომადგენელია, რომელმაც დაარღვია სქოლასტიკურ-დოგმატიკური სწავლების ტრადიციული სისტემა და მკვეთრი საფუძველი ჩაუყარა ახალ, ორიგინალურ, უაღრესად პროგრესულ მოძღვრებას, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩვენში სწავლა-აღზრდისა და პედაგოგიკური აზროვნების შემდგომ განვითარებაში.

ბ) შოთა რუსთაველის პედაგოგიკური შეხედულებები

„ვეფხისტყაოსნის“ დიდი პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსნის“ პირველ ბეჭდურ გამომცემელს (1712 წ.) ვახტანგ VI-ს, რომელიც ამ გამოცემის წინასიტყვაობაში საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ეს თხზულება გამოვეცი „ძეთა და ასულთა ჩვენთა აღსაზრდელად“, რადგან იგი „უსწავლელსა სიბრძნეს მისცემს, გონიერსა გულს უსრულსა“,

[1] იოანე პეტრიწის შრომები, ტ. II. 1937. გვ. 6.
[2] იქვე, გვ. 5.
[3] იქვე, გვ. 6.
[4] იქვე, გვ. 10.

[1] იოანე პეტრიწის შრომები, ტ. II, 1937, გვ. 214.
[2] იქვე, გვ. 208.

„რუსთაველისა წიგნი სულ სასწავლო არის. რაც ამას დაუწერია, თუ კაის გზით ისწავლით, ერთს ოსტატად გეყოფათ“.[1]

„ვეფხისტყაოსანი“ ჰეშმარიტად უდიდესი სასწავლო და პედაგოგიური საგანძურია, რომელშიც შ. რუსთაველის მთელი პედაგოგიური ნააზრევი უძლიერეს პოეტურ ფორმაში მწყობრი სისტემის სახით არის ჩამოსხმულ-განხორციელებული.

შოთა რუსთაველი, როგორც დიდი ჰუმანისტი, პირველ რიგში საზოგადოებაში ადამიანის მაღალ დანიშნულებას და იმ კეთილშობილურ ადამიანურ თვისებებს ადგენს, რომლითაც უნდა იყოს შემკობილი „კაცური კაცი“. ეს ადამიანური თვისებებია: სიბრძნე და გონიერება, მაღალი გრძნობა, ზნეობა, ხელოვნება, მეგობრობა, სიუხვე, თავმდაბლობა, სიჯანსაღე, სიმძლავრე, სილამაზე, სიდინჯე და როგორც შრავალ თვისებათა კომპლექსი — მიჯნურობა.[2]

ამ ადამიანურ თვისებათა გამომუშავება-ჩანერგვისათვის შოთა რუსთაველს ახალგაზრდობის გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდა მიაჩნია აუცილებლად.

გონებრივი განათლების ძირითად მიზანს, რუსთაველის აზრით, სიბრძნის, ამ უმაღლესი ცოდნის შეთვისება შეადგენს, მაგრამ მარტო სიბრძნე არ არის საკმარისი ადამიანის გონიერული შემოქმედებისათვის. სიბრძნის შეთვისებასთან ერთად საჭიროა მისი ცხოვრებაში რაციონალურად გამოყენების ცოდნაც: „არას გარგებს სწავლულობა, თუ არა იქ ბრძენთა თქმულსა, არ იხმარებ, რა ხელსა ხდი საუნჯესა დაფარულსა“ — გვასწავლის შოთა რუსთაველი. თუ ადამიანს საფუძვლიანი ცოდნა-განათლება და მათი გამოყენების საკმაო უნარ-ჩვევები აქვს, იგი ცხოვრების სირთულე-სიძნელესა და წინააღმდეგობებს ადვილად დაძლევს და სახელოვანი კაციც იქნება: „მჭნელი საქმისა ძნელისა კაციმცა იყოს ცნობილი“. განათლებული და გონიერი კაცი დინჯად უნდა მოქმედებდეს, საფუძვლიანად უნდა განსჯიდეს, არას იდეს არ უნდა აჩქარდეს, რადგან „სჯობს გამორჩევა, ვიდრე ბრობა საქმისა დასაგვანისა“.

რუსთაველს სწამს, რომ ადამიანი მთლიანია, რომ მაღალი განათლება და გონიერება ადამიანის ნებისყოფასაც განამტკიცებს და აძლიერებს: „გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან“. ამიტომ „ჭირსა შიგან გაშაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა“, „რა მისჭირდეს, მაშინ უნდან გონებანი გონიერსა“ — ქადაგებს რუსთაველი.

---

[1] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ, 1937, გვ. 89.

[2] გ. თავზიშვილი, „ადამიანის დანიშნულება და აღზრდის იდეები „ვეფხისტყაოსანში“, 1937, გვ. 12.

მაღალი გონება, სიბრძნე, განსწავლულობა, ღრმა ცოდნა და მისი ცხოვრებაში გამოყენების უნარი, სასკოლო სწავლა-აღზრდის ერთიან პროცესში უნდა გამოუმუშაონ ახალგაზრდობას, რასაც „სიბრძნის მასწავლებელი“ უნდა ხელმძღვანელობდეს და ანხორციელებდეს. ამიტომ მასწავლებელი უდიდესი პატივისცემით და სიყვარულით უნდა იყოს გარემოსილი. რუსთაველი გვასწავლის, „გონიერთა მწვრთელი უყვარს, უგუნურთა გულსა ჰგმირდეს“.

შოთა რუსთაველი, როგორც უდიდესი ეთიკოსი, ახალგაზრდობის ზნეობრივ აღზრდას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს.

შ. რუსთაველი პირველ რიგში ცდილობს ადამიანთა საზოგადოებაში სიკეთე, სათნოება, სიმართლე, ერთგულება, სინდისი, პატიოსნება, თავდადება, მეგობრობა და ურთიერთპატივისცემა დაინახოს და აღიაროს ადამიანთათვის აუცილებელ თვისებებად და მორალურ სამკაულად: ასე წარმოგვიდგენს დიდი პოეტი „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს. ამავე დროს პოემაში იგი სასტიკად კიცხავს ადამიანთა უარყოფით თვისებებს: ბოროტებას, სიცრუეს, თვალთმაქცობას, ღალატს, ორპირობას, ორგულობას, შურისძიებას, უზრდელობას, გაუტანლობას, მრუშობას, ჭურდობასა და სხვ.

შოთა რუსთაველი ზნეობრივი აღზრდის საერთო სისტემაში მაგალითის და მიმბაძველობის, დარწმუნებისა და შთაგონების და, ზოგჯერ იძულების გზებით ცდილობს ადამიანებში მაღალი მორალური თვისებების აღზრდა-შემუშავებას.

შოთა რუსთაველი, ადამიანის დადებით (პოზიტიურ) მორალურ თვისებებთან უარყოფითი (ნეგატიური) თვისებების დაპირისპირებით ცდილობს შთააგონოს მკითხველებს დადებით ადამიანურ თვისებათა დიდი კეთილშობილური ძალა და ძლიერება. და უარყოფითი ზნეობრივი თვისებების მავნეობა და არაადამიანურობა. პირველი რიგის თვისებები ადამიანებში აღზრდის გზით უნდა ჩავნერგოთ და განვავითაროთ, ხოლო მეორე რიგისა — ჩავახშოთ და აღვკვეთოთ. ეს სწორი პოზიცია წითელი ხაზივით გასდევს შ. რუსთაველის უკვდავ „ვეფხისტყაოსანს“.

რუსთაველის აზრით, „კარგი საქმე კაცსა ზედა აზომ თურმე არ წახდების“, „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“. შ. რუსთაველი სიმართლის დიდი მქადაგებელია და იგი ადამიანის ამ უძვირფასეს თვისებად მიაჩნია, რომელსაც საოცარი ძალა აქვს: „ქმნა მართლისა სამართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“, ხოლო „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“. სიცრუე, სიტყვის გატეხა და, მით უმეტეს, ღალატი რუსთაველს უდიდეს ბოროტებად მიაჩნია, რომელიც დაგმობილ უნდა იქნეს. ავთანდილმა თავის მეგო-

ბარს — ტარიელსაც კი ვერ აპატია, რომ იგი მას გამოქვაბულში არ დახვდა, თუმცა შეჰპირდა; „იგი ფიცი ვით გატეხა, არ ვეცრუე, ვით შეცრუა! ვერ იქმოდა, რად მიქადა? თუ მიქადა, რად მიტყუა?!“ რუსთაველი გმობს „კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა“. გენიოსი პოეტი ძმობა-მეგობრობის დიდი ჰიმნოგრაფი და მქადაგებელია:

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“.

ამიტომ, „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“.

შოთა რუსთაველი მიჯნურობის ცნებაში აერთიანებს ადამიანთა მაღალ ზნეობრივ თვისებებს:

„მიჯნურსა თვალად სიტურფე მართებს, მართ ვითა მზეობა,
სიბრძნე, სიუხვე, სიმდიდრე, სიყმე და მოცალეობა;
ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა.
ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთა ზნეობა“.

ეს ძვირფასი ზნეობრივი მხარეები მიაჩნია შოთა რუსთაველს იდეალური ადამიანის აუცილებელ თვისებად და ამიტომ მოგვიწოდებს სწორედ ეს კეთილშობილური თვისებები დავნერგოთ და აღვზარდოთ ჩვენს ახალგაზრდობაში.

მეტად ფართო და ვრცელია შოთა რუსთაველის ესთეტიკური სამყარო; ცხადია, იგი ახალგაზრდობის ესთეტიკურ აღზრდას გონებრივი და ზნეობრივი აღზრდის გვერდით აყენებს და მისი განხორციელების რეალურ გზებსაც წარმოგვიდგენს. მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის ძირითად საშუალებად მას პირველ რიგში მხატვრული ლიტერატურა და მუსიკა მიაჩნია, ამასთან ერთად, გასართობი სანახაობანიც.

ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდა ლამაზი და მომხიბვლელი სიტყვით ხორციელდება. „გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა“, ხოლო მაღალმხატვრული, პოეტური მეტყველება არა მარტო აფაქიზებს ადამიანთა ესთეტიკურ გემოვნებას, არამედ ავითარებს მათს გონებასაც. „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“ — გვასწავლის რუსთაველი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მუსიკას ადამიანთა ესთეტიკურ აღზრდაში. მუსიკას იმდენად დიდი ძალა აქვს, რომ იგი მხეცებსაც კი მოხიბლავს და დაიმორჩილებს. „რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნიც მოვიდიან“. გასართობი სანახაობებიც ხელს უწყობს ესთეტიკური გემოვნების შემუშავებას. გულანშაროში „სმა, გახარება, თამაში, ნიადაგ არს სიმღერები“.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ფიზიკური აღზრდის მთელი სისტემაა წარმოდგენილი. დიდ პოეტს ადამიანთა ჯანმრთელობისთვის საჭიროდ მიაჩნია: ჯანის სისაღე, სიმძლავრე, გამძლეობა, სისწრაფე, სიმაძაცე, სილაღე, რიხიანობა, ვეფხვის სიმარდე; სილამაზისათვის — თვალად სიტურფე, პირიმზეობა, მზისსადარობა და სხვ.; რაინდობისათვის — მშვილდოსნობა, ცხენოსნობა, ასპარეზობა, ბაზიერობა, ნიშანში სროლა, მორჭმულობა, მუშაითობა, აკრობატიკა, ბურთაობა და სხვ.

ასეთია, ძირითად ხაზებში, გენიალური ქართველი პოეტის პედაგოგიკური ნააზრევის სისტემა, მისი პედაგოგიკური თეორია, რომლითაც განვითარდა და უმაღლეს საფეხურამდე ავიდა ჰუმანური პედაგოგიკური იდეები მე-12 საუკუნის დასასრულისა და მე-13 საუკუნის დასაწყისის საქართველოში.

ამრიგად, XI-XII საუკუნეების საქართველოში არა მარტო ცალკეული პედაგოგიკური დებულებები იქნა წამოყენებულ-დასაბუთებული, არამედ ახალი ჰუმანისტურ-რენესანსული პედაგოგიკური შეხედულებათა მთლიანი სისტემაც შეიქმნა, რომელიც იმდროინდელი მეცნიერული განათლების შედეგი იყო.

თავი მეოთხე

განათლება XIII-XVIII საუკუნეების საქართველოში

ა). ვითარების მკვეთრი შეცვლა XIII საუკუნის პირველი ნახევრიდან; საეკლესიო-სამონასტრო განათლების კერები

პოლიტიკურ-ეკონომიურ და კულტურულ აღმავლობასთან ერთად საქართველოს, სამწუხაროდ, თან სდევდა უბედობაც. მე-13 საუკუნეში ჯერ ხვარაზმელთა, შემდგომ კი მონღოლთა შემოსევამ დასცა საქართველოს კულტურისა და განათლების დონე. ნახევრადველურ დამპყრობელთა უღელქვეშ მგმინავი ქვეყანა, რა თქმა უნდა, ვერ გააგრძელებდა და მით უმეტეს, ვერ განავითარებდა კულტურულ ცხოვრებას. აურაცხელმა გადასახადებმა გააჩანაგა ქვეყანა; რაც ცეცხლსა და მახვილს გადაურჩა, ის ხარკის სახით გაიზიდა. ამასთანავე, ქვეყანას შინაგანი სიმტკიცე აკლდა. მე-13 საუკუნის 80-90-იან წლებში გახშირდა შინაფეოდალური ომები, რაც გარეშე მტერს ხელს უწყობდა საქართველოს კიდევ უფრო ადვილად დამორჩილებაში. განადგურდა ყოველივე კულტურული, განათლების საქმეც დაცემის გზას დაადგა.

საგულისხმოა, რომ ამ შავბედით ხანაში ქართველები, პირველ ყოვლისა, იძულებული იყვნენ ფიზიკური არსებობის შენარჩუნებაზე ეზრუნათ. ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების მძიმე პირობებს კულტურული სფეროც უნდა დაექვემდებარებინა, მაგრამ დაქვემდებარება სრულ დაკნინებამდე მაინც არ მისულა. ამ უმკაცრეს ჟამსაც კი სუსტად, მაგრამ მაინც იგრძნობოდა ქვეყნის კულტურული მაჯისცემა.

მე-13 საუკუნეში მოღვაწეობდა მცხეთელი ქართველი მწიგნობარი, რომელსაც ეკუთვნის „ცხოვრება და მოქალაქეობა ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოსი“. ეს ტექსტი წარმოადგენს არსენ ბერის თხზულების პერიფრაზულ და რამდენადმე შევსებულ რედაქციას. ავტორი თუმც უცნობია, მაგრამ ფრიად განათლებული პიროვნება. ჩანს.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ სვეტიცხოვლის ბიბლიოთეკა, რომელიც ჯერ კიდევ მე-11 საუკუნეში მელქისედეკ კათალიკოსის დროს მეტად მდიდარი ყოფილა, მე-13 საუკუნეში ძვირფასი ხელნაწერებით შეუვსია კათალიკოს ეპიფანეს. მართალია, ამ ბიბლიოთეკას მრავალგზის განუცდია რბევა, მაგრამ ბერები შეძლებისდაგვარად ყო-

ველთვის ცდილობდნენ გადაერჩინათ სულიერი საგანძური ერისა და გადაეცათ იგი მომავალი თაობისათვის.

გელათის მონასტერმა, ჯერ კიდევ ადრევე, თავი მოუყარა მაღალ კულტურულ ძალებს, როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის ქვეყნებიდან. აქ ღვიოდა კულტურულ-საგანმანათლებლო შემოქმედების ნაღვერდალი, რაც საბოლოოდ ისტორიის უკუღმართმა პერიოდმაც ვერ ჩააქრო.

მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში გელათის მონასტერში მოღვაწეობდა კათალიკოსი არსენ ბულმაისიმისძე. მისი სხვადასხვა თხზულებიდან და წერილიდან ჩანს, რომ იგი დიდად განსწავლული და განათლებული პირი ყოფილა, მაღალ შეფასებას აძლევდა ცოდნას და ადამიანის უდიდეს ნაკლად თელიდა უცოდინარობას.

მე-13 საუკუნეში გელათშივე ცხოვრობდა მწიგნობარი პეტრე გელათელი. ქართველი ისტორიკოსის პლატონ იოსელიანის ცნობით მას ეკუთვნის 6 თხზულება. ამასთანავე ანტონ კათალიკოსი პეტრე გელათელს ასახელებს როგორც გამოჩენილ რიტორსა და ფილოსოფოსს, ადარებს მას ისეთ დიდ სწავლულებს, როგორიც იყვნენ იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი და ეფრემ მცირე.

მონღოლთა შემოსევამ რომ ვერ შეძლო სავსებით ჩაეხშო ჩვენში კულტურის კერები, ამას ისიც ადასტურებს, რომ გარეჯის მონასტერში XIII საუკუნეშიც კი ძლიერი იყო სამხატვრო სკოლა; ყურადღებას იპყრობს ბერთუბნის ფრესკები თავისი კომპოზიციითა და მასშტაბებით.

შემონახულია აგრეთვე დოკუმენტი, რომლის მიხედვით დასტურდება, რომ კათალიკოს-პატრიარქ ექვთიმეს (1320-1340) უბრძანებია სახარების ეგზემპლართა გავრცელება, რომელთა დამზადებაც იასე ქიტიაშვილს დაავალეს. ამ უკანასკნელმა თურმე თავის 12 მოწაფეს გადააწერინა სახარების ეგზემპლართა საჭირო რაოდენობა და დაუგზავნა 7 სკოლას. როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, XIV საუკუნის დასაწყისში მხოლოდ ქურმუხის საეპისკოპოში 7 სკოლა ყოფილა, ამასთანავე ირკვევა, რომ აღნიშნულ სკოლებში სწავლობდნენ ღვთისმეტყველებას, ფილოსოფიას, ისტორიას (საეკლესიოსა და სამოქალაქოს). ისტორიის წიგნი (უფრო სწორად სახელმძღვანელო) დაუწერია ვინმე პეტრე ლაგიძეს.

მოიპოვება წყაროები, რომელთა მიხედვით დასტურდება, რომ ამ პერიოდში უწარმოებიათ ისტორიოგრაფიული მუშაობა, გადაუწერიათ ბევრი საყურადღებო თხზულება წინა საუკუნეებისა, დაუწერიათ ჰაგიოგრაფიული, იურიდიული და სხვა ჟანრის თხზულებანი; მაგალითად, XIV საუკუნეში გიორგი ბრწყინვალის თანამედროვე გელათელ

მოღვაწეს შეუქმნია საყურადღებო იერიდიული თხზულება „ხელმწიფის კარის გარიგება“. ამ თხზულებაში უხვადაა მოცემული მასალა როგორც სასულიერო, ისე საერო სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ.

XIV საუკუნის დამდეგიდან გიორგი ბრწყინვალის ღვაწლით (1314–1346) ჩვენი ქვეყნის შინაგანი განვითარებისათვის ერთგვარი ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. მან შემოიკრიბა თავის სამეფოში „ყოველი საქართველო“, დაიმორჩილა მთავრები და მეფეები, შეიმუშავა კანონები, რომელთა მიზანი იყო მთაში საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს შერყეული გავლენის აღდგენა. ამას ისიც დაემატა, რომ 1327 წლიდან მონღოლთა ურდოში ბზარი გაჩნდა. მეფე გიორგიმ ამითაც ისარგებლა, გააძლიერა თავისი ქვეყანა და გაათავისუფლა მონღოლთა ბატონობისაგან; გარეკა მონღოლთა დარჩენილი ჯარი და ხარკის მიცემაც შეწყვიტა.

ქართული ფეოდალური სახელმწიფო აღორძინების გზას დაადგა, შემოიერთა დასავლეთი საქართველო, ეკონომიურად გამოცოცხლდა ქვეყანა, მოიპრა ქართული ფული („გიორგაული“), გაცხოველდა ვაჭრობა შორეულ ქვეყნებთან, კერძოდ დასავლეთ ევროპასთან, აღდგა დიპლომატიური ურთიერთობა ეგვიპტესთან, ბიზანტიასთან და სხვ.

ასეთ აღორძინებას, ცხადია, განათლების საქმის გამოცოცხლებაც მოჰყვა.

ქსნის ხეობაში ლარგვისი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სამონასტრო ცენტრი ყოფილა. ეს მონასტერი XIII-XIV საუკუნეებისაა და შესახიშნავია იმით, რომ აქ უმოღვაწია ავგაროზ ბანდაისძეს (XIV ს.). საგალობელთა წიგნის მინაწერიდან ვგებულობთ, რომ მას შეუსწავლია რამდენიმე ხელობა — მწიგნობრობა, ხუცური წერა, ეტრატის (საგანგებოდ დამუშავებული ტყავი, რომელიც ძველად საწერ მასალად იხმარებოდა, „ტყავის ქაღალდი“) დამზადება, წიგნის შეკვრა, მხატვრობა, კერვა, ტყავის კერვა, ხუროობა, მიწათმოქმედება. ავგაროზსავე ეკუთვნის თხზულება „ძეგლი ერისთავთა“. აი, ამ ცნობებით შესაძლო ხდება დავასკვნათ, თუ რას სწავლობდნენ მაშინდელი ქართველები მონასტრებში. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ზოგიერთ მონასტერში, გარდა სასულიერო საგნებისა, მოსწავლეებს ეძლეოდათ ცხოვრებაში პრაქტიკულად გამოსადეგი ცოდნაც.

ამასთანავე, ლარგვისის სავანეში საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკაც ყოფილა.

„ძეგლი ერისთავთაში“ ნაამბობია, რომ გიორგი ბრწყინვალემ სპარსელებისაგან იერუსალიმის კლიტის გამოსახსნელად შალვა ქსნის ერისთავის ძე პიპა გაგზავნა, მას თან გაჰყვა დეკანოზი იოანე ბანდას

(თუ ბადანდას) ძეო. იქ ეს იოანე ქრისტეს საფლავის მოძღვართ-მოძღვრად უკურთხებიათ. „ბანდას (ბანდაის) ძეთა გვარი, ეტყობა, ქსნის საერისთაოში კულტურის მოღვაწეთა დინასტიას წარმოადგენდა“.[1]

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ და არ შევეხოთ მოძღვართ-მოძღვრის ცნების გაგებას.

ძველი ქართული სასულიერო და საერო მწერლობის ისტორიის უბადლო მცოდნე, აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე წერდა, რომ „სწავლა-განათლებისა და მწერლობის საქმის წინ წაწევას, უეჭველია, ხელს უწყობდა მ ო ძ ღ ვ ა რ თ-მ ო ძ ღ ვ რ ი ს ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი... მოძღვართ-მოძღვარი სასულიერო პირი იყო. კ ა რ ი ს გ ა რ ი გ ე ბ ი ს წარჩინებულ და დიდხარისხოვან მ ო ნ ა ზ ო ნ თ ა ო თ ხ ე უ ლ შ ი მას პირველი ადგილი უკავია, მას მეტი პატივი აქვს სხვა ეპისკოპოსებთან, წარმოიდგინეთ, თვით კათალიკოსთან შედარებით: მეფე მას მეტის კრძალულობით ექცევა, ვიდრე კათალიკოსსა და ჰყონდიდელს. მოძღვართ-მოძღვარს, როდესაც ის გამოდის სადმე, თან ახლავს მოწაფეები. როგორც შენახული საბუთებიდან ჩანს, მოძღვართ-მოძღვარი ცხოვრობს გელათში ეპისკოპოსის ხარისხით, ეს ალბათ, იმიტომ, რომ უმაღლესი სასწავლებელი, რომელსაც ის უშუალოდ განაგებდა, ამ დროს გელათში იყო. საქართველოს დანაწილების შემდეგ, მოძღვართ-მოძღვარის ინსტიტუტი სხვა სამეფოსა და სამთავროებშიაც გაჩნდა, მაგრამ მისი ფუნქციები, რასაკვირველია, ისეთი ვერ იქნებოდა, როგორც მთლიანი საქართველოს მოძღვართ-მოძღვრისა, რომელიც, თანამედროვე ტერმინი რომ ვიხმაროთ, განათლების მინისტრი იყო სახელმწიფოში. ტერმინი მოძღვართ-მოძღვარი გვაჩვენებს, რომ ყოფილან ამავე დროს მ ო ძ ღ ვ ა რ ნ ი ც. ასე იწოდებიან, ალბათ, ის ოსტატები ან მასწავლებლები, რომელთა ხელში იყო სწავლა-აღზრდისა და განათლების საქმე. ის პატივი და ყურადღება, — დასძენს აკად. კ. კეკელიძე, — რაც დამსახურებული ჰქონდა მოძღვართ-მოძღვარს თავისი თანამდებობის ძალით, მაჩვენებელია იმისა, თუ რამდენად ფასებდნენ საქართველოში სწავლა-განათლებასა და სასკოლო საქმეს“[2].

ჩვენი ერის სახელოვანი ისტორიკოსის, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის განმარტებითაც ასეევა: „მოძღვარი“ მეცნიერი ბერი იყო, რომელსაც მოწაფეები ჰყავდა. „მოძღვარი თავის მოწაფეს სულიერ სარწმუნოებრივ ხელმძღვანელობასაც უწევდა და მწერლობას, მეცნი-

---

[1] ვ. ბ ე რ ი ძ ე, ძველი ქართველი ოსტატები, თბილისი, 1967, გვ. 17.

[2] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 84. შდრ. „ხელმწიფის კარის გარიგება“, გამოც. ე. თაყაიშვილისა, თბილისი, 1920, გვ. XXIX-XXXIV.

ერებასა და რომელსამე ხელოვნებას ასწავლიდა; ე. ი. აღმზრდელიც იყო და მასწავლებელიც.

არ შეიძლება არ განვმარტოთ აგრეთვე გაგება მწიგნობართ-უხუცესისა. იგი სახელმწიფოს პირველი ვეზირი იყო და უეჭველია, მას სწავლა-განათლებისა და სკოლის საქმეზედაც ექნებოდა პირდაპირი გავლენა. მისი ხელქვეითი მწიგნობრები, რომელთა ხელშიც იყო მთელი სახელმწიფოს საქმის წარმოება, „უნდა მომზადებულიყვნენ ამ თანამდებობისათვის უმთავრესად, რასაკვირველია, სკოლებში. მაშასადამე, მწიგნობართ-უხუცესისათვის უმნიშვნელო არ იქნებოდა ამ სკოლების ასეთი თუ ისეთი მდგომარეობა“ [1].

ერთი სიტყვით, მოძღვართ-მოძღვარი კულტურის საქმეების უმაღლესი მესაჭე იყო, რომელსაც XVI საუკუნიდან გელათელი ეპისკოპოსი ცვლიდა. მოძღვართ-მოძღვარის თანაშემწედ კი წინამძღვარი ითვლებოდა.

XIV საუკუნის 80-იანი წლებიდან ჩვენს სამშობლოს თემურ-ლენგის ურდოები შემოესია, რამაც უწინდელზე უფრო მეტად დააზიანა ქვეყანა. თათარ-თურქმენთა თარეში თემურ-ლენგის გარდაცვალების შემდეგაც გრძელდებოდა. ყოველივე ამას საქართველოს ერთიანი სამეფოს რღვევაც მოჰყვა: გაჩაღდა ბრძოლა ქვეყნის შიგნით მეფე-მთავრებს შორის და უკვე XV საუკუნის დასასრულსა და XVI საუკუნის დამდეგისათვის საქართველო საბოლოოდ დაიყო ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხის საათაბაგოდ.

პოლიტიკურად დაჩაგრულები და დაუძლურებული, მტრულად განწყობილ ორ ძლიერ მაჰმადიანურ სახელმწიფოს შორის მომწყვდეული საქართველო თითქოს დასაღუპად იყო განწირული. ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ ქვეყნის გაეგოისტებულ მმართველებს არ ჰქონდათ შეგნებული ეროვნული მთლიანობის აუცილებლობა.

საქართველოს მაშინდელი კულტურის დაქვეითება იმითაც დასტურდება, რომ XV საუკუნისა და უფრო ადრინდელ ანდერძებსა და მინაწერებში, მართლწერაში უხეში შეცდომებია დაშვებული: ზოგიერთს თავისი სახელისა და გვარის სწორად დაწერაც კი ალარ შეძლებია.

გასაკვირი ისაა, რომ ასეთი არაადამიანური პირობების მიუხედავად, ქართველი ხალხი არ დაიღუპა და კულტურისა და მეცნიერების მთელი რიგი დარგების წარმომადგენელნი ცდილობდნენ შეექმნათ მაღალი შემოქმედების საუცხოო ნიმუშები.

უთუოდ აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ XV-XVI საუკუნეებში

[1] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 84.

ქახეთი თავისი სიმძლავრით საგრძნობლად გამოირჩეოდა სხვა სამეფო-სამთავროთა შორის. ვითარდებოდა სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა, ვაჭრობა. სწორედ ამ პერიოდში, კერძოდ, XV საუკუნეში დაწინაურდა ქალაქი გრემი.

ამასთანავე, არ შეიძლება დავიწყებას მივცეთ ის გარემოება, რომ სწორედ XV საუკუნეში მოღვაწეობდა ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული ძვირფასი კარაბადინის შედგენა. კარაბადინის მინაწერებში მოხსენებულია „ზაზა მკურნალი“, „ზაზა ფანასკერტელი ბრძენ-მთავარი“, რაც ამტკიცებს, რომ იგი დიდი მეცნიერია. კარაბადინის გადამწერი აღნიშნავს მის ღრმა განსწავლულობასა და დიდ მეცნიერულ ცოდნას. „ბრძენ-მთავარი ფანასკერტელი ზაზა“—ასეთი სახელი ზაზას სიცოცხლეშივე მოუპოვებია.

როგორც ჩანს, ზაზა უბრალო მკურნალი კი არ ყოფილა, არამედ საგანგებოდ განსწავლული პირი, შესაძლოა საკუთარი წელილის შემტანიც კი ქართული მედიცინის დარგში.

შეუძლებელია ზაზა ფანასკერტელს, თავისი დროის დიდ მედიკოსსა და მეცნიერს, არ ჰყოლოდა მოწაფეები და არ გადაეცა თავისი მდიდარი ცოდნა-გამოცდილება მომავალი თაობისათვის, ისევე, როგორც ეს მან თავისი წინაპრებისაგან მიიღო.

შინაურმა არეულობამ და გარსშემორტყმული ძლიერი მტრების მუქარამ ქართველი მეფე-მთავრები აიძულა მოკავშირეები ქრისტიანულ ევროპაში ეძიათ: ასე მაგალითად, ქართლის მეფე — კონსტანტინემ XV საუკუნის მიწურულს ესპანეთის დედოფალ იზაბელას სთხოვა დახმარების გაწევა თურქთაგან კონსტანტინოპოლის განთავისუფლებაში. შორეულმა ესპანეთმა, რა თქმა უნდა, იმედები ვერ გაამართლა, ოსმალეთი კი თანდათან ძლიერდებოდა.

ასეთ ვითარებაში ქართველი ფეოდალური საზოგადოების პროგრესულმა ნაწილმა გადაწყვიტა ერთმორწმუნე რუსეთისათვის ეთხოვა დახმარება. ამ დროისათვის რუსეთის მდგომარეობა უკვე საკმაოდ გამოსწორებული იყო, — 1480 წელს რუსეთმა საბოლოოდ მოიშორა თათარ დამპყრობთა უღელი. რუსეთთან ურთიერთობა ყველაზე ადრე კახეთის სამეფომ დაამყარა. 1491 წელს კახთა მეფე ალექსანდრემ მოსკოვის დიდ მთავარ ივანე III-ს ელჩები გაუგზავნა.

ეს იყო რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების პირველი ცდა, რაც შემდგომში უფრო გაძლიერდა და გაღრმავდა.

მიუხედავად უმძიმესი პირობებისა, კახეთი თავგამოდებით იცავდა ქვეყანას ყიზილბაშთა შემოსევისაგან, როგორც ხმლით, ასევე მოქნილი დიპლომატიითაც. მეფე ლევანმა უკვე ამიერკავკასიის საზღვრებს მიახლოებულ რუსთა მეფეს, ივანე IV-ს მფარველობა სთხოვა, 1564

წელს ივანე IV-მ მას დახმარება აღუთქვა და ჯარიც კი მისცა ციხეებში ჩასაყენებლად. მოსკოვის სახელმწიფოს საქართველოსადმი დახმარება აშკარა და რეალური ხდებოდა. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში რუსეთს საკუთარი ინტერესებიც ამოძრავებდა — კავკასიაში ფეხის მოკიდება ახალ პერსპექტივებს უხსნიდა მას აღმოსავლეთში. 1587 წელს ალექსანდრე კახთა მეფემ მოსკოვს უკვე ერთგულების ფიცი მისცა.

XVI საუკუნიდან რუსეთთან კულტურული ურთიერთობაც მყარდება. რუსეთიდან ჩამოდიან მხატვრები, ხელოსნები, რუსი მოღვაწეები ეცნობიან საქართველოს წარსულს და ქმნიან ლიტერატურულ ძეგლებს; ამ პერიოდს ეკუთვნის თხზულება — „თქმულება მეფის ასულ დინარაზე", რომელშიც აღწერილია თამარ მეფის დროის გმირული საქმეები.

მაგრამ მიუხედავად ამისა, საქართველოს ყიზილბაშთა და ოსმალთა შემოსევები არ ასვენებდა. მაჰმადიანთა ურდოებს განსაკუთრებით რუსეთ-საქართველოს კავშირი და რუსთა ჯარის გამოჩენა აღშფოთებდა. საჭირო იყო რუსეთთან ურთიერთობის კვლავ განმტკიცება. 1615 წელს მეფე თეიმურაზ პირველმა მოახერხა საქართველოს მეფე-მთავრებთან შეთანხმება და რუსეთში ელჩი გაგზავნა. 1624 წელს განმეორებით სთხოვეს დახმარება რუსეთის ხელმწიფეს. უკვე XVII საუკუნის პირველ მეოთხედში რუსეთში გართულებული საშინაო და საგარეო პირობების გამო შეუძლებელი იყო რუსეთის ხელმწიფე ირან-თურქეთის წინააღმდეგ აქტიურად გამოსულიყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ერთმორწმუნე რუსეთი საქართველოსათვის მაინც საიმედო ძალად ითვლებოდა.

ზემოაღნიშნულ ვითარებაში, ცხადია, ქართული კულტურისა და განათლების საქმე წარმატებებს ვერ მიაღწევდა, მაგრამ არც ის შეიძლება ითქვას, რომ კულტურული ცხოვრება ჩვენში სავსებით ჩამკვდარი ყოფილიყოს. უკვე XVI საუკუნიდან მოკიდებული, ქსნის ერისთავთა რეზიდენცია, ახალგორი (დღევანდელი ლენინგორი) საერისთაოს როგორც პოლიტიკურ, ეკონომიურ, ასევე კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ცენტრად ითვლებოდა. უძველეს წყაროებში იგი „მცირე ქალაქადაც" კი იხსენიება.

მტრების მიერ მრავალჯერ დარბეული და დაქცეული ალავერდის ტაძარი კვლავ ფეხზე დგებოდა და არა მარტო საეკლესიო, არამედ ერთ-ერთ ძლიერ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრადაც ითვლებოდა. XVI საუკუნის ერთ-ერთ ალავერდელ მოღვაწეს — ფილიპეს ახლო დამოკიდებულება ჰქონია სამეფო კართან, კერძოდ ალექსანდრე კახთა მეფესთან. ცნობილია, რომ ეს ფილიპე და ზაქარია ბოდბელი სამეცნიერო მუშაობასაც ეწეოდნენ.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ როცა გრემი კახთა მეფეების რეზიდენციად იქცა, აქ ჩქეფდა კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობა; ჯერ კიდევ XV საუკუნეში ანა დედოფლის ბრძანებით დაუმზადებიათ „ქართლის ცხოვრება", ხოლო „მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობა განსაკუთრებით გაიშალა XVI საუკუნის მიწურულიდან, როცა ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვიდნენ დავით მეფე და ქეთევან დედოფალი, ხოლო უფრო გვიან თეიმურაზ პირველი".[1]

ტაოს ერთ-ერთი ციხესიმაგრე (ქალმახში) მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდა. ასევე დიდ ინტერესს იჩენდნენ, მეცნიერებისადმი XVI საუკუნის აწყურელი მოღვაწენი.

ვარძიიდან 4 კილომეტრის დაშორებით, ვანის ქვაბთა მონასტერში, კედლებზე შემორჩენილია XV-XVI საუკუნეების მხედრული წარწერები, რაც ამ მონასტერში იმხანად არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაზე მიუთითებს. ეს წარწერები ნათელ წარმოდგენას იძლევა იმდროინდელი ქართული საზოგადოებრიობის მაღალ კულტურულ დონეზე.

ცნობილია აგრეთვე, რომ მიუხედავად ჟამთა სიავისა, იმერეთის სამეფო კარზე, კერძოდ ქუთაისში, მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მუშაობა ადრიდანვე წარმოებდა, თუმცაღა XVI საუკუნის პირველი მეოთხედიდან გელათის აკადემიის მეცნიერულ-საგანმანათლებლო მუშაობა შენელებულია, მაგრამ იგი კულტურულ-საგანმანათლებლო, ლიტერატურულ-შემოქმედებითი საქმიანობის ცენტრად მაინც დარჩა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 1651 წელს გელათი უნახავთ რუსეთის ელჩებს. როგორც მათი ჩანაწერებიდან ირკვევა, იგი XVII საუკუნის ნახევარშიც ჯერ კიდევ მდიდარი ყოფილა ბიბლიოთეკითა და ოქრომჭედლების ხელოვნების მაღალი ნიმუშებით.

მწიგნობრობა და განათლება იმერეთის სამეფო კარს ადრევე ახასიათებდა. XVII საუკუნეში კი იმერეთში კარგახანს ცხოვრობდა და ლიტერატურულ მუშაობასაც ეწეოდა მეფე თეიმურაზ პირველი. იმერეთში დაახლოებით იმავე ხანებში შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა ქართველი პოეტი ფე'შანგი. პოეტ-აკადემიკოს გიორგი ლეონიძის აზრით, ფე'შანგის შეუდგენია იმერეთის სამეფოს გეოგრაფიულ-ეკონომიური და სტატისტიკური აღწერილობა.

XVI საუკუნეში ძველი ქართული წერილობითი ძეგლების თაყვა-

[1] ლ. მენაბდე, „ძველი ქართული მწერლობის კერები", თბილისი, 1962, გვ. 361.

ნისმცემელნი და მისი გამავრცელებელნი არიან კათალიკოსები ევდემონ I ჩხეტიძე (1540-1578) და ექვთიმე საყვარელიძე (1578-1616). მათი თაოსნობით დამზადებულა მრავალი ხელნაწერი, კრებული და სხვ. ევდემონს გადაუწერინებია მთელი კომპლექტი ხელნაწერებისა, ასეთივე ღვაწლი გაუწევია ექვთიმესაც.

როგორც აკად. კ. კეკელიძე შენიშნავს, XIII-XVI საუკუნეებში კულტურის ახალ კერებზე აღარ არის ლაპარაკი, უმეტეს შემთხვევაში უკვე თარგმნილ თხზულებათა გადაწერას ეწევიან და ამით კმაყოფილდებიან.

ეს პერიოდი, XIII-XVI საუკუნეები, კულტურის დაქვეითებით ხასიათდება. მონასტრებში უმეტესად კალიგრაფიული მუშაობა წარმოებდა და ძირითადად გადამწერ ოსტატთა მომზადება ხდებოდა. ასეთი ვითარება არც XVII საუკუნის დასაწყისისათვის შეცვლილა.

შემორჩენილი ცნობით ისიც ირკვევა, რომ მთელ რიგ პუნქტებში, თუმც ასეთი პუნქტები ცოტა იყო, მაინც წარმოებდა გარკვეული შემოქმედებითი მუშაობა. მაგალითად, ვეცნობით რა გორელ მწიგნობართა საქმიანობას, ვგებულობთ, რომ ფარსადან გორგიჯანიძეს, რომელმაც იცოდა აღმოსავლური ენები, დაუწერია საქართველოს ისტორია, გაუწევია მთარგმნელობითი მუშაობა და სხვ., მაგრამ ასეთი შემთხვევები მეტად იშვიათი იყო.

კულტურისა და განათლების საქმის საგრძნობი აღმავლობა XVII საუკუნიდან იწყება. პირველ რიგში უნდა შევეხოთ ამ მხრივ სახელგანთქმული გარეჯის მონასტრების მუშაობას. ამ უძველესი საგანმანათლებლო კერის აღდგენა-განმტკიცებაში აქტიური მონაწილეობა მიუღია არჩილ მეფეს, ხოლო გარეჯის მონასტრების ცხოვრებაში ძირეული გარდატეხა 1690 წლიდან დაწყებულა, როდესაც ერეკლე პირველის მიერ მოწვეულმა საეკლესიო კრებამ გარეჯის მონასტრების წინამძღვრად ნიჭიერი, შრომისმოყვარე, ონოფრე მაჭუტაძე დანიშნა. იგი მთელი მონდომებით შედგომია საქმეს. მას განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისათვის, გაუზრდია მწერლებისა და კალიგრაფების რიცხვი, რომლებიც ამრავლებდნენ და ქმნიდნენ კრებულებს. უზომოა დამსახურება, რომელიც მიუძღვის ონოფრეს გარეჯის წიგნადი ფონდის ზრდის, გაფართოებისა და დაცვის საქმეში.

გარეჯის ნათლისმცემლის მონასტერში აღსაზრდელად შეჰყავდათ ბავშვები და მათ მომავალი საგანმანათლებლო მუშაობისათვის ამზადებდნენ. მონასტერში აღმზრდელებად ყოფილან მწიგნობრები ექვთიმე ბარათაშვილი და გაბრიელ საგინაშვილი.

XVII საუკუნის დასაწყისიდან თეით საეკლესიო-სამონასტრო ტიპის სკოლებშიც იჭრება ერთგვარი საერო განათლების ნაკადი.

ერეკლე პირველის ასულს, მარიამს (დაბად. 1696 თუ 1698 წ წ.) იმ დროისათვის სოლიდური განათლება მიუღია; თეით თეიმურაზ ბატონიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „იყო სწავლულ ქართულსა ენასა ზედა ფრიად“. მასვე შეუსწავლია უცხო ენები, კარგად ყოფილა გაწაფული ბერძნულში. 1716 წლიდან კი იგი ალავერდის მონასტერშია მონაზვნად. მარიამი ქართული კულტურის თავდადებულ მუშაკად ითვლებოდა და სხვებსაც კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისაკენ მოუწოდებდა.

უფრო ადრე ბოდბელი მოღვაწე დავითი, როგორც ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებიდან ჩანს, მშობლებს 1629 წელს მიუყვანიათ გარეჯს, სადაც იზრდებოდა „სულიერად სწავლითა“ იოსებ ვაჩნაძე ნინოწმინდელის მიერ, შემდგომ კი მის აღზრდას ხელმძღვანელობდა იოანე ჯორჯაძე.

გარეჯში მოღვაწეობდა აგრეთვე ცნობილი ქართველი მეცნიერი ანტონ I. ქართველი ისტორიკოსის — პლატონ იოსელიანის ცნობით, ანტონს, ერისკაცობაში თეიმურაზის სახელით ცნობილს, გარეჯშივე მიუღია აღზრდა, ხოლო როცა საზოგადოებრივ მოღვაწეობას შეუდგა, რამდენჯერმე დაბრუნებია იმ ადგილებს, სადაც ოდესღაც თვით მას ასწავლიდნენ და ზრდიდნენ. ფიქრობენ, რომ იგი სწორედ გარეჯში განაგრძობდა მწიგნობრულ საქმიანობას.

ყვარლის ახლოს მდებარე ნეკრესის შესანიშნავი ტაძარი ბევრი საინტერესო ამბის მომსწრეა. XVIII საუკუნის გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე დოსითეოს ჩერქეზიშვილი, იოანე ბაგრატიონის სიტყვებით რომ ვთქვათ, „კაცი მეცნიერი“, ნეკრესის ეპარქიას ხელმძღვანელობდა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. 1758 წელს სწორედ მან აკურთხა თელავის საფილოსოფოსო-საღვთისმეტყველო სკოლა და მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის საკმაოდ განათლებული იყო, თვითონაც შევიდა ამ სკოლაში, როგორც ერთ-ერთი მსმენელთაგანი — „თანამესხოლე პირველთა მესხოლეთა“. თავის ეპარქიაში მანვე დააარსა პირველდაწყებითი სკოლა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თელავის ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო სკოლა თელავის ფილოსოფიური სემინარიის წინამორბედი იყო.

დოსითეოს ნეკრესელის მიერ გახსნილ პირველდაწყებით სკოლასა და თელავის ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო სკოლას აღფრთოვანებაში მოუყვანია მეფე ერეკლე II, რომელმაც მის დამაარსებელს მის-

წერა, რომ მეტად კმაყოფილი დარჩებოდა, თუ მთელი გულისყურით იზრუნებდნენ ამ სკოლებზე.

ქსნის საერისთაოში, ლიახვის ხეობაში სოფელ ბელოთშიც, წარმოებულა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა. XVIII საუკუნის 70-იან წლებში აქ უმოღვაწიათ მწიგნობრებს — იასე ბარათაშვილს (1728-1786) და სოლომონ მესხიშვილს (1742-1808).

გარეჯის ნათლისმცემლის მონასტერში (XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან) ექვთიმე მჭედლიშვილის წინამძღვრობის დროს ყვაოდა შემოქმედებითი საგანმანათლებლო მუშაობა. თვით ექვთიმე მჭედლიშვილი (ხათლისმცემელი), როგორც ამაზე „კალმასობაში“ მოგვითხრობს იოანე ბატონიშვილი, მეტად საინტერესო პიროვნება ყოფილა: „კაცი ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი, სათნოებათა ზედა უცხო მოქადაგე“, ე. ი. არა მარტო ცოდნით მდიდარი, არამედ მაღალი ზნეობის მქადაგებელი. მაგრამ კიდევ უფრო საინტერესო ის არის, რომ მას ჰყოლია მოწაფეთა გარკვეული წრე, უსწავლებია მათთვის ფილოსოფია და ღვთისმეტყველება. და ზნეობრივადაც აღუზრდია ისინი.

XVIII საუკუნის 60-იან წლებში იმერეთში ჩავიდა და მოღვაწეობდა (როგორც იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში“ წერს), „ძველთა ფილოსოფიისა სწავლათა შინა გამოცდილი და ღვთისმეტყველებასაცა მიწევნილი, მშვენიერი რიტორი და უცხო მოქადაგე“ ზაქარია გაბაშვილი (1707-1783).

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა გრძელდებოდა ჯრუჭის მონასტერშიც. დიაკონ-მონაზონ მაქსიმეს (1785 წ.) გადაუწერია იოანე ოქროპირის „სწავლანი“, ხოლო 1788 წ. იოანე ზაქარიას ძე გაბაშვილს — „სათნოებათა ყვავილი“ და „მამათა სწავლანი“. ჯრუჭის მონასტერში ყოფილა წიგნსაცავი, რომელიც სისტემატურად მდიდრდებოდა შეწირულებით: მაგალითად, მარტო 1765 წელს შეწირულების გზით ამ წიგნსაცავს მრავალი ძვირფასი ხელნაწერი შეემატა.

ჯერ კიდევ X საუკუნიდან კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობით ცნობილია ჰყონდიდის მარტვილის მონასტერი. 1777-1788 წლებში ჰყონდიდის ეპარქიას მართავდა გამოჩენილი პიროვნება, სამეგრელოს მთავრის, ოტია დადიანის (1728-1744) შვილი, მწერალი ანტონ ცაგარელ-ჰყონდიდელი. იგი, ცხადია, ჯერ ოჯახში, მთავრის კარზე აღიზარდა, ხოლო შემდგომ მარტვილის მონასტერში ეზიარა სასულიერო მწერლობას. სწავლის გასაგრძელებლად ანტონი აღმოსავლეთ საქართველოში გაემგზავრა და იმდროინდელი თვალსაჩინო მეცნიერის, ფილიპე ყაითმაზაშვილის მოწაფე გახდა. ანტონმა იმდენად კარგად შეისწავლა ფილოსოფია და ღვთისმეტყველება, რომ მალე თავის მას-

წავლებელთან თანამშრომლობა დაიწყო; ანტონს და ფილიპეს ერთად უთარგმნიათ და გადმოუკეთებიათ რიგი თხზულებებისა.

XVIII საუკუნის მიწურულს ალავერდის მონასტერში მოღვაწეობდა მზეკაბუკ ორბელიანის მიერ ფილოსოფიური ცოდნით შეიარაღებული იოანე ლარიძე. იგი მწერალიც ყოფილა და მოღვაწეობდა როგორც ლიტერატორი. ალავერდის მონასტერში არსებობდა დიდი ბიბლიოთეკა, რომელიც მდიდრდებოდა როგორც იქვე გადაწერილი, ასევე სხვაგან დამზადებული და შემოწირული წიგნებით.

სიღნაღის მახლობლად, ბოდბის უძველეს ტაძარში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას. აქვე არსებობდა მდიდარი ბიბლიოთეკა და, რაც ყველაზე მეტად საინტერესოა, „სასწავლებელი, სადაც ცოდნას იძენდნენ მომავალი საეკლესიო მოღვაწენი და კულტურულ-ლიტერატურული ფრონტის მუშაკები. სხვათა შორის, იქაურ სასწავლებელში აღიზარდა ძველი ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწე იოანე ხელაშვილი“.[1]

ქართლში, დუშეთის მახლობლად მდებარე წილკნის უძველეს ეკლესიაში XVIII საუკუნის მიწურულში მოღვაწეობდა იოანე ონისიფორეს ძე ქარუმიძე. იოანე გარეჯის მონასტერში აღზრდილა, უსწავლია ფილოსოფია და „სხვანი სწავლანი“, ყოფილა კეთილმოუბარი და „მამათა ცხოვრების“ მცოდნე. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ თვით იოანე ქარუმიძეს აღუზრდია ცნობილი ქართველი მწერალი იოანე იალღუზის ძე. როგორც პროფ. ლ. მენაბდე შენიშნავს, „1800 წლის საბუთებიდან ჩანს, რომ იოანე ქარუმიძე ახალგაზრდებს მეცნიერულ დისციპლინებს (ლოგიკას და სხვ.) ასწავლიდა“ .

წილკნის არქიეპისკოპოსი იოანე (ქარუმიძე) 1800 წელს წერდა: „მყავს ოთხი მოწაფე, რომელთაც ვასწავლი მეცნიერებათა, ახლა ისინი გადიან ლოღიკას“.

იოანე ქართველიშვილის (1772-1816) მემუარებიდან ვგებულობთ, რომ „ახტალის ეკლესიასთან არსებულ სკოლაში ეპისკოპოსი ვ. ერისთავი ასწავლიდა „რიტორიკას, კატეგორიებს, ლოგიკას, მეტაფიზიკას“.

XVIII საუკუნის მიწურულიდან წარმატებით ეწეოდა პედაგოგიურ მუშაობას კალოუბნის ეკლესიასთან არსებული სკოლის მასწავლებელი იოანე მღვდელი, რომელთანაც თურმე უსწავლია შემდგომში ცნობილ მემუარისტსა და მწერალს იოანე ქართველიშვილს. ი. ქართველიშვილის გადმოცემით იოანე მღვდელი ყოფილა თავის დროისათვის მეტად განათლებული, წარჩინებული მასწავლებელი და გულისხმიერი აღმზრდელი.

---

[1] ლ. მ ე ნ ა ბ დ ე „ძველი ქართული მწერლობის ქერები“, 1962, გვ. 356.

პროფ. გ. თავზიშვილი, იშველიებს რა იონა მეუნარგიას ცნობებს, ადასტურებს ბოდბის მონასტერში საშუალო ტიპის სკოლის არსებობას.

მართლაც, ი. მეუნარგიას ცნობით, ახალგაზრდა თაობა ეკლესიებსა და მონასტრებში ღებულობდა სწავლა-განათლებას. ასწავლიდნენ წერა-კითხვას, გრამატიკას, რიტორიკას, ფილოსოფიას, ღვთისმეტყველებას, ძველთა სამეფოთა ისტორიას და სხვ.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ საეკლესიო-სამონასტრო სკოლებმა, მიუხედავად ბევრი უარყოფითი მხარისა, ჩვენში XIX საუკუნის დამდეგამდე გარკვეული სასარგებლო როლი შეასრულეს ცოდნის გავრცელების საქმეში. ასეთი სკოლები XIX საუკუნის დასაწყისშიც აგრძელებდნენ მუშაობას, მაგალითად, მღვდელ დავით ჩუბინიძის სკოლა ნათლისმცემლის ეკლესიასთან თბილისში (ახლანდელ ბარათაშვილის ხიდთან); სხვათა შორის ამ სკოლაში უსწავლია ცნობილ ქართველ ისტორიკოსს პლატონ იოსელიანს. ამ სკოლას 1817 წლამდეც კი უარსებია. სკოლები იყო აგრეთვე სიონის, კალოუბნის, მეტეხის, ქაშვეთის, ანჩისხატისა და სხვ. ეკლესიებთან.

როგორც პროფ. გ. თავზიშვილი წერს, „აღსანიშნავია ანტონ II კათალიკოსის პასუხი საქართველოს მთავარმართებელ კნორინგისადმი: 1801 წლის თებერვალში, შეკითხვაზე, — არის თუ არა (საქართველოს) ეპარქიაში სასწავლებლები და თუ არის — სად, რას ასწავლიან მათში და ვინ ინახავს", ანტონ II-ს უპასუხია: „ბავშვებს ასწავლიან ქართლისა და კახეთის ყველა ეპარქიაში (დასავლეთი საქართველო მაშინ ჯერ კიდევ არ იყო შეერთებული რუსეთის იმპერიასთან) წერა-კითხვას და გალობას, ამ მოწაფეებს თავიანთ ოჯახებში ინახავენ".

პროფ. გ. თავზიშვილი სავსებით ლოგიკურად ასკვნის, რომ „ეს სკოლები, როგორც ჩანს ანტონის პასუხიდან, ელემენტარული წერა-კითხვის სკოლები იყო, მაგრამ მათ გარდა ეპარქიის ცენტრებში და კათედრულ ტაძრებთან არსებობდნენ საშუალო ტიპის სკოლებიც, რომლებშიც ასწავლიდნენ რიტორიკას, გრამატიკას, ფილოსოფიას, ფიზიკას, ისტორიას და სხვ".

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი უმთავრესი გარემოება, რომელზედაც ყველა ძველი ისტორიკოსი დუმილს არჩევდა. საქმე იმაშია, რომ ოჯახებში, კერძო მასწავლებლებთან თუ ეკლესია-მონასტრებში სწავლობდნენ მხოლოდ მაღალი არისტოკრატიული წრეებისა და ქალაქის მოსახლეობის მხოლოდ ზედა ფენის წარმომადგენელთა შვილები.

ბ) საერო აღზრდა-განათლება საქართველოში XVII-XVIII საუკუნეებში

XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების შედარებით გაუმჯობესებასთან ერთად გამოცოცხლდა მეცნიერული, ლიტერატურული მუშაობა და, შეიძლება ითქვას, პედაგოგიური აზროვნებაც. XVII საუკუნეში ვხვდებით პირველ საერო ხასიათის სკოლებსაც. საგრძნობლად გაიზარდა წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი. აღმავლობის გზას დაადგა ვაჭრობა-ხელოსნობა, საქალაქო ცხოვრება და ამასთან დაკავშირებით სახელოსნო განათლებაც.

თუ XVII საუკუნემდე კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობაში უმეტესად სასულიერო პირები იყვნენ ჩაბმული და სწავლა აღზრდასაც ძირითადად სასულიერო-რელიგიური ხასიათი ჰქონდა, შემდგომ უკვე ამ საქმეში საერო პირებიც იღებდნენ მონაწილეობას, უმეტესად სამეფო გვარეულობიდან (კაცებიცა და ქალებიც), შექმნილი იყო მთელი სკოლა მგალობლებისა, რომელთა მეოხებით ვრცელდებოდა მუსიკალური განათლება (ცოდნა) საქართველოს ყველა კუთხეში; ამ მხრივ განსაკუთრებით ცნობილი ყოფილან ლეონტი სოლოღაშვილი, ისაკი კანდელაკი და სხვ.

XVII საუკუნეში ქართული საზოგადოების მაღალ წრეებში განსაკუთრებით ძლიერდება ინტერესი „სამოქალაქო მეცნიერების" — პოეზიის, უცხო ენების, ფილოლოგიის, ისტორიის, გეოგრაფია-ასტრონომიის, მედიცინისა და სხვა მეცნიერებათა შესწავლისადმი. სწორედ ამიტომ იყო, რომ თეიმურაზ I თავის თანამედროვეთა შესახებ წერდა:

„არვის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთა".

სასწავლო წიგნები, სახელმძღვანელოები უმეტესად ხელნაწერის სახით იყო წარმოდგენილი. ასეთი წიგნები მრავლად ინახებოდა სათანადო საცავებში, რომლებიც უმთავრესად ეკლესია-მონასტრებთან არსებობდა; მათ შორის უდიდესი იყო მცხეთის წიგნსაცავი. XVIII საუკუნის დამდეგისათვის კი თბილისშიც საგანგებოდ მოუწყვიათ წიგნსაცავი სიონის მახლობლად.

რაკი წიგნსაცავები ეკლესიასთან, ან ეკლესიათა მახლობლად იყო, ეს იმას ნიშნავდა, რომ ხელნაწერები უსათუოდ მხოლოდ სასულიერო-რელიგიური შინაარსისა უნდა ყოფილიყო. აღსანიშნავია, მაგალითად XVII საუკუნის ორი არითმეტიკული თხზულება გ. თარხნიშვილისა და დ. ციციშვილისა. ერთი მათგანი, გარდა მათემატიკური ღირებულებისა, ყურადღებას იქცევს იმითაც, რომ მასში მოტანილი ამოცანები აღებულია უშუალოდ ცხოვრებისეული პრაქტიკიდან, და

ამასთანავე საინტერესოა იმდროინდელი საქართველოს ეკონომიური ისტორიის თვალსაზრისითაც. მეორე ნაშრომში იგრძნობა იმდროინდელი ევროპული ლიტერატურის სათანადო ცოდნა და ცდა ქართულ მათემატიკურ ენაში ლათინური ტერმინოლოგიის დანერგვისა.

ცნობილია, რომ 1629 წელს ქართველი მწიგნობრის ნიკიფორე (ნიკოლოზ) ჩოლოყაშვილის (ირბაქის) თანამშრომლობით რომში დაარსდა ქართული სტამბა და დაიბეჭდა ქართულ-იტალიური ანბანი ლოცვებითა და ქართულ-იტალიური ლექსიკონით. 1643 წელს კი რომშივე დაიბეჭდა და ორჯერ გამოიცა ქართული ენის გრამატიკა, რომლის ავტორადაც ცნობილია ფრანცისკ მარია მაჯიო.

ქართულ-იტალიური ლექსიკონის ავტორად სტეფანე პაოლინისთან ერთად მოხსენებულია ნიკიფორე ჩოლოყაშვილი (ირბაქი). ის იყო თეიმურაზ I-ის ელჩი, მეტად განათლებული და მრავალი ენის მცოდნე ქართველი. ნ. ჩოლოყაშვილსვე ეკუთვნის „ქართული ანბანი“ და ლოცვები, მასვე მიუძღვის მნიშვნელოვანი ღვაწლი პირველი ქართული მხედრული სასტამბო შრიფტის ჩამოსხმაშიც.

პირველნაბეჭდი ლექსიკონისა და „ანბანის“ ქართულ ტექსტებში გაპარულია მრავალი შეცდომა, რაც იმით აიხსნება, რომ ქართული მასალის ბეჭდვის დროს ნიკიფორე (ნიკოლოზ) ჩოლოყაშვილი რომში აღარ იყო. მიუხედავად ამ ნაკლისა, ეს პირველი ქართული წიგნები, დაბეჭდილი მხედრული შრიფტით და დაწერილი სასაუბრო ხალხური ენით, ქართული წიგნების ბეჭდვის ისტორიაში მნიშვნელოვან მოვლენად ითვლება.

ჰეშმარიტებას როდია მოკლებული ის აზრი, რომ კათოლიკურ ეკლესიას ქართული წიგნების გამოცემის საქმეში მარტო საქველმოქმედო მიზნები არ ამოძრავებდა. რომაელი მისიონერები საჭიროებდნენ ენის ცოდნას, რადგან გარკვეული სავაჭრო ინტერესები იზიდავდა მათ აღმოსავლეთის ქვეყნებში.

აღსანიშნავია, რომ უკვე ამ დროისათვის გაფართოვდა ქართველთა საერთაშორისო კულტურული ურთიერთობის ფარგლები, გაიზარდა უცხო ენათა მცოდნეების რიცხვი; გარდა საბერძნეთისა, ახლა უკვე კავშირი გაიბა დასავლეთ ევროპასა, რუსეთსა და სხვა ქვეყნებთან.

საქართველოში კათოლიკეთა მისიონერობა ჯერ კიდევ XIII საუკუნიდან იწყება. რუსუდან დედოფლის დროს მოდიოდნენ საქართველოში სხვადასხვა ორდენის მისიონერები: დომინიკიანები, ფრანჩისკიანები, თეათინელნი, კაპუცინები და სხვ. ისინი აფუძნებდნენ ჩვენში საკუთარ ეპარქიასა და ეკლესიებს. თავის მხრივ მისიონერთა მეშვეობით ქართველები ცდილობდნენ რომის პაპის ყურადღების მიპყრობას. ეს მისიონერები, უმეტესად დასავლეთ ევროპის დახელოვნებული მზვერავ-აგენტები იყვნენ და თავიანთი საქმეების წარმატებით შესრულების მიზნით გულმოდგინედ სწავლობდნენ ქართულს. უფრო მეტიც, ისინი იყენებდნენ სპეციალურ ორგანიზაციას — „პროპაგანდის კოლეგიას“ რომში, სადაც სხვა აღმოსავლურ ენებთან ერთად ქართულ ენასაც სწავლობდნენ.

XVII საუკუნეში იტალიელმა მისიონერებმა თბილისში გახსნეს სკოლა. 1667 წელს პატრი კარლო თბილისიდან რომში წერდა, რომ თბილისში უკვე ჩვენს სკოლას 25 მოსწავლე ჰყავსო. სულ მალე ეს რიცხვი 40-მდე და შემდგომში უფრო მეტად გაიზარდა.

იტალიელ მისიონერებთან ერთად საქართველოში თავისი გავლენის გავრცელებას ცდილობდნენ აგრეთვე ფრანგებიც. ჩვენში კათოლიკე მისიონერთა მიერ გახსნილ სკოლებს გარკვეული მიზანი ჰქონდა. როგორც უკვე ვთქვით, მისიონერები, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა სავაჭრო კაპიტალის აგენტები იყვნენ და კათოლიკური ქრისტიანობის გავრცელებით აარსებდნენ საკუთარ ბაზებს ჩვენს ქვეყანაში. მიუხედავად ასეთი ზრახვებისა, ამ სკოლებს მაინც ჰქონდა დადებითი მნიშვნელობა იმ მხრივ, რომ აქ ისწავლებოდა როგორც ქართული წერა-კითხვა, ასევე ლათინური, იტალიური, ფრანგული ენები და მეცნიერების სხვადასხვა დარგი. ქართველი ახალგაზრდობა ეცნობოდა იმ კულტურულ მოძრაობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა მაშინდელ ევროპაში.

მისიონერებს მოსწავლეები ჰყოლიათ მეფისა და მსხვილ ფეოდალთა სასახლეებში, ხოლო სამოქმედო ცენტრები თბილისის გარდა ჰქონიათ გორში, ახალციხეში, ქუთაისში და სხვ.

საქართველოში მყოფ მისიონერთა შორის იყვნენ ექიმები, მხატვრები, მწერლები, ინჟინრები, გეოგრაფები და ასტრონომები; ისინი ასწავლიდნენ საქართველოში გახსნილ კათოლიკურ სკოლებში, რითაც ხელს უწყობდნენ იმ დროისათვის შედარებით მოწინავე მეცნიერული ცოდნის გავრცელებას.

1670 წლიდან ქართველებს ორი ადგილი ჰქონდათ დათმობილი რომის უმაღლეს თეოლოგიურ სასწავლებელში, სადაც იგზავნებოდნენ ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდები თბილისის სკოლის კურსდამთავრებულთაგან. ზოგი ქართველი თავადიშვილი კი ნეაპოლის სამეფო სკოლაში „სამოქალაქო მეცნიერებას“ სწავლობდა.

ასე გავრცელდა და ერთგვარად განმტკიცდა კიდეც საქართველოში დასავლეთ ევროპის კულტურის გავლენა, რომელმაც, ცხადია, გარკვეული კვალი დატოვა.

საგულისხმოა ერთი გარემოებაც. საქართველოში მყოფი უცხოელი მოგზაურები ჯერ კიდევ XVII საუკუნის 60-80-იან წლებში ამჩ-

ნევდნენ, რომ ჩვენში მოწინავე საზოგადოებას მისწრაფება ჰქონდა საერო მეცნიერული ცოდნისაკენ, ე. წ. „სამოქალაქო მეცნიერებისაკენ". ანტიოქიის პატრიარქის მაკარიოსის შვილი პაველე ალაბელი, რომელსაც მამასთან ერთად უმოგზაურია ჩვენში, XVII საუკუნის 60-70-იანი წლების ქართველებზე წერს: „იცოდე, აგრეთვე, რომ ქართველებს აქვთ დიდი და საოცარი ცოდნა, განსაკუთრებით ლოღიკის სფეროში, თუმცა თავის სამშობლოდან არსად გადიან".

ცხადია, ქართველები საქართველოშივე იძენდნენ ცოდნას ლოგიკის, ფილოსოფიის თუ მეცნიერების სხვა სფეროში, რითაც უცხოელებიც კი გაუოცებიათ.

ევროპული კულტურის გავლენას რუსული კულტურის გავლენაც ემატებოდა, რაც ხელს უწყობდა ჩვენში პირველდაწყებითი და საშუალო სკოლების რიცხვის გამრავლებას. ასე რომ, სწავლა-განათლების საქმე XVII საუკუნის მიწურულისა და XVIII საუკუნის დასაწყისიდან განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა.

განსაკუთრებით XVII საუკუნიდან საქართველოში გარკვევით შეინიშნებოდა განსხვავება აღზრდა-განათლების საერო და სასულიერო სისტემებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ თვით მონარქი აღიარებდა, არვის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთაო, სასულიერო განათლების და რელიგიური აღზრდის ხელაღებით უარყოფა იმ დროისათვის ადვილი როდი იყო. სასულიერო აღზრდა-განათლების სისტემა თუმცა საგრძნობლად შესუსტდა, მაგრამ მაინც ინარჩუნებდა ტრადიციულ ავტორიტეტს.

ჯერ ერთი, ჭაბუკთა ფიზიკურ აღზრდაზე და მათ სამხედრო მომზადებაზე არ შეიძლებოდა არ ეფიქრა ქართველს, რადგან ფიზიკური ხიმძლავრე და სამხედრო სიმარჯვე იყო თითქმის ერთადერთი საშუალება ურიცხვი მტრების წალეკვისაგან გადარჩენისა. ამასთანავე, ცხადია, ფიზიკური აღზრდა მჭიდროდ იყო დაკავშირებული შრომით პროცესებთანაც, მით უმეტეს, როცა დაბალი და საშუალო ფენების ახალგაზრდობა ძირითადად სამიწათმოქმედო თუ სახელოსნო სამსახურისათვის ემზადებოდა. აქედან გამომდინარე, მოზარდებს ასწავლიდნენ როგორც შრომის, ასევე ბრძოლის ხერხებსა და საშუალებებს. ფიზიკურ აღზრდაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ცხენოსნობას.

ვაჟებთან ერთად გარკვეული ყურადღება ეთმობოდა ქალთა აღზრდა-განათლების საქმესაც. საქართველოში ადრიდანვე ასწავლიდნენ გოგონებს ხელსაქმეს, ბოსტნის მოვლას და წამლების დამზადებასაც, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, რომ ქალებს წერა-კითხვას არ ასწავლიდნენ ან სხვა რამ ცოდნას არ აძლევდნენ. ზოგჯერ პირი-

ქითაც ხდებოდა: ქალები უფრო მეტ გონებრივ აღზრდას ღებულობდნენ, ვიდრე ვაჟები. მამია გურიელის (1789-1826) ასულის აღზრდის შესახებ დარჩენილი ცნობიდან ვიცით, რომ ქალებს ასწავლიდნენ საღვთო წიგნებს, წერა-კითხვას, საგმირო თხზულებებს, „რომელნიცა აღამაღლებდნენ გრძნობათა მათთა ყოველთა კეთილობითა... ერთი სიტყვით, წიგნობრივი აღზრდა ქალთა მრავლით აღემატებოდა აღზრდასა კაცთასა".

ცნობილია, რომ საერო ცხოვრებაში წერა-კითხვის გავრცელების უმთავრეს ძალას საქართველოში ქალი წარმოადგენდა. მოგზაურ არქანჯელო ლამბერტის ცნობით, რომელიც XVII საუკუნეს ეკუთვნის, დასტურდება, რომ „ქართული წერა-კითხვა სულ მოსპობილი იქნებოდა აქ, რომ ქალებს არ შეენახათ იგი. ასე, რომ თუ ვისმე უნდა კითხვა შეისწავლოს, უნდა რომელსამე ქალს მიებაროს სასწავლებლად".

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მეტყველებს, რომ ქალი ჩვენს ქვეყანაში მარტო ვიწრო საოჯახო მეურნეობით კი არ იყო დაკავებული, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც საკმაოდ საპატიო მოვალეობას ასრულებდა.

საერო აღზრდა-განათლების სისტემაში გარკვეული ყურადღება ეთმობოდა ზნეობრივ წრთობასაც. ფიზიკურ აღზრდასა, წერა-კითხვისა და ელემენტარული არითმეტიკის სწავლებასთან ერთად ბავშვებს აცნობდნენ ყოფა-ცხოვრების ზნეობრივ ნორმებს; უნერგავდნენ მათ კაცთმოყვარეობას, ზრდილობას, პატიოსნებას, სიმართლის გრძნობას, მორიდებას, ამასთანავე, პირდაპირობას, თავმდაბლობას, უფროსებისადმი პატივისცემას, გამგონეობას, სუსტზე მზრუნველობას, საზოგადოებაში თავის დაჭერის ჩვევებს, საუბრის წესებს, დისციპლინას და სხვ.

ზნეობრივ აღზრდას ხშირად ე. წ. ოსტატები (მასწავლებლები) ეწეოდნენ, მაგრამ ოჯახი მაინც დიდ როლს ასრულებდა პიროვნების ზნეობრივად ჩამოყალიბებაში. ტრადიციული საოჯახო წესები, მშობლების პირადი მაგალითი მძლავრი აღმზრდელობითი საშუალება იყო. ახალგაზრდობის ზნეობრივ აღზრდას დიდად უწყობდა ხელს თვით საზოგადოებაც; თუ იმდროინდელ ქართველთა მოგონებებს დავუჯერებთ, „უწინ სად გაიგონებოდა უშვერი სიტყვა საქართველოში".[1]

საქართველოში საერო აღზრდის წესებში ერთი რამ იყო კიდევ ღირსშესანიშნავი და საყურადღებო — უხეში ფიზიკური დასჯის უარყოფა.

---

1 ალ. ორბელიანი, „ჩემი შეცთომილება", საქ. მუზ. წ. კ. ს. ფ. 1659.

პროფ. გ. თავზიშვილი დაბეჯითებით აცხადებს, „XIX საუკუნის დასაწყისამდე ჩვენ არ მოგვეპოვება რაიმე ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს სამინაო სწავლა-აღზრდის დროს ადგილი ჰქონოდეს მოწაფის უხეშ ფიზიკურ დასჯას, როგორც მის გამასწორებელ ღონისძიებას. იეზუიტური და რუსული „დომოსტროის“ ფიზიკური დასჯის სისტემა ჩვენმა საოჯახო აღზრდამ ძველად, XIX საუკუნის დამდეგამდე, არ იცოდა, ასევე არ იცოდა როზგიც. საქართველოში ის შემოდის XIX საუკუნის დასაწყისიდან, მაგრამ არაოფიციალურ, ე. ი. სამინაო და ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებში მაინც არ იყო მისი ჰაპანება“.[1]

პროფ. გ. თავზიშვილი სავსებით სწორად დასძენს: ქართველებს შესანიშნავად ესმოდათ, რომ ცემა-ტყეპით აღზრდილი ბავშვები მხდალი და მონური სულის პატრონები გამოვიდოდნენ.

ასე რომ, ქართული საერთო აღზრდის სისტემა, საკმაოდ მრავალმხრივი იყო და ხელს უწყობდა ადამიანის ჰარმონიულ განვითარებას.

გ) პროფესიული განათლება — საერო აღზრდა-განათლების მნიშვნელოვანი დარგი

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საერო აღზრდა-განათლების შედარებით უფრო დახვეწილ ფორმას პროფესიული განათლების სისტემაში ვხედავთ. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ თუ ზოგად განათლებას ოჯახებში, კერძო მასწავლებლებთან ან ეკლესია-მონასტრებში მოსახლეობის მხოლოდ მცირე, ზედა ფენის წარმომადგენელთა შვილები იღებდნენ, პროფესიულ განათლებას მშრომელთა შვილები ღებულობდნენ და, რაც მთავარია, განათლების ეს დარგი უფრო ახლოს იდგა ცხოვრების სინამდვილესთან, რადგან მას უშუალოდ ცხოვრების მოთხოვნილებისათვის უნდა ეპასუხა.

პროფესიულ განათლებას საქართველოში უხსოვარი დროიდან ჰქონდა ფეხი მოკიდებული. XIII-XIV საუკუნეებში მონღოლთა შემოსევამ დასცა ქვეყნის ეკონომიური და კულტურული ცხოვრება, დასცა სოფლის მეურნეობა და ხელოსნობა. საქართველოს მწარმოებელ საზოგადოებას მონღოლთა სახით ახალი ექსპლუატატორი მოეპატა; XVI-XVII საუკუნეებში ირან-ოსმალეთმა შემოუტია ქვეყანას, რამაც მაღალი გემოვნებით შესრულებული ხელოვნების ნიმუშთა რიცხვი შეამცირა; შემცირდა მწარმოებელი მოსახლეობაც, მაგრამ 1630

[1] გ. თავზიშვილი, „სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორია საქართველოში.“ 1948, II, გვ. 233.

წლის ზავის თანახმად, როდესაც ოსმალ-ირანელთა თავდასხმები დროებით შეწყდა, დაიწყო სოფლებისა და ქალაქების აღორძინებაც.

გამოჩნდნენ ევროპელი ვაჭრები, გაჩნდნენ წერილი ხელოსნები. XVII საუკუნეშივე ვხვდებით თბილისში პირველ მესაათე ხელოსნებს. ამ პერიოდის სახელოსნო განათლებაზე მცირე ცნობას გვაწვდის XVII საუკუნის იტალიელი მისიონერი ბერნარდე ნეაპოლელი. იგი წერდა: „ბავშვები, გახდებიან თუ არა რვისა, ან სულ ბევრი, ათი წლისა, მშობლებს ჩვენგან გაჰყავთ (ალბათ იგულისხმება კათოლიკური სკოლიდან — გ. ს.) და აყენებენ ხელობაზე“.

XVII საუკუნემდე არსებულ წერილობით წყაროებში ვხვდებით პროფესიული განათლების კერების ან ინდივიდუალური შეგირდობის (მოწაფეობის) არსებობის დამადასტურებელ ცნობებს. ამასთანავე, როგორც კარლ მარქსი აღნიშნავდა, „ადამიანის საერთო ბუნების ისე ჭარდასაქმნელად, რომ მან შეიძინოს დახელოვნება და გაწაფულობა შრომის განსაზღვრულ დარგში, გადაიქცეს განვითარებულ და სპეციფიკურ სამუშაო ძალად, საჭიროა გარკვეული სწავლა ანუ აღზრდა“[1]. (კურსივი ჩვენია — გ. ს.).

რომ არ ყოფილიყო აღზრდა, სწავლება, სპეციალური დახელოვნება, გამოცდილების ორგანიზებული გადაცემა მომავალი თაობისათვის, წარმოუდგენელი იქნებოდა არა მარტო ხელოსნობის, რომლის შესანიშნავ ნიმუშებსაც დღეს ვიცნობთ, არამედ საერთოდ საზოგადოების განვითარებაც. ერთი სიტყვით, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ხელოსნობისა და სოფლის მეურნეობის, ხელოვნებისა და მეცნიერების ისეთი მაღალი დონე, როგორიც ჩვენში იყო, სწავლებისა და აღზრდის გარკვეული პროცესის გარეშე.

სხვა საკითხია, თუ როგორი იყო პროფესიული სწავლებისა და აღზრდის ორგანიზაციის ფორმები XVII-XVIII საუკუნეებამდე. უფრო ჰეშმარიტად მიგვაჩნია ის შეხედულება, რომ ოსტატთა დახელოვნება ინდივიდუალური სწავლების გზით მიმდინარეობდა. შესაძლებელია, ზოგჯერ ხელოსნობის ცალკეული დარგების საიდუმლოება მთელი სიმკაცრითაც კი იცავდნენ და მას მხოლოდ ახლობლებს, უშუალო მემკვიდრეებს გადასცემდნენ ხოლმე. როგორც კ. მარქსი შენიშნავდა, „დამახასიათებელია, რომ მე-18 საუკუნემდე ცალკეულ ხელობებს ეწოდებოდა mysteries (mystères) (საიდუმლოებანი), რომელთა წყვდიადში შესვლა მხოლოდ ემპირიულად და პროფესიულად განდობილს შეეძლო“.[2]

[1] კ. მარქსი — „კაპიტალი“, ტ. I, თბილისი, 1954, გვ. 220.
[2] იქვე გვ. 614.

გარკვეული წოდების ბავშვთა აღზრდა, იმის მიხედვით, თუ რა ადგილი ეკავა ამ წოდებას საზოგადოებაში, განსხვავდებოდა შინაარსის, ამოცანებისა და ფორმების მიხედვით. რა თქმა უნდა, ფეოდალური საზოგადოებრივი წყობის დროს აღზრდის საქმეში მთავარ როლს ოჯახი ასრულებდა. საუკუნეების მანძილზე შემუშავებულ ტრადიციებსა და გამოცდილებას ახალ თაობას უპირველეს ყოვლისა ოჯახი გადასცემდა, ამიტომ სხვადასხვაგვარად იზრდებოდნენ ბავშვები ფეოდალის, გლეხისა და ქალაქელი ხელოსნის ოჯახში, თუმცა თითოეული წოდების ბავშვთა აღზრდაში გარკვეულ ასახვას პოულობდა საზოგადოდ იმ ეპოქის აღზრდისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნებიც (რელიგიურობა, უფროსებისადმი მოწიწება, ავტორიტეტისადმი მორჩილება და სხვ.).

არსებობდა ოსტატთა შეგირდად მიბარების წესი, სწავლისათვის გარკვეული გასამრჯელოს გადახდით და სწორედ აქედან განვითარდა შეგირდობის (მოწაფეობის) ის სისტემა, რომელსაც მე-18 და შემდგომ მე-19 საუკუნეების ამქრულ ორგანიზაციებში ვხვდებით.

შეგირდობა (მოწაფეობა) საქართველოში ამქრული ორგანიზაციების ანუ პროფესიული გაერთიანებების წარმოშობა-განვითარებასთანაა დაკავშირებული.

მე-18 საუკუნის დასაწყისისათვის მეფე ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულში („დასტურლამალი") ამქრის კონსტიტუციაში მოხსენებულია შეგირდი და ამ შეგირდის აყვანის სხვადასხვა პირობები. ასე რომ, ამქარი არა მარტო პროფესიულ გაერთიანებას წარმოადგენდა, არამედ ისეთ ორგანიზაციასაც, რომელიც ხელობასაც ასწავლიდა.

სწავლის ვადები ზუსტად განსაზღვრული არ იყო, იგი მოწაფის უნარზე, ხელობის სირთულესა და თვით ოსტატის შეხედულებაზე ყოფილა დამოკიდებული. მე-18 საუკუნის ერთი საარქივო დოკუმენტიდან ირკვევა, რომ, მაგალითად, ფეიქართა ამქარი თბილისში შეგირდებს რვა წელიწადს ასწავლიდა ხელობას.

ყველა ამქრის წესდებაში მტკიცედ იყო აღნიშნული, რომ მოსწავლის გამოშვება არ უნდა მომხდარიყო მანამ, ვიდრე მას სრულყოფილად არ ეცოდინებოდა ხელობა. ხელობის შესწავლასთან ერთად ზნეობრივ აღზრდასაც ღებულობდა შეგირდი; რელიგიის კარნახით იგი უნდა ყოფილიყო „ღვთის კანონთა აღმსრულებელი... ხელისუფალთა მორჩილი", ოსტატი (მასწავლებელი) კი თავის მხრივ უმატებდა: „ეცხოვრა პატიოსნად, უტყუვრად წარემართა თავისი ხელობა, ყოფილიყო მოწყალე და უფროსის პატივისმცემელი".

აღსანიშნავია, რომ ჯერ მეფე ერეკლე II, შემდგომ კი გიორგი XII სცადეს სამთამადნო მრეწველობის გაუმჯობესების მიზნით,

რაკი ჩვენში მცოდნე ოსტატები არ იყვნენ, ისინი უცხოეთიდან მოეწვიათ; მაგალითად, 1767 წლიდან მოეწყო რამდენიმე სამეცნიერო ექსპედიცია კავკასიის მადნეულობათა შესწავლის მიზნით; 1769 წელს მოეწყო ექსპედიცია აკადემიკოს გიულდენშტედტის ხელმძღვანელობით. ერეკლე II-მ რუსეთის მთავრობას მიმართა საქართველოში სამთამადნო მრეწველობის განვითარების მიზნით მოეწვიათ საქმის მცოდნე პირები ან, ბოლოს და ბოლოს, თვით რუსეთს დაეწყო აქაური სამთო მაღაროების ექსპლუატაცია, თუმცა მეფე ერეკლე სამთო წარმოების მთლიანად რუსეთისათვის გადაცემას როდი აპირებდა, ერეკლე II-ეს სამთამადნო მრეწველობის განვითარებას ქვეყნის ეკონომიურ-პოლიტიკური გაძლიერების საჭიროება უკარნახებდა. ამასთანავე, სამთამადნო წარმოების რუსეთისათვის საკონცესიოდ გადაცემას კი, როგორც იგი ფიქრობდა, უნდა მოჰყოლოდა ადგილობრივი კადრების მომზადებაც, რაც შემდგომში გაათავისუფლებდა ჩვენს ქვეყანას უცხო ოსტატების დაქირავებისაგან.

ერეკლე II, დაინტერესებული იყო რა ჩვენში სამთო-საქარხნო წარმოების განვითარებით და გრძნობდა, რომ ამ საქმის მოგვარება ადგილობრივი კვალიფიცირური კადრების გარეშე შეუძლებელი იყო, შეეცადა ეს კადრები შეექმნა ადგილობრივი ყმა-გლეხებისაგან; 1775 წელს იგი სახლთუხუცესს სწერდა, რომ სამთამადნო მრეწველობისათვის კადრების მოსამზადებლად მიეზიდათ ყმა-გლეხთა შვილები. სავსებით აშკარაა, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მეფე ერეკლე სამთო-სამრეწველო დარგისათვის კადრების მომზადებას და მას ქვეყნის სასიცოცხლო საქმედ თვლიდა.

ჩვენამდე მოღწეული საბუთებიდან ჩანს, რომ სამთო-სამრეწველო საქმის ოსტატები და მასწავლებლები იმდროისათვის მნიშვნელოვანი პრივილეგიით სარგებლობდნენ, ისინი განთავისუფლებული იყვნენ სხვადასხვა სახელმწიფო ვალდებულებისაგან, გადასახადებისაგან და სხვ., რასაც ადასტურებს მეფე გიორგი XII-ის ბრძანებულებაც.

XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან საქართველოში გაჩნდა კიდევ სხვა, შედარებით მსხვილი საწარმონიც — მაგალითად, თოფ-ზარბაზნის ქარხანა, სტამბა, მინის სარეწაო, მარილსახდელი, საპნის ქარხანა, თოფის წამლის ქარხანა და სხვ.

ყველა ეს საწარმო მეფეს ეკუთვნოდა და იჯარით ჰქონდათ აღებული ოსტატ-ხელოსნებს. რაკი ოსტატ-ხელოსნებს საკუთარი ყმები არ ჰყავდათ, ქირაობდნენ მოხელეებსა და შავ მუშებს. ამ შრომით პროცესში „შავი მუშებიც" იძენდნენ გარკვეულ პროფესიულ ცოდნა-ჩვევებს.

წარმოებათა გაფართოებამ მთელ რიგ შემთხვევებში მოითხოვა

შრომითი პროცესების დანაწილება. სხვათა შორის, მეფე ერეკლეს-დროინდელ სტამბაში გვხვდება მუშაკთა სხვადასხვა თანამდებობანი: მესტამბეთუხუცესი, პლაკისმჭრელი, ე. ი. მეტრანბაჟი და სხვ., მაგრამ ჩვენ დაგვაინტერესა ერთმა თანამდებობამ, რომელიც აქაა დასახელებული — „სტამბის მუშაკთა მასწავლებელი“. შესაძლებელია, ასეთი თანამდებობა, ე. ი. „მუშაკთა მასწავლებელი“, სხვა საწარმოებშიც იყო და ეს გასაკვირველიც არ იქნება.

ზოგიერთ სარეწაოს დიდვაჭრებიც ხსნიდნენ. მაგალითად, თბილისში XVIII საუკუნის 70-იან წლებში ისაია თაყუაშვილმა გახსნა თოფის წამლის სარეწაო, რომელიც ოსტატებისა და მუშების დაქირავებულ შრომას ემყარებოდა. ეს სარეწაოები მანუფაქტურული ტიპისა იყო და მათში არსებული შრომის დანაწილებაც მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარების გზაზე. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ასეთი საწარმონი ცოტა და სუსტი იყო; ამიტომაც ქვეყნის ცხოვრებაში უფრო მნიშვნელოვან როლს ჯერ კიდევ წვრილი ხელოსნური წარმოება ასრულებდა.

ერეკლე II, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართლ-კახეთის სამეფოს ეკონომიური აღორძინების მიზნით ახალ გზებს სახავდა. იგი შესანიშნავად გრძნობდა, რომ ქვეყნის ძლიერების წყარო ტექნიკისა და მეცნიერების განვითარებაში იყო. ამიტომ უნდოდა გაეშრავლებინა ქვეყანაში „კაცნი მეცნიერნი, ბრძენნი და ხელოვანნი“; ცდილობდა, მოეწვია სხვადასხვა ქვეყნიდან სპეციალისტი ოსტატები სხვადასხვა დარგისა. ამასთანავე ერეკლე II სპეციალური განათლების მისაღებად გზავნიდა ახალგაზრდებს რუსეთსა და ევროპაში.

1783 წლის „მეგობრობის აიროპით“ ანუ ტრაქტატით საქართველომ თავისი ბედი ერთმორწმუნე რუსეთს დაუკავშირა, თუმცა ვერც ამ ღონისძიებამ იხსნა იგი: ჯერ იყო და 1785 წელს საქართველოში შემოჭრილმა ომარ-ხანმა ახტალისა და ალავერდის ქარხნები გაძარცვა, იქაური მწარმოებლები ამოჟლიტა, ხოლო 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანმა აოხრა ქვეყანა. საპურისი ხანის ბრძანებით დაანგრიეს თბილისის ზარბაზნების ჩამომსხმელი ქარხანა, იარაღის საწყობი, ზარაფხანა (ფულის საჭრელი) და სხვ. მტრის ერთი რაზმი ახტალას ავიდა, მეორე ალავერდს, გაძარცვეს და დაანგრიეს ვერცხლისა და სპილენძის ქარხნები, ნაწილი მადნის მუშებისა და ოსტატებისა ამოხოცეს, ნაწილი კი ტყვედ წაასხეს.

მიუხედავად იმისა, რომ XVIII საუკუნეში არსებულმა პროფესიული განათლების ამჭრელმა თუ ინდივიდუალურმა სისტემამ წინ წაწევა ვეღარ შეძლო, შემდგომისათვის მან მაინც გაუკვალა გზა პრო-

ფესიული განათლების ახალ ფორმებს; XVIII საუკუნის პროფესიული განათლების გამოცდილება XIX საუკუნეში პოულობს თავის განვითარებას.

დ) აღზრდა-განათლება XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. თბილისისა და თელავის სემინარიები

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში გაცილებით უკეთესი პირობები შეიქმნა მშვიდობიანი ცხოვრებისა და ეკონომიურ-კულტურული აღორძინებისათვის. ფეხზე წამოდგნენ ოსმალ-ყიზილბაშობით აოხრებული ქალაქები, პირველ რიგში კი თბილისი. აყვავდა გორიც, თელავი კახეთის მთავარ ქალაქად იქცა; გამოცოცხლება დაეტყო ცხინვალს, ახალგორს და სხვ. ჩრდილოეთთან სავაჭრო ურთიერთობამ ქალაქებად აქცია დუშეთი და ანანური, რომელსაც ერეკლე II „რუსეთის გზის კარს“ უწოდებდა; აღმოცენდა ქალაქი სიღნაღი, სადაც მალე ვაჭრობა-ხელოსნობა გაჩაღდა. საქალაქო ცხოვრება აღორძინდა აგრეთვე ქუთაისსა და დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებში.

ქართველ ფეოდალთა პროგრესულმა ნაწილმა მეფე ერეკლე II-ის მეთაურობით საქართველოს განმტკიცებაზე ზრუნვა დაიწყო, 1783 წელს კი რუსეთსა და საქართველოს შორის დაიდო „მეგობრობითი პირობა“ ანუ „ტრაქტატი“, რამაც დროებით, მაგრამ მაინც გამოასწორა და განამტკიცა საქართველოს საგარეო საქმეები.

ეკონომიურ და პოლიტიკურ აღმავლობას, ცხადია, კულტურული აღორძინებაც მოჰყვა. დასავლეთ ევროპისა და რუსეთის პროგრესული იდეები სწრაფად იკიდებდა ფეხს ჩვენში.

ცნობილია, რომ აღმავლობის გზაზე მდგარმა ევროპის ბურჟუაზიამ შეიმუშავა თავისი ფილოსოფია, რომლის მიხედვით ახლებურად უნდა გარკვეულიყო ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების კანონები.

ბურჟუაზიულ მოაზროვნეთა ამ პლეადას ეწოდა „განმანათლებლები“; ისინი შეუდგნენ ხალხის განათლებაზე ზრუნვას, მეცნიერების ყველა დარგის თავმოყრას მრავალტომიან წიგნებში, ანუ ენციკლოპედიებში („წრეში მოქცეული საგანმანათლებლო საგნები“) — აქედან მათ ენციკლოპედისტებსაც უწოდებდნენ.

საქართველოშიც გამოჩნდნენ განმანათლებელთა თაყვანისმცემლები, განახლდა სკოლა, სასწავლო პროგრამები, აღმოცენდა ახალი, ევროპული ტიპის ოჯახები და სხვ. თანდათან გავრცელება პოვა დემოკრატიულმა იდეებმა, რომ კანონები უნდა შეეფარდოს ზნე-ჩვეუ-

ლებასა და ინტერესებს, რომ გლეხს ეჭირვება დაზოგვა და წახალისება-გამხნევება, ადამიანი — ყველა ადამიანია და სხვა მრავალი.

საგულისხმო სწორედ ისაა, რომ თვით მეფე ერეკლე II როგორც პოლიტიკის, ისე კულტურის სფეროშიც „განათლებულ მონარქად" ითვლებოდა. როგორც მისი თანამედროვენი ახასიათებდნენ, იგი იყო ახალ წამოწყებათა ინიციატორი და განსწავლული ფილოსოფიაში.

უნდა აღინიშნოს, რომ მეფე ერეკლეს საერო განათლებაზე საკმაოდ პროგრესული შეხედულება ჰქონდა, რაც მას შვილებისადმი დატოვებულ ანდერძში ცხადად აქვს გამოთქმული: „აუცილებელია მეცნიერების დაუფლება, — წერდა მეფე, — განსაკუთრებით ღრამატიკის, რიტორიკის, ფილოსოფიის, ლოღიკის. ხოლო, თუ ამაზე მეტს მეცნიერებაში შეკლენ და ისწავლიან, ის უმჯობესი იქნება, მაგრამ უამისობა არ იქნება".

როგორც ჩანს, ერეკლე II-ს საუცხოოდ ესმოდა, რომ ადამიანს მეცნიერებათა ცოდნის ფართო წრე თუ არა, მინიმუმი მაინც უნდა ჰქონოდა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში სამეფო-სახელმწიფო სასწავლებლები არსდება და ამდენად სწავლა-აღზრდა ორგანიზებულ, გეგმიან ხასიათს ღებულობს. ამ საქმის რეფორმატორად გვევლინება ერეკლე II. მან ფართოდ გამოიყენა რუსეთის კულტურული მონაპოვარი განათლების ორგანიზაციის სფეროში. ამ მხრივ მეფე ერეკლეს ხელი შეუწყო ანტონ I კათალიკოსმა (1720-1788) ქართველობაში რუსული ორიენტაციის პოპულარიზაციით, რუსული ენისა და განათლების დანერგვისათვის მხარდაჭერით. თვითონ ანტონი რუსეთში ყოფნისას უშუალოდ ეზიარა მის კულტურას (1756-1762 წწ.), გაეცნო რუსულ ორიგინალურ და თარგმნილ სამეცნიერო ლიტერატურას, იქაურ საგანმანათლებლო საქმეს, სწავლულებს, სასწავლო პროგრამებს, სწავლების პრინციპებს და პრაქტიკას. საქართველოში დაბრუნებისთანავე (1762) მიღებული ცოდნა-განათლება გამოიყენა ჯერ თბილისში 1755 წელს დაარსებული სემინარიის რეორგანიზაციის საქმეში, ხოლო შემდგომ, 1782 წ. თელავის სემინარიის დაარსებაში. იგი იყო ამ სასწავლებელთა „დირექტორი, პრორექტორი და დიდასკალოსი". მისი ნათარგმნი შრომებიდან აღსანიშნავია ფრიდერიკოს ქრისტიანოს ბაუმაისტერის „მეტაფიზიკა", „ლოღიკა" და „ეთიკა", სვიმეონ ჯულფელის „დიალექტიკა", ქრ. ვოლფის „ფიზიკა", კვინტოს კურტიუსის „ისტორია ალექსანდრე დიდისა" და სხვ. ორიგინალურ თხზულებათაგან საყურადღებოა „მზამეტყველება", „სპეკალი" (ძვირფას თვალს, ქვას ნიშნავს; მასში გადმოცემული იყო ფილოსოფიის დარგები — დიალექტიკა, ფსიქოლოგია და სხვ.), „ღრამატიკა", „კა-

ტიღორია", „ღვთისმეტყველება", „წყობილსიტყვაობა" და სხვ. ქართული კულტურის შემდგომი ზრდისათვის ანტონის მოღვაწეობას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა; ამასთანავე საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცების მიზნით იგი თავგამოდებით იბრძოდა ტრადიციული ქართული ზნეობრიობის დასაცავად.

ანტონთან ერთად მეფე ერეკლეს პროგრესული რუსულ-ევროპული ორიენტაციის დაცვაში მხარში ედგნენ იმხანად საქართველოში საგრძნობი გავლენის მქონე პირნი გარსევან რევაზის ძე ჭავჭავაძე (1751-1817), ქართლ-კახეთის ელჩი პეტერბურგის სამეფო კარზე (1784-1802 წ. წ.); სოლომონ ლეონიძე (1754-1811) მეფე ერეკლეს მრჩეველი და „მსაჯული", იმდროისათვის საკმაოდ განათლებული პირი, აღმოსავლური და რუსული ენების მცოდნე; მას ეკუთვნის თარგმანი სავარჯიშო წიგნისა „რაზღოვორი" ანუ „სასაუბრო". რუსულ-ევროპულ ორიენტაციას ადგნენ აგრეთვე სოლომონ და გიორგი ავალიშვილები, პაპუნა ორბელიანი, ომან ხერხეულიძე და სხვანი.

1755 წლის იანვარში თბილისში, ანჩისხატის ტაძრის ეზოში, დაარსდა თბილისის საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური სემინარია. სასწავლებლის შენობის მარმარილოს აბრაზე ეწერა „ვითარ საშინელ არს ადგილი ესე! ესე არა რაჲ არს, გარნა სახლი ღვთისა და ესე ბჭე ზეცისა. მეფობასა თეიმურაზისასა და ძისა მისისა მეფისა ერეკლესსა პატრიარქობასა ანტონისსა 1755 წ. 9 იანვარს".

სემინარიის რექტორად დანიშნულ იქნა იმდროისათვის ცნობილი ფილოსოფოსი ფილიპე ყაითმაზაშვილი, რომელიც ფრიად განათლებული მეცნიერი ყოფილა. მას დოქტორის სახელით და „ზედმიწევნილ ფილოსოფოსად" იხსენიებენ.

იგი თბილისიდან ერეკლე მეფეს გადაუყვანია თელავში და 1758 წელს გახსნილი საფილოსოფოსო-საღვთისმეტყველო სკოლის რექტორად დაუნიშნავს.

თელავში ერეკლე მეფეს საკუთარი ინიციატივით დაუარსებია საფილოსოფოსო-საღვთისმეტყველო სკოლა. მას ეს სკოლა მარტო სასწავლო დაწესებულებად არ მიაჩნდა. აქ მთარგმნელობითი მუშაობაც გაუჩაღებიათ ფილიპე ყაითმაზაშვილის მეთაურობით.

1782 წელს თელავის ზემოაღნიშნული სკოლა სემინარიად გადაკეთდა. სემინარიის პირველ რექტორად ერეკლე მეორეს დაუნიშნავს გაიოზი (1746-1821). გაიოზ რექტორს, რომელიც თელავის სემინარიას ერთ წელს ხელმძღვანელობდა (1782-1783), მიუხედავად მცირე ვადისა, საკმაოდ ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობის ჩატარება მოუსწრია.

მისი შეხედულებანი სიბრძნის, ანუ ცოდნის შეძენის აუცილებლობაზე, გონების განვითარებაზე, გონებრივი აღზრდის დიდ მნიშვნელობაზე, გამოთქმულია მისივე სიტყვებში, რომელიც მას თელავის სემინარიის დაარსებისადმი მიძღვნილ ზეიმზე წარმოუთქვამს; „აწ თქვენდამი მოვაქცევ ყოველსა სიტყვასა ჩემსა, საყვარელნო შვილნო ჩემნო, — მიმართავს სემინარიელებს გაიოზ რექტორი, — რათა განშვენდეთ ყოვლად ძვირფასითა ამით სიბრძნისა სწავლულებითა, დანერგეთ ესე გონებასა და გულსა შინა თქვენსა, დაიცევით საუნჯე ესე დიდფასი, იღვაწეთ სლვად ყოვლადდიდებულსა ამას გზასა ზედა, განაშვენეთ ადგილი ესე საღმრთო წმიდითა ქცევითა თქვენითა, თანამოღვაწე ექმენით ყოვლად დიდებულსა ამას გზასა — ჰაზრსა ხელმწიფისა ჩვენისასა, ჰყავთ თავი თქვენი სიბრძნისა შემკულებითა ნუგეშად მამობრივისა გულისა მისისა“ (იგულისხმება მეფე ერეკლე მეორე — გ. ს.).

საინტერესოა აგრეთვე, როგორ მოუწოდებს იგი სემინარიელებს შემეცნებითი ძალების განვითარებისაკენ: „შვილნო, ჩემნო საყვარელნო და აწ სასიქადულნო ძენო მამულისა თქვენისანო და ღირსად მონად დასახულნო ყმანო მფლობელისა და, უფროსად ვჰსთქვა, მამისა (ერეკლე მეფისა — გ. ს.) მოღვაწისა თქვენისანო! განმხდით კეთილობასა ამას შინა თქვენსა, რომელსაცა ჰგრძნობთ თვით თავთა შორის თქვენთა, განჰსჭიმეთ მკლავი გონებისა თქვენისა მოუმედგრებლად აღთქმისათვის სიბრძნისა, აელინეთ ნავი პელეგოსა შინა (ზღვაში — გ. ს.) მეცნიერებისასა...“.

1783 წელს გაიოზ რექტორი ტოვებს თელავს და ცხოვრების უმთავრეს ნაწილს რუსეთში ატარებს, ჯერ როგორც რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის განმტკიცებისათვის მებრძოლი, ხოლო შემდგომ — როგორც მაღალი საეკლესიო პირი. გარდაიცვალა იგი ასტრახანში, ასტრახანისა და სტავროპოლის მთავარეპისკოპოსის თანამდებობას მიღწეული.

გაიოზ რექტორი შესცვალა გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწემ დავით ალექსიშვილ-მესხიშვილმა, დავით რექტორად აღიარებულმა.

თელავის სემინარიაში, დავითის მოსვლის დღიდან, უფრო ფართოდ გაიშალა საგანმანათლებლო მუშაობა. როგორც ირკვევა, იგი თვითონ ასწავლიდა გრამატიკას, თეორიულ ფიზიკას, ეთიკას.

იოანე ბაგრატიონის (ბატონიშვილის) სიტყვებით, დავითმა „ასწავლა სკოლასა შინა თელავს მრავალთა მოწაფეთა საფილოსოფო სწავლანი“.

საგნები, რომელთაც დავითი ასწავლიდა, უმეტესად საერთო ხასიათისა იყო.

როგორც თბილისის, ასევე თელავის სემინარიებში აღიზარდნენ: იოანე მრეველი, დოსითეოს ნეკრესელი, ამბროსი ნეკრესელი, გერვასი სამთავნელი, სტეფანე რუსთველი, იოანე ბოდბელი, დოსითეოზ ფიცხელაური, არსენ თბილელი, იოანე ხელაშვილი და სხვ.

ამ სემინარიაში ძირითადად ის საგნები ისწავლებოდა, რომელთაც იმდროინდელი რუსეთის მაღალი ტიპის სასწავლებლებში ასწავლიდნენ, მაგალითად, სლავურ-ბერძნულ-ლათინურ აკადემიაში.

საქართველოს ამ სემინარიებში ისწავლებოდა: გრამატიკა, პოეტიკა, რიტორიკა, ლოგიკა, კატეგორია, მეტაფიზიკა, ფიზიკა, ფილოსოფია, საღვთო სჯული, საეკლესიო ისტორია, მშობლიური ენა, არითმეტიკა, სამოქალაქო ისტორია და სხვ.

ამასთანავე, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ რუსეთში, მაგალითად, მოსკოვის სლავურ-ლათინურ აკადემიაში და აგრეთვე, პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის სემინარიაში და აკადემიაში განსწავლული ქართველები, შემდგომში საქართველოში სამოღვაწეოდ ჩამოსულნი, მტკიცედ იცავდნენ რუსულ გავლენას ქართული კულტურის სარბიელზე. მათი წყალობით გაიხსნა ჩვენში პირველდაწყებითი და საშუალო სკოლები რუსულ სკოლათა მიხედვით: სიონის სკოლა, კალოუბნის სკოლა, ქაშვეთის სკოლა, მეტეხის სკოლა, ანჩისხატის სკოლა და სხვ. აქ ისწავლებოდა საღვთო სჯული, ქართული ენა, არითმეტიკა, გრამატიკა და სხვ.[1].

1778 წელს თბილისში დაარსდა რუსული ენის შემსწავლელი სკოლა გაიოზის ხელმძღვანელობით. რადგან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა მეტად სწრაფად ფართოვდებოდა, ამიტომ ასეთი სკოლის დაარსება აუცილებელი იყო რუსული კულტურის უკეთ გაცნობის თვალსაზრისით. სამწუხაროდ, ამ სკოლამ თბილისის სხვა სკოლებთან ერთად აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის დარბევის გამო, 1795 წელს არსებობა შეწყვიტა.

ცნობილია, რომ დავით რექტორს მეფე გიორგი XII-ის დავალებით შეუმოწმებია ნათლისმცემლის, კალოუბნის, სიონის, ქაშვეთის, მეტეხისა და ანჩისხატის სკოლები. ისტორიკოს პლატონ იოსელიანის ცნობით, ამ დროს აქ ასწავლიდნენ არა მარტო წერა-კითხვასა და არითმეტიკას, არამედ გალობას, კატეხიზმოს ანტონ კათალიკოსის სისტემით, ძველი სამეფოების ისტორიას და სხვ. მოზრდილი ასაკის მოწაფეებს კი ზოგიერთ ამ სკოლაში ასწავლიდნენ ძველსა და ახალ ფილოსოფიას და ღვთისმეტყველებას, შედგენილს აგრეთვე ანტონის

[1] თბილისში არსებობდა აგრეთვე ცალკე სკოლები სომეხი და მაჰმადიანი მოსახლეობისთვისაც.

მიერ, იმხანად თბილისის ზემოაღნიშნულ სკოლებში 400-მდე მოსწავლე ყოფილა. თვით გიორგი მეფე ხლებია კალოუბნის სკოლას, უკითხავს მოწაფეთათვის „დავითნი“, პარაკლიტონი და სხვ. მეფე ფრიად კმაყოფილი დარჩენილა და თითო აბაზი უბოძებია მოსწავლეებისათვის.

მოსკოვის აკადემიის სქოლასტიკა განსაკუთრებით გადმოინერგა თბილისისა და თელავის სემინარიებში. საგულისხმოა ისიც, რომ ამ სასწავლებლებისათვის სახელმძღვანელოებს უმეტესად რუსულიდან თარგმნიდნენ. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი ხელშემწყობი გარემოება, რომ ქართულ ენას, განსაკუთრებით კი მის ლექსიკასა და სინტაქსს, ისევე როგორც ეტიმოლოგიას, აშკარად დააჩნდა რუსული ენის პირდაპირი გავლენა.

თბილისისა და თელავის ფილოსოფიურ სემინარიებს ბევრი დადებითი მხარე ჰქონდათ. ჯერ ერთი, ეს იყო შედარებით უფრო საერო ცოდნის გავრცელების კერები; გარდა ამისა, სემინარიები მარტო სასწავლო დაწესებულებებს როდი წარმოადგენდნენ. აქ წარმოებდა აგრეთვე პაექრობა-დისპუტები სხვადასხვა მეცნიერულ საკითხზე, რაც, უეჭველად, შეუწყობდა ხელს მეცნიერული აზრის განვითარებას.

სემინარიებში იმხანად სწავლების ხასიათის მნიშვნელოვან დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ისიც, რომ უმეტესად გავრცელებული იყო „კითხვა-მიგების“ (კითხვა-პასუხის) მეთოდი, რაც ლოგიკურ მსჯელობას მოითხოვდა. გარდა ამისა, პაექრობა-დისპუტებზე დასწრება თავისუფალი ყოფილა და მას ის მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ გარდა მოსწავლეებისა, დამსწრე საზოგადოებაშიც (არამოსწავლეებშიც) აღვიძებდა ინტერესს ცოდნისა და მეცნიერებისადმი.

ღირსშესანიშნავია ფაქტები, რომელთა მიხედვით ირკვევა, რომ დავით რექტორი თელავში მხოლოდ ოფიციალური სასწავლო გეგმით როდი კმაყოფილდებოდა; „დავით რექტორს თელავში დაუარსებია ერთგვარი ლიტერატურულ-შემოქმედებითი წრე, რომელიც აერთიანებდა რამდენიმე სემინარისტს. ჩანს ახალგაზრდობის ენერგიული აღმზრდელი არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ სასწავლო დისციპლინების სწავლებით და თავის შეგირდებს შემოქმედებითი მუშაობის პრაქტიკასაც აცნობდა. მის წრეში გაერთიანებული ყოფილან მერაბ ანდრონიკაშვილი, ევგენი ქობულაშვილი, დავით მიქელაძე, იოველ გარეჯელი და სხვ. (სახელებით ცნობილია 14 პირი)“.[1]

მეფე ერეკლე დიდად კმაყოფილი ყოფილა დავით რექტორის მოღვაწეობით, რაც დასტურდება თვით მეფის მიმართვით დავითისადმი: „შენი დიდი გარჯა და შრომა გვესმის, დიაღ, მადრიელნი ვართ. შენი, რასაც უმეტესსა ეცდები და ღვთით მაგ ქვეყანაშიდ კეთილს ნაყოფს გამოიღებ“.

როგორც აღვნიშნეთ, მეფე ერეკლე თავის შხრივ ყურადღებას არ აკლებდა სემინარიების მუშაობას და ყოველმხრივ უწყობდა ხელს. იგი თურმე ხშირად ეწვეოდა ამ სასწავლებლებს და წახალისების მიზნით აჯილდოებდა წარჩინებულ მოსწავლეებს.

ერთი რამ სავსებით ცხადია: კლასობრივ საზოგადოებაში სკოლაც ყოველთვის გაბატონებული კლასის ინტერესების დამცველად გვევლინება, ასე რომ, თბილისის საშუალო სკოლებსა თუ სემინარიებში მხოლოდ საერო თუ სასულიერო ფეოდალთა შვილებს ღებულობდნენ. მოსახლეობის ფართო ფენები კი მხოლოდ დაწყებითი სკოლით ან სახელოსნო განათლებით კმაყოფილდებოდა.

სასკოლო განათლების საქმეში აქტიურად იყო ჩაბმული ანტონ I. მან სხვა ღვრომებთან ერთად შეადგინა სახელმძღვანელო — „მოკლე ისტორია საქართველოსი“.

აღსანიშნავია, აგრეთვე, პაპუნა ორბელიანის მიერ შედგენილი საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო. ამ სახელმძღვანელოს ავტორი თვით შენიშნავს, რომ წიგნს პატრიოტულ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, მოზარდებმა უნდა შეისწავლონ იგი და ფხიზელ დარაჯად მოევლინონ სამშობლოსო.

იოანე ბაგრატიონის (1768-1830) ენციკლოპედიური ნაწარმოები „ქალმასობა“, მართალია, XIX საუკუნის დასაწყისში შეიქმნა, მაგრამ თავისი იდეებით XVIII საუკუნის ბოლო პერიოდს ეკუთვნის. ავტორი აქ მკაცრად აკრიტიკებდა ბავშვთა აღზრდის ძველ სისტემას, მაღალი წრეების უდარდელობას ხალხის განათლებისადმი. „ქალმასობა“ დაწერილია XVIII საუკუნის ფრანგი ენციკლოპედისტების გავლენით. ეს თხზულება, მართალია, არ ყოფილა გამიზნული სახელმძღვანელო წიგნად, მაგრამ სინამდვილეში სახელმძღვანელოს როლს ასრულებდა. ამ წიგნში დიალოგის ფორმით გადმოცემულია მეცნიერული ცოდნის საფუძვლები მეტად სხარტი და მკაფიო განმარტებებით.

ხელნაწერის სახით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულია იოანე ბაგრატიონის წიგნი „ენციკლოპედია“ ანუ „სხვა და სხვა სწავლათა შეკრებილებანი“ ბავშვთა აღზრდისა და სწავლა-განათლების საკითხებზე. ეს ხელნაწერი მთავრდება მინაწერით: „დასრულდა მცირე ნაშრომი ესე მეფის ძის იოანეს მიერ სასწავლებლად ყრმათათვის, თათვის“. მაგრამ „ის შეიცავს სწავლებას არა მარტო ყრმათათვის, არამედ აგრეთვე ყრმათა შესახებ — მოზრდილთათვის“. აღა-მაჰმად-

[1] ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, „ძველი ქართული მწერლობის კერები“, 1962, გვ. 373.

ხანის შემოსევამ 1795 წელს დააქცია თბილისი და მასთან ერთად შეწყდა თბილისის სემინარიის არსებობაც.

XVIII საუკუნის მიწურულს, 1799 წელს, დიდმა ქართველმა განმანათლებელმა იოანე ბაგრატიონმა (ბატონიშვილმა) შეადგინა პროექტი, რომელიც თბილისში, გორსა და თელავში უმაღლესი სკოლების გახსნას ვარაუდობდა. როგორც პროფ. გ. თავზიშვილი აღნიშნავს, პროექტის მიხედვით „ამ სასწავლებლებისათვის უნდა მიეჩინათ „მცოდნენი კაცნი რათა ასწავლიდნენ სამეცნიეროსა სწავლასა და სამხედროსაც, აგრეთვე ენებთა“ (ქართულს, რუსულს, ბერძნულს, ლათინურს, თათრულს (ირანულს) და სომხურს) უმაღლეს სასწავლებელთა სათავეში უნდა მდგარიყო „განათლებისა მთავარი“, რომელსაც უნდა „ეძლია რიგი“ და ჯამაგირი მასწავლებელთათვის (პროფესორთათვის). ყველა სასწავლებელთა მასწავლებელნი უნდა ყოფილიყვნენ „მეფის (ე. ი. სახელმწიფო) ხარჯითა, ხოლო მოწაფენი თჳით მშობელთა ხარჯითა ვიდრე შემოსავალთ განვრცობამდე“, ხოლო შემდეგ, როცა სახელმწიფოს შემოსავალი რამდენადმე მაინც გადიდდებოდა, სწავლა ყველა სასწავლებელში უნდა ყოფილიყო უფასოდ“.[1]

1801 წელს, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგომ, ზემოაღნიშნული პროექტი აღარ განხორციელებულა. თელავის სემინარიამ მხოლოდ XIX საუკუნის დამდეგამდე იარსება.

1 გ. თავზიშვილი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორია საქართველოში, 1948, გვ. 288.

თავი მეხუთე

კედაგოგიური იდეები XVII—XVIII საუკუნეების საქართველოში

მოზარდი თაობის აღზრდა-განათლების საქმით განსაკუთრებით დაინტერესდნენ და პედაგოგიკური აზრის შემდგომ განვითარებაში გარკვეული წვლილი შეიტანეს გამოჩენილმა ქართველმა პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწეებმა — არჩილმა, სულხან-საბა ორბელიანმა, ვახტანგ VI-მ, დავით გურამიშვილმა და სხვ.

არჩილი (1647-1713)

XVII საუკუნიდან რუსეთი საქართველოდან გადახვეწილ ქართველ პატრიოტთა თავშესაფრად გადაიქცა. მოსკოვში მთელი თავისი ოჯახითა და ამალით ჩავიდა არჩილი.

არჩილი, რომელსაც ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნისას მიუღია იმ დროისათვის საკმაოდ კარგი განათლება, დიდ მიდრეკილებას იჩენდა სწავლისადმი. მას აღზრდაში გარკვეული წვლილი შეუტანია მაშინდელ სწავლულსა და მწერალს იოსებ სააკაძეს, კერძოდ, გამოჩენილი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით ირკვევა, რომ არჩილი წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა თავისი განსწავლულობითა და აზროვნებით.

XVII საუკუნის 80-იანი წლებიდან მოსკოვში არჩილი აქტიურად იღვწის ქართული სტამბის შექმნისათვის.

1686 წელს, როცა არჩილი პირველად ჩავიდა მოსკოვს, იგი დაუკავშირდა ევროპული განათლების მქონე პირებს — რუს და იმხანად მოსკოვში მყოფ უცხოელ მეცნიერებს. ერთ-ერთი უცხოელის, კერძოდ შვედი მეცნიერის, შპარვენფელდის მეშვეობით არჩილმა შეუკვეთა ქართული შრიფტი ამსტერდამელ ცნობილ ოსტატს ნიკოლოზ კიშს. სტამბის მოწყობის აზრი არჩილს საქართველოდანვე გაჰყვა, რაც მას აუცილებელ საქმედ მიაჩნდა. ამასთანავე, იგი სასტამბო მოწყობილობის საქართველოში ჩამოტანასაც ვარაუდობდა.

ამსტერდამში შრიფტი უკვე 1687 წელს მზად იყო, მაგრამ იგი სხვადასხვა (უფრო მეტად ფინანსური) მიზეზის გამო ჯერ სტოკჰოლმში, ხოლო შემდეგ დიდი დაგვიანებით, მოსკოვში მოხვდა. არჩილმა მხოლოდ 1705 წელს შეძლო შრიფტის მიტანა მოსკოვის სინოდის სტამბაში და პირველად ქართული „ფსალმუნი („დავითნი“) დაბეჭდა.

ქართული სტამბის მოწყობას ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმდენად, რამდენადაც იგი მიზნად ისახავდა ქართული ნაბეჭდი წიგ-

ნის ფართოდ გავრცელებას მთელ საქართველოში, რასაც ხელი უნდა შეეწყო საქართველოს აღდგენისა და გაერთიანებისათვის.

1705 წლიდან მოყოლებული მოსკოვის, მოზდოკის და პეტერბურგის ქართული სტამბებიდან საეკლესიო და საერო შინაარსის მრავალი წიგნი გამოვიდა, რაც თურქეთ-ირანის გარემოცვის პირობებში ეროვნული მთლიანობის შენარჩუნების უძლიერეს საშუალებას წარმოადგენდა, ამასთანავე, ცხადია, ამ საქმეს წმინდა საგანმანათლებლო მნიშვნელობაც ჰქონდა.

არჩილმა გარდა პოლიგრაფიული მოღვაწეობისა, საკმაოდ მნიშვნელოვანი პედაგოგიურ-საგანმანათლებლო მუშაობაც გასწია. თავის თხზულებაში „საქართველოს ზნეობანი“, „ლექსნი ასეულნი“, „ლექსნი ასნი ორმეხლნი“, „ლექსნი ასდაათნი“ და სხვ., გადმოგვცა ქართული არისტოკრატიული აღზრდის წეს-ჩვეულებანი. გარდა აღზრდის გარკვეულ წეს-ჩვეულებათა აღწერისა, მან წამოაყენა იმ დროისათვის მოწინავე შეხედულებანი აღზრდა-განათლების მთელ რიგ საკითხებზე.

არჩილი ხედავდა, რომ იმდროინდელ საქართველოში შექმნილმა სოციალურ-ეკონომიურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ აღრია ხალხის ზნეობა. ოსმალ-ირანელთა შემოსევების შედეგად შემოტანილმა ჩვეულებებმა, ქვეყნის შიგნით მომხდარმა არეულობამ, შურმა, ქიშპობამ და მტრობამ ძველი ქართული საუცხოო ტრადიციების რღვევა გამოიწვია. არჩილს პატრიოტულმა გრძნობამ უკარნახა დაეცვა, აღედგინა, განემტკიცებინა ქართველობაში ის მაღალზნეობრივი თვისებები, რაც მას უწინ ახასიათებდა; მან დარიგების სახით, ზოგან კი ზნეობრივად დაცემულთა გამოაშკარავებით დახატა არსებული მდგომარეობა, გამოხატა გულისწყრომა და ამავე დროს გულისტკივილი უზნეობის მიმართ.

არჩილი მარტო არსებული მდგომარეობის კრიტიკული ანალიზით არ კმაყოფილდება და გარკვეულ შეხედულებებს იძლევა მომავალში ვითარების გასაუმჯობესებლად.

არ შეიძლება არ მოვიწონოთ არჩილის შეხედულება აღზრდისა და აღმზრდელის როლზე. პიროვნების ჩამოყალიბების საქმეში. იგი აღზრდას პიროვნების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს, რაც მეტად დასაფასებელია მის პედაგოგიურ შეხედულებებში. არჩილი ადამიანისა და ქვეყნის სიკეთის პირველწყაროდ ცოდნას, განათლებას, აღზრდას ასახელებს და ერს აღზრდა-განათლების საქმის მოგვარებისაკენ მოუწოდებს. აღზრდა-განათლების როლის ასეთი მაღალი შეფასება იმ დროისათვის, ცხადია, მეტად პროგრესულ შეხედულებად უნდა ჩაითვალოს. ამასთანავე, ღირსშესანიშნავია ისიც, რომ არჩილი არ კმაყოფილდება მხოლოდ მშობლიური ენის ცოდნით,

იგი მოითხოვს რა სხვა ერების კულტურის გაცნობას, სხვა ხალხთა გამოცდილების გაზიარებას და მით მშობლიური კულტურის გამდიდრებას, ახალგაზრდობას უცხო ენების შესწავლისაკენ მოუწოდებს.

საგულისხმოა სწორედ ის, რომ არჩილი უურადღებას ამახვილებს საერო წიგნების კითხვაზე, ე. ი. ცხოვრებისეული სინამდვილის შესწავლაზე. მას უდიდეს ბედნიერებად მიაჩნია ღრმა ცოდნის შეძენა, განსწავლულობა, სიბრძნე; ამასთანავე მას საუცხოოდ ესმის, რომ განათლება ადამიანმა სისტემატური და თანმიმდევრული სწავლით უნდა მიიღოს და სწავლებას უსათუოდ მასწავლებელი უნდა ხელმძღვანელობდეს:

„სიბრძნე ის უფრო მტკიცეა, ვის ოსტატი ჰყავს, ასწავლის“.

მაგრამ ამით არჩილი მშობელს როდი ათავისუფლებს შვილის აღზრდის მოვალეობისაგან; პირიქით, იგი ავალდებულებს მას სწორი მიმართულება მისცეს შვილის აღზრდასა და სწავლებას.

არჩილი გულმხურვალედ მოუწოდებდა ყველა სწავლულს ხელი მოეკიდათ პედაგოგიური მოღვაწეობისათვის;

„ვინ მეცნიერ ხართ, გვასწავლეთ და უმეცართა ისწავლეთ,
. . . . . .
თუ ვინ რა კაი იცოდეთ, შვილებრ სხვათაცა ასწავლეთ“.

გასაოცარია, რომ არჩილი მეტად საყურადღებო დიდაქტიკურ რჩევასაც იძლევა: მაგალითად, იგი სწავლებაში მისაწვდომობის და დასაძლევობის პრინციპის განხორციელებას გვთავაზობს. მისი სწორი შეხედულებით მასწავლებლის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია მოსწავლეებს გაუადვილოს ცოდნის შეძენა; ამასთანავე, ცოდნის გადაცემაში ზომიერებაც გამოიჩინოს, მოახდინოს გადასაცემი მასალის დოზირება, დროულად შეასვენოს ბავშვი, არ მოაბეზროს, არ შეაზაროს სწავლა, უმჯობესია ცოტა ასწავლოს და კარგად, მტკიცედ ასწავლოს, ამ აზრს არჩილი ასე გამოხატავს:

„მსწავლელი მოსწავლეებსა სასწავლოს არ გაუძნელებს,
მცირედ-მცირედის სწავლებით ძნელს საცოდნს გაუადვილებს,
ცოტა რომ კარგად ისწავლოს, გაუშვებს, მალ ასადილებს;
უწინ პატ-პატა სწავლებით ამ დიდრონს დააქადილებს“.

ზნეობრივი აღზრდის საკითხების განხილვისას არჩილი ეხება ყველა წოდებისა და ფენის ადამიანს. რა თქმა უნდა, ძირითადად იგი ფეოდალური კლასის ზნეობიდან გამოდის, მაგრამ ზოგჯერ სადღაც მაინც გამოსჭვივის ჰუმანურობა და, ასე გასინჯეთ, ერთგვარი დემოკრატიზმიც: „სჯობს მონა ბრძენი უგუნურსა მეფესა მოხუცებულსა“.

ადამიანს, თუნდა მეფეს, სიბრძნე და მაღალი პიროვნული თვისებები უნდა ამკობდეს უფრო, ვიდრე გვარიშვილობა, კეთილშობილი წარმოშობა. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არჩილი ე. წ. „დემოკრატიზმის“ სისტემატურად თანმიმდევრული როდი რჩება, თუმცა მაღალი ჰუმანურობა ყველგან ახლავს მის შემოქმედებას; მის თხზულებებში ხშირად შოთა რუსთაველის მაღალადამიანური იდეების გავლენა იგრძნობა. გულუხვობა, მეგობრობა, მოყვასისადმი დახმარების გაწევა, შრომისმოყვარეობა, **ცოდნა-გამოცდილების** გაზიარება, მაღალპრინციპულობა, სხვაზე **ზრუნვა და თავდადება**, სინდისიერება, გაბედულობა და ვაჟკაცობა — აი რა უნდა ახასიათებდეს, არჩილის აზრით, ჰუმარიტ ადამიანს.

საოცარია, რომ არჩილს, სოციალური მდგომარეობით მეფეს, უარყოფითი ზნეობრივი თვისებების თავიდან აცილების საშუალებად უპირველეს ყოვლისა შრომა მიაჩნია; უფრო მეტიც, იგი შრომას ადამიანის გამაკეთილშობილებელ ძალად თვლის.

არჩილის აზრით, ადამიანისათვის უცხო უნდა იყოს ბოროტება, შური და სიხარბე, ცბიერება და ვერაგობა; ყოველივე ამასთან, არჩილი გმობს ლოთობას, მექრთამეობას, ავსიტყვაობას.

გასაოცარი არაა, რომ არჩილის ზნეობრივ შეგონებებს რელიგიურობა ახლავს და ყველაზე მნიშვნელოვანი მისთვის „საღმრთო ზნეობაა“. იმხანად ქრისტიანობის განმტკიცება ქართული ეროვნული სახის განმტკიცებასაც ნიშნავდა.

ადამიანის პიროვნების სრულყოფისათვის არჩილს მარტო გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა არ აკმაყოფილებდა. იგი მოითხოვდა აგრეთვე მის ფიზიკურ წრთობას, რაც ჯანმრთელსა და ბრძოლისუნარიანს ხდიდა ადამიანს. ბრძოლისუნარიანი ქართველი კი, მოგეხსენებათ, რარიგ სჭირდებოდა სამშობლოს.

არჩილის შეხედულებით, ადრიდანვე უნდა გაწაფულიყო ყმაწვილი **ტანვარჯიშში, ცხენოსნობაში, მშვილდ-ისრის ხმარებაში, ბურთაობაში**, ნადირობაში და სხვ.

აღზრდის არც ესთეტიკურ მხარეს სტოვებს არჩილი უყურადღებოდ და ჰარმონიულად განვითარებული ადამიანისათვის აუცილებლად მიიჩნევს გალობა-მუსიკისა და ცეკვების ცოდნას.

დიდია არჩილის როლი საქართველოს ისტორიაში, როგორც განმანათლებლისა. მიუხედავად იმ შავბნელი პერიოდისა, როცა მას უხდებოდა მოღვაწეობა, მაინც ბევრის გაკეთება შესძლო სამშობლოს აღორძინებისა და მისი კულტურის შემდგომი განვითარებისათვის, მეცნიერული ცოდნის გავრცელებისათვის, ქართული ჯანსაღი პედაგოგიური აზრის გაღვივებისათვის. არ შეიძლება აგრეთვე არ შევნიშ-

ნოთ, რომ მან თავისი პედაგოგიკური ნააზრევით უთუოდ შესამჩნევი გავლენა მოახდინა როგორც სულხან-საბა ორბელიანის, ისე ვახტანგ VI-ისა და დავით გურამიშვილის პედაგოგიკურ შეხედულებებზე.

სულხან-საბა ორბელიანი (1658-1725)

XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში მოღვაწეობდა დიდი ქართველი ჰუმანისტი, მწერალი, განმანათლებელი, მეცნიერი სულხან-საბა ორბელიანი, ძე ცნობილი მდივანბეგის — ვახტანგ ყაფლანის ძე ორბელიანისა.

სულხანმა ახალგაზრდობაშივე მიიღო საფუძვლიანი განათლება, ზედმიწევნით კარგად იცნობდა ქართულ საერო და სასულიერო მწერლობას, იცოდა რამდენიმე უცხო ენაც. ამასთანავე ცნობილია, რომ სულხან ორბელიანი პრაქტიკულ-პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა; კერძოდ, იგი ხელმძღვანელობდა ვახტანგ VI-ის აღზრდას. ერთერთი იტალიელი მისიონერი ჯუსტინო ლივორნელის ცნობით ისიც ირკვევა, რომ სულხანი ჩერჩეზთ ბატონის ასულის დედოფალ რუსუდანის (ვახტანგ VI-ის მეუღლის) აღმზრდელიც ყოფილა.

ჯერ კიდევ ბერად შედგომამდე დაწერა სულხანმა პედაგოგიური თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი თხზულება — არაკების კრებული „სიბრძნე სიცრუისა“. ამ ნაწარმოებით სულხან ორბელიანმა თავისი გარკვეული წვლილი შეიტანა სწავლა-აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში. ეს ნაწარმოები მან სპეციალურად შეადგინა, როგორც „ყრმათათვის ამოდ საკითხავი და მრავალგან სასარგებლოდ გამოსადეგი წიგნი“. მისივე სიტყვებით ეს წიგნი ბავშვთათვის ცოდნის მიმცემიც იქნებოდა და ადვილად შესათვისებელიც. რაც მთავარია, სულხან ორბელიანი იღვწოდა უარეყო იმდროინდელ სკოლაში აღიარებული ცოდნის გადაცემის უვარგისი და მანკიერი ხერხები (ძნელად გასაგები და გრძელი საზეპიროები, ისიც ხალხის ფართო წრეებისათვის უჩვეულო და გაუგებარი, ხუცურად ნაწერი).

იმხანად სკოლას ჩვეულებრივ სასულიერო პირები განაგებდნენ, და უმეტესად ეკლესია-მონასტრების კედლებში, ან მღვდლის, დიაკვნის, ან სხვა ვინმე „წიგნის მცოდნის“ ოჯახში იყო მოთავსებული. ანბანის ამოსაღებ და საკითხავ წიგნად იხმარებოდა „დავითნი“ (ლოცვა-საგალობლების წიგნი. იგი მიეწერება ძველ ებრაელთა მეფეს დავითს, ძვ. წ. აღ. X ს. და სახელიც ამ წიგნისა აქედანაა წარმომდგარი). ასეთი წიგნებიდან მკითხველი და მით უმეტეს ბავშვი, ვერ ისწავლიდა ცხოვრების ავ-კარგს, ვერ დაინახავდა ნამდვილ ცხოვრებასა და ადამიანებს. სულხან ორბელიანის იგავ-არაკებში კი დახატული არიან

ცოცხალი ადამიანები — მეფე, მისი მოხელეები, აღწერილია მათი საქმიანობა და ინტერესთა შეჯახებანი, უბრალო ადამიანთა ჭირი თუ ლხინი, სიხარული თუ მწუხარება, სიკეთისა და ბოროტების ბრძოლა. გაკიცხულია სიძუნწე, ფარისევლობა, ამპარტავნობა, ცბიერება, უმადურობა, სიცრუე და სხვ.

ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ თხზულების ავტორი ყოველი მანკიერების გამოსწორების მიზნით აყალიბებს ზნეობრივ დებულებათა კოდექსს.

ამ კრებულში მოქცეული არაკების გამაერთიანებელია ამბავი მეფის შვილის აღზრდისა. სულხან ორბელიანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მთელი რიგი აღმზრდელობითი საკითხების წამოჭრისა და გადაწყვეტისას, ავტორი იძლევა როგორც სქოლასტიკურ-დოგმატურ, ასევე რელიგიის გავლენისაგან მეტ-ნაკლებად თავისუფალ პედაგოგიკურ შეხედულებებს.

ამასთანავე, ეს უაღრესად საერო ხასიათის ნაწარმოები არა მარტო მეფისწულის, არამედ ნებისმიერი სოციალური ფენის წარმომადგენლის მიმართაც გამოდგება, იმდენად ხალხური და ზოგადია.

წიგნში „სიბრძნე სიცრუისა“ მოცემულია პედაგოგიურ შეხედულებათა ერთგვარი სისტემა. იგი ემყარება როგორც აღორძინების ხანაში შემუშავებულ აღზრდის ძველ ქართულ სანაქებო ტრადიციებს, ისე სწავლა-აღზრდის მოწინავე ევროპულ იდეებს.

ვისაც კი „სიბრძნე სიცრუისა“ წაუკითხავს, უპირველესად იმას შეამჩნევდა, რომ მისი ავტორი მეფის შვილის ერთგვარად ხალხურობის პრინციპზე აღზრდის მომხრეა, რომ ეს თხზულება დემოკრატიული აღზრდის მქადაგებელია. წიგნის ავტორი მომხრეა, აღსაზრდელმა რეალისტურად შეიცნოს ცხოვრება, ისწავლოს ყველაფერი ის, რაც ცხოვრების სინამდვილეს ახასიათებს. ამიტომაა, რომ მეფისწულს აღმზრდელი სასახლის ფუფუნებას აშორებს და ნამდვილ ცხოვრებაში შეჰყავს, პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით აცნობს ცხოვრების სინამდვილეს.

სულხან ორბელიანი, როგორც აღმზრდელი, აღსაზრდელში დემოკრატიზმის გარკვეულ ნიშნებსაც კი აყალიბებს: ღარიბებისა და დაჩაგრულებისადმი თანაგრძნობას, კაცთმოყვარეობას, სიძულვილს უსამართლობისადმი, სიყვარულს უბრალო, გამრჯე ხალხისადმი.

მართალია, დღეს მიუღებელია და არ შეგვიძლია გავიზიაროთ სულხანისეული ე. წ. „ცდის მეთოდი“, რომელიც ბავშვის პირად გამოცდილებას უნივერსალურად თვლის და, აქედან გამომდინარე, 50 ჯოხის დაკერასაც არ ერიდება იმ ვარაუდით, რომ ბავშვმა გაიგოს, თუ რა ცუდია უსამართლოდ დადებული სასჯელი, მაგრამ

უნდა შევეცადოთ, გავუგოთ სულხან-საბას, რომელსაც მიაჩნდა, რომ პირადად განცდილი უფრო ეფექტურ შედეგს იძლევა აღზრდაში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, უნდა ითქვას, რომ თვით „სიბრძნე სიცრუისას“ შეგონებითი-პედაგოგიური ხასიათი საუცხოოდ ეხამება მასში გადმოცემული მასალის შინაარსსაც იმ მხრივ, რომ ზნეობრივი დარიგების გარდა, მოცემულია უამრავი ცოცხალი მასალა ბავშვის გონებრივი ძალების განვითარების თვალსაზრისით. ამ წიგნით ბავშვი ეცნობა ცოცხალ ბუნებას, მშობლიური თუ უცხო მხარეების გეოგრაფიას (ქვეყნებს, ქალაქებს, მდინარეებს, ზღვებს და სხვ.), ცხოველებს, მცენარეებს, საზოგადოების სოციალურ ფენებს და სხვ. რაც მთავარია, საგნებსა და მოვლენებზე მსჯელობა ბავშვისათვის ადვილად გასაგები და მისახვედრია. ყოველივე ამას, ცხადია, უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა ბავშვის შემეცნებითი ძალების განვითარებისათვის.

მწერალი-აკადემიკოსი გ. ლეონიძე საუცხოოდ შენიშნავდა, რომ „სიბრძნე სიცრუისა“ უპირველესად ზნეობის სავალდებულო „სასწავლო“ სახელმძღვანელო იყო ძველ ქართულ ოჯახში, თვით XIX საუკუნის ნახევრამდე, შინაური განათლების მიმღებთათვის იგი იყო სასწავლო „სიბრძნესა შინა აღზრდისათვის“. „ვეფხისტყაოსანთან“ და „დავითიან-გურამიანთან“ ერთად საბას ენციკლოპედიური წიგნის ცოდნა აუცილებლად ითვლებოდა. ამ წიგნზე ილესებოდა ქართველი ყრმის გონება და ამ წიგნით ისწავლებოდა წმინდა, შეურყვნელი ქართული, გონებამახვილობასთან ერთად. მით იკვეთავდნენ „კარგ ქართულს“, იგი იყო სასარგებლოდ გამოსადეგი „სიბრძნეშიაც და სიცრუეშიც“, ანუ როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა: „ჭკუას გვასწავლის, გვარიგებს, ზნეს გვწვრთნის, ავსა და კარგს გვანიშნებს“.

როგორც იგავ-არაკთა ღირებულებით, ასევე დარიგებებით, აფორიზმების სიუხვითა და მაღალმხატვრულობით „სიბრძნე-სიცრუისა“ საუკეთესო ნაწარმოებია არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც. იგი თარგმნილია მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე — რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, უნგრულ და სხვა ენებზე.

XVII საუკუნის მიწურულს სულხან ორბელიანი გარეჯის ნათლისმცემლის მონასტერში დამკვიდრდა. 1698 წლიდან იგი ბერად აღიკვეცა და საბად იწოდა. მიუხედავად ბერობისა, საბას არ შეუწყვეტია შემოქმედებითი მუშაობა. 1698-1710 წლებში მან შექმნა ქადაგებათა კრებული „სწავლანი“, რომელშიც გამომჟღავნდა უდიდესი სიყვარული სამშობლო ქვეყნისადმი, გულისტკივილი საქართველოს მძიმე ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის გამო. იგი თავგამოდებით

ქადაგებდა საქართველოს გაერთიანებასა და ქრისტიანობის განმტკიცებას იმდენად, რამდენადაც იმხანად ქრისტიანული რელიგია იყო ეროვნული გრძნობების გამაღვივებელი და გამაერთიანებელი.

მართალია, „სწავლანი“ ძირითადად სასულიერო შინაარსისაა, მაგრამ იგი ჩვენთვის საინტერესოა აღზრდა-განათლების მეთოდური მითითებებითა და სხვადასხვაგვარი ზნეობრივი შეგონებებით. ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ საბა ამ თხზულებით კიდევ ერთხელ გვეცნება უდიდეს ჰუმანისტად და კაცთმოყვარეობის მქადაგებლად. ფეოდალური კლასის უარყოფითი მხარეების დახასიათებასთან ერთად, იგი გვაძლევს ყმა-გლეხის აუტანელი ცხოვრების სურათებს და უდიდესი გულისტკივილით უყენებს კითხვას ფეოდალებს: „მერე რა არის რომ ის (ყმა-გლეხი — გ. ს.) გლახაკია, ისიც შენებრ კაცი არ არის?“ ამასთან ერთად, საბა იძლევა დარიგებასაც, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ადამიანები, როგორ იცხოვრონ ისე, რომ ზიანი არ მიაყენონ საზოგადოებას; მიუხედავად იმისა, რომ იგი გამსჭვალულია რელიგიურობით, როდი მოითხოვს ადამიანთაგან ასკეტურ ცხოვრებას, სულხან-საბა საჭიროდ თვლის, ყველა ადამიანმა ყველაფერში ზომიერება დაიცვას.

სასულიერო შინაარსისაა აგრეთვე საბას „საქრისტიანო მოძღვრება ანუ პირველად სასწავლო ყრმათათვის, რომელსა ეწოდების სამოთხის კარი“. ეს თხზულება თეოლოგიის სახელმძღვანელოა „უსწავლელ ბერთა და ყრმათათვის“.

პედაგოგიკური თვალსაზრისით ჩვენთვის ისაა საინტერესო, რომ მთელი თხზულება კითხვა-პასუხის ფორმითაა დაწერილი. იგი თითქოს ცალკეული გაკვეთილების კონსპექტებია, სადაც მასწავლებელი მოსწავლეებს საუბრის, ანუ კითხვა-პასუხის მეთოდით ასწავლის. მოძღვარი (მასწავლებელი) სვამს კითხვას, ყრმა (ბავშვი-მოსწავლე) კი იძლევა პასუხს. აი ასეთი საუბრის სახითაა წარმოდგენილი ეს ნაწარმოები.

წიგნი რელიგიური ხასიათისაა, მისი მიზანია მისცეს მოსწავლეს ელემენტარული წარმოდგენა ქრისტიანულ წეს-ჩვეულებასა და ღვთისმსახურებაზე. ამასთანავე, ეს წიგნი კავშირშია საბას წიგნებთან — „სწავლანი“ (ზნეობრივი შეგონებანი) და „სიტყვის კონა“ (ქართული ლექსიკონი). საბა ამ სახელმძღვანელოში, მოსწავლის პასუხებში, იძლევა მთელ რიგ ცნებათა ისეთ განმარტებას, რომელიც მისივე ქართული ლექსიკონიდან მომდინარეობს.

მართალია, სულხან-საბას „საქრისტიანო მოძღვრება“ წმინდა რელიგიური ხასიათისაა, მაგრამ არ შეიძლება გვერდი აუაროს მას ქართული პედაგოგიკის ისტორიამ, როგორც ერთ-ერთ პირველ სახელმძღვანელოს.

აღსანიშნავია აგრეთვე სულხან-საბას გრამატიკული ცდები, რომელსაც „ღრამატიკათა რომელობანი“ ეწოდება. ეს შრომა გარკვეული მნიშვნელობის მქონეა ქართული გრამატიკული აზროვნების განვითარების ისტორიაში.

სულხან-საბა ორბელიანის მეცნიერული მუშაობის გვირგვინს წარმოადგენს მისი „ლექსიკონი ქართული“. ლექსიკონზე უმუშავია მას 30 წელიწადს (1685-1715); როგორც თვითონ სულხან-საბა ორბელიანი ამ შრომის შესავალში აღნიშნავს, ქართული ლექსიკონი აღარ იყო, თუმცა ოდესღაც ყოფილა და შემდეგ დაკარგულა, ულექსიკონობა კი ენის წარყვნას იწვევდაო. აი, ამ გარემოებას გამოუწვევია ახალი ქართული ლექსიკონის შედგენაზე ზრუნვა და ამ საქმისათვის მეტად ბეჯითად მოუკიდია ხელი სულხან-საბას.

„ლექსიკონი ქართული“ უმთავრესად განმარტებითია, თუმცა მასში ენციკლოპედიური ხასიათის ელემენტებიც შეინიშნება, მაგრამ ქართული პედაგოგიკის ისტორიის ინტერესთა თვალსაზრისით კიდევ უფრო საყურადღებო ისაა, რომ ლექსიკონს წამძღვარებული აქვს „სასწავლო ყრმათა“ (შესავალი). ამ ნაწილში მოცემულია გრამატიკის ელემენტები და ასეც იწყება — „ღრამატიკა“. აქ მოცემულია ქართული ანბანი და პირველი თავი: „ანბანი პირველად სასწავლო ყრმათანი“, მას მოსდევს: „მეორედ სწავლება ანბანის რიგისა, სადა ხმიანი ასო სახმარ არს რიგით“; შემდეგ — „მესამედ სწავლა ანბანურად გენკის გარჩევით პირველ ამოღებისა“, ამას მოსდევს „ანბანთა სწავლანი“, თუ რომელნი რაოდენთა რიცხვთა იტყვიან“; „ნულა და ქართული რიცხვის „სწავლა“ (სხვა ვარიანტებში „ნულა და ქართული რიცხვი, რომელთაც სწავლა გინდათ“, „ნულა და ქართული რიცხვი, ვისცა სწავლა გენებოს“); „საქცევნი ხუთთა ხმიანთა ასოთანი და სწავლა სხვათა ასოთა და თავ-ბოლოთანი“ და სხვ. ამის შემდეგ იწყება „ლექსიკონი ქართული“, ანუ „სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი“.

რა თქმა უნდა, საბას „ღრამატიკა“ უზადოდ არ იყო შედგენილი. პროფ. გ. თავზიშვილს სწორედ ეს „ღრამატიკა“ ჰქონდა მხედველობაში, როდესაც წერდა: „ქართული კითხვა-წერის ხალხური წესის განხილვა დიდაქტიკური თვალსაზრისით, ადვილად მიგვიყვანს იმ დასკვნამდე, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს კითხვა-წერის სწავლების ე. წ. ანბანურ ანუ ასოთშეერთების (Буквенный, буквослогательный) მეთოდთან. ეს მეთოდი, როგორც ვიცით, ძველთაგანვე იხმარებოდა საქართველოში. ამ მეთოდის მიხედვით ჰქონდათ შედგენილი სულხან

ორბელიანს და XVIII საუკუნის სხვა ავტორებს თავისი „ანბანები“.[1]

ცხადია, ასოთშეერთების მეთოდი უფარგისი და მანკიერი მეთოდი იყო. როგორც იან ამოს კომენსკი წერდა, ეს მეთოდი ტანჯავდა ბავშვის გონებას, მაგრამ ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ასოთშეერთების მეთოდი „ისტორიულად იყო პირველი მეთოდი ანბანის სწავლებისა და პედაგოგიკის ისტორიამ XVII საუკუნემდე არ იცის წერა-კითხვის სწავლების არსებითად სხვა მეთოდი“.[2]

„ლექსიკონი ქართული“ სულხან-საბამ, როგორც პედაგოგმა, მკითხველთა არა მარტო ფართო წრეებისათვის შეადგინა, არამედ მრავალი და მრავალი წლის განმავლობაში ეს წიგნი იყო ერთ-ერთი საუცხოო სახელმძღვანელო ქართველ ყრმათათვის, და არა მარტო საანბანო წიგნი, არამედ წიგნი, რომლის საშუალებითაც ბავშვი ეცნობოდა ქვეყანას, ბუნებას, ადამიანს, ვარსკვლავებს და ა. შ. ალბათ ამიტომაა, რომ სულხან-საბას ლექსიკონს ახასიათებს ესოდენი ლაკონიურობა, აზრის სიცხადე, დახვეწილობა, მისაწვდომობა და სხვა. ყოველივე ეს ხდის მას ცოდნის წყაროდ არა მარტო მოზრდილი ადამიანისათვის, არამედ მოზარდთათვისაც.

სპარსეთში მყოფ ვახტანგ VI-ს შაჰმა გამაჰმადიანება შესთავაზა, რაზედაც ვახტანგმა უარით უპასუხა. გაჯავრებულ შაჰს იგი ჭირმანში გადაუსახლებია. აქ ვახტანგს გადაუწყვეტია სულხან-საბა ორბელიანის საფრანგეთში ლუი XIV-თან ელჩად გაგზავნა. 1713 წელს სულხან-საბა მართლაც გაპარულა ევროპაში მისიონერ ჟან რიშართან ერთად. სულხან ორბელიანის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა საფრანგეთის მეფისაგან მფარველობის მიღება. მართალია, დასახულ მიზანს სულხან-საბამ ვერ მიაღწია, ევროპაში ფუჭი დაპირებების გარდა სხვა ვერა მიიღო რა, მაგრამ სამაგიეროდ ამ მოგზაურობის შედეგად შექმნა თავისი შესანიშნავი თხზულება „მოგზაურობა ევროპაში“.

სულხან-საბას „მოგზაურობიდან“ და აგრეთვე პარიზის არქივში შემორჩენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ გარდა პოლიტიკური მიზნებისა, როგორც სულხან-საბას, ასევე ევროპელებსაც, სავაჭრო და კულტურული ურთიერთობის დამყარებაც აინტერესებდათ.

სულხან-საბა ორბელიანის მიერ ევროპაში მოკავშირისა და მფარველის გამონახვის ცდამ ისევე უშედეგოდ ჩაიარა, როგორც მისივე დიდმა მონდომებამ — ჩვენში სწავლა-განათლების ევროპული სისტემა შემოეღო.

ქართული პედაგოგიკის ისტორიაში სულხან-საბა ორბელიანმა

---

1 გ. თავზიშვილი — საბალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორია საქართველოში, ტ. II, თბილისი, 1948, გვ. 244.

2 იქვე, გვ. 245.

უაღრესად მნიშვნელოვანი კვალი დატოვა, არა მხოლოდ როგორც დიდმა ჰუმანისტმა მწერალმა, არამედ როგორც იმდროისათვის დემოკრატიული პედაგოგიკური იდეების მჭონე მოღვაწემ. მან ძველ ქართულ პედაგოგიურ ტრადიციებზე დაყრდნობით XVII-XVIII საუკუნეების ვითარებისათვის მეტად ახალი, პროგრესული შეხედულებანი წამოაყენა ადამიანის გონებრივ, ზნეობრივ წრთობაზე და მის როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი განვითარების გზებსა და საშუალებებზე. მან ერთ-ერთმა მიაპყრო თვალი იმდროინდელი აღზრდის პროგრესულ ევროპულ იდეებს და მათ ქართულ ნიადაგზე გადმონერგვას შეეცადა.

ზნეობრივი ნორმების ამსახველმა სულხან-საბას წიგნებმა და ქართულმა ლექსიკონმა აღიარება ჰპოვეს მოწინავე ქართულ საზოგადოებაში, მისი სახელმძღვანელო „ანბანი პირველად სასწავლო ყრმათათვის“, რომელიც ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა, კვლავ იხმარებოდა XIX საუკუნის პირველ ნახევარშიც.

ს. ორბელიანის როგორც პრაქტიკულმა, ასევე თეორიულმა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობამ დიდი გავლენა მოახდინა ქართული პედაგოგიკური აზრის შემდგომ განვითარებაზე.

ვახტანგ VI (1675- 1787)

სულხან-საბა ორბელიანის სახელოვან აღზრდილს მეფე ვახტანგ VI-ს, მიუხედავად იმ მძიმე ხვედრისა, რაც ბედმა არგუნა, მცირე ღვაწლი როდი მიუძღვის ქართული კულტურისა და საგანმანათლებლო საქმის წინ წაწევაში.

XVIII საუკუნეში საქართველო კვლავ ყიზილბაშთა გავლენის ქვეშ იყო. 1712 წელს შაჰმა საქართველოს მეფედ ვახტანგ VI დაამტკიცა, მაგრამ რაკი ვახტანგმა ქრისტიანული სარწმუნოება არ უარყო, ირანში დატოვეს. აქედან მან, მართალია, სულხან-საბას მეშვეობით ლუი XIV-თან კავშირის გაბმა სცადა, მაგრამ ამ ცდას შედეგი არ მოჰყოლია. იმედგაცრუებულმა ვახტანგმა ბოლოს მაჰმადიანობა მიიღო. 1719 წელს, სამშობლოში დაბრუნებულმა, რუსეთთან გააბა კავშირი. სწორედ ამან გამოიწვია შაჰის რისხვა და ვახტანგიც იძულებული შეიქნა რუსეთს გახიზნულიყო. ოსმალ-ყიზილბაშობა კი საქართველოს ანადგურებდა.

მიუხედავად ასეთი ძნელბედობისა და მუდმივი დევნისა, მეფე ვახტანგ VI-მ მაინც მოასწრო ბევრი რამ გაეკეთებინა საქართველოს კეთილდღეობისათვის, მისი კულტურული ცხოვრების წინსვლისათვის. მან შეძლო ერთდროულად ყოფილიყო ქვეყნის განათლებული მეფე-მოგვებელი, ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწე, სწავლული

მწიგნობარი და, ყოველივე ამასთან ერთად, ქართული პოეზიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელიც.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგ VI-მ საქართველოში მტკიცედ დაიცვა სწავლების ერთი ძველი, ტრადიციული წესი, რომლის მიხედვით ყოველი მეცნიერი, სწავლული, ამავე დროს მასწავლებელიც უნდა ყოფილიყო იმ მეცნიერებისა, რომელსაც დაუფლებული იყო. როგორც აღვნიშნეთ, ასეთივე წესით ეწეოდნენ პედაგოგიურ მოღვაწეობას მეფე არჩილი, სულხან-საბა ორბელიანი და სხვა სწავლულები. თვით ვახტანგ VI უზომოდ ბევრ და ძნელ საზრუნავთა მიუხედავად, პრაქტიკულ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ცოდნის გადაცემის აუცილებლობა მას ღრმად ჰქონდა შეგნებული და ამ საქმეს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: ვახტანგ VI-ის ერთ-ერთ ნათესავს, შემდგომში მეფე ერეკლე II-ის დროინდელ მოღვაწეს, იოანე ორბელიანს, 1757 წელს ანდერძში ჩაუწერია: „სანატრელმან მეფემან ვახტანგ ფრიადი შრომა ყო ჩემდა და მასწავა რომელიმე სწავლა ქაციდეური ეარსკვლავთ-მრიცხველებისა“.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვახტანგ VI-ის ღვაწლი მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარებაში. მან შეადგინა ე. წ. „მეცნიერ კაცთა“ კომისია ბ. ეგნატაშვილის მეთაურობით. ამ სამეცნიერო სკოლაში აღიზარდა საისტორიო მწერლობისა და გეოგრაფიული მეცნიერების დიდი წარმომადგენელი — შვილი ვახტანგ VI-ისა, ვახუშტი ბაგრატიონი (დაახლოებით 1696-1772). მისი ნაშრომი „საქართველოს ისტორია“ პირველი ცდა იყო ქართველი ხალხის ისტორიის კრიტიკული განხილვისა. მისი სრულიად სწორი შეხედულებით, ისტორიის შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო გეოგრაფია, გენეალოგია, ქრონოლოგია და სხვ. ეს შრომაც ზემოჩამოთვლილი ნაწილებისაგან შედგება. ვახუშტის შრომას ახასიათებს პატრიოტიზმი, ისტორიულ ჰეშმარიტებათა მიმართ ქომაგობა და, რაც ჩვენთვის მეტად საინტერესოა, მასში მოცემულია გარკვეული სასწავლო-აღმზრდელობითი იდეები; ამ მხრივ საყურადღებოა სიტყვები, რომლითაც იგი მკითხველს წიგნის დასაწყისშივე მიმართავს: ის დრო და საათი, რომელსაც სწავლას არ ვახმართ, სავალალოდ იქარგებაო. წიგნი, რომელიც მან მიუძღვნა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ აღწერას, თანდართული მდიდარი რუკებით, დაასრულა მოსკოვში, ემიგრაციაში ყოფნისას.

ვახტანგ VI-მ და მის მიერ შექმნილმა მეცნიერულმა კოლექტივებმა, რომლებშიც მონაწილეობდა აგრეთვე სულხან-საბა ორბელიანიც,

შეცნიერების სხვა დარგებთან ერთად საქართველოში მათემატიკის განვითარებასაც შეუწყვეს ხელი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია თხზულებანი „ვარსკვლავთ-მრიცხველობა“ („ზიჯი“) და „ქმნულების ცოდნა“. „ეს თხზულება არის არა უბრალო თარგმანი ულუღ-ბეგის განთქმული ტრაქტატისა, როგორც აქამდე ეგონათ, არამედ რაღაც სამეცნიერო კრებულის მსგავსია, რომელშიც, გარდა აღნიშნული ტრაქტატისა, შესულია ძველი ბერძნებისა და დასავლეთ ევროპელ სწაელულთა ნაწარმოებებიც, რომელსაც ერთვის თვითონ ვახტანგ VI-ისა და მისი თანამშრომლების დამატებანი და კომენტარი. შემდეგ, თვითონ ულუღ-ბეგის ტრაქტატის ეს თარგმანი ამ განთქმული თხზულების მრავალრიცხოვან თარგმანთაგან პირველია დროის მიხედვით, ყოველ შემთხვევაში არამაჰმადიანურ სამყაროს ენაზე. დაბოლოს, კრებულის ასეთი შედგენილობა, ისე როგორც მეორე შრომა „ქმნულების ცოდნა“, გვიჩვენებს, რომ იმდროინდელ საქართველოში არა მარტო სავსებით ფლობდნენ აზიელ მათემატიკოსთა მიღწევებს, ბევრ შემთხვევაში უძლიერესთ მაშინდელ მსოფლიოში (მაგალითად ტრიგონომეტრიაში), არამედ იცნობდნენ ევროპელ მათემატიკოსთა მიღწევებსაც და ცდილობდნენ მათ გაერთიანებასა და შერწყმას“.[1]

სხვათა შორის, სპარსულიდან ვახტანგ VI-ის მიერ თარგმნილი კოსმოგრაფიის კურსი „ქმნულების ცოდნის წიგნი“ დაიბეჭდა თბილისის სტამბაში (1721 წ). ვახტანგ VI-ს გარკვეული წვლილი შეუტანია ჭიმიის დარგშიც.

ცნობილია აგრეთვე, რომ სულხან-საბა ორბელიანთან ერთად ვახტანგ VI-მ თარგმნა ძველი ინდოეთიდან გავრცელებული არაკების კრებული „ქილილა და დამანა“. ეს თხზულება მათ სპარსულიდან უთარგმნიათ. ამ წიგნს გარკვეული აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენადაც მასში გატარებულია პედაგოგიური აზრი, რომ ადამიანს ამაღლებს არა გვარი და აზნაურობა ან სიმდიდრე, არამედ ცოდნა მეცნიერებისა და კარგი აღზრდა. ქართული ვარიანტი უბრალო თარგმანი კი არ არის „ქილილა და დამანასი“, იგი საგანგებოდაა გადმოლებული სპარსულიდან, რამდენადაც ამ თხზულებაში გადმოცემულ შეხედულებებს სწავლა-აღზრდის საკითხებზე სავსებით ეთანხმებოდნენ როგორც ვახტანგ VI, ასევე სულხან-საბა ორბელიანიც.

ვახტანგ VI-ის ვრცელი დიდაქტიკური თხზულება „სიბრძნე მალალობელი“ მოზარდებისთვისაა განკუთვნილი. ვახტანგი ამ ნაწარმოებ-

---

[1] თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული დიდი ოქტომბრის 40 წლისთავზე, 1957, გვ. 607.

ში მაღალ შეფასებას აძლევს ცოდნას და მისი შეძენის მნიშვნელობას. ეხება პლატონის, არისტოტელეს, ეპიკურეს, ანაქსაგორასა და სხვათა სიბრძნის სიდიადეს. მოაქვს მათი გამონათქვამები.

აღსანიშნავია ისიც, რომ ვახტანგ VI-ის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ჯერ კანონები, ხოლო შემდგომში მან შეადგინა სახელმწიფოს მმართველობის მოსაწესრიგებელი წიგნი „დასტურლამალი" (რაც ნიშნავს დასტურს სახელმწიფო მოხელეთა მოქმედებაზე).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში სტამბური წესით წიგნების დამზადების საჭიროება ჯერ კიდევ XVII საუკუნის ბოლოსათვის იყო საგრძნობი, მაგრამ საქართველოში სტამბის მოწყობისათვის პრაქტიკული ნაბიჯები მხოლოდ ვახტანგის მიერ იქნა გადადგმული XVIII საუკუნის დასაწყისში. სწორედ ის იყო ამ საქმის ინიციატორი. ანთიმოზ ივერიელის დახმარებით თბილისში მოხერხდა სასტამბო მოწყობილობის ჩამოტანა და აგრეთვე ბეჭდვის საქმის სპეციალისტის უნგროვლახელ მიხაილ სტეფანეშვილის რუმინეთიდან ჩამოყვანა. 1708 წლიდან დაიწყო წიგნის ბეჭდვა და სტამბის მუშაკთა ადგილობრივი კადრების მომზადება. მიხაილ სტეფანეშვილს, რომელმაც ქართული არ იცოდა, მოუხდა პირველსავე ხანებში ქართველ მოწაფეთა ჯგუფისათვის სასტამბო საქმის სწავლება; მიხაილი წერდა: „ვითარცა მე ვიყავ ქართლინა უნახავი, აგრეთვე ჩემნი მოწაფენი სტამბისა".

ღირსშესანიშნავია ის ფაქტი, რომ ვახტანგ VI-ის მიერ გამართულ სტამბაში სხვა პირველ წიგნებთან ერთად 1711 წელს მიხაილ მესტამბეს დაუბეჭდავს ქართული მეთოდური სახელმძღვანელო.

ამავე სტამბაში 1712 წელს დაიბეჭდა ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი".

როცა ვახტანგ VI-მ თბილისის სტამბაში პირველად წიგნი დაბეჭდა, დაარიგა მთელ საქართველოში, ხოლო სამაგიეროდ მოითხოვა და შეაგროვა ხელნაწერები და შეინახა სიონის ტაძრის მახლობლად სპეციალურად აგებულ წიგნსაცავში.

„სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა, აწ დაბეჭდული ქართულსა ენასა ზედა ჟამსა მეფობისა უისა უისა ქაიხოსროსსა. დაშრომითა გამგებელისა მისისა უისა უისა ვახტანგისსა. შემოკლებით თქმული და გარიგებული გერმანე მღდელ მონაზონისაგან. ხელითა მიხაილ სტეფანეს ძისა უნგროვალხელისათა. ქალაქსა ტფილისისასა. ჩღია".

როგორც სათაურიდან ჩანს, წიგნის მიზანია მიაწოდოს მასწავლებელს ცოდნის უადვილესი გზით გადაცემის ხერხები და საშუალებანი. ასეთ ერთ-ერთ უპირველეს გზად და საშუალებად ავტორს სრულიად მართებულად ჩაუთვლია ხუცური ანბანის ნაცვლად ხალხისათვის ცნობილი და გასაგები მხედრული ანბანის ხმარება და საზეპიროების შემოკლება.

ამასთანავე, მართალია, წიგნი რელიგიური ხასიათისაა, მაგრამ ყურადღებას იპყრობს ავტორის რიგი სხვადასხვა სწორი დიდაქტიკური შეხედულებები, მათ შორის სწავლების გაადვილებისაკენ მისწრაფება; გერმანეს შეგნებული ჰქონია, რომ მხოლოდ გასაგები, ადვილი ენით დაწერილი და გადმოცემული მასალა შეითვისება სწრაფად და შეუცდომლად. წიგნის შესავლიდან ცხადად ჩანს, რომ მისი სხვა მოსაზრებებიც, რომელზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, ვახტანგ VI-ის ინიციატივითა და მხარდაჭერით იყო გაპირობებული. გერმანე წინასიტყვაობაშივე წერს: „ესეცა არ უგულებელს ყო ყრმათათვისცა დიდად მოღვაწემ და სწავლა-შემატების გულისმოდგინემ, სულიერად და ჯორციელად გამგეობის ტრფიალმან ბატონისშვილმა ვახტანგ და დააბეჭდვინა თვისთა საფასეთა წარსაგებელითა".

ვახტანგ VI-ის ხარჯით გერმანეს წიგნის დაბეჭდვა, მისი გამრავლება და გავრცელება იმ ხანად საფუძველს ქმნიდა აღზრდა-განათლების საეკლესიო-სამონასტრო სისტემის სახალხო-სასკოლო განათლების სისტემაზე გადასასვლელად.

დაბოლოს, აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი მეტად საყურადღებო გარემოებაც, რომელიც არა მხოლოდ გერმანეს, არამედ ვახტანგ VI-ის ნოვატორობასა და გაბედულობას მიეწერება. „სულხან-საბა ორბელიანის „სწავლათა" მსგავსად, გერმანეს სახელმძღვანელო წიგნიც ცოცხლად გვიხატავს იმდროინდელი ადამიანების რელიგიურ დაეჭვებას. მაგალითად, ერთგან, სადაც მოძღვარი ქრისტე-ღმერთის ჯოჯოხეთში ჩასვლის ამბავზე მსჯელობს, იგი მოწაფისაგან მიიღებს შეკითხვას: „ჯოჯოხეთში თუ არის, რათ არ იწვის (ქრისტეო)? რაზედაც მოძღვარი ასეთ განმარტებას იძლევა: „ნუ გასინჯავ ჯორციელის კაცის მსგავსად!" „რა გვარადაც ნათელი წყალში არ დასველდების და ლაფი ვერ შესთხაპავს, ისრე ჯოჯოხეთის ცეცხლი ვერ შეეხების (ქრისტე ღმერთსო)". როგორც ქრ. შარაშიძე წერს: „მეტად დამახასიათებელია აგრეთვე მოწაფის „მატერიალისტური" შენიშვნა ადამიანის „ღვთის მსგავსად" გაჩენის შესახებ: „თუ ღმერთი უჯორცო და უხილავი არის, როგორ იქნებოდა მსგავსი ღთისა ადამ-კაცი ზრქელი, ჯორციანი და სისხლიანიო?".[1]

მოსწავლეთა ასეთი „მატერიალისტური" შეკითხვები, ადვილი შესაძლებელია, თვით გერმანესა და ვახტანგის „მატერიალისტური" მსოფლმხედველობიდანაც გამომდინარეობდეს.

1 ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, 1955, გვ. 140.

ასეთია მოკლედ ვახტანგ VI-ისა და მის თანამოსაქმეთა ღვაწლი ქართული კულტურის, კერძოდ, აღზრდა-განათლების საქმის შემდგომ განვითარებაში.

დავით გურამიშვილი (1705-1792)

თავისი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობითა და ახალი პედაგოგიკური იდეებით მეფე არჩილის, სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგ VI-ის ღირსეული მემკვიდრეა გამოჩენილი ქართველი პოეტი-მოაზროვნე დავით გურამიშვილი. ამიტომაცაა, რომ დავით გურამიშვილის დიდაქტიკურ მოტივებში შეინიშნება როგორც არჩილისა და ვახტანგის, ასევე სულხან-საბა ორბელიანის შეხედულებათა ანარეკლი.

მაგალითად, არჩილი როცა ადამიანის თვისებათაგან ყველაზე მაღლა სიბრძნეს (ცოდნას და სწავლულობას) აყენებს, წერს:

„სიბრძნეს ვერ სწირავს ვერარა, არც ისე მოსახმარია,
მისი ნაყოფი ბევრია, ძირი აქვს არ გამხმარია,
სად წახვალთ, თან გამოგყვებათ, საგზლადაც მგონ სახმარია,
სხვა დაგრჩება და ის არა, გვერდთ გახლავს, ცათ კამარია".
და სხვ.

შევადაროთ დ. გურამიშვილის შემდეგი სიტყვები:
„სწავლა სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი."

ან — „ცოდნა თან დასდევს მცოდნესა, რაზომსაც დაეტარების."
ან კიდევ — (ცოდნა) „არც ცხადით ძალით წაერთმის, არც მალვით მოიპარების" და სხვ.

პარალელების გავლებითა და შედარებებით ცხადი ხდება, რომ დ. გურამიშვილის პედაგოგიკური შეხედულებანი ვახტანგის პოეზიის გავლენასაც განიცდის.

ისიც უნდა ითქვას, რომ დ. გურამიშვილის პედაგოგიკური შეხედულებანი ისევე, როგორც მთელი მისი პოეზია, უფრო მეტად ხალხის ინტერესებიდან გამოდის, ხალხის განათლებაზე მიუთითებს. სწორედ ამითაა უფრო პროგრესული და დემოკრატიულიც მისი ნააზრევი.

„დ. გურამიშვილის წინაშე დგას არა ფეოდალური საზოგადოების „რჩეული ნაწილის", მეფისწულებისა და თავადიშვილების განსწავლის, არამედ მთელი ხალხის განათლებისა და აღზრდის ამოცანა. საერთო-სახალხო ინტერესებისათვის ბრძოლაა ის ძირითადი ფაქტორი, რომელიც ასეთ აქტუალურ ძალას ანიჭებს გურამიშვილის მთელ

მსოფლმხედველობას, მის აზრებს აღზრდა-განათლებაზე, მის აფორიზმებს სიბრძნისა და ცოდნის დაუფლებაზე".[1]

სწორედ ამაშია დ. გურამიშვილის პედაგოგიკურ შეხედულებათა პროგრესული ხასიათი.

XVIII საუკუნის პირველსავე მეოთხედში საქართველო კვლავ ბრძოლის ველად იქცა. გარდა იმისა, რომ ჩვენს ქვეყანას ირანისა და ოსმალეთის ურდოები ანადგურებდნენ, ამას ემატებოდა ე. წ. ლეკიანობა ანუ ლეკთა თარეში, რომლის მსხვერპლი გამხდარა თვით დ. გურამიშვილიც. ტყეებიდან გაქცეული იგი რუს გლეხებს შეკედლებია, აქედან კი ვოლგის გზით მოსკოვს ჩასულა და ვახტანგ VI-ის ამალას შეერთებია. აქედან მოყოლებული იწყება მისი მოღვაწეობა რუსეთსა და უკრაინაში. ვახტანგ VI ამალაში სულხან-საბა ორბელიანთან, ვახუშტი ბატონიშვილთან და სხვებთან ერთად ეწეოდა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას. 1737 წელს გარდაიცვალა ვახტანგ VI. 1738 წელს დ. გურამიშვილმა რუსეთის ქვეშევრდომობა და მამული მიიღო უკრაინაში. იგი სამხედრო სამსახურში შევიდა და მონაწილეობდა მრავალ ბრძოლაში თურქების, შვედების, პრუსიელების წინააღმდეგ. ტყვეობითა და ჭრილობებით ჯანგატეხილმა თავი დაანება სამხედრო სამსახურს და დასახლდა უკრაინის სოფ. ზუბოვკაში. სწორედ აქ დაასრულა მან თავისი „დავითიანი", რომელშიც უხვადაა ჩაქსოვილი ეროვნულ-პატრიოტული მოტივები.

„დავითიანში" მკითხველი ხედავს XVIII საუკუნის დაბეჩავებული საქართველოს რეალისტურ, მკაფიო სურათს. საქართველოს კუთხეებს შორის გამეფებული მტრობა, ტყვეებით ვაჭრობა, ძარცვა-რბევა და ურთიერთშუღლი კიდევ უფრო უადვილებდა გარეშე მტერს ჩვენი სამშობლოს დაპყრობას.

მიუხედავად ასეთი მძიმე მდგომარეობისა, დ. გურამიშვილი ოპტიმიზმითაა სავსე და უკეთესი მომავლის იმედით ცოცხლობს; მამათა შეცდომების განმეორებისაგან სურს დაიცვას შვილები — ახალი თაობა, და სწორედ მათ მოუწოდებს სწავლისაკენ, სიბრძნის დაუფლებისაკენ. მათ უძღვნის იგი თავის წიგნს, როგორც თვითვე ამბობს: „ყრმათ შეევედრე ეს წიგნი", ან „მოსახსენებლად ჩემდა ყრმათ უმზადე ტკბილი მაჭარი" და სხვ.

„დავითიანი" ენციკლოპედიური ხასიათის თხზულებაა, რომელშიც მწყობრადაა გადმოცემული ცოდნა ცხოვრებისა და მოწოდება ჭეშმარიტ ზნეობრიობისაკენ. ამ თხზულებიდან ეგებულობთ, რომ თვით

---

[1] უშ. ობოლაძე, აღზრდის იდეები დ. გურამიშვილის შემოქმედებაში, 1956, გვ. 25.

დ. გურამიშვილს არ სცოდნია არც ბერძნული და არც ლათინური, ამდენად მან ვერ შეძლო საქართველოში ფილოსოფიური ცოდნის მიღება და როგორც ზოგადი, ასევე ფილოსოფიური განათლება, მან რუსული ლიტერატურისა და კულტურის მეშვეობით შეიძინა მოსკოვსა და უკრაინაში.

დავით გურამიშვილის „დავითიანი“ აღმზრდელობითი მნიშვნელობის თხზულებაა. მასში ძირითადად გატარებულია ახალგაზრდობის ცოდნით შეიარაღებისა და მაღალზნეობრივად აღზრდის იდეა. ამ იდეას საქართველოში ღრმა ფესვები ჰქონდა და, როგორც პროფ. უშ. ობოლაძე აღნიშნავს, „უდაოდ უნდა ჩაითვალოს ისიც რომ განმანათლებლობა XVIII საუკუნის საქართველოში წარმოადგენდა მოძრაობას, რომელიც აგრძელებდა ადრეული ქართული ლიტერატურის ტრადიციებს, იმ ტრადიციებს, რაც პეტრიწის ფილოსოფიური სკოლისა და შოთა რუსთაველის მიერ იყო მტკიცედ დამკვიდრებული საქართველოში ცოდნისადმი, სწავლისადმი მისწრაფების სახით“. ჩვენში განმანათლებლობის ტრადიციებს უხსოვარი დროიდან ჩაეყარა საფუძველი და სწორედ ამიტომ იყო გურამიშვილზე, როგორც დიდაქტიკოსზე, ი. ჭავჭავაძე ამბობდა: „მისი დიდაქტიკური პოეზია პირს არ შეირცხვენს, თუნდ ლუკრეციის, ვირგილის და ჰორაციის დიდაქტიკურ პოეზიას დავუყენოთ პირის-პირო“.[1]

„დავითიანი“ იმითაც არის ღირსშესანიშნავი და განსხვავებული წინა პერიოდის დიდაქტიკური ხასიათის თხზულებათაგან, რომ მასში წინაა წამოყენებული არა ერთი რომელიმე ფენის ან კლასის, არამედ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციული, ჭეშმარიტად ხალხური, ზნეობრივი შეხედულებანი, უანგარო პატრიოტიზმი და შეუნელებელი სწრაფვა განათლებისაკენ.

თხზულების ხალხური ხასიათი, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი სქოლასტიკურობისაგან, გარდა იმისა, რომ ახლოა ბავშვის ბუნებასთან და სასარგებლოა, მოსწავლე ახალგაზრდობისათვის ადვილი გასაგებია. ეს პოეტს შეგნებულად გაუკეთებია:

„ამისთვის მე არ შევსძებე, რაც დავრგევ იგავთ ხე ველად,
უფრო ადვილად აღვლიან ზედ ყრმანი დასარხეველად“.

დ. გურამიშვილის ამ წიგნს უდიდესი რეზონანსი ჰქონდა ქართველ მკითხველში და ხშირად ამ წიგნით ანბანსაც კი ასწავლიდნენ; პოეტ-აკადემიკოს გ. ლეონიძის თქმისა არ იყოს, იგი იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ როლს ასრულებდა და ისეთ საოჯახო წიგნად ითვლებოდა, რომლის მიხედვითაც ხდებოდა ახალი თაობის ზნეობრივი აღზრდა და ქართული მეობის გაღვივება.

„დავითიანის“ დასაწყისშივე ავტორს მოცემული აქვს „ქართველთ უფალთა მეგვარტომობის იგავი“ და „სწავლა მოსწავლეთა“, რომელშიც შედის „ათთა საჭმართა საქმეთა ჩაგონება ყრმათათვის“. ეს ნაწილი „დავითიანისა“ ზნეობრივ დებულებათა კანონს წარმოადგენს.

ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს ცოდნას, განმარტავს სწავლის დიდ მნიშვნელობას და ურჩევს, უფრო სწორად, მოუწოდებს ახალგაზრდებს, დაეუფლონ ცოდნას. დ. გურამიშვილი მეტად კონკრეტულად, მაგრამ ამასთანავე მეტად ხატოვნად წარმოსახავს უსწავლელობითა და აღუზრდელობით მიღებულ მძიმე შედეგებს.

ავტორი „დავითიანისა“ ადამიანის ცხოვრებისათვის სწავლა-აღზრდის დროულად მიღების სარგებლიანობაზე მეტად დამაჯერებლად მიუთითებს, თუმცა იმასაც არ უშალავს ყმაწვილებს, რომ სწავლა ძნელია, ცოდნის შეძენა დიდ სიბეჯითესა და შრომას მოითხოვს; სამაგიეროდ, ცოდნაზე უკეთესს ადამიანი ვერაფერს ვერ იპოვის ამ ქვეყნად; შეძენილი ცოდნის დაკარგვა ან ძალით წართმევა არ ხდება, ცოდნა მუდამ რჩება ადამიანს, რომელმაც სწავლით შეიძინა იგი.

დ. გურამიშვილს გამოთქმული აქვს მეტად სწორი პედაგოგიკური მოსაზრება იმაზე, რომ სწავლა საჭიროა ადამიანის გარკვეულ ასაკს შეუფარდდეს, იგი დროულად, ე. ი. ბავშვობიდანვე უნდა დაიწყოს. ხანში შესული ცოდნას ვეღარ დაეუფლება:

„ვით ძნიად წნორი ბერფუყი დაიგრიხების წნელადა,
ეგრეთვე კაცი მხცოვანი განისწავლების ძნელადა,
ვით ახალ მორჩი ვაზისა ჭელს მიყვეს საფურჩნელადა,
ეგრეთ ახალი მოზარდი ყრმა ოსტატს — გასაწვრთნელადა“.

დ. გურამიშვილს შესანიშნავად ესმოდა, რომ საჭიროა არა ყველაფრის ერთბაშად შესწავლა, რამაც შეიძლება დააბნიოს ყმაწვილი, არამედ უმთავრესის, ძირითადის სწავლა თანმიმდევრულად და სისტემატურად; იგი ასე არიგებს ცოდნის მძებნელს:

„ალაბულათი ნუ ავსებ წმინდად გარცხილსა მენასა,
გაგიჭირდების გარეცხა, შეიქ ოხერას და ქშენასა;
იტყვი: „რა უყავ ჩემს თავსა“, — დაიწყებ კბილთა ღრჭენასა,
„დავით რომ კარგათ მასწავლა, მე იგი რისთვის მენასა!“

ახალგაზრდობისას ადამიანში მაღალზნეობრივი, პიროვნული თვისებების ჩამოყალიბება, სიძნელეების გადალახვა უფრო ადვილია; ახალგაზრდობაში მიღებული ცოდნა და ზნეობრივი წრთობა კი უკვე ხანში შესულს უადვილებს ცხოვრებას:

[1] უშ. ობოლაძე. აღზრდის იდეები დავით გურამიშვილის შემოქმედებაში, 1956, გვ. 15.

„ყრმა სწავლაში მომშვიდდების, რკინა ცეცხლში გარბილდების,
უსწაველელი ვაჟიკაცი სიბერის დროს გაწბილდების;
რიკ-ფაინის დრო გარდუა, ვეღარ გაჰკრავს, ჩაჰბილდების,
სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების“.

დ. გურამიშვილის პედაგოგიკური შეხედულების შეფასება სრული არ იქნება, თუ არ აღვნიშნეთ, რომ ცოდნას იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში თვლიდა სარგებლობის მომტანად, როცა ეს ცოდნა გამოყენებული იქნებოდა ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ. მას არაფრად არ მიაჩნდა კაცი, თუნდაც დიდად განსწავლული, თუ თავის ცოდნას ქვეყანას არ მოახმარდა. ასეთი ცოდნაცა და ასეთი კაციც მას ფუჭად და უსარგებლოდ მიაჩნდა. ცოდნას დ. გურამიშვილის შეხედულებით მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს ძალა და მნიშვნელობა, თუ მის მფლობელს, ე. ი. განსწავლულს, შეეძლება ამ ცოდნის სათანადოდ გამოყენება. სწორედ აქ იძლევა დავითი ცოდნის ცხოვრებაში გამოყენების უნარისა და ჩვევის შემუშავების ძვირფას იდეას. ამასთან ერთად, იგი მიუთითებს იმაზეც, რომ სწავლება უშუალოდ და მტკიცედ უნდა დაუკავშირდეს ზნეობრივ აღზრდას. ახალგაზრდა, მოსწავლე თავიდანვე უნდა გაეცნოს თავისი ერის წარსულს, აწმყოს, მომავალს, მის ჭირსა და ლხინს, განიმსჭვალოს მშობელი ხალხის ინტერესებით, ცოდნასთან ერთად უნდა შეითვისოს და შეისისხლხორცოს საზოგადოებრივი მოვალეობა და მიზანი ცხოვრებისა:

„უმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო?“

ყოველივე ეს ნათლად მეტყველებს, თუ რა ღრმა ფესვები ჰქონდა დ. გურამიშვილის ეროვნული თვითშეგნების პედაგოგიკურ იდეას. გარდა ნათელი გონებისა, პირადმა მწარე ხვედრმა და გამოცდილებამ უკარნახა ეს იდეა სამშობლოს მონატრებულ პატრიოტ პოეტს.

გარდა აღნიშნულისა, დ. გურამიშვილი ჩამოთვლის იმ მორალურ თვისებებს, რომელიც უნდა ახასიათებდეს ადამიანს; ეს არის: სითამამე, თავმდაბლობა, სამართლიანობა, კაცთმოყვარეობა, სიმამაცე და სხვ.

იმ დროისათვის მოწინავე და პროგრესულ ნააზრევად უნდა იქნას მიჩნეული დ. გურამიშვილის შეხედულება მშობლის, აღმზრდელის, ოსტატის (მასწავლებლის) როლზე, მის პიროვნებაზე, მისი პირადი მაგალითის მნიშვნელობაზე:

„აწ ბრძენი უნდა სოფელში ეგრეთ, ვით წმინდა ბერია.
ცხოვრობდეს, ერთ ასწავლიდეს, გაჭადოს მეცნიერია;

ბრძენმან არ უნდა იკადროს ურიგო რაც რამ ფერია,
ბრძენის ურიგოდ ქცევითა ბაძით წაჭდების ერია“.

ასეთია დიდი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის „დავითიანში“ მოცემული პედაგოგიკური იდეები. ამ იდეებს თხზულებაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს და ეს შემთხვევითი როდია. გურამიშვილი საქართველოს უკეთეს მომავალს ახალგაზრდობის სწორ აღზრდა-განათლებაში ხედავდა.

დავით გურამიშვილის შემოქმედებას დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მხრივაც, რომ იგი დამცველია და მქადაგებელი მთლიანი საქართველოს იდეისა, მტერია იმდროინდელ საზოგადოებაში გამეფებული გონებრივი და მორალური დაცემულობისა. იგი ნამდვილი პატრიოტია, რომელიც ეძებს გზას საქართველოს მდგომარეობის გამოსასწორებლად და სინანულით აღნიშნავს, რომ მას არა აქვს ამისათვის საკმაო ცოდნა. ამიტომაც დაუღალავად ქადაგებდა იგი სიბრძნის, ცოდნის, სწავლა-განათლების აუცილებლობასა და საჭიროებაზე. დ. გურამიშვილს საუცხოოდ ესმოდა, რომ სწავლა, ცოდნა, განათლება ხელს უწყობდა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების წარმატებასა და წინსვლას.

თავი მეექვსე

სახალხო განათლება XIX საუკუნის პირველ ნახევარში.

სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ვითარება

გარეშე მტრების განუწყვეტელი თავდასხმების, მეზობელი მთიელი ტომების ყაჩაღური თარეშისა და შინაური შუღლის შედეგად საქართველო იმდენად დაუძლურდა, რომ კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. მას ფიზიკური განადგურების საფრთხე ემუქრებოდა. ასეთ ვითარებაში ქართველი ხალხის ყველაზე უფრო შორსმჭვრეტელმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს ერთმორწმუნე რუსეთთან შეერთება.

XIX საუკუნის დამდეგიდან საქართველო მეფის რუსეთის მფლობელობაში გაერთიანდა. თუმცა მეფის რუსეთთან შეერთებით საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა, მაგრამ ეს დიდი ისტორიული აქტი განპირობებული იყო ქართველი ხალხის ფიზიკური განადგურებისაგან გადარჩენის აუცილებლობით.

სოციალური ურთიერთობის მხრივ საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში მეტად მძიმე მდგომარეობა იყო. ბატონყმობა ისევ მძვინვარებდა. კლასობრივ ჩაგვრას, რომლის მძიმე უღელქვეშ გმინავდა მშრომელი ხალხი, დაერთო ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრა. ფეოდალური კარჩაკეტილობა, სამხედრო-პოლიციური ოპერაციები ქვეყნის შიგნით და ომები გარეშე სახელმწიფოების წინააღმდეგ დიდად აფერხებდა მრეწველობისა და ვაჭრობის აღმავლობას. ქვეყანა სიღატაკეში იხრჩობოდა, ხალხი გაძვალტყავებული იყო. მიუხედავად ამისა გამოცოცხლება დაეტყო ვაჭრობასა და წვრილ ხელოსნურ სამრეწველო წარმოებას, თუმცა ამას ჯერ კიდევ არ ჰქონდა იმდენი გავლენა, რომ რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება შეეტანა ქვეყნის საერთო ეკონომიურ და სოციალურ მდგომარეობაში.

მიუხედავად ყოველივე ამისა, საქართველოს შეერთებას რუსეთთან უდაოდ პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. რუსეთთან შეერთების პირველი შედეგი იყო ნახევრად ბარბაროსული ირანისა და თურქეთის განუწყვეტელი თავდასხმებისაგან თავის დაღწევა და საქართველოში მეზობელ მთიელთა ტომების ავაზაკური თარეშის აღკვეთა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში სოციალურ-პოლიტიკური ვითარება და სამეურნეო-ეკონომიური მდგომარეობა ვერ ქმნიდა ხელსაყრელ პირობებს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების სათანადო წინსვლისა და განვითარებისათვის, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების აყვავებისა და აღორძინებისათვის. მიუხედავად ამისა, საქართველოს კულტურული ცხოვრება ამ პერიოდში მაინც საკმაოდ შინაარსიანი იყო.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები იოანე, დავით და პეტრე ბაგრატიონები, სოლომონ დოდაშვილი, დავით ჩუბინაშვილი და სხვ. 1845 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა ქართული ენის კათედრა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ქართული მეცნიერების განვითარების საქმეში.

ამავე პერიოდში მოღვაწეობდნენ და ქმნიდნენ თავიანთ შესანიშნავ ნაწარმოებებს სახელოვანი ქართველი პოეტები ა. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ვ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი; ბელეტრისტები ლ. არდაზიანი და დ. ჭონქაძე; დრამატურგები გ. ერისთავი და ზ. ანტონოვი. 1850 წლიდან საფუძველი ჩაეყარა მუდმივ ქართულ თეატრს.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო ქართული გაზეთებისა და ჟურნალის გამოსვლა. პირველი ქართული გაზეთი „თბილისის უწყებანი" 1828 წელს გამოვიდა; პირველი ქართული ჟურნალი „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი" 30-იანი წლების დასაწყისში. ამ ორივე პერიოდული გამოცემის რედაქტორი იყო თვალსაჩინო ქართველი საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი და პედაგოგი სოლომონ დოდაშვილი.

მიუხედავად მეტად შეზღუდული მდგომარეობისა, ამ გაზეთმა და ჟურნალმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული კულტურის განვითარების საქმეში.

სახალხო განათლება საქართველოში XIX საუკუნის დასაწყისისათვის უნუგეშო მდგომარეობაში იყო. სახალხო განათლების სისტემა, რომელიც არსებობდა XVIII საუკუნეში, თითქმის მთლიანად მოიშალა გარეშე მტრების შემოსევისა და შინაფეოდალური ომების შედეგად. სკოლები, რომლებიც გადაურჩა ომების ქარცეცხლს და კიდევ მუშაობდა, რუსეთის მმართველობის დამყარებისთანავე დაიხურა. ასეთი ბედი ეწია, მაგალითად, თელავის სემინარიას. ამრიგად, შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ საჭირო გახდა სახალხო განათლების სრულიად ახალი სისტემის ჩამოყალიბება.

თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი — პირველი სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულება საქართველოში, რუსეთთან შეერთების შემდეგ, 1802 წელს გაიხსნა. ეს იყო თბილისის ორკლასიანი დაწყები-

თი სასწავლებელი. მისი არსებობა მალე შეწყდა სხვადასხვა მიზეზის გამო. მთავრობის ახალი სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულება — „თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი“ — 1804 წლის 31 მაისს გაიხსნა. იგი წარჩინებული წოდების ქართველთა შვილებისათვის იყო განკუთვნილი. მის დანიშნულებას შეადგენდა სამოქალაქო სამსახურის მოხელეებისა და თარჯიმნების მომზადება. სასწავლებელი თავიდან ორკლასიანი იყო; ოციანი წლების დასაწყისისათვის კი ექვსკლასიანი გახდა და თავისი სტრუქტურით დაუახლოვდა მაშინდელ გიმნაზიას. ამასთანავე, ამ სასწავლებელს დაეკისრა მოხელეების მომზადება სამხედრო უწყებისთვისაც.

თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დაკომპლექტება მოწაფეებით პირველ ხანებში გაძნელდა, რის გამოც მთავრობა იძულებული გახდა მათთვის ერთგვარი ჯამაგირი (სტიპენდია) დაენიშნა. შემდგომ წლებში მოსწავლეთა რიცხვი სასწავლებელში გაიზარდა და 1818 წლისათვის 148-ს მიაღწია, 1828 წლისათვის — 248-ს.

სასწავლებელში სწავლება ქართულ და რუსულ ენებზე მიმდინარეობდა: 1825 წელს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში ასწავლიდნენ ქართულ, რუსულ და თათრულ ენებს, კატეხიზისს, საღვთო სჯულს, არითმეტიკას, ალგებრას, გეომეტრიას, გეოგრაფიას, ისტორიას, რუსულ და ქართულ სიტყვიერებას, ხატვას, ფორტიფიკაციას, გეოდეზიას, ცეკვას. გარდა ამისა, ცალკე საგნად იყო შეტანილი სწავლების კურსში თარგმნა.

ამრიგად, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში სწავლების კურსი ისე იყო განსაზღვრული, რომ მას უზრუნველეყო რუსულად განსწავლული მოხელეების მომზადება, რომლებსაც უნდა სცოდნოდათ ამავე დროს ქართული და თათრული ენები. მოსწავლეთა მომზადება უმაღლეს სკოლაში შესასვლელად მას არ ეკისრებოდა.

თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში მიიღეს პირველდაწყებითი განათლება ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა: ვ. ორბელიანმა, ნ. ბარათაშვილმა, დ. ყიფიანმა და სხვ.

თბილისის გიმნაზია. 1830 წლიდან თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი თბილისის გიმნაზიად გადაკეთდა. მაშინდელი რუსეთის სხვა გიმნაზიების მსგავსად, თბილისის გიმნაზია შვიდი კლასისაგან შედგებოდა. აქედან I კლასი იყო მოსამზადებელი, II-VII კლასები კი — ძირითადი კლასები. მოსამზადებელ კლასში სწავლების ხანგრძლივობა განსაზღვრული არ იყო. ყველა სხვა კლასში სწავლების ხანგრძლივობა თითო წელს შეადგენდა.

გიმნაზიის ძირითად კლასებში ისწავლებოდა საღვთო სჯული, ქართული, თათრული, გერმანული და ფრანგული ენები, მათემატიკა, ფი-

ზიკა, ისტორია, რუსული სიტყვიერება და ლოგიკა, გეოგრაფია და სტატისტიკა, სუფთა წერა, ხატვა და ხაზვა. გარდა ამისა, სწავლების კურსში შეტანილი იყო რუსეთის სამართლისმცოდნეობა და სასამართლო წყობილება. ქართულ ენას ეთმობოდა ორ-ორი გაკვეთილი ყოველ კლასში. გაკვეთილის ხანგრძლივობა კი შეადგენდა 1,5 ასტრონომიულ საათს (90 წუთს). ქართული ენის შესწავლა სავალდებულო იყო ყველა მოსწავლისათვის განურჩევლად ეროვნებისა. თათრულ ენას კი ასწავლიდნენ იმ მოსწავლეებს, ვინც პანსიონში ირიცხებოდა სახელმწიფოს ხარჯზე. გიმნაზიასთან არსებულ პანსიონში თავიდან ირიცხებოდა 40 მოსწავლე. მათ შორის 30 იყო ქართველ თავადაზნაურთა შვილი.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ადგილობრივი ენების სწავლებას გიმნაზიაში და, აგრეთვე სხვა სასწავლო დაწესებულებებში, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. გიმნაზიის ადმინისტრაციას აუცილებლად მიაჩნდა ქართული და თათრული ენების ცოდნა ამიერკავკასიაში მომუშავე ყველა მოხელისათვის. ყურადღება ექცეოდა აგრეთვე სომხური ენის სწავლებასაც. მიუხედავად ამისა, თბილისის პირველი გიმნაზია თავიდანვე რუსული სკოლა იყო, რომელიც რუსიფიკატორულ მიზნებს ემსახურებოდა.

თბილისის გიმნაზიაში 1831 წელს 307 მოსწავლე ირიცხებოდა. 1847 წლისათვის მოსწავლეთა რაოდენობა 467-მდე გაიზარდა. არსებული წესის მიხედვით თბილისის გიმნაზიის კურსდამთავრებულთაგან ყოველწლიურად რუსეთის კადეტთა კორპუსში უნდა გაეგზავნათ ათი კაცი, პეტერბურგისა და მოსკოვის უნივერსიტეტებში ხუთი კაცი, ყველა მათ უმაღლესი განათლება უნდა მიეღოთ სახელმწიფოს ხარჯზე. ეს, რა თქმა უნდა, საკმაოდ დიდი დახმარება იყო ქართველი თავადაზნაურებისათვის, რასაც უდაოდ დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული კადრების მომზადებისა და ქვეყნის კულტურული განვითარების თვალსაზრისით. წესდების მიხედვით, გიმნაზიაში გლეხკაცის შვილი არ მიიღებოდა; გიმნაზიის კარები დახშული იყო აგრეთვე მუშათა და საზოგადოების სხვა დაბალი ფენებიდან გამოსული ადამიანებისათვის.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში მხოლოდ ერთი (თბილისის) გიმნაზია არსებობდა. „კავკასიის სასწავლო ოლქისა და მის დაქვემდებარებულ სასწავლებელთა დებულების“ საფუძველზე, რომელიც 1848 წელს იქნა დამტკიცებული მთავრობის უმაღლესი ორგანოების მიერ, 1850 წ. ქ. ქუთაისში გაიხსნა მეორე გიმნაზია და ქ. თბილისში კომერციული გიმნაზია.

ამრიგად, 1851 წლისათვის საქართველოში არსებობდა სამი გიმნა-

ზია: თბილისის სათავადაზნაურო, ქუთაისის საგუბერნიო და თბილისის კომერციული.

სამაზრო სასწავლებლები. საქართველოში სამაზრო სასწავლებლების დაარსება იწყება 1830 წლიდან, ამიერკავკასიის სასწავლებელთა 1829 წლის დებულების საფუძველზე. სამაზრო სასწავლებლები გაიხსნა 1830 წელს: ქუთაისში, გორში, თელავში და სოფ. ნაოღალევში (სამეგრელო); 1831 წელს — ახალციხესა და სიღნაღში; 1834 წელს — დუშეთში, 1836 წელს — ქ. თბილისში. სამაზრო სასწავლებელი წარმოადგენდა გიმნაზიის მოსამზადებელ საფეხურს. სწავლების ხანგრძლივობა სამაზრო სასწავლებლებში პირველ ხანებში იყო ორი წელი; 1835 წლიდან სწავლების კურსი სამი წლით განისაზღვრა.

სამაზრო სასწავლებლებში დებულების მიხედვით მიიღებოდა ყველა წოდების ბავშვი გარდა ყმა გლეხისა. სინამდვილეში კი სამაზრო სასწავლებლებში მხოლოდ თავადაზნაურთა, სახელმწიფო მოხელეებისა და ვაჭრების შვილები სწავლობდნენ. 1837 წელს საქართველოში არსებულ 8 სამაზრო სასწავლებელში ირიცხებოდა 564 მოსწავლე, 1847 წელს — 958.

სამაზრო სასწავლებლების სწავლების კურსში შედიოდა საღვთო სჯული, რუსული ენის გრამატიკა, ადგილობრივი ენები (ქართული, სომხური, თათრული), არითმეტიკა, მსოფლიო და რუსეთის გეოგრაფია, მსოფლიო და რუსეთის ისტორია, გეომეტრია, ფიზიკა და ბუნებისმეტყველება, ადგილობრივ მეურნეობასთან და მრეწველობასთან დაკავშირებული ტექნოლოგიის ძირითადი საფუძვლები, ხატვა. სულ სწავლების კურსში შეტანილი იყო 15-მდე საგანი. ყველა ამ საგანს ასწავლიდა ორი მასწავლებელი.

ცხადია, სამი წლის განმავლობაში ასეთი ვრცელი კურსის საფუძვლიანი გავლა შეუძლებელია. ამიტომაც, ბუნებრივია, სამაზრო სასწავლებელს არ შეეძლო მიეცა მოსწავლეებისათვის სათანადო მომზადება.

სასულიერო სასწავლებლები და სასულიერო სემინარია.

თბილისში სასულიერო სემინარია გაიხსნა 1817 წელს. მის დანიშნულებას შეადგენდა სასულიერო პირთა შვილების სწავლება და მათი მომზადება საეკლესიო სამსახურისათვის. გარდა ამისა, სასულიერო სემინარიას უნდა მოემზადებინა მასწავლებლები სამაზრო სკოლებისა და სამრევლო სასწავლებლებისათვის. ამრიგად, სასულიერო სემინარია თავიდანვე შეიქმნა, როგორც წოდებრივი სასწავლო-აღმ-

ზრდელობითი დაწესებულება, რომელიც ეკლესიის მსახურთა შვილებისათვის იყო განკუთვნილი.

სასულიერო სემინარია დებულების მიხედვით სამი ორ-ორწლიანი განყოფილებისაგან, ან კლასისაგან შედგებოდა. აქედან პირველი განყოფილება იყო რიტორიკის, მეორე — ფილოსოფიის და მესამე — ღვთისმეტყველების. თბილისის სემინარიაში 1823 წლამდე მხოლოდ რიტორიკის განყოფილება არსებობდა, 1823 წელს გაიხსნა ფილოსოფიის განყოფილება; 1827 წელს — ღვთისმეტყველების განყოფილება. ამრიგად, თბილისის სასულიერო სემინარიამ სტრუქტურის მხრივ დასრულებული სახე მიიღო ოციანი წლების დასასრულს.

სემინარიის რიტორიკის განყოფილებაში, რომელსაც შემდეგ ფილოლოგიის კლასი ეწოდა, ისწავლებოდა: რიტორიკა, მსოფლიო ისტორია, საეკლესიო ისტორია, რუსეთის ისტორია, მსოფლიო გეოგრაფია, რუსეთის გეოგრაფია, გალობა, ქართული და რუსული ენები.

ფილოსოფიის განყოფილებაში ისწავლებოდა: ფილოსოფია, ფილოსოფიის ისტორია, მსოფლიო ისტორია, ეკლესიების ისტორია, გალობა, რუსული და ქართული ენები, თარგმნა რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად.

ღვთისმეტყველების განყოფილებაში ისწავლებოდა: ღვთისმეტყველება, ეკლესიის ისტორია, ჰერმენევტიკა, ახალი აღთქმა. გარდა ამისა, სასწავლო საგანთა ცხრილში შეტანილი იყო აგრეთვე ბერძნული, ლათინური, ფრანგული და გერმანული ენები.

ამრიგად, სწავლების კურსი სასულიერო სემინარიაში მეტად ვრცელი იყო. იგი მოიცავდა ცოდნათა მრავალ დარგს. მიუხედავად ამისა, იგი მეტად ვიწრო და ცალმხრივ ჰუმანიტარულ განათლებას აძლევდა მოსწავლეებს. საბუნებისმეტყველო ციკლის სასწავლო დისციპლინები და მათემატიკა სწავლების კურსში შეტანილი არ იყო. ამას ემატებოდა ისიც, რომ სემინარიაში თავიდანვე დამკვიდრდა უაზრო მექანიკური ზეპირობა, დოგმატიზმი, სქოლასტიკა. ცხოველური წვრთნა სემინარიაში გაბატონებული იყო სულშემხუთავი რეჟიმი და დასჯის მკაცრი სისტემა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა სემინარიასთან არსებული ბურსა — საერთო საცხოვრებელი, რომელიც 1827 წელს იქნა დაარსებული. ბურსაში თავიდან გათვალისწინებული იყო 25 მოსწავლის მიღება სრულ კმაყოფაზე; 25 მოსწავლისა კი — ნახევარკმაყოფაზე.

რა თქმა უნდა, თბილისის სასულიერო სემინარიამ თავისი არსებობის მანძილზე მრავალი ცვლილება განიცადა როგორც სწავლების შინაარსის, ისე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ფორმებისა და

მეთოდების მსრივ. მიუხედავად ამისა, იგი რელიგიისა და მონარქიზმის დასაყრდენი იყო თავიდან და ასეთივე დარჩა ბოლომდე.

სასულიერო სემინარიის დაარსებასთან ერთად დაიწყო სასულიერო სასწავლებლებისა და სამრევლო სკოლების გახსნა. სამრევლო სკოლას უნდა მოემზადებინა მოსწავლეთა კონტინგენტი სასულიერო სასწავლებლებისათვის, ხოლო სასულიერო სასწავლებლებს — სასულიერო სემინარიისათვის. პრაქტიკულად სამრევლო სასწავლებლები საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში ვერ გავრცელდა. ორიოდე სამრევლო სკოლა, რომელიც არსებობდა ამ პერიოდში, რაიმე მნიშვნელოვან როლს სახალხო განათლების საერთო სისტემაში ვერ ასრულებდა. სასულიერო სასწავლებლები კი უფრო მკვიდრ ნიადაგზე აღმოცენებული აღმოჩნდა და გარკვეულ წარმატებასაც აღწევდნენ მუშაობაში.

პირველი სასულიერო სასწავლებელი გაიხსნა ქ. თბილისში სასულიერო სემინარიასთან 1818 წელს; მომდევნო წლებში სასულიერო სასწავლებლები გაიხსნა აგრეთვე გორში, თელავში, სიღნაღში, ქუთაისში, გურიასა და სამეგრელოში.

სასულიერო სასწავლებელი თავიდან ერთკლასიანი იყო სწავლების ორწლიანი კურსით. 1833 წლიდან სასულიერო სასწავლებლები გადაკეთდა ოთხკლასიან სასწავლებლებად სწავლების ოთხწლიანი კურსით.

სასულიერო სასწავლებელში ისწავლებოდა: რუსული და სლავური გრამატიკა, არითმეტიკა, საეკლესიო გალობა, კატეხიზისი, ბერძნული და ლათინური ენების პირველდაწყებითი კურსი, საღვთო ისტორია, ზოგადი გეოგრაფია, რუსეთის ისტორია, ქართული ენა (გრამატიკა). რუსული და ქართული ენების სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა თარგმნას რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად.

სწავლების სისტემა და რეჟიმი სასულიერო სასწავლებლებში დაახლოებით ისეთივე იყო, როგორც სასულიერო სემინარიაში.

საეკლესიო, სამონასტრო და კერძო სკოლები და პანსიონები

XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში ერთგვარი გავრცელება პოვა საეკლესიო და სამონასტრო სკოლებმა. ყოველ მოზრდილ და კარგად ორგანიზებულ ეკლესიასა და მონასტერთან, როგორც წესი, თავს იყრიდა რამდენიმე ბავშვი, რომლებსაც ასწავლიდნენ წერა-კითხვას, ანგარიშს, საღვთო სჯულს და რიგ სხვა საგნებს. ეკლესიებთან და მონასტრებთან არსებულ სკოლებს რაიმე გარკვეული, ოფიციალურად დადგენილი შინაგანაწესი, სასწავლო გეგმა და პროგრამა, სწავლების განსაზღვრული სისტემა არ ჰქონდა. სწავლების მთელი შინაარსი, ფორმები და მეთოდები ტრადიციულად მომდინარეობდა შუა საუკუნეებიდან და მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული მოძღვარ მასწავლებელზე.

პროფ. გ. თავზიშვილის გამოკვლევების მიხედვით, 1817 წელს ასეთი სკოლები არსებობდა ქ. თბილისში სიონის, კალოუბნის, მეტეხის, ქაშვეთის, ანჩისხატის და სხვ. ეკლესიებთან. სკოლები არსებობდა აგრეთვე ნეკრესის, ახტალის, გარეჯის, ბოდბის, ნიხოწმინდის, გელათის, მარტვილის, ბიჭვინთის, ცაიშის, ჯუმათის, შემოქმედის, ხონის და მრავალ სხვა ეკლესია-მონასტრებთან.

ეკლესია-მონასტრებთან არსებული სკოლები ეკუთვნილისათვის იყო შექმნილი, მაგრამ არსებობდა აგრეთვე ქალთა სკოლებიც, რომლებიც ჩვეულებრივად იხსნებოდა ქალთა მონასტრებში.

როგორც ირკვევა, ზოგიერთ დიდ ეკლესია-მონასტრებთან, ეპარქიის ცენტრებში, კათედრალურ ტაძრებთან მაღალი ტიპის სკოლებიც არსებობდა, სადაც ასწავლიდნენ რიტორიკას, გრამატიკას, ფილოსოფიას, მეტაფიზიკას, ლოგიკას, ისტორიას, ღვთისმეტყველებას და სხვ.

ეკლესიებთან და მონასტრებთან არსებულ სკოლებში ყველა წოდების ბავშვი მიიღებოდა; სწავლება მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ზოგიერთ ოჯახში არსებობდა პატარა-პატარა სკოლები და კერძო სასწავლებლები. აქ თავს უყრიდნენ ბავშვებს და ასწავლიდნენ წერა-კითხვას, ანგარიშს, ლოცვებს და ზოგჯერ ხელსაქმეს ან რაიმე ხელობასაც კი.

ასეთი ტიპის სკოლებს, რა თქმა უნდა, არავითარი წესდება და დებულება არ ჰქონდა, პროგრამა და სასწავლო გეგმა არ გააჩნდა. მათ მუშაობას კონტროლსაც არავინ უწევდა. ამ სკოლებში ბავშვებს ახდევინებდნენ სასწავლო გადასახადს ფულად ან ნატურით.

არის ცნობები, რომ ოჯახში არსებულ ზოგიერთ სკოლას კარგი ხელმძღვანელ-მასწავლებელი ჰყავდა და კარგადაც ამზადებდა ბავშვებს. ასეთი სკოლების რიცხვს მიეკუთვნებოდა, მაგალითად, კურდღელაშვილის სკოლა — თელავში, რცხილაძისა — შაშიანში, ჯანაშვილისა — ბოდბეში, ჯავახიშვილისა — ზოვლეში და სხვ.

გარდა ამისა, XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში შეიქმნა კერძო სკოლებისა და პანსიონების გარკვეული ქსელი. კერძო სკოლა და პანსიონი, ოჯახებში არსებული სკოლებისაგან განსხვავებით იხსნებოდა ოფიციალური ნებართვით. ისინი მეტწილად მუშაობდნენ განსაზღვრული სასწავლო გეგმითა და პროგრამით.

1834-35 წელს საქართველოში არსებობდა 72 კერძო სკოლა. მათში ირიცხებოდა 1454 მოსწავლე. მათ შორის, სწავლება მიმდინარეობდა ქართულ ენაზე 30 სკოლაში; სომხურ ენაზე — 19 სკოლაში; თათრულ ენაზე — 4 სკოლაში; ქართულ-სომხურ ენებზე — 11 სკოლაში და სხვა ენებზე — 8 სკოლაში.

ქ. თბილისში არსებობდა 18 კერძო სკოლა: გორში — 4, თელავში — 3, ჭუთაისში — 7 და ა. შ.[1]

XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში დაიწყო კერძო პანსიონების გახსნა. პირველი პანსიონი თბილისში 1820 წელს დააარსა პ. ნ. ახვერდოვამ. ამ პანსიონში ღებულობდნენ მაღალი წრის ახალგაზრდა ქალებს. ასწავლიდნენ მათ ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებს, მუსიკას, ანგარიშს, ცეკვას, ხატვას, ხელსაქმეს.

გარდა ამისა, 40-იან წლებში ქ. თბილისში გაიხსნა რაევსკის, ჰაკეს და იანიცკის პანსიონები — ვაჟებისათვის და სამონასტრო პანსიონი — ქალებისათვის. თბილისში არსებულ ყველა პანსიონში 1850 წლისათვის ირიცხებოდა დაახლოებით 200 ბავშვი. პანსიონებში დაწესებული იყო დიდი სასწავლო და სხვა გადასახადი და ისინი ემსახურებოდნენ მხოლოდ საზოგადოების მაღალ ფენებს.

ქალთა სკოლები. XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში შეიქმნა პირველი ქალთა სასწავლებლები. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი და წმ. ნინოს სასწავლებელი.

ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი დაარსდა ქ. თბილისში 1842 წელს. ეს ინსტიტუტი ჩამოყალიბდა წინათ არსებულ ქალთა პანსიონის რეორგანიზაციის გზით, რომელიც გახსნილი იყო სახელმწიფოს ხარჯზე 1830 წელს მცირეწლოვანი კეთილშობილი ქალებისათვის.

ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტში იღებდნენ თავად-აზნაურთა და მსხვილ მოხელეთა ბავშვებს. ინსტიტუტთან არსებობდა პანსიონი, რომელიც დახურული ტიპის სასწავლო დაწესებულება იყო.

ინსტიტუტის მოსწავლეთა კონტინგენტი თავიდანვე განსაზღვრული იყო 80 აღსაზრდელით, აქედან 60 სახაზინო ხარჯზე, 20 კი — საკუთარ კმაყოფაზე. ინსტიტუტის დანიშნულებას შეადგენდა მოსწავლე ქალების აღზრდა და მომზადება იმ წესით, რომელიც მაშინდელი გაგებით შეეფერებოდა არისტოკრატიულ წრეებს. სწავლების კურსი ინსტიტუტში სწორედ ამის მიხედვით იყო განსაზღვრული.

ინსტიტუტი თავისი სტრუქტურით 3 კლასისაგან შედგებოდა. თითოეულ კლასს ორი განყოფილება ჰქონდა. სწავლების ხანგრძლივობა ყოველ განყოფილებაში იყო ერთი წელი. სწავლების კურსში შეტანილი იყო შემდეგი საგნები: საღვთო სჯული, რუსული ენა და სიტყვიერება, ფრანგული ენა და სიტყვიერება, ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ბუნებისმეტყველება, არითმეტიკა, ხატვა, ხელსაქმე, მუსიკა, ცეკვები. ქართული და სომხური ენები ინსტიტუტში ისწავლებოდა მხოლოდ მსურველთათვის.

ინსტიტუტში მთავარი ყურადღება ექცეოდა ფრანგული ენის, ცეკვებისა და მუსიკის სწავლებას. გარდა ამისა, განსაკუთრებული ზრუნვის საგანს შეადგენდა აგრეთვე ლამაზი მანერების გამომუშავება. ერთი სიტყვით, ქალთა ინსტიტუტში იზრდებოდა არისტოკრატი ქალი, რომელსაც დიდი ცოდნა და განათლება არ მოეთხოვებოდა, მაგრამ მას კარგად უნდა სცოდნოდა ფრანგული და რუსული ენები, ცეკვა, ფორტეპიანოზე დაკვრა და მაღალ წრეში მიღებული ქცევის წესები. მშობლიური ენის ცოდნა საჭიროდ და სავალდებულოდ არ ითვლებოდა.

XIX საუკუნის ორმოციან წლებში საქართველოში შეიქმნა „წმ. ნინოს ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება“. ეს საზოგადოება თავის ძირითად ამოცანად თელიდა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას. ამ ამოცანის შესაბამისად, წმ. ნინოს ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებამ 1846 წელს ქ. თბილისში და 1847 წელს ქ. ჭუთაისში გახსნა წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლები.

ამ სასწავლებელთა დანიშნულებას, წესდების მიხედვით, შეადგენდა განათლებული ქალებისა და ოჯახის კარგი დედების მომზადება. წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლებთან არსებობდა პანსიონი. წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი ორი კლასისაგან შედგებოდა. თითოეულ კლასს ჰქონდა სამი განყოფილება. სწავლების საერთო ხანგრძლივობა იყო 6 წელი.

წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის სწავლების კურსში პირველ ხანებში შეტანილი იყო საღვთო სჯული, რუსული ენა, არითმეტიკა, გეოგრაფია, მსოფლიო ისტორია, რუსეთის ისტორია, სუფთა წერა, გალობა, ცეკვები, ქართული და სომხური ენები (მსურველთათვის).

წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის ხარჯები იფარებოდა „წმ. ნინოს საქველმოქმედო საზოგადოების მიერ“, მაგრამ მალე შემოიღეს სასწავლო გადასახადი, რის გამოც იგი მიუწვდომელი გახდა საზოგადოების ფართო ფენებისათვის.

რა თქმა უნდა, ქალთა სასწავლებლების გახსნა საქართველოში შეფასებულ უნდა იქნეს როგორც დადებითი მოვლენა. მიუხედავად იმისა, რომ ეს სასწავლებლები ემსახურებოდა საზოგადოების მაღალ

[1] გ. თავზიშვილი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორია საქ-ში, 1948, გვ. 119-120.

ფენებს და სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობა მათში არ იყო აგებული მოწინავე იდეურ-პედაგოგიურ საფუძველზე, ისინი მაინც იძლეოდნენ გარკვეულ ნაყოფს ცოდნისა და განათლების გავრცელების თვალსაზრისით.

პროფესიული განათლება. საქართველოში პროფესიული სკოლების შექმნის საკითხი ოფიციალურად არაერთხელ დაისვა ზემდგომი ორგანოების წინაშე, მაგრამ XIX საუკუნის I ნახევარში ამ დარგში რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება არ გატარებულა: მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში მხოლოდ ის მოხერხდა, რომ 1847 წელს ქ. თბილისში გაიხსნა სამხედრო უწყების ხაზით სამიჯნაო სკოლა, რომელსაც უნდა მოემზადებინა მომიჯნეები და მიწის მზომელთა თანაშემწეები. სამიჯნაო სკოლაში იღებდნენ 12-16 წლის მოზარდებს, რომლებსაც მიღებული ჰქონდათ დაწყებითი განათლება და იცოდნენ რუსული ენა. სწავლების ხანგრძლივობა სამიჯნაო სკოლაში იყო ოთხი წელი. სწავლების კურსი მეტად დიდი იყო. მასში შედიოდა როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე სპეციალური საგნები. სამიჯნაო სკოლასთან არსებობდა პანსიონი სახელმწიფოს ხარჯზე. სკოლის ყველა მოსწავლე პანსიონში ირიცხებოდა. 1849 წელს სამიჯნაო სკოლაში 50 მოსწავლე სწავლობდა.[1]

ამგვარად, 1851 წლისათვის საქართველოში არსებობდა 3 გიმნაზია — თბილისის სათავადაზნაურო, ქუთაისის საგუბერნიო და თბილისის კომერციული გიმნაზიები. სამივე გიმნაზიაში ირიცხებოდა 787 მოსწავლე; ამ დროისათვის საქართველოში არსებობდა 6 სამაზრო და 6 სამრეველო სასწავლებელი. სამაზრო სასწავლებლებში ირიცხებოდა 433 მოსწავლე, სამრეწველო სასწავლებლებში — 218. გარდა ამისა, არსებობდა სახელმწიფო სისტემის 5 პანსიონი — 68 მოსწაელით.

სასულიერო უწყების ხაზით ამავე დროისათვის არსებობდა 14 სასულიერო სასწავლებელი და ორი სასულიერო სემინარია (აქედან ერთი სომხურ-გრიგორიანული). სასულიერო განათლების სისტემის ყველა ამ სასწავლებელში ირიცხებოდა 860 მოსწავლე.

ეკლესია-მონასტრებთან არსებული და კერძო სკოლების რიცხვი 83-ს აღწევდა. მასში დაახლოებით 2300 მოსწავლე სწავლობდა. არსებობდა აგრეთვე ქალთა სამი სასწავლებელი 813 მოსწავლით.

გარდა ამისა, პოლკებთან არსებულ 16 სკოლაში სწავლობდა 620 მოსწავლე.

[1] გ. თავზიშვილი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში, 1948, გვ. 141-142.

ამრიგად, საქართველოში არსებულ ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლაში 1851 წელს სწავლობდა დაახლოებით 5554 მოსწავლე. რუსეთთან შეერთების შემდეგ მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში საქართველოში დაარსდა სულ 139 სასწავლო დაწესებულება.[1] ცხადია, სკოლების ეს ქსელი სრულებით ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას. ბავშვებისა და მოზარდების დიდი უმრავლესობა, დაახლოებით 90% და კიდევ უფრო მეტი, მოკლებული იყო ყოველგვარ საშუალებას მიეღო სწავლა-განათლება და შეესწავლა რაიმე პროფესია.

სწავლა-აღზრდის იდეურ-პოლიტიკურ მიმართულებას მონარქიზმი და კლერიკალიზმი განსაზღვრავდა. სწავლების შინაარსი, ფორმები და მეთოდები პედაგოგიური თვალსაზრისით სრულიად უვარგისი და მიუღებელი იყო. სასწავლო გეგმები გადატვირთული იყო, ზუსტად განსაზღვრული პროგრამები არ არსებობდა. სახელმძღვანელოებით სკოლების უზრუნველყოფის საკითხი სრულიად მოუწესრიგებელი იყო. მასწავლებელთა კადრებს მეტწილად არავითარი პედაგოგიური მომზადება არ ჰქონდა. სწავლებაში გაბატონებული იყო დოგმატიზმი, მექანიკური დაზეპირება, სქოლასტიკა. მოსწავლეთა შესაძლებლობასა და მათ ასაკობრივ თავისებურებას ანგარიში არ ეწეოდა.

ამ პერიოდის ყველაზე დიდი სოციალური უბედურება ის იყო, რომ ე. წ. „არათავისუფალი" წოდების ადამიანებს, ე. ი. ყმა გლეხებს, რომლებიც საზოგადოების უმრავლესობას შეადგენდნენ, კანონმდებლობით ჩამორთმეული ჰქონდათ უფლება მიეღოთ სწავლა-განათლება რომელიმე მაღალი ტიპის სკოლაში. მათთვის უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ეკლესია-მონასტრებთან არსებული სასწავლებლები იყო მისაწვდომი, სადაც მოსწავლეებს ტვინს ულაყებდნენ რელიგიური დოგმებით. ცხადია, ასეთ ვითარებაში ჭვეყანა სიბნელესა და უვიცობაში იხრჩობოდა. წერა-კითხვის მცოდნე ადამიანი, განსაკუთრებით სოფლად, იშვიათ გამონაკლისს შეადგენდა.

[1] გ. თავზიშვილი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების განვითარების ისტორია საქართველოში, 1948, გვ. 161.

თავი მეშვიდე

სოლომონ დოდაშვილი (1805—1836)

სოლომონ ივანეს ძე დოდაშვილი დაიბადა 1805 წლის 29 მაისს სიღნაღის მახლობლად, სოფელ მაღაროში. ამ სოფლის სახელწოდებიდან წარმოსდგა შემდეგ მისი ფსევდონიმი — მაღაროელი. 1817 წელს სოლომონი მშობლებმა ბოდბის მონასტერთან არსებულ სკოლაში მიაბარეს, ხოლო 1818 წელს სიღნაღის სასულიერო სასწავლებელში გადაიყვანეს, რომლის კურსი 1820 წელს წარჩინებით დაამთავრა. იმავე წელს ს. დოდაშვილმა წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები თბილისის სასულიერო სემინარიაში და ჩაირიცხა რიტორიკული განყოფილების პირველ კურსზე.

სემინარიაში სოლომონს დიდხანს არ უსწავლია. სემინარიის გამგეობის დადგენილებით იგი 1822 წლის 30 მარტს დაინიშნა სიღნაღის სასულიერო-სამრევლო სკოლის უფროსი კლასის მასწავლებლად.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ს. დოდაშვილი აშკარად გრძნობდა, რომ მისი მომზადება ოდნავადაც არ იყო საკმარისი დაწოუკიდებელი საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის და უმაღლესი განათლების მიღება გადაწყვიტა. ამიტომ 1823 წლის ივლისს ს. დოდაშვილი თავისი თხოვნით განთავისუფლდა მასწავლებლობიდან, ამოირიცხა სასულიერო წოდებიდან და შეუდგა მზადებას უმაღლესი საუნივერსიტეტო განათლების მისაღებად. 1824 წლის ივლისში ს. დოდაშვილი გაემგზავრა პეტერბურგს და ჩაირიცხა საიმპერატორო უნივერსიტეტის ფილოსოფია-იურისპრუდენციის ფაკულტეტზე.

პეტერბურგის უნივერსიტეტში ს. დოდაშვილმა ფილოსოფიურ მეცნიერებათა ღრმად დაუფლების დიდი ნიჭი და უნარი გამოიჩინა. პეტერბურგის პერიოდმა განსაკუთრებული გავლენა მოახდინა მომავალი დიდი მოაზროვნის მეცნიერულ მომზადებასა და ფილოსოფიური მსოფლმხედველობის შემუშავება-განვითარებაზე. ს. დოდაშვილი ენერგიულად დაეწაფა თვითგანვითარებას, დაუახლოვდა იმდროინდელი რუსეთის გამოჩენილ მწერლებს, მეცნიერებს და საზოგადო მოღვაწეებს და მათი ძლიერი გავლენა განიცადა. პეტერბურგში იგი ღრმად აკვირდებოდა პოლიტიკურ ვითარებას, ახლოს ეცნობოდა დეკაბრისტულ მოძრაობას, თარგმნიდა დეკაბრისტთა ნაწერებს და პირველ პოლიტიკურ ნათლობას იღებდა. ამავე დროს ს. დოდაშვილი უკავშირდებოდა პეტერბურგში გადასახლებულ ქართველ ბაგრატიონთა

წარმომადგენლებს, რომლებიც მეფის ხელისუფლებისადმი მტრულად იყვნენ განწყობილნი.

პეტერბურგის უნივერსიტეტში ყოფნის დროს ს. დოდაშვილმა დაწერა თავისი ცნობილი ფილოსოფიური შრომა „ლოღიკა“, რომელიც 1827 წელს გამოქვეყნდა რუსულ ენაზე დოდაევ-მაღაროელის ხელმოწერით. ამ ფილოსოფიურმა თხზულებამ ს. დოდაშვილს სახელი გაუთქვა. მას საყურადღებო რეცენზიები მიუძღვნეს და მეტად მაღალი შეფასება მისცეს იმდროინდელმა რუსულმა გამოცემებმა — „მოსკოვსკი ტელეგრაფმა“, „მოსკოვსკი ვესტნიკმა“ და „სევერნაია პჩელამ“. ავტორს უნდოდა ეს ნაშრომი პარალელურად ქართულადაც გამოეცა, მაგრამ მისი სურვილი შეუსრულებელი დარჩა.

ს. დოდაშვილის ფილოსოფიის კურსის პირველი ნაწილი — „ლოღიკა“ წარმოადგენს ახალგაზრდა ავტორის ორიგინალურ ფილოსოფიურ ტრაქტატს, რომელშიც ფილოსოფიის მთელი რიგი პრობლემები თავისებურად არის განხილული და იმდროისათვის პროგრესული თვალთახედვით გაშუქებული.

ფილოსოფიის სრული კურსის შემდგომი ნაწილების (ფსიქოლოგია, მეტაფიზიკა, ესთეტიკა, ეთიკა, სამართალი) გამოქვეყნება, რასაც ს. დოდაშვილი ვარაუდობდა, ვერ მოასწრო.

პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსი ს. დოდაშვილმა 1827 წელს დაამთავრა და სამშობლოში სამოღვაწეოდ გამოემგზავრა. იმავე წლის შემოდგომიდან იგი მიიწვიეს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის ქართული ენის, ლოგიკის, რიტორიკის და გეოგრაფიის მასწავლებლად. ს. დოდაშვილი შეუდგა მეტად ნაყოფიერ საზოგადებრივ-პედაგოგიურ და სამეცნიერო-ლიტერატურულ მოღვაწეობას, იგი შეიყვანეს 1828 წლის 16 ივლისს დაარსებული გაზეთის — „ტფილისის უწყებანი“-ს (გამოდიოდა რუსულ და ქართულ ენებზე) კომიტეტის წევრად. სულ მალე ს. დოდაშვილი ამ გაზეთის ფაქტიური ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი გახდა.

1830 წელს ს. დოდაშვილმა გამოსცა თავისი ცნობილი სახელმძღვანელო — „შემოკლებული ქართული გრამატიკა“, რომელსაც არა მარტო სასწავლო-პედაგოგიური, არამედ მეცნიერულ-ფილოლოგიური ღირსებაც აქვს. თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში ძირითად სასწავლო სახელმძღვანელოებად იხმარებოდა ს. დოდაშვილის „ლოღიკა“ და „ქართული გრამატიკა“.

ამ შესანიშნავი მოაზროვნის კალამს, როგორც მისი კერძო წერილებიდან ჩანს, გარდა დასახელებული ორი ძირითადი ნაშრომისა, კიდევ ბევრი მეცნიერულ-ფილოსოფიური ხასიათის თხზულება ეკუთვნის: რიტორიკა, ლოგიკა, მეორე ნაწილი (ნაწყვეტები) და სხვ.

1832 წლის იანვრიდან ს. დოდაშვილმა ქართული გაზეთის — „ტფილისის უწყებანის“ ლიტერატურული დამატების გამოცემა დაიწყო სათაურით: — „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, რომლის მხოლოდ ხუთი ნომრის გამოცემა შეძლო. ამ ორგანოში დაიბეჭდა მისი საყურადღებო სტატიები: „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“, „მეფობა ირაკლის მეორისა“, „წერილი ს. პეტერბურღიდამ ტფილისს ძმასთან“, „პასუხი ტფილისიდამ“ და სხვ. ამ წერილებს ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვთ ს. დოდაშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ესთეტიკურ და პედაგოგიკურ შეხედულებათა განხილვისათვის.

1832 წლის 23 დეკემბერს ს. დოდაშვილი დააპატიმრეს მეფის თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო აჯანყების ფარულად მზადებაში მონაწილეობის გამო. როგორც ცნობილია, 1832 წლის შეთქმულების იდეური სულისჩამდგმელები იყვნენ რუსეთში გადახვეწილი ბაგრატიონების შთამომავალნი. ს. დოდაშვილი ბაგრატიონთა მონარქისტული დინასტიის აღდგენისათვის კი არ იბრძოდა, არამედ საქართველოს განთავისუფლებისათვის ცარიზმის მხრივ ნაციონალური და პოლიტიკური ჩაგვრისაგან. იგი თავისი სოციალურ-პოლიტიკური მსოფლმხედველობით განმანათლებელი და დემოკრატ-რესპუბლიკელი, დეკაბრისტების იდეური თანამგრძნობი იყო. ამის გამო მეფის ხელისუფლებამ ს. დოდაშვილი სასტიკად დასაჯა. წელიწადნახევრის პატიმრობის შემდეგ იგი 10 წლით გადაასახლეს ვიატკაში. ისედაც დაუძლურებულმა დოდაშვილმა ვერ აიტანა ვიატკის ცივი ჰავა და 1836 წლის 28 აგვისტოს გარდაიცვალა.

ს. დოდაშვილის გარდაცვალების გამო დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი ა. გერცენი, რომელიც იმ დროს აგრეთვე ვიატკაში იყო გადასახლებული და ჩვენს მოაზროვნეს ახლო იცნობდა, თავის დღიურში (1842 წ. 28 მარტს) წერდა: „მან ვერ აიტანა სუსხიანი ჰავა და უბოროტესმა ჭლექმა შეიპყრო. მე ვინახულე იგი სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე. ის ძლივს-ღა სუნთქავდა, მაგრამ მაინც ღრმა რწმენით მითხრა: ოღონდ გაზაფხულზე არ გავხდე უფრო ცუდად, თორემ შეიძლება ჭლექი გამიჩნდესო“.

ასე დაასრულა 31 წლის ასაკში თავისი მგზნებარე სიცოცხლე უდიდესი ნიჭისა და ერუდიციის ქართველმა ფილოსოფოსმა, გრამატიკოს-ლიტერატორმა, საზოგადო მოღვაწემ და პედაგოგმა სოლომონ დოდაშვილმა.

ს. დოდაშვილის მოღვაწეობა სახალხო განათლების დარგში იმით არ ამოიწურება, რომ იგი პრაქტიკოსი პედაგოგი იყო და მეტად ნაყოფიერ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას ეწეოდა თბილისის კე-

თილშობილთა სასწავლებელში. ს. დოდაშვილი თავის ნაწერებში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სახალხო განათლების თეორიული საკითხების დამუშავებასაც. იგი, როგორც განმანათლებელი, სახალხო განათლებას თვლიდა საზოგადოების კეთილდღეობის ძირითად საფუძვლად, ტფილისის უწყებათა სალიტერატურო ნაწილში მოთავსებულ სტატიაში „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა (ანუ სიტყვიერებისა)“ ს. დოდაშვილი წერდა: „განათლება არის უმტკიცესი და უუსაიმედოესი საფუძველი კეთილდგომარეობისა ყოველისა საზოგადოებისა: ყოველმან უწყის, რომელ საზოგადოება, შემდგარი კეთილაღზრდილთა წევრთაგან, შეიქმნების გაწმენდილს წყაროდ საერთო კეთილმოქმედებათა, დიდებისა და შემძლებლობისა“.

ს. დოდაშვილს აღზრდა-განათლების შინაარსი და ამოცანები არა მარტო პედაგოგიური მუშაობის სპეციფიკად მიაჩნდა, არამედ საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობის ფუნქციადაც.

ს. დოდაშვილის აზრით, სწავლა-განათლების გარეშე შეუძლებელია ქართველი ხალხის მომავალი ბედნიერი ცხოვრება. „სწავლათა შინა... მამული ჩვენი მოელის ბედნიერებასა“ — წერს იგი. როგორც დემოკრატ, ს. დოდაშვილს მტკიცედ სწამდა, რომ „სწავლასა შინა დიდისკაცისა და მცირისა ერთნი და იგივე არიან“, ამიტომ ამოცანა ისაა, რომ ხელი შევუწყოთ ქართველი ხალხის გონებრივი განვითარების დონის ამაღლებას., თავის სიტყვაში კეთილშობილთა სასწავლებლის მოსწავლეთა საჯარო გამოცდის შემდეგ, 1828 წლის 18 იენისს, ს. დოდაშვილი აღნიშნავდა: „მეცნიერნი აწ ვალდებულ არიან ყოველითა უაღრესობითა მათითა აღიყვანონ ერი ჩვენი პირისპირ სხვათა მხოლოდ ოდენ სწავლათა მიერ“.

„რიტორიკაში“, რომლის დასაწყისის პირველი ვარიანტია დარჩენილი, ს. დოდაშვილს ადამიანის მთავარ ნიშან-თვისებად „განათლებული გონება და განვითარებული გული“ მიაჩნია, ხოლო ამის მიღწევის საშუალებად „ზნეობითი ფილოსოფიურნი სწავლანი“, აგრეთვე „მათემატიკურნი“ და „პოლიტიკურნი სწავლანი“.

ს. დოდაშვილი ცდილობდა აღზრდა-განათლების მიზნებისა და შინაარსის განსაზღვრასაც. იგი ადამიანის ჰარმონიული აღზრდა-განათლების იდეას იზიარებდა და თავისებურად ასაბუთებდა კიდეც. „ვინც ადამიანს დაკვირვებია, მან იცის, რომ იგი მიწილტვის ჰარმონიისაკენ თავისი ბუნებით, შეუწყვეტლად ეძებს მას აგრეთვე გარე ბუნებაშიც“. ადამიანთა ჰარმონიული განვითარება შედეგია „გარკვეული ადამიანური ცოდნის სისტემისა“, მეცნიერებათა ღრმად შეთვისება-დაუფლებისა.

„ლოღიკის“ მეორე ნაწილის დასაწყისში სოლ. დოდაშვილი მეცნიერებას განსაზღვრავს როგორც ცოდნათა სისტემას — „სისტემატურ შემეცნებას“, რომელიც „უპირისპირდება ნაწყვეტ-ნაწყვეტ შემეცნებას“. იგი სწავლების პროცესშიც თავის ადგილს მიუჩენს ანალიზსა და სინთეზს, დოგმატურსა და კრიტიკულს, აკრომატულსა და დემონსტრაციულს, დიალოგიურსა და კატეხიზურ გზებსა და საშუალებებს, დასაბუთებულ მტკიცებას სწავლებაში.

ცოდნა, ს. დოდაშვილის აზრით, „არავისათვის არ არის თანდაყოლილი; ის შეძენილ უნდა იქნას საკუთარი გონების ძალით, საკუთარი მოღვაწეობით“ და არა გამზადებულ-გაზეპირებულად.

ამ პედაგოგიკური პოზიციის საფუძველზე ს. დოდაშვილს, რასაკვირველია, ვერ აკმაყოფილებდა მაშინდელი სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და ყოველთვის იმას ცდილობდა, რომ როგორმე გარდაქმნილიყო მათი მუშაობა.

მეტად ძვირფასია აგრეთვე ს. დოდაშვილის მოსაზრებანი ბავშვის, როგორც აღზრდის ობიექტის ბუნების, სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის თავისებურების, მასწავლებლის როლის, აღმზრდელობითი სწავლებისა და სხვ. შესახებ.

სოლომონ დოდაშვილი პირველი განმანათლებელი საზოგადო მოღვაწე იყო საქართველოში. მისი პროგრესული ფილოსოფიური, ფილოლოგიური და პედაგოგიური იდეები, რომელთა მეცნიერული შესწავლა მხოლოდ ჩვენს ეპოქაში გახდა შესაძლებელი, მნიშვნელოვან ფონდად შედის ქართული რეოლუციამდელი აზროვნების საერთო საგანძურში.

თავი მეორე

სახალხო განათლება XIX საუკუნის მეორე ნახევარში

60-იანი წლების რეფორმები სახალხო განათლების დარგში

XIX საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მთავარ მოვლენას ბატონყმობის გაუქმება და კაპიტალიზმის წარმოშობა წარმოადგენდა. ბუნებრივია, რომ კაპიტალიზმის წარმოშობამ მწვავედ დააყენა დღის წესრიგში სახალხო განათლების რადიკალურად გარდაქმნისა და განვითარების საკითხი.

მთავრობა იძულებული გახდა ანგარიში გაეწია ამ გარემოებისათვის. ამას შედეგად მოჰყვა 60-იანი წლების რეფორმები სახალხო განათლების დარგში.

დიდი სამზადისისა და ფართო განხილვის შემდეგ რუსეთის თვითმპყრობელურმა მთავრობამ 1864 წელს დაამტკიცა სახალხო სკოლების ახალი დებულება და გიმნაზიის წესდება, რომლებიც ითვალისწინებდა მნიშვნელოვან ცვლილებებს დაბალი და საშუალო საფეხურის სასწავლო დაწესებულებათა შინაგან წყობასა და, საერთოდ, მთელი სახალხო განათლების სისტემაში. 60-იანი წლების რეფორმებით გადაიდგა ერთგვარი ნაბიჯი სახალხო განათლების წოდებრივ-ბატონყმური სისტემის კლასობრივ-ბურჟუაზიულ სისტემად გარდაქმნის მიმართულებით. ვ. ი. ლენინის განსაზღვრით, ეს იყო პროგრესული ხასიათის ღონისძიება რუსეთის ისტორიაში.

„...წოდებრივი სკოლის კლასობრივით შეცვლა, — წერდა ვ. ი. ლენინი. — ეს არის მხოლოდ ერთ-ერთი რგოლი რუსეთის საერთო და ყოველმხრივი ევროპეიზაციის პროცესში“.[1]

60-იანი წლების რეფორმებმა სახალხო განათლების დარგში თავისი გამოხატულება ჰპოვა კავკასიაშიც. მიღებულ იქნა „დებულებანი კავკასიისა და ამიერკავკასიის სასწავლო ნაწილის შესახებ“, რომელიც სათანადო ორგანოების მიერ დამტკიცებულ იქნა 1867 წლის 25 ივნისს. ეს ახალი დებულება იმავე პრინციპულ საფუძველს ემყარებოდა, რასაც 1864 წლის რეფორმები რუსეთში. განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ ამ დებულების თანახმად სწავლება სახალხო სკოლებში პირველი 2-3 წლის განმავლობაში მშობლიურ ენაზე მიმდინარეობ-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 578.

და, რუსული ენა ისწავლებოდა ყველა სახალხო სკოლაში, როგორც ერთ-ერთი ძირითადი საგანი სწავლების მეორე წლიდან. ადგილობრივი ენები (ქართული, სომხური, აზერბაიჯანული) ისწავლებოდა საშუალო სასწავლებელში. ჭუთაისისა და თბილისის პირველი გიმნაზიები ნახევრად კლასიკურ გიმნაზიებად გადაკეთდა; თბილისის მეორე გიმნაზია — რეალურ გიმნაზიად.

70-იანი წლების კონტრრეფორმები. მიუხედავად იმისა, რომ 60-იანი წლების რეფორმები სახალხო განათლების დარგში ძალზე შეკვეცილი და საკმაოდ რეაქციული იყო, საბოლოოდ მიუღებელი აღმოჩნდა საზოგადოების გაბატონებული მმართველი ფენებისათვის. მალე დაიწყო შეტევები ამ რეფორმების წინააღმდეგ. ამ შავბნელ საქმეს სათავეში ჩაუდგა რუსეთის სახალხო განათლების მინისტრი დ. ტოლსტოი. მან თავის უახლოეს მიზნად დაისახა 60-იანი წლების რეფორმების დემოკრატიული ელემენტების ლიკვიდაცია. დაიწყო კონტრრეფორმები. 1872 წლის დებულებით გაუქმდა სამაზრო სკოლები და მათ ნაცვლად შეიქმნა საქალაქო სასწავლებლები, საიდანაც გიმნაზიაში გადასვლა არ შეიძლებოდა. სახალხო სკოლა თავის მხრივ უკვე არ წარმოადგენდა მოსამზადებელ საფეხურს საქალაქო სკოლაში შესასვლელად. ამრიგად, სახალხო განათლების სისტემების ერთგვარი მთლიანობა, რომელიც დაშვებული იყო წინა პერიოდში და აგრეთვე 60-იანი წლების რეფორმებით, დაირღვა. საზოგადოების ფართო ფენებისათვის ერთადერთი მისაწვდომი გზა საშუალო სკოლისაკენ, სახალხო და სამაზრო სკოლების კურსის გავლით, მთლიანად დაიხშო.

70-იანი წლების კონტრრეფორმების პერიოდში შეიქმნა განსაკუთრებული ტიპის საეკლესიო-სამრევლო სკოლები, რომლებიც დაუპირისპირდა საზოგადოებრივი სისტემის სახალხო სკოლებს. მთავრობა ყოველნაირად უჭერდა მხარს და ეხმარებოდა საეკლესიო-სამრევლო სკოლებს, აძლევდა მათ უხვ სუბსიდიებს და სხვ. ამ გზით მას სურდა საზოგადოებრივი სკოლების, კერძოდ, საერობო, ქალაქის თვითმმართველობათა და სოფლის საზოგადოებათა სკოლების შეზღუდვა, შემცირება და საბოლოოდ სრული ლიკვიდაცია.

60-იანი წლების რეფორმები გარკვეულ უფლებებს აძლევდა საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და კერძო პირებს სახალხო განათლების დარგში. 70-იანი წლების კონტრრეფორმები ზღუდავდა ყოველივე ამას და განუსაზღვრელ ძალაუფლებას ანიჭებდა მთავრობის ორგანოებსა და ეკლესიას სკოლების გახსნის, მათი სწავლების შინაარსისა და მეთოდების განსაზღვრის, მართვა-გამგეობისა და ხელმძღვანელობის დარგში. ამ მიზნით შეიქმნა და ჩამოყალიბდა სახალხო სკოლების დირექციები და ინსპექციები.

საშუალო სკოლების ხაზით კიდევ უფრო რადიკალური ღონისძიებები გატარდა. 1864 წლის წესდება გაუქმდა და შეიცვალა 1871 წლის წესდებით, რომელიც ზოგიერთი უმნიშვნელო ცვლილებით ძალაში იყო თვითმპყრობელობის დამხობამდე, ე. ი. 1917 წლამდე.

1871 წლის წესდებამ მოსპო ის მცირეოდენი დათმობანი, რომელიც საქართველოს გიმნაზიებში იყო დაშვებული 1867 წლის დებულებით. სასწავლო გეგმები და პროგრამები რუსეთის ყველა გიმნაზიასა და რეალურ სასწავლებელში უნიფიცირებულ იქნა. კავკასიის გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებლებში სასწავლო გეგმიდან ამოღებულ იქნა ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ენები. ეს საგნები გამოცხადდა არასავალდებულოდ და დაშვებული იყო მხოლოდ პროგიმნაზიულ კლასებში.

1871 წლის წესდების საფუძველზე ჩამოყალიბდა რვაკლასიანა კლასიკური გიმნაზია, მოსამზადებელი განყოფილებით. რეალური გიმნაზია რეალურ სასწავლებლად გადაკეთდა და ოფიციალურად აღიარებულ იქნა დაბალი ტიპის საშუალო სასწავლებლად, რომელიც კურსდამთავრებულთ უნივერსიტეტებში და რიგ სხვა უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლებას არ ანიჭებდა. დაწესდა გამოცდები სიმწიფის ატესტატზე, მედლებით დაჯილდოება სწავლების კურსის წარჩინებითა და სანიმუშო ყოფაქცევით დამთავრებისათვის; შემოღებულ იქნა ფორმის ტანსაცმელი, დადგენილ იქნა მოსწავლეებზე მეთვალყურეობის მთელი სისტემა სკოლაში და სკოლის გარეთ; დაკანონდა დასჯის მკაცრი ზომები.

70-იანი წლების რეფორმების საფუძველზე შეიქმნა ახალი ტიპის გიმნაზია, რომელიც სახალხო განათლების დარგში უკიდურესი რეაქციის განსახიერებას წარმოადგენდა.

ამრიგად, 70-იანი და მომდევნო წლები აღინიშნა სახალხო განათლების დარგში რეაქციის გაძლიერებით, დემოკრატიული ელემენტებისა და ყოველგვარი პროგრესული ნაკადის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლით სახალხო განათლების დარგში და სწავლა-აღზრდის სისტემაში.

ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა. რუსული სკოლის ერთ-ერთ ძირითად დანიშნულებას ამიერკავკასიაში თავიდანვე წარმოადგენდა მკვიდრი მოსახლეობის, ე. წ. „სხვატომელთა" გარუსება. ამ პოლიტიკამ სახალხო განათლების დარგში თავისი უკიდურესი სახე მიიღო XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან, როდესაც სახალხო განათლების საქმეს კავკასიაში სათავეში ჩაუდგა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი.

სახალხო სკოლებში მან შეიტანა 1881 წლის სასწავლო გეგმა. ამ გეგმის მიხედვით რუსული ენის სწავლება არარუსულ სკოლებში იწყებოდა არა მეორე წლიდან, როგორც ეს წინათ იყო, არამედ პირველი წლის მეორე ნახევრიდან. 1881 წლის გეგმა ითვალისწინებდა სწავლებას მშობლიურ ენაზე I განყოფილებაში; მეორე განყოფილებაში — სწავლების რუსულ და მშობლიურ ენებზე წარმართვას; მესამე განყოფილებაში კი — მთლიანად რუსულ ენაზე სწავლებას. სასწავლო გეგმით დაშვებული იყო რუსულ ენაზე შესწავლილის მშობლიურ ენაზე მოყოლა.

იანოვსკის ამ პირველ ნაბიჯს, რომელიც არსებითად აუქმებდა ეროვნულ სახალხო სკოლას, ჩქარა მოჰყვა მორიგი ნაბიჯი. 1881 წლის სასწავლო გეგმა ფაქტიურად გაუქმდა და მის ნაცვლად შემოღებულ იქნა ახალი სასწავლო გეგმა.

ახალი გეგმით რუსული ენის სწავლება დაწყებით სასწავლებლებში იწყებოდა პირველსავე განყოფილებაში. მშობლიური ენა მხოლოდ სწავლების პირველ წელს ისწავლებოდა. სწავლება მიმდინარეობდა პირველ განყოფილებაში რუსულ და ნაწილობრივ მშობლიურ ენებზე, მეორე-მესამე განყოფილებაში — მთლიანად რუსულ ენაზე. მშობლიურ ენას პირველ განყოფილებაში ეთმობოდა მხოლოდ 4 საათი და ისიც ბოლო გაკვეთილები.

ყოველივე ეს არ იკმარა კავკასიის სასწავლო ოლქის ადმინისტრაციამ. მან სრულიად განდევნა სამეგრელოსა და სვანეთის სკოლებიდან ქართული ენა. მასწავლებელს ევალებოდა სწავლების პროცესში, ნაცვლად ქართული ენისა, მეგრული და სვანური ენები გამოეყენებინა. ის საათები, რომელიც მშობლიურ ენას ეთმობოდა, მეგრულ და სვანურ ენებს უნდა მოხმარებოდა. მასწავლებელს ეძლეოდა მითითება, რადგანაც მეგრულ და სვანურ ენებზე დამწერლობა არ არსებობდა, მეგრული და სვანური სიტყვები **ეწერათ რუსული ასოებით. ამას** მოჰყვა მეგრული და სვანური ანბანების შექმნის ცდა, საეკლესიო წიგნების მეგრულ და სვანურ თარგმანში უაზრო ვარჯიში და სხვ.

90-იანი წლებიდან დაიწყო კიდევ ერთი ახალი ანტიპედაგოგიური, უაღრესად რეაქციული ღონისძიების გატარება. ეს იყო მუნჯური მეთოდის დანერგვა სკოლებში, რომლის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორი ლევიცკი.

მუნჯური მეთოდის გამოყენების დროს მასწავლებელს ეკრძალებოდა აეხსნა ბავშვებისათვის მათთვის გასაგებ მშობლიურ ენაზე ის საკითხები, რაც რუსული ენის სწავლებასთან იყო დაკავშირებული. აკრძალული იყო უცნობი სიტყვებისა და ტერმინების განმარტება

მშობლიურ ენაზე თარგმნის მეშვეობით. ყოველი რუსული სიტყვა რუსულ ენაზევე უნდა ყოფილიყო ახსნილი თვალსაჩინოებისა და სხვა საშუალებათა გამოყენებით. ბუნებრივია, რომ ამ გზით „ახსნილი“ ბევრი სიტყვა ისევ გაუგებარი დარჩებოდა. ასეთ ვითარებაში ბავშვს მხოლოდ მექანიკურად უნდა დაეზეპირებინა სიტყვა და გამოთქმა, წინადადება და ფრაზა, სახელმძღვანელოს ტექსტი, რომლის მნიშვნელობა, შინაარსი და აზრი მისთვის გაუგებარი იყო.

მუნჯური მეთოდის არსისა და ბუნების შესაბამისად მასწავლებელი იძულებული ხდებოდა „თვალსაჩინოების“ გამოყენებით ეჩვენებინა ბავშვებისათვის ბევრი ისეთი მოქმედება, რომელიც მას სასაცილო მდგომარეობაში აყენებდა. მაგალითად, ცნობილია ფაქტი, როდესაც მასწავლებელი ხან ძაღლს ბაძავდა, ხან ქათამს და ა. შ.

ლევიცკიმ შეადგინა რუსული ენის სახელმძღვანელო მუნჯური მეთოდის საფუძველზე. ეს იყო **«Курс русского языка для начальных школ Закавказья»**, რომელიც პირველად 1894 წელს გამოვიდა. ლევიცკი იყენებდა რა თავის ძალაუფლებას, როგორც სახალხო სკოლების დირექტორი, ადმინისტრაციული წესით ავრცელებდა თავის სახელმძღვანელოს სკოლებში და მოითხოვდა ი. გოგებაშვილის „რუსკოე სლოვოს“ ხმარებიდან ამოღებას.

ამ ანტიპედაგოგიურ და ანტიხალხურ ღონისძიებას სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა სახალხო სკოლების მასწავლებლობა, რომელმაც მშვენივრად იცოდა, თუ რა აუტანელ პირობებს ქმნიდა მუნჯური მეთოდი და ლევიცკის „კურსი“.

ასეთ ვითარებაში, როდესაც სახალხო სკოლებიდან ასე სასტიკად იდევნებოდა მშობლიური ენა, სწავლება მშობლიურ ენაზე შემორჩა მხოლოდ საეკლესიო უწყების სკოლებში; კერძოდ, საეკლესიო-სამრევლო სკოლებში სწავლება მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა, მაგრამ მალე ამასაც მოეღო ბოლო. საეკლესიო-სამრევლო სკოლებიდან მშობლიური ენის განდევნის შავბნელ საქმეს სათავეში ჩაუდგა მღვდლის ანაფორაში გახვეული შავრაზმელი, უკიდურესი შოვინისტი და ქართველი ხალხის მტერი ვოსტორგოვი. მან საეკლესიო-სამრევლო სკოლებში 1901 წლიდან ახალი სასწავლო გეგმა შემოიღო. ამით ფაქტიურად გააუქმა ეროვნული საეკლესიო-სამრევლო სკოლა და მშობლიურ ენაზე პირველდაწყებითი განათლების მიღების ეს ერთადერთი გზაც დაიხშო.

აჯამებდა რა სასწავლო ადმინისტრაციის „მოღვაწეობას“ სკოლებიდან მშობლიური ენის განდევნის საქმეში, სასწავლო ოლქის მზრუნველი ზავადსკი, რომელმაც იანოვსკი შეცვალა, წერდა: „ოლქის მმარ-

თველობისა და საერთოდ სკოლების დირექციების ზრუნვის წყალობით და აგრეთვე რუსული ენის სწავლების დროს ე. წ. ბუნებრივი მეთოდის გამოყენებით, ამჟამად პირველდაწყებითი სკოლების უმეტეს ნაწილში (92,4 პროცენტი) სწავლა წარმოებს მარტო რუსულ ენაზე, ხოლო ისეთი სკოლები, სადაც სწავლა დედაენაზე იყო, ამჟამად სრულიად არ არის".[1] რა თქმა უნდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ სკოლა მთლიანად მოსწყდა ეროვნულ ნიადაგს და ხალხის დენაციონალიზაციისა და ასიმილაციის იარაღად იქცა.

საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოძრაობა. რუსეთის თვითმპყრობელური მთავრობის რეაქციულ საგანმანათლებლო პოლიტიკას დაუპირისპირდა მძლავრი საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოძრაობა, რომელმაც XIX საუკ. მეორე ნახევარში საკმაოდ ფართო ხასიათი მიიღო. ამ მოძრაობის ძირითად ამოცანას შეადგენდა — ბრძოლა დემოკრატიულ საფუძველზე აგებული სკოლისა და სახალხო განათლების ახალი სისტემისათვის, ცოდნისა და განათლების გავრცელება მასებში, ქვეყნის კულტურული განვითარება ცხოვრების მოთხოვნილების შესაბამისად.

ამ პერიოდში საქართველოში საზოგადოებრივ-პედაგოგიურმა მოძრაობამ დიდი აღმავლობა განიცადა. მას თავიდანვე სათავეში ჩაუდგნენ გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები, მწერლები და პედაგოგები: დ. ყიფიანი, ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ა. წერეთელი, ი. წინამძღვრიშვილი, ნ. ცხვედაძე და სხვ.

უაღრესად დიდ როლს ასრულებდა საზოგადოებრივ-პედაგოგიურ მოძრაობაში ქართული დემოკრატიული პრესა და კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

ახალი სკოლისათვის ბრძოლაში და ქვეყნის კულტურული აღმავლობის საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი და დამსახურება მიუძღვის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას", რომელიც 1879 წელს ჩამოყალიბდა. საზოგადოება თავის ამოცანად ისახავდა სწავლა-განათლების გავრცელებას მოსახლეობაში და ამ ამოცანის შესაბამისად, ხსნიდა სკოლებსა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ეწეოდა საგამომცემლო მუშაობას, თავს უყრიდა და იცავდა ქართული კულტურის საგანძურებს.

საზოგადოებამ დიდი მუშაობა ჩაატარა საღ პედაგოგიურ საფუძველზე აგებული ახალი სკოლის შესაქმნელად. მის მიერ დაარსებული სკოლები — ბათუმში, კავკავში და სხვა ადგილებში, საკმაოდ დიდ როლს ასრულებდნენ საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პირველი თავმჯდომარე იყო დ. ყიფიანი. ამ საზოგადოების მუშაობას დიდხანს ხელმძღვანელობდა ი. ჭავჭავაძე.

1879 წელს დაარსდა აგრეთვე „ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოება". ამ საზოგადოებამ 1879 წელს გახსნა თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებელი, რომელიც შემდგომში ქართულ გიმნაზიად გადაკეთდა. ასეთივე ტიპის სასწავლო დაწესებულება 1880 წელს გაიხსნა ქ. ქუთაისში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხაზით.

ახალი ტიპის სკოლის შექმნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცდას წარმოადგენდა წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის დაარსება, რომელიც განხორციელდა 1883 წელს. ეს სკოლა გაიხსნა გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, ცნობილი პუბლიცისტისა და მწერლის, ილია წინამძღვრიშვილის ინიციატივითა და მისივე ხარჯით.

მნიშვნელოვან მუშაობას ატარებდნენ სახალხო განათლების დარგში ქალაქის თვითმმართველობებიც. კერძოდ, ქ. თბილისში პირველდაწყებითი სკოლები შეიქმნა ქალაქის თვითმმართველობის ხაზით 1881 წელს. სწავლება ამ სკოლებში მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა.

საქართველოს სხვა ქალაქებსა და ქალაქის ტიპის პუნქტებშიც არსებობდა სკოლები, რომლებიც თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოებისა და დაბების საზოგადოებათა მიერ იყო გახსნილი. მათი რიცხვი XX საუკუნის დასაწყისისათვის 70-ს აღემატებოდა.

უაღრესად დიდ მუშაობას ატარებდა სახალხო განათლების დარგში ქართველი გლეხობა. გლეხები, სკოლის ადმინისტრაციის მხრივ ყოველგვარი მხარის დაჭერისა და დახმარების გარეშე, თვითონვე აარსებდნენ სასოფლო სკოლებს, აშენებდნენ სასკოლო შენობებს, ხელფასს უხდიდნენ მასწავლებლებს, იძენდნენ სკოლისათვის ავეჯსა და ინვენტარს. ერთი სიტყვით, სკოლა არსდებოდა მთავრობის მხრივ ფინანსური და სხვა მატერიალური დახმარების გარეშე. თვით საეკლესიო-სამრევლო სკოლებიც კი მეტწილად სოფლის საზოგადოებათა ხარჯზე ინახებოდა.

ყველა ეს ფაქტი, სხვათა შორის, იმასაც ადასტურებს, თუ რა დიდი იყო მისწრაფება სწავლა-განათლებისადმი მშრომელ მასებში.

საქართველოში საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოძრაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენდა ბრძოლა სკოლებში მშობლიური ენის დასაცავად. ამ მიმართულებით საქართველოში ჰეშმარიტად კოლოსალური მუშაობა იყო გაშლილი, რამაც თავისი ნაყოფი გამოიღო.

[1] Отчет КУО за 1907 год.

მშობლიური ენის დაცვისა და მისი მნიშვნელობის განმტკიცების საქმეში განუზომლად დიდი როლი შეასრულა ამ პერიოდის ქართულმა მწერლობამ. ქართველი მწერლები, ქმნიდნენ რა თავიანთ შესანიშნავ ნაწარმოებებს, რომლებშიც ასახული იყო ხალხის გულის ნადები, მისი ჭირი და ვარამი, მათი ცხოვრება და მისწრაფებანი, აღვიძებდნენ ინტერესს ქართული წიგნისა და ქართული ენის შესწავლისადმი.

მშობლიური ენის დაცვისა და მისი როლისა და მნიშვნელობის ამაღლების თვალსაზრისით უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ი. გოგებაშვილის სწორუპოვარ სახელმძღვანელოებს — „დედა ენას“ და „ბუნების კარს“. „დედა ენა“ პირველად 1876 წელს გამოვიდა; „ბუნების კარი“ — 1868 წელს. კავკასიის სასწავლო ადმინისტრაცია ყოველნაირად დევნიდა ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს, მაგრამ უშედეგოდ. ამ სახელმძღვანელოებზე აღიზარდა ქართველ პატრიოტთა მრავალი თაობა, რომელიც ღირსეულად იცავდა თავის ეროვნულ კულტურას ყოველგვარი დამპყრობლური თავდასხმებისა და შემოტევისაგან.

ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს გარდა, ხმარებაში იყო ძველი და შეიქმნა ახალი სახელმძღვანელოები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, სიტყვიერების თეორიაში, საქართველოს ისტორიაში და სხვ. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფ. დ. ჩუბინაშვილის „ქართული ქრესტომათია“; მისივე ქართული ენის გრამატიკა; კირიონისა და დ. ყიფშიძის — სიტყვიერების თეორია; დ. ყიფშიძის, თ. ჟორდანიას, პ. კვიცარიძის, ა. ჭუთათელაძის და სხვ. ქართული გრამატიკები; მ. ჯანაშვილის საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის შრომები საქართველოს ისტორიასა და ეთნოგრაფიაში და სხვ.

ივ. როსტომაშვილმა შეადგინა და გამოსცა კლასგარეშე და ოჯახში საკითხავი რამდენიმე საინტერესო წიგნი და არითმეტიკული ამოცანების კრებული.

სახელმძღვანელოებისა და ახალგაზრდებისათვის საჭირო სხვა წიგნების შედგენისა და გამოცემის დარგში დიდი მუშაობა ტარდებოდა საზოგადოებრივ საწყისებზე, რასაც სასწავლო ოლქის მესვეურნი ყოველნაირად ხელს უშლიდნენ.

საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოძრაობის მნიშვნელოვანი საკითხი იყო აგრეთვე რუსული ენის სწავლება. ქართველი ინტელიგენცია, ქართველი პედაგოგები, მშრომელი მასები დიდად იყვნენ დაინტერესებული სკოლებში რუსული ენის სწავლებით.

ნაყოფიერი მუშაობა ტარდებოდა რუსული ენის სახელმძღვანელოს შედგენისა და რუსული ენის სწავლების მეთოდიკის დამუშავების

დარგში. ამ საქმეშიც უაღრესად დიდი ღვაწლი და დამსახურება მიუძღვის იაკობ გოგებაშვილს, რომელმაც შექმნა რუსული ენის საუცხოო სახელმძღვანელო ქართული სკოლისათვის — „რუსკოე სლოვო“, რომელიც პირველად 1887 წელს გამოვიდა.

საზოგადოებრივ-პედაგოგიურ მოძრაობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა რუსიფიკატორული საგანმანათლებლო პოლიტიკის მხილებას, მისი არსისა და ბუნების გარკვევას, ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის შექმნას. ამ მიზნით, ფართოდ იყო გამოყენებული პროგრესული მიმართულების პრესა. ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია, მწერლები, პუბლიცისტები, საზოგადო მოღვაწეები, პედაგოგები გაბედულად გამოდიოდნენ კრებებზე და თათბირებზე, პრესაში სასწავლო დაწესებულების ადმინისტრაციის ისეთი ღონისძიების წინააღმდეგ, რომელიც ქართველი ხალხის, მისი ენისა და კულტურის წინააღმდეგ იყო მიმართული. ისინი შეუპოვრად ამხელდნენ ამ ღონისძიებათა პოლიტიკურ ხასიათს, მათ ანტიხალხურ და ანტიპედაგოგიურ ბუნებას.

კერძოდ, 1881 წლის სასწავლო გეგმების წინააღმდეგ მკაცრად გამოვიდნენ 80-იანი წლების დასაწყისში ს. მესხი, დ. ყიფიანი, ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი. გამოქვეყნდა მრავალი სტატია, წერილი, კორესპონდენცია და სხვა მასალა, რომელშიც კრიტიკის ქარცეცხლში იყო გატარებული 1881 წლის სასწავლო გეგმა.

ი. ჭავჭავაძემ ამ საკითხს მიუძღვნა თავისი ერთ-ერთი ბრწყინვალე სტატია „ბ-ნი იანოვსკის წერილის გამო“, რომელიც გაზეთ „დროებაში “დაიბეჭდა (1881 წ. № 33); ამ წერილში მეცნიერული სიღრმითაა დასაბუთებული, რომ მშობლიური ენა და ეროვნული კულტურა უნდა იყოს სწავლა-აღზრდის საფუძველი ყოველ გონიერულად მოწყობილ სკოლაში.

1881 წლის სასწავლო გეგმას საფუძვლიანი ანალიზი გაუკეთა ი. გოგებაშვილმა წერილში — „მზრუნველ იანოვსკის სასწავლო გეგმა“. ი. გოგებაშვილმა დაასაბუთა, რომ ეს სასწავლო გეგმა არამცთუ ეწინააღმდეგება საღ პედაგოგიურ შეხედულებებს, არამედ არ შეესაბამება იმასაც კი, რასაც თვითონ იანოვსკი ლაპარაკობს და სახელმწიფო კანონი მოითხოვს.

მშობლიური ენის დაცვის, მისი როლისა და მნიშვნელობის ღრმა მეცნიერული დასაბუთების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს აგრეთვე ი. გოგებაშვილის სტატია „ბურჯი ეროვნებისა“, რომელიც პირველად 1890 წელს გამოქვეყნდა.

ასეთივე ხასიათის სხვა მრავალი წერილი იბეჭდებოდა ჟურნალ-

გაზეთებში მუნჯური მეთოდისა და ყველა სხვა რეაქციულ ღონისძიებათა შესახებ სახალხო განათლების დარგში.

ამას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძველი სკოლისა და რუსეთის თვითმპყრობელური მთავრობის რეაქციული საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით. ამასთანავე, ამ ბრძოლის პროცესში ყოველმხრივ, ღრმად და საფუძვლიანად შუქდებოდა მრავალი პედაგოგიური საკითხი, ვითარდებოდა პედაგოგიური აზრი, ვრცელდებოდა პედაგოგიური ცოდნა, იზრდებოდა ინტერესი სახალხო განათლების, სწავლებისა და აღზრდის საკითხებისადმი.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის დასასრულს რეაქციული საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული იქნა აგრეთვე მოსწავლეთა გაფიცვები და მღელვარება, სასწავლებლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებზე თავდასხმა და თვით ტერორისტული აქტიც კი. ამ მხრივ სიმპტომატურ მოვლენებს ჰქონდა ადგილი თბილისის სასულიერო სემინარიაში. სემინარიის მოსწავლემ ი. ლაღიაშვილმა მოკლა სემინარიის რექტორი ჩუდეცკი 1886 წლის 24 მაისს. სემინარიაში ხშირად ადგილი ჰქონდა მოსწავლეთა საპროტესტო გამოსვლებს ადმინისტრაციისა და მთავრობის საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ.

1893 წლის დეკემბერში მოეწყო მოსწავლეთა საპროტესტო გამოსვლები, რის შედეგადაც ბევრი სემინარიელი გარიცხეს, სემინარია კი დროებით დაიხურა. ეს ყველაფერი გამოწვეული იყო იმ სასტიკი და აუტანელი რეჟიმით, რაც სემინარიაში მძვინვარებდა. საპროტესტო გამოსვლების მიზანი იყო ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების დაცვა.

სკოლების ქსელი და მოსწავლეთა კონტინგენტი. XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში ადგილი ჰქონდა სკოლების ქსელისა და მოსწავლეთა კონტინგენტის მნიშვნელოვან ზრდას. 1901 წლისათვის, 1865 წელთან შედარებით, სკოლების რიცხვი გაიზარდა 4,6-ჯერ; მოსწავლეთა რაოდენობა — 7,3-ჯერ. XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაიხსნა ორი ახალი ვაჟთა გიმნაზია, ჩამოყალიბდა ორი რეალური სასწავლებელი, ორი საოსტატო სემინარია, ერთი სამასწავლებლო ინსტიტუტი, ოთხი ქალთა გიმნაზია, სამი ქალთა პროგიმნაზია, 16 საქალაქო სასწავლებელი, ოთხი დაბალი ტიპის პროფტექნიკური სასწავლებელი.

ამ პერიოდში განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა სახალხო სკოლების ქსელი. განათლების სამინისტროს სისტემის დაწყებით სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა 1901 წელს, 1865 წელთან შედარებით, 14-20%-ით გაიზარდა. საეკლესიო-სამრევლო სკოლებში კი—15-16%-ით.

სკოლებისა და მოსწავლეთა რიცხვის სწრაფი ზრდა დაკავშირებული იყო ბატონყმობის გადავარდნასა და კაპიტალიზმის განვითარებასთან. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, განსაკუთრებით XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან, მშრომელი მასები ცოდნისა და განათლებისადმი ძლიერ მისწრაფებას იჩენდნენ. ისინი არ ზოგავდნენ არაფერს, რათა თავიანთი ბავშვებისათვის ცოტაოდენი განათლება მაინც მიეცათ. ცოდნისა და განათლებისადმი მისწრაფებამ, გარკვეულ ვითარებათა გამო, განსაკუთრებული ძალით იჩინა თავი დასავლეთ საქართველოში.

მთავრობა ხალხში განათლების გავრცელებას მიზანშეწონილად არ თვლიდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იძულებული იყო გაეხსნა სკოლები და საზოგადოებრივი ინიციატივისათვის არ მიეცა გასაქანი ამ დარგში.

სკოლის ქსელის მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად, საქართველო სახალხო განათლების განვითარების მხრივ ძალზე ჩამორჩენილი იყო. 1897 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით საქართველოს მცხოვრებთა შორის წერა-კითხვის უცოდინარი იყო 83,6%; ქალთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობა შეადგენდა 89%-ს. სოფლის მოსახლეობიდან წერა-კითხვის უცოდინარი იყო: თბილისის გუბერნიაში—99,1%; ქუთაისის გუბერნიაში — 87%. ამავე აღწერის მიხედვით, ქართველთა შორის წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა შეადგენდა 85,8%-ს.

სკოლების ქსელისა და მოსწავლეთა რაოდენობის ზრდამ მნიშვნელოვანი გავლენა ვერ მოახდინა მოსახლეობაში წიგნიერების გავრცელებასა და, საერთოდ, ქვეყნის კულტურული დონის ამაღლებაზე. ამის ერთ-ერთი მიზეზი სკოლების მუშაობის უნაყოფობაში უნდა ვეძებოთ. სახალხო სკოლა თავისი სწავლების შინაარსით, ფორმებითა და მეთოდებით იმდენად მანკიერ საფუძველზე იყო აგებული, რომ წერა-კითხვასაც კი ვერ ავრცელებდა ხალხში.

ამ პერიოდის სახალხო სკოლების დიდ უმრავლესობაში სწავლების ხანგრძლივობა ოფიციალურად 3 წელს არ აღემატებოდა. სინამდვილეში კი მოსწავლეთა დიდი ნაწილი კურსის დამთავრებამდე გადიოდა სკოლიდან. მაგალითად, განათლების სამინისტროს სისტემის სახალხო სკოლებში 1901 წელს სწავლების კურსი დაამთავრა 2125 მოსწავლემ; კურსის დამთავრებამდე გავიდა სკოლიდან — 4188.

სახალხო განათლების განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია სასკოლო ასაკის ბავშვთა სკოლაში ჩაბმის პროცენტის ზრდა. 1897 წლის აღწერის მიხედვით მცხოვრებთა საერთო რაოდენობა საქართველოში შეადგენდა 2 020 889 კაცს. აქედან 22%, ე. ი. სულ მცი-

რე 440 000 სასკოლო ასაკის ბავშვი და მოზარდი იყო. სკოლაში კი სწავლობდა — 87 360, რაც შეადგენდა სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა 21%-ს. სკოლის გარეთ რჩებოდა სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა 79-80%.

XX საუკუნის დასაწყისში ყოველი ათიათასი მცხოვრებიდან სკოლაში სწავლობდა: ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში — 1960 მოსწავლე; იხგლისში — 1700; გერმანიაში — 1700; ავსტრია-უნგრეთში — 1550; საფრანგეთში — 1420; ბელგიაში — 1220; რუმინეთში — 840; რუსეთში — 389; საქართველოში — 284;[1]

ცნობილია, რომ რევოლუციამდელი სკოლა წოდებრივ-კლასობრივი ხასიათისა იყო, რაც თავის გამოხატულებას პოულობდა არა მარტო სწავლების სისტემაში, არამედ მოსწავლეთა წოდებრივ შემადგენლობაშიც; მაგალითად, 1904 წელს თბილისის ვაჟთა I გიმნაზიაში სწავლობდა 957 მოსწავლე; აქედან, თავად-აზნაურთა წრიდან იყო 542 (56%); სასულიერო წოდების — 39 (40%); მოქალაქეთა შვილები — 54 (5,7%); გლეხი 74 (7,7%); ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში ამავე დროს მოსწავლეთა წოდებრივი შემადგენლობა ასეთი იყო: თავად-აზნაური — 60%; სასულიერო წოდება — 8%; მოქალაქეთა შვილები — 18%, გლეხი — 9%.

60-იანი წლების რეფორმამდე დაბალი წოდების ბავშვის მიღება საშუალო და უმაღლეს სკოლებში აკრძალული იყო. რეფორმების შედეგად ეს შეზღუდვა კანონით მოისპო, მაგრამ ამას მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა. მრავალნაირ ხელოვნურად შექმნილ დაბრკოლებათა წყალობით, და რაც მთავარია, ნივთიერი ხელმოკლეობის გამო, საზოგადოების დაბალ ფენებს არ ჰქონდა არავითარი საშუალება იმისა, რომ მიეღო საშუალო და უმაღლესი განათლება.

განათლების მიღების შესაძლებლობის მხრივ კიდევ უფრო ჩამორჩებოდნენ ქალები. XX საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოში არსებულ ყველა დაბალი ტიპის სახალხო სკოლის მოსწავლეთა შორის 30%' ქალი იყო, ვაჟი კი — 70%'.

სკოლების სასწავლო მატერიალური ბაზა სრულიად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. საქართველოში არსებული განათლების სამინისტროს სისტემის 435 სკოლიდან საკუთარი შენობა არ ჰქონდა 115 სკოლას (26%); არ ჰქონდა ბიბლიოთეკა — 163 სკოლას; არ მოეპოვებოდა სასწავლო ხელსაწყოები საკმაო რაოდენობით 128 სკოლას.[2]

სკოლების შესანახი ხარჯების მთელი სიმძიმე მოსახლეობას აწვა.

[1] Журнал «Русская школа», 1911 г., т. I, стр. 62.
[2] ОКУО, за 1901 г., стр. 554.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ დანიშნულებით მეტად მცირე თანხა იხარჯებოდა. ოფიციალური ცნობების მიხედვით კავკასიაში სახალხო განათლების ხარჯები ერთ სულ მოსახლეზე შეადგენდა მხოლოდ 69,9 კაპიკს.

ბოლშევიკურ გაზეთ „დროს“ ცნობებით, მთელ რუსეთში პირველდაწყებითი სკოლების საერთო ხარჯებიდან 1900 წელს სახელმწიფოს მიერ იფარებოდა მხოლოდ 21%; დანარჩენი 79%' კი იფარებოდა ქალაქებისა და სოფლის საზოგადოებათა, ერობებისა, კერძო პირების მიერ და სხვა წყაროებით. რუსეთის ყოველ მცხოვრებზე მოდიოდა საშუალოდ სამხედრო ხარჯები 3 მან და 16 კაპ.; პირველდაწყებით სკოლებზე გასაწევი ხარჯები 8 კაპ.; სახალხო განათლების ხარჯები შეადგენდა მთელი სახელმწიფო ბიუჯეტის 0,4%-ს[1].

განათლების სამინისტროს სისტემის სახალხო სკოლების ხარჯები საქართველოში 1901 წელს შეადგენდა 415.734 მანეთს. აქედან, სახელმწიფო ბიუჯეტით გაიცა 109.597 მანეთი, რაც შეადგენს საერთო ხარჯების 26%-ს; დანარჩენი 74% დაიფარა საზოგადოებრივი სახსრებიდან და სხვა წყაროებიდან. მათ შორის სწავლის ქირა — 52.675 მანეთი, ე. ი. საერთო ხარჯების 13%.

* *
*

XIX საუკუნის მეორე ნახევარში სახალხო განათლების დარგში არსებითი მნიშვნელობის ცვლილებები არ მომხდარა. სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა უმრავლესობა სკოლის გარეთ რჩებოდა; სწავლების შინაარსი, ფორმები და მეთოდები არსებითად ისეთივე დარჩა, როგორიც იყო წინათ. ამას მხოლოდ ის დაემატა, რომ მოისპო მშობლიურ ენაზე სწავლება ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლაში. ეროვნული სკოლა ლიკვიდირებულ იქნა. სახალხო განათლების დარგში უკიდურესი რეაქცია მძვინვარებდა.

ცარიზმის რეაქციული საგანმანათლებლო პოლიტიკა, რომელიც აფერხებდა ქვეყნის კულტურულ წინსვლასა და აღმავლობას, ხალხს საშუალებას უსპობდა მიეღო ცოდნა და განათლება, სკოლას ხდიდა მონარქიული პოლიტიკის გატარების იარაღად, ჩაგრული ხალხების დენაციონალიზაციისა და ასიმილაციის საშუალებად.

ასეთი მდგომარეობა სავსებით სამართლიან უკმაყოფილებას იწ-

[1] გაზ. „დრო“, 1867 წ., № 30.

ველდა მუშებსა და გლეხებში, დემოკრატიულ ინტელიგენციაში, ყოველ ადამიანში, ვისთვისაც ძვირფასი იყო მშობლიური ქვეყნის ინტერესები და ღირსება. ამიტომაც ბუნებრივია, რომ XX საუკუნის დასაწყისიდან სახალხო განათლების საკითხებმა მთელი სიმწვავით იჩინა თავი და მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლაში თვითმპყრობელობისა და კაპიტალისტთა ბატონობის წინააღმდეგ.

თავი მეცხრე

ილია ჭავჭავაძის პედაგოგიკური იდეები

(1837-1907)

გამოჩენილმა ქართველმა კლასიკოსმა მწერალმა, ბრწყინვალე პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ, ილია ჭავჭავაძემ, იტვირთა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მთელი სიმძიმე და ორმოცდაათი წლის მანძილზე სათავეში ედგა ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ერის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას. ქართველი ხალხის ერთგული შვილი, სხვა პროგრესულად მოაზროვნე ქართველ მოღვაწეებთან ერთად, ერთ-ერთი პირველთაგანი შეებრძოლა იმ პატრიარქალურ უძრაობას და ეკონომიურ თუ სულიერ ჩამორჩენილობას, რასაც ადგილი ჰქონდა XIX საუკუნის საქართველოს 60-იანი წლების დასაწყისში. ილია ჭავჭავაძე იყო იმ დიდი მოძრაობის მეთაური, რომელიც ხელს უწყობდა ხალხის თვითშეგნების გამოღვიძებას, მისი განათლებისა და აღზრდის საქმის განვითარებას.

ჯერ კიდევ 1857 წლიდან ახალგაზრდა მწერალი პეტერბურგის უნივერსიტეტის კედლებში ეზიარა გამოჩენილი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების იმ დიდ იდეებს, რომელიც მარქსამდელი მატერიალიზმის განვითარების უმაღლეს ეტაპს წარმოადგენდა. მან 1861 წელს მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაშიც. ყოველივე ამან გადამწყვეტი როლი ითამაშა ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის შემუშავებაში, რაც შემდგომში ნათლად გამომჟღავნდა საქართველოში მთელი მისი მოღვაწეობის დემოკრატიულ მიმართულებაში.

მეტად ფართო იყო ქართველი ხალხის უკეთესი მერმისისათვის თავდადებული მებრძოლის — ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის ასპარეზი. მრავალი წლის განმავლობაში ილია ჭავჭავაძე თავმჯდომარეობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ჩვენი ქვეყნის სახალხო განათლებისა და კულტურული ცხოვრების ამ ხელმძღვანელ ორგანოს.

ამასთანავე, ილია ჭავჭავაძე იაკობ გოგებაშვილთან ერთად იყო აგრეთვე ქართული დემოკრატიული პედაგოგიკური მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი და ქართული სახალხო ნაციონალური სკოლის ჩამოყალიბების ორგანიზატორი.

ძველი აღზრდა-განათლების სისტემის კრიტიკა. ილია ჭავჭავაძე დაუღალავად ებრძოდა კულტურულ ჩამორჩენილობას, მკაცრად აკრიტიკებდა იმდროინდელი აღზრდის სისტემას, ამ სისტემის მანკიერ მხარეებს, მის შეზღუდულობასა და უვარგისობას; „უმეცრება—აი უმთავრესი სენი, რომელიც ჩვენ ძვალ-რბილში გაგვჯდომია, შეუბრალებლად ჰკრძნის სიცოცხლეს“,[1] — წერდა იგი.

ილია ჭავჭავაძე კარგად ხედავდა, რომ სოციალურ უთანასწორობას განათლების სფეროშიაც გაედგა ღრმა ფესვები. იგი ამის გამო თავის გულისწყრომას ვერ ფარავდა და ისტორიის გაკვეთილების მოშველიებით მოაგონებდა ძლიერთა ამა ქვეყნისათა, რომ „ეს შეცდომა დაჰგმო ძველ ერთა ისტორიამ და დაამტკიცა, რომ მხოლოდ ყველა წოდების კავშირი გაუძლებს განათლების და ხალხის დაწინაურების დამაბრკოლებელს მიზეზებს. უმთავრესი და, იქნება ერთად-ერთი გარემოება, — წერდა ილია, — რომლის წყალობითაც დაიღუპნენ და აღიგვნენ დედამიწის ზურგითგან მრავალნი ძლიერნი და სახელოვანნი ერნი, — იყო უთანხმოება და განსხვავება წოდებათა შორის“.[2]

ეს სიტყვები ნათლად მეტყველებს დიდი მწერლის უსაზღვრო კაცთმოყვარეობასა და მისი პედაგოგიკური ნააზრევის დემოკრატიულობაზე.

განათლების დაბალი დონით უკმაყოფილო ილია ჭავჭავაძე აშკარად აცხადებდა: „ხალხმა უმეტეს ნაწილად ცარიელი წერა-კითხვაც არ იცის. წიგნების კითხვა ჩვენში სრულიად არ არის გავრცელებული, რომ ხალხმა თავის ავი მაინც გაიგოს, თუ სხვის კარგს ჯერ კითხვით ვერ შეიძენს. ხალხი უმეცრების გამო სკოლებს ეჭვის თვალით უყურებს და განს უდგება“.[3]

ყოველივე ამას ილია ჭავჭავაძე აღზრდა-განათლების საქმეში უსულგულო ფორმალიზმის გაბატონებით, წიგნსა და ცხოვრებას შორის არსებული გათიშვით ხსნიდა: „ეხლანდელი სკოლა მარტო იმის ცდაშია, რომ პატარა ბავშვის თავში, რაც შესაძლოა, ბევრი ცოდნა დასტიოს, ყმაწვილს ბევრი რამ ასწავლოს მარტო ცოდნისა და სწავლისათვის და არა კაცის გაადამიანებისათვის. ამიტომაც არც კაცად ღა ვარგობენ ეხლანდელი ყმაწვილები და არც იმათის სწავლა-ცოდნიდამ გამოდის რამ. ამიტომაც სკოლაში მიღებული სწავლა-ცოდნა მეტი ბარგია იმათთვის და არც-კი ენანებათ, რომ ცხოვრების გზაზედ ეს ბარგი დღე-და-დღე ეკარგებათ, როგორც მეტი რამ“[4].

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. II, 1941, გვ. 593.
[2] იქვე, გვ. 612.
[3] იქვე, გვ. 594.
[4] იქვე, გვ. 567.

ილია ჭავჭავაძე ხედავდა, რომ სწავლებაში უმეტესად გაბატონებული იყო ფორმალიზმი, ზეპირობა და განათლება თუ გონების ერთგვარ ამოძრავებას უწყობდა ხელს, ადამიანის სულიერ გარდაქმნას სრულიადაც არ ემსახურებოდა, რომ სკოლა და ცხოვრება გათიშული იყო; იგი გულისტკივილით ამბობდა: „დღევანდელს სკოლას სახეში აქვს მარტო ჭკვა-გონების წარმატება და გაძლიერება, თუმცა ბევრს შემთხვევაში საქმე ისე მიჰყავს, რომ ვერც ერთსა სწვდება და ვერც მეორეს..., მაგრამ ადამიანის საქციელზედ-კი თითქმის სრულებით არ მოქმედობს. ამიტომაც დღევანდელს დღეს ადვილად შესაძლოა შეჰხვდეთ, — კაცი ცოდნით ერთი იყოს, მოქმედებით და ცხოვრებით-კი სრულებით სხვა. ეს იმიტომ არის, რომ დედა-აზრნი, სკოლაში სწავლა-ცოდნით გამორკვეულნი, მარტო ფორმალურად არიან მიღებულნი და არა მათის შინაგანის აზრითა, არა მათის ბუნებურის შინაარსითა“[1].

ილია ჭავჭავაძეს დიდი პედაგოგიური ალღო და ბავშვის ბუნების საკვირველებით სწორი მეცნიერული გაგება კარნახობდა, რომ „გადამეტებული ცოდნა წვრილმანებისა მეტისმეტად ამძიმებს მოწაფის გონებასა, ჰქანცავს და ჰღალავს ყმაწვილსა იქამდე, რომ ბოლოს და ბოლოს სამუდამოდ აუძლურებს და ასუსტებს“[2].

მშობლიური ენა მეცნიერებისა და უცხო ენების შესწავლის საფუძველი. ილია ჭავჭავაძე მკაცრად აკრიტიკებდა ყველა იმას, ვინც სკოლაში მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობას უგულებელყოფდა, ააშკარავებდა ქართველი ხალხის მტრების ყოველგვარ ხრიკებს, რომლებიც ცდილობდნენ ქართულ ენაზე სწავლება გაეუქმებინათ. ამის შესანიშნავი მაგალითია ილიას სტატია „ვიცინოთ თუ ვიტიროთ“. გორის სემინარიის ორმოცდაათი მოწაფიდან ოცდათერთმეტი ქართველი ყოფილა, მიუხედავად ამისა, როგორც ი. ჭავჭავაძე წერდა, სემინარიის დირექტორს — „გამოუძიებია და დაუსკვნია, რომ ქართველები ქართველები არ არიანო. ჩამომავლობით, ამბობს იგი, სემინარიის მოწაფენი ეკუთვნიან თორმეტ გვარტომობასო, ამათ შორის რუსები არიანო ექვსნი, ქართველები ცამეტნი, იმერლები თორმეტნი, სომხები ექვსნი, ინგილონი ორნი, გურულნი ორნი, ფშავნი ორნი, აფხაზნი ორნი, უდინი ერთი, ჩერქეზი ერთი და ბერძენი ერთი. ამგვარად, ქართველი, გურული, იმერელი, ფშაველი — ქართველად არ უცვნია გორის სემინარიის მეცნიერებას. მაშ, უფ. დირექტორის აზრით, რუსი, მოსკოველი, ტამბოველი, კორონეელი, — რუსი არ უნდა იყოს, ეს სულ სხვადასხვა ტომისანი უნდა იყვნენ. ნუთუ ამის

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. II, 1941, გვ. 568.
[2] იქვე, გვ. 573.

თქმა სდომებია უფ. დირექტორს, რომ ასე სასაცილოდ ქართველი ქართველს განუშორებია? არა ბატონო, იმას ეს უფიქრია: „მართლა ქართველი რომ ქართველად დარჩესო, ხომ მკითხავენ, ოცდათერთმეტი ქართველი მოწაფე გყავს და რატომ ქართულს არ ასწავლიო, თავი რად ავიტკივოო. ის არა სჯობია, ვსთქვა, რომ ქართველი არ არისო". ძალიან კარგადაც მოუგონია, სახელი და დიდება მომგონებელს... მაგრამ ჩვენ ამაზედ უნდა ვიცინოთ, თუ ვიტიროთ?"[1]

ასეთი გამანადგურებელი სარკაზმით უმასპინძლდებოდა ილია ქართული ენისა და ერის მტრებს საჭირო შემთხვევაში.

მშობლიურ ენაზე სწავლების უფლების მოპოვებისათვის ილიას არაერთი დიდი ბრძოლა გადაუტანია, რის მოწმეც XIX საუკუნის ქართული პრესის ფურცლებია.

ილია ჭავჭავაძე მოწინავე ქართველი ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებთან — იაკობ გოგებაშვილთან, აკაკი წერეთელთან, ნიკო ნიკოლაძესთან, ნიკო ცხვედაძესთან და სხვებთან ერთად თავგამოდებით იბრძოდა მოზარდი თაობის მშობლიურ ენაზე სწავლების ჰეშმარიტი პედაგოგიური აზრის განხორციელებისათვის. ეს ბრძოლა, გარდა იმისა, რომ წმინდა პედაგოგიური მოსაზრებით იყო გამართლებული, ამასთანავე, ერის ბურჯის — ქართული ენის დაცვის დიდ საქმეს ემსახურებოდა. ეს ბრძოლა ამავე დროს იყო ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და, შეიძლება ითქვას, უმთავრესი უბანიც. ილია დაბეჯითებით ასაბუთებდა ახალი თაობის მშობლიურ ენაზე აღზრდისა და განათლების აუცილებლობას და ეს დასაბუთება იმდენად ცხადი და უეჭველი იყო, რომ ჩვენი ქვეყნის ყველაზე უბოროტესი მტრებიც კი ვერ ახერხებდნენ გაქცეოდნენ ამ ჰეშმარიტებას.

ილია როდი იყო რუსული ენის ან ევროპული ენების შესწავლის წინააღმდეგი, მაგრამ მას, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, დაურღვეველ ჰეშმარიტებად მიაჩნდა მშობლიური ენის აღიარება მთელი სწავლა-აღზრდის საფუძვლად. იგი წერდა: „ბავშვმა თავდაპირველად თავის დედაენაზედ უნდა გაიხსნას გონება და უცხო ენის სწავლას მხოლოდ მაშინ მიჰყოს ხელი, როცა თავის დედა-ენაზედ საკმაოდ გაწვრთნილი იქნება. თუ გვინდა საკმაოდ ისწავლოს ბავშვმა უცხო ენა, დროც საკმარისი უნდა ჰქონდეს, თორემ ორსა და სამს წელიწადში არამც თუ ვერ შეითვისებს უცხო ენას, თავბედი ისე აერევა, რომ იმასაც-კი დაივიწყებს, რისაც გაგება თავის დედა-ენის შემწეობით მოასწრო"[2].

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. II, 1941, გვ. 579.

[2] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრ. კრებული, 1928, ტ. VII, გვ. 299.

ილია პროგრესული შეხედულებისა იყო მშობლიური ენის შესწავლის მნიშვნელობაზე ადამიანის გონებრივი განვითარების საქმეში, უცხო ენათა როლზე განათლების წარმატებისათვის.

მშობლიური ენის შესწავლასთან ერთად, ილია ჭავჭავაძე გადაჭრით მოითხოვდა რუსული და უცხო ენების შესწავლასაც, რაც აუცილებელი იყო სხვა ხალხების კულტურის ახლოს გასაცნობად. მას უმაისოდ ვერც კი წარმოედგინა მომავალი თაობის სრულყოფილი განათლება: „რუსულმა სკოლამ—მეცნიერებამ—წერდა ი. ჭავჭავაძე,—გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ... თვითოეული ჩვენგანი რუსული ლიტერატურით გაზრდილა, თვითოეულ ჩვენგანს მის გამონარკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურჩევია".[1]

აღზრდა-განათლების მიზანი და ამოცანები. ილია ჭავჭავაძე თავგამოდებით იბრძოდა მთელი განათლების სისტემის, განსაკუთრებით კი დაწყებითი სკოლების ქსელის გაფართოებისა და ცოდნის რაც შეიძლება უფრო ფართო მასებში გავრცელებისათვის.

ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გამოჩენილი ლიდერი და ჰუმანისტი მწერალი როდი კმაყოფილდებოდა აღზრდა-განათლების საქმეში არსებული ნაკლოვანებების მხოლოდ კრიტიკით; იგი სწორ, დემოკრატიულ, მეცნიერულ-პედაგოგიკურ საფუძველზე დაყრდნობით არკვევდა აღზრდა-განათლების უმთავრეს პრობლემას. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა მისი შესანიშნავი თხზულებანი „პედაგოგიის საფუძვლები", „თავად-აზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში", „ისევ განათლების საკითხებზე", „დედათა უფლების საქმე და ქალთა განათლება", „ქალთა განათლების საკითხებზე", „ჩვენი ხალხი და განათლება" და სხვა მრავალი.

ილია ჭავჭავაძე არსებულ ისტორიულ ვითარებაში მომავალი თაობისა და მისი აღზრდა-განათლების უახლოეს ამოცანად ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომ განვითარებას თვლიდა. აღზრდა-განათლების მიზანსაც სწორედ ამ დიდი ამოცანის გადაჭრას უკავშირებდა.

ილია ჭავჭავაძე არ კმაყოფილდებოდა ადამიანის ცალმხრივი განვითარებით და გულმხურვალედ უჭერდა მხარს ჰარმონიული აღზრდის იდეას. ილია წერდა: „დედა-აზრი ეხლანდელის პედაგოგიის მიმართულებისა იგია, რომ ადამიანი უნდა იწურთვნებოდეს სკოლაში ყო-

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. II, 1941, გვ. 607.

ველმხრით: გონებით, ზნე-ხასიათით, სულით და ხორცით და არც ერთი ამათგანი არ უნდა შეეწიროს მეორეს“ [1].

ახალგაზრდობის სამოღვაწეოდ მომზადების უპირველეს ამოცანად ილიას მაინც გონებრივი აღზრდა მიაჩნდა.

ისე, როგორც ყოველი პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწე, ილია ჭავჭავაძეც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ცოდნას და მის ფართო გავრცელებას საზოგადოების წინსვლის საქმეში. მას წარმოუდგენლად მიაჩნდა ქვეყნის აღორძინება ფართო გონებრივი განათლების გარეშე. ილია შეუძლებლად თვლიდა არამც თუ ერის აღორძინებას განათლების გარეშე, არამედ ცალკეული ადამიანის არსებობასაც კი. იგი წერდა: „ცოდნა, სწავლა-განათლება დღევანდელი კაცისათვის არსებითი პურია. უამათოდ ადამიანი დღეს ყველაფერს მოკლებულია: ადამიანობასაც, სარჩო-საბადებელსაც, ღონესაც და შეძლებასაც. დღეს უცოდნელად, უსწავლელად კაცი ერთს ნაბიჯსაც ვერ გადასდგამს ცხოვრების მოედანზედ უმარცხოდ და უძლეველად“.[2]

ამასთან, ილიას სწორი შეხედულებებით იმ მეცნიერების საფუძვლები, რომელთაც უნდა გაემდიდრებინათ მოზარდი თაობის გონება, თანადროულობისათვის მოწინავე უნდა ყოფილიყო და ახალგაზრდობას იგი წინ უნდა წაემძღვარებინა თავისი ქვეყნის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში.

როგორი უნდა ყოფილიყო ეს ცოდნა? ილიას ამ საკითხზეც პროგრესული შეხედულება ჰქონდა. ბავშვსა თუ მოზარდს შეგნებული ცოდნა უნდა ჰქონდეს, არა მარტო ვერბალურ, სიტყვიერ სწავლებაზე დამყარებული, არამედ თვალსაჩინოების პრინციპზე აგებული. მეცნიერულ ცოდნასთან ერთად ბავშვსა და მოზარდს უნდა შეუმუშავდეს სკოლაში დაკვირვების, მთავარის დანახვისა და განსჯის, აზროვნების უნარი; იგი წერდა: „შეგირდს უნდა გაეხსნას ნიჭი დაკვირვებისა, გამოკვეთისა და ამიტომაც საჭიროა ბავშვმა თავის საკუთარის დანახვითა, საკუთარის მოაზრებითა და განსჯითა იცოდინოს ბუნება და ცხოვრება“ [3].

ილიას კარგად ესმოდა, რომ კაცობრიობის მიერ შემუშავებული ცოდნა-გამოცდილება მომავალმა თაობამ ბრმად როდი უნდა აითვისოს, არამედ კრიტიკულად გადაამუშაოს და თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ შემოქმედებითად გამოიყენოს. იგი გარკვევით აღნიშნავდა: „ყოველი აზრი მარტო ცარიელი ფრაზაა იმის ხელთ, ვისაც კრიტიკის ცეცხლში არ გამოუფოლადებია და ისე არ შეუთვისებია. ამნაირი კაცი კაჭკაჭია და არა ჭეშმარიტი წარმომადგენელი მის მიერ ქადებული აზრისა, რომელიც თუ სხვისაგან დაუჩემებია, კრიტიკის ძალით უნდა უსათუოდ თავისად გადაექცია. უამისოდ ზემოქმედება უძლიერესისა ულონოზედ, უკეთესისა უარესზედ მარტო ცარიელი მაიმუნობაა, სხვის ფეხის ხმაზედ ბრმად აყოლაა, ტყუეობაა და არა თავისუფლება და თვითმოქმედება გონებისა, რომელიც ერთად-ერთი ნიშანია ჭეშმარიტის განათლებულობისა და აღმატებულობისა“.[1]

ილია ჭავჭავაძეს არ სწამდა ერთხელ შეთვისებული ცოდნის მუდმივობა. მას კარგად ესმოდა მუდმივი მოძრაობა და წინსვლა მეცნიერებისა; ამიტომ წერდა იგი: „აქაო და ამ ოცისა და ოცდა-ათ წლის წინათ ამა-და-ამ საგანზედ ესა-და ეს ითქვაო და დაიჟინონ, — ეს არის უკანასკნელი სიტყვა მეცნიერებისა და ლიტერატურისაო, მაშინ როდესაც უკანასკნელი სიტყვა დღეს სულ სხვაა, უჯიათობა და ჭირვეულობა იქნება ერთხელ „და ერთხელ შებორკილებულ და დატყვევებულ გონებისა“.[2]

ილია მოუწოდებდა ახალგაზრდობას, შეეძინათ და კრიტიკის ქარცეცხლში გადაემუშავებინათ ცოდნა, ცოდნა თანამედროვეობის შესატყვისი, და მუდამ თვალი ედევნებინათ მეცნიერების წინსვლისათვის. აი, ასეთ განათლებას ილია მაშინდელ ისტორიულ ვითარებაში უძლიერეს იარაღად თვლიდა სამშობლოს მძიმე მდგომარეობიდან დახსნის საქმეში. „ვინც იცის, რა ძლიერი ფარ-ხმალია ცოდნა და განათლება, — წერდა ილია ჭავჭავაძე, — რა დიდი ღონეა ერის ბედნიერებისათვის საერთოდ და ცალკე კაცისათვის საკუთრივ ჰკუა გახსნილი მოქმედება და ცნობიერად ხელის მოკიდება და გაძღოლა საქმისა, საქვეყნო იქნება, თუ საცალკეო, — ის, რასაკვირველია, არ იკმარებს, მაგ დღევანდელს სურვილს. მეტს ინდომებს, მეტს ინატრებს, და აქ გაუმაძღრობა, მეტის ნდომა — სათაკილო კი არ არის, საქებურია და თავმოსაწონებელი“ [3].

ამიტომ იყო, რომ ქართველი საზოგადოების მოწინავე პლეადის მედროშე ახალგაზრდობას გონივრულ რჩევას აძლევდა: „რას უნდა ეტანებოდეს ჩვენი ქართველობა, თუ სურს, რომ ჯანი მისცეს მის სულსა და ხორცს ცხოვრების მოედანზედ საჭიდაოდ და გასამარჯვებლად. იგი უნდა ეტანებოდეს სკოლებს, სასწავლებლებს, ამ სწავლა-ცოდნის მომფენელთ და მომავლინებელთ“[4].

სახალხო სკოლა. ილია ჭავჭავაძეს მეცნიერული ცოდნის საფუძვ-

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. II, 1941, გვ. 572.
[2] იქვე, გვ. 600.
[3] იქვე, გვ. 576.

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. II, 1941, გვ. 607—608.
[2] იქვე, გვ. 608.
[3] იქვე, გვ. 591.
[4] იქვე, გვ. 602.

ლების, განათლების გავრცელების, მომავალი თაობის აღზრდის ძირითად კერად სახალხო სკოლა მიაჩნდა და მის წინაშე მეტად სერიოზულ ამოცანებსაც სახავდა. იგი წერდა: „საერო სკოლა, საზოგადოდ, სკოლაა ერისა, ესე იგი იმ უმრავლესობისა, რომელსაც არც დრო აქვს, არც მოცალეობა უმაღლესის სწავლების შეძენისათვის. ჩვენდა სამწუხაროდ, იმასაც ვიტყვით, რომ არც დიდი საჭიროება მიუძღვის, ჯერ ხანად მაინც, რადგანაც სხვადასხვა ხელმოკლეობის გამო შინიდან გარეთ ფეხის გამოდგმის ილაჯს მოწყვეტილია. ამიტომაც, საერო სკოლა ერის შინაური სკოლაა, ის მოედანია, საცა ერის გონებამ და გრძნობამ პირველ ფეხი უნდა აიდგას, ის გამზრდელია ერისა, რომელმაც უნდა აძლიოს ერს საზრდოებელი სულისა და ხორცისა იმ პატარა საწყაოთი, რომელიც ზედგამოჭრილია უმეტნაკლოდ ერის მოკლედ შემოხაზულ შინაურს ყოფა-ცხოვრებაზედ, მის სულიერ და ხორციელ მოთხოვნილებაზედ“ [1].

სახალხო სკოლა არის ხალხურობის პრინციპის გამტარებელი, ერის სულიერი საზრდოს თაობიდან თაობაზე გადამცემი, ერის არსებობის გამგრძელებელი დაწესებულება, რომელსაც დიდი ჰუმანისტი და დემოკრატი მწერალი ასე მაღალ შეფასებას აძლევდა. მან ისიც იცოდა, რომ სახალხო სკოლას განათლების მხოლოდ მინიმუმის მიცემა შეეძლო ერისათვის. მეფის რუსეთის ბიუროკრატიული რეჟიმის პირობებში უკეთესზე ფიქრი წარმოუდგენელიც იყო.

ილიას აზრით, „სახალხო სკოლამ ხალხს უნდა მოჰფინოს განათლება; განათლებამ უნდა გაჰფანტოს მისი გონებითი სიბნელე, განათლებამ უნდა მისცეს მას ძალა ცხოვრებაში საბრძოლველად“ [2]. და თუ ზოგან ჯერ კიდევ ვერ გაუგიათ სკოლის სიკეთე, ამის მიზეზი ისევ და ისევ უმეცრებაა.

ილია სკოლაზე ზრუნვას დიდ ეროვნულ საქმედ თვლიდა და წერდა: „ცხადია, რომ საერო სკოლა, როგორც პირველდაწყებითი სკოლა ერისა, სხვა არა უნდა იყოს რა, გარდა დედა-ენისა და სამშობლო ქვეყნის მასწავლებელ სკოლისა, იმისდა მიუხედავად — განგრძობილ იქნება მას შემდეგაც სწავლა, თუ არა. ამ სკოლას თავისი საკუთარი მოედანი აქვს, რომლის თავი და ბოლო იქავე, სკოლაშია. მართალია, პატარა მოედანია, მაგრამ ყოველი ჰხედავს, რა მძიმე და რა ძნელი გასავლელია. ნურავის ნუ ჰგონია, საერო სკოლის საკუთარი ტვირთი ისე მსუბუქი იყოს, რომ განიზრახოს სხვა საპალნეც აჰკიდოს რამე“ [3].

ილია სახალხო სკოლას, მშობლიური ქვეყნის შესწავლას და პატრიოტული სულისკვეთების საფუძვლების ჩაყრას სახავდა უმთავრეს და უპირველეს ამოცანად. უველასათვის, განაგრძობდა თუ არა იგი შემდგომში სწავლას, ასეთი სახალხო, საერო სკოლის კურსის გავლა მას აუცილებლად მიაჩნდა.

დაწყებით სახალხო სკოლებთან ერთად, ილია ჭავჭავაძეს არ შეუნელებია ზრუნვა ჩვენში ქართული სამუალო სკოლების დაარსებაზე. რაკი მთავრობის ოფიციალური წრეები ფაქტიურად უარს ამბობდნენ ეროვნული სამუალო სკოლის გახსნაზე, ილია ჭავჭავაძე საზოგადოებრს მოწინავე ნაწილის მხარდაჭერით შეუდგა ამ საქმის მოგვარებას. „მრავალი მომზადებული უმაწვილი რჩება სამუალო სასწავლებლის გარეთ მარტო იმიტომ, რომ თვით სასწავლებელში ადგილი არ არის“ [1], — წერდა იგი.

ილია ჭავჭავაძე საზოგადოებას მოუწოდებდა, აქტიურად ჩაბმულიყო ქართული სამუალო სასწავლებლის დაარსებისათვის ბრძოლაში და წერდა: „თუ აწინდელი სამუალო სასწავლებლები საკმარისნი არ არიან და ამის გამო ჩვენი შვილები სასწავლებელთ გარეთ რჩებიან, მამასადმე, საჭიროა გავმართოთ ჩვენი საკუთარი სამუალო სასწავლებელი და მივცეთ ჩვენს შვილებს სწავლის უფრო ფართო და უფრო ვრცელი გზა“ [2].

ამასთან ილია ჭავჭავაძემ კარგად იცოდა, რომ მხოლოდ ნამდვილ საერო განათლებას შეეძლო მოეტანა ხალხისათვის სარგებლობა და გაემართა იგი წელში ეკონომიურადაც და სულიერადაც, მაგრამ მას კარგად ესმოდა, რომ ზოგადი სამუალო, განსაკუთრებით კი დაწყებითი განათლება არ შეიძლებოდა შეცვლილიყო ნაადრევი სპეციალიზაციით.

„სწავლა-ცოდნა და ერთობ განათლება უნდა დაფუძნებული იყოს თავისუფალთა მეცნიერებათა შესწავლაზედ“ [3]. ილია ზოგად განათლებაში მეცნიერებათა რამდენიმე ციკლს ითვალისწინებდა; ეს იყო საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებანი.

ილია ჭავჭავაძეს შესანიშნავად ჰქონდა შეგნებული, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სკოლის საგანმანათლებლო საქმეში სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს. იგი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ მოსწავლეთა რიცხვის სიმცირე სკოლაში ხშირად სასწავლო პროგრამის უვარგისობით იყო გამოწვეული; 1881 წლის ზაფხულში ილია წერდა, რომ მოსწავლეთა სიმცირის „მიზეზს შეადგენს სასწავლებლის პროგრამების უთავბოლობა და უმსგავსობა, იმიტომ, რომ ის პროგრამები

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. II, გვ. 552.
[2] იქვე, გვ. 594.
[3] იქვე, გვ. 555.

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. II, 1941, გვ. 572.
[2] იქვე, გვ. 587.
[3] იქვე, გვ. 587.

არ შეესაბამება არც პედაგოგიურს მოთხოვნილებას, არც აქაურს ვითარებას და არც ბავშვის ძალ-ღონეზედ არის დაფუძნებული".[1]

„უმეცრების და უსწავლელობის წამალი სხვათა შორის სკოლაა. სხვათა შორის მეთქი, სხვათა შორის კი არა, ერთი უპირველესი და უმთავრესი ღონისძიება სასწაველებელია. მაგრამ სასწავლებელიც არის და სასწავლებელიც. სკოლა, სასწავლებელი, ორპირი ხმალია. ენების მოტანაც შეუძლიან და დიდის სიკეთისაც. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ არის მოწყობილი და აგებული პროგრამა სწავლებისა" [2].

ილია ავითარებდა სავსებით სწორ, პროგრესულ პედაგოგიკურ შეხედულებას, რომ სასწავლო პროგრამებსა და გეგმებში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო, როგორც საჭიროება იმ ხალხისა, რომელსაც ემსახურებოდა ეს სკოლა, ისე ბავშვთა ასაკი და განვითარების დონეც.

სწავლების აღმზრდელობითი ხასიათი. არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძე სერიოზულ ყურადღებას აქცევდა სწავლებისათვის აღმზრდელობითი ხასიათის მინიჭებას. მას სწავლებისა და აღზრდის შერწყმა-შეხამების გარეშე დაუშვებლად მიაჩნდა სასკოლო მუშაობა. იგი ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „სკოლა ერთსა და იმავე დროს უნდა სწურთნიდეს კიდეც ბავშვსა და ასწავლიდეს კიდეც. წურთნა და სწავლა ხელი-ხელს გადაბმული უნდა ვიდოდეს სკოლაში"[3].

ამასთანავე, ილიას შესანიშნავად ესმოდა, რომ „წურთნა სხვაა და სწავლა სხვა. ერთს ერთი საგანი აქვს და მეორეს — სხვა. წურთნა მიმართულია ზნე-ხასიათის ზრდასა და განვითარებაზე და სწავლა-კი გონების გახსნასა და მსჯელობის გაძლიერებაზე" [4]. ილია გადაჭრით მოითხოვდა სწავლებისა და აღზრდის ორგანულად შეერთებას, სწავლებისათვის აღმზრდელობითი ხასიათის მინიჭებას. „საქმაო არ არის, რომ კაცი მეცნიერი იყოს, დიდი სწაელა მიეღოს, ბევრი ცოდნა შეეძინოს. ამასთანავე, იგი კაი კაციც უნდა იყოს და კაი-კაცობის შემძლებლობაც ჰქონდეს".[5] ილია „კაი კაცობაში" სრულყოფილ ზნეობრივ ფორმირებას გულისხმობდა. ყოველივე ეს კი ზნეობრივ აღზრდაზეა დამოკიდებული, რომელიც სწავლებას ორგანულად შეერწყმის. ილია პედაგოგთა საყურადღებოდ ამბობდა: „თვითონ სწავლა და ცოდნა, რომელსაც სკოლა იძლევა, ისე უნდა იყოს გაანგარიშებული და შერ-

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწ. სრ. კრებული, 1927. ტ. VI, გვ. 145.
[2] იქვე, გვ. 156.
[3] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. II, 1941, გვ. 563.
[4] იქვე, გვ. 563.
[5] იქვე, გვ. 563.

ჩეული, რომ ზნე-ხასიათის წვრთნას, ამ ერთად-ერთს საგანს თვისას, გაუძღვეს და ემსახურებოდეს. სწავლა-ცოდნის ძლევა მარტო იმ აზრით, რომ კაცი სწავლული და მცოდნე იყოსო, ამაო და ბოლომოუბრელი წადილია სკოლისა" [1].

ზნეობრივი აღზრდა. ილია ჭავჭავაძე ზნეობრივ აღზრდას აღზრდა-განათლების საერთო სისტემაში ცენტრალურ ადგილს უთმობდა. მას მიაჩნდა, რომ „ჭეშმარიტი განათლება განვითარებულ გონების და გაწურთვნილის ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუღლებაა განუყრელად" [2].

მოზარდი თაობის ზნეობრივი აღზრდის არსში ილია გულისხმობდა სამშობლო ქვეყნისა და ხალხისადმი სიყვარულის ჩანერგვას, პატიოსნებისა და სიმართლის, თავმდაბლობისა და საზოგადოებრივი საქმისადმი პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას, დისციპლინიანობასა და სხვ.

ზნეობრივი აღზრდის ყველაზე დიდ საშუალებად ილიას არა ვერბალური მეთოდები და გაუთავებელი სენტენციები, არამედ აღმზრდელთა კოლექტივის ერთსულოვნება, მასწავლებლის პირადი თვისებები და ტაქტი მიაჩნდა; „ზნე-ხასიათის წარსამატებლად წურთვნას სკოლაში თავისი საკუთარი გზაცა აქვს, თავისი საკუთარი სახსარიცა. ამ შემთხვევაში დიდად დიდი მნიშვნელობა აქვს მთელს გამგეობას სკოლისას საერთოდ და ოსტატს ცალკე. ამ შემთხვევაში დიდი რამ არის ოსტატის მოხერხებულობა, ყოფაქცევა, მაგალითი, სიფრთხილე, წინდახედულობა".[3]

„...ერთი ჰკვიანური, გულთბილი საქციელი ოსტატისა უფრო ძლიერ მოქმედებს ბავშვის გაადამიანებაზედ, ვიდრე სამისა და ოთხის წლის ზეპირება გრამატიკისა, თუ სხვა რაისამე ამისთანისა" [4].

ილია ჭავჭავაძე გადაჭრით უარყოფდა ფიზიკურ დასჯას და სასჯელის ასეთი საშინელი ზომების უკუსაგდებად პედაგოგიკის კლასიკური მემკვიდრეობის ნიმუშებსაც მიმართავდა; იგი იმოწმებდა ანტიკური ფილოსოფიის დიდ წარმომადგენელს პლატონსა და აღორძინების ეპოქის ცნობილ პედაგოგს ვიტორინო და ფელტრეს.

ბავშვთა და მოზარდთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება და ამასთანავე, აღმზრდელის თუ გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრების ცოცხალი მაგალითი — აი, რა მიაჩნდა ილიას გადამწყვეტ ფაქტორებად ზნეობრივ აღზრდაში. ბავშვის ბუნე-

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. II, 1941, გვ. 566.
[2] იქვე, გვ. 564.
[3] იქვე, გვ. 564.
[4] იქვე, გვ. 565.

ბის კარგად ცოდნა დამაჯერებელსა და საფუძვლიანს ხდიდა მის პედაგოგიკურ დებულებებს.

„უნდა სახეში მიღებული იქმნას არა მარტო ასაკი და წლოვანება მოწაფისა, — წერდა ილია, — არამედ მისნი განსაკუთრებულნი ზნენი და თვისებანი, რადგანაც ბავშვის ცოცხალსა, მკვირცხლსა და ადვილად აღმბეჭდავ ბუნებაზედ ცოცხალი მაგალითი უფრო ძლიერ მოქმედობს, ვიდრე მკვდარი წესი და დარიგება, ამიტომაც ყველაზე უკეთესი ღონე ის არის, რომ მოწაფეს წინ გადაუშალოს ოსტატმა ცხოვრება დიდ ბუნებოვანთა კაცთა, რომელნიც ასე ბევრნი მოიპოვებიან ძველს დროში“ [1].

მშობლის როლი ზნეობრივ აღზრდაში. ილია ჭავჭავაძე მნიშვნელოვან როლს ანიჭებდა აგრეთვე მშობლებს ბავშვთა და მოზარდთა აღზრდის საქმეში. იგი აღნიშნავდა: „შვილის აღზრდა, შვილის კაცად გამოყვანა უწმინდესი და უდიდესი ვალია მშობლებისა“ [2].

ამასთანავე ოჯახში აღზრდის უმთავრეს და გადამწყვეტ ძალად ილიას მშობლების მორალური სახე, მათი პირადი მაგალითი მიაჩნდა. იგი წერდა: „კაცს დედობის, ქმრობის და სხვა ამისთანის გარდა კიდევ სხვა ბევრი მოვალეობა აწევს საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე და ყველაზედ უწინარეს ამ მოვალეობას უნდა გაუძღვეს, მამაკაცია, თუ დედაკაცი. ამას მარტო კაი კაცობა შესძლებს. ვინც კაცად არ ვარგა, ის არც მამად ივარგებს, არც დედად და არც სხვა რადმე, იმიტომ, რომ მამობა და დედობა ადამიანური, მარტო შვილების გამრავლება და ძუძუს წოება არ არის“ [3].

ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდა. ილია ჭავჭავაძე მთელი სერიოზულობით აყენებდა ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განვითარების საკითხს. იგი ფიზიკურ წრთობას აღზრდის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად აღიარებდა. მას წარმოუდგენლად მიაჩნდა სწავლა-განათლება ბავშვის და მოზარდის ჯანმრთელობის, მისი ფიზიკური მდგომარეობის გაუთვალისწინებლად. დიდი ჰუმანისტი და მოაზროვნე. მოითხოვდა, სკოლას უსათუოდ მხედველობაში ჰქონოდა მოსწავლის ფიზიკური გამოწრთობაც. ამასთანავე ილიამ იცოდა, რომ ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთი უმთავრესი გზა იყო სისტემატური ვარჯიში. მისი სავსებით სწორი პედაგოგიური შეხედულებით, არ შეიძლებოდა დავიწყებული ყოფილიყო, რომ „კაცს ტანი და აგებულებაცა აქვს, რომელიც წურთვნითა და ვარჯიშობით უნდა გაღონიერდეს, გაჯანიანდეს, გამაგრდეს, რადგან ჯანმრთელობა უდიდესი მადლია, რომელსაც-კი ღმერთი მიანიჭებს ხოლმე თვისთა რჩეულთა“ [1].

ილია მოზარდი თაობის სულიერ გასპეტაკებაში გულისხმობდა აგრეთვე ესთეტიკურ აღზრდასაც. მისი მაღალმხატვრული თხზულებები ამის ერთ-ერთი შესანიშნავი დადასტურებაა. ბუნებისა და ხელოვნების სიყვარული მას არა მარტო მხატვრული აღზრდის, არამედ კაცობის გამაფაქიზებელ უძლიერეს საშუალებად მიაჩნდა.

სახალხო მასწავლებელი. ბავშვთა და მოზარდთა აღზრდის საქმის სულისჩამდგმელად ილია, რა თქმა უნდა, მასწავლებელს თვლიდა. იგი შესანიშნავად ხედავდა და გრძნობდა სახალხო მასწავლებლის უბადრუკ მდგომარეობას, მაგრამ ამასთანავე მაღალ შეფასებას აძლევდა მის ღვაწლს ქვეყნისა და ერის წინაშე; სახალხო მასწავლებლის შრომას გმირობად, თავგანწირვად თვლიდა და წერდა: „კაცმა რომ სამარადროდ გასინჯოს ეს ყოვლად უნუგეშო გარემოება სოფლის მასწავლებლისა, დაუკვირდეს მის დაუღალავს ღვაწლს ყოვლის დღისას, არ შეუძლიან იმ აზრზედ არ დადგეს, რომ სოფლის მასწავლებლობა სწორედ თავის განწირვაა, მსხვერპლია, ადამიანის უმადურობით უფრო გამწარებული, უფრო გამწვავებული“ [2]. განსაკუთრებით აღშფოთებდა ილიას მასწავლებელ ქალთა უუფლებო და უნუგეშო მდგომარეობა. მიუხედავად ამისა, ილია ჭავჭავაძე მასწავლებელთაგან მოითხოვდა ღრმა ცოდნას, პედაგოგიურ დახელოვნებასა და ერთგულ შრომას სახალხო განათლების სარბიელზე.

პროფესიული და უმაღლესი განათლება. ილია ჭავჭავაძე კარგად ხედავდა, რომ XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოში სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარება მოითხოვდა სათანადო კადრების აღზრდას. ამასთანავე ზოგადი განათლება მას პროფესიული განათლების საფუძვლად მიაჩნდა. ილია დაუღალავად ზრუნავდა ქართველი ინტელიგენციის, განათლებულ სოფლის მეურნეთა და მრეწველობის მუშაკთა კადრების აღზრდაზე. „მასწავლებელი, ექიმი, ტეხნიკი, მიწის შემუშავების მცოდნე, — ყველა, ვინც კი მეცნიერებით და ცოდნით შეიარაღებულია, ყველა საჭიროა ეხლა“ [3].

წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნაზე წარმოთქმულ შესანიშნავ სიტყვაში ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა: „ცოდნა ბევრნაირია. ხოლო აქედან ჩვენი შვილები, გამოიტანენ იმისთანა ცოდნას, რომელიც დედამიწის გულში ჩაგვახედებს, მიგვაგნებინებს —

[1] ი. ჭავჭავაძე. თხზ., ტ. II, 1941, გვ. 572.
[2] იქვე. გვ. 604.
[3] იქვე. გვ. 606.

[1] ი. ჭავჭავაძე. თხზ. ტ. II, 1941, გვ. 576-577.
[2] იქვე. გვ. 588.
[3] იქვე. გვ. 594.

სად რა სიმდიდრე ძევს და რა-რიგის ხერხით, რა-რიგის ოსტატობით შეიძლება ამ სიმდიდრეს ხელი დავაწვდინოთ, ამოვიღოთ და მოვიხმაროთ ჭეყნისა და ჩვენის თავის სადღეგრძელოდ".[1]

ილია ქართველი საზოგადოების ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ სხვადასხვა პროფესიის მქონე უცხოელები ჩამოდიან საქართველოში და „მდიდრდებიან ჩვენს შორის, და ჩვენ კი, ჩვენს საკუთარ სახლსა და ქვეყანაში, ჩვენს საკუთარ მამა-პაპის ბინაზედ, გვენატრება სარჩო და საგზალი ცხოვრებისა"[2].

ილია მოითხოვდა, რომ ზოგად განათლებაზე ახალ თაობას პროფესიული ცოდნაც დაეშენებინა. მას შესანიშნავად ესმოდა რომ „ცოდნა, სწავლა-განათლება, მარტო სამკაული კი არ არის კაცისა, პირველ წყების საჭიროებაა, როგორც პური, როგორც წყალი, როგორც საჭმელი და სასმელი, ერთი სიტყვით, როგორც ყოველივე ის, ურომლისოდაც კაცს გაძლება და ხეირი ამ ქვეყნად არ შეუძლიან".[3]

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ილია ჭავჭავაძეს ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი განათლებისათვის ბრძოლის საქმეში.

ჯერ კიდევ 1871 წელს, როდესაც საქართველოში ჩამოსვლას აპირებდა რუსეთის იმპერატორი, ილიას მეთაურობით „თერგდალეულთა" ჯგუფმა გადაწყვიტა, რომ იმპერატორისათვის მისართმევ ადრესში შეეტანათ მოთხოვნა თბილისში უნივერსიტეტის გახსნაზე. თავადაზნაურობის მარშალმა რევაზ ანდრონიკაშვილმა თვითნებურად უარყო ეს გადაწყვეტილება და იმპერატორს წარუდგინა სხვა ადრესი, რომელშიც უნივერსიტეტის ნაცვლად თბილისში კადეტთა კორპუსის გახსნას ითხოვდა. ასეთმა მოღალატურმა საქციელმა ილიას დააწერინა ორი ცნობილი პამფლეტი „გამოცანები" და „კიდევ გამოცანები", რომლებშიც გამოაშკარავებული იყო მლიქვნელ თავად-აზნაურთა სახეები.

ილიას არც შემდგომ შეუწყვეტია ბრძოლა და ზრუნვა საქართველოში უმაღლესი განათლების კერების დაარსებისათვის. ეს ბრძოლა მძიმე და ხანგრძლივი იყო.

მართალია, ილია ჭავჭავაძემ ცარიზმის ბიუროკრატიული რეჟიმის პირობებში ვერ მოახერხა დაეარსებინა ქართული უნივერსიტეტი, მაგრამ შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ საამისოდ თითქმის ყველა აუცილებელი წინა პირობა შეამზადა საუნივერსიტეტო შენობის აგების ჩათვლით.

---

1 ი. ჭავჭავაძე, ნაწ. სრ. კრებული, 1928, ტ. VII, გვ. 25
2 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. II, 1941, გვ. 601.
3 იქვე გვ. 602.

ილია ჭავჭავაძე ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვისგანაც სულიერ თუ მატერიალურ მხარდაჭერას პოულობდნენ რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში მოსწავლე ქართველი სტუდენტი ახალგაზრდები.

ილია ყოველ ღონეს ხმარობდა უცხოეთში მყოფ სტუდენტთა შემწეობისათვის, და საზოგადოებასაც უხმობდა მათ დასახმარებლად; პრეწის საშუალებით ხშირად აცნობდა ქართველ მკითხველებს სტუდენტთა მძიმე მდგომარეობას უცხოეთში და წერდა, რომ ეს მხოლოდ მკრთალი სურათი იყო იმისი, რასაც „საცოდავი ყმაწვილ-კაცობა ითმენს და იტანს სწავლისა და ცოდნის გულისთვის".[1]

ილია ჭავჭავაძე ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც იბრძოდა ქალთა უმაღლესი განათლების უფლებისათვის. იგი დანანებით წერდა: „ჩვენდა სამწუხაროდ, ამ მხრივ ჯერ კიდევ დახშული აქვთ კარი ქალთა".[2]

ილია პედაგოგიკის ისტორიკოსი. არ შეიძლება მოკლედ არ შევეხოთ საკითხს, თუ როგორ აფასებდა ილია ჭავჭავაძე კლასიკურ პედაგოგიკურ მემკვიდრეობას.

ილია ჭავჭავაძის თხზულებებიდან, განსაკუთრებით კი მისი შრომიდან „პედაგოგიკის საფუძვლები", ცხადად ჩანს, რომ მას კრიტიკულად შეუსწავლია კლასიკური პედაგოგიკური მემკვიდრეობა. მან დემოკრატიული და ჰუმანისტური პოზიციებიდან გააშუქა პედაგოგიკის ისტორიის მთელი რიგი საკითხები, მაღალი შეფასება მისცა როგორც ანტიკურ, ასევე აღორძინების ეპოქის გამოჩენილ ჰუმანისტ ფილოსოფოსთა და პედაგოგთა ნააზრევს.

ილია ჭავჭავაძე სავსებით ბუნებრივად და პროგრესულად თვლიდა ჰუმანისტური პედაგოგიკის მიერ სქოლასტიკური სწავლების სისტემის დამარცხებას. იგი იწონებდა ჰუმანისტ პედაგოგთა — ვიტორინო და ფელტრეს, ფრანსუა რაბლეს, ერაზმ როტერდამელისა და სხვათა პროგრესულ-პედაგოგიკურ შეხედულებებს, პესტალოციისა და დისტერვეგის დემოკრატიულ-პედაგოგიურ იდეებს, მაღალ შეფასებას აძლევდა რუსული კლასიკური პედაგოგიკის ფუძემდებლის კ. დ. უშინსკის პედაგოგიკურ მოძღვრებას.

ილია ჭავჭავაძე პრაქტიკული სარგებლიანობის თვალსაზრისით იყენებდა კლასიკურ პედაგოგიკურ მემკვიდრეობას და წერდა — კარგი იქნება, მათ, ვინც სასკოლო საქმის გაუმჯობესებისა და განვითარებისთვისაა მოწოდებული, „ხანდისხან ყური ათხოვონ ისტორიას, ზოგჯერ უკანაც მოიხედონ და ზოგიერთი რამ შეითვისონ იმ დიდ-ბუნე-

---

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. II, 1941, გვ. 591.
2 იქვე. გვ. 611.

ბოვან ჰუმანისტ-პედაგოგთაგან, რომელთაც უმოძღვრეს კაცობრიობას ბევრი რამ მოზარდის თაობის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ".[1]

ილია ჭავჭავაძისა და მის თანამოაზრეთა პროგრესული იდეების განხორციელება რევოლუციამდელ საქართველოში, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის გამო, მაგრამ ამ იდეებმა გარკვეული როლი შეასრულეს ქართული პედაგოგიკური აზროვნების შემდგომ განვითარებაში და არც დღეს დაუკარგავთ თავისი ცხოველმყოფელი ძალა.

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. II, 1941, გვ. 577.

თავი მეათე

დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი

ი. გოგებაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი დაიბადა 1840 წლის 27 ოქტომბერს, სოფელ ვარიანში, რომელიც ქ. გორიდან დაშორებულია 12 კილომეტრით. 8 წლამდე იგი შშობლიურ ოჯახში იზრდებოდა.

8 წლის იაკობი ჯერ გორის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს და მალე თბილისის სასულიერო სასწავლებელში გადაიყვანეს. ეს სასწავლებელი იაკობმა 1855 წელს წარმატებით დაამთავრა. ამავე წელს შედის თბილისის სასულიერო სემინარიაში. სემინარიაში გაბატონებული იყო ყაზარმული რეჟიმი, უსულგულო დამოკიდებულება მოსწავლეებისადმი, უაზრო ზეპირობა და სქოლასტიკა.

სემინარიაში ყოფნის დროს იაკობი დიდძალ ისტორიულ და მხატვრულ ლიტერატურას კითხულობდა; იგი გაიტაცა პედაგოგიკურმა ლიტერატურამაც.

1860 წელს ი. გოგებაშვილმა წარმატებით დაამთავრა სემინარია, 1861 წელს უმაღლესი განათლების მისაღებად გაემგზავრა ქალაქ კიევში და შევიდა სასულიერო აკადემიაში. გოგებაშვილს არ აკმაყოფილებდა აკადემიის საღვთისმეტყველო მიმართულება. სისტემატურად ესწრებოდა ლექციებს კიევის უნივერსიტეტში. განსაკუთრებით იზიდავდა მას საბუნებისმეტყველო დისციპლინები და საფუძვლიანად სწავლობდა დარვინის თხზულებებს, განსაკუთრებით „სახეთა წარმოშობას". გოგებაშვილი გახდა დარვინის მიმდევარი.

ამასთან ერთად, იაკობ გოგებაშვილმა თავისი ცოდნისა და საზოგადოებრივი შეხედულებების უმდიდრესი წყარო პოვა დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატების — ბელინსკის, გერცენის, დობროლუბოვის, ჩერნიშევსკისა და სხვათა თხზულებებში.

გოგებაშვილი ამ დიდ პიროვნებათა თაყვანისმცემელი გახდა. იაკობი მათ სახელებს დიდი პატივისცემით იხსენიებს. მათივე გავლენით გაეცნო ი. გოგებაშვილი ცნობილ სოციალ-უტოპისტების — ოუენის, ფურიეს და სენ-სიმონის მოძღვრებას. მასზე დიდი გავლენა მოახდინა აგრეთვე სტუდენტთა მღელვარებამ, რასაც 1863 წელს ადგილი ჰქონდა კიევის უნივერსიტეტში. ამ მღელვარებას იაკობი ღრმად თანაუგრძნობდა. ამის შედეგად გოგებაშვილი პროგრესისტ-დემოკრატი

გახდა როგორც საზოგადოებრივ-ლიტერატურული, ისე პრაქტიკული და მეცნიერული პედაგოგიკური ძიღვაწეობის სფეროში

კიევის სასულიერო აკადემიაში ყოფნის დროს იაკობ გოგებაშვილმა განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაუთმო პედაგოგიკურ მეცნიერებათა შესწავლას. აქ მან საფუძვლიანად შეისწავლა კომენსკის, ლოკის, რუსოს, პესტალოცის, დისტერვეგის, ტოლსტოის, პიროგოვის და უშინსკის პედაგოგიკური მოძღვრებანი. განსაკუთრებით საყვარელი გახდა მისთვის კ. დ. უშინსკი, რომელსაც მუდამ თავის მასწავლებლად სთვლიდა.

იაკობ გოგებაშვილმა მალე გამოიჩინა თავი, როგორც ნიჭიერმა და დიდი იმედის მომცემმა სტუდენტმა. მაგრამ სუსტმა ჯანმრთელობამ მას აკადემიის დასრულების საშუალებაც არ მისცა. ორი კურსის დამთავრების შემდეგ იძულებული გახდა დაეტოვებინა აკადემია.

1863 წელს ი. გოგებაშვილი თბილისში დაბრუნდა. ამ დროს საქართველოში ერთი მხრივ, სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა მეფის მოხელეთა შეტევა ნაციონალური კულტურის, ყოფა-ცხოვრებისა და ქართული ენის წინააღმდეგ, მეორე მხრივ ქართველი ახალგაზრდობა, რომელიც უმაღლეს განათლებას იღებდა სხვადასხვა სასწავლებელში და სამოციანელთა ახალ, მოწინავე იდეებს ითვისებდა, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ აჩაღებდა დიდ საზოგადოებრივ ლიტერატურულ მუშაობას. პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდათა შორის ხელმძღვანელი ადგილი ილია ჭავჭავაძემ დაიკავა, რომელიც 1861 წელს დაბრუნდა პეტერბურგიდან და დაუყოვნებლივ შეუდგა საზოგადოებრივ ლიტერატურულ მოღვაწეობას. იაკობ გოგებაშვილი გახდა ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი თვალსაჩინო თანამოსაგრე.

1864 წელს ი. გოგებაშვილი დანიშნეს გეოგრაფიისა და არითმეტიკის მასწავლებლად თბილისის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ ის გადაიყვანეს ამავე საგნის მასწავლებლად სასულიერო სემინარიაში.

1868 წელს ი. გოგებაშვილი დანიშნეს სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად. ამ თანამდებობაზე ის 6 წლის განმავლობაში მუშაობდა. ამ ხნის მანძილზე, იმ დროის პედაგოგიკის მოთხოვნათა შესაბამისად, მან რამდენიმე ენერგიული ღონისძიება გაატარა, სასტიკი ბრძოლა გაუჩაღა სასწავლებლის მკაცრ რეჟიმს, დასმენას, ბავშვთა ფიზიკურ დასჯას და ფართო გასაქანი მისცა მოსწავლეთა ინიციატივასა და თვითმოქმედებას; მოსწავლეთათვის დააარსა სამეცნიერო წრეები და თვითონ ეწეოდა ამ წრეებში დარვინიზმის პროპაგანდას; შექმნა მოსწავლეთა ხელნაწერი ჟურნალი „შრომა“ და ყოველმხრივ ხელს უწყობდა მოსწავლეებში მეცნიერული აზრის გაღვივებას და სა-

ზოგადოებასა და ბუნებაზე მოწინავე შეხედულებების გამომუშავებას. იაკობ გოგებაშვილი მოსწავლეთათვის ყველაზე ახლობელი და საყვარელი პედაგოგი იყო. მალე მისი სახელი ცნობილი გახდა საქართველოს მოწინავე საზოგადოებისათვის.

სრულიად საწინააღმდეგო აზრი და შეფასება დაიმსახურა იაკობ გოგებაშვილმა სასულიერო სემინარიის ადმინისტრაციის, სინოდისა და მეფის მოხელეების მხრივ. მას ბრალად სდებდნენ დარვინიზმის გავრცელებას, ანტისახელმწიფოებრივი შეხედულების პროპაგანდას და სხვ.

1874 წელს თბილისში ჩამოვიდა რევიზორი კერსკი, რომელსაც სინოდის მიერ სპეციალურად დავალებული ჰქონდა შეემოწმებინა და თანამდებობიდან მოეხსნა ი. გოგებაშვილი, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნება. გოგებაშვილს წაუყენეს ბრალდება და მოხსნეს თანამდებობიდან. პედაგოგიური სამუშაოდან მოხსნის ფაქტმა მეტად მწვავედ იმოქმედა იაკობ გოგებაშვილზე. მაგრამ, საბედნიეროდ, იაკობმა მალე მოიკრიბა მისთვის ჩვეული მხნეობა და მტკიცედ გადასწყვიტა სამუდამოდ დაენებებინა თავი სახელმწიფო სამსახურისათვის და მთელი თავისი სიცოცხლე შეეწირა საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის.

წინ იყო ძნელი გზა. იაკობი სრულიად უყოყმანოდ წავიდა ამ გზით. მას წილად ხვდა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მეტად აქტუალური და რთული სფერო — სახალხო განათლების საქმეში ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლა, სახალხო სკოლების შექმნისა და ქართველი ხალხის ფართო მასებში ცოდნის გავრცელებისათვის ბრძოლა.

იაკობ გოგებაშვილი აქტიურ მოსაწილეობას იღებდა ი. მამაცაშვილის „ლიტერატურულ სალონში“, სადაც თავს იყრიდნენ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები და პუბლიცისტები.

ამ წრეში ი. გოგებაშვილის ინიციატივით დაარსდა სალარო წრის წევრთა საწევრო გადასახადებისაგან. ამ თანხებით წრე ხსნიდა სახალხო სკოლებს სოფლებში და აწყობდა საგამომცემლო მუშაობას. სწორედ ამ წრეში დაიბადა აზრი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებისა. ეს აზრი განხორციელდა თვით იაკობ გოგებაშვილისა და მისი უახლოესი მეგობრის ნ. ცხვედაძის ხელმძღვანელობით 1878 წელს. რამდენიმე წლის განმავლობაში ამ საზოგადოების თავმჯდომარედ ითვლებოდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი, შემდეგ კი ილია ჭავჭავაძე.

ეს საზოგადოება 40 წელზე მეტს არსებობდა. ამ ხნის განმავლობაში ის იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის და მოწინავე კულტუ-

რის გამავრცელებელი მებრძოლი შტაბი. საზოგადოების გამგეობაში ერთ-ერთ წამყვან როლს ასრულებდა იაკობ გოგებაშვილი. გამგეობის ენერგიული მოღვაწეობის შედეგად საქართველოს ბევრ რაიონში გაიხსნა სახალხო სკოლები და ბიბლიოთეკები, მოეწყო სახელმძღვანელოების გამოცემა სახალხო სკოლებისათვის და სხვ. საზოგადოებამ გამოსცა აგრეთვე პოპულარული ლიტერატურა ხალხის ცხოვრების სხვადასხვა თემებზე; იგი ხელს უწყობდა წიგნების გავრცელებას მასებში, აწყობდა ლექციებსა და მოხსენებებს, ეხმარებოდა ღარიბი გლეხობის წრიდან გამოსულ ახალგაზრდებს უმაღლესი განათლების მიღებაში და სხვ.

კიევიდან დაბრუნების შემდეგ ი. გოგებაშვილმა ხელი მოჰკიდა სახალხო სკოლების სახელმძღვანელოების შედგენას. 1865 წელს გამოიცა მისი პირველი სასწავლო-საანბანო წიგნი „ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“, რომელიც გამოდიოდა 1876 წლამდე (გამოიცა 13-ჯერ; 60.000 ცალი), 1868 წელს გამოიცა მისი ცნობილი „ბუნების კარი“, საკითხავი წიგნი, სწავლების მე-3 და მე-4 წელი (გამოიცა 27-ჯერ, 179.000 ცალი; უკანასკნელი გამოცემა გამოვიდა 1918 წელს). 1872 წელს იაკობ გოგებაშვილმა გამოსცა „დარიგება მასწავლებელთათვის, თუ როგორ უნდა წაიყვანონ სწავლება წერა-კითხვისა ქართულ ანბანში“. ოთხი წლის შემდეგ, 1876 წელს, გამოვიდა მისი უბადლო საანბანო წიგნი „დედა ენა“, ნაწილი I.

1944 წლიდან „დედა ენა“, გადამუშავებული საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლების ნ. ბოცვაძისა და ე. ბურჯანაძის მიერ, გამოდის როგორც სტაბილური სახელმძღვანელო ქართული დაწყებითი სკოლების პირველი კლასისათვის.

1906 წელს გამოიცა „დედა ენის“ II ნაწილი, საკითხავი წიგნი მეორე განყოფილებისათვის, რომლის უკანასკნელი გამოცემა გამოვიდა 1920 წელს.

1887 წელს იაკობ გოგებაშვილმა გამოსცა რუსული ენის ცნობილი სახელმძღვანელო «Русское слово», ნაწილი I, რომელიც 37-ჯერ გამოიცა. 1888 წელს გამოვიდა «Русское слово»-ს II ნაწილი, საკითხავი წიგნი რუსულ ენაში.

იაკობ გოგებაშვილმა დაწერა დაახლოებით 150-ზე მეტი ორიგინალური საბავშვო მოთხრობა და სასწავლო ხასიათის წერილები.

მთელი ეს სასწავლო-პედაგოგიური და მხატვრულ-დიდაქტიკური ლიტერატურა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში შეადგენდა უხვ სულიერ საზრდოს ქართველი ახალი თაობისათვის. იაკობ გოგებაშვილის მოთხრობათაგან ჩვენი ბავშვები ახლაც გატაცებით

კითხულობენ. ეს მოთხრობები აღვივებდნენ მათში სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულსა და ერთგულებას.

იაკობ გოგებაშვილის, როგორც პედაგოგ-თეორეტიკოსის, კალამს ეკუთვნის მრავალი შრომა აღზრდის, განათლებისა და სწავლების საკითხებზე. მათგან აღსანიშნავია: „ბურჯი ეროვნებისა“, „ხე ნაყოფიერი იცნობება“, „ახალი სამოსწავლო გეგმის შესახებ“, „ბრძა წინამძღოლობა ხალხის განათლებაში“, „უშინსკი და კორფი“, „ეროვნული სენის მიზეზი და წამალი“, „ახალი ნაბიჯი ხალხის განათლებაში“, „როგორ უნდა მოეწყოს სოფლის სკოლა“, „სახალხო მასწავლებლის ღვაწლი და უკიდურესი გაჭირვება მისი“ და მრავალი სხვა.

განსაკუთრებით ბევრი შრომა დაწერა იაკობ გოგებაშვილმა ქართულ დაწყებით სკოლებში მშობლიური და რუსული ენების სწავლების საკითხებზე. მის მრავალრიცხოვან შრომათაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია: «Как улучшить Кавказскую народную школу», «Методическое руководство для учителей и учительниц к преподаванию по книге «Русское слово», «Разбор учебных руководств по русскому языку», «Государственный язык в грузинских народных школах», «О грузинском и русском алфавитах с педагогической точки зрения» და სხვ.

ი. გოგებაშვილმა გამოაქვეყნა 200-ზე მეტი პედაგოგიური და პუბლიცისტური ხასიათის შრომა. ისინი ან ცალკე გამოცემებად გამოდიოდა, ან იბეჭდებოდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში. მათგან 101 შრომა შევიდა „რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური თხზულებების“ I ტომში, რომელიც გამოიცა 1910 წელს.

ი. გოგებაშვილის ეს პედაგოგიური შრომები შესრულებულია დიდი ერუდიციითა და საქმის ცოდნით. ისინი მკითხველებს და, პირველ რიგში, სახალხო მასწავლებლებს აცნობდნენ ბავშვთა აღზრდის, განათლებისა და სწავლების პრინციპებს, ეღვივებდნენ საზოგადოებრივ-პედაგოგიური შრომის სიყვარულს. ამ შრომათა საგრძნობი ნაწილი, განსაკუთრებით შრომები მშობლიური და რუსული ენების სწავლების მეთოდიკის საკითხებზე, დღესაც ინარჩუნებს თავის ცხოველმყოფელობას.

ი. გოგებაშვილი არ იშურებდა სახსრებს სახალხო განათლებისათვის. ჯერ კიდევ 1890 წელს მან მთელი თავისი შრომები, გარდა „დედა ენისა“ და «Русское слово»-სი გადასცა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, ხოლო სიკვდილის წინ მთელი თავისი დანაზოგი — 13.000 მანეთი ფულად, ყველა სახელმძღვანელო, დაბეჭდილი შრომები და მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონება შესწირა ამავე საზოგადოებას. იგი დიდად ეხმარებოდა ღარიბ მოსწავლეებს, ცალკეულ საზოგადო მოღვაწეებს, პოეტებს, მწერლებს

და სხვ. ი. გოგებაშვილი სისტემატურად უწევდა დახმარებას რუსეთის უნივერსიტეტებში მყოფ მოსწავლე სტუდენტებს. ზოგჯერ ამ სტუდენტებმა არც კი იცოდნენ, თუ ვინ ეხმარებოდა მათ.

ი. გოგებაშვილი ეხმარებოდა აგრეთვე ციმბირში გადასახლებულ საზოგადო-პოლიტიკურ მოღვაწეებს. ი. გოგებაშვილს არაერთგზის გაუწევია საგრძნობი მატერიალური დახმარება ხალხის საუკეთესო შვილებისათვის — მწერლებისათვის, საზოგადო მოღვაწეებისათვის. ცნობილია, რომ ეგნატე ნინოშვილი ხშირად დიდ გაჭირვებას განიცდიდა. იაკობ გოგებაშვილმა მას არაერთხელ გაუწია ნივთიერი დახმარება. იგი სისტემატურ დახმარებას უწევდა ბევრ მოსწავლეს — ღარიბი გლეხის შვილებს, უნაწილებდა მათ თავის ჰონორარს და გზას უხსნიდა მეცნიერებისა და განათლებისაკენ.

იაკობ გოგებაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისათვის ბრძოლის საქმეში. საკმარისია აღინიშნოს, რომ ის სისტემატურად ზრუნავდა თბილისში მომავალი უნივერსიტეტის შენობის აგებისათვის. შენობა, რომელშიც გაიხსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართული საბჭოთა კულტურისა და უმაღლესი განათლების ეს უძლავრესი და უმნიშვნელოვანესი კერა, როგორც ცნობილია, აგებულია საზოგადოებრივი სახსრებით. ამ საქმეს სათავეში ედგა იაკობ გოგებაშვილის მეგობარი და თანამებრძოლი, სახალხო მასწავლებელი ნიკო ცხვედაძე. ილია ჭავჭავაძესთან ერთად იაკობ გოგებაშვილი ყოველმხრივ მხარს უჭერდა და ეხმარებოდა ნ. ცხვედაძეს ამ დიდი ეროვნული საქმის წარმატებით დაგვირგვინებისათვის.

ი. გოგებაშვილი გარდაიცვალა 1912 წლის 10 ივნისს. მისი ნეშტი დაკრძალულ იქნა ქალაქ თბილისში, დიდუბის პანთეონში, ხოლო 1940 წლის 27 ოქტომბერს გადაასვენეს მთაწმინდაზე.

მსოფლმხედველობა. ზოგადპედაგოგიური იდეები. იაკობ გოგებაშვილმა ღრმად შეითვისა დემოკრატიული პედაგოგიკის გამოჩენილი კლასიკოსების და მოაზროვნეების იან ამოს კომენსკის, პესტალოცის, დისტერვეგის და განსაკუთრებით კ. დ. უშინსკის მოძღვრება, გადაამუშავა მათი მდიდარი მემკვიდრეობა ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების სპეციფიკური პირობების შესაბამისად და სამართლიანად დაიმსახურა „ქართველი უშინსკის“ სახელი.

ი. გოგებაშვილის პედაგოგიური მოძღვრება, პირველ ყოვლისა, გამსჭვალულია მისი სოციალურ-პოლიტიკური და ფილოსოფიური მსოფლმხედველობით. მართალია, იაკობ გოგებაშვილს არ დაუწერია პოლიტიკური და ფილოსოფიური ხასიათის სპეციალური შრომები, მაგრამ ყველა მის პუბლიცისტურ და პედაგოგიურ სტატიასა და სახელმძღვანელოებში ნათლად გამოსჭვივის მისი სოციალურ-პოლიტიკური და ფილოსოფიური შეხედულებანი.

ამ შრომების ანალიზიდან ჩანს, რომ ბუნებისა და მისი განვითარების კანონების გაგებაში, ნატურფილოსოფიაში, იაკობ გოგებაშვილი ძირითადად მატერიალისტია და მტკიცედ დგას დარვინიზმის პოზიციებზე, თუმცა თავის მსოფლმხედველობაში ადგილს უტოვებს რელიგიურ შეხედულებებსაც. შემეცნების თეორიის სფეროში, განსაკუთრებით ფსიქოლოგიაში იგი ახლოს დგას მატერიალიზმთან და ობიექტური, რეალური სინამდვილე მიაჩნია შემეცნების საფუძვლად. მაგრამ იაკობ გოგებაშვილი ვერ ჩაწვდა საზოგადოების განვითარების კანონებს, ისტორიული პროცესის მარქსისტულ-მატერიალისტურ გაგებას, ისტორიულ მატერიალიზმს, ვერ გაიგო და ვერ მივიდა კლასთა ბრძოლის აღიარებამდე და საზოგადოებრივი განვითარების გაგებაში დარჩა იდეალისტად. მიუხედავად ამისა, საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეული მოვლენები და ფაქტები ზოგჯერ სწორადაა მის მიერ შემჩნეული და გაანალიზებული.

ი. გოგებაშვილი დიდად აფასებდა დიდ რუს რევოლუციონერ-დემოკრატებს — გერცენსა და ბელინსკის, დობროლუბოვსა და ჩერნიშევსკის. მან, როგორც განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა საქართველოში, მათი დიდი გავლენა განიცადა, მაგრამ ის ბოლომდე მაინც ვერ ამაღლდა რადიკალურ-დემოკრატულ, რევოლუციურ მსოფლმხედველობამდე. ი. გოგებაშვილი ამ მხრივ შეიძლება დავახასიათოთ ძირითადად როგორც დემოკრატი-განმანათლებელი, როგორიც იყო კ. დ. უშინსკი.

ი. გოგებაშვილის სოციალურ-პოლიტიკურ კონცეფციაში მთავარი ადგილი უჭირავს, ერთი მხრივ, ცარიზმის უღლისაგან ქართველი ხალხის განთავისუფლების საკითხს და, მეორე მხრივ, თავისი ქვეყნის მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, უფლებების მოპოვებისა და კულტურის ამაღლების საკითხს.

ი. გოგებაშვილი, ისე როგორც ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელთა მთელი პლეადა, რომელსაც ილია ჭავჭავაძე მეთაურობდა, ამ საკითხების გადაწყვეტისას გამოდიოდა იმ დებულებიდან, რომ ქართველ ხალხს შეუძლია თავისი ბედნიერება და კეთილდღეობა მოიპოვოს მხოლოდ დიდ რუს ხალხთან ერთიანობისა და ძმობის ვითარებაში. ამიტომ, მოუწოდებდა რა ქართველ ხალხს განმათავისუფლებელი ბრძოლისაკენ, ი. გოგებაშვილი ცრუპატრიოტად თვლიდა იმას, ვინც თავისი სამშობლოსა და თავისი ხალხის ხსნას არ უკავშირებდა დიდი რუსი ხალხის ბრძოლას ბრწყინვალე მომავლისათვის.

ი. გოგებაშვილს რუსეთი თავის დიდ სამშობლოდ მიაჩნდა. „ცხადია, — წერდა ის, — რუსული ენის ცოდნა უდიდესი სიკეთეა ყველა კავკასიელისათვის, რადგან მისცემს მათ იმის საშუალებას, რომ იყვნენ სრულფასოვანი მოქალაქენი დიდი სახელმწიფოსი. ეზიაროონ მდიდარ რუსულ ლიტერატურას და თავის სამშობლოს უსაზღვრო სივრცეებში თავი ისე იგრძნონ, როგორც საკუთარ სახლში".

ი. გოგებაშვილი კარგად არჩევდა მტერსა და მოყვარეს. მისთვის ცარიზმი ძალადობისა და უმეცრების მოციქულს წარმოადგენდა, რომელიც ქართველი და რუსი მშრომელების მტერი იყო. დიდ რუს ხალხთან ერთიანობის გარეშე მას ვერ წარმოედგინა საქართველოს ბედნიერება და კეთილდღეობა.

ამავე დროს ი. გოგებაშვილი მტკიცედ იცავდა თავისი ქვეყნის პროგრესს და წარსულისადმი ყოველგვარი გამოდევნება ხალხისათვის საზიანოდ მიაჩნდა. მისი აზრით, ამ პროგრესის ფერხულში უნდა ჩაებას ყოველი მცირე ერი და დიდ ერებთან კავშირით და ერთიანობით მიაღწიოს საერთო-საკაცობრიო ჰარმონიას. „ხოლო ერის გადაგვარება და გაჭრობა, — წერს იგი, — მარტო მის კერძო უბედურებას როდი შეადგენს; იგი ნამდვილი დანაკლისია თვით კაცობრიობისთვისაც, რომელსაც ამით აკლდება ერთი თავისი ნაწილი ანუ წევრი, უშრება ერთი იმ წყაროთაგანი, რომელნიც ავსებენ შეერთებულად კულტურის მსოფლიო ზღვასა. ერთმა წარჩინებულმა მწერალმა კაცობრიობა დაადარა მგალობელთა დიდს გუნდს, ხოროსა, რომლის ჰარმონია მხოლოდ მაშინ არის სავსე და სრული, როდესაც ყველა ხალხი, თავისი შესაბამის ხმით, იღებს მონაწილეობას მსოფლიო ღაღადისში. შესწყდა რომელიმე ერის ხმა? გაფარიბდა კაცობრიობის ხოროს ჰარმონია, შესუსტდა მსოფლიო ღაღადისი, დანაკლულდა ზღვა თავისებურობისა, მოაკლდა ერთი თავისებური ლალი კაცობრიობის კულტურის დიდებულ სალაროს".

ეროვნული უფლების, ეროვნული კულტურის დაცვისა და ხალხის ყოველმხრივი განვითარების მთავარ საშუალებად ი. გოგებაშვილს მიაჩნდა დედაენა. ამ საკითხში იგი მთლიანად იზიარებდა კ. დ. უშინსკის შეხედულებებს. გოგებაშვილს ხაზგასმით მოჰყავს შემდეგი სიტყვები: „ენა არის ყველაზე ცოცხალი, ყველაზე უხვი და მტკიცე კავშირი, რაც ერთ დიად ისტორიულ ცოცხალ მთლიანობად აერთიანებს ხალხის გარდასულ, ცოცხალ და მომავალ თაობებს. ენა არა მარტო ხალხის სიცოცხლის ძალას გამოხატავს, არამედ თვით არის ეს სიცოცხლე. როდესაც ისპობა ხალხის ენა — ხალხი მეტად უკვე აღარ არსებობს... სანამ ხალხის ბაგეზე ხალხის ენა ცოცხლობს, მანამ ხალხიც ცოცხლობს. და არ არსებობს უფრო აუტანელი ძალადობა, ვიდრე ის, რო-

დესაც სურთ ხალხს წაართვან მის გარდასულ წინაპართა უამრავი თაობების მიერ შექმნილი მემკვიდრეობა. წაართვით ხალხს ყველაფერი და მას შეუძლია კვლავ დაიბრუნოს ყოველივე; მაგრამ წაართვით ენა — და ის უკვე ვერასდროს ვეღარ შეჰქმნის მას; თვით ახალი სამშობლოს შექმნაც შეუძლია ხალხს, მხოლოდ ენის შექმნა კი — არასდროს; მოკვდა ენა ხალხის ბაგეზე და მოკვდა თვით ხალხიც. მაგრამ თუ ადამიანის სული შეძრწუნდება ერთი მომაკვდავი ადამიანის მკვლელობის გამო, რაღა უნდა იგრძნოს ადამიანის სულმა მაშინ, როდესაც ხელყოფენ ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიული პირობების სიცოცხლეს — დედამიწის ზურგზე ღვთის ქმნილებათაგან ამ ყველაზე უდიდესი ქმნილების სიცოცხლეს?".

კ. დ. უშინსკის შეხედულებებით გამსჭვალული ი. გოგებაშვილი ჰეშმარიტი პატრიოტის ერთ-ერთ ძირითად თვისებად თვლიდა ხალხისა და მისი ენის სიყვარულს.

ი. გოგებაშვილის სოციალურ-პოლიტიკური კონცეფციის დასახიათებლად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ იგი აღფრთოვანებით შეხვდა 1861 წლის ეგრეთწოდებულ საგლეხო რეფორმას. მაგრამ, ამავე დროს, მისი იმედები არ გამართლდა. რამდენიმე წლის შემდეგ ი. გოგებაშვილი პირდაპირ აცხადებდა, გლეხობა მოტყუებული დარჩაო, გლეხობამ მიწა ვერ მიიღო, მისი ეკონომიური მდგომარეობა არა თუ გაუმჯობესდა, არამედ ზოგიერთ რამეში კიდევაც გაუარესდაო.

ი. გოგებაშვილის მსოფლმხედველობის გათვალისწინებისათვის აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იგი ქართველი ერის მომავალს, მის ხსნას მშრომელ ხალხში ხედავდა. იაკობი ბრძოლას უცხადებდა თავადაზნაურულ არისტოკრატიას და ბიუროკრატიას.

ამგვარად, ი. გოგებაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციონერი არ ყოფილა და არ ჰქონდა შეგნებული კლასთა ბრძოლის აუცილებლობა საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის საქმეში, თავისი დროისათვის პროგრესულ-დემოკრატიული იდეების მატარებელი იყო. ეს აძლევდა პროგრესულ-დემოკრატიულ ხასიათს მის პედაგოგიკურ იდეებსა და შეხედულებებს.

იაკობ გოგებაშვილი, როგორც ტიპიური სამოციანელ-განმანათლებელი, თავის პედაგოგიკურ მოძღვრებას საფუძვლად უდებს ხალხურობის პრინციპს. ამ პრინციპით არის გაშუქებული ყველა მისი მეცნიერულ-პედაგოგიკური შრომა, მისი პუბლიცისტური სტატიები, სახელმძღვანელოები და მთელი მისი მოღვაწეობა.

ხალხურობის იდეაში ი. გოგებაშვილმა ასახა თავისი მშობლიური

ქვეყნის მშრომელი ხალხის ეკონომიური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ინტერესები.

აღზრდის ხალხურობის პრინციპში ი. გოგებაშვილი პროგრესულ შინაარსს გულისხმობდა. ხალხურობის ძირითად ელემენტებს, გოგებაშვილის აზრით, წარმოადგენს: საყოველთაო-სახალხო სწავლება და რეალური განათლების მიცემა მოზარდი თაობისათვის. ქალთათვის განათლების უზრუნველყოფა, სწავლება მშობლიურ ენაზე, ქართველი ხალხის მიერ რუსული ენის დაუფლება და მდიდარი რუსული კულტურის შეთვისება, სამშობლოსადმი სიყვარულის გაღვივება, შრომითი აღზრდის განხორციელება, ჰუმანიზმი. დემოკრატიზმის ეს ელემენტები გოგებაშვილის მემკვიდრეობას აძლევს ცხოველმყოფელ ძალას ჩვენი სკოლისა და ჩვენი პედაგოგიკური მეცნიერებისათვის.

აღზრდის მიზანი და ამოცანები. თავისი სოციალურ-პოლიტიკური და ფილოსოფიური მსოფლმხედველობის შესაბამისად, ი. გოგებაშვილი აღზრდის მთავარ მიზანს ხედავს იმაში, რომ მომზადებულ იქნეს ყოველმხრივ გათვითცნობიერებული და სრულფასოვანი მოქალაქე, რომლისთვისაც პატიოსანი შრომა შეადგენს ბუნებრივ მოთხოვნილებას, მისცეს სამშობლოს „ახალი ტიპის ქართველი“ პატრიოტი, „ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიური ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავგამოდებით და შეუპოვრად ებრძვის დაუღალავად ყოველს დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყანას წარმატების გზაზედ გადაღობებია, ვისაც მთლად დაკარგულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარნია მამულის ზრუნვისათვის, ვისაც ედაგვის გული მამულის ტანჯვითა, უხარის მისი ლხენითა, ვინც ბედნიერია მის ბედნიერებით, უბედურია მისი უბედურებით, და ვინც მზად არის ღიმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე“.

იაკობ გოგებაშვილს სწამდა, რომ „...მამულის სიყვარული, მხურვალე ეროვნული გრძნობა, არის უპირველესი რამ ქვეყნის ბედნიერებისათვის..., ბედნიერება ქვეყნისა მით უფრო მტკიცე გზაზედა სდგას, რამდენადაც ბევრი ჰყავს მას გულშემატკივარი და ერთგული მამულიშვილი“.

ი. გოგებაშვილი უდიდესი ჰუმანისტი იყო. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ადამიანში ადამიანობის, ჰუმანურობის აღზრდას, სწორედ ამ თვისებებით არის გამსჭვალული მისი პედაგოგიკური შრომები; პიროვნების ღირსებისადმი პატივისცემის გრძნობით არის გამთბარი ყველა მისი სასწავლო წიგნი. მას მიაჩნდა, რომ ახალგაზრდების გულში მაღალი, კეთილშობილური გრძნობების აღზრდა უფრო მთავარია, ვიდრე მათი გონების გამდიდრება ცოდნით.

ჰუმანური აღზრდის მიზნით იაკობ გოგებაშვილი მოითხოვდა აღზრდაში ასკეტიზმისა და განდეგილობის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრას, ბავშვში ყველა ჯანსაღი თვისების განვითარებას და მასში ოპტიმიზმის ფართოდ დანერგვასა და აღზრდას.

იაკობ გოგებაშვილი მოითხოვდა შეურიგებელ და გადამწყვეტ ბრძოლას ისეთი საქციელის წინააღმდეგ, რაც ამცირებს ადამიანის პიროვნებას. იგი სასტიკად გმობდა კავკასიის სასწავლო ოლქის და სასულიერო განათლების უწყების ბიუროკრატ-მოხელეებს, რომლებიც მოსწავლე ახალგაზრდობას აჩვევდნენ ჯაშუშობასა და დასმენას. ილაშქრებდა ფიზიკური დასჯისა და მოსწავლისადმი ისეთი მოპყრობის წინააღმდეგ, რომლებიც შეურაცხყოფდნენ მოსწავლის პიროვნებას, მის ადამიანურ ღირსებებს.

იაკობ გოგებაშვილი კარგად ხედავდა, რომ იმ დროს არსებული განათლების სისტემა არ შეესაბამებოდა ხალხის ინტერესებს. სახალხო სკოლების ქსელის გაფართოების მოთხოვნასთან ერთად ი. გოგებაშვილი გადაჭრით ილაშქრებდა სქოლასტიკური და დოგმატური სწავლების წინააღმდეგ, რაც იმ პერიოდში გამეფებული იყო სახალხო განათლების სისტემის ყველა რგოლში. თავის ცნობილ სტატიაში — „ხე ნაყოფით იცნობება“ გოგებაშვილი იძლევა სქოლასტიკური სკოლის ამომწურავ დახასიათებას: „ამისთანა სკოლა საპყრობილეა ყმაწვილის ნორჩის ბუნებისათვის... აქ სუფევს გულმოსაკლავი, უაზრო ზეპირება გაუგებარი სიტყვებისა და მშრალი მეხანიზმი. სკოლა მოკლებულია გამაკხოველებელ სიხარულს, რომელიც ბავშვის ბუნებისათვის იმისთანავე საჭირო სტიქიაა, როგორც წყალი თევზისათვის. ყველა ეს საზოგადოების სკოლებს ამსგავსებს კუბოსა, მდიდრულად მორთულსა, სიყვარულით მოკაზმულსა, გარედან აყვავებულსა, მაგრამ შიგნით-კი გაჭედილს უსულო მძორით“.

ამის ძირითად მიზეზად ი. გოგებაშვილი სთვლის სკოლის მოწყვეტას ხალხის ინტერესებისაგან. „თვით ღატაკი სკოლა, მძლავრია, — წერს ი. გოგებაშვილი, — როცა მას ხალხში ფესვები აქვს გადგმული დედაენის შუამავლობით. თვით უმდიდრესი, ყოველი მხრით შემკული სკოლა უძლურია, როცა ამ ნიადაგს მოკლებულია“. ი. გოგებაშვილს მოჰყავს ასეთი მოსწრებული შედარება: „დიახ, კარგად გახლავთ ხე მოვლილი, ლაზათიანად არის ყოველი მხრით შემკული, მაგრამ ნაყოფს კი სრულიად დამპალს და შხამს ისხამს. რათა ხდება ესა? რა შხამავს და აჭიანებს მის ნაყოფს? ხე გახლავთ სრულიად უფესვო და დაშორებული დედამიწასა, ნიადაგსა. აი ჭეშმარიტი მიზეზი მისი უვარგისობისა, მისი უმზგავსობისა“.

კრიტიკის ჭარცეცხლში ატარებს ი. გოგებაშვილი საშუალო სასწავ-

ლებლების, განსაკუთრებით კლასიკური გიმნაზიების მუშაობის უარყოფით მხარეებს.

„ხალხს კი სრულიად სხვა სწავლა ესაჭიროება, — წერდა გოგებაშვილი, — სრულიად სხვა ცოდნა სწყურიან. სწავლამ და ცოდნამ იგი უნდა მოამზადოს ერთი მხრით ბუნებასთან ბრძოლისათვის, მეორე მხრით, სოციალურ სანატრელს ცვლილებისათვის“. ი. გოგებაშვილი მთლიანად იზიარებდა უშინსკის შეხედულებებს კლასიკური და რეალური განათლების შესახებ: „მე ყოველთვის ვიყავი, ვარ და ვიქნები მომხრე რეალური სისტემისა“.

ი. გოგებაშვილი გარკვეულ მოთხოვნებს აყენებდა განათლების ახალი სისტემის, სახალხო სკოლების შინაარსის, სასწავლო გეგმების, სასწავლო პროგრამებისა და სხვათა შესახებ. მისი მოთხოვნები ყოველთვის გამომდინარეობდა იმ დებულებიდან, რომ სწორედ რეალურ განათლებას მოაქვს ხალხისათვის საჭირო სარგებლობა. ის დიდად ამაღლებს ხალხის ეკონომიურ, გონებრივ და ზნეობრივ დონეს. იგი სამართლიანად მიუთითებს, რომ „რეალური სისტემა იმ ფორმალურს განვითარებასაც ანიჭებს მოწაფეს, რომელიც შეადგენს ერთად ერთს ღირსებას კლასიკურის სისტემისას, და ამის გარდა, ნამდვილ ცოდნითაც ამდიდრებს“. ასე წყვეტდა ი. გოგებაშვილი საკითხს, თუ „რა უნდა ვასწავლოთ“.

აღზრდის ხალხურობის პრინციპის საფუძველზე იაკობი მოითხოვდა ისეთი სკოლების დაარსებას, რომლებიც მოსწავლეებს მისცემდნენ ნამდვილ ცოდნას ბუნებისა და საზოგადოების, ცხოვრებისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან. მისთვის ღირებულება ჰქონდა არა ზუთხვით შეძენილ აბსტრაქტულ და განყენებულ ცოდნას, არამედ ისეთ ცოდნას, რაც ერთი მხრივ „პირდაპირ ცხოვრებას ეხება“ და, მეორე მხრივ — „ანვითარებს მოსწავლეთა ფორმალურ ნიჭს“. ამის მიხედვით წყვეტს ი. გოგებაშვილი სპეციალური და ზოგადი განათლების საკითხს.

„ახლა ყველასათვის ცხადი ჭეშმარიტებაა, — წერს ი. გოგებაშვილი, — რომ სპეციალური სწავლა უძლურია მეტ-ნაკლებობით, თუ მას წინ არ უძღვის საზოგადო განვითარება, რომელიც უფურჩქნის მოსწავლეს ყოველგვარ ნიჭსა და ჰყოფს მას სრულ ადამიანად. სპეციალისტი მოკლებული საზოგადო განვითარებას, მოგვაგონებს მაშინასა, რომელიც ერთს რამეს აკეთებს მეხანიკურად და სხვა რისამე რიგიანად გაკეთება მისთვის შეუძლებელია. ამისთანა ვიწრო სპეციალისტი ყოველს განსხვავებულს გარემოებაში იფანტება, ვერაფერს ახერხებს თავისთავად და გაკეთების მაგივრად საქმეს ადვილად აფუჭებს“.

ი. გოგებაშვილი ქალთა განათლების უფლების მგზნებარე დამცველი იყო და დაუღალავ ბრძოლას ეწეოდა ამ პროგრესული პრინციპის განხორციელებისათვის. ის მოითხოვდა, რომ ვაჟების თანაბრად სკოლებში მასობრივად ყოფილიყვნენ ჩაბმული გოგონებიც.

დიდაქტიკური შეხედულებანი. იაკობ გოგებაშვილი იცნობდა სწავლების ყველა მოწინავე ზოგადდიდაქტიკურ პრინციპს. იგი თავის მეცნიერულ-პედაგოგიკურ შრომებში განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდა სწავლების ისეთი პრინციპების შემდგომი გაუმჯობესებისა და კონკრეტიზაციის საკითხებს, როგორიცაა შეგნებულობის, თვალსაჩინოების, აღმზრდელობითი სწავლებისა და სხვა.

სწავლების ეს ზოგადდიდაქტიკური პრინციპები მან თავისი სახელმძღვანელოების შედგენისას გამოიყენა ისეთი ცოდნითა და ოსტატობით, ისეთი სიფაქიზითა და სწავლების დიდაქტიკური წესების ყველა უმცირესი ნიუანსის გათვალისწინებით, რომ გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ამ მხრივ იგი უბადლო დიდაქტიკოსია.

ძირითად დიდაქტიკურ პრინციპად სწავლებაში ი. გოგებაშვილი თვლიდა შ ე გ ნ ე ბ უ ლ ო ბ ა ს და ა ქ ტ ი ვ ო ბ ა ს. იგი წერდა: „სწავლებას, რომ იგი პედაგოგიური და განმავითარებელი იყოს, ყოველ სიტყვაზე თან უნდა ახლდეს სრული გაგება; სწავლების ამ სრულ შეგნებულობაზეა დამოკიდებული მოსწავლის ყურადღების სიძლიერისა და სიმტკიცის აღზრდა“, ურომლისოდაც არ არსებობს წარმატება სწავლებაში, რადგან „მხოლოდ გაძლიერებული ყურადღების საშუალებით წვდება ჩვენი გონება საგანთა ღრმა შინაგან მხარეებს“. იაკობ გოგებაშვილს შეგნებული სწავლების ფსიქოლოგიურ საფუძვლად ყურადღება მიაჩნდა. ამავე დროს ყურადღების აღზრდაში იგი ხედავდა სწავლების ერთ-ერთ ამოცანას, რომლის საშუალებით შეიძლება განვახორციელოთ შეგნებულობის პრინციპი.

აკრიტიკებდა რა თავის თანამედროვე სკოლას, ი. გოგებაშვილი მიუთითებდა, რომ სკოლა ამზადებს არა შეგნებულ ადამიანებს, არამედ „ცხოვრებისათვის გამოუსადეგარ თუთიყუშებს“. იგი წერს: „ზურგი უნდა შევაქციოთ ყალბ ცოდნას, ფორმულების ზეპირობას და შევუდგეთ შეძენას ნამდვილის, ჭეშმარიტი ცოდნისას“.

თუ მხედველობაში მივიღებთ იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკური მოძღვრების საერთო ხასიათს, მაშინ გასაგები იქნება, რატომ ანიჭებდა ის უდიდეს მნიშვნელობას თ ვ ა ლ ს ა ჩ ი ნ ო ე ბ ი ს პ რ ი ნ ც ი პ ს სწ ა ვ ლ ე ბ ა შ ი. ი. გოგებაშვილი არაერთხელ მიუთითებდა, რომ აღზრდასა და სწავლებაში არ შეიძლება დაცულ იქნეს შეგნებულობა, თუ თვალსაჩინოებით არ არის გამსჭვალული მთელი სწავლება.

„ჯერ საგანი, შემდეგ მისი სახელწოდება. ჯერ მხედველობითი შთაბეჭდილება, შემდეგ სმენით აღქმა. თუ არ შეგიძლიათ უჩვენოთ თვით

საგანი, უჩვენეთ ბავშვებს ნახატი. თუ ხელთ არც ერთი გაქვთ და არც მეორე, ან სიტყვა გამოდის მხედველობის სფეროდან, მაშინ მოიშველიეთ ცოცხალი სიტყვა". იგი ამ იდეას იცავს თავის მრავალ მეთოდურ ნაშრომში.

ამავე დროს გოგებაშვილის სახელმძღვანელოები წარმოადგენს იმის მაგალითს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეს პრინციპი. მისი სასწავლო წიგნების ილუსტრაციები უმეტეს შემთხვევაში გამოირჩევა შინაარსის იდეურობით, სწორი მეთოდური დამუშავებით, მაღალი მხატვრულობით და სინამდვილის სწორი ასახვით. ყოველივე ეს ამ ილუსტრაციებს დიდ განმავითარებელსა და აღმზრდელობით ძალას ანიჭებს.

სწავლების თანმიმდევრობა და თანდათანობა, გოგებაშვილის აზრით, სწავლების წარმატების აუცილებელ პირობას და მის „ურყევ კანონს" წარმოადგენს. ამ თანმიმდევრობასა და თანდათანობას იგი გასაოცარი ოსტატობით იცავს თავის სახელმძღვანელოებში.

ი. გოგებაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებდა ისეთ პედაგოგიურ ღონისძიებათა გატარებას, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეების მიერ ცოდნის მტკიცედ და საფუძვლიანად დაუფლებას. ამ ღონისძიებათა სისტემაში გოგებაშვილი განსაკუთრებულ ადგილს უთმობდა გამეორებას. იგი ხშირად ამბობდა ხოლმე — „განმეორება სწავლის დედაა" და მოითხოვდა სწავლების ისე წარმართვას, რომ განვლილი მასალა განმტკიცებული ყოფილიყო ახალი, მომდევნო მასალებით და ხშირი გამეორებით. ი. გოგებაშვილი წერდა, — თუ „დღევანდელი არ ეყრდნობა გუშინდელს" და თუ „დღევანდელი არ არის განმტკიცებული მომდევნოთი", მაშინ ის, რაც „დღეს შეითვისეს მოსწავლეებმა, ავიწყდებათ ხვალისათვის, ხოლო ხვალ შეთვისებული მისცვივათ თავიდან მასზეგ". ამ შემთხვევაში „მოსწავლის ტვინი წარმოადგენს ასპარეზს, სადაც მცირე ხნით გამოჩნდება სმენითი შთაბეჭდილება, რომ მალე, როგორც მირაჟი, გაქრეს და ადგილი დაუთმოს სხვა ასეთსავე წუთიერ წარმოდგენებს, რომლებიც თავის მხრივ მალე ქრებიან. რა შეიძლება იყოს ამაზე უფრო მავნე არა მარტო ენის ცოდნისათვის, არამედ ნორმალური გონებრივი განვითარებისათვისაც!". ი. გოგებაშვილი თანმიმდევრულად, დიდი ოსტატობითა და საქმის ღრმა ცოდნით ახორციელებდა ამ პრინციპს თავის სახელმძღვანელოებში.

ი. გოგებაშვილის დიდაქტიკაში განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია ისიც, რომ ის მტკიცედ იცავდა და ავითარებდა პროგრესულ შეხედულებებს იმის შესახებ, რომ სწავლებას უნდა ჰქონდეს აღმზრდელობითი მიმართულება. მას ვერ წარმოედგინა აღზრდისაგან მოწყვეტილი

სწავლება. ხალხურობის პრინციპის შესაბამისად, აღმზრდელობითი სწავლების საფუძვლად ი. გოგებაშვილს მიაჩნდა პატრიოტიზმის მაღალი გრძნობების აღზრდა ბავშვებში.

მშობლიური ენა — სწავლების საფუძველი. ი. გოგებაშვილის აზრით, ზოგადი განათლება, რასაც უნდა აძლევდეს სკოლა (იგულისხმება უმთავრესად სახალხო სკოლა) მოსწავლეებს, მოიცავს შემდეგ ძირითად დისციპლინებს: მშობლიურ ენას, რუსულ ენას, არითმეტიკას, ბუნებისმეტყველებას, გეოგრაფიას და ისტორიას.

ეს დისციპლინები, რომელთაც არა მარტო საგანმანათლებლო, არამედ აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვთ, სახალხო სკოლაში თავს იყრიან ძირითადი საგნის — მშობლიური ენის გარშემო. ამავე დროს თითოეულმა მათგანმა არ უნდა დაკარგოს თავისი სახე, როგორც ცალკე სასწავლო დისციპლინამ.

ი. გოგებაშვილი მშობლიურ ენაში ხედავდა უდიდეს აღმზრდელობით ძალას, როგორც მოსწავლეთათვის, ისე მთელი ხალხისათვის. ამ აზრს იგი ყოველთვის იცავდა თავის მრავალრიცხოვან შრომებში და გასაოცარი ოსტატობით ასხამდა ხორცს ქართული ენის სახელმძღვანელოებში. ი. გოგებაშვილი დარწმუნებული იყო, რომ ახლო მომავალში შეიქმნებოდა ხელსაყრელი პირობები მშობლიური ქართული ენის აყვავებისათვის. ეს აყვავება და განვითარება მას შესაძლებლად მიაჩნდა მხოლოდ დიდ რუს ხალხთან და მის მდიდარ კულტურასთან კავშირში. ი. გოგებაშვილი წერდა: „ათასი წლების ქარტეხილებს გადაურჩა ეს ენა, ისეთ ქარტეხილებს, რომლებმაც მრავალი ენა და ხალხი აღგავა პირისაგან მიწისა, და მიადგა რუსულ ნავსაყუდელს. ამიტომ ამ ენას არ შეიძლება არ ჰქონდეს ნათელი იმედი იმისა, რომ ხელსაყრელი ვითარებანი მისცემენ საშუალებას კვლავინდებურად აყვავდეს, კიდევ უფრო განვითარდეს, გაუმჯობესდეს და მის შემქმნელ ხალხს გაუწიოს ის უდიდესი პედაგოგიური სამსახური, რა სამსახურის გაწევაც ძალუძს დედაენას, განსაკუთრებით განვითარებულ დედაენას — ამ უდიდეს პედაგოგს, უშინსკის გამოთქმით".

ი. გოგებაშვილს ხშირად მოჰყავს დიდი ჩეხი პედაგოგის ი. ა. კომენსკის შეხედულება იმის შესახებ, რომ „გსურდეს ასწავლო ბავშვს უცხო ენა მანამდე, სანამ ის მშობლიურ ენას ისწავლიდეს, ეს იმას ნიშნავს გსურდეს ცხენოსნობა ასწავლო ბავშვს მანამდე, სანამ ის სიარულს დაიწყებდეს". ი. გოგებაშვილი წერს: „სადაც კი ჰეშმარიტი განათლების ლამპარი დანთებულა, დედაბოძად მას ჰქონია და აქვს დედაენა, სწავლება დედაენაზე, როგორც საუკეთესო ღონე განვითარებისა და ცოდნის შეძენისა... რომელ ქვეყანაშიაც კი გადაუხვევიათ ამ გზისათვის, იქ გონების გახსნის მაგიერ მისი დახშობა მიუღიათ,

განათლების მაგიერ — დაბნელება და ზნეობის გაწმენდის და ამაღლების მაგიერ — მისი დაცემა".

თავისი მრავალი პედაგოგიკური და პუბლიცისტური შრომებითა და სტატიებით, რომლებიც ქვეყნდებოდა ქართულ და რუსულ ენებზე, ი. გოგებაშვილი ენერგიულად იღვწოდა იმისათვის, რომ საზოგადოებრივი აზრი შემოეკრიბა დედაენის დასაცავად. მისი შესანიშნავი შრომა „ბურჯი ეროვნებისა" ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა მეცნიერულ-პოლიტიკური და პუბლიცისტური თვალსაზრისით, რომელმაც დიდი როლი შეასრულა მშობლიური ენისა და ლიტერატურისადმი სიყვარულის გაღვივებაში.

მაგრამ მშობლიური ენის შესწავლის საქმეში ი. გოგებაშვილის ყველაზე დიდი ისტორიული დამსახურებაა მისი სახელმძღვანელოები, განსაკუთრებით მისი „დედა ენა".

რაში მდგომარეობს „დედა ენის" ძირითადი ღირსებები?

პირველი — ის არის შედგენილი ანალიზურ-სინთეზური მეთოდით, რაც საქართველოში შემოიტანა ი. გოგებაშვილმა. ი. გოგებაშვილი ასაბუთებს ამ მეთოდის უპირატესობას საანბანო და ანბანთშეერთების მეთოდთან შედარებით და წერს: „ყოველი ახალი მხოლოდ მაშინ აღიქმის, როდესაც ძველის ნაკლოვანებანი შეგნებულია. რა ნაკლოვანებები აქვს, ჩვეულებრივ, საანბანო მეთოდებს? მათი ძირითადი ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ ანბანი იწყება ასოებიდან".

ი. გოგებაშვილის აზრით, ანბანის შესწავლა უნდა დაიწყოს არა ასოებიდან, „რაც არაფერს გაძოხატავს ბავშვისათვის, არამედ სიტყვებიდან... მოსწავლე მყისვე იგრძნობს, რომ ბუნებასა, ცხოვრებასა და სწავლებას შორის არსებობს კავშირი". გარდა ამისა, მოსწავლე ამ მეთოდით კითხვას სწავლობს უფრო გონივრულად და სწრაფად.

მეორე — ასოების შესწავლის თანმიმდევრობა დადგენილია თვით ანბანთა სიძნელის გათვალისწინებით. ასოების განლაგების ეს თანმიმდევრობა სავსებით შეესაბამება, ერთი მხრივ, თითოეული ასოს კალიგრაფიულ თავისებურებას და, მეორე მხრივ, დიდაქტიკურ მოთხოვნებს.

მესამე — სახელმძღვანელოში მოთავსებული ყველა სასაუბრო მასალა, მოთხრობები და ლექსები უმთავრესად აღებულია ცხოვრებისა და ბუნების იმ მოვლენებიდან, რაც ბავშვებისათვის ახლობელი და ნაცნობია. ეს სახელმძღვანელოს აძლევს კიდევ უფრო მეტ საგანმანათლებლო ძალას და აღმზრდელობით მნიშვნელობას. დიდი ყურადღება აქვს დათმობილი საბუნებისმეტყველო მასალას, რაც მოცემულია არა შშრალად, არამედ მოთხრობებისა და ბუნების წარმტაცი აღწერის სახით. სახელმძღვანელოში მოთავსებული ბევრი მოთხრობა და ლექ-

სი ზნეობრივ-დიდაქტიკური ხასიათისაა. სასწავლო მასალის განლაგებაში მკაცრად არის დაცული თანმიმდევრობა და ოსტატურადაა განხორციელებული გადასვლა ადვილიდან—ძნელისაკენ, ახლობელიდან—შორეულისაკენ, ნაცნობიდან — უცნობისაკენ.

მეოთხე — დიდი ოსტატობით არის განხორციელებული თვით ი. გოგებაშვილის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ „დღევანდელ გაკვეთილზე აღქმული მასალა უნდა განმეორდეს მომდევნო გაკვეთილებზე სხვადასხვა კომბინაციებში. ამის გარეშე შეუძლებელია მოსწავლის მეხსიერებაში ათვისებული მასალის მტკიცედ ჩანერგვა".

მეხუთე — თვალსაჩინოების პრინციპის თვალსაზრისით სახელმძღვანელო გულდასმით არის შედგენილი. ილუსტრაციათა დიდი უმეტესობა სავსებით შეესაბამება პედაგოგიკურ მოთხოვნებს; მათგან ბევრი შესულია ჩვენი სკოლების პირველი კლასის სტაბილურ სახელმძღვანელოში.

მეექვსე — სახელმძღვანელოს ენა ლიტერატურულად დახვეწილი და ლოგიკურად გამართულია: ესაა ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ ის ასე წარმტაცი და მიმზიდველია.

მეშვიდე — სახელმძღვანელოს საერთო ტექნიკური მხარე — შრიფტი, დასურათება, თვით ინტერვალიც კი ასოებსა და ასოებს შორის, სიტყვებსა და სიტყვებს შორის, სათაურებსა, ქვესათაურებსა და ტექსტს შორის და ა. შ., არაჩვეულებრივი სიზუსტითა და პროპორციულობის დაცვით არის წარმოდგენილი. შეიძლება ითქვას, რომ „დედა ენას" იშვიათად, რომ რომელიმე სხვა საანბანო წიგნი შეედრებოდეს.

მშობლიური ენის დაუფლებისა და ბავშვთა გონებრივი განვითარების საქმეში დიდი როლი შეასრულა აგრეთვე „დედა ენის" II ნაწილმა, რომელიც სწავლების მეორე წლისათვის იყო გათვალისწინებული. ამ სახელმძღვანელოში მოთავსებულია კარგად შერჩეული მოთხრობები, ლექსები, იგავ-არაკები, ხალხური ლექსები, გამოცანები, ანდაზები და სხვ. მასალები ისეა განლაგებული, რომ გარკვეული ნაწილის შესწავლის შემდეგ მოსწავლეს უვითარდება თავისი ცოდნა და შეხედულება საგნებისა და მოვლენების მიმართ. ეს მასალები მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომია და ზნეობრივი მიმართულებისა და ენის სიმდიდრის თვალსაზრისითაც დიდი ოსტატობით არის შერჩეული.

რუსული ენის სწავლება ქართულ სკოლაში. ი. გოგებაშვილი თვლიდა, რომ მშობლიური ენის ცოდნასთან ერთად, ქართველი ხალხისათვის აუცილებელია რუსული ენის ცოდნაც. ი. გოგებაშვილს რუსული ენა თავის მეორე მშობლიურ ენად მიაჩნდა. ის სავსებით იზიარებდა საქართველოსათვის რუსული ენის მნიშვნელობის იმ შეფასებას, რასაც იძლეოდა ი. ჭავჭავაძე. „თქმა არ უნდა, — წერდა ი. ჭავჭა-

ვაძე, — რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერ ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავის ავკარგიანობა. არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მომქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებული ლიტერატურის ზეგავლენისაგან... ამიტომაც საბუთი გვაქვს ვთქვათ, რომ თვითოეული ჩვენთაგანი რუსული ლიტერატურით გაზრდილა, თვითოეულს ჩვენგანს მის გამონარკვევზე აუგია თავის რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურჩევია".

რუსული ენის ცოდნის ეს უდიდესი მნიშვნელობა სავსებით შეგნებული ჰქონდა თვით ხალხსაც; ი. გოგებაშვილს რუსული ენის ცოდნა ქართველის განათლებულობის აუცილებელ ელემენტად და ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებლად მიაჩნდა. ი. გოგებაშვილი ხალხის ამ სიყვარულსა და პატივისცემას რუსული ენისადმი ასე ახასიათებდა: „ჩვენს ხალხს სურს იცოდეს რუსული ენაც. ეს სურვილი, უნდა მართალი ვთქვათ, იმდენად საგრძნობელია, რომ სახალხო სკოლა, რომელშიაც რუსულს ენას ადგილი არ ექნება, ვერ მოიპოვებს ჩვენის ხალხის სრულ სიმპატიას".

ი. გოგებაშვილს ახასიათებდა თავისი სამშობლოს ინტერესებისადმი უანგარო თავდადება, საღი და სრული შეგნება რუსული ენის ცოდნისა, რასაც ქართველი ხალხის ბედნიერებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ყოველივე ეს იქცა იმ დაუშრეტელ წყაროდ, საიდანაც მოდის მისი უმდიდრესი მეცნიერულ-პედაგოგიკური მემკვიდრეობა ქართულ სკოლებში რუსული ენის სწავლების საკითხებზე. ამ მემკვიდრეობის საგანძურში, თუ არ ჩავთვლით მის მრავალრიცხოვან პუბლიცისტურ-პედაგოგიკურ შრომებს, შედის: «Русское слово», ч. I (букварь), «Русское слово», ч. II (книга для чтения), Методическое руководство для учителей и учительниц грузинских школ к преподованию по книге «Русское слово», «Как улучшить Кавказскую народную школу», «Государственный язык в грузинских начальных школах», «Разбор учебных руководств по русскому языку», «О грузинском и русском алфавитах с педагогической точки зрения», «Нормальное письмо» და რამდენიმე სტატია, მოთავსებული რუსულ ჟურნალებსა და გაზეთებში.

«Русское слово»-ს I და II ნაწილი წარმოადგენდა რუსული ენის შესწავლისა და რუსულ კულტურასთან დაახლოების საუკეთესო

წყაროს, ხოლო სხვა წიგნები — მეცნიერულ-მეთოდურ სახელმძღვანელოებს მასწავლებლებისათვის.

ი. გოგებაშვილის «Русское слово»-ს I და II ნაწილი იმდენად მაღალხარისხოვანი სახელმძღვანელოები იყო, რომ 40 წლის განმავლობაში დარჩნენ რუსული ენის უცვლელ სასწავლო წიგნებად საქართველოს სკოლებში. მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელმძღვანელოებს ყოველმხრივ სდევნიდნენ კავკასიის სასწავლო ოლქის მაყრაზმელი მესვეურნი, ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები მაინც წარმატებით უძლებდნენ შემოტევებს და თითქმის ერთადერთ სახელმძღვანელოებად რჩებოდნენ საქართველოს ყველა დაწყებით სკოლაში.

«Русское слово»-ს მაღალ ხარისხზე, მის მეთოდიკურ გამართულობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ეს სახელმძღვანელო ფართოდ გავრცელდა ამიერკავკასიაში და მის გარეთაც. «Русское слово»-ს ორივე წიგნს იყენებდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში, განსაკუთრებით ოსურ სკოლებში, ყაზანის გუბერნიაში და ჩუვაშთა სკოლებში.

როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური პრესა დადებით შეფასებას აძლევდა ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილ რუსული ენის სახელმძღვანელოებს. ჟურნალი «Филологическая библиотека» წერდა — „რუსული ენის შესასწავლად სხვა ეროვნების პირთა მიერ შედგენილ მრავალ სახელმძღვანელოთა შორის იშვიათად შეიძლება შევხვდეთ ისეთ საუცხოო და ნიჭიერად შედგენილ სახელმძღვანელოს, როგორიცაა ბ-ნ გოგებაშვილის შრომა".

ანალოგიურ შეფასებას იძლევა აგრეთვე ჟურნალი «Начальное обучение»: „გამოსცა რა თავის სასწავლო სახელმძღვანელო საქართველოსათვის, ბ-მა გოგებაშვილმა გამოსთქვა თავისი აზრი იმის შესახებ, რომ კავკასიის თითოეული ხალხისათვის ფრიად აუცილებელია ჰქონდეს რუსული ენის განსაკუთრებული სახელმძღვანელო. კავკასიელი პედაგოგის აზრი უეჭველად სწორია; მისი პრაქტიკული განხორციელება სასურველია არა მარტო კავკასიის სხვადასხვა ეროვნებათა მიმართ, არამედ საერთოდ მთელ რუსეთის ყველა სხვა ტომების მიმართაც".

გოგებაშვილის სახელმძღვანელოების დასახასიათებლად განსაკუთრებით საგულისხმოა ისიც, რომ კავკასიის სასწავლო ოლქის ოფიციალური ორგანოები იძულებული გახდნენ ეღიარებინათ ამ სახელმძღვანელოების ღირსებები და ეცნოთ ისინი „რუსული ენის საუკეთესო სახელმძღვანელოებად".

როგორია «Русское слово»-ს I და II ნაწილის დამახასიათებელი თავისებურებანი, რამაც ასეთი წარმატება მოუპოვა მათ?

1. ი. გოგებაშვილი გამოდიოდა იმ სწორი პრინციპიდან, რომ არა-

მშობლიური ენის შესწავლა უნდა აიგოს მშობლიური ენის ჯეროვან ცოდნაზე.

ი. გოგებაშვილი ამ საკითხში კ. დ. უშინსკისაც ეყრდნობა, გამოდის მისი დებულებიდან იმის შესახებ, რომ „უცხო ენების შესწავლა არასოდეს არ უნდა დაიწყოს ძლიერ ადრე, და არავითარ შემთხვევაში იმაზე ადრე არა, სანამ არ იქნება შემჩნეული, რომ მშობლიურმა ენამ ღრმა ფესვები გაიდგა ბავშვის სულიერ ბუნებაში". ი. გოგებაშვილს მოჰყავს შემდეგი ადგილი უშინსკის შეხედულებიდან: „ბავშვებისათვის უცხო ენის სწავლების დაწყება მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ცუდად კითხულობს მშობლიურ ენაზე, განა იმას არ ნიშნავს, რომ დასაწყისშივე მოვუკლათ განვითარება და ხალისი სწავლისადმი".

ი. გოგებაშვილი სწორად ახორციელებს თავის სახელმძღვანელოში იმ მოსაზრებას, რომ ქართველი ბავშვებისათვის რუსული ენის სწავლება უნდა დაიწყოს მას შემდეგ, როდესაც მათ მშობლიურ ენაზე შეეძლებათ თავისუფლად იკითხონ და წერონ, გაერკვნენ ხელმისაწვდომ ძირითად ენობრივ ფორმებში.

ი. გოგებაშვილს სწამდა, რომ მშობლიური ენის დაუხმარებლად არ შეიძლება არამშობლიური ენის წარმატებით შესწავლა. ამიტომ სახელმძღვანელოს შედგენისას იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მშობლიური ენისა და რუსული ენის შედარებითი ფორმების გამორკვევას. ამ საკითხს მიუძღვნა მან სპეციალური შრომა «О русском и грузинском алфавитах с педагогической точки зрения». თავის შრომაში «Руководство для учителей и учительниц» გოგებაშვილი წერდა: „მთელი სიზუსტით გარკვეულ იქნას ამ ენების ურთიერთდამოკიდებულება და ამის მიხედვით აიგოს წიგნი, ისე, რომ რუსული ენის ის ნაწილები, რომლებიც ქართული ენის ანალოგიურია, წინ უძღოდეს იმ წმინდა რუსულ ფორმებსა და შეერთებებს, რომლებიც დიდად არიან დაშორებული ქართული ენის წყობისაგან".

2. «Русское слово» აგებულია იმ სწორ პრინციპებზე, რომ „მოსწავლეებმა უწინარეს ყოვლისა უნდა შეიძინონ იმის ცოდნა და ჩვევა, რომ რუსული ენის ფორმებში გამოხატონ მათ ირგვლივ არსებული საგნები, გარემო პირობები, თავიანთი ოჯახური ყოფა, თავიანთი ცოდნა, თავიანთი ფანტაზიის, გონებისა და მეხსიერების შინაარსი, — ერთი სიტყვით, უახლოესი გარე სინამდვილე, რომელშიაც ისინი არიან მოქცეული".

ეს აზრი ი. გოგებაშვილმა ფართოდ განავითარა თავის მრავალ მეთოდურ შრომაში. მან სწორად მიუთითა იმაზე, რომ „სხვა ეროვნებათა სკოლებისათვის რუსული ენის სახელმძღვანელოების ბევრ შემდგენელს არ ესმის ეს ფრიად არსებითი მოთხოვნა, ან არ სურს მისი

განხორციელება. განსაკუთრებით მკვეთრად გვხვდება თვალში ადგილობრივი ელემენტების უქონლობა ვოლპერის «Русская речь»-ში, რაც გათვალისწინებულია სხვა ეროვნებათა სკოლებისათვის". თვითონ ი. გოგებაშვილმა, რომელსაც კავკასიის სასწავლო ოლქის ხელმძღვანელმა მისცა წინადადება გადაემუშავებინა თავისი «Русское слово», რათა წარმატებით ყოფილიყო შემოღებული კავკასიის ოლქის სკოლებში, — უარი თქვა თავისთავად ამ დიდმნიშვნელოვანი დავალების შესრულებაზე. იგი ერთგული დარჩა თავისი პრინციპისა, რომ სახელმძღვანელო შედგენილ უნდა იქნეს ადგილობრივი მასალებისა და იმ ხალხის ენისა და ყოფა-ცხოვრების ღრმა ცოდნის საფუძველზე, რომლისთვისაც არის გათვალისწინებული.

ი. გოგებაშვილს კარგად ესმოდა ისიც, რომ მოსწავლეთა ცოდნა არ შეიძლება მტკიცე იყოს, თუ სახელმძღვანელო არ ასახავს ბავშვების გარემომცველ რეალურ სინამდვილეს. „თუ მოსწავლეებს აცნობთ უმთავრესად ისეთი საგნების სახელებს, რომლებიც მათს სამშობლოში არ არსებობენ და რომლებიც მხოლოდ უცხო ქვეყანაში მოიპოვებიან, წერს ი. გოგებაშვილი, — ამით თქვენ სწავლებას, ჯერ ერთი უკარგავთ ცხოველმყოფელობას, პრაქტიკულ აზრსა და მნიშვნელობას და, მეორეც, აქცევთ მას ეფემერულად, რადგან მათ ირგვლივ არარსებული საგნების სახელებს მოსწავლეები ძნელად ითვისებენ; ამ სახელებს მოსწავლეთა ცნობიერებაში არ ამაგრებს თვით საგნების რეალური შთაბეჭდილებანი და ამიტომ ისინი მალე იფერფლებიან და, ბოლოს, სულ ქრებიან. ყოველივე ამის შედეგად, ენის შესწავლა ღებულობს აბსტრაქტულ ხასიათს, იგი მოკლებულია რეალობას, თვალსაჩინოებას, ცხოველმყოფელობას, პრაქტიკულობას, და სწორედ ამიტომ მეტად არამტკიცეა; ასეთი სწავლა მოკლე დროში ქრება ბავშვის თავიდან".

მაგრამ ი. გოგებაშვილი არ ვარდებოდა მეორე უკიდურესობაში. მის სახელმძღვანელოებში, განსაკუთრებით რუსული ენის სახელმძღვანელოებში, უხვად არის შეტანილი საუცხოოდ შერჩეული სასწავლო მასალები, რომლებიც ქართველ მოსწავლეებს აცნობს რუსი ხალხის ცხოვრებას, მის კულტურას, ყოფას, ბუნებას და სხვ.

3. ცნობილია, რომ იმ საანბანო სასწავლო წიგნის ხარისხი, რომელიც გათვალისწინებულია არამშობლიური ენის შესასწავლად, დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა მეთოდური პრინციპით არის ის შედგენილი. ი. გოგებაშვილი ეყრდნობოდა, ერთი მხრივ, მეტად მოწინავე და მეცნიერულ აზრებს ამ დარგში, და, მეორე მხრივ, ქართულ სკოლებში რუსული ენის სწავლების უმდიდრეს გამოცდილებას. ი. გოგებაშვილი, როგორც საერთოდ, ისე კერძოდ რუსული ენის სწავ-

ლების საქმეში. სასტიკად ილაშქრებდა რომელიმე ერთი მეთოდის უნივერსალიზაციის წინააღმდეგ. მას ერთნაირად მავნებლად და დაუშვებლად მიაჩნდა, როგორც ერთთავად თარგმნის მეთოდი, ისე ნატურალური მეთოდიც, რომელსაც იგი აგრეთვე მუნჯურ მეთოდს უწოდებდა.

ი. გოგებაშვილი ასევე აღნიშნავდა ნატურალური მეთოდის უარყოფით მხარეებს და წერდა: „ნატურალური მეთოდის უსაფუძვლობა და სატანჯველობა დამოკიდებულია იმაზე, რომ იგი უარყოფს მშობლიური ენის დახმარებას, ურომლისოდაც შეუძლებელია არა მარტო განყენებული ხასიათის სიტყვებისა და გამოთქმების, არამედ გრძნობადი სფეროს ძალიან ბევრი ტერმინებისა და ფრაზების გადმოცემა".

ი. გოგებაშვილი მოსწრებულად აკრიტიკებდა ფ. ლევიცკის, რომელმაც კავკასიის სკოლებისათვის 1879 წელს შეადგინა რუსული ენის სახელმძღვანელო თარგმნითი მეთოდის საფუძველზე, ხოლო 1894 წელს ნატურალური მეთოდის მიხედვით. ი. გოგებაშვილი წერდა: „ბ-ნ ლევიცკის მიერ შემოთავაზებული ხერხი წარმოადგენს უგრძელეს მიხვეულ-მოხვეულ ბილიკს, რომელიც გადის ჭაობებსა და უფსკრულებზე".

ამავე დროს ი. გოგებაშვილი პოულობდა დადებით მხარეებს ორივე ამ მეთოდში: „რუსული ენის სწავლების მეთოდი შორს უნდა იდგეს ვიწრო ჩარჩოებისა და ცალმხრივობისაგან: მან უნდა შეითვისოს ნატურალური მეთოდისა და თარგმნის მეთოდის ღირსებები, თავიდან უნდა აიცილოს მათი ნაკლოვანებანი. სწავლების თვალსაჩინოება და სიტყვიერება — აი, ის საფუძვლები, რომლებზეც უნდა ეყრდნობოდეს რუსული ენის სახელმძღვანელოები სხვა ეროვნებათა სკოლებისათვის".

4. «Русское слово» თავისი შინაარსითაც მაღალ მეცნიერულ დონეზე იდგა. „სხვა ეროვნებათა სკოლებისათვის რუსული ენის სახელმძღვანელოების შემდგენელნი, — წერდა ი. გოგებაშვილი, — ბაძავენ ძველი, მკვდარი ენების სახელმძღვანელოთა ავტორებს და თავიანთ სახელმძღვანელოებში შეაქვთ მხოლოდ მოთხრობები და ლექსები. ისინი ივიწყებენ, რომ შინაარსის ერთფეროვნება სიცოცხლეს უკარგავს სწავლებას, რომ ცოცხალი ენების შესასწავლად შეუდარებლად დიდი მნიშვნელობა აქვს გარემო საგნებისა და ყოველდღიური ცხოვრების სცენების თვალსაჩინო აღწერებს და აგრეთვე ცოცხალ საუბრებს ერთგვარ საგანთა ჯგუფების შესახებ. ეს არის ძვირფასი მასალა, რომელიც არა მარტო ხელს უწყობს იმას, რომ მოსწავლეებმა თვალსაჩინოდ და სრულიად შეგნებულად შეითვისონ რუსული ენა, არამედ იგი აგრეთვე აჩვევს მოსწავლეებს იმას, რომ იყვნენ დაკვირვებულნი და შთაგონებულნი; ამასთანავე მათ გონებას ამდიდრებს ნათელი წარმოდგენებით გარესამყაროზე. ჩვენ კარგად გვესმოდა ეს და ამიტომ ჩვენს სახელმძღვანელოში შევიტანეთ არა მარტო მოთხრობები და ლექსები, არამედ მასში საკმაოდ ვრცელი ადგილი დავუთმეთ უბრალო სცენებსაც ყოველდღიური ცხოვრებიდან სწავლების საქმეში"...

5. ისე, როგორც ი. გოგებაშვილის სხვა სახელმძღვანელოები, ასევე «Русское слово» ემყარება მოწინავე დიდაქტიკურ პრინციპებს და წარმოადგენს იმის საუკეთესო ნიმუშს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს სახელმძღვანელოში თვალსაჩინოების, სისტემატურობის, ცოდნის სიმტკიცისა და განსაკუთრებით, შეგნებულობის პრინციპი. შეგნებულობის პრინციპი ი. გოგებაშვილს მიაჩნდა რუსული ენის რაციონალური სწავლების ქვაკუთხედად. „ჩვენს მიერ არჩეული მეთოდი, — წერს ი. გოგებაშვილი, — მასწავლებელს ავალებს ყოველი გაკვეთილი თავდაპირველად ბავშვებს მიაწოდოს ცოცხალი სიტყვის საშუალებით თვალსაჩინოების საფუძველზე და მხოლოდ ამის შემდეგ გაიმეოროს წიგნით, ამასთანავე ძლიერი საზღვარი დაუდოს მექანიკურ მეცადინეობას, რაც ესოდენ მავნებელია სწავლების საქმეში".

ი. გოგებაშვილის «Русское слово»-ს წარმატებას დიდად შეუწყო ხელი აგრეთვე იმანაც, რომ იგი იწყება ფონეტიკური და ლექსიკური ვარჯიშით ოსტატურად დამუშავებულ მასალებზე (ხახატები, სიტყვები, ფრაზები, კითხვა-პასუხები და სხვ.), რაც სწორი მეთოდური თანმიმდევრობით არის განლაგებული.

«Русское слово»-ს შესავალი განყოფილება ბავშვებს საშუალებას აძლევდა, მოკლე დროში და ნაკლები სიძნელეებით შეეთვისებინათ გარკვეული რაოდენობის ლექსიკური მარაგი, რაც აუცილებელი იყო რუსული ენის სწავლების წარმატებისათვის.

ყოველივე ამის შედეგად ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები მოსწავლეებს აძლევდა მტკიცე ცოდნას რუსულ ენაში. ამავე დროს ეს სახელმძღვანელოები ხორცს ასხამდა ი. გოგებაშვილის იმ აზრს, რომ „სხვა ეროვნებათა ბავშვებში რუსული ენისადმი სიმპათიისა და სიყვარულის გაღვივებას, აღზრდასა და განმტკიცებას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე თვით წარმატებებს, განსაკუთრებით ეფემერულ წარმატებებს ამ ენის შესწავლაში, რადგან, ჯერერთი, წარმატებების საფუძვლიანობა და ზრდა დამოკიდებულია ამ სიმპათიაზე, და, მეორეც, რაც უმთავრესია, — თუ გეყვარება რუსული ენა, არ შეიძლება არ გიყვარდეთ მისი შემქმნელი ხალხი".

რუსული ენის სწავლების საკითხებზე ი. გოგებაშვილის მეცნიერულ-მეთოდური შრომებისა და განსაკუთრებით მისი «Русское

слово»-ს მაღალი ღირსებები წარმატებით არის გამოყენებული დღევანდელ ქართულ დაწყებით სკოლებში რუსული ენის სწავლების საქმეში. ი. გოგებაშვილის «Русское слово»“ გადაამუშავეს ჩვენი სკოლების მოთხოვნების შესაბამისად ს. დ. ფურცელაძემ, ვ. გ. ავალიშვილმა და ლ. ნ. ჯაფარიძემ და 1945-46 სასწავლო წლიდან იგი სტაბილურ სახელმძღვანელოდ არის შემოღებული.

*
* *

მადლიერმა ქართველმა ხალხმა თავის დიდ პედაგოგს, ქართული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელს, უბადლო სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორს, საბავშვო მწერალსა და ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ხელმძღვანელს საქართველოში — ი. გოგებაშვილს ზეიმით გადაუხადა 1940 წელს დაბადების 100 წლისთავი. დიდი მასშტაბით აღინიშნა აგრეთვე მისი დაბადების 120 წლისთავი 1960 წელს და 125 წლისთავი — 1965 წელს. 1952-65 წლებში განხორციელდა ი. გოგებაშვილის თხზულებათა ათტომეულის გამოცემა. დაწესებულია ი. გოგებაშვილის სახელობის მედლით დაჯილდოება სახალხო განათლების დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის და მისი სახელობის ორი პრემია, რომელიც ყოველწლიურად გაიცემა პედაგოგიკის მეცნიერების სხვადასხვა დარგში გამოქვეყნებული საუკეთესო ნაშრომისათვის და ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი სკოლების სახელმძღვანელოს შედგენისათვის.

თავი მეთერთმეტე

სახალხო განათლება XX საუკუნის დასაწყისში

(1901-1917 წწ.)

სკოლისა და სახალხო განათლების საკითხები და მშრომელთა რევოლუციური ბრძოლა. XX საუკუნის დასაწყისში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მთავარ შინაარსს მშრომელთა რევოლუციური ბრძოლა წარმოადგენდა, რომელმაც განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო 1905-1907 წლებში. რევოლუციური მოძრაობა არ შეწყვეტილა რეაქციის პერიოდშიც. მან ახალი, დიდი აღმავლობა განიცადა 1911 წლიდან და გაგრძელდა იმ დრომდე, სანამ არ დაემხო მონარქიული წყობილება და მემამულე-კაპიტალისტთა ბატონობა რუსეთში.

რუსეთში მშრომელთა რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელი, ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო რევოლუციური სოციალ-დემოკრატია.

საქართველო თავიდანვე აქტიურ მონაწილეობას იღებდა რევოლუციურ მოძრაობაში. მან ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიჭირა ამ მხრივ მთელ რუსეთში. საქართველოში მასობრივ რევოლუციურ გამოსვლებს, შეიარაღებულ ჯანყებებს, სისხლისმღვრელ შეტაკებებს ადგილი ჰქონდა არა მარტო ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში, არამედ სოფლებშიც.

ყოველივე ამან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სახალხო განათლების მდგომარეობასა და განვითარებაზე და დიდად განსაზღვრა საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოძრაობის ხასიათი, შინაარსი, მიმართულება. ამიერიდან, საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოძრაობა მტკიცედ დაუკავშირდა რევოლუციას. იგი რევოლუციური მოძრაობის შემადგენელი ნაწილი გახდა.

რსდმ პარტიას რევოლუციის ამოცანები სახალხო განათლების დარგში წინასწარ განსაზღვრული ჰქონდა თავის პროგრამაში, რომელიც პარტიის მეორე ყრილობამ მიიღო 1903 წელს. ამ პროგრამაში ასახვა ჰპოვა სახალხო განათლებისა და სკოლის თითქმის ყველა ძირითადმა პრინციპულმა საკითხმა, რომელთა გადაწყვეტა და ცხოვრებაში გატარება უზრუნველყოფდა დემოკრატიულ, საღ პედაგოგიურ საფუძველზე აგებული სახალხო განათლების სისტემის ჩამოყალიბებას.

საქართველოს სდმპ, მისმა ბოლშევიკურმა ფრთამ დიდი საორგანიზაციო და პროპაგანდისტული მუშაობა გააჩაღა მასებში პარტიის პროგრამულ მოთხოვნათა გარშემო. ამასთანავე, რა თქმა უნდა, სათანადო ყურადღება ექცეოდა პარტიის პროგრამულ მოთხოვნებს სახალხო განათლების დარგში. ამ მიზნით გამოყენებული იყო პარტიული პრესა, პარტიული ლიტერატურა, პროკლამაციები, ფურცლები, ზეპირსიტყვიერი გამოსვლები კრებებსა და მიტინგებზე და სხვა ლეგალური და არალეგალური საშუალებანი.

რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მოთხოვნები, მისი ლოზუნგები გამოხატავდა მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებს, მათ სულისკვეთებასა და მისწრაფებას და ამიტომაც მუშათა კლასის, გლეხობისა და დემოკრატიული ინტელიგენციის საყოველთაო მხარდაჭერით სარგებლობდა. მშრომელი მასები ამ მოთხოვნებსა და ლოზუნგებს სამართლიანად, თავიანთ სისხლხორცეულ საქმედ თვლიდნენ და იბრძოდნენ მათი შესრულებისათვის.

გამომდინარე რსდმპ პროგრამიდან, საქართველოს მშრომელები სახალხო განათლების დარგში აყენებდნენ შემდეგ მოთხოვნებს: 1. საყოველთაო, საეალდებულო უფასო სწავლების შემოღება ორივე სქესის ბავშვებისათვის 16 წლის ასაკამდე; 2. მშობლიურ ენაზე სწავლება; 3. ღარიბ მოსწავლეთა უფასოდ კვება, მათი უზრუნველყოფა სასწავლო ნივთებითა და ტანსაცმლით; 4. სახალხო განათლების მთლიანი სისტემის დაწესება, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა თავისუფალ გადასვლას ერთი საფეხურის სკოლიდან უფრო მაღალი საფეხურის სკოლაში; 5. საჭირო ღონისძიებათა გატარება, რათა საშუალო და უმაღლესი სასწავლებელი მისაწვდომი გახდეს მშრომელი მასებისათვის; 6. სახალხო განათლების დარგში ყოველგვარი ეროვნული, წოდებრივი და რელიგიური შეზღუდვის მოსპობა; 5. სასწავლო პროგრამების გარდაქმნა ისე, რომ სწავლება სკოლაში მოსწავლეებს აიარაღებდეს ცხოვრებაში საჭირო ცოდნითა და მომზადებით; 8. სკოლების ისეთი ფართო ქსელის შექმნა, რომელიც მთლიანად დააკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას და ა. შ.

მშრომელი მასები არ კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ მოთხოვნების წამოყენებით. ისინი იბრძოდნენ ამ მოთხოვნათა შესრულებისათვის. ამ მიზნით ეწყობოდა გაფიცვები და დემონსტრაციები, პოლიტიკური გამოსვლები, კრებები და მიტინგები, შეიარაღებული აჯანყება, ტერორისტული აქტები.

სახალხო განათლების დარგში გამოყენებული იყო ბრძოლის ისეთი ფორმები, როგორიცაა, მაგალითად, სკოლისათვის ბოიკოტის გამოცხადება, სკოლის დახურვა; სასწავლო გადასახადის გადაუხდელობა: ზოგჯერ გლეხები სოფლად აიძულებდნენ მასწავლებელს დაეტოვებინა სკოლა და შეეწყვიტა მეცადინეობა. ამას ემატებოდა თვითონ მასწავლებელთა გაფიცვები, მოსწავლეთა გამოსვლები და სხვ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამწვავდა მდგომარეობა 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში. სკოლებში მეცადინეობა სისტემატურად იშლებოდა. ბევრი სკოლა თვეობით დახურული იყო. მაგალითად, 1905 წლის მარტიდან მაისამდე თბილისის გუბერნიაში დაიკეტა 37 სკოლა.

ყოველივე ამას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თვითმპყრობელობა, მისი ადგილობრივი ორგანოები, სასწავლო ოლქის ადმინისტრაცია იძულებული იყო ზოგიერთი ღონისძიება მაინც გაეტარებინა მშრომელთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად სახალხო განათლების დარგში, შეეტანა ცვლილებები სკოლის შინაგან წყობაში, გაეხსნა ახალი სკოლები.

მასწავლებლობა და რევოლუცია. მასწავლებლობა აქტიურად იყო ჩაბმული მშრომელთა რევოლუციურ მოძრაობაში. იგი მუშებთან და გლეხებთან ერთად, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით გამოდიოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, აწყობდა გაფიცვებს, ატარებდა კრებებსა და მიტინგებს, აყენებდა პოლიტიკური და პედაგოგიური ხასიათის მოთხოვნებს და იბრძოდა მათი შესრულებისათვის. მასწავლებელთა ძირითადი მასა, განსაკუთრებით სახალხო მასწავლებლობა მხარს უჭერდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, იზიარებდა მის ლოზუნგებს და აყენებდა უმთავრესად რსდმპ პროგრამიდან გამომდინარე მოთხოვნებს.

1905 წლის 24 მარტს შედგა ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა ყრილობა, რომელიც მიეძღვნა 9 იანვრის ამბებს. ყრილობა პოლიტიკური ხასიათისა იყო, მიმდინარეობდა ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით. ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „...ახლა მშვიდობიანი კულტურული საქმიანობის დრო არ არის. კმარა ქედის დრეკა, როდესაც მუშებისა და გლეხების ქეთილშობილური მკერდი მეფის ტყვიებით იცხრილება: ჩვენ ვიღებთ გამოწვევას; ჩვენ თავს ვანებებთ მუშაობას, ვწყვეტთ მეცადინეობას. ჩვენ მებრძოლთა რიგებში ვდგებით, ჩვენს ხმას ვუერთებთ მებრძოლი რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ხმას“.

ეს რეზოლუცია დაბეჭდა და გაავრცელა პროკლამაციის სახით რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა.[1]

ამავე წლის 13 აპრილს ჩატარდა თბილისის მასწავლებელთა კრე-

[1] რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903-1905), გვ. 351.

ბა, რომელსაც დაესწრო 300-ზე მეტი კაცი. კრებამ იმსჯელა და წამოაყენა თავისი მოთხოვნები. კრების დადგენილებაში ნათქვამია: — „ძირითადი რეფორმა სასკოლო საქმისა შესაძლებელია მხოლოდ თავისუფალ რუსეთში, რომლის ბედი იქნება რუსეთში მცხოვრებ ყველა ერების მიერ არჩეული წარმომადგენლების ხელში“ [1].

1905 წლის 8 მაისს თბილისის გუბერნიის სოფლის მასწავლებელთა კრებამ მიიღო დადგენილება სკოლებში მეცადინეობის შეწყვეტის შესახებ.

მასწავლებლობა მოითხოვდა საყოველთაო-სავალდებულო პირველადწყებითი სწავლების შემოღებას, ყველა საგნის სწავლებას მშობლიურ ენაზე, სახალხო განათლების მთლიანი სისტემის შექმნას, სპეციალური სკოლების დაარსებას, მასწავლებელთა ხელფასის მომატებას, უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებასა და სხვ.

მასწავლებლობა არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ მოთხოვნების წამოყენებით. რიგ შემთხვევაში, მასწავლებლები თვითონვე ცვლიდნენ პროგრამებსა და სასწავლო გეგმებს და სწავლებას ატარებდნენ მშობლიურ ენაზე.

1905 წლის აგვისტოში ქ. ქუთაისში შედგა სახალხო მასწავლებელთა კრება, რომელმაც მიიღო დადგენილება სექტემბრიდან მეცადინეობა დაეწყოთ სკოლებში ახალი პროგრამით, რომელიც ამავე კრების მიერ გამოყოფილმა კომისიამ შეიმუშავა. ამ პროგრამების მიხედვით სწავლების კურსი სკოლებში საგრძნობლად ფართოვდებოდა.

ოზურგეთის საქალაქო სასწავლებლის პედაგოგიურმა საბჭომ თავისი დადგენილებით სასწავლებლის ხელმძღვანელობა გადასცა ხალხს და შემოიღო ახალი სასწავლო გეგმითა და პროგრამით მუშაობა.

ადმინისტრაცია შეშფოთებული იყო მასწავლებელთა მონაწილეობით მშრომელთა რევოლუციურ მოძრაობაში და ყოველგვარ ზომებს იღებდა მის ჩასახშობად. ამ მიზნით, იგი მიმართავდა დაპატიმრებას, სამსახურიდან მოხსნას, ხელფასის დაკავებას, ბინიდან გასახლებას და სხვა რეპრესიულ ზომებს. ბევრი მასწავლებელი გააძევეს მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან და გადაასახლეს შორეულ მხარეში.

ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა 1906 წლის 4 ივლისს დაარბიეს თბილისის ქართული გიმნაზია და ვერაგულად მოკლეს მისი დირექტორი, გამოჩენილი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე შიო ჩიტაძე.

რეპრესიული ხასიათის ზომებმა მასწავლებლობის წინააღმდეგ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო საერთოდ მთელს რუსეთში, რომ ზოგიერთი ცნობებით, რომელიც 1911 წელს გამოქვეყნდა, რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის პასუხისგებაში იყო მიცემული 43 ათასამდე მასწავლებელი.

[1] გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, № 2798.

მასწავლებელთა მოძრაობის, რევოლუციურ ბრძოლებში მათი მონაწილეობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას შეადგენდა სახალხო განათლების დემოკრატიზაცია, სწავლებისა და აღზრდის სისტემის შეცვლა პროგრესულ პედაგოგიურ საფუძველზე და ამ გზით ახალი სკოლის შექმნა.

მასწავლებელთა მოძრაობა მიმართული იყო ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ, ემსახურებოდა რევოლუციის საქმეს. მისი როლი და მნიშვნელობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სახალხო განათლების განვითარებისა და ქვეყნის კულტურული აღმავლობის საქმეში განუზომლად დიდი იყო.

მოსწავლე ახალგაზრდობის მონაწილეობა მშრომელთა რევოლუციურ მოძრაობასა და ახალი სკოლისათვის ბრძოლაში. მოსწავლეთა რევოლუციური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო. ეს მოძრაობა განსაკუთრებით გაძლიერდა XX საუკუნის დასაწყისიდან. მოსწავლეთა პირველ მასობრივ პოლიტიკურ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა 1904 წ. 3 თებერვალს ქ. ქუთაისში. ამ გამოსვლებში მონაწილეობას იღებდნენ ქუთაისის სასულიერო სემინარიის, კლასიკური გიმნაზიის, რეალური სასწავლებლისა და სხვა სასწავლო დაწესებულებათა მოსწავლეები. ამ გამოსვლებს შედეგად მოჰყვა სასტიკი ზომების მიღება მოსწავლეთა წინააღმდეგ. ქუთაისის სასულიერო სემინარია კი სამუდამოდ დახურეს.

მოსწავლეთა გაფიცვებს, პოლიტიკურ დემონსტრაციებსა და გამოსვლებს მთელი 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში სისტემატური და ფართო ხასიათი ჰქონდა როგორც თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში და სხვა ქალაქებში, ასევე დაბებსა და სოფლებშიც. მოსწავლეთა გამოსვლები არ შეწყვეტილა რეაქციის პერიოდშიც. მოსწავლეებს ჰქონდათ თავიანთი წრეები და ორგანიზაციები, მოქმედებდა მოსწავლეთა კომიტეტები. ისინი უშვებდნენ პროკლამაციებსა და ფურცლებს, ნაბეჭდ გაზეთებს.

მოსწავლეთა მარქსისტული წრეები არსებობდა თბილისისა და ქუთაისის თითქმის ყველა სკოლაში ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში. შემდგომში კი სკოლებში ჩამოყალიბდა სხვადასხვა პარტიულ-პოლიტიკური მიმართულების ორგანიზაციები, რომლებიც დიდ მასობრივ პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდნენ.

ადმინისტრაცია სასტიკ ზომებს იღებდა მოსწავლეთა მოძრაობის წინააღმდეგ. ხურავდა ცალკე კლასებს და სკოლებს, რიცხავდა სკო-

ლიდან აქტივისტ მოსწავლეებს, აპატიმრებდა და ადმინისტრაციული წესით ასახლებდა მათ ქალაქებიდან და სხვ. მიუხედავად ამისა, მოსწავლეთა მოძრაობა არ ცხრებოდა.

1905 წლის ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვებთან დაკავშირებით საქართველოში ადგილი ჰქონდა მოსწავლეთა დიდ გამოსვლებს. ამის საპასუხოდ, საქართველოში მოქმედმა შავრაზმელმა მონარქიულმა ორგანიზაციამ, ჯარის ნაწილებთან ერთად, 1905 წლის 22 ოქტომბერს დაარბია თბილისის ვაჟთა გიმნაზია. მოკლეს 38 და დაჭრეს 66 მოსწავლე და გარეშე პირი. ამ აღმაშფოთებელმა მოვლენამ საპროტესტო გამოსვლები გამოიწვია მთელს საქართველოში. შეწყდა მეცადინეობა სკოლებში, მოეწყო სამგლოვიარო დემონსტრაციები და მიტინგები ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, თელავში, გორში და სხვა ქალაქებსა და დაბებში. ამ გამოსვლებში მოსწავლეებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ მათი მშობლები და გარეშე პირებიც.

1905 წლის დეკემბრის აჯანყების შემდეგ, როდესაც დაიწყო რეაქციის თარეში, მოსწავლეები ისევ აგრძელებდნენ ბრძოლას. ისინი იყენებდნენ ბრძოლის ახალ ფორმებსა და მეთოდებს. აცდენდნენ გაკვეთილებს, არ ასრულებდნენ საშინაო დავალებებს, აწყობდნენ გაკვეთილების ორგანიზებულ ჩაშლას, გარდა ამისა, სკოლებში ადგილი ჰქონდა პეტარდების აფეთქებას, რასაც დეზორგანიზაცია შეჰქონდა მუშაობაში.

1908 წლის 29 მარტს მოსწავლეებმა ყუმბარა ააფეთქეს ბათუმის გიმნაზიის შენობაში. ეს იყო იმ სასტიკი ზომების პასუხი, რომელსაც სკოლის ადმინისტრაცია მიმართავდა მოსწავლეთა წინააღმდეგ. ამას მოჰყვა ბათუმის გიმნაზიის V, VI, VII კლასების დახურვა წლის ბოლომდე, 17 მოსწავლის გარიცხვა გიმნაზიიდან და გასახლება ბათუმის ოლქიდან.

1910 წელს თბილისის პირველი ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლემ შ. თავდგირიძემ მოკლა ამავე გიმნაზიის მასწავლებელი ტროიცკი. 1911 წლის 2 ოქტომბერს მოსწავლეთა ჯგუფი თავს დაესხა ქუთაისის კლასიკური გიმნაზიისა და რეალური სასწავლებლების დირექტორებს მოკვლის მიზნით. 1912 წლის 11 თებერვალს ქუთაისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის მოსწავლეებმა მოაწყვეს დემონსტრაციული გამოსვლა სასწავლებლის უფროსის წინააღმდეგ. ამავე 1912 წელს ბაქოს გიმნაზიის მოსწავლემ მოკლა მასწავლებელი აპრაქსინი. ქუთაისის სკოლების მოსწაელეებმა დადგენილებაც კი გამოიტანეს ქუთაისის გუბერნატორის მოკვლის შესახებ.

მთელს კავკასიაში, კერძოდ საქართველოში კი მოსწავლეთა მოძრაობას იმდენად მწვავე, ფართო და სისტემატური ხასიათი მიეცა, რომ

ეს საკითხი 1908 წელს სახელმწიფო სათათბიროს სპეციალური განხილვის საგანი გახდა. სახელმწიფო სათათბიროს მემარჯვენე დეპუტატები, რომლებიც გამოხატავდნენ ულტრამონარქისტებისა და შავრაზმელების სულისკვეთებას, სტოლიპინისაგან მოითხოვდნენ გადამჭრელი და სასტიკი ზომების მიღებას კავკასიის სკოლების მოსწავლეთა და მასწავლებელთა წინააღმდეგ.

მოსწავლეთა მოძრაობას საქართველოში აშკარა პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა. იგი მიმართული იყო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ამასთან ერთად მოსწავლეთა მოძრაობაში დიდი ადგილი ეჭირა აკადემიურ საკითხებს. მოსწავლეები იბრძოდნენ დამკვიდრებული რეჟიმისა და უვარგისი სწავლა-აღზრდის სისტემის წინააღმდეგ. ისინი მოითხოვდნენ:

1. საყოველთაო, უფასო, სავალდებულო განათლების შემოღებას ორივე სქესის ბავშვებისათვის, განურჩეველად ეროვნებისა და სოციალური წარმოშობისა;

2. ღარიბ მოსწავლეთა მომარაგებას საჭმლით, ტანსაცმლითა და სასწავლო ნივთებით სახელმწიფოს ხარჯზე;

3. სკოლის ეკლესიისაგან გამოყოფას, საღვთო სჯულის ამოღებას სწავლების კურსიდან, სავალდებულო რელიგიურ წეს-ჩვეულებათა შესრულების გაუქმებას;

4. მოსწავლეთა სრულ თანასწორუფლებიანობას განურჩევლად სქესისა, რელიგიისა და ნაციონალობისა;

5. ყველა საგნის სწავლებას მშობლიურ ენაზე;

6. გადასაყვანი გამოცდების გაუქმებას;

7. სკოლებთან სამეურნეო და სახელოსნო განყოფილებათა გახსნას;

8. ამხანაგური ორგანიზაციების ჩამოყალიბების თავისუფლებას;

9. მოსწავლეთა ამხანაგური სასამართლოების ჩამოყალიბებას;

10. მოსწავლეთა პატივისცემას და მათდამი თავაზიან დამოკიდებულებას მასწავლებლების მხრივ;

11. თეატრების სპექტაკლებსა და საჯარო კრებებზე თავისუფლად დასწრების უფლებას;

12. მოსწავლეებზე მეთვალყურეობის სისტემის გაუქმებას;

13. ფიზიკური დასჯის აკრძალვას;

14. პროგრამების გადასინჯვასა და სწავლების კურსის შეცვლას;

15. სასწავლო გადასახადის გაუქმებას და მრავალი სხვ.

საერთოდ, მოსწავლეთა მოძრაობის მიზანს აკადემიურ დარგში შეადგენდა ახალი სკოლის შექმნა სწავლა-აღზრდის ახალი სისტემით.

მოსწავლეთა რევოლუციური მოძრაობა და მათი მონაწილეობა ახა-

ლი სკოლისათვის ბრძოლაში დიდმნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. იგი ყოველმხრივ გამართლებასა და მაღალ შეფასებას იმსახურებს.

სკოლა 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში

რევოლუციით დამფრთხალი რუსეთის თვითმპყრობელური მთავრობა იძულებული გახდა ნაწილობრივ მაინც გადაესინჯა საგანმანათლებლო პოლიტიკა და დაეკმაყოფილებინა ფართო მასების ზოგიერთი მოთხოვნა სახალხო განათლების დარგში. ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა, პირველ ყოვლისა, იმაში, რომ სახელმწიფო სათათბიროში შეტანილ იქნა კანონპროექტი საყოველთაო პირველდაწყებითი განათლების შესახებ. ეს საკითხი გადაუჭრელი დარჩა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დაწყებითი განათლების განვითარების მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯები მაინც გადაიდგა.

საქართველოში სახალხო განათლების ერთ-ერთი მწვავე საკითხი იყო მშობლიურ ენაზე სწავლება. კავკასიის სასწავლო ადმინისტრაცია იძულებული გახდა ამ საკითხში ერთგვარ დათმობაზე წასულიყო. მან აღადგინა 1881 წლის სასწავლო გეგმა და არასავალდებულოდ გამოაცხადა მუნჯური მეთოდის გამოყენება სწავლების პროცესში. კავკასიის სასწავლო ადმინისტრაციამ შექმნა კომისია ცნობილი ქართველი პედაგოგის ა. ჭიჭინაძის ხელმძღვანელობით. კომისიას დაევალა არარუსული დაწყებითი სკოლის რეფორმის პროექტის შემუშავება. სანამდვილეში, რასაკვირველია, დაწყებითი სკოლის არავითარი რეფორმა არ გატარებულა. კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი განუხორციელებელი დარჩა.

მოხდა ცვლილებები საეკლესიო-სამრევლო სკოლების ცხოვრებაშიც. ამ სკოლებმა 1905 წლის შემოდგომიდან დაიწყეს მუშაობა ახალი სასწავლო გეგმით, რომელიც ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის თ. ჟორდანიას ხელმძღვანელობით იყო შემუშავებული. ამ გეგმის მიხედვით მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა მშობლიურ ენას.

საშუალო სკოლების ხაზით გატარდა შემდეგი ღონისძიებანი: ძველი სლავური ენა ამოღებულ იქნა სწავლების კურსიდან, როგორც ცალკე საგანი; VII-VIII კლასებში შემოღებულ იქნა ფილოსოფიის პროპედევტიკული კურსისა და კანონთმცოდნეობის სწავლება; რეალური სასწავლებლებისა და ზოგიერთი სხვა საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთ უნივერსიტეტებში შესვლის უფლება მიენიჭათ, განსხვავებული საგნების ჩაბარებით.

კავკასიის სასწავლო ადმინისტრაციამ თავის მხრივ გადასინჯა და

რამდენადმე შეარბილა სკოლისგარეშე მეთვალყურეობის და დასჯის სისტემა. დაისახა ღონისძიებანი მოსწავლეთა ცოდნისა და ყოფაქცევის შეფასების მოსაწესრიგებლად.

რა თქმა უნდა, ამ ღონისძიებათა პრაქტიკაში გატარებას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ სრულებით ვერ ცვლიდა დაწყებით და საშუალო სკოლებში სწავლა-აღზრდის მახინჯ სისტემას.

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში რადიკალურად დაისვა საკითხი თბილისისა და ქუთაისის ქართული გიმნაზიის რეორგანიზაციის შესახებ. ამ მიზნით შ. ჩიტაძის ხელმძღვანელობით შემუშავებულ იქნა საკმაოდ ვრცელი და მეტად საინტერესო პროექტი. ეს პროექტი გახდა ფართო განხილვისა და მწვავე ბრძოლის საგანი. ამ ბრძოლაში ერთ მხარეზე იყო გიმნაზიების პედაგოგიური კორპორაცია და მათი მომხრე პროგრესული ძალები. საწინააღმდეგო ხაზს იცავდა ჭარბთველი თავადაზნაურობა, რომელსაც არ მიაჩნდა მიზანშეწონილად მნიშვნელოვან ცვლილებათა შეტანა გიმნაზიების შინაგან წყობაში.

პრაქტიკულად ქართული გიმნაზიების რეორგანიზაცია ვერ მოხერხდა. გატარდა მხოლოდ ზოგიერთი ღონისძიება, რომელიც რაიმე არსებით ცვლილებას არ ითვალისწინებდა. ქართული გიმნაზიების რეორგანიზაციის საკითხი არაერთხელ დაისვა შემდეგ წლებშიც, მაგრამ არც ამას მოჰყოლია სათანადო შედეგი.

1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში რამდენადმე შეიცვალა სკოლების ქსელი. გაიხსნა ორი ვაჟთა გიმნაზია, ერთი რეალური სასწავლებელი, სამი ვაჟთა პროგიმნაზია; ორი ქალთა პროგიმნაზია, გადაკეთდა ქალთა გიმნაზიად. განათლების სამინისტროს სისტემის დაწყებითი სკოლების რიცხვი შემცირდა 542-დან 513-მდე; შემცირდა აგრეთვე მოსწავლეთა რიცხვი.

სახალხო განათლება რეაქციის, რევოლუციის ახალი აღმავლობისა და პირველი მსოფლიო ომის პერიოდში. 1905-1917 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ დაიწყო სტოლიპინის სისხლიანი რეაქციის თარეში, ამას მოჰყვა რეაქციის ახალი შემოტევა სახალხო განათლების დარგში. კავკასიაში ამ შავბნელი საქმის მეთაური და ორგანიზატორი იყო სასწავლო ოლქის ახალი მზრუნველი ნ. თ. რუდოლფი. მან თავის პირველ ამოცანად დაისახა რევოლუციის ყველა მონაპოვრის ლიკვიდაცია და ისევ ძველი მდგომარეობის აღდგენა სკოლებში. ამ მიზნით გაილაშქრა პირველ ყოვლისა, პროგრესულად განწყობილ მასწავლებელთა წინააღმდეგ. ბევრი მათგანი მოიხსნა სამსახურიდან. მასწავლებელთა დიდი ნაწილი, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა რევოლუციაში, დააპატიმრეს და გადაასახლეს შორეულ მხარეებში.

სასტიკი ზომები იყო მიღებული აგრეთვე მოსწავლეთა მიმართ. ყოველი მცირე მიზეზის გამო და ზოგჯერ უმიზეზოდაც, მოსწავლეებს სასტიკად სჯიდნენ. მოსწავლეებზე სკოლის გარეშე მეთვალყურეობია ძველი სისტემა აღდგენილ იქნა. გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდები მოსწავლეებთან ანგარიშსწორების საშუალებად გადაიქცა. ისევ დაიწყო რუსიფიკატორული პოლიტიკის მთელი სისასტიკით გატარება. სკოლებში იმდენად მძიმე და აუტანელი მდგომარეობა შეიქმნა, რომ კავკასიის მეფის ნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი იძულებული გახდა მიეთითებინა ამის შესახებ რუდოლფისათვის.[1]

ცხადია, რეაქციის ახალ შემოტევას სახალხო განათლების დარგში სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა მასწავლებლობა, მოსწავლე ახალგაზრდობა, ფართო საზოგადოებრიობა, პროგრესული ინტელიგენცია. ეს წინააღმდეგობა განსაკუთრებით გაძლიერდა რევოლუციის ახალი აღმავლობისა და პირველი მსოფლიო ომის პერიოდში.

ძველი მდგომარეობის მთლიანად აღდგენა სახალხო განათლების დარგში შეუძლებელი შეიქნა. თვითმპყრობელობა იძულებული იყო წასულიყო დათმობაზე და გაეტარებინა ზოგიერთი პროგრესული მნიშვნელობის ღონისძიება სახალხო განათლების დარგში. მაგალითად, 1914 წლის 14 ივლისს გამოიცა კანონი კერძო სასწავლო დაწესებულებათა შესახებ. ეს კანონი უფლებას ანიჭებდა კერძო პირებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შემოეღოთ მშობლიურ ენაზე სწავლება თავიანთ სკოლებში. რიგი ცვლილებები შეიტანეს საშუალო სკოლების სწავლების შინაარსსა და მუშაობის სისტემაში, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებდა მდგომარეობას. მეტი ყურადღება მიექცა სკოლების ქსელის ზრდასა და მატერიალური ბაზის განმტკიცებას.

დაწყებითი განათლება. 1915 წლისათვის დაწყებით სასწავლებელთა რიცხვი საქართველოში 1648-მდე გაიზარდა, ხოლო მოსწავლეთა რაოდენობამ მათში 124721-ს მიაღწია. 1901 წლიდან 1915 წლამდე საქართველოში გაიხსნა 629 ახალი დაწყებითი სასწავლებელი. ამავე პერიოდში მოსწავლეთა რაოდენობა გაიზარდა 62592-ით.

როგორც ვხედავთ, დაწყებით სასწავლებელთა ქსელისა და მოსწავლეთა კონტინგენტის ზრდა მცირე არ არის. მიუხედავად ამისა, სკოლების ეს ქსელი სრულებითაც ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას. 8-11 წლის ასაკის ბავშვთა 50% და კიდევ უფრო მეტი, სკოლის გარეთ იყო დარჩენილი და არსად არ სწავლობდა.

დაწყებითი სკოლების სასწავლო მატერიალური ბაზა მეტწილად ელემენტარულ მოთხოვნებსაც კი ვერ აკმაყოფილებდა. ბევრ დაწყებით სკოლას საკუთარი შენობა არ ჰქონდა და დაქირავებულ ქოხში იყო მოთავსებული.

[1] ჟურ. „განათლება", 1913, გვ. 161.

სახალხო სკოლების შესანახი ხარჯების დიდი ნაწილი ისევ მოსახლეობას აწვა მძიმე ტვირთად. 1914 წელს ხაზინამ გაიღო დაწყებითი სკოლების შესანახი ხარჯების 46%, დანარჩენი 54% კი მოსახლეობის მიერ იფარებოდა.

1914 წელს საქართველოში განათლების სამინისტროს სისტემის სკოლებში 2679 მასწავლებელი მუშაობდა. მათ შორის, უმაღლესი განათლება ჰქონდა მხოლოდ — 2-ს; სპეციალური პედაგოგიური მომზადება — 768-ს, ზოგადი საშუალო და დაწყებითი განათლება — 1167-ს. სახალხო მასწავლებელთა დიდ უმრავლესობას სათანადო ზოგადი და პედაგოგიური მომზადება არ ჰქონდა. ბევრი მათგანი სრულიად შემთხვევითი პირი იყო სკოლისათვის.

სახალხო განათლების მასწავლებელთა უფლებრივ-მატერიალური მდგომარეობა პირდაპირ აუტანელი იყო. ოფიციალური ცნობების მიხედვით, 1914 წელს საქართველოს სახალხო სკოლებში უფასოდ 10 მასწავლებელი მუშაობდა. წელიწადში 50 მანეთზე ნაკლებ ხელფასს იღებდა 106; 50-100 მანეთს — 442; 100-150 მანეთს — 120; 150-200 მანეთს — 69; 200 მანეთზე მეტს — 52.[1]

სახალხო მასწავლებელთა უფლებრივ მდგომარეობას ჟურნალი „განათლება" შემდეგნაირად ახასიათებდა: „მასწავლებელი დაბალ ღობეთაა ცნობილი. მისი ჩაწიხლვა ყველას დაუსჯელად ჩაუვლის. ამისათვის შეიძლება მადლობაც კი მიიღოს, ვისგანაც ჯერ არს"[2].

რევოლუციამდელ საქართველოში ყველაზე გავრცელებული ტიპის სახალხო სკოლას ერთკლასიანი სასწავლებელი წარმოადგენდა. მათი რაოდენობა 1915 წელს 1271-ს შეადგენდა. მათ შორის სახალხო განათლების სამინისტროს სისტემაში შედიოდა — 573; სასულიერო უწყების სისტემაში — 598. უფრო მაღალი ტიპის სახალხო სკოლა იყო ორკლასიანი სასწავლებელი. მათი რიცხვი 1915 წელს 298 შეადგენდა. აქედან 204 განათლების სამინისტროს, ხოლო 94 სასულიერო უწყების სისტემისა იყო.

ერთკლასიან სასწავლებელს სამი განყოფილება ჰქონდა სწავლების სამწლიანი კურსით. სამივე განყოფილებას ერთდროულად ერთი მასწავლებელი ასწავლიდა. ბოლო დროს დაიწყო ერთკლასიან სასწავლებლებში მეოთხე განყოფილების ჩამოყალიბება, მაგრამ ამ ღონისძიების ცხოვრებაში გატარება უსახსრობისა და სხვა მიზეზების გამო ძალიან გაძნელდა.

[1] Отчёт КУО. 1914 г. от. 671.

[2] ჟურნ. „განათლება", 1911, № 6, გვ. 374.

ერთკლასიანი სასწავლებლის სამ განყოფილებაში კვირეული საათების რაოდენობა შეადგენდა 74-ს; აქედან საღვთო სჯულს ეთმობოდა 16 საათი; რუსულ ენას სუფთა წერით — 30; მშობლიურ ენას 9; არითმეტიკას — 16; ხაზვას — 3 საათი.

ორკლასიან სასწავლებელში პირველი კლასის სასწავლო გეგმა და პროგრამა ისეთივე იყო, როგორც ერთკლასიანი სასწავლებლისა. მეორე კლასში ისწავლებოდა იგივე საგნები და გარდა ამისა, რუსეთის ისტორია, ბუნებისმეტყველება, გეოგრაფია, გეომეტრიული ცნობები.

დაწყებითი სასწავლებლის სწავლების კურსი მოწყვეტილი იყო მშობლიურ ნიადაგს. სასწავლო გეგმა და პროგრამა არ ითვალისწინებდა საქართველოს ბუნების, გეოგრაფიის და ისტორიის შესწავლას თვით ელემენტარული კურსის ფარგლებშიც კი.

მოსწავლეთა დიდი ნაწილი სკოლას თავს ანებებდა კურსის დამთავრებამდე. იმ მოსწავლეთა მოშზადების დონე, რომლებიც ამთავრებდნენ სახალხო სკოლას იმდენად დაბალი იყო, რომ ბევრი მათგანი რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ უწიგნური ხდებოდა. ამან წარმოშვა კურსდამთავრებულთა უწიგნურობის პრობლემა, რომელმაც საკმაოდ მწვავე ხასიათი მიიღო. ყველა, მათ შორის მთავრობის ორგანოებიც, აღიარებდნენ სახალხო სკოლის უნაყოფობას. ეს იყო სწავლა-აღზრდის იმ მანკიერი სისტემის შედეგი, რომელიც სახალხო სკოლებში დამკვიდრდა.

გარდა ერთკლასიანი და ორკლასიანი სახალხო სკოლებისა, არსებობდა აგრეთვე მაღალი ტიპის დაწყებითი სასწავლებლები. მათი რიცხვი 1915 წელს 41-ს შეადგენდა. მათ შორის: საქალაქო სასწავლებელი — 2; უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი — 29; მარინეს ქალთა სასწავლებელი — 3; მთიელთა სკოლა — 1; სასულიერო უწყების ორკლასიანი სასწავლებელი — 6. ყველა ამ სასწავლებელში სწავლობდა სულ 6528 მოსწავლე.

მაღალი ტიპის დაწყებითი სასწავლებლები შედარებით უფრო კარგად იყო მოწყობილი და, იმ დროის კვალობაზე, საკმაოდ ვრცელი სასწავლო გეგმითა და პროგრამით მუშაობდა.

საშუალო განათლება. 1916 წლის 1 იანვრისათვის საქართველოში 45 საშუალო ტიპის სასწავლებელი და 6 პროგიმნაზია არსებობდა. მათ შორის: ვაჟთა გიმნაზია — 12; ქალთა გიმნაზია — 11; რეალური სასწავლებელი — 3; წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი — 3; სასულიერო სემინარია — 1; ეპარქიალური სასწავლებელი — 2; კადეტთა კორპუსი — 1; კომერციული სასწავლებელი — 4; ქალთა ინსტიტუტი — 1; ქართული კერძო გიმნაზია — 2; კერძო ქალთა გიმნაზია — 2; კერძო ქალ-ვაჟთა გიმნაზია — 2; საზ-ბა „სინათლის" ქალთა საშუალო სკოლა — 1. ყველა საშუალო ტიპის სკოლებსა და პროგიმნაზიებში სწავლობდა 22000-მდე მოსწავლე.

საშუალო სკოლების ეს ქსელი სრულებითაც ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას. მიუხედავად ამისა, კავკასიის სასწავლო ადმინისტრაცია არ გეგმავდა მომდევნო წლებში საშუალო სკოლების ქსელის მნიშვნელოვან გაფართოებას. ი. ფ. რუდოლფს გათვალისწინებული ჰქონდა 1916 წლიდან 1924 წლამდე მხოლოდ 7 ახალი საშუალო სკოლის გახსნა საქართველოში.

საშუალო სკოლების მოსწავლეთა წოდებრივ და ნაციონალურ შემადგენლობაში მნიშვნელოვან ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია. საშუალო სკოლა მოსწავლეთა შემადგენლობის მხრივ იყო და დარჩა წოდებრივ-კლასობრივ სკოლად. იგი მისაწვდომი იყო და ემსახურებოდა თავადაზნაურობას, მემამულეებსა და კაპიტალისტებს, მსხვილ მოხელეებს და საზოგადოების სხვა შეძლებულ ფენებს.

საშუალო სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა უკეთესი იყო, ვიდრე სახალხო სკოლებისა, მიუხედავად ამისა, ამ მხრივ დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა მიღწეული არ ყოფილა. განათლების სამინისტროს სისტემის 29 საშუალო სკოლიდან 15-ს არ ჰქონდა საკუთარი შენობა. საშუალო სკოლების საერთო ბიუჯეტში სახაზინო ასიგნობანი შეადგენდა 50-60%, დანარჩენი ხარჯები სასწავლო გადასახადით, საზოგადოებრივი სახსრებითა და სხვა წყაროებით იფარებოდა.

სწავლების შინაარსის მხრივ საქართველოს საშუალო სკოლები არაფრით განსხვავდებოდა რუსეთის სხვა გუბერნიების საშუალო სკოლებისაგან. ადგილობრივი ენების სწავლება დაშვებული იყო მხოლოდ მსურველთათვის. ეს საგანი სასწავლო გეგმაში არ შედიოდა. ადგილობრივი ენის მასწავლებელი გიმნაზიის შტატში არ ირიცხებოდა.

თბილისისა და ქუთაისის ქართულ გიმნაზიებს ჰქონდათ თავიანთი სასწავლო გეგმები, რომელიც ითვალისწინებდა ქართული ენისა და ლიტერატურის და საქართველოს ისტორიის სწავლებას სხვა სასწავლო დისციპლინების თანაბრად. სხვა მხრივ ქართული გიმნაზიების სასწავლო გეგმა და პროგრამები ისეთივე იყო, როგორც სახაზინო გიმნაზიებისა. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართული გიმნაზიების კურსდამთავრებულთ უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლება არ ექნებოდათ.

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა ქართულ გიმნაზიებში კარგად იყო დაყენებული. ეს გიმნაზიები წარმოადგენდა ქართული კულტურის კერას. ქართული ინტელიგენციის დიდი ნაწილი სწორედ აქ იღებდა საშუალო განათლებას. სასწავლო ადმინისტრაცია უნდობლობით ეკიდებოდა ქართულ გიმნაზიებს და ყოველნაირად ავიწროებდა მათ. ქართული გიმნაზიების ბევრი მასწავლებელი არაკეთილსაიმედო

პირად ითვლებოდა და პოლიციის ფარული ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. სახელმწიფო არავითარ მატერიალურ დახმარებას არ უწევდა ქართულ გიმნაზიებს. მათი შესანახი ხარჯები მთლიანად სასწავლო გადასახადებით, კერძო პირთა შემოწირულებითა და საზოგადოებრივი სახსრებით იფარებოდა.

მიუხედავად ასეთი მძიმე პირობებისა, თბილისისა და ქუთაისის ქართული გიმნაზიები დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ. მათი როლი ქართული კულტურის განვითარების საქმეში განუზომლად დიდია.

მშრომელთა რევოლუციური მოძრაობის გავლენით და დიდი საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოძრაობის შედეგად, რომელიც ფართოდ იყო გაშლილი მთელ რუსეთში, რევოლუციამდელმა საშუალო სკოლამ თავისი არსებობის უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა.

საშუალო სკოლების სასწავლო გეგმები და პროგრამები გაუმჯობესდა; სწავლების კურსში მეტი ადგილი დაეთმო მეცნიერულ ცოდნას; შესუსტდა კლასიციზმის ელემენტები კლასიკურ გიმნაზიებში. გარკვეული ცვლილებები შეიტანეს სასწავლო მუშაობის ფორმებსა და მეთოდებში. შემოიღეს პრაქტიკული მეცადინეობა და ლაბორატორიული მუშაობა, რეფერატების დამუშავება და განხილვა, ეწყობოდა ექსკურსიები, ტარდებოდა მხატვრული დილა-საღამოები. შეიცვალა გამოცდების ჩატარების სისტემა. შესუსტდა კლასგარეშე ზედამხედველობა მოსწავლეებზე.

პროფესიული განათლება. კაპიტალიზმის განვითარების პირობებში მოთხოვნილება პროფესიულ მომზადებაზე დიდად გაიზარდა. მრეწველობას, სოფლის მეურნეობას, ტრანსპორტს, ვაჭრობას სჭირდებოდა საშუალო და დაბალი კვალიფიკაციის მქონე კადრები დიდი რაოდენობით. ეს მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელი რჩებოდა. პროფესიული განათლება რევოლუციამდელ საქართველოში უკიდურესად ჩამორჩენილი იყო.

1916 წლის 1 იანვრისათვის საქართველოში არსებობდა სულ 24 პროფესიული სასწავლებელი. მათ შორის, ამზადებდნენ კადრებს: მრეწველობისათვის — 6; სოფლის მეურნეობისათვის — 6; სავაჭრო დაწესებულებებისათვის — 9; სამედიცინო სამსახურისათვის — 3; ყველა ამ სასწავლებელში სწავლობდა 2080 მოსწავლე. გარდა ამისა არსებობდა აგრეთვე 4 კომერციული სასწავლებელი.

პროფესიული სასწავლებლები ვერ აძლევდა მოსწავლეებს საფუძვლიან თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას. ამ სასწავლებელთა სასწავლო გეგმები და პროგრამები ვერ უპასუხებდნენ მეცნიერებისა და

ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონეს. პროფესიულ-ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები მოსწავლეებს აძლევდნენ უმთავრესად პრაქტიკულ მომზადებას მაშინ, როდესაც ტექნიკის განვითარება მოითხოვდა ზოგადი განათლებისა და თეორიული მომზადების მქონე მაღალკვალიფიციურ კადრებს.

ამას ემატებოდა ის, რომ პროფესიული სასწავლებლები არ იყო უზრუნველყოფილი სათანადო სასწავლო პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით. პროფესიის დაუფლების სისტემის საკითხებიც არ იყო სათანადოდ მოწესრიგებული.

პროფტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელების მიზნით, სასწავლო ადმინისტრაცია ხსნიდა ზოგიერთ ორკლასიან და უმაღლეს-დაწყებით სასწავლებელთან პროფესიულ კლასებსა და განყოფილებებს, მაგრამ ეს ღონისძიება საქმეს ვერ შველოდა.

საქართველოში არსებული პროფესიული სასწავლებლებიდან შედარებით უკეთ იყო დაყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა რკინიგზის ტექნიკურ სასწავლებელში, თბილისისა და ბათუმის სახელოსნო სასწავლებლებში, თბილისის სამინწათმზომლო სასწავლებელში. თავისი დროის კვალობაზე მუშაობის საუკეთესო პირობები ჰქონდათ შექმნილი და კარგადაც მუშაობდნენ კომერციული სასწავლებლები.

სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი.

პედაგოგიური განათლება. პირველი პედაგოგიური სასწავლებელი საქართველოში 1866 წელს გაიხსნა. ეს იყო თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო სკოლა, რომელიც 1872 წლიდან სამასწავლებლო ინსტიტუტად გადაკეთდა. იგი ამზადებდა მასწავლებლებს ამიერკავკასიის საქალაქო, შემდეგში უმაღლეს დაწყებით სასწავლებლებისათვის.

ინსტიტუტში იღებდნენ კონკურსის წესით საქალაქო და უმაღლეს დაწყებით სასწავლებელდამთავრებულთ. სწავლების კურსი ოთხწლიანი იყო, ინსტიტუტთან არსებობდა პანსიონი სახელმწიფოს ხარჯზე. პანსიონერთა რიცხვი 60-ს აღწევდა. აქ მოსწავლეები გადიოდნენ თეორიულ და პრაქტიკულ პედაგოგიურ მომზადებას. პედაგოგიური პრაქტიკა ტარდებოდა ინსტიტუტთან არსებულ საქალაქო სასწავლებელში.

ინსტიტუტში ისწავლებოდა ყველა ის საგანი, რომელიც საქალაქო და უმაღლეს დაწყებით სასწავლებლების სწავლების კურსში შედიოდა. გარდა ამისა, ისწავლებოდა პედაგოგიკა, როგორც ცალკე სასწავლო დისციპლინა. სასწავლო დისციპლინათა მეთოდიკის სწავლება დაკავშირებული იყო პედაგოგიურ პრაქტიკასთან.

ინსტიტუტი ფართო პროფილით ამზადებდა მასწავლებლებს, რომლებსაც უნდა ესწავლებინათ საქალაქო და უმაღლეს დაწყებით სასწავლებლებში ყველა დისციპლინა. ცხადია, მასწავლებელთა საფუძვლიანი მომზადება ასეთი ფართო პროფილით შეუძლებელი იყო და ამიტომაც მწვავედ იდგა დღის წესრიგში საკითხი ინსტიტუტში განყოფილებათა ან ფაკულტეტების ჩამოყალიბების შესახებ. თვითმპყრობელობის არსებობის პირობებში ამ საკითხის გადაჭრა შეუძლებელი იყო.

თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში 1901 წელს ირიცხებოდა 84 მოსწავლე; 1915 წელს — 128. ინსტიტუტი საშუალოდ 14-15 მასწავლებელს უშვებდა ყოველწლიურად, რაც, რა თქმა უნდა, სრულებით ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას.

დაწყებითი სასწავლებლებისათვის მასწავლებელთა კადრებს ამზადებდნენ გორისა და ხონის სამასწავლებლო სემინარიები. გორის სემინარია გაიხსნა 1876 წელს; ხონის — 1881 წელს. გორის სემინარია მასწავლებელთა კადრებს ამზადებდა ქართული, რუსული და აზერბაიჯანული სკოლებისათვის, ხონის სემინარია — ქართული სკოლებისათვის.

მესამე სემინარია გაიხსნა ქ. სოხუმში 1915 წელს. სემინარიებში მოსწავლეებს იღებდნენ კონკურსის წესით, რომელთაც დამთავრებული ჰქონდათ ორკლასიანი დაწყებითი სასწავლებელი. სწავლების ხანგრძლივობა სემინარიაში, მოსამზადებელი განყოფილების ჩათვლით, იყო ოთხი წელი.

სწავლების კურსი საქართველოს სამასწავლებლო სემინარიაში ისეთივე იყო, როგორც რუსეთის სხვა გუბერნიებში არსებულ სემინარიებში. განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ საქართველოს სამასწავლებლო სემინარიებში დამატებით ისწავლებოდა ადგილობრივი ენები (ქართული, აზერბაიჯანული) და ტარდებოდა პედაგოგიური პრაქტიკა ამ საგნებში.

სამასწავლებლო სემინარია ვერ აძლევდა მოსწავლეებს საფუძლიან ზოგად და თეორიულ-პედაგოგიურ მომზადებას. სამაგიეროდ სამასწავლებლო სემინარიის კურსდამთავრებული მოსწავლეები პრაქტიკულად საკმაოდ გაწაფულნი იყვნენ გაკვეთილების ჩატარებაში და სწავლების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებაში.

სამასწავლებლო სემინარიებს შექმნილი ჰქონდათ საკმაოდ კარგი სასწავლო-მატერიალური ბაზა. სემინარიებთან არსებობდა პანსიონი სახელმწიფო ხარჯზე.

გორისა და ხონის სამასწავლებლო სემინარიებში 1901 წელს ირიც-

ხებოდა 154 მოსწავლე; 1915 წელს — 222. მოსწავლეთა შორის უმრავლესობას გლეხის შვილები შეადგენდნენ.

სახალხო სკოლებისათვის პედაგოგთა კადრებს ამზადებდა აგრეთვე პედაგოგიური კლასები, რომელიც ქალთა გიმნაზიებთან, წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელთან და ზოგიერთ საქალაქო და უმაღლეს დაწყებით სასწავლებლებთან არსებობდა. გარდა ამისა, საეკლესიო-სამრევლო სკოლებისათვის პედაგოგთა კადრებს ამზადებდა სასულიერო სემინარია, ეპარქიალური სასწავლებლები და ზოგიერთი ე. წ. ორკლასიანი სასწავლებლები.

საერთოდ, პედაგოგიური კადრების მომზადების საქმე რევოლუციამდელ საქართველოში მოუწესრიგებელი იყო. პედაგოგიურ სასწავლებელთა ქსელი მცირე იყო და მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა. პედაგოგთა კადრების მომზადების სისტემა ვერ უპასუხებდა ცხოვრების მოთხოვნებს და დიდად ჩამორჩებოდა მეცნიერების განვითარების დონეს. საჭირო და აუცილებელი იყო პედაგოგთა კადრების მომზადების სისტემის საფუძვლიანი შეცვლა და ამ მიზნით სათანადო რეფორმების ჩატარება, მაგრამ რუსეთის თვითმპყრობელური მთავრობა ამას ანგარიშს არ უწევდა.

უმაღლესი განათლება. რევოლუციამდელ საქართველოში მხოლოდ ერთი უმაღლესი სასწავლებელი არსებობდა. ეს იყო თბილისის ქალთა უმაღლესი კურსები, რომელიც 1909 წელს გაიხსნა ქალთა ერთი ჯგუფის კერძო ინიციატივით. კურსებს თავიდან ჰქონდა ორი განყოფილება — ისტორია-ფილოლოგიური და საბუნებისმეტყველო. სწავლების ხანგრძლივობა იყო სამი წელი. 1912 წელს ჩატარდა კურსების რეორგანიზაცია, განყოფილებები ფაკულტეტებად გარდაიქმნა. სწავლების ხანგრძლივობა ერთი წლით გადიდდა.

კურსების ხარჯები იფარებოდა სასწავლო გადასახადითა და შემოწირული თანხებით. სახელმწიფო არავითარ სუბსიდიას არ აძლევდა. კურსების ფინანსური მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ ადმინისტრაციული პერსონალი მეტწილად ხელფასს არ იღებდა. პროფესორ-მასწავლებლებს რიგ შემთხვევაში ხელფასი შემცირებული სახით ეძლეოდა.

1915-1916 წელს ქალთა უმაღლეს კურსებზე ირიცხებოდა 316 მსმენელი. მათ შორის ისტორიისა და სიტყვიერების ფაკულტეტზე — 173; საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე — 143. 1916 წელს კურსებთან ჩამოყალიბდა სამედიცინო ფაკულტეტი.

ქალთა უმაღლესი კურსები სწავლების შინაარსით სავსებით მოწყვეტილი იყო ამიერკავკასიის საზოგადოებრივ ცხოვრებას. კურსებზე ისწავლებოდა 10 ენა. მათ შორის არ იყო არც ქართული, არც სომხუ-

რი და არც აზერბაიჯანული ენა. ძველი ქართული ლიტერატურა და საქართველოს ისტორია კურსებზე ისწავლებოდა როგორც ფაკულტეტური საგანი.

თბილისის ქალთა უმაღლესი კურსები მთელი მისი არსებობის განმავლობაში, 1917 წლამდე, დაამთავრა სულ 35-მა ქალმა. მათ შორის, სახელმწიფო გამოცდები უნივერსიტეტის კურსის ფარგლებში ჩააბარა მხოლოდ ორმა.

კურსებზე ყოველწლიურად 100-მდე მსმენელს იღებდნენ. სწავლის კურსს ამთავრებდა მხოლოდ 10-15. მსმენელთა ასეთი დაბალი აკადემიური წარმატების მიზეზი იყო სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის და მსმენელთა საყოფაცხოვრებო პირობების მოუწესრიგებლობა.

საქართველოში სულ მცირე 60-70 წლის განმავლობაში გრძელდებოდა ბრძოლა სახელმწიფო სისტემის უმაღლესი სკოლის გახსნისათვის, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყვა. რუსეთის თვითმპყრობელური მთავრობა არ ხსნიდა უმაღლეს სკოლას კავკასიაში.

თბილისში არსებული ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელი — ქალთა უმაღლესი კურსები — კერძო პირებს ეკუთვნოდა და უბადრუკ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

თავი მეთორმეტე

ლ. გ. ბოცვაძის პედაგოგიკური შეხედულებანი

ლუარსაბ გერასიმეს ძე ბოცვაძე დაიბადა 1865 წელს სამტრედიის რაიონის სოფ. ნოღაში, დიაკვნის ოჯახში. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ლუარსაბი გადაიყვანეს ხონის საოსტატო სემინარიაში, სადაც ნიჭიერი ყმაწვილი, გარდა საპროგრამო წიგნებისა, აკრძალულ ლიტერატურასაც კითხულობდა. ხონის საოსტატო სემინარიის კურსი მან 1888 წელს წარმატებით დაასრულა. რის შემდეგ მასწავლებლობდა წყალტუბოს სკოლაში. აქედან ბოცვაძე წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის მასწავლებლად გადაიყვანეს. ყველგან, სადაც კი მუშაობდა, მან სახელი გაითქვა თავისი უანგარო და ბეჯითი შრომით. 1892 წლიდან ლ. ბოცვაძე გადაიყვანეს ელადიკავკავის ქართული სკოლის მასწავლებლად, სადაც 14 წლის მანძილზე, როგორც პედაგოგი და სკოლის გამგე, ენერგიულად ემსახურებოდა ქართველთა სწავლა-განათლებისა და ადგილობრივი მოსახლეობის კულტურული აღორძინების საქმეს. აქ მისი ხელმძღვანელობით გაფართოვდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქართული სკოლა, რომლისთვისაც შეგროვილი თანხებით აიგო სასკოლო შენობა, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკის ოთახი და სხვა დამხმარე შენობები.

ლ. ბოცვაძე უშუალო მონაწილეობას იღებდა საზოგადოების მუშაობაში, ხშირად ამოწმებდა ამ საზოგადოების სკოლების საქმიანობას, სასარგებლო რჩევა-მითითებებს აძლევდა პედაგოგებს, მასწავლებელთა კურსებზე კითხულობდა ლექციებს, ატარებდა სანიმუშო გაკვეთილებს, ენერგიულად მონაწილეობდა საზოგადოების სასწავლო-აღმზრდელობით და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა (სკოლების, ბიბლიოთეკა-სამკითხველოების, სასოფლო კლუბების, მუზეუმებისა და სხვ.) ქსელის გაშლასა და მათი მუშაობის სწორ ორგანიზაციაში. ამიტომ იყო, რომ ქართველი ხალხის დიდი კორიფეები ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი და სხვ. მის ღვაწლს განსაკუთრებული მადლიერებით აღნიშნავდნენ.

კავკავის ქართულ სკოლაში ლ. ბოცვაძე ბრწყინვალედ ასწავლიდა რუსულ ენას; კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი ზავადსკი და ინსპექტორი სლავინსკი ბოცვაძის გაკვეთილებმა აღტაცებაში მოიყვანა. თერგის ოლქის სკოლების დირექტორი გრუშევსკი სუსტად მომ-

ზადებულ მასწავლებლებს ხშირად გზავნიდა ბოცვაძის გაკვეთილებზე გამოცდილების მისაღებად.

1906 წლის სექტემბრიდან ლ. ბოცვაძე თბილისის ქართულ გიმნაზიაში განაგრძობს მასწავლებლად მუშაობას.

ლ. ბოცვაძის ინიციატივით და რედაქტორობით 1908 წლიდან გამოდიოდა ქართული სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი „განათლება“, რომელშიც სისტემატურად შუქდებოდა თანამედროვე ქართული, რუსული და საზღვარგარეთის სკოლების მუშაობის გამოცდილება, პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის, ლიტერატურის, მწერლობის, განათლებისა და კულტურის საკითხები, ეურნალმა ხელი შეუწყო ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნებისა და კულტურული დონის ამაღლებას, ქართველი ინტელიგენციის ფართო წრეებში მოწინავე პედაგოგიკური იდეების გავრცელებას, მშრომელ ხალხში ცოდნის შეძენისადმი ინტერესის გაღვივებას და სასკოლო განათლების მიღებისადმი ლტოლვის გაძლიერებას.

ლ. ბოცვაძე მეტად ნაყოფიერ პრაქტიკულ სასწავლო-საგანმანათლებლო მოღვაწეობასთან ერთად, ფრიად თვალსაჩინო თეორიულ-პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა. მის მრავალრიცხოვან პედაგოგიურ ნარკვევებს შორის მეტად მნიშვნელოვანია „საუბარი სახალხო სკოლაზე“, „ახალი მიმართულება პედაგოგიკაში“, „სკოლა და მისი აღმზრდელობითი მნიშვნელობა“, „ოჯახი და მისი დანიშნულება“, „ბავშვების აღზრდა და სწავლება“, „შთაგონება და მისი მნიშვნელობა პედაგოგიკაში“, „საუბარი ანუ დაკვირვებითი თვალსაჩინო სწავლება“, „სახალხო სკოლა და საპროფესიო განათლება“, „აღმზრდელობითი მნიშვნელობა საბავშვო წიგნებისა“, „დედა ენა“ და მისი პედაგოგიური მნიშვნელობა“ და სხვ.

თავისი თეორიული და პრაქტიკულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის ყოველ ნაბიჯზე ლ. ბოცვაძე ქართული მეცნიერებისა და ეროვნული კულტურის ნიადაგზე დიდი რუსი მოაზროვნის კ. დ. უშინსკისა და ქართული სკოლის პატრიარქის ი. ს. გოგებაშვილის პედაგოგიურ იდეებს ნერგავდა, ავითარებდა და ავრცელებდა.

ლ. ბოცვაძის პედაგოგიური წერილები და ნარკვევები ძირითადად ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ქვეყნდებოდა „ლას-ბან“-ის, „კახაბერის“, „რატტის“ „გერასიმეს“ ფსევდონიმებით და ნამდვილი გვარის ხელმოწერით.

ქართველი ხალხის ერთგული შვილი, ქართული მეცნიერული პედაგოგიკის დიდი მკვლევარი ლ. გ. ბოცვაძე თავის მშობელ ერს სრულიად უდროოდ, მისი ნიჭის და უნარის აღმავლობისა და სრულქმნის პერიოდში გამოეცალა. იგი გარდაიცვალა 1919 წელს და დაკრძალულია თბილისში, ქართველ მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

1. ზოგადპედაგოგიკური შეხედულებანი

ყოველმხრივი აღზრდის იდეა. ბავშვთა და მოზარდთა ყოველმხრივი განვითარების იდეა აღზრდის კონსერვატორული გაგების წინააღმდეგ იყო მიმართული. ნაცვლად მოზარდთა ცალმხრივი განვითარებისა, რაც ძველი სკოლის ერთ-ერთ უმთავრეს ნაკლს წარმოადგენდა, ბოცვაძე მოსწავლეთა ყოველმხრივი აღზრდის ამოცანას აყენებდა. მას საჭიროდ მიაჩნდა არა მარტო სწავლული, განათლებული თაობის მომზადება, არამედ, ამასთან ერთად, ფიზიკურად ძლიერი, მორალურად სპეტაკი, შრომისმოყვარე, ესთეტიკურად განვითარებული ახალგაზრდობის აღზრდა. გმობდა რა ძველ სკოლას, რომელშიაც ყველაფერი წიგნურმა ზეპირობამ შთანთქა, ლ. ბოცვაძე საჭიროდ თვლიდა ახალი ტიპის ისეთ სასწავლებელთა ქსელის გაშლას, რომელიც უზრუნველყოფდა ყოველმხრივი აღზრდის პროგრესული პედაგოგიური იდეის პრაქტიკულად განხორციელებას.

აღზრდის არსი, ბოცვაძის გაგებით, ადამიანის ერთი რომელიმე (გონებრივი, ფიზიკური ან ზნეობრივი) მხარის წინ წამოწევაში კი არ მდგომარეობს, არამედ მისი ძალებისა და შესაძლებლობათა ჰარმონიულად განვითარებაში.

გარემო და მემკვიდრეობა. ლ. ბოცვაძე პიროვნების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ანიჭებდა როგორც გარემოს, ისე მემკვიდრეობას.

გარემოს ბოცვაძე გადამწყვეტ როლს აკუთვნებდა პიროვნების ფორმირებაში. მიუხედავად ამისა, მისი ჭეშმარიტი რწმენით: „...ბავშვი არ შეადგენს tabyla rasa-ს, თეთრ ქაღალდს, რომელზედაც შეიძლებოდეს ყველაფრის დაწერა, რაც გსურს. ეს საკმარისად დამტკიცებულია ძველ და აწინდელ მეცნიერთა მიერ“.[1] ბოცვაძე შეურიგებლად იბრძოდა ბავშვის აღზრდის პროცესში, როგორც „მემკვიდრეობითი მონაცემების“ მნიშვნელობის უგულებელყოფის, ისე აღზრდის სფეროში ე. წ. „ბიოგენეტური თეორიის“ გაბატონების წინააღმდეგ. ჯონ ლოკის „სუფთა დაფის“ თეორიის უარყოფით ბოცვაძე არა თუ არ ამცირებდა, პირიქით, კიდევ უფრო ნათლად გვიჩვენებდა სოციალური გარემოს ეფექტურ როლს მოზარდი თაობის აღზრდაში. მისი აზრით,

[1] ეურნ. „განათლება“, 1911, № 3, გვ. 122-123.

„მემკვიდრეობით მონაცემებს“ გარკვეული ადგილი უჭირავს პიროვნების განვითარებაში, მაგრამ მათი გაშლა ობიექტურად გარემოსა და აღზრდის ზემოქმედებით ხდება. ასევე, აღზრდისა და მოწესრიგებული გარემოს გავლენით სრულიად შესაძლებელია ზოგიერთი „მემკვიდრეობითი მონაცემების“ მიზნობრივად შეცვლა და გარდაქმნა. ამიტომ, ბოცვაძის შეხედულებით, ბიოლოგიურად თანშობილი „...ამ ტავისტური თვისებების განსაზღვრა, გარჩევა შეძენილისაგან და მათი აღმოფხვრა, ან უკეთ რომ ვთქვათ, სასარგებლო თვისებად გარდაქმნა — ახალი დანიშნულებაა სკოლისა“ [1].

მისი აზრით, სოციალური გარემოს მოწესრიგებას, ბავშვის „მემკვიდრეობით თანშობილ“ თვისებათა გამორკვევა-გათვალისწინებას და აღმზრდელობითი ზეგავლენის მიზნობრივად წარმართვას ცენტრალური ადგილი უკავია ახალი ადამიანის სოციალური ფორმირების პროცესში.

აღზრდის ძირითადი პრინციპები. ლ. ბოცვაძეს ახალი სკოლის მთავარ ამოცანად მიაჩნდა თავისი ხალხისათვის ერთგული, სამშობლოსათვის თავდადებული, სიმართლისა და სიკეთისათვის თავგანწირული, შრომისმოყვარე, თავისუფლებისა და საზოგადოებრივი პროგრესისათვის მებრძოლი, ჰარმონიულად განვითარებული ახალი თაობის აღზრდა.

მომავლის სკოლამ, მისი გაგებით, მოზარდ თაობას უნდა ჩაუნერგოს: „სულის სიმტკიცე და შეურყევლობა, ცხოვრების ყოველგვარ შემთხვევაში სიმართლისათვის ბრძოლა, თავგანწირვა...“ ამისათვის, ბოცვაძის აზრით, მომავალი ახალი სკოლის სწავლების სისტემას საფუძვლად უნდა დაედოს აღზრდის რაციონალური პრინციპების გამოყენება.

ამ აზრით, ბოცვაძემ ახალი სკოლის მოქმედების საფუძვლად აღიარა თვითმოქმედების, აქტიურობისა და ბუნების შესაბამისობის პრინციპი.

მსოფლიოს დიდ პედაგოგთა (პესტალოცის, დისტერვეგის, უშინსკის, გოგებაშვილისა და სხვ.) მსგავსად, ბოცვაძე ბავშვის პიროვნების ადამიანურ თვისებათა ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვის აქტივობას და თვითმოქმედებას. მისი აზრით, ბავშვის უმთავრესი თვისება მოძრაობითი მოქმედების სიჭარბეა. მოძრაობითი მოქმედების ეს ჭარბი ენერგია, ბოცვაძის აზრით, გონების გავარჯიშების, სხეულის წრთობის და გარესამყაროს მოვლენათა ობიექტური შემეცნებისაკენ უნდა იქნას მიმართული. ფიზიკური აღზრდა ყოველმხრივი განვითარების ერთ-ერთი მთავარი ელემენტია. ჰეშმარიტი ცხოვრება პასიური მჭვრეტელობის ნაცვლად პიროვნების აქტიურობას, მოქმედებას და ფიზიკური ძალების გამოცდას მოითხოვს. ზნეობრივი სიფაქიზე და სულიერი სიმტკიცე ნაწილობრივ სხეულის გაწვრთნილობისა და ფიზიკური ძლიერების ზედნაშენია. მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისათვის ბოცვაძეს საჭიროდ მიაჩნდა ძალის შესაბამისი ფიზიკური ვარჯიში, სხეულის ჰიგიენა, რეჟიმული კვება, სუფთა ჰაერითა და მზის აბაზანებით სარგებლობა და საბავშვო კულტურულ თამაშობათა გამოყენება. ჰარმონიულად აღზრდილი ადამიანის ცნებაში, ბოცვაძის აზრით, გონებრივ, ფიზიკურ და ზნეობრივ თვისებათა და ესთეტიკურ გრძნობათა ერთობლიობასთან ერთად, იგულისხმება პიროვნების შემოქმედებითი აქტივობის, ინიციატივის, დაკვირვების, ნიჭის, შრომის, დამოუკიდებლობის, ინდივიდუალურ თვისებათა და ნებელობითი ძალების პოტენციურ შესაძლებლობათა მაქსიმალურად განვითარება.

თვითშემოქმედება და აქტივობა ბავშვის დამახასიათებელი თვისებაა, რომელთა სრულყოფა და განვითარება სკოლაში სწავლების სწორ ორგანიზაციასა და მასწავლებლის პედაგოგიურ ოსტატობაზეა დამოკიდებული.

ბუნების შესაბამისობის პრინციპის არსი და მნიშვნელობა გაშუქებულია ბოცვაძის შრომაში: „ახალი მიმართულება პედაგოგიკაში“, რომელიც XX საუკუნის პირველი ათეულის დასასრულს გამოქვეყნდა, უკანასკნელ ხანებში რუსეთში გავრცელებულ პედაგოგიურ შეხედულებათა საფუძველზე. ნარკვევის ავტორს მიაჩნდა, რომ „ბავშვის აღზრდა მის ბუნებასთან უნდა იყოს შეთანხმებული“. მისი აზრით, პედაგოგიური შრომის მაღალი ნაყოფიერების მიღწევისათვის აუცილებელია „სასწავლო-აღმზრდელობით ღონისძიებათა ბავშვის ბუნებასთან შეფარდება“. თავის მოსაზრებათა დასაბუთებისათვის ბოცვაძე ემყარება კომენსკის, პესტალოცის, პიროგოვის, უშინსკისა და განსაკუთრებით, ბელინსკის შეხედულებებს. ბოცვაძის აზრით, „ბავშვი სკოლაში იგივეა, რაც ბაღში მცენარე“, — და როგორც მებაღე ზრდის შერჩეულ მცენარეს, ასეთივე მზრუნველობით უნდა ზრდიდნენ ბავშვებს მათი აღმზრდელები.

აღზრდის პრინციპებს, ბოცვაძის შეხედულებათა მიხედვით, პედაგოგიური მეცნიერებანი (ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, დიდაქტიკა და სხვ.) აწესებენ. ეს დიდებული და უტყუარი პრინციპი აღზრდისა გვეუბნება: „აღზარდე ადამიანი მისი ბუნების მიხედვით“. ეს საღი კანონი სრულიად საერთოა; ის არის პირველი და უკანასკნელი საფუძველი პედაგოგიკისა, რომელზედაც, მისი

[1] ჟურნ. „განათლება“, 1911, № 3, გვ 123.

„მემკვიდრეობით მონაცემებს“ გარკვეული ადგილი უჭირავს პიროვნების განვითარებაში, მაგრამ მათი გაშლა ობიექტურად გარემოსა და აღზრდის ზემოქმედებით ხდება. ასევე, აღზრდისა და მოწესრიგებული გარემოს გავლენით სრულიად შესაძლებელია ზოგიერთი „მემკვიდრეობითი მონაცემების“ მიზნობრივად შეცვლა და გარდაქმნა. ამიტომ, ბოცვაძის შეხედულებით, ბიოლოგიურად თანშობილი „...ამ ატავისტური თვისებების განსაზღვრა, გარჩევა შეძენილისაგან და მათი აღმოფხვრა, ან უკეთ რომ ვთქვათ, სასარგებლო თვისებად გარდაქმნა — ახალი დანიშნულებაა სკოლისა“ [1].

მისი აზრით, სოციალური გარემოს მოწესრიგებას, ბავშვის „მემკვიდრეობით თანშობილ“ თვისებათა გამორკვევა-გათვალისწინებას და აღმზრდელობითი ზეგავლენის მიზნობრივად წარმართვას ცენტრალური ადგილი უკავია ახალი ადამიანის სოციალური ფორმირების პროცესში.

აღზრდის ძირითადი პრინციპები. ლ. ბოცვაძეს ახალი სკოლის მთავარ ამოცანად მიაჩნდა თავისი ხალხისათვის ერთგული, სამშობლოსათვის თავდადებული, სიმართლისა და სიკეთისათვის თავგანწირული, შრომისმოყვარე, თავისუფლებისა და საზოგადოებრივი პროგრესისათვის მებრძოლი, ჰარმონიულად განვითარებული ახალი თაობის აღზრდა.

მომავლის სკოლამ, მისი გაგებით, მოზარდ თაობას უნდა ჩაუნერგოს: „სულის სიმტკიცე და შეურყევლობა, ცხოვრების ყოველგვარ შემთხვევაში სიმართლისათვის ბრძოლა, თავგანწირვა...“ ამისათვის, ბოცვაძის აზრით, მომავალი ახალი სკოლის სწავლების სისტემას საფუძვლად უნდა დაედოს აღზრდის რაციონალური პრინციპების გამოყენება.

ამ აზრით, ბოცვაძემ ახალი სკოლის მოქმედების საფუძვლად აღიარა თვითმოქმედების, აქტიურობისა და ბუნების შესაბამისობის პრინციპი.

მსოფლიოს დიდ პედაგოგთა (პესტალოცის, დისტერვეგის, უშინსკის, გოგებაშვილისა და სხვ.) მსგავსად, ბოცვაძე ბავშვის პიროვნების ადამიანურ თვისებათა ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვის აქტივობას და თვითმოქმედებას. მისი აზრით, ბავშვის უმთავრესი თვისება მოძრაობითი მოქმედების სიჭარბეა. მოძრაობითი მოქმედების ეს ჭარბი ენერგია, ბოცვაძის აზრით, გონების გავარჯიშების, სხეულის წრთობის და გარესამყაროს მოვლენათა ობიექტური შემეცნებისაკენ უნდა იქნას მიმართული. ფიზიკური აღზრდა ყოველმხრივი განვითარების ერთ-ერთი მთავარი ელემენტია. ჭეშმარიტი ცხოვრება პასიური მჭვრეტელობის ნაცვლად პიროვნების აქტიურობას, მოქმედებას და ფიზიკური ძალების გამოცდას მოითხოვს. ზნეობრივი სიფაქიზე და სულიერი სიმტკიცე ნაწილობრივ სხეულის გაწვრთნილობისა და ფიზიკური ძლიერების ზედნაშენია. მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისათვის ბოცვაძეს საჭიროდ მიაჩნდა ძალის შესაბამისი ფიზიკური ვარჯიში, სხეულის ჰიგიენა, რეჟიმული კვება, სუფთა ჰაერითა და მზის აბაზანებით სარგებლობა და საბავშვო კულტურულ თამაშობათა გამოყენება. ჰარმონიულად აღზრდილი ადამიანის ცნებაში, ბოცვაძის აზრით, გონებრივ, ფიზიკურ და ზნეობრივ თვისებათა და ესთეტიკურ გრძნობათა ერთობლიობასთან ერთად, იგულისხმება პიროვნების შემოქმედებითი აქტივობის, ინიციატივის, დაკვირვების, ნიჭის, შრომის, დამოუკიდებლობის, ინდივიდუალურ თვისებათა და ნებელობითი ძალების პოტენციურ შესაძლებლობათა მაქსიმალურად განვითარება.

თვითშემოქმედება და აქტივობა ბავშვის დამახასიათებელი თვისებაა, რომელთა სრულყოფა და განვითარება სკოლაში სწავლების სწორ ორგანიზაციასა და მასწავლებლის პედაგოგიურ ოსტატობაზეა დამოკიდებული.

ბუნების შესაბამისობის პრინციპის არსი და მნიშვნელობა გაშუქებულია ბოცვაძის შრომაში: „ახალი მიმართულება პედაგოგიკაში“, რომელიც XX საუკუნის პირველი ათეულის დასასრულს გამოქვეყნდა, უკანასკნელ ხანებში რუსეთში გავრცელებულ პედაგოგიურ შეხედულებათა საფუძველზე. ნარკვევის ავტორს მიაჩნდა, რომ „ბავშვის აღზრდა მის ბუნებასთან უნდა იყოს შეთანხმებული“. მისი აზრით, პედაგოგიური შრომის მაღალი ნაყოფიერების მიღწევისათვის აუცილებელია „სასწავლო-აღმზრდელობით ღონისძიებათა ბავშვის ბუნებასთან შეფარდება“. თავის მოსაზრებათა დასაბუთებისათვის ბოცვაძე ემყარება კომენსკის, პესტალოცის, პიროგოვის, უშინსკისა და განსაკუთრებით, ბელინსკის შეხედულებებს. ბოცვაძის აზრით, „ბავშვი სკოლაში იგივეა, რაც ბაღში მცენარე“, — და როგორც მებაღე ზრდის შერჩეულ მცენარეს, ასეთივე მზრუნველობით უნდა ზრდიდნენ ბავშვებს მათი აღმზრდელები.

აღზრდის პრინციპებს, ბოცვაძის შეხედულებათა მიხედვით, პედაგოგიური მეცნიერებანი (ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, დიდაქტიკა და სხვ.) აწესებენ. ეს დიდებული და უტყუარი პრინციპი აღზრდისა გვეუბნება: „აღზარდე ადამიანი მისი ბუნების მიხედვით“. ეს ცნობილი კანონი სრულიად საერთოა; ის არის პირველი და უკანასკნელი საფუძველი პედაგოგიკისა, რომელზედაც, მისი

[1] ჟურნ. „განათლება“, 1911, № 3, გვ. 123.

რწმენით „უნდა იქნას დამყარებული მთელი აღზრდა ბავშვისა, მომავალი მოქალაქისა“.

ბავშვის ბუნების შესწავლა, მისი ფსიქიკური სამყაროს „საიდუმლოებათა გამორკვევა, პედაგოგიური მუშაობის პროცესში მათი გათვალისწინება და ამ ნიადაგზე აღმზრდელობით საშუალებათა „ბავშვის სულიერ საუნჯესთან“ შეფარდება ბოცვაძის პედაგოგიურ შეხედულებათა სისტემის მტკიცე საფუძველს წარმოადგენს.

სწავლების შინაარსი. ლ. ბოცვაძე თავისი მოღვაწეობის ერთ ეტაპზე ჟან-ჟაკ რუსოსა და ლევ ტოლსტოის პედაგოგიკური იდეებისა და გორბუნოვ-პოსადოვის ჟურნალ „თავისუფალი აღზრდის“ გარკვეულ ზეგავლენას განიცდიდა. უარყოფდა რა „ბავშვის გამათახსირებელსა და სულის შემხუთველ“ ძველ სკოლას, იგი უდიდეს იმედს ამყარებდა „მოქმედების“ ახალ სკოლაზე, რომელიც „...უნდა წარმოადგენდეს თავისუფალი შრომის ადგილს, თავისუფალ დამოკიდებულებას ბავშვებსა და იმ პირთა შორის, რომელნიც კისრულობენ დააკმაყოფილონ ბავშვების მოთხოვნილებანი სწავლა-აღზრდის საქმეში“.[1]

ახალ სკოლაში ბავშვები, ბოცვაძის მიხედვით, უნდა სწავლობდნენ არა „გაქვავებული და სინამდვილისაგან განყენებული“ პროგრამებით, არამედ ცოცხალი, ცხოვრებისეული გეგმებით, რომლებიც შედგენილი იქნებიან „...ბავშვთა მოთხოვნილების, მოწაფეთა ბუნებრივი ნიჭის, ძალისა და ბუნების თანახმად“.

ასეთი სკოლა, ბოცვაძის აზრით, მოწოდებულია ბავშვებს მისცეს ცხოვრების ცოდნა, დამოუკიდებლობის უნარი, საგნების საკუთარი თვალით „გასინჯვისა“ და „განსჯის“ ჩვევები, შეაჩვიოს საკუთარი ხელებით მუშაობას, საკუთარი ჭკუით ფიქრს, ხალხის სურვილებით მოქმედებას, თავისი ძალებისადმი რწმენას და ჰეშმარიტების სიყვარულს. ახალი სკოლა ბავშვებს უნდა ზრდიდეს არა ძველი სახელმძღვანელოებით, არამედ „ბუნებისა და ცოცხალი ცხოვრების წიგნით“. ლ. ბოცვაძე უარყოფდა ახალ სკოლებში ძველი დოგმატური წიგნების გამოყენებას, მოითხოვდა ახალი ტიპის სახელმძღვანელოების შემოღებას, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს საგნის არსებითი საკითხების, მისი ძირითადი ცნებების სრულ, მარტივ, მეცნიერულად ზუსტ და თანმიმდევრულ გადმოცემას; ითვალისწინებდეს ბავშვთა ასაკობრივი განვითარების, მათი გონებრივი მომზადებისა და საერთო განვითარების დონეს.

სახელმძღვანელოს ტექსტი სხვა საკითხავი წიგნებისაგან უნდა განსხვავდებოდეს შინაარსის მისაწვდომობით, რომლის შესწავლის გაადვილებას ხელს შეუწყობს ბავშვთათვის შერჩეული სავარჯიშო მაგალითები, თვალსაჩინო მასალები და სურათები.

ბოცვაძის აზრით, ერთი უსაჭიროესი ხელსაწყო-ნივთთაგანი სწავლებაში, რომელიც ხელს შეუწყობდა მოწაფეს სასწავლო საგნის შეთვისებაში, არის სახელმძღვანელო წიგნი. ის არის საუკეთესო და სრულიად საიმედო გზის მაჩვენებელი — ფრიად ძნელი და უცნობი გზისა, რომელიც უნდა გაიაროს ყველა მოწაფემ, და შეიძინოს ცნობები სასწავლო საგნიდან. იგი წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას ამ ცნობათა აღსაბეჭდად ბავშვის მეხსიერებაში.

ბოცვაძის მიხედვით, ახალი ტიპის საშუალო სკოლაში გეგმით უნდა ისწავლებოდეს მშობლიური ენა, არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია, ბუნებისმეტყველება, გეოგრაფია, რუსეთისა და მსოფლიოს ისტორია, რუსული ენა და ლიტერატურა, ახალი ენები, ხატვა, ხაზვა, პოლიტიკური ეკონომია და კანონთმცოდნეობა.

მოსწავლეთა შრომითი აღზრდა. ცხოვრებისათვის მომზადება. ლ. ბოცვაძე ახალი სკოლის მთავარ ამოცანად თვლიდა მოსწავლეთა მომზადებას ცხოვრებისათვის, მოზარდ თაობაში შრომისმოყვარეობის აღზრდას. ბოცვაძის აზრით, შრომის გარეშე არ არსებობს ადამიანის ბედნიერება. ამიტომ სკოლამ, რომელიც პროგრესისა და ხალხის წარმატებისათვის ზრუნავს, უნდა უზრუნველყოს მოზარდ თაობაში შრომითი ჩვევების დანერგვა, გონებრივი და ფიზიკური შრომის სიყვარულის გამომუშავება.

„შრომა, — ბოცვაძის შეხედულებით, — ადამიანის განვითარებისათვის არა თუ აუცილებელი პირობაა, იგი მისივე ღირსებაა. ვისაც შრომა არ უყვარს, ის ვერასოდეს წინ ვერ წავა, ვერც ერთ ადგილზე შეჩერდება, უკან-უკან დაიწევს“. ლ. ბოცვაძე იზიარებდა კ. უშინსკისა და ი. გოგებაშვილის აზრს შრომის უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობის შესახებ. ის სავსებით სწორ დასკვნამდე მივიდა, როცა ადამიანის ყოველმხრივი განვითარების საფუძვლად აღიარა შრომა, რომლის გარეშე არ არსებობს ცოდნა.

უცოდინარი და ზარმაცი ადამიანი, ბოცვაძის აზრით, ცხოვრებაში გზადაბნეული და ჩამორჩენილია. შრომა, ადამიანის შინაგანი კმაყოფილების წყარო, მისი ღირსების ნიშანი და მოქალაქეობრივი სიამაყის საფუძველია. ამიტომ „შრომას, ადამიანი ყმაწვილობიდანვე უნდა შეეჩვიოს. ყმაწვილმაც იცის, რომ სიზარმაცე დედაა ყველა ბიწიერებისა, მაგრამ ეს ჰეშმარიტება მას ჯერ კიდევ ძვალ-რბილში არ გასჯდომია“. ბოცვაძის აზრით, ასაკის შესაბამისი შრომითი საქმიანობა, შრომასთან სწავლების გეგმაზომიერი დაკავშირება — ბავშვთა ყოველ-

[1] ლ. ბოცვაძე, ახალი სკოლა და თავისუფალი აღზრდა, ჟურნ. „განათლება“, 1908, № 2, გვ. 119-120.

მხრივი განვითარების ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს, რომელიც ახალმა სკოლამ თავისი მოქმედების მთავარ დევიზად უნდა გაიხადოს „შრომის პროცესი, არის ის სტიქიონი, რომელშიც ხასიათი ყალიბდება, ესა თუ ის ჩვეულება ჩნდება, ნება იწრთვნება და შალაშინდება“.

შრომითი აღზრდის სკოლა მოსწავლე ახალგაზრდობას ცოცხალი ცხოვრებისათვის უნდა ამზადებდეს. აქტივობა და შრომა ბავშვის დამახასიათებელი თვისებაა. ბავშვის ბუნების, მისი ხასიათის გამომჟღავნება თამაშისა და შრომის პროცესში ხდება.

სახალხო სკოლებში „ვიწრო საქმოსნობით“ გატაცების ყოველგვარ ცდას ლ. ბოცვაძე ანტიპედაგოგიურ მოვლენად თვლიდა. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლამ „...ბავშვი არ უნდა გახადოს სპეციალისტად ამა თუ იმ დარგში... საღმა პედაგოგიკამ უნდა გადაშალოს ადამიანში ყველა შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა, რომელიც ბუნებას მასში ჩაუნერგავს, ერთ მათგანს საჭიროების მიხედვით, წკიპურტი დასჭირდება, მეორეს ხელის დაჭირება“.[1]

ლ. ბოცვაძე არსებულ სასკოლო სისტემაში ძირითად ცვლილებათა ვატარებას მოითხოვდა არა „საპროფესიო განათლების დარგის შეტანით სკოლაში“, არამედ თანამედროვე „...წიგნური სკოლის შრომის სკოლად გარდაქმნით და პედაგოგიურის მიზნით ხელგარჯილობის შემოღებით“.

ამისათვის მას საჭიროდ მიაჩნდა დაოსტატებული პედაგოგიური კადრების მომზადება.

ლ. ბოცვაძეს პრაქტიკულ-პროფესიული განათლების წინაპირობად მიაჩნდა მოწაფეთა მიერ ფართო ზოგადი განათლების მიღება. სკოლებში ხელგარჯილობის შემოღებას იგი მხარს იმდენად უჭერდა, რამდენადაც ფიზიკური „შრომის ანბანის“ შეუთვისებლად შეუძლებლად მიაჩნდა ბავშვის გონებრივი, ფიზიკური და სულიერი ძალებისა და პოტენციალურ შესაძლებლობათა ჰარმონიულად განვითარება, ცხოვრებასთან სკოლის დაახლოება.

2. დიდაქტიკური შეხედულებანი

პედაგოგიური მუშაობის მაღალნაყოფიერების მისაღწევად, ლ. ბოცვაძის აზრით, აუცილებელია ბავშვის ბუნების შესწავლა; მისი ფსიქო-ფიზიკურ თავისებურებათა ცოდნა, სწავლების პროცესის მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე აგება.

---

[1] ჟურნ. „განათლება“, 1917, № 2, გვ. 88.

ბავშვთა ასაკობრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ყურადღების, მეხსიერების, ხასიათის თვისებათა და ინტერესთა სხვადასხვაობა პედაგოგებისაგან ბავშვებისადმი დიფერენციალურ მიდგომას მოითხოვს. „რამდენადაც პატარაა მოწაფე, იმდენად მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ვარჯიშობას წარმოდგენებისა და დაკვირვების ძალების განვითარებაში“, პედაგოგიური მუშაობის ეფექტურობისათვის მასწავლებელმა გაკვეთილების პროცესში უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებანი, მათი ფსიქიკური სამყაროს „საიდუმლოებანი“.

თუ მასწავლებელმა სამუშაო შეუფარდა ბავშვების ნიჭსა და მიდრეკილებას, მაშინ გაკვეთილები სახალისო იქნება და მოწყენილობასაც ვერავინ იგრძნობს.

მიუხედავად ამისა, ბოცვაძე აღსაზრდელთა ამ „თვისებების“ გათვალისწინებით სრულებით არ ფიქრობდა „ბავშვის ბუნებრივი მიდრეკილებისადმი“ პედაგოგიური პროცესის დაქვემდებარებას, მასწავლებლის მთელი საქმიანობის „ბავშვის სურვილებისა და მოთხოვნილებებისადმი დამორჩილებას“, რადგანაც იგი ეწინააღმდეგება ჭეშმარიტ პედაგოგიურ გაგებას სწავლების პროცესში მასწავლებლის ხელმძღვანელი როლისა და აღზრდის სოციალური ფაქტორის გადამწყვეტი მნიშვნელობის შესახებ.

„...ბავშვის აღზრდაში, მარტო ცოდნა საგნისა სრულიად საკმარისი არ არის, არამედ საჭიროა კიდევ ამ ცოდნის გადაცემის ცოდნა“. ც ო დ ნ ი ს გ ა დ ა ც ე მ ი ს ც ო დ ნ ა ე. წ. „ენციკლოპედიურ განათლებასთან“ ერთად, რაც მასწავლებელს უნდა ჰქონდეს, გულისხმობს საგანთა სწავლების პრინციპების, მეთოდებისა და ხერხების გამოყენების ცოდნას, რის გარეშეც მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევა წარმოუდგენელია.

შეგნებულობა სწავლებაში. სასწავლო მუშაობაში მასწავლებლისა და მოსწავლეთა წარმატება აქტიურობას ემყარება. მთავარია არა დაზეპირებული ცოდნა, არამედ მასალის მთავარი აზრის გაგება, ძირითადი იდეის შეთვისება, გააზრებული, გონებაში გადამუშავებული, ვარჯიშით განმტკიცებული და პრაქტიკით შემოწმებული ცოდნის შ ე გ ნ ე ბ უ ლ ი დაუფლება. „სკოლა, იმას უნდა ცდილობდეს, რომ ბავშვს გონება გაუხსნას, შეაყვაროს სწავლა და შრომა, თუ ბავშვს ეყვარს სკოლა, მოსწავლე კარგად ისწავლის; რადგანაც გაკვეთილების სწავლას ყოველთვის ხალისით შეუდგება. ბავშვს მაშინ შეუყვარდება მასწავლებელი, როდესაც უკანასკნელი სიყვარულით ეპყრობა მას... რამდენია, რომ სწ ა ვ ლ ე ბ ი ს კ ა რ გ ი წ ე ს ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ვ ე რ მ ი უ გ ნ ი ა და საშინლად აწამებს ბავშვებს! ზოგს მასწავლე-

ბელს ჰგონია კარგია, როცა ბავშვმა გაკვეთილები ზეპირად იცისო და თუთიყუშივით აზეპირებინებს ...ბავშვმა უნდა იცოდეს ის, რასაც ამბობს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი წინდაუხედაობით ბავშვის გონებას დავაჩლუნგებთ და დიდად ვავნებთ მას. ყველა გაკვეთილი ისე უნდა აუხსნათ ბავშვს, რომ შიგ მისთვის გაუგებარი სიტყვა და აზრი არ დარჩეს".

ლ. ბოცვაძის დებულება სწავლებაში შეგნებულობის პრინციპის დანერგვის აუცილებლობის, მოსწავლეთათვის დასკვნებისა და განზოგადებათა უნარ-ჩვევების გამომუშავების შესახებ მკაცრ პროტესტს წარმოადგენდა ძველი სკოლის წინააღმდეგ, რომელიც მოზარდ თაობაში ბრმა გამგონეობისა და მოწური მორჩილების ზნეობას ნერგავდა.

სისტემატურობა და თანმიმდევრობა. აბსტრაქტულ და მრავალ უაზრო განყენებულ ცნებათა ზეპირობის ნაცვლად, ლ. ბოცვაძეს საჭიროდ მიაჩნდა სწავლების აგება თანმიმდევრობის პრინციპზე. იგი მოითხოვდა პედაგოგიურ პროცესში დიდაქტიკის „ოქროს წესები" (ახლობელიდან-შორეულისაკენ, ნაცნობიდან-უცნობისაკენ, კონკრეტულიდან-აბსტრაქტულისაკენ) — შემოქმედებითად გამოეყენებინათ. მისი აზრით, სწავლებაში წარმატების მიღწევას საფუძვლად უნდა დაედოს არა სასწავლო მასალის გართულებულად, აბსტრაქტულად, მიუწვდომლად და დოგმატურ ნაწყვეტებად მიწოდება, ან, გაზეპირებული, განყენებული და მექანიკურად შეთვისებული „ცოდნის" მოთხოვნა, არამედ „მარტივისა და ბავშვების მიერ ცნობილი საგნებიდან თანდათან გადასვლა მოძნელო საგნებზე, თანდათან გართულება და მთელი კურსის სისტემაში მოყვანა".

ლოგიკური მსჯელობის, რთულ მოვლენათა გაგების, დასკვნისა და განზოგადების უნარი უმთავრესად უფროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისთვისაა დამახასიათებელი. დაბალ სასკოლო ასაკში მოსწავლე თავის ცოდნას კონკრეტულად ნახულ საგნებზე ან მოვლენათა უშუალო განცდით გამოწვეულ შთაბეჭდილებებზე ამყარებს.

„...დასაწყის სკოლებში ერთი ხელს უნდა უწყობდეს მეორეს, ერთი მოთავსებული უნდა იყოს მეორეში, ერთი უნდა გამომდინარეობდეს მეორიდან". სისტემატურობისა და თანმიმდევრობის ამ წესების შესრულება ნიადაგს წარმოადგენს მოსწავლეებში მტკიცე, შეგნებული და აუცილებელი ცოდნა-ჩვევების დანერგვისათვის.

თვალსაჩინოება და მისაწვდომობა. სასწავლო მასალა, ბოცვაძის აზრით, უნდა იყოს ბავშვებისათვის მისაწვდომი, ახლის მიმცემი. საინტერესო და გასაგებად მიწოდებული მასალა ბავშვებში სიხალისეს, ენერგიის ამოქმედებას და აქტივობის გაძლიერებას იწვევს. დიდი მნიშვნელობა აქვს შესასწავლი საგნის ან დასაკვირვებელი ობიექტის უშუალო ზემოქმედებას ბავშვებზე.

სასწავლო მასალის მნიშვნელოვან მომენტებზე მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება, ცოცხალი საუბარი, საგნის ჩვენება, ცდის ჩატარება, ჩახაზვა, გამოძერწვა, დასკვნებსა და განზოგადებაში ვარჯიში სინამდვილის მოვლენებზე ობიექტური წარმოდგენის შემუშავებისა და მყარი ცოდნის მიღების მეთოდთა გარკვევის კომპლექსს წარმოადგენს. ბოცვაძე მხარს უჭერს სწავლების პროცესში თვალსაჩინო სწავლების გამოყენებას, რომლის მიზანია „არამც თუ თვალი, არამედ ბავშვის ყველა გრძნობანი (განსაკუთრებით შეხების გრძნობა) ჰარმონიულად ვითარდებოდეს და მიაღწევდეს განვითარების უმაღლეს საფეხურამდე".

ბოცვაძე მოითხოვდა სწავლების პროცესში თვალსაჩინოებისა და მისაწვდომობის პრინციპის ფართოდ გამოყენებას, რომელიც ბავშვებს უადვილებს მეცნიერების საფუძვლების გაგებას, შესასწავლ მოვლენათა და საგანთა შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დამყარებას, მიღებულ ცოდნა-შთაბეჭდილებათა მეხსიერებაში ხანგრძლივად შენახვას და პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისათვის მის შემოქმედებითად გამოყენებას.

ცოდნის სიმტკიცე. ლ. ბოცვაძის გაგებით, სკოლამ და მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა მისცეს მკვიდრი, ღრმა, საფუძვლიანი სისტემატიზებული მეცნიერული ცოდნა. ცოდნის ღრმად შეთვისებაში ბოცვაძე გულისხმობს ბავშვებში არა სასწავლო მასალის წვრილმანებზე ზერელე წარმოდგენის შექმნას, არამედ საგნის შინაარსის საფუძველთა საფუძვლის შეთვისებას, მისი არსის გააზრებას, ერთიმეორესთან ლოგიკური კავშირით შეკრული საკითხების გაცნობიერებას, შეცნობილის რწმენაში გადასვლას და პრაქტიკულ მოქმედებაში მათ გამოხატვას.

მასწავლებლისათვის აუცილებელია გადასაცემი მასალის ღრმად გააზრება, საჭირო მეთოდების მომარჯვება და სწავლების პროცესში ბავშვთა აქტივობის გამოწვევა. „...მასწავლებელი, უნდა მიაგავდეს **კალატოზს, რომელიც** ყველა მასალას არ ხმარობს შენობისათვის. პირიქით, არჩევს საუკეთესო ქვას, აგურს, ხეს, ქვიშას და კირით მაგრად შეჰკრავს, შეადუღაბებს ერთმანეთში, რომ ააგოს მკვიდრი შენობა. პედაგოგის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ბავშვებში საფუძვლიანი, ღრმა, მტკიცე „მაგრამ შეკრული" და „ერთიმეორესთან შედუღებული" ცოდნა-ჩვევების დანერგვა, ნათელ რწმენად და მეცნიერულ მსოფლგაგებად მათი ჩამოყალიბება.

დედაენის მნიშვნელობა. ლ. ბოცვაძე დედაენაზე სწავლების სა-

კითხს კ. უშინსკისა და ი. გოგებაშვილის პედაგოგიური იდეების შუქზე წყვეტს.

მისი გაგებით, უმთავრესი ძირი კულტურული ცხოვრებისა ენაა. მშობლიური ენა ის ნიადაგია, რომელსაც ემყარება ხალხის ნორმალური კულტურული ზრდა-განვითარება. ამიტომ ხალხის სწავლება მშობლიურ ენაზე უნდა იქნეს დაფუძნებული. ნაშრომში — „დედა ენა, როგორც საფუძველი სწავლებისა“, — ბოცვაძე თანმიმდევრულად იცავს სკოლაში „სიმძიმის ცენტრად“ მშობლიური ენის გამოცხადების იდეას.

მშობლიურ ენაზე სწავლების დაფუძნების მოთხოვნით, ბოცვაძე სრულიად არ უარყოფდა სკოლებში უცხო ენების შემოღებას. პირიქით, იგი მშობლიურ ენას უცხო ენის შესწავლის საფუძვლად აღიარებდა, რომელიც ხელს შეუწყობდა სხვა ენების დაუფლებას. „რა-საკვირველია, არავინ არ უარყოფს უცხო ენების შესწავლა-შეთვისებას და მათ შორის სახელმწიფოს ენისას; უკანასკნელი აძლევს საშუალებას ამა თუ იმ ხალხს, სახელმწიფოში მცხოვრებს, ჰქონდეს ურთიერთობა სხვა ენაზე მოლაპარაკე მოქალაქეებთან და სახელმწიფოს ცენტრალურ, დაწესებულებებთან“. ამასთან, ამ ენების შესწავლა, მისი შეხედულებით, „... უფრო საჭირო ხდება, როგორც იარაღი საერთაშორისო კულტურული და სამეცნიერო ურთიერთობისა“.

ბოცვაძის შეხედულება ყველა საგნის სწავლების მშობლიურ ენაზე დაფუძნების, რუსული ენის, როგორც საერთაშორისო კულტურულ-მეცნიერული ურთიერთობის ეფექტური იარაღის შესწავლა-გამოყენებისა და დედაენის საფუძველზე უცხო ენების შეთვისების გაადვილების რაციონალური გზების შესახებ, მნიშვნელოვან წვლილს შეადგენს ქართული პედაგოგიკის ისტორიაში.

მასწავლებლის როლი და დანიშნულება. მასწავლებელი, ბოცვაძის შეხედულებით ახალი სკოლის „სული და გული“, რომელსაც ვერც წიგნი შეცვლის და ვერც საუკეთესოდ შედგენილი პროგრამა. მასწავლებელს წარმმართველი როლი აკისრია სწავლა-აღზრდის პროცესში.

„თავისუფალი აღზრდისა“ და „თავისუფალი სკოლის“ ბურჟუაზიული თეორიების წინააღმდეგ, რომლებიც მასწავლებლის როლს ამცირებენ, ბოცვაძე მასწავლებელს წამყვან როლს აკუთვნებდა სასკოლო მუშაობაში. მისი გაგებით „სკოლაში მასწავლებელი ყველაფერია, არც ერთ სახელმძღვანელოს არ შეუძლია მასწავლებლის მაგიერობა გასწიოს, იგი მხოლოდ შრომას უმსუბუქებს მას. „...მასწავლებელს უნდა ჰქონდეს ღრმა მეცნიერული ცოდნა, მაღალი კულტურა, ფართო განათლება, ცოდნის გადაცემის უნარი, რადგანაც ...სკოლის ბედ-იღბალი ყოველთვის მასწავლებელზე ჰკიდია“.

მასწავლებელი მუდამ უნდა იძენდეს ახალ-ახალ ცოდნას, ამდიდრებდეს თავის გამოცდილებას, სისტემატურად ეუფლებოდეს მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მონაპოვარს, ისწრაფოდეს მუდმივი თვითგანვითარებისაკენ, რადგანაც „...უბრალო პედანტებია, ვინც მუდამ არ სწავლობს, არ ადგას თვითგანვითარების გზას, ის სხვებსაც ვერაფერს ასწავლის“. მასწავლებლის ზნეობრივ ქცევას უნდა ახასიათებდეს მშობლიური ქვეყნის უღრმესი სიყვარულის გრძნობა, სიმტკიცე, ურყევი ნებისყოფა, მოვალეობის შეგნება, საქმისადმი ერთგულება, მართლმოყვარეობა, პრინციპულობა, სამაგალითო ყოფაქცევა, გონებრივი განვითარებისა და სრულყოფისაკენ მუდმივი სწრაფვა.

ლ. ბოცვაძე ემყარება უშინსკის ცნობილ დებულებას მასწავლებლის მაგალითის აღმზრდელობითი ზეგავლენის ეფექტურობის შესახებ. „ყოველი ძლიერი მაგალითი იწვევს ჩვენს სულში ისეთ გრძნობას, რომ მზად ვართ მივბაძოთ მას. მაგალითი წარმოადგენს ნაპერწკალს, რომლის შეხებით აენთება საგანი. კეთილი მაგალითი ანაყოფიერებს სულის ზნეობრივს თესლს და აძლევს ძალას გასავითარებლად“.

ამ დებულებიდან ნათელია ის უდიდესი როლი, რომელიც ბოცვაძის აზრით, მასწავლებელს ეკუთვნის ახალი თაობის სწავლებისა და ზნეობრივი განვითარების საქმეში.

ოჯახისა და სკოლის ურთიერთობა. ბოცვაძე ოჯახისაგან მოითხოვდა „ნიადაგის მომზადებას“ ბავშვებში „სათნოების თესლის“ გაღივებისა, აღორძინებისა და აყვავებისათვის, მათი გონებრივი განვითარებისა და სრულყოფისათვის. მისი აზრით, მშობლებმა ყოველგვარი ღონისძიება უნდა იხმარონ შვილების თვითგანვითარებისათვის.

ბოცვაძე ოჯახისა და სკოლის საერთო საბრძოლო ამოცანად სახავდა ბავშვებში სიმართლისმოყვარეობის, კეთილმოქმედების, პატიოსნების, სისპეტაკის, კაცთმოყვარეობის, ბეჯითობის, საქმისადმი გულმოდგინების, გულწრფელობის, საზოგადოებრივი წესებისადმი პატივისცემის, მაღალი რწმენისა და სხვა მაღალზნეობრივ თვისებათა შემუშავებას. ამ მიზნის განხორციელების მნიშვნელოვან საშუალებად მას მიაჩნდა სკოლისა და ოჯახის პედაგოგიურ ღონისძიებათა კოორდინირებული ზემოქმედება.

ამ დებულებიდან ნათელია ის უდიდესი როლი, რომელიც სკოლას და ოჯახს ერთობლივად აკისრია მოზარდი თაობის ყოველმხრივი განვითარებისა და მორალური სრულყოფის საქმეში.

დიდია ლ. ბოცვაძის დამსახურება ქართული სკოლისა და მეცნიერული პედაგოგიკის ისტორიაში. მან საკუთარი ინიციატივით დაარსებული ქართული ჟურნალის („განათლება") გამოცემით აქტიურად შეუწყო ხელი ჩვენს მოსახლეობაში განათლების შეტანას, სახალხო მასწავლებლებში პროგრესული პედაგოგიური იდეების გავრცელებას, სკოლის გაერთიანებას, განათლების სისტემის ძირეულ რეორგანიზაციას, დედაენისა და შრომითი აღზრდის საფუძველზე სწავლების დამყარებისათვის ნიადაგის მომზადებას.

ლ. ბოცვაძის პრაქტიკულმა მოღვაწეობამ, მისმა პედაგოგიურმა შეხედულებებმა, მეთოდურმა საუბრებმა და ჟურნალმა „განათლებამ" დიდი როლი შეასრულეს სხვადასხვა პედაგოგიკურ მიმდინარეობასა და „თეორიებში" სახალხო მასწავლებლებისათვის სწორი ორიენტაციის მიცემისა და რეაქციულ-პედაგოგიურ შეხედულებათა კრიტიკულად დაძლევის საქმეში.

ლ. ბოცვაძემ ყველა ჯურის „პოლიტიკანებისა" და ცრუ „თეორეტიკოსთა" წინააღმდეგ პრინციპულ ბრძოლაში ურყევად და წმინდად დაიცვა დიდ წინაპართა საუკეთესო პედაგოგიური მემკვიდრეობა, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა", მისი სახელმძღვანელო პრინციპები და დიდაქტიკური შეხედულებანი, რითაც ხელი შეუწყო საჭირო ნიადაგის შექმნას საქართველოში ყველაზე პროგრესული პედაგოგიური იდეების ხორცშესხმისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის.

შიო ჩიტაძის პედაგოგიკური შეხედულებანი

გამოჩენილი ქართველი პედაგოგი შიო ალექსანდრეს ძე ჩიტაძე (1837-1906) დაიბადა ქ. გორში ღარიბი ხელოსნის ოჯახში. პირველ ხანებში სწავლობდა ადგილობრივ სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ თბილისის მე-2 კლასიკურ გიმნაზიაში. აქ იგი საფუძვლიანად გაეცნო როგორც ქართულ და რუსულ მწერლობას, ისე მსოფლიო ლიტერატურის შედევრებსაც. გიმნაზია ოქროს მედლით დაამთავრა. 1893 წელს შ. ჩიტაძე კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ის დაეწაფა ლიტერატურის, ისტორიის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიისა და ზუსტ მეცნიერებათა შესწავლას.

უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ (1897 წ.) 1904 წლის შემოდგომამდე შ. ჩიტაძე კიევის გიმნაზიებში მოღვაწეობდა. 1904 წლიდან ქართველი საზოგადოების მოწვევით იგი გადმოიყვანეს თბილისის ქართული გიმნაზიის მასწავლებლად, შემდეგ დანიშნეს ამავე გიმნაზიის ინსპექტორად. 1906 წლის 4 ივლისს, ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის დარბევის დროს, მეფის ოხრანკის ჯარისკაცებმა შიო ჩიტაძე ვერაგულად მოკლეს. ამ მუხანათურმა მკვლელობამ ქართველ ხალხში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ დიდი აღშფოთება და პროტესტი გამოიწვია.

შ. ჩიტაძის მკვლელობის ამბავს ფართოდ გამოეხმაურა ქართული ბოლშევიკური პრესა: „ქართულმა გაზეთებმა, — წერდა ბოლშევიკური გაზეთი „ახალი ცხოვრება", — უკვე გვაუწყეს ამ პატიოსანი ადამიანის უდროოდ სიკვდილი. თვითმპყრობელობის ავკაცობათა დაუსრულებელ რიგს კიდევ ერთი სიმხეცე მიემატა. ჩიტაძე ერთი საუკეთესო წევრთაგანი იყო მოწინავე ქართველი ახალგაზრდობისა. სტუდენტობის დროს, თავისი იდეალისტური მისწრაფებებით და გაღვიძებული თეორიული ინტერესით საყოველთაო პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული როგორც ქართველ, ისე რუს სტუდენტობაში და განსაკუთრებით თავის თანამემამულეებზე ნაყოფიერ გავლენას ახდენდა. იმავე დროს, სერიოზული სანდო ადამიანის სახელი ჰქონდა დამსახურებული კიევის მოწინავე საზოგადოებაში. უნივერსიტეტის შემდეგ პედაგოგიური სარბიელი აირჩია და ყველგან, დიდსა და პატარაში, ღრმა და გულწრფელი სიმპატია ჰქონდა დამსახურებული... დეე, ეს მსხვერ-

პლიც მუდამ განუშორებელი იყოს ჩვენი ხსოვნიდან და სისხლის ასაღებად მოგვიწოდებდეს“.[1]

შ. ჩიტაძე აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთებში: „ცნობის ფურცელი“, „შრომა“ და ჟურნალ „პედაგოგიურ ფურცელში“.

ძველი სისტემის კრიტიკა. შ. ჩიტაძე XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და XX საუკუნის პირველი წლების ქართველ პედაგოგთა მოწინავე პლეადას ეკუთვნის, რომელმაც მკაცრად გაილაშქრა განათლებისა და აღზრდის დრომოჭმული სისტემის წინააღმდეგ, პროგრესული აზრები განავითარა ახალი სკოლისა და სწავლების ახალი სისტემის შემოწმებისათვის.

შ. ჩიტაძე სასტიკად იბრძოდა ძველი სკოლის, დოგმატური სწავლების, იეზუიტური აღზრდისა და მოსწავლეთა რელიგიური წვრთნის სისტემის მოსპობისათვის. მისი შეხედულებით ბიუროკრატიულმა რეჟიმმა მთლიანად აღმოფხვრა სწავლის საქმეში სიცოცხლე, გარდაქმნა მასწავლებელი მანქანად და მოსწავლენი უბრალო მასალად, რომელსაც დაჭირავებული მუშები ამუშავებდნენ ძალთამპყრობელის სურვილისამებრ. თავისუფლება სწავლისა, პირადი შემოქმედება მასწავლებლისა გაქარწყლებულია ერთიმეორის საწინააღმდეგო ცირკულარებით, ცხოვრებასთან სრულიად შეუსაბამო პროგრამებით.

შ. ჩიტაძე მკაცრად ამხელდა ძველი სკოლის მანკიერებებს. ყაზარმულ რეჟიმს, სულისშემხუთველ ატმოსფეროს, რომელიც კლავდა ბავშვის თვითმოქმედებას, ახშობდა მის ნიჭს, თავისუფლებისაკენ ლტოლვას და დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებას.

არსებული სკოლა, მისი გაგებით, ნორჩი თაობის გონებრივი გამოფიტვის, ფიზიკური დაკნინებისა და ზნეობრივი გადაგვარების „ქარხანას“ წარმოადგენს. იგი ცარიზმის მოხელეთა „დაკვეთებს“ ასრულებს. ბიუროკრატიული მმართველობა სკოლის საშუალებით ბავშვებში უხეში ძალით ახშობს ფაქიზ ადამიანურ გრძნობებს, რათა მათგან ბურჟუაზიის ერთგული მონები აღზარდოს. მიუხედავად ამისა, შიო ჩიტაძის გამოთქმით, მარტო ბრმას შეუძლია იფიქროს, რომ შეუძლებელია დამონება თავისუფალი აზრისა, გრძნობისა, ნებისა. მართალია, ძალას შეუძლია შეაფერხოს თავისუფალი გაფურჩქნა ადამიანის აზრისა, გრძნობისა და ნებისა, შეუძლია შთაბეჭდოს მას მოშაკდინებელი სული, მაგრამ არ ძალუძს ჩააქროს, აღმოფხვრას იგი.

შ. ჩიტაძის ეს შეხედულებანი გამოხატავდა ხალხის გულისთქმას, მის რისხვას, რომელიც განათლების ძველი სისტემის დანერგვას და

[1] გაზ. „ახალი ცხოვრება“, 1906, № 14.

დემოკრატიული, თავისუფალი სკოლის შექმნას ფართო საზოგადოებრიობის უახლოეს საბრძოლო ამოცანად სახავდა.

მომავლის სკოლა, ჩიტაძის აზრით, ახალი სკოლაა. მას „ცხოვრების სკოლა“, „თავისუფალი სკოლა“, „შრომისა და შემოქმედების სკოლა“ ეწოდება. ახალი სკოლის მიზანია მისცეს მოსწავლეებს არა ყალბი, არამედ მეცნიერების ჭეშმარიტი გაგება, ბუნების, სოციალური ცხოვრებისა და ადამიანის დანიშნულების ცოდნა, რაც აუცილებელია ახალი ადამიანის შეგნებული საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის.

„პირველი და უმთავრესი მიზანი საშუალო სკოლისა ის არის, რომ მისცეს მოზარდ თაობას მინიმუმი ყოველგვარი ცოდნისა, მის ასაკს შეფერებული, რომ შეეძლოს ცნობიერად შეხედოს ადამიანთა და ბუნების ცხოვრებას“.[1] ჩიტაძე სავსებით სწორ დასკვნას იძლეოდა კარჩაკეტილ-დოგმატური სწავლებისა და უაზრო ზეპირობის ნაცვლად ახალ სკოლაში ბავშვებს უნდა მიეცეთ ნამდვილი ცოდნა ცხოვრებისა, ობიექტური სინამდვილისა, ბუნებისა და მისი განვითარების კანონების შესახებ.

„სკოლაში ბავშვმა მშვენივრად იცის, რომელ ძირითად რუსულ სიტყვებში იწერება ъ, რამდენი კანკლედობაა ქართულში, რამდენი შესანიშნავი ქალაქია ვოლოგდის გუბერნიაში, იცის, რომ ალექსანდრე მაკედონელი დაიბადა იმ ღამეს, როცა გიქმა ჰეროდოტმა გადაწვა დიანას ტაძარი და სრულიად არ იცის ის, თუ როგორი აგებულება აქვს ადამიანს, რას წარმოადგენს ლაჟვარდი ცა და მასზე ბრწყინვალე მზე, კაშკაშა მთვარე და მოციმციმე ვარსკვლავები, არ იცის რად არის ერთი უზომოდ მდიდარი და მეორე ღარიბი; არ იცის რა ხდება მის სულსა და გულში, არ იცის ბევრი რამ, რაც ყოველდღე ხდება, რაც თხოულობს მისგან გადამწყვეტ პასუხს, რაც ხდის მას თვალხილულად“.[2]

ახალი სკოლა, ახალი ადამიანის ცოდნისა და მორალური წრთობის სამჭედლოდ უნდა იქცეს. „...სკოლა მეცნიერების სამუშაო ოთახია, რომელშიც ბავშვმა უნდა შედგას ფეხი კრძალვით, გულის ცემით, ტკბილის თრთოლვით. სკოლა დედის საყვარელი გულია, რომელიც ზედ მიიკრავს, გაუხდება ამხანაგად ჭირშიც და ლხინშიც“.

მომავლის სკოლა უნდა ემსახუროს ახალგაზრდობის გონებრივ და სულიერ ამაღლებას, მოზარდი თაობის ზნეობრივ განსპეტაკებას; ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებას და კულტურულ დაწინაურებას. თავისი არსებით სკოლას არ შეუძლია ემსახუროს სხვა მიზანს, გარდა

[1] შ. ჩიტაძე, საოთავადაზნაურო სკოლის სასურველი რეორგანიზაცია (გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, № 2842).

[2] იქვე.

ერთისა — განასპეტაკოს და განავითაროს ადამიანის სული. ეს ერთადერთი მიზანი განსაზღვრავს სკოლის გარეგან მხარესა და შინაარსს. ძველ სკოლას მთავარი „იერიში“ სწორედ მოსწავლეთა „სულის“ დასაპყრობად მიჰქონდა. ამიტომ ახალი სკოლის მთავარი ამოცანა ბავშვთა „სულის“ განსპეტაკება და მათი ზნეობის ამაღლებაა.

შ. ჩიტაძე სკოლის მუშაობის გარდაქმნას ფიქრობდა სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში საჭირო ცვლილებათა შეტანის გზით. იგი მოითხოვდა სასწავლო პროგრამებიდან საღმრთო სჯულის უსარგებლო ტექსტების, ომებისა და მეფეების ისტორიის ამოღებას. მას სავსებით სამართლიანად მიაჩნდა პროგრამების განტვირთვა მოძველებული ტერმინების, გაუგებარი ცნებების, ზედმეტი მასალებისა და მეორეხარისხოვანი ცნობებისაგან და საჭიროდ მიაჩნდა მასში ახალი ცნობების შეტანა პოლიტიკური ეკონომიიდან, კულტურის ისტორიიდან, ფსიქოლოგიიდან, ფილოსოფიიდან და ბუნებისმეტყველებიდან.

შ. ჩიტაძე ახალი სკოლის მთავარ ამოცანად სახავდა ცხოვრების ახსნა-გარდაქმნისათვის საჭირო, ყოველმხრივ განვითარებისათვის აუცილებელ ცოდნა-ჩვევათა მიცემას ბავშვებისათვის. მიუხედავად ამისა, იგი კმაყოფილდებოდა სასწავლო პროგრამებსა და სასწავლო გეგმებში გარკვეული ცვლილებების შეტანით, რაც სრულიად არ ნიშნავდა სახალხო განათლების სისტემის რადიკალურად შეცვლას და სწავლა-განათლების საქმის სრული დემოკრატიზმის ნიადაგზე დამყარებას.

წიგნის პრობლემა. შ. ჩიტაძე მოსწავლეთა ზნეობრივ აღზრდაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ცხოვრების ამსახველი, ბავშვის ბუნებასთან და მის ფსიქიკურ თვისებებთან შეფარდებული წიგნების კითხვას. წიგნი, — ჩიტაძის აზრით, — მშვენიერი გამომხატველია ადამიანის გონების, აზრების, გრძნობებისა და მისწრაფებების. წიგნს შეუძლია ცოცხალი არსების მაგივრობა გაუწიოს ადამიანს.

წიგნის მნიშვნელობა დიდია არა მარტო პიროვნების ზნეობრივ წრთობაში, არამედ მისი ინტელექტუალური ძალების სრულყოფაში: „წიგნი ჯაჭვის რგოლია, რომელიც ადამიანს უერთებს მთელ სამყაროს; წიგნი დაუშრეტელი წყაროა ცოდნისა, რომელიც ტანჯვით შეიძინა კაცობრიობამ საუკუნეების მანძილზე. წიგნი სარკეა თანამედროვე და წარსულში ჩამარხულის კაცობისა; წიგნი უმდიდრესი სალაროა, საიდანაც ყველას შეუძლია ისარგებლოს; წიგნი მაგიერობას უწევს კაცის პირად დაკვირვებას, რომელიც შეზღუდულია და ცალმხრივი;... წიგნი, როგორც ცხოვრება, მრავალაზროვანია, მრავალფეროვანი გრძნობის, მრავალგვარ მისწრაფების გამომსახველი“.[1]

[1] შ. ჩიტაძე. რაგვარი წიგნებია სასურველი მოზარდი თაობისათვის (ჟურნ. „პედაგოგური ფურცელი“, 1905, № 2, გვ. 6).

ჩიტაძე მოითხოვდა სკოლებიდან უვარგისი, ცხოვრებისაგან მოწყვეტილი, ყალბი და ბავშვისათვის მეუფერებელი წიგნების განდევნას. მას მიაჩნდა, რომ „წიგნში დახატული ცხოვრება უნდა იყოს ნამდვილი და არა ფერუმარულ წასმული“. იგი დიდ აღმზრდელობით მნიშვნელობას ანიჭებდა მხატვრულ ლიტერატურას, რადგანაც მხოლოდ ასეთ ნაწარმოებებს შეუძლიათ გახდნენ მოზარდი თაობის მასწავლებლად და წინამძღვრად... „მხოლოდ ასეთი ნაწარმოებნი სტოვებენ კვალს ბავშვებზე და მხოლოდ ამგვარ კითხვას შეუძლიან შეუმუშაოს მოზარდს ზნეობრივი ხასიათი“. იგი სავსებით სწორ რჩევას იძლევა მხატვრული ლიტერატურის შერჩევითი კითხვისა და ბავშვთათვის ისეთი წიგნების მიწოდების შესახებ, რომელიც აღსაზრდელებს სწორად გააცნობს ცხოვრების ავ-კარგს, მის ხარვეზებსა და სიმშვენიერეს. „მაშინ ბავშვის გულში ჩადებული იქნება მკვიდრი საძირკველი ადამიანის საუკეთესო გრძნობებისა და მისწრაფებებისათვის“, არა მარტო თავისთვის, არამედ მთელი კაცობრიობისათვის.

ჯ. ხალხურობის პრინციპი. ჩიტაძის აზრით, სკოლა ხალხის გრძნობებისა და აზრის გამომხატველი უნდა იყოს. სკოლის ფესვები თავისი ხალხის წიაღში მარხია, მისით საზრდოობს და ვითარდება. შ. ჩიტაძე მოითხოვს ხალხურობის პრინციპის დანერგვას აღზრდაში. მისი შეხედულებით: „ხალხი და სკოლა განუცალკევებელია. სკოლა არის ერთი დიდი მხარე ხალხის ცხოვრებისა, მისგან საზრდოობს და ცოცხლობს“.

ყოველ ხალხს უნდა ჰქონდეს მისი ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულების შესაფერისი სკოლა. ასეთი სკოლა საჭიროა არა მხოლოდ „ერის ფიზიონომიის“ შესანარჩუნებლად, არამედ მოზარდ თაობაში იმ ღრმა რწმენისა და შეგნების დასანერგავად, რომ „სწავლება, განათლების მიღება უფრო ადვილია სამშობლო ენაზე“, რის უარყოფაც ბუნებისა და კანონის საწინააღმდეგო იქნებოდა. ამრიგად, ხალხური აღზრდა მაშინ ინარჩუნებს თავის ნამდვილ არსებობას, როდესაც სკოლაში ყველა საგნის სწავლება დაფუძნებულია მშობლიურ ენაზე.

ხალხურობის პრინციპი არ გამორიცხავს მსოფლიო ისტორიისა და მისი კულტურული წარსულის შესწავლას, ის გულისხმობს იმ ცოდნა-გამოცდილებათა დაუფლებას, რაც სხვადასხვა ერებს მოუპოვებიათ თავიანთ სამწერლო, ენობრივი და საგანმანათლებლო საქმის განვითარების ისტორიაში. ჩიტაძე იმ აზრს იცავს, რომ ქართველ ახალგაზრდობას მშობლიური ენის, კულტურისა და მისი ისტორიის ცოდნასთან ერთად, ევროპული მეცნიერების მონაპოვართა შეთვისებისათვის უეჭველად ესაჭიროება მდიდარი რუსული ენის, მისი მწერლობისა და კულტურის შესწავლა-დაუფლება.

„რუსული ენა მთავარია და მისი ცოდნა უნდა შეადგენდეს ....ჩვენს პირველ მოვალეობას". რუსული ენის სწავლების გაუმჯობესებისათვის ჩიტაძეს მიზანშეწონილად მიაჩნდა დაბალ კლასებში ძველი გრამატიკის კანონების უაზრო ზეპირობის ნაცვლად ე. წ. „განმარტებითი კითხვისა" და ახალი ლიტერატურის სწავლების შემოღება. ხალხურობის პრინციპზე სწავლების აგება, ჩიტაძის აზრით, მყარ ნიადაგს შექმნის მშობლიური ენის, ისტორიისა და მწერლობის განვითარებისა და დიდი რუსი ხალხის კულტურის მონაპოვართა დაუფლებისათვის.

მასწავლებელი, მისი მომზადება. ძველ სკოლაში მასწავლებელი „ლექციონურად" გაბმული გაკვეთილების „მოქადაგის" როლს ასრულებდა. იგი ცარიზმის სახელმწიფო აპარატის მოხელეებსა და ბურჟუაზიული საზოგადოების ყურმოჭრილ მონებს ამზადებდა. ახალ სკოლაში, ჩიტაძის აზრით, მასწავლებლის ტრადიციული მომზადება ახალ პედაგოგიურ მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებს. შ. ჩიტაძეს მიაჩნდა, რომ ყოველმხრივ გამართული პედაგოგიური პროცესი — მაღალ პედაგოგიურ ოსტატობას, ორგანიზებულ შრომას, მიზანდასახულ, გეგმაზომიერ მოქმედებას, მოსწავლეთა ფსიქიკური ბუნების შესწავლასა და გათვალისწინებას ემყარება. შ. ჩიტაძე მასწავლებლის „პედაგოგიურ ხელოვნებას" ყველა სხვა ხელოვნებაზე მაღლა აყენებდა.

„ყველაზე ძნელი ხელოვნება, აღზრდის ხელოვნებაში გახლავთ. აღმზრდელს იმისთანა რთულ არსებასთან აქვს საქმე, რომ საჭიროა ბუნებრივი ნიჭი, შემოქმედება და ცოდნა შეერთდნენ, რომ ცოცხალი არსება არ დამახინჯდეს და ისეთი სახე მიიღოს, რომელიც ბუნებამ ჩანერგა მის სიღრმეში".[1]

აღმზრდელის მოვალეობას, მისი შეხედულებით, წარმოადგენს ბავშვის „ბუნებრივი ნიჭის" წედომა-გაგება, „მისი სულის სიღრმეში" ბუნების მიერ „შთანერგილი" თვისებებისა და „საიდუმლოთა-საიდუმლოს" შესწავლა-გამოკვლევა, რათა აღზრდის პროცესში თავიდან იქნეს აცილებული „ცოცხალი არსების დამახინჯება".

ჩიტაძეს სწორად ესმოდა, რომ მომავალი ახალი საზოგადოების ყოველმხრივ განვითარებულ მოქალაქეთა აღზრდისათვის არ არის საკმარისი „ბუნებრივი ნიჭი" და „შემოქმედებითი უნარი". ამასთან ერთად, მათთვის აუცილებელია თანამედროვე მეცნიერებათა საფუძვლიანი ცოდნა, მაღალი კულტურა, ფართო, ყოველმხრივი განათლება და ყოველივე ამის პრაქტიკულ მოღვაწეობასთან შეერთება. პედაგოგი,

[1] შ. ჩიტაძე, სულის ცხოვრება, ჟურნ. „პედაგოგიური ფურცელი", 1905, № 5, გვ. 3.

რომელიც სხვებს ზრდის, ცოდნა-ჩვევებსა და განათლებას აძლევს, თვითონ უნდა იყოს ყოველმხრივ აღზრდილი, განათლებული და საფუძვლიანი მეცნიერული ცოდნით აღჭურვილი. „ბუნებით მოცემულ ნიჭსა და უნარს უნდა შეუერთდეს შეძენილი ცოდნა, გამოცდილება და ოსტატობა, რომელიც სწავლების პროცესში პედაგოგიური მოღვაწეობის ეფექტურობის საფუძველს წარმოადგენს. ბუნებრივი ნიჭი და შემოქმედება უფასო, მაგრამ ძვირფასი საჩუქარია ბუნებისა, და ადამიანს თან სდევს. ორივე აუცილებელი პირობაა იმისათვის, ვისაც უკისრია საძნელო საქმე აღზრდისა, მაგრამ ეს საკმაო არ არის. ბუნებრივ ნიჭს, მოქმედებას თუ არ დაურთავს ცოდნას, განცალკევებული მცირე ნაყოფს მოიტანს და აღზრდის საქმე სრულიად არ გაკეთდება. როგორც სამყოფი არა არის შემოქმედება მწერლისათვის, თუ მას ცხოვრების ცოდნა არა აქვს, მხატვრისათვის, თუ მან არ იცის ფერების შეზავება, ეგრეთ სამყოფი არ არის აღმზრდელისათვის ნიჭი და შემოქმედება, თუ მასთან ცოდნა არა აქვს".[1] შ. ჩიტაძის აზრით, საჭიროა საფუძვლიანი ცოდნა აღზრდის მეცნიერების, სასწავლო საგნების, აღსაზრდელის ბუნებისა და მისი განვითარების კანონზომიერებისა.

მასწავლებელთა ცოდნისა და გამოცდილების გასაღრმავებლად შ. ჩიტაძეს საჭიროდ მიაჩნდა ლიტერატურულ წყაროებზე ბეჭითი მუშაობა, რეფერატების საჯარო კითხვაში მონაწილეობა და მასწავლებელთა გამოცდილების ურთიერთგაზიარება. მისი აზრით, პედაგოგიურად საჭირო და მიზანშეწონილია: „...მასწავლებლები დროგამოშვებით ეწერებოდნენ ამხანაგების სამაგალითო გაკვეთილებს და პრაქტიკულად ეცნობოდნენ სწავლების სისტემასა და მეთოდებს". მასწავლებლები ამ გზით გაიღრმავებენ ცოდნას და წინ წასწევენ მოსწაელეთა სწავლებისა და აღზრდა-განათლების საქმეს.

ინტერესის განვითარება. ძველი სკოლის ინერტული მასწავლებლებისა და „მკვდარი სიტყვის" მედავითნეებისაგან განსხვავებით, შ. ჩიტაძე ახალი სკოლისათვის მოითხოვდა ცოცხალი, შემოქმედი, აქტიური, საგნისა და ბავშვის ბუნების საფუძვლიანად მცოდნე, თავის საქმეში დახელოვნებული პედაგოგების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ ახალი დროის შესაფერისი მოქალაქეების — გონებრივად განვითარებული, ფიზიკურად ძლიერი, ზნეობრივად სპეტაკი, შრომისმოყვარე, ესთეტიკური გრძნობით გამსჭვალული ახალი ადამიანების აღზრდას.

მოსწავლეებში მთავარია სწავლის ინტერესის გამოწვევა. ინტერე-

[1] ჟურნ. „პედაგოგიური ფურცელი", 1905, № 5, გვ. 3-7.

სი პედაგოგიური მუშაობის წარმატების საწინდარია, რის გარეშეც ცოდნის შეძენის პროცესი იძულებით ხასიათს იღებს და მოსწავლეთა მომზადების დონეზე უარყოფითად მოქმედებს. სწავლაში, როგორც ფსიქოლოგიურად განსაზღვრულ ქცევის ფორმაში, ნებელობა და ინტერესი ურთიერთხელშემწყობ ფაქტორებს წარმოადგენენ. ინტერესის გამოწვევისათვის ცოდნის გარკვეული მინიმუმია საჭირო. რაიმეს სწავლა გარკვეულ მიზანთან არის დაკავშირებული, რაც მოქმედების გარკვეულ ინტერესს წარმოშობს.

თუ კარგად სწავლება, ყოველმხრივ გამართული გაკვეთილები ხელს უწყობენ ცოდნის ღრმად შეთვისებას, — ღრმა ცოდნა ინტერესს აღძრავს მოსწავლეებში ახალი ცოდნის შესაძენად. ინტერესის აღძვრა ბავშვებში მასწავლებლისათვის არ უნდა წარმოადგენდეს თვითმიზანს, რომელიც ზოგჯერ პედაგოგიური მიზნის განხორციელების პროცესში გადაულახავ დაბრკოლებად იქცევა.

„მასწავლებელი იმას კი არ უნდა ცდილობდეს, რომ როგორმე, რაიმე ხერხით გაუღვიძოს მოსწავლეებს ინტერესი, არამედ იმას, რომ შექმნას მის სულში მთელი რიგი ასოციაციებისა, რომელნიც თვით გახდიან საინტერესოდ ახალ ცნობებს“.[1]

თუ ინტერესის აღძვრა მოსწავლეებში სწავლების ხარისხის ამაღლების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა, იმავე დროს, თვით ინტერესი სწავლების წინაპირობაა და მისი შედეგიც.

ამიტომ მასწავლებელი თავის აღსაზრდელებში ინტერესის გაძლიერების ფაქტს უნდა განიხილავდეს, არა როგორც მხოლოდ სწავლის ხარისხის ამაღლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს, არამედ როგორც ამ უკანასკნელის განვითარების შედეგსაც.

სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში წამყვანი ძალა მასწავლებელია. „ობიექტურად ძვირფას ინტერესთა შემუშავებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის ნიჭს, უნარს, და დახელოვნებას, მის უნარიან პედაგოგიურ ზემოქმედებას“.

სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების კავშირი. ჩიტაძის აზრით, ბავშვთა ყოველმხრივ განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების შეერთებულ მოქმედებას, მათი კავშირის განმტკიცებას. გარდა ამისა, უნდა მოიხსნას ის დაპირისპირებაც, რომელიც სკოლასა და ცხოვრებას შორის არსებობს. „სკოლა მაშინ იქნება ნაყოფიერი და სწავლა საინტერესო, როდესაც იგი არ დაშორდება ცხოვრებას; როდესაც ბავშვის სწავლა-აღზრდის საქმეში მიიღებენ გულმხურვალე მონაწილეობას მასწავლებელნიც, ოჯახიც და

[1] ჟურნ. „პედაგოგიური ფურცელი“, 1905, № 3, გვ. 1.

საზოგადოებაც. ვეცადოთ ამგვარი სკოლა მალე შევქმნათ“.[1] ჩიტაძეს უნდოდა ისეთი სკოლის შექმნა, რომელიც განამტკიცებდა კავშირს სასწავლებელსა, ოჯახსა და ცხოვრებას შორის.

სკოლასა და ცხოვრებას შორის კავშირის უქონლობა, ოჯახისა და საზოგადოების გულგრილი დამოკიდებულება სკოლის ცხოვრებისადმი, სკოლის იზოლირება საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებისაგან, რაც გაბატონებული ფენის ინტერესებს შეესაბამებოდა, აღრმავებდა სკოლას, ოჯახსა და საზოგადოებას შორის არსებულ გათიშვას. სკოლისა და ცხოვრების ამგვარი გათიშვის წინააღმდეგ ილაშქრებდა შ. ჩიტაძე, რომელიც სასკოლო აღზრდის სისტემის გარდაქმნით, აღზრდა-განათლების შინაარსში საჭირო ცვლილებების შეტანით, სწავლების პროცესის ცხოვრების პრაქტიკასთან დაკავშირებით და მშობლიურ ენაზე სწავლების მოწყობით ფიქრობდა ქართველი ერის კულტურულ დაწინაურებას, ცხოვრებისათვის მომზადებული ახალი თაობის აღზრდას.

თავისი იდეოლოგიური მრწამსის მიუხედავად, დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის — შ. ჩიტაძის პედაგოგიურ შეხედულებებს დღესაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ყოველმხრივ განვითარებული მოზარდი თაობის აღზრდა-მომზადების საქმეში.

[1] შ. ჩიტაძე, ინტერესი სწავლაში (ჟურნ. „პედაგოგიური ფურცელი“, 1905, № 3).

თავი მეთოთხმეტე

სკოლა და პედაგოგიკა საბჭოთა საქართველოში

1921—1941 წლებში

საბჭოთა სახალხო განათლების სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება 1921-1931 წლებში

პირველი მსოფლიო ომისა და საქართველოში მენშევიკური ხელისუფლების არსებობის წლებში (1914-1921 წწ.) სახალხო განათლების განვითარება დიდად შეფერხდა. თუმცა ამ პერიოდში სკოლების რიცხვი რამდენადმე გაიზარდა, მაგრამ ნომინალურად არსებული სკოლების დიდი ნაწილი ფაქტიურად არ მუშაობდა. მოქმედი სკოლები სრულიად არანორმალურ პირობებში იყო. ძველი სასკოლო შენობები დაზიანდა, სკოლები არ იყო უზრუნველყოფილი დგამ-ავეჯით, სასწავლო ნივთებით, სასწავლო ხელსაწყოებით, გათბობა-განათებით, მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობა აუტანელი იყო.

1920-1921 სასწავლო წელს საქართველოში სულ 100-მდე საშუალო სკოლა არსებობდა. მათი უმეტესი ნაწილი კერძო პირებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელში იყო. საქართველოში არსებული ვაჟთა 51 გიმნაზიიდან სახელმწიფო ბიუჯეტზე ირიცხებოდა მხოლოდ 28.

სკოლების ეს ქსელი სრულებითაც ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას. სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა დიდი ნაწილი მოკლებული იყო განათლების მიღების საშუალებას.

საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში სახალხო განათლების დარგში თავის პირველ ამოცანად დაისახა არსებული სკოლების აღდგენა, ახალი სკოლების გახსნა და ყველა სასკოლო ასაკის ბავშვის ჩაბმა სწავლებაში. დაუყოვნებლივ გადაიდგა ამ მიმართულებით სათანადო ნაბიჯები, დაისახა და გატარდა რადიკალური ღონისძიებანი.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებული ენერგიული ზომების შედეგად დაიწყო სკოლების ქსელისა და მოსწავლეთა კონტინგენტის სწრაფი ზრდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველი ათი წლის განმავლობაში (1921 წლიდან 1931 წლამდე) სკოლების ქსელსა და მოსწავლეთა კონტინგენტში საგრძნობი ცვლილებები მოხდა.

სკოლების საერთო რაოდენობა გაიზარდა 2,6-ჯერ, ხოლო მოსწავლეთა რაოდენობა 2,8-ჯერ. 1921 წლიდან 1931 წლამდე საქართველოში გაიხსნა 2802 ახალი სკოლა.

ცხადია, რომ სკოლების ქსელის სწრაფი ზრდა, ძველი სკოლების აღდგენა და ახალი სკოლების გახსნა მოითხოვდა სათანადო სასწავლო მატერიალური ბაზის შექმნას, მასწავლებელთა კადრების მომზადებას, მოსწავლეთა უზრუნველყოფას სახელმძღვანელოებითა და სხვა სასწავლო ნივთებით, რიგ შემთხვევაში კონსერვატიზმისა და კლასობრივი მტრების გააფთრებულ წინააღმდეგობათა დაძლევასაც.

საჭირო იყო ნამდვილ დემოკრატიულ საფუძველზე აგებული ახალი სკოლის შექმნა იმ ახალი სოციალ-პოლიტიკური ვითარების შესაბამისად, რომელიც შეიქმნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას. აუცილებელი იყო სკოლის გარდაქმნა კლასობრივი ჩაგვრის იარაღიდან კლასობრივი ბატონობის მოსპობის იარაღად, მისი დაქვემდებარება სოციალიზმის მშენებლობის ამოცანებისადმი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე მიიღო საჭირო ზომები ყველა ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადასაწყვეტად. შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა „მთლიანი შრომის სკოლის დებულება“, რომლითაც განისაზღვრება საბჭოთა სახალხო განათლების სისტემის პრინციპული საფუძვლები. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას ეწოდა „სოციალური აღზრდის მთლიანი შრომის სკოლა“. მის ამოცანად დასახულ იქნა სოციალისტური რესპუბლიკის მომავალი მოქალაქის აღზრდა; სწავლების ხასიათი განისაზღვრა, როგორც „საერთო განმანათლებლური და პოლიტექნიკური“. ამასთან ერთად, სკოლაში სათანადო ადგილი დაეთმო ფიზიკურ და ესთეტიკურ აღზრდას. სკოლის მთელი ცხოვრების საფუძვლად გამოცხადებულ იქნა შრომა. სკოლაში სიარული ყველა ბავშვისათვის სავალდებულოდ იქნა აღიარებული; გაუქმდა სასწავლო გადასახადი, შემოღებულ იქნა ქალ-ვაჟთა ერთად სწავლება, აიკრძალა ყოველგვარი სარწმუნოებრივი ხასიათის სწავლება და საეკლესიო წესების აღსრულება სკოლაში.

ჯერ კიდევ ამ დებულების დამტკიცებამდე მიიღეს სათანადო ზომები სკოლების მთლიანი ნაციონალიზაციის გასატარებლად ყველა ნაცუმცირესობათა რაიონში. გამოიცა დეკრეტი ეკლესიის სახელმწიფოსაგან და სკოლის ეკლესიისაგან გამოყოფის შესახებ.

ამრიგად, 1921 წელს, სულ რამდენიმე თვის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლებამ შეძლო გადაეჭრა სახალხო განათლების აგების ყველა ის ძირითადი პრინციპული საკითხი, რაც დიდი ხნის განმავლობაში ბრძოლის საგანს შეადგენდა და რასაც მშრომელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვდა. შეიქმნა ბოლომდე დემოკრატიუ-

ლი სახალხო განათლების სისტემა. სკოლა ამიერიდან ჩაყენებულ იქნა ხალხის სამსახურში.

საბჭოთა სახალხო განათლების სისტემამ, რომელიც 1921-22 სასწავლო წელს ჩამოყალიბდა, შემდეგი წლების განმავლობაში რიგი ცვლილებები განიცადა და 1931-32 სასწავლო წლისათვის ასეთი სახე მიიღო:

ა) დაწყებითი სკოლა სწავლების 4-წლიანი კურსით;

ბ) 7-წლიანი შრომის სკოლა,

გ) 9-წლიანი შრომის სკოლა განხრით რომელიმე სპეციალობაში, და ტექნიკუმები. სწავლების 3-წლიანი კურსით.

ახალი ამოცანები, რომლებიც სკოლის წინაშე დაისახა, და ის ახალი პრინციპული საფუძვლები, რომლებზეც საბჭოთა სახალხო განათლების სისტემა აიგო, მოითხოვდა სწავლების შინაარსის, ფორმებისა და მეთოდების შეცვლას. ამ მიმართულებით დიდი მუშაობა ჩატარდა ჯერ კიდევ 1921 წელს. სექტემბრისათვის სკოლებმა უკვე მიიღეს პირველი საბჭოთა სასწავლო გეგმები და პროგრამები. ამავე დროს მიმდინარეობდა ახალი სახელმძღვანელოების შედგენა და ძველი სახელმძღვანელოების საფუძვლიანი გადამუშავება.

ქართული საბჭოთა რვაწლიანი შრომის სკოლის პირველი სასწავლო გეგმა, დამტკიცებული 1921 წელს, შემდეგი სახისა იყო.

საგნები	კლასები								
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	სულ
ქართული ენა	5	5	5	4	4	3	3		29
რუსული ენა	—	—	4	3	3	3	3		16
უცხო ენა	—	—	—	4	3	3	3		13
ისტორია	—	—	—	2	3	3	3		11
არითმეტიკა	5	5	4	3	3	2	2		24
გეომეტრია	—	—	—	2	2	2	2		8
ფიზიკა	—	—	—	—	—	2	2		4
ბუნებისმეტყველება	3	3	3	3	3	3	3		21
გეოგრაფია	—	2	2	2	2	2	2		12
თამაში და ფიზიკური ვარჯიში	2	2	2	2	2	2	2		14
სიმღერა	2	2	2	2	2	2	2		14
ხელგარჯილობა	2	2	2	2	2	2	2		14
ხატვა	2	2	2	2	2	2	2		14
საბავშვო ბაღის პროგრამით	21	23	26	31	31	31	31		194

რვაწლიანი შრომის სკოლის გაგრძელებას, საბჭოთა სკოლის არსებობის პირველ წლებში, წარმოადგენდა ჰუმანიტარული ტექნიკუმი, რომელიც შედგებოდა ოთხი კლასისაგან. ტექნიკუმის სასწავლო გეგმაში, გარდა ზოგადი განათლების საგნებისა, შეტანილი იყო სპეციალური სასწავლო დისციპლინები: პოლიტიკური ეკონომია, საბჭოთა აღმშენებლობის ძირითადი საფუძვლები, ფინანსური სამართლის ელემენტარული კურსი, სტატისტიკა, კომერციული არითმეტიკა, შრომისა და კოოპერაციის ისტორია, სავაჭრო საქონლის ცოდნა, ბუხჰალტერია, საქმის წარმოება, კომერციული კორესპონდენცია და სხვ.

ჰუმანიტარული ტექნიკუმები არსებობდა სულ 3-4 წლის განმავლობაში. ისინი გარდაიქმნა ცხრაწლიანი შრომის სკოლებად. ამასთან დაკავშირებით, ერთი წლით შემცირდა სწავლების ხანგრძლივობა რვაწლიან სკოლებში და ჩამოყალიბდა შვიდწლედი.

შვიდწლედის უფროსი კლასებისა და ცხრაწლედის VIII-IX კლასების სასწავლო გეგმა 1925-1926 სასწავლო წლებში ასეთი იყო:

საგნები	7 წლედი			9 წლედი		ს უ ლ
	V კლ.	VI კლ.	VII კლ.	VIII კლ.	IX კლ.	
ქართული ენა	4	3	3	4	3	17
რუსული ენა	3	3	3	3	3	15
უცხო ენა	4	3	3	3	3	16
არითმეტიკა-ალგებრა	4	3	3	—	—	10
გეომეტრია	2	2	2	—	—	6
მათემატიკა	—	—	—	5	6	11
ფიზიკა	—	2	2	3	3	10
მუშათა მოძრაობის ისტორია	—	—	—	—	2	2
ბუნებისმეტყველება და ჰიგიენა	3	3	3	—	—	9
ქიმია	—	—	—	2	2	4
გეოგრაფია	2	2	2	2	2	10
ეკონომიური გეოგრ.	—	—	—	—	3	3
პოლიტიკური ანბანი	—	—	—	2	—	2
საბჭოთა აღმშენებ.	—	—	—	—	2	2
პოლიტეკონომია	—	—	—	—	2	2
საზმცოდნეობა	3	3	3	4	3	16
წარმოებითი ბიოლოგია	—	—	—	2	2	4
ჰიგიენა	—	—	—	2	—	2
შრომის ისტორია	—	—	—	2	2	4
ფიზიკური მომზადება	2	2	2	2	—	8
ხატვა	2	2	2	—	—	6
სიმღერა	2	2	2	—	—	6
პრაქტიკული მუშაობა სახელოსნოში	7	8	8	—	—	23
ს უ ლ	38	38	38	36	38	188

ამრიგად, როგორც ვხედავთ, საბჭოთა სკოლის სასწავლო გეგმა არსებითად განსხვავდება ძველი სკოლის სასწავლო გეგმისაგან. სასწავლო გეგმიდან მთლიანად და საბოლოოდ ამოღებულია საღვთო სჯული და ძველი ენები (ლათინური და ბერძნული). მათ ნაცვლად, სწავლების კურსში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი საბუნებისმეტყველო დისციპლინებს. წინათ ბუნებისმეტყველება შეკვეცილი სახით ისწავლებოდა და ისიც მხოლოდ დაბალ კლასებში. საბჭოთა სკოლაში ბუნებისმეტყველება ერთ-ერთ ძირითად საგნად აღიარეს და მას გამოეყო საათების საკმაო რაოდენობა. სწავლების კურსში შეიტანეს ქიმია, გადიდდა საათები ფიზიკა-მათემატიკურ დისციპლინებში. ცალკე საათები გამოეყო ფიზკულტურას, სიმღერას, ხელგარჯილობას, ხატვას. ნაციონალურ სკოლებში, კერძოდ ქართულ საბჭოთა სკოლაში მოსწავლეთა მშობლიური ენა სწავლების კურსში შეიტანეს, როგორც ძირითადი სასწავლო დისციპლინა. ბუნებრივია, რომ ქართულ საბჭოთა სკოლაში საათების გარკვეული რაოდენობა გამოეყო რუსულ ენასაც.

საშუალო სკოლის მაღალი კლასების სასწავლო გეგმაში გარკვეული ადგილი დაეთმო ისეთ სასწავლო საგნებსაც, როგორიცაა — საზოგადოებათმცოდნეობა, პოლიტეკონომია, საბჭოთა აღმშენებლობა, შრომის ისტორია, პოლიტიკური ანბანი და სხვ. ცხადია, რომ ასეთი საგნების შეტანა სწავლების კურსში მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის, მათში მარქსისტული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საქმეს ემსახურებოდა.

საერთოდ, საბჭოთა სკოლის სასწავლო გეგმა თავიდანვე ისე იყო შედგენილი, რომ იგი ითვალისწინებდა მოსწავლეთა ყოველმხრივ განვითარებას, მათ შეიარაღებას, როგორც საბუნებისმეტყველო, ისე საზოგადოებრივ მეცნიერებათა დისციპლინების საფუძვლიანი ცოდნით.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ამ პერიოდის სასწავლო გეგმას ღნიშვნელოვანი ნაკლიც ჰქონდა. იგი გადატვირთული იყო საზოგადოებათმეცნიერების დისციპლინებით. ამავე დროს საათების საკმაო რაოდენობა არ იყო გამოყოფილი ქართულ და რუსულ ენასა და ლიტერატურაში და აგრეთვე ზოგიერთ სხვა საგანში. არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს ისიც, რომ სამოქალაქო ისტორია შეცვლილი იყო საზოგადოებათმცოდნეობით, მუშათა მოძრაობისა და შრომის ისტორიით. პრაქტიკულ მუშაობას სახელოსნოებში ზედმეტად დიდი დრო ეთმობოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ 1921-1931 წლებში სკოლის სტრუქტურა, სწავლების ხანგრძლივობა, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მიზანდასახულობა და ამოცანები ხშირად იცვლებოდა. იცვლებოდა აგრეთვე საშუალო, არასრული საშუალო და დაწყებითი სკოლების სასწავლო გეგმები და პროგრამებიც. ტარდებოდა სკოლების რეფორმა. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან მოვლენებს ჰქონდა ადგილი 1926-1930 წლებში. 1926 წლიდან დაიწყო სოფლის შვიდწლიანი შრომის სკოლების გარდაქმნა სოფლის ახალგაზრდობის სკოლებად. ცოტა უფრო გვიან დაიწყო ქალაქებში არსებული სკოლების გარდაქმნა. 1930-31 სასწავლო წლისათვის ეს რეორგანიზაცია, რასაც არსებითი ცვლილებები შეჰქონდა სკოლის შინაგან წყობასა და მუშაობაში, ძირითადად დამთავრდა. ბუნებრივია, ამ რეფორმირებულ შვიდწლიან სკოლებში საკმაოდ დიდი ადგილი დაეთმო სპეციალურ სასწავლო დისციპლინებს. შესაბამისად, შემცირდა საათები ზოგადსაგანმანათლებლო საგნებში.

სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისათვის ადგილობრივი პირობების მიხედვით, სპეციალურ საგნებად ითვლებოდა მემინდვრეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა, მევენახეობა, მესაქონლეობა და ა. შ., საფაბრიკო-საქარხნო სკოლებისათვის სპეციალობა განისაზღვრებოდა იმ ფაბრიკის ან ქარხნის პროფილის მიხედვით, რომელზედაც სკოლა იყო მიმაგრებული.

რეორგანიზებული შვიდწლიანი სკოლების სასწავლო გეგმა 1930-1931 სასწავლო წელს ასეთი იყო:

საგნები	საქარხნო-საფაბრიკო შვიდწლედი				სოფლის ახალგაზრდობის სკოლა			
	V კლ.	VI კლ.	VII კლ.	სულ 5-7	V კლ.	VI კლ.	VII კლ.	სულ 5-7
ქართული ენა	6	6	6	18	5	5	5	15
რუსული ენა	5	5	5	15	5	5	5	15
საზოგადოებათმცოდნ.	5	5	5	15	5	5	5	15
მათემატიკა	7	7	6	20	5	5	5	15
ფიზიკა	4	4	5	13	4	4	4	12
ქიმია	—	4	4	8	3	3	3	9
ბუნებისმეტყველება	4	4	4	12	4	3	3	10
გეოგრაფია	3	2	2	7	3	3	3	9
ფიზკულტურა	3	3	3	9	3	3	3	9
შესიყა-სიმღერა	2	2	2	6	—	—	—	—
ხატვა-ხაზვა	2	2	2	6	—	—	—	—
სპეციალური საგნები	13	13	13	39	18	19	29	57
სულ	54	57	58	169	55	55	56	166[1]

შვიდწლიანი სკოლების გარდაქმნასთან ერთად საშუალო სკოლების მაღალ კლასებში ტარდებოდა ერთგვარი სპეციალიზაცია. ყოველ

[1] საათების ეს რაოდენობა გათვალისწინებულია რვა სამუშაო დღეზე.

საშუალო სკოლას ეძლეოდა განხრა (სასოფლო-სამეურნეო, ინდუსტრიული, პედაგოგიური, კოოპერაციული და ა. შ.) და ეკისრებოდა საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადება.

ამრიგად, ოციანი წლების მეორე ნახევარში VI-IX (X) კლასებს ეძლეოდა პროფესიული მიმართულება. ამასთან დაკავშირებით, იკვეცებოდა საათები ზოგადსაგანმანათლებლო საგნებში. სკოლას ეკისრება მისცეს მოსწავლეებს ზოგადი განათლება და ამავე დროს მოამზადოს ისინი თეორიულად და პრაქტიკულად მეურნეობისა და კულტურის ამა თუ იმ დარგში სამუშაოდ. ამასთან დაკავშირებით, მოსწავლეთა ყოველდღიური სასწავლო დატვირთვა დიდად იზრდებოდა. ცხადია, რომ აქ ადგილი ჰქონდა აშკარა დამახინჯებებს. ეს დამახინჯება ნაადრევ სპეციალიზაციაში მდგომარეობდა, რაც ეწინააღმდეგებოდა მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას აღზრდის, სწავლებისა და განათლების შესახებ.

ოციან წლებში დიდი მუშაობა ტარდებოდა სასწავლო პროგრამების შედგენის დარგშიც. საბჭოთა სკოლა ახალ პროგრამებს მოითხოვდა, რომელიც დაემყარებოდა მარქსისტულ-ლენინურ იდეურ საფუძველს და შეფარდებული იქნებოდა მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის მიზნებთან და ამოცანებთან. ცხადია, ასეთი პროგრამების შედგენა მეტად რთული საქმე იყო და დიდ დროს მოითხოვდა. მიუხედავად ამისა, განათლების ხელმძღვანელმა ორგანოებმა მაინც შეძლეს ახალი პროგრამების შედგენა, დამუშავება და სკოლებისათვის მიწოდება. ამ პროგრამების მთავარი ღირსება იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი თავისუფალი იყო რელიგიისა და მისტიციზმის გავლენისაგან, ითვალისწინებდა მოსწავლეთა შეიარაღებას ნამდვილი მეცნიერული ცოდნით, პრაქტიკასთან, ცხოვრებასთან, სახალხო მეურნეობის განვითარებასთან მტკიცე კავშირში.

მიუხედავად ამისა, ოციან წლებში, განსაკუთრებით ოციანი წლების მეორე ნახევარში, სასწავლო პროგრამებს სერიოზული შეცდომებიც ახასიათებდა. ჰუმანიტარულ საგნებში ეს შეცდომა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიხატა გადაჭარბებულ სოციოლოგიზმში. კერძოდ, ისტორია საზოგადოებათმცოდნეობით შეიცვალა, ლიტერატურის პროგრამას სოციოლოგიზმის პრინციპი დაედო საფუძვლად.

ოციანი წლების სასწავლო პროგრამების თავისებურებას შეადგენდა აგრეთვე ე. წ. „კომპლექსური სისტემა“ და „პროექტთა მეთოდი“. აუცილებლად იყო აღიარებული ცალკე სასწავლო დისციპლინის სწავლების შეცვლა კომპლექსური თემებით. ყოველი კომპლექსის ძირითად თემად ითვლებოდა შრომა, ბუნება, საზოგადოება. აქედან, მთავარ საწყისად შრომა იყო აღიარებული. კომპლექსურ თემაზე მუშაობის

პროცესში მოსწავლეები ეცნობოდნენ და სწავლობდნენ არა სასწავლო დისციპლინას, არამედ ადამიანის შრომა-საქმიანობას, ბუნებასა და საზოგადოებას. ობიექტური სინამდვილე შეისწავლებოდა კომპლექსურად, შერწყმულად, როგორც მთლიანი. კომპლექსზე მუშაობის პროცესში მასწავლებლებს უნდა ჩაეტარებინათ ექსკურსიები, მოსწავლეთა პრაქტიკული მეცადინეობა, საზოგადოებრივ სასარგებლო შრომა, უზრუნველეყოთ სქემებისა და დიაგრამების შედგენა, სურათების ხატვა, წერითი მუშაობა, გაზომვის, გამოთვლისა და გამოანგარიშებათა წარმოება, დაკვირვება, ცდები, დრამატიზაცია-ინსცენირება, მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა და ა. შ. სახელმძღვანელოებსა და სხვა ლიტერატურული მასალის კომპლექსზე მუშაობის დროს იყენებდნენ იმდენად, რამდენადაც ამას კომპლექსური თემა მოითხოვდა.

კომპლექსური სისტემით მუშაობა გამორიცხავდა სასწავლო დისციპლინის გარკვეული სისტემითა და თანმიმდევრობით სწავლებას. სასწავლო საგანი ითქვიფებოდა კომპლექსურ თემაში. ასეთ პირობებში მოსწავლეთა შეიარაღება მეცნიერებათა საფუძვლების ცოდნით ძნელი აღმოჩნდა. პრაქტიკულად მოუხერხებელი გახდა მშობლიური და რუსული ენების, არითმეტიკის და ზოგიერთი სხვა საგნის მთლიანად ჩართვა კომპლექსში.

კომპლექსური სისტემით სწავლების იდეამ თავისი შემდგომი განვითარება ჰპოვა, ე. წ. „პროექტთა მეთოდში“. კომპლექსური სისტემით მუშაობა სკოლებში ინერგებოდა 1923-24 სასწავლო წლიდან. პროექტთა მეთოდის საფუძველზე შედგენილი პროგრამები 1931 წელს დაეგზავნა სკოლებს. პროექტთა მეთოდის მიხედვით, მოსწავლეთა სწავლება უნდა ჩატარებულიყო არა კლასში, გაკვეთილებზე, არამედ პრაქტიკული შრომა-საქმიანობის, აქტიური შემოქმედებითი მუშაობის პროცესში. ამ სისტემით მუშაობა გულისხმობდა მთელი სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის გადატანას ფაბრიკებში, ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საამქროებსა და საწარმოო ბრიგადებში, მთელი სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის საფუძვლად გამოცხადებული იყო შრომა, პრაქტიკული საქმიანობა.

ამ მცდარმა პედაგოგიურმა კონცეფციამ პედაგოგ-თეორეტიკოსთა და სახალხო განათლების ხელმძღვანელ მუშაკთა ერთი ნაწილი მიიყვანა სკოლის კვდომის, მისი გაუქმების ანტილენინურ თეორიამდე. ამ მიმდინარეობის იდეოლოგთა გაგებით, მოზარდ თაობას ზრდის თვით ცხოვრება, საზოგადოებრივ შრომა-საქმიანობაში მონაწილეობა, პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები, პროფესიული კავშირები, კინო, რადიო, გაზეთი, ჟურნალი, ფაბრიკა, ქარხანა, კოლმეურნეობა

და საბჭოთა მეურნეობა. ასეთ ვითარებაში სკოლა ზედმეტი ატრიბუტია. იგი უნდა გაუქმდეს. არსებითად, ამ თეორიის პრაქტიკაში დანერგვისა და ცხოვრებაში გატარების საქმეს ემსახურებოდა პროექტთა მეთოდი და რიგი სხვა ღონისძიება, რაც ამ პერიოდში ტარდებოდა სახალხო განათლების დარგში.

მოსწავლეთა პრაქტიკულ შრომა-საქმიანობაში ჩაბმის, სწავლებაში თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის, ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების იდეა მართებულია და მისაღები, მაგრამ მიუხედავად ამისა, „პროექტთა მეთოდის“ შემოღება და შრომა-საქმიანობის აღიარება სწავლისა და აღზრდის საფუძვლად, გაუმართლებელია. პედაგოგიური თვალსაზრისით მიუღებელია აგრეთვე კომპლექსური სისტემით მუშაობა, გაკვეთილების შეცვლა ბრიგადულ-ლაბორატორიული მეთოდით, სოციოლოგიზმით გატაცება. ყოველივე ეს აქვეითებდა სწავლა-აღზრდის ხარისხს სკოლაში. ამის შედეგად ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ სკოლა ვერ აიარაღებდა მოსწავლეებს მეცნიერებათა საფუძვლების ცოდნით, ვერ ამზადებდა მათ ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად. ეს კი აფერხებდა მაღალი კვალიფიკაციის კადრების მომზადებას, მეცნიერების წინსვლას, ქვეყნის კულტურულ აღმავლობას.

მიუხედავად ამისა, საბჭოთა სკოლა გაცილებით უფრო ფართო ზოგად მომზადებას აძლევდა მოსწავლეებს, ვიდრე რევოლუციამდელი სკოლა. სწავლებაში საკმაოდ დიდი ადგილი ეჭირა შრომითი აღზრდისა და მოსწავლეთა პრაქტიკული შრომა-საქმიანობისათვის მომზადებას. ამასთანავე სკოლაში საპატიო ადგილი დაიკავა ფიზიკურმა და ესთეტიკურმა აღზრდამ, პრაქტიკაში დაინერგა სწავლების აქტიური მეთოდები (ექსკურსია, ლაბორატორიული მუშაობა, წიგნზე და სხვა სასწავლო მასალაზე დამოუკიდებელი მუშაობა და ა. შ.), განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მოსწავლეთა კოლექტივის ორგანიზაციასა და აღზრდას, ფართოდ გაიშალა კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა.

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ათი წლისთავისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში შეიქმნა დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო ტიპის სასწავლო დაწესებულებათა ფართო ქსელი. ჩამოყალიბდა სახალხო განათლების ახალი სისტემა, რომელიც აგებული იყო სრულიად ახალ პრინციპულ საფუძველზე; სკოლებში სწავლება მიმდინარეობდა სრულიად ახალი შინაარსით, ფორმებითა და მეთოდებით. განუზომლად დიდი და მნიშვნელოვანი იყო ის მიღწევები, რაც საბჭოთა საქართველომ მოიპოვა სახალხო განათლების დარგში.

სახალხო განათლების განვითარება 1931-1941 წლებში. 1930-31

წლიდან ახალი პერიოდი დაიწყო სახალხო განათლების განვითარების ისტორიაში. ამ პერიოდისათვის ჩვენი ქვეყნის სოციალურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან ცვლილებებს ჰქონდა ადგილი. დამთავრდა აღდგენითი პერიოდი. საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით ახორციელებდა სოციალისტური მშენებლობის პირველ ხუთწლიან გეგმას. აშენდა მრავალი ფაბრიკა და ქარხანა, აღდგენილი და რეკონსტრუირებული იქნა ძველი საწარმოები, ლიკვიდირებული იქნა კაპიტალისტური ელემენტები მრეწველობასა და ვაჭრობაში. წარმატებით განხორციელდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. დიდ აღმავლობას ჰქონდა ადგილი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაშიც, მთელი საქართველო დაიფარა კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებათა ქსელით. გაიშალა ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის სრული ლიკვიდაციისათვის.

საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი პირობები და ვითარება, გრანდიოზული ამოცანები, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დასახეს მეურნეობისა და კულტურის განვითარების სფეროში, დღის წესრიგში აყენებდა მთელი სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნისა და შემდგომი განვითარების საკითხს. საჭირო იყო სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებათა ქსელის კიდევ უფრო ფართოდ გაშლა, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარება დაწყებითი სკოლის ფარგლებში, შვიდწლიან საყოველთაო სწავლებაზე თანდათანობით გადასვლა, საშუალო სკოლის განმტკიცება, ახალი უმაღლესი სკოლების გახსნა და სხვა.

ამ საკითხთა შორის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განსაკუთრებული ზრუნვის საგანს შეადგენდა, პირველ ყოვლისა, საყოველთაო-სავალდებულო სწავლება.

საბჭოთა მთავრობამ საქართველოში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარების საკითხი თავისი არსებობის პირველსავე წელს დააყენა. „მთლიანი შრომის სკოლის დებულებაში“, რომელიც 1921 წელს დაამტკიცეს, დაწყებითი განათლება ყველასათვის სავალდებულო იყო, მაგრამ მისი პრაქტიკულად გატარება შეუძლებელი გახდა. არ იყო სკოლების საკმაო რაოდენობა, არ არსებობდა სათანადო სასწავლო-მატერიალური ბაზა, სახელმძღვანელოები, მასწავლებელთა კადრები და სხვა. გარდა ამისა, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარება სასტიკ წინააღმდეგობას ხვდებოდა მტრული ელემენტებისა და საზოგადოების ჩამორჩენილი ფენების მხრივ, რომლებიც ჯერ კიდევ ცრურწმენისა და ძველ, დრომოჭმულ შეხედულებათა ტყვეობაში იმყოფებოდნენ.

მიუხედავად ამისა, საქართველოში საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი სწავლების გატარებისათვის სამზადისი 1921 წლიდანვე დაიწყო. ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა სკოლების ქსელის სწრაფ ზრდაში, ახალი სასკოლო შენობების მშენებლობაში, მასწავლებელთა კადრების მომზადებაში და ა. შ. 1929 წელს დაამტკიცეს საკანონმდებლო წესით საყოველთაო-დაწყებითი სწავლების შემოღების გეგმა.

1928-29 სასწავლო წელს დაიწყო საყოველთაო-სავალდებულო სწავლების პრაქტიკულად განხორციელება ქალაქებსა და ზოგიერთ მაზრაში. 1932-33 სასწავლო წლისათვის საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი სწავლება ძირითადად უკვე გატარებული იყო მთელ საქართველოში. ამ დროისათვის სკოლებში ირიცხებოდა 8-11 წლის ასაკის 287865 ბავშვი. I-IV კლასებში სწავლობდა 368983, ე. ი. I-IV კლასებში სწავლობდა 81118 მოსწავლით მეტი, მიუხედავად მათი ასაკობრივი განსხვავებისა. ეს იმით აიხსნება, რომ I-IV კლასებში ბევრი ასაკგადასული (12-15 წლის ასაკის) მოსწავლე ირიცხებოდა.

ყოველ შემთხვევაში, 1932-33 სასწავლო წელს დაწყებითი სკოლის ასაკის ყველა ბავშვი ჩაბმული იყო სკოლაში.

ამავე პერიოდში თანდათან ახორციელებდნენ საყოველთაო სწავლებას შვიდწლიანი სკოლის ფარგლებშიც. ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა V-VII კლასებში მოსწავლეთა რიცხვის მნიშვნელოვნად ზრდაში. V-VII კლასებში 1924-25 სასწავლო წელს სწავლობდა 35886 მოსწავლე; 1931-32 წელს — 94 093; 1940-41 წელს — 231 030.

1940-41 წლისათვის V-VII კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა 7-ჯერ გაიზარდა 1924-25 წელთან შედარებით. დაახლოებითი გამოანგარიშებით ამ დროისათვის 12-14 წლის ასაკის ბავშვთა რაოდენობა იმაზე მეტი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, რამდენიც V-VII კლასებში სწავლობდა. თუ ამას ასაკგადაცილებულებს გამოვაკლებთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 1940-41 წლისათვის საქართველოში საყოველთაო სწავლება შვიდწლიანი სკოლის ფარგლებში ძირითადად გატარებული იყო. ყველა ბავშვი 8-14 წლის ასაკისა, მცირე ნაწილის გამოკლებით, სკოლაში სწავლობდა.

ეს იყო საბჭოთა წყობილების უდიდესი მონაპოვარი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის სულ რაღაც 20 წლის განმავლობაში საყოველთაო სწავლება გატარდა არამცთუ დაწყებით, არამედ შვიდწლიანი სკოლის ფარგლებშიც. ამას დასჭირდა ძალიან დიდი მუშაობა და აუარებელი მატერიალური და ფულადი რესურსები. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი შვიდწლიანი და საშუალო სკოლების შესანახი ხარჯები გაიზარდა ორი მილიონ 152 ათასი მანეთიდან (1924-1925 წწ.) 243 მილიონ 638 ათას მანეთამდე (1941 წელს).

სახალხო განათლების უმნიშვნელოვანეს პრობლემას 1931-1940 წლებში წარმოადგენდა სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგისათვის უმაღლესი კვალიფიკაციის კადრების მომზადება. სწრაფი ტემპით მზარდ სახალხო მეურნეობას და კულტურულ ცხოვრებას სჭირდებოდა დიდი რაოდენობით ინჟინრები, აგრონომები, ექიმები, პედაგოგები, ხელოვნების მუშაკები და სხვ. ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად კი საჭირო იყო უმაღლესი სკოლების ფართო ქსელის შექმნა.

ძველად, თვითმპყრობელობის პერიოდში, საქართველოში უმაღლესი სასწავლებელი არ არსებობდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქალთა უმაღლეს კურსებს.

პირველი ორი უმაღლესი სასწავლებელი ქ. თბილისში გაიხსნა 1918 წელს. ეს იყო პოლიტექნიკური ინსტიტუტი და სახელმწიფო უნივერსიტეტი. ორივე ეს სასწავლებელი გაიხსნა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოწინავე საზოგადო მოღვაწეთა თაოსნობითა და სახსრებით.

ამრიგად, 1921 წლისათვის საქართველოში არსებობდა ორი უმაღლესი სასწავლებელი. სტუდენტთა რაოდენობა ორივე ამ უმაღლეს სასწავლებელში 4000-მდე აღწევდა. 1921-22 წელს გაიხსნა სახელმწიფო კონსერვატორია; 1922-23 სასწავლო წელს — სამხატვრო აკადემია, 1923-24 სასწავლო წელს — ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი; 1929-30 წელს — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

1931 წლისათვის საქართველოში არსებობდა 6 უმაღლესი სასწავლებელი. სტუდენტთა რაოდენობა მათში შეადგენდა 11318-ს. 1931-1933 წლების განმავლობაში ახალი ინსტიტუტების გახსნის და ზოგიერთი ძველი ინსტიტუტის რეორგანიზაციის საფუძველზე უმაღლესი სასწავლებლების რიცხვი 21-მდე გადიდდა. სტუდენტთა რაოდენობა უმაღლეს სასწავლებლებში 16555-მდე გაიზარდა.

1940-41 წელს საქართველოში არსებობდა 21 უმაღლესი სასწავლებელი. სტუდენტთა რაოდენობა შეადგენდა 21200-ს. უმაღლესი სკოლების ქსელი სავსებით აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას და უაღრესად დიდ როლს ასრულებდა არა მარტო კადრების მომზადების საქმეში, არამედ სამეცნიერო-კვლევით მუშაობაშიც.

უმაღლესი სკოლების გახსნა და მათი ქსელის გაფართოება დიდად იყო დამოკიდებული სტუდენტთა კონტინგენტის მომზადებაზე. ძველად კონტინგენტს უმაღლესი სკოლისათვის საშუალო სკოლა (გიმნა-

ზია) ამზადებდა. საშუალო სკოლებში კი უმეტესად საზოგადოების პრივილეგირებული წრეებიდან გამოსული ახალგაზრდობა სწავლობდა.

საბჭოთა მთავრობამ თავის ამოცანად დაისახა უმაღლესი სკოლებისათვის მისაღები კონტინგენტის მომზადება მშრომელთა წრიდან. ამ მიზნით შეიქმნა უმაღლეს სასწავლებელთან მუშათა ფაკულტეტები, რომლებიც ამზადებდნენ მშრომელთა წრიდან გამოსულ ახალგაზრდობას უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად. ეს, რა თქმა უნდა, გარკვეული პირობებითა და ვითარებით ნაკარნახევი დროებითი ხასიათის ღონისძიება იყო.

ამიტომაც რადიკალურად დაისვა საკითხი საშუალო სკოლების ქსელის გაშლის შესახებ. ამ მიმართულებით უფრო ფართო ღონისძიებათა გატარება 1931-32 წლიდან დაიწყო.

1921-22 სასწავლო წელს საქართველოში 98 საშუალო სკოლა არსებობდა. შემდეგ წლებში საშუალო სკოლის მაღალი კლასები გადაკეთდა სპეციალურ კლასებად, რომლებიც მოსწავლეებს პროფესიულ მომზადებას აძლევდა. მათი რიცხვი შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამ ტიპის სკოლის კურსდამთავრებულებს უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლება თუმცა ეძლეოდათ, მაგრამ მათი მომზადების საერთო დონე საკმარისი არ იყო უმაღლეს სკოლაში სწავლის გასაგრძელებლად. ამიტომაც ამ პერიოდში საშუალო სკოლის ძირითად ამოცანად დაისახა უმაღლესი სკოლისათვის სათანადო ზოგადი განათლების მქონე კონტინგენტის მომზადება. ამასთან დაკავშირებით დაიწყო ისეთი სკოლების ჩამოყალიბება, რომლებიც მხოლოდ ზოგად განათლებას მისცემდა მოსწავლეებს.

1932-33 წელს 56 ასეთი სკოლა შეიქმნა, ხოლო 1940-41 წლისათვის მათმა რიცხვმა 578-ს მიაღწია. მოსწავლეთა რაოდენობა საშუალო სკოლების VIII-X კლასებში 1932-33 წელს იყო 2709; 1940-41 წელს კი — 802117. ამ პერიოდის განმავლობაში საშუალო სკოლების რაოდენობა 13,5-ჯერ გაიზარდა; მოსწავლეთა რაოდენობა მაღალ კლასებში — 30-ჯერ.

ძველად საშუალო სკოლა არსებობდა მხოლოდ ქალაქებსა და ორიოდე დაბაში. საბჭოთა წყობილების პერიოდში სკოლა გაიხსნა თითქმის ყველა მოზრდილ სოფელშიც კი და იგი მისაწვდომი გახდა მოსახლეობის ფართო ფენებისათვის. თუ ძველად საშუალო სკოლაში მხოლოდ თავად-აზნაურთა, ვაჭარ-მრეწველთა, სასულიერო პირთა, დიდი მოხელეებისა და ბობოლა გლეხების შვილები სწავლობდნენ, ახლა საშუალო სკოლის საკლასო ოთახები მშრომელთა წრიდან გამოსული ახალგაზრდებით აივსო. საბოლოოდ გადაიჭრა უმაღლესი სკოლების

სტუდენტთა შემადგენლობის დემოკრატიზაციის საკითხი, რასაც უაღრესად დიდი პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა.

თვითმპყრობელური მთავრობა მუდამ იმას ცდილობდა, როგორმე დაეხშო საშუალო და უმაღლეს სასწავლებელთა კარები საზოგადოების დაბალი ფენებიდან გამოსული ახალგაზრდობისათვის. საბჭოთა მთავრობამ კი, პირიქით, მშრომელთა წრიდან გამოსულ ახალგაზრდებს ფართო გზა გაუხსნა საშუალო და უმაღლესი განათლებისაკენ.

საბჭოთა მთავრობამ ყველა პირობა შექმნა იმისათვის, რომ ახალგაზრდობას გაადვილებოდა არამც თუ საშუალო, არამედ უმაღლესი განათლების მიღებაც. ამ მიზნით გაუქმდა სასწავლო გადასახადი. სტუდენტთათვის დააწესეს სტიპენდიები, მოეწყო საერთო საცხოვრებლები, სასადილოები, სტუდენტთა ბიბლიოთეკები და სამკითხველოები. იმათთვის, ვინც მსახურობდა ან მუშაობდა წარმოებაში, ჩამოყალიბდა დაუსწრებელი უმაღლესი სასწავლებლები. ერთი სიტყვით, შეიქმნა ყოველგვარი შესაძლებლობა იმისა, რომ ყველას ესწავლა და მიეღო საშუალო და უმაღლესი განათლება. ეს იყო უდიდესი მონაპოვარი სახალხო განათლების დარგში.

დაწყებითი, შვიდწლიანი, საშუალო და უმაღლესი სკოლების ქსელის და მოსწავლეთა და სტუდენტთა კონტინგენტის ზრდასთან ერთად, რადიკალურად დაისვა საკითხი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის არსებითად გარდაქმნისა და მისი ხარისხის გადაჭრით ამაღლების შესახებ. რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით საკმაოდ დიდი მუშაობა ტარდებოდა ჯერ კიდევ 1921-1931 წლებში, მაგრამ ამასთან ერთად, დაშვებული იყო ზოგიერთი შეცდომაც. ამის შედეგად შვიდწლიანი და საშუალო სკოლა ვერ აძლევდა მოსწავლეებს საკმარის ცოდნასა და მომზადებას ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად.

სკოლის მუშაობის ეს ძირითადი ნაკლი ხაზგასმით იყო აღნიშნული საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 5 სექტემბრის ისტორიულ დადგენილებაში სკოლების შესახებ. აქედან გამომდინარე, კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დასახეს უაღრესად მნიშვნელოვანი ღონისძიებები სკოლებში სწავლის ხარისხის ასამაღლებლად. სკოლის მუშაობის მთავარ ამოცანად აღიარეს მოსწავლეთა შეიარაღება მტკიცე და საფუძვლიანი მეცნიერული ცოდნით, თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის ლენინური პრინციპების საფუძველზე. ამ ამოცანის შესაბამისად 1932-33 წლებში გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობდა ახალი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების დასამუშავებლად. ეს ახალი სასწავლო გეგმები და პროგრამები, რომლებიც შემოიღეს 1933 წლიდან, ითვალისწინებდა

ყველა კლასში საგნობრივი სისტემით სწავლებას, ნაცვლად წინათ გავრცელებული ე. წ. კომპლექსური და პროექტული სისტემით სწავლებისა. ახალ პროგრამებში ზუსტად იყო მოხაზული ცოდნისა და ჩვევების ის მინიმუმი, რომელიც უნდა შეეთვისებინა მოსწავლეს სკოლაში სწავლების პერიოდში. განსაკუთრებით გაამახვილეს ყურადღება ისეთ სასწავლო დისციპლინათა სწავლებაზე, როგორიცაა მშობლიური ენა და ლიტერატურა, რუსული ენა, მათემატიკა, ფიზიკა, ბუნებისმეტყველება, ისტორია, გეოგრაფია და სხვ.

1935-1936 წლისათვის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის სასწავლო გეგმამ ასეთი სახე მიიღო:

საგნები	კლასები										სულ საათები
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	
მშობლიური ენა	12	12	9	9	7	5	4	2	—	—	60
მშობლიური ლიტ-რა	—	—	—	—	3	3	3	3	3	4	22
რუსული ენა	—	—	—	—	5	4	4	3	3	3	22
არითმეტიკა	6	6	6	7	5	1	—	—	—	—	31
ალგებრა, ტრიგონომეტ-რია, გეომეტრია,	—	—	—	—	1	2	5	5	5	7	27
ბუნებისმეტყველება	2	2	2	2	2	2	2	2	2	—	18
ისტორია	—	—	1	2	2	2	2	3	4	4	20
გეოგრაფია	—	—	2	2	2	2	2	2	3	—	15
ფიზიკა	—	—	—	—	—	3	3	3	3	3	15
ქიმია	—	—	—	—	—	—	3	3	2	3	11
უცხო ენა	—	—	—	—	—	—	—	3	3	3	9
საზოგადოებათმეცნიე-რება	—	—	—	—	1	1	1	—	—	—	3
გეოლოგია-მინერალ.	—	—	—	—	—	—	—	—	—	1	1
შრომა	1	1	1	1	2	2	2	2	2	2	16
ხატვა	1	1	1	1	1	1	—	—	—	—	6
ხაზვა	—	—	—	—	—	1	1	1	1	1	5
ფიზიკური კულტურა	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	10
სამხედრო საქმე	—	—	—	—	—	—	—	—	1	1	2
სიმღერა	1	1	1	1	1	1	—	—	—	—	6
სულ	24	24	24	26	33	33	33	33	33	33	296

ამრიგად, სპეციალური საგნები სასწავლო გეგმიდან ამოიღეს. მნიშვნელოვნად გადიდდა საათები მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში. საზოგადოებათმცოდნეობას მხოლოდ 3 საათი დაეთმო V-VII კლასებში. სასწავლო გეგმაში შეიტანეს ისტორია (კვირაში 20 საათი).

1937-1938 სასწ. წელს სასწავლო გეგმიდან ამოიღეს საზოგადოებათმცოდნეობა და შრომა. მათ ნაცვლად ტარდებოდა სუფთა წერის, სსრ კავშირის კონსტიტუციისა და ასტრონომიის გაკვეთილები. მნიშვნელოვნად გადიდდა რუსული ენის საათები.

ყველა ეს ცვლილება უდავოდ აუმჯობესებდა სასწავლო გეგმას, მაგრამ შრომის გაკვეთილების გაუქმება არ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პერიოდის მანძილზე არსებითად მიივიწყეს პოლიტექნიკური სწავლება. ამით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ცალმხრივი ინტელექტუალიზმი დამკვიდრდა. სკოლა მნიშვნელოვნად მოწყდა ცხოვრებას.

ახალი ამოცანები, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დააყენა სკოლის წინაშე, მოითხოვდა არა მარტო სწავლების შინაარსის შეცვლას, არამედ სწავლების და აღზრდის ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვას პრაქტიკაში. ამიტომაც სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის ძირითად ფორმად აღიარეს გაკვეთილი. მასწავლებელს დაევალა სისტემატურად და თანმიმდევრობით გადაეცა მოსწავლეთათვის შესასწავლი მასალა სწავლების მრავალნაირი მეთოდის გამოყენებით. შემოიღეს გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდები, ცოდნის შეფასების ხუთბალიანი სისტემა.

ყურადღება მიექცა სკოლაში რეჟიმის და დისციპლინის განმტკიცებას. მტკიცედ განისაზღვრა ყოველდღიური გაკვეთილების რაოდენობა კლასების მიხედვით, კვირეული დატვირთვა, მეცადინეობის დაწყებისა და დამთავრების ვადები და არდადეგები.

1931-1941 წლებში უაღრესად მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა მასწავლებელთა უფლებრივ-მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამ მხრივ, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წლის 4 ივლისის დადგენილებას „პედოლოგიურ დამახინჯებათა შესახებ განსახკომების სისტემაში“. მასწავლებელი აღადგინეს თავის უფლებებში. იგი აღიარეს ცენტრალურ ფიგურად სკოლაში. შემოიღეს მასწავლებლის პერსონალური წოდება, გადიდდა მასწავლებელთა ხელფასი, დაწესდა შეღავათები და უპირატესობანი მასწავლებელთათვის, განმტკიცდა და ამაღლდა სკოლის დირექტორის როლი.

საბჭოთა სკოლა ემსახურება ყოველმხრივ განვითარებული, კომუნიზმის მშენებელი თაობის აღზრდის საქმეს. მის ამოცანას შეადგენს მოსწავლეთა უნარის, ნიჭისა და შესაძლებლობის გამოვლინება, განვითარება, სრულყოფა. ამის მიღწევა მხოლოდ გაკვეთილების ჩატარებით, კლასში მეცადინეობით არ შეიძლება. ამიტომ საბჭოთა წყობილების პირობებში ფართოდ გაიშალა მოსწავლეთა შორის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა.

მოსწავლეთა შორის კლასგარეშე მუშაობას სკოლა ატარებს გაკვეთილების შემდეგ, გამოსასვლელ დღეებში, არდადეგებზე. სკოლის-

გარეშე აღმზრდელობით მუშაობას ეწევიან სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებები.

რევოლუციამდელ საქართველოში სკოლისგარეშე აღზრდის არცერთი დაწესებულება არ არსებობდა. 1933 წლისათვის საქართველოში იყო 12 სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულება. 1941 წელს მათ რიცხვმა 100-ს მიაღწია.

1941 წლის 21 მაისს გაიხსნა სკოლისგარეშე აღზრდის დიდი ცენტრი — ქ. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე, რომელსაც ქალაქის ერთ-ერთი საუკეთესო შენობა გადაეცა მშვენიერი პარკით და დამხმარე ნაგებობებით. ქ. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე მალე გახდა მთელი რესპუბლიკისათვის საამაყო დაწესებულება, რომლის დამსახურება მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის საქმეში განუზომლად დიდია. მნიშვნელოვანი სკოლისგარეშე დაწესებულებაა აგრეთვე ქ. თბილისის ქართული და რუსული მოზარდ მაყურებელთა თეატრები; საბჭოთა მთავრობამ ბავშვებისათვის შექმნა საბავშვო ბიბლიოთეკების ფართო ქსელი, გამოდის საბავშვო და ახალგაზრდობის ჟურნალ-გაზეთები, იბეჭდება და ათეული ათასობით ვრცელდება საბავშვო წიგნები. შექმნილია რესპუბლიკური სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადული“, რომელმაც მრავალი ძვირფასი საჩუქარი მიუძღვნა ნორჩ მკითხველებს.

საბჭოთა წყობილების ერთ-ერთ უდიდეს მონაპოვარს წარმოადგენს აგრეთვე ბავშვთა და მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციები, ვ. ი. ლენინის სახ. ნორჩ პიონერთა და მოსწავლეთა კომკავშირული ორგანიზაციები.

პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა სკოლებში ემყარება ამ ორგანიზაციათა წევრების ფართო თვითმოქმედებასა და აქტივობას. ისინი უდიდეს როლს ასრულებენ მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის საქმეში: დიდ დახმარებას უწევენ სკოლებსა და მასწავლებლებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის უკეთ მოწყობისა და მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარების საქმეში.

ამრიგად, 1941 წლისათვის, ე. ი. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ოცი წლისთავზე, საქართველომ უმაგალითო წარმატებებს მიაღწია სახალხო განათლების განვითარების საქმეში. ამ პერიოდში ბრწყინვალედ განახორციელეს საქართველოში კულტურული რევოლუციის ლენინური გეგმა.

პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარება 1921-1941 წლებში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდან პედაგოგიკის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ცენტრს წარმოადგენდა განსახკომი (განათლების სახალხო კომისარიატი), სადაც თავიდანვე შეიქმნა ე. წ. აკადემიური ცენტრი, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა სახალხო განათლების საბჭოთა სისტემის ჩამოყალიბებისა და სკოლებში სწავლა-აღზრდის კომუნისტურ საფუძველზე გარდაქმნის ამოცანების გადაწყვეტა. განსახკომის აკადემიური ცენტრი და მასთან არსებული კომისიები, რომელთა მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მეცნიერ მუშაკები და მასწავლებლები, დიდ მუშაობას ეწეოდნენ საბჭოთა სახალხო განათლების სისტემის თეორიული საფუძვლების გარკვევის, სკოლებში სწავლა-აღზრდის შინაარსის, ფორმებისა და მეთოდების განსაზღვრის მიმართულებით. მნიშვნელოვანი მუშაობა ტარდებოდა აგრეთვე ახალი სახელმძღვანელოების შედგენისა და გამოცემის დარგში, რაც დაკავშირებული იყო უაღრესად მნიშვნელოვანი ზოგადპედაგოგიკური, ზოგადდიდაქტიკური და მეთოდიკური ხასიათის თეორიული საკითხების გადაჭრასთან.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველი წლიდანვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა სიბრძნისმეტყველების (შემდეგში პედაგოგიური) ფაკულტეტი, რომლის ძირითად დანიშნულებას შეადგენდა სკოლებისათვის პედაგოგთა კადრების მომზადება. უნივერსიტეტის სათანადო კათედრები, მათ შორის ფსიქოლოგიის კათედრა, პედაგოგიკაშიც ეწეოდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.

პირველი პედაგოგიური სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება საქართველოში შეიქმნა 1929 წელს. ეს იყო საქართველოს სსრ პედაგოგიკისა და პედოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც 1936 წლიდან გარდაიქმნა დაწყებითი და საშუალო სკოლის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად. 1930 წელს ჩამოყალიბდა პედაგოგიკის კათედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. პედაგოგიკის კათედრები დაარსდა აგრეთვე ქუთაისის, სოხუმის და ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტებში — 1933 წელს, თბილისის, გორისა და ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტებში — 1935 წელს, თელავისა და ზუგდიდის სამასწავლებლო ინსტიტუტებში — 1939 წელს. 1938 წელს ჩამოყალიბდა სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმი.

ამრიგად, 1941 წლისათვის პედაგოგიკაში სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწეოდა საქართველოს სსრ განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და პედაგოგიკის რვა კათედრა. გარდა ამისა, კერძო სასწავლო დისციპლინათა სწავლების მეთოდიკებში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა დაკისრებული ჰქონდა უმაღლეს სასწავლებელთა სათანადო კათედრებს.

პედაგოგიკის მეცნიერებათა განვითარების თვალსაზრისით, უდაოდ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ საბჭოთა წყობილების პირო-

ბებში მტკიცე საფუძველი შეიქმნა პედაგოგიკური ლიტერატურის გამოსაცემად.

საქართველოს სსრ განსახკომის სისტემაში ჩამოყალიბდა სახელმწიფო გამომცემლობა („სახელგამი"), რომელსაც დაევალა ბეჭდვითი პროდუქციის, მათ შორის პედაგოგიური და მეთოდური ლიტერატურისა და სახელმძღვანელოების გამოცემა. თუ წინათ ქართული წიგნების გამოცემა კერძო პირებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თაოსნობაზე იყო დამოკიდებული, ახლა ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე სახელმწიფომ იკისრა, ამან არსებითი როლი შეასრულა საგამომცემლო საქმის მკვეთრად გაუმჯობესებაში.

საბჭოთა ხელისუფლებამ თავიდანვე მიაქცია ყურადღება ქართული პედაგოგიური ჟურნალების, გაზეთებისა და სხვა პერიოდული ორგანოების შექმნასა და გამოცემას.

საქართველოში საბჭოთა წყობილების არსებობის პირველი ოცი წლის განმავლობაში ქართულ ენაზე სხვადასხვა დროს გამოდიოდა პედაგოგიური ჟურნალები: „საქართველოს განათლების მუშაკი", „ახალი სკოლისაკენ", „კულტურული აღმშენებლობა" და „კომუნისტური აღზრდისათვის;" პედაგოგიური გაზეთები: „განათლების მუშაკი", „კომუნისტური განათლება" და „საბჭოთა მასწავლებელი". გარდა ამისა, გამოდიოდა აგრეთვე ოფიციალური პერიოდული გამოცემები ბიულეტენების, ბრძანებებისა და განკარგულებათა კრებულების სახით.

პერიოდულ გამოცემებთან ერთად, დიდი ყურადღება ექცეოდა პედაგოგიკურ დისციპლინებში ნათარგმნი და ორიგინალური წიგნების, კრებულებისა და ბროშურების გამოცემას.

1926 წელს ქ. ბათუმში ქართულ ენაზე გამოიცა ა. ჰ. პინკევიჩის „პედაგოგიკა", და „შრომის სკოლა". ოციან წლებში გამოქვეყნებული ორიგინალური შრომებიდან პედაგოგიკაში განსაკუთრებით აღსანიშნავია „მასწავლებლის თანამგზავრი" (1928 წ.). ეს წიგნი წარმოადგენს მეთოდური წერილების კრებულს. შეეხება სწავლა-აღზრდის საკითხებს ოთხწლედის ფარგლებში და ძეუღებელია სახელმძღვანელოდ მასწავლებლებისა და პედაგოგიური ტექნიკუმებისათვის. კრებულში მოთავსებული წერილების ავტორები არიან მ. ორახელაშვილი, გ. ჭუმბურიძე, თ. ბებურიშვილი, რ. ნიკოლაძე-პოლიექტოვისა და სხვ.

წიგნში შეტანილი წერილები კომპლექსური სისტემის სწავლების საფუძველზეა აგებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, მასში საკმაოდ გამოკვეთილადაა გაშუქებული ძირითადი სასწავლო დისციპლინების (მშობლიური ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება და სხვ.) სწავლების მეთოდიკის საკითხებიც.

თავისი შინაარსით და სტრუქტურით დაახლოებით ასეთივე ხასიათისაა კრებული „შრომის სკოლის პრინციპები", რომელიც 1929 წელს გამოიცა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველი ათი წლის მანძილზე პედაგოგიკის მეცნიერების განვითარების დარგში ჩატარებული მუშაობის ერთგვარი ასახვაა 1931 წელს გამოცემული საკმაოდ დიდი მოცულობის კოლექტიური ნაშრომი „საბჭოთა პედაგოგიკის ძირითადი საკითხები" (ქრესტომათია).

იგი გამოყენებული იყო, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგიური ტექნიკუმებისა და მასწავლებელთათვის.

ორიგინალური მასალებიდან, რომელიც ამ ქრესტომათიაშია შეტანილი, აღსანიშნავია პ. აფხაძის „პოლიტექნიზმი მარქსისტულ-ლენინური პედაგოგიკის ძირითადი პრინციპია", გ. გოგუაძის — „საკ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილების საფუძველზე ვიბრძოლოთ სკოლის მუშაობის მაღალი ხარისხისათვის", დ. გურგენიძისა და მ. ლომინაძის — „I საფეხურის შრომის სკოლის სახელმძღვანელოს შესახებ", კ. ჭკუასელის — „სოციალისტური შეჯიბრება, როგორც კომუნისტური აღზრდის მეთოდი" და სხვ.

ნათარგმნი მასალიდან ქრესტომათიაში შეტანილია ნ. კრუპსკაიას, ა. ზალკინის, ვ. შულგინის, პ. პინკევიჩის და სხვათა სტატიები.

ოციან წლებში გამოქვეყნებული პედაგოგიკური ლიტერატურა მდიდარია და შინაარსიანი. ამ პერიოდში პედაგოგიკის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, შრომის სკოლა და შრომითი აღზრდა, პოლიტექნიკური სწავლება, აღმზრდელობითი მუშაობის საკითხები, ბავშვთა კომუნისტური მოძრაობა და კოლექტივიზმის აღზრდა, მატერიალისტური მსოფლმხედველობის ფორმირება.

სკოლაში სწავლა-აღზრდის ძირითად შინაარსს, მაშინდელი გაგებით, წარმოადგენდა შრომა, რომელიც აღიარებული იყო ობიექტური სინამდვილის შემეცნების, ბუნებისა და საზოგადოების შესწავლის ძირითად საშუალებად, მეცნიერებათა საფუძვლების სწავლებას კი მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამასთან დაკავშირებული იყო სწავლების კომპლექსური სისტემის, პროექტებით მუშაობის, ბრიგადულ-ლაბორატორიული მეთოდის თეორიული დასაბუთება და პრაქტიკაში დანერგვა. თეორიული საკითხების გადაწყვეტის დროს ნაკლებად, ან სულ არ ეწეოდა ანგარიში მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებას, ირღვეოდა მისაწვდომობის პრინციპი.

საბჭოთა პედაგოგიკური მეცნიერების განვითარებაში ოციან და ნაწილობრივ ოცდაათიან წლებში თავი იჩინა და ფართო გავრცელება ჰპოვა ე. წ. პედოლოგიურმა დამახინჯებამ, რომელიც დიდად აფერ-

ხებდა პედაგოგიკის განვითარებას. პედოლოგია ემყარებოდა ყალბ დებულებას, თითქოს ბავშვის მომავალი დაბადებიდანვე განსაზღვრულია რაღაც უცვლელი ბიო-სოციალური პირობებით. აქედან, ბუნებრივად გამომდინარეობდა დასკვნა, რომ აღზრდას არ ძალუძს შეცვალოს ბავშვის განვითარების წინასწარ განსაზღვრული მიმართულება, აღზრდაზე არ არის დამოკიდებული მომავალი მოქალაქის ჩამოყალიბება. პედოლოგია უარყოფდა აღზრდის წამყვან როლს ადამიანის ფორმირებაში. პედოლოგთა პრაქტიკულმა მუშაობამ სკოლებში, მათ მიერ წარმოებულმა მოსწავლეთა გონებრივი განვითარების შესწავლამ ტესტებისა და სხვა უვარგისი მეთოდების გამოყენებით და ამ საფუძველზე მოსწავლეთა დაჯგუფებამ დიდი ზიანი მიაყენა სწავლა-აღზრდის საქმეს სკოლებში, ამიტომაც სკკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1936 წლის 4 ივლისის დადგენილებით დაგმო პედოლოგია და ამხილა მისი ანტიმეცნიერული ხასიათი, აკრძალა პედოლოგთა მოღვაწეობა თეორიასა და პრაქტიკაში და ამით გზა გაუხსნა პედაგოგიკური მეცნიერების განვითარებას.

პედაგოგიკური მეცნიერების განთავისუფლებას ბურჟუაზიული პედაგოგიკის გავლენისაგან, აგრეთვე „მემარჯვენე“ და „მემარცხენე“ გადახრების ლიკვიდაციას დიდად შეუწყო ხელი საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 5 სექტემბრისა და 1932 წლის 25 აგვისტოს ისტორიულმა დადგენილებებმა სკოლის შესახებ.

პედაგოგიკის მეცნიერების განვითარების ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება 30-იან წლებში ის იყო, რომ, თუ წინათ ახალი სკოლის იდეალს დასავლეთ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების სკოლებში ხედავდნენ და ცხოვრების მიერ წამოყენებულ კითხვებზე პასუხს თანამედროვე ბურჟუაზიულ მეცნიერთა შრომებში ეძებდნენ, ახლა ეს გზა უკუაგდეს; ყურადღება გადაიტანეს მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელთა მდიდარი პედაგოგიური მემკვიდრეობის შესწავლასა და კლასიკოს პედაგოგთა იდეებისა და შეხედულებათა შემოქმედებით გამოყენებაზე.

ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1934 წელს „მარქსისტულ-ლენინური პედაგოგიკის“ I ტომის გამოცემას. ეს წიგნი წარმოადგენს ქრესტომათიას, რომელშიც შეტანილია კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ. ლენინის და ნ. კრუპსკაიას შრომები და სტატიები აღზრდისა და სწავლა-განათლების საკითხებზე. გარდა ამისა, ქრესტომათიაში შეტანილია მ. გორკის, ა. ბუბნოვის, გ. თავზიშვილის, კ. ჭკუასელის და სხვათა წერილები პედაგოგიკურ თემებზე.

„მარქსისტულ-ლენინური პედაგოგიკის“ გამოცემამ, რომელიც პროფ. გ. თავზიშვილის ხელმძღვანელობით განხორციელდა, დიდი რო-

ლი შეასრულა არა მარტო პედაგოგთა კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების საქმეში, არამედ ქართული საბჭოთა პედაგოგიკის განვითარების ისტორიაშიც.

ამ პერიოდის მეორე დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო წიგნი — „ვ. ი. ლენინი სახალხო განათლების შესახებ“, რომელიც 1936 წელს გამოიცა. ეს წიგნი შედგენილია პ. აფხაძის მიერ. მას დართული აქვს ვრცელი შესავალი წერილი, რომელშიც სათანადო სიღრმითა და სისრულითაა გადმოცემული ვ. ი. ლენინის მოძღვრება ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისა და სახალხო განათლების შესახებ.

ოცდაათიანი წლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას პედაგოგიკის მეცნიერებათა განვითარების დარგში წარმოადგენდა კლასიკოს პედაგოგთა მემკვიდრეობის შესწავლა და პუბლიკაცია. პირველ ნაბიჯს ამ მხრივ წარმოადგენდა 1938 წ. ი. ჭავჭავაძის პედაგოგიკურ თხზულებათა გამოქვეყნება (შემდგენელი და რედაქტორი პროფ. გ. თავზიშვილი). წიგნში შევიდა ი. ჭავჭავაძის პედაგოგიკური ხასიათის თხზულებანი (მეცნიერული სტატიები, პუბლიცისტური წერილები, მხატვრული ნაწარმოებები) და პროფ. გ. თავზიშვილის ვრცელი წერილი — „ი. ჭავჭავაძის პედაგოგიური იდეები“. ცხადია, რომ ი. ჭავჭავაძის პედაგოგიკურ თხზულებათა გამოქვეყნება მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა არა მარტო პედაგოგიკის ისტორიის შესწავლისათვის, არამედ საბჭოთა პედაგოგიკური თეორიის განვითარების თვალსაზრისითაც.

კლასიკური პედაგოგიკური მემკვიდრეობის დარგში ფრიად საყურადღებო წვლილს წარმოადგენდა პროფ. დ. ლორთქიფანიძის შრომა „იან ამოს კომენსკის დიდაქტიკა“, რომელიც პირველად 1939 წელს გამოიცა.

1940 წელს გამოქვეყნდა ი. გოგებაშვილის პედაგოგიკური თხზულებანი, ტომი II; ამას მოჰყვა სტატიების კრებული, მიძღვნილი ი. გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი. კრებულში შევიდა გ. თავზიშვილის, დ. ლორთქიფანიძის, გ. კიკნაძისა და სხვათა წერილები ი. გოგებაშვილის პედაგოგიკური მემკვიდრეობის შესახებ.

ოცდაათიან წლებში ფრიად ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა გაიშალა აგრეთვე საქართველოში სახალხო განათლების განვითარების ისტორიის შესწავლის მიმართულებით. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფ. გ. თავზიშვილის შრომა „უმაღლესი განათლების ისტორიისათვის საქართველოში“ (1938 წ.), ტ. ხუნდაძის — „ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში“ (1934 წ.) და კრებული „სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში“ (1937 წ.).

ცხადია, 30-იან წლებში, ძველი კლასიკური პედაგოგიკური მემ-

ქვიდრეობის შესწავლასთან და ქართული პედაგოგიკის ისტორიაში ფართო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაშლასთან ერთად, დიდი ყურადღება ექცეოდა პედაგოგიკის თეორიის აქტუალური პრობლემების დამუშავებას. ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა მრავალ წერილსა და სტატიაში და აგრეთვე ცალკე წიგნების სახით გამოცემულ შრომებში.

საბჭოთა სწავლების თეორიაში პირველი, ყველაზე საყურადღებო დიდმნიშვნელოვანი შრომების ავტორები იყვნენ გ. გოგუაძე, დ. ლორთქიფანიძე და შ. სიხარულიძე.

დ. გოგუაძის „დიდაქტიკა“ (ნაწილი I, 1935) თუმცა არ არის თავისუფალი პედოლოგიის გავლენისაგან და თეორიული ხასიათის ზოგიერთ სხვა შეცდომებსაც შეიცავს, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა საბჭოთა პედაგოგიკის ისტორიაში. არსებითად ეს იყო საბჭოთა სწავლების თეორიის საკითხების გარკვეული მეცნიერული სისტემით გაშუქების პირველი სერიოზული ცდა საქართველოში.

საბჭოთა დიდაქტიკის პირველი, შედარებით სრული კურსის შექმნა და გამოქვეყნება შესაძლებელი გახდა 1940 წლისათვის. ეს იყო დოც. შ. სიხარულიძის „საბჭოთა სკოლის დიდაქტიკა“. ამ შრომასაც ახასიათებს ზოგიერთი სერიოზული ნაკლი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი პედაგოგიური საკითხების თანამედროვე მეცნიერულ დონეზე განხილვის ფრიად სერიოზულ ცდას წარმოადგენს.

სწავლების თეორიაში ამ პერიოდის ერთ-ერთი საყურადღებო ნაშრომია დ. ლორთქიფანიძის „გაკვეთილის აგების ძირითადი საფუძვლები“ (1940 წ.). მასში სათანადო მეცნიერული სიღრმით არის განხილული სასწავლო მუშაობის ორგანიზაციის ძირითადი ფორმის — გაკვეთილის ზოგად-დიდაქტიკური, ფსიქოლოგიური და პედაგოგიური საფუძვლები, ნაჩვენებია მისი ადგილი და მნიშვნელობა სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში, გარკვეულია გაკვეთილის ჩატარების მეთოდიკის საკითხები.

აღზრდის თეორიაში 30-იანი წლების ყველაზე საყურადღებო შრომებად უნდა ჩაითვალოს პროფ. გ. თავზიშვილის „საბჭოთა პატრიოტიზმი და პატრიოტული აღზრდა“ (1939 წ.) და „ინტერნაციონალური აღზრდა საბჭოთა სკოლაში“ (1940 წ.). ინტერნაციონალური აღზრდის შესახებ მანამდეც საკმაოდ ბევრი იწერებოდა, მაგრამ თითქმის მთლიანად მიმართული იყო პატრიოტული აღზრდა. ამიტომაც. სპეციალური შრომის გამოქვეყნება საბჭოთა პატრიოტიზმზე და პატრიოტულ აღზრდაზე, მოცემულ ეტაპზე დიდმნიშვნელოვან მოვლენად უნდა იქნეს აღიარებული.

თავი მეთხუთმეტე

სკოლა და პედაგოგიკა საბჭოთა საქართველოში

1941—1972 წლებში

სახალხო განათლება საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის პერიოდში (1941—1945 წლებში)

1941 წლის 22 ივნისს სსრ კავშირს თავს დაესხა ფაშისტური გერმანია. დაიწყო საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი.

პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდილმა უფროსი კლასის ათასობით მოსწავლემ, სტუდენტებმა და მასწავლებლებმა სამამულო ომის ფრონტს მიაშურეს. ისინიც, ვინც ზურგში დარჩა, ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ რაც შეიძლება უმოკლეს დროში გაენადგურებინათ მტერი. საბჭოთა არმიის რიგებში საქართველოდან 7.000-მდე მასწავლებელი ჩადგა. ომის მძიმე წლებმა მნიშვნელოვნად შეაფერხა სახალხო განათლების საქმე. შემცირდა სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებათა რიცხვი და მოსწავლეთა რაოდენობა: მაგ., თუ 1940-41 სასწავლო წელს საქართველოში არსებობდა 4470 დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლა, 1944-45 სასწავლო წლისათვის მათი რიცხვი 4164-მდე შემცირდა, მოსწავლეთა რაოდენობა კი — 726.969-დან 609.919-მდე.

ბევრი სასკოლო შენობა სამხედრო საჭიროებისათვის გამოიყენეს, რასაც სკოლაში მეცადინეობის ორ და სამ ცვლაზე გადასვლა მოჰყვა. გაძნელდა სკოლების უზრუნველყოფა სასწავლო ნივთებითა და მოწყობილობით, შეფერხდა სახელმძღვანელოების ბეჭდვა და რვეულების დამზადება. ყოველივე ამან უარყოფითი გავლენა მოახდინა სკოლების ნორმალურ მუშაობაზე.

ომმა შეაფერხა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის სრულყოფილად განხორციელება და მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნება სკოლებში. ომის წლებში საქართველოში ბევრი ბავშვი იყო ევაკუირებული მტრის მიერ დროებით ოკუპირებული რაიონებიდან. მათთვის დამატებითი კლასები და სკოლა-ინტერნატები ჩამოყალიბდა.

მთავრობამ მიიღო რიგი ღონისძიებებისა ბავშვთა უმეთვალყურეობის წინააღმდეგ, რაც გამოწვეული იყო მამების ფრონტზე, ხოლო დედებისა და ოჯახის სხვა უფროს წევრთა წარმოებაში წასვლით. გაფართოვდა საბავშვო სახლების ქსელი. ბევრმა საბჭოთა ოჯახმა აღსაზ-

რდელად აიყვანა ობოლი ბავშვები და მათ მშობლიური მზრუნველობა გაუწია.

1944-45 სასწავლო წლიდან დაწესდა ბავშვთა სავალდებულო სწავლება შვიდი წლის ასაკიდან.

იმ ახალგაზრდებისათვის, რომლებმაც ომის დასაწყისში დატოვეს სკოლა და წარმოებაში ან სოფლის მეურნეობაში სამუშაოდ წავიდნენ, ჩამოყალიბდა მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლები.

მიუხედავად ომით გამოწვეული სიძნელეებისა, ფართოდ გაიშალა ბრძოლა საყოველთაო სწავლებისათვის და ომის დასასრულისათვის მოსწავლეთა განთესვა სკოლიდან მნიშვნელოვნად შემცირდა.

საომარი პირობების შესაბამისად მოხდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გარდაქმნა. შეიცვალა ჰუმანიტარული საგნების, კერძოდ, ლიტერატურისა და ისტორიის სწავლების ხასიათი. გადასინჯეს სასწავლო პროგრამები ისეთ საგნებში, როგორიცაა ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია. სწავლების შინაარსს უფრო პრაქტიკული ხასიათი მიეცა, იგი მტკიცედ დაუკავშირდა ცხოვრებას. ჯერ კიდევ 1941 წლიდან სკოლებში შემოიღეს სოფლის მეურნეობის საფუძვლების სწავლება. 1943 წლიდან მთელ რიგ სკოლებში გაიხსნა სასწავლო-საწარმოო სახელოსნოები; უფროსი კლასის მოსწავლეები აქტიურად ებმებოდნენ თავდაცვით მუშაობაში. სათანადო აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო მნიშვნელობა მიენიჭა მოსწავლეთა შრომას კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მინდვრებზე.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა წვევამდელ მოსწავლეთა სამხედრო მომზადებასა და ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესებას. ომის პირობებში ჩამოყალიბდა სასკოლო ინტერნატები, რომლებშიც იქმნებოდა ბავშვთა მეგობრული კოლექტივები, ეწყობოდა თვითმმართველობა, მოსწავლეები ეჩვეოდნენ ფიზიკურ შრომას, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას. ამ გამოცდილებამ მეტად სასურველი შედეგები გამოიღო.

სამამულო ომის მრისხანე დღეებში გაიზარდა შრომითი რეზერვების სისტემის სასწავლებელთა ქსელი. 1941 წელს საქართველოში გაიხსნა 8 ახალი სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებელი და 2 საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლა. 1942 წელს საქართველოში არსებობდა 19 სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებელი და 12 საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლა.

სსრკ სახკომსაბჭოსა და საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის დადგენილებით შეიქმნა ოთხწლიანი სპეციალური სახელოსნო სასწავლებლები გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძო-

ლაში დაღუპულ მეომართა შვილებისათვის. ცოტა უფრო გვიან კი ჩამოყალიბდა სამხატვრო სახელოსნო სასწავლებელი.

სამამულო ომის წლებში შრომითი რეზერვების სახელოსნო სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების მოსწავლენი ჯერ კიდევ სწავლების პროცესში ასრულებდნენ სახელმწიფოს მიერ მიცემულ საპასუხისმგებლო შეკვეთებს; მათ დაამზადეს მრავალი რთული დაზგა; სასწავლებლის კედლებში, პროფესიის დაუფლებასთან ერთად ქმნიდნენ წარმოების პროდუქციას. ყოველივე ამან გარკვეული წვლილი შეიტანა მტერზე გამარჯვების საქმეში.

ომის წლებში ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიება გატარდა, რამაც სკოლის განმტკიცების, მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის მკვეთრად ამაღლების საქმეს შეუწყო ხელი. იზრდებოდა სახალხო განათლების ბიუჯეტი. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებით გაიზარდა მასწავლებელთა ხელფასი, დაწესდა კვების პროდუქტებითა და სამრეწველო საქონლით მათი მომარაგება ისევე, როგორც წარმოების მუშებისა. მასწავლებლებს დიდი რაოდენობით ეძლეოდათ სურსათი და სხვა პირველი მოხმარების საგნები. მიღებული იყო ზომები სკოლების უზრუნველსაყოფად სახელმძღვანელოებითა და სხვა სასწავლო ნივთებით.

1943 წლის ივლისში სსრ კავშირის სახკომსაბჭომ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით მსხვილ ქალაქებში შემოიღო ვაჟთა და ქალთა ცალ-ცალკე სწავლება, რაც დაკავშირებული იყო წვევამდელ მოსწავლეთა სამხედრო მომზადებასთან. 1954 წლიდან ისევ აღადგინეს ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების სისტემა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის ამაღლებას. 1942-43 სასწავლო წლიდან სკოლებში შემოიღეს ახალი სასწავლო გეგმები და პროგრამები, დამტკიცდა „მოსწავლეთა ქცევის წესები“, გაუქმდა სოციალისტური შეჯიბრება სწავლებაში.

სახალხო განათლების განვითარების ისტორიაში ომის პერიოდის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 21 ივნისის დადგენილება „სკოლაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომლის მიხედვით შემოღებულ იქნა: 1. დაწყებითი და შეიდწლიანი სკოლის მოსწავლეთა გამოსაშვები გამოცდების ჩაბარება და გამოცდები სიმწიფის ატესტატზე — საშუალო სკოლადამთავრებულთათვის; 2. საშუალო სკოლადამთავრებულ მოსწავლე-ფრიადოსანთა დაჯილდოება ოქ-

როსა და ვერცხლის მედლებით; 3. ცოდნის შეფასების ხუთბალიანი ციფრობრივი სისტემა.

სახალხო განათლება 1945—1958 წლებში

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეუდგა ომით მიყენებული ჭრილობების მოშუშებას.

1946 წლის მარტში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული იქნა კანონი 1946-1950 წლებში სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ამ გეგმის შესაბამისად ჩვენი ქვეყნის მატერიალური და კულტურული მდგომარეობა არა მარტო ომამდელ დონეს უნდა გათანაბრებოდა, არამედ უფრო მაღალ საფეხურზე ასულიყო.

სახალხო განათლების დარგში ერთ-ერთ ძირითად ამოცანად დაისახეს დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სკოლების ქსელის მთლიანად აღდგენა და გაფართოება. ეს ამოცანა ძირითადად გადაჭრეს 1951 წლისათვის. 1950-1951 სასწავლო წელს საქართველოში არსებობდა 4300-ზე მეტი დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლა 75000-მდე მოსწავლით. 1945-1950 წწ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელის ზრდის ნათელ დადასტურებას იძლევა ქვემოთ მოტანილი სტატისტიკური ცხრილი:

საქართველოს სსრ	1940-41 წ. წ.	1945-46 წ. წ.	1948-49 წ. წ.	1949-50 წ. წ.
მასობრივი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა	4470	4164	4309	4311
მოსწავლეები	726969	609919	698075	722843
მოზრდილთა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა	270	789	677	588
მოსწავლეები	24400	30804	28455	27042
სულ სკოლები	4740	4953	4986	4899
მოსწავლეები	751369	640723	726530	749885

როგორც ვხედავთ, ომამდელი დონე, სკოლების რაოდენობისა და მოსწავლეთა კონტინგენტის მხრივ, ჯერ კიდევ არ იყო მთლიანად მიღწეული, მაგრამ ეს იმით აიხსნება, რომ ომის პერიოდში საგრძნობლად შემცირდა დაბადებათა რიცხვი და ბუნებრივია, მას მოჰყვა სასკოლო ასაკის ბავშვთა რაოდენობის შემცირება.

სახალხო განათლების დარგში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენდა ომისშემდგომ პერიოდში სწავლების ხანგრძლივობის გადიდება ერთი წლით შვიდწლიან და საშუალო სკოლებში. ეს ღონისძიება მხოლოდ საქართველოში გატარდა და მის დანიშნულებას შეადგენდა სასწავლო მასალის რაციონალურად განაწილების გზით, მოსწავლეთა მომზადების დონის ამაღლება.

ჩვენი რესპუბლიკის სკოლებში სწავლების ვადის გადიდება უპირატესად იმით იყო განპირობებული, რომ ათწლიანი სწავლების პირობებში ჩვენი მოსწავლეები რსფსრ რუსული სკოლების მოსწავლეებთან შედარებით ზედმეტად იყვნენ გადატვირთულნი სასწავლო დავალებებით, რასაც სამი ენის, (მშობლიური, რუსული და უცხო ენების) სწავლება იწვევდა, ამასთანავე, დედაენის საფუძვლიანად შესწავლასთან ერთად, ჩვენი ახალგაზრდობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს სსრ კავშირის ხალხების საერთო სახელმწიფო ენის, რუსული ენის შესწავლას. როგორც ხანგრძლივი დაკვირვებითა და მდიდარი გამოცდილებით დასტურდება, რუსული ენის საფუძვლიანად შესწავლა საშუალო სკოლაში მოითხოვს ამ საგნისათვის, სულ ცოტა, 1500-1600 სასწავლო საათის (გაკვეთილის) გამოყოფას, რაც დაახლოებით ერთნახევარ სასწავლო წელს შეადგენს.

ერთი წლით სწავლების ვადის გადიდებამ დადებითი შედეგი გამოიღო: გარდა იმისა, რომ გაკვეთილების სათანადო რაოდენობა გამოეყო დედაენას, მშობლიურ ლიტერატურას, რუსულ და უცხო ენებს, გაცილებით გაუმჯობესდა საქართველოს ისტორიისა და საქართველოს გეოგრაფიის სწავლება.

საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი განათლების გატარების საქმეში წარმატების მოპოვებასთან ერთად, 1950-1958 წწ. საქართველოს სსრ განათლების ორგანოების წინაშე დაისახა რვაწლიანი სკოლის ფარგლებში საყოველთაო-სავალდებულო განათლების განხორციელების ამოცანა. ჩვენი რესპუბლიკის ქალაქების უმრავლესობასა და მთელ რიგ რაიონებში 1950-51 სასწავლო წლის ბოლოსათვის რვაწლიანი და საშუალო სკოლების V კლასებში მთლიანად ჩაბეს ოთხკლასდამთავრებული მოზარდები.

1951-1958 წლებში ჩვენს რესპუბლიკაში დიდი ყურადღება მიექცა საშუალო სკოლების ქსელის შემდგომ გაფართოებას: დაისახა ქალაქად რვაწლიანი სკოლის კურსდამთავრებულთა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და სხვა სახის საშუალო სასწავლებლებში მთლიანად ჩაბმის ამოცანა. მართალია, ამ ამოცანის განხორციელებას ბევრი დაბრკოლება შეხვდა, მაგრამ საშუალო სკოლების რიცხვი მაინც მნიშვნელოვნად გაიზარდა; 1940-41 სასწავლო წელს რესპუბლი-

კაში 760-მდე საშუალო სკოლა არსებობდა; 1957-58 სასწავლო წლისათვის ასეთ სკოლათა რაოდენობამ 1040-ს მიაღწია, ე. ი. ომამდელთან შედარებით რესპუბლიკას 280 ახალი საშუალო სკოლა შეემატა.

საბჭოთა სკოლამ უდიდესი წარმატებები მოიპოვა ახალი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში, მაგრამ ახალ ვითარებაში იგი უკვე მთლიანად ვეღარ პასუხობდა საზოგადოებრივი ცხოვრების გაზრდილ მოთხოვნილებებს, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამლილი მშენებლობის ამოცანებს. სწორედ ამას მიექცა ყურადღება სკკპ XIX ყრილობაზე 1952 წლის ოქტომბერში. ყრილობამ საჭიროდ ცნო პოლიტექნიკური სწავლების შემოღება სკოლებში და ამისათვის უახლოესი წლების განმავლობაში სათანადო პირობების მომზადება.

1956 წელს სკკპ XX ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების დაუყოვნებლივ შემოღებაზე. ამასთანავე, ყრილობამ აუცილებლად ჩათვალა სკოლების სწავლების კურსში და სწავლა-აღზრდის საერთო სისტემაში სათანადო ადგილი დათმობოდა წარმოების საფუძვლების შესწავლას არა მარტო თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც. ამასთან დაკავშირებით სკოლის სასწავლო გეგმებში შეიტანეს სათანადო ცვლილებები, შემოიღეს ახალი საგნების სწავლება, როგორიცაა მანქანათმცოდნეობის საფუძვლები, ელექტროტექნიკა და სხვ. გამოიყო საათები შრომის გაკვეთილებისათვის, სკოლებში მოეწყო სახელოსნოები და სამუშაო ოთახები.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება, რაც სამამულო ომის შემდეგ განხორციელდა მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეში, ეს იყო სკოლა-ინტერნატების ჩამოყალიბება. მართალია, ინტერნატები ჩვენში ომამდეც არსებობდა, მაგრამ ეს ინტერნატები სპეციფიკურ ამოცანებს ემსახურებოდა: რესპუბლიკის მთიან ადგილებში, სადაც ბევრი პატარა სოფელია და სასკოლო ასაკის ბავშვთა სიმცირის გამო რვაწლიანი და საშუალო სკოლების გახსნა არ ხერხდებოდა, დიდ სკოლებთან ეწყობოდა ინტერნატები. იგი მომსახურებას უწევდა მთის პატარა სოფლების ბავშვებს, მაგრამ მოზარდი თაობის აღზრდის სისტემასა და შინაარსში ცვლილება არ შეჰქონდა. ეს დაწესებულებები მოსწავლეებს უმთავრესად საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფდა.

სკოლა-ინტერნატები, რომელთა ჩამოყალიბება ჩვენს რესპუბლიკაში მასიურად 1957-1958 წლებიდან დაიწყო, ახალი ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებაა და მიზნად ისახავს ახალგაზრდობას საშუალო სკოლის ფარგლებში სრულყოფილი, ყოველმხრივი განათლება მისცეს. ეს არის კარგად მოწყობილი სკოლა, რომელიც ბავშვებსა და მოზარდებს არა მარტო სწავლისათვის აუცილებელი ნივთიერი საშუალებებით უზრუნველყოფს, აგრეთვე კოლექტიური ყოფა-ცხოვრების პირობებში მათ კომუნისტურ აღზრდას, განათლებასა და სწავლებასაც ახორციელებს; იგი სავსებით შეესატყვისება კომუნიზმის მშენებლობის თანამედროვე ეტაპს, საზოგადოებრივი აღზრდის სახელმწიფოებრივი სისტემის მაღალ ფორმას.

ჩვენს რესპუბლიკაში სკოლა-ინტერნატებს მუშაობის ყველა აუცილებელი პირობა აქვთ; ახალი ტიპის საუცხოო შენობები, ფართო ეზოები და სასწავლო ნაკვეთები, სახელოსნოები და კაბინეტები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკები, მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით, კვებით, ნათელი ბინებითა და თანამედროვე სტილის ავეჯით, მაღალკვალიფიციური პედაგოგებით. თუ 1957 წელს სულ რამდენიმე სკოლა-ინტერნატი იყო, დღეისათვის 69 სკოლა-ინტერნატში 23 ათასი მოსწავლეა. აქედან 28 სკოლა-ინტერნატი სოფელშია.

ბავშვთა და მოზარდთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და ოჯახისადმი ქმედითი დახმარების ერთ-ერთი სერიოზული ფორმაა აგრეთვე გახანგრძლივებული დღის სკოლები და ჯგუფები, რომლებიც ქალაქებსა და სოფლებში შეიქმნა.

სკოლა-ინტერნატში მიიღებიან უდედმამოდ დარჩენილი ბავშვები და ბავშვები იმ მშობლებისა, რომელთაც მატერიალურ დაბრკოლებათა ან საზოგადოებრივი მუშაობით გადატვირთვის გამო, არა აქვთ საშუალება საკმარისი ყურადღება დაუთმონ შვილების აღზრდას.

სკოლები, გახანგრძლივებული დღის რეჟიმით, ქმნის იმის პირობებს, რომ ბავშვები, რომელთა მშობლები თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის გამო დაკავებულნი არიან, უმეთვალყუროდ არ დარჩნენ. გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში და გახანგრძლივებული დღის რეჟიმის სკოლებში მოწაფეები რჩებიან მეცადინეობის დამთავრების შემდეგ. აქ ისინი აღმზრდელი მასწავლებლის ხელმძღვანელობით გონივრულად ისვენებენ და ერთობიან, ამზადებენ გაკვეთილებს, ასრულებენ საშინაო დავალებებს.

საბჭოთა საქართველოს სახალხო განათლების სისტემაში დიდი ადგილი დაიჭირა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებმა, საბავშვო ბაგებმა და ბაღებმა. 1958 წელს საქართველოში 606 საბავშვო ბაღი არსებობდა 37 ათასი ბავშვით, ხოლო საბავშვო ბაგაში იყო 14.700 ბავშვი.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვებს მშობლიური მზრუნველობით უვლიან და ზრდიან გამოცდილი აღმზრდელები და სამედიცინო პერსონალი. ბავშვები ზაფხულობით აგარაკებზე მიჰყავთ. იქ ისინი განსაკუთრებული რეჟიმის პირობებში იმყოფებიან. ეს ღო-

ნისძიება დიდად უწყობს ხელს ბავშვთა გაჯანსაღებას, ზრდასა და განვითარებას.

გარდა ჩვეულებრივი ტიპის სკოლამდელი დაწესებულებებისა, არსებობს აგრეთვე ისეთი საბავშვო ბაგები და ბაღები, სადაც ბავშვები დღე-ღამის განმავლობაში რჩებიან.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, სკოლა-ინტერნატების, გახანგრძლივებული დღის ჯგუფებისა და გახანგრძლივებული დღის რეჟიმის სკოლების ერთ-ერთ ძირითად დანიშნულებას შეადგენს მშობლების განტვირთვა საოჯახო საქმეებისაგან და მათთვის სათანადო პირობების შექმნა საზოგადოებრივ მუშაობაში უფრო აქტიურად ჩაბმისათვის.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან ერთად ომის შემდგომ წლებში განსაკუთრებით იწყო განვითარება დაბალმა და საშუალო პროფესიულმა სკოლებმა და სასწავლებლებმა. ეს იმითაც აიხსნება, რომ ქვეყანაში ომით დანგრეული რაიონების სწრაფი აღდგენა მოითხოვდა კვალიფიციურ მშრომელთა არმიას; მაგალითად: საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სასწავლებელთა რიცხვი 1946 წელს შეადგენდა 22-ს, 1947 წელს იგი გაიზარდა 34-მდე, ხოლო 1948 წელს ამ სკოლების რიცხვმა 51-ს მიაღწია; მარტო თბილისის საწარმოებმა ამ სასწავლებელთაგან რამდენიმე ათეული ათასი ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა მიიღეს. მათი უმრავლესობა საწარმოო გეგმას სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებდა.

1953 წ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს V სესიაზე მძიმე მრეწველობის განვითარებასთან ერთად დაისახა ფართო მოხმარების საგნების წარმოების ზრდა. ამ ამოცანის გადაჭრაში გარკვეული როლი დაეკისრა პროფესიულ სასწავლებლებს. ამასთანავე, პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ პროფესიული განათლების სისტემას დააკისრა სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მექანიზატორთა კადრების მომზადების საქმე. ისე, როგორც მთელს საბჭოთა კავშირში, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაშიც (ენისელში, წულუკიძეში, დიღომში, ველისციხეში, სურამში და სხვ.) შეიქმნა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სახელოსნო სასწავლებლები და სკოლები.

ომისშემდგომ საბჭოთა ხუთწლედებში სახალხო მეურნეობის განვითარების ახალ ამოცანებთან დაკავშირებით სპეციალური საშუალო განათლების ქსელის, ტექნიკუმებისა და სასწავლებლების მუშაობის ხარისხის გასაუმჯობესებლად ბევრი რამ გაკეთდა. საგრძნობლად განმტკიცდა საშუალო სპეციალური სასწავლებლების ნივთიერი და სასწავლო-ტექნიკური ბაზა. ომის შემდგომ თბილისსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში რამდენიმე ათეული საუცხოო სასწავლო შენობა აიგო

ტექნიკუმებისათვის, ტექნიკუმების საერთო საცხოვრებლებისათვის, კაბინეტ-ლაბორატორიები გამდიდრდა ახალი იარაღ-მოწყობილობით, გაიზარდა ბიბლიოთეკათა წიგნადი ფონდი. ყოველივე ამას, რა თქმა უნდა, მოჰყვა საშუალო კვალიფიკაციის ტექნიკოსთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესება, მათი მომზადების დონის ამაღლება.

ომის შემდგომ პერიოდის დასაწყისიდან მასწავლებელთა ნაკლებობა იგრძნობოდა. მასწავლებელთა კადრების შევსების მიზნით გადიდდა პედაგოგიურ სასწავლებელთა რიცხვი, გაფართოვდა პიონერხელმძღვანელთა და მასწავლებელთა სპეციალური მომზადება. გაიზარდა სამასწავლებლო და პედაგოგიური ინსტიტუტების ქსელი; საქართველოში არსებული ყველა სამასწავლებლო ინსტიტუტი პედაგოგიურ ინსტიტუტად გადაკეთდა, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა V-VIII კლასების მასწავლებელთა მომზადების ხარისხი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო სპეციალური დადგენილება „ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებისათვის მასწავლებელთა მომზადების ხარისხის ამაღლების შესახებ". ამ დადგენილების საფუძველზე პედაგოგიური ინსტიტუტები ოთხწლიანი სწავლებიდან ხუთწლიან სწავლებაზე გადაიყვანეს, რამაც უზრუნველჰყო ფართო პროფილის მასწავლებელთა მომზადება, რომელთაც შეეძლებოდათ ესწავლებინათ არა ერთი სასწავლო დისციპლინა, არამედ მონათესავე დისციპლინებიც (მაგ., ისტორია, მშობლიური ენა და ლიტერატურა, ან მშობლიური ენა და ლიტერატურა — რუსული ენა და ლიტერატურა და სხვ.).

1957-58 სასწავლო წლიდან საქართველოს სსრ ყველა პედაგოგიურ ინსტიტუტში გაიხსნა დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მოსამზადებელი ფაკულტეტები.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში 1973 წლისათვის არსებობს 7 პედაგოგიური, 1 ფიზიკური კულტურისა და 1 უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტი.

ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში 1954 წლიდან განაახლა მუშაობა ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტმა, რომელიც ამზადებს მაღალკვალიფიციურ ბიბლიოთეკართა კადრებს.

ომის შემდგომ წლებში აქტიურად განაგრძობს მუშაობას საქართველოს სსრ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი, სადაც ლექცია-კონსულტაციებთან ერთად ეწყობა მასწავლებელთა შემოქმედებითი გამოცდილების გაზიარება-განზოგადება, რაც ხელს უწყობს ახალგაზრდა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

1945-1958 წლებში საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რეს-

პუბლიკაში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გაატარეს უმაღლესი განათლების შემდგომი განვითარების მიზნით.

გაიზარდა სტუდენტთა კონტინგენტი და პროფესორ-მასწავლებელთა რიცხვი. 1956 წლისათვის საბჭოთა საქართველოს უმაღლესი განათლების მქონე პირთა რაოდენობის მიხედვით მსოფლიოში კვლავ ერთ-ერთი პირველი ადგილი ეჭირა.

ომის შემდგომ წლებში მთლიანად აღადგინეს სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებანი, ამაღლდა ამ დაწესებულებათა მუშაობის ხარისხი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მუშაობა. შესანიშნავ შენობასთან ერთად ყურადღებას იპყრობს სასახლის მშვენიერი ბაღი. სასახლის პედაგოგიური კოლექტივის ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად პიონერთა სასახლე გადაიქცა რესპუბლიკის პიონერთა და მოსწავლეთა შორის მუშაობის უდიდეს ცენტრად.

1963 წლიდან სასახლეში 8 განყოფილება მუშაობს. იგი 58 კაბინეტსა და ლაბორატორიას აერთიანებს. სასახლეში 460 წრეა, რომელშიც 7.000-ზე მეტი პიონერია ჩაბმული.

სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებათა მუშაობაში დიდი ადგილი დაეთმო მოსწავლეთა მიერ ტექნიკური ცოდნის დაუფლებას როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულადაც. თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკური სადგური სისტემატურად მონაწილეობდა საკავშირო გამოფენებზე მოსწავლეთა მიერ დამზადებული ექსპონატებით.

სკოლისგარეშე დაწესებულებანი საგრძნობ დახმარებას უწევდნენ სახალხო განათლების ორგანოებს მოზარდთა ფიზიკური და მხატვრული აღზრდის დარგში. პიონერთა და მოსწავლეთა სახლებთან და სასახლეებთან ერთად, ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ ბავშვთა სპორტული სკოლები, რომლებიც საბჭოთა კავშირში პირველად ჩვენს რესპუბლიკაში გაიხსნა. ომის შემდგომ წლებში სპორტული სკოლების ქსელი საქართველოში თანდათან იზრდებოდა. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მასობრივი ფიზკულტურული ღონისძიებების განხორციელებას. სპორტული სკოლები დიდ როლს ასრულებდნენ და ასრულებენ ნიჭიერი სპორტსმენების გამოვლინებასა და მათი აღზრდის საქმეში. ამ სკოლებში ბევრი მოწინავე ქართველი სპორტსმენი აღიზარდა.

ნაყოფიერი იყო რესპუბლიკის სკოლისგარეშე დაწესებულებათა მუშაობა ბავშვთა და მოზარდთა მხატვრული შემოქმედებითი ნიჭის გამოვლინებასა და განვითარებაში. ტრადიციად იქცა ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების სასკოლო, სარაიონო, საქალაქო, საოლქო, რესპუბლიკური დათვალიერებისა და ოლიმპიადების მოწყობა.

ახალი ეტაპი სახალხო განათლების სისტემის განვითარებაში (1958—1972 წწ.)

1958 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თეზისები „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ". ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტის საყოველთაო-საზოგადოებრივი განხილვის შედეგად სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ 1958 წლის 24 დეკემბერს მიიღო კანონი „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ".

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ ამავე საკითხზე მიიღო კანონი 1959 წლის 18 აპრილს და ამით დაიწყო ახალი, კიდევ უფრო მაღალი ეტაპი საბჭოთა სახალხო განათლების განვითარების ისტორიაში.

ახალი კანონი სკოლის შესახებ ითვალისწინებდა სკოლის მუშაობის გარდაქმნას სწავლების მწარმოებლურ შრომასთან, კომუნიზმის მშენებლობასთან დაკავშირების საფუძველზე. ამ კანონის მიხედვით, სახალხო განათლების სისტემის ძირითად რგოლად აღიარებულია საშუალო სკოლა, რომელიც ორ ეტაპად იყოფა: 1. არასრული საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიანი შრომითი პოლიტექნიკური სკოლა; 2. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლა.

რვაწლიანი სკოლა საყოველთაოდ და სავალდებულოდ იქნა გამოცხადებული. კანონში დაისახა უაღრესად მნიშვნელოვანი ღონისძიებანი 7-15 წლის ასაკის ყველა ბავშვისა და მოზარდის სკოლაში ჩაბმის უზრუნველსაყოფად.

რვაწლიანი სკოლის ბაზაზე შეიქმნა სამი ძირითადი ტიპის სკოლა, რომელიც სრულ საშუალო განათლებას აძლევს ახალგაზრდობას. ეს სკოლებია: ა) მუშა-ახალგაზრდობისა და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს (ცვლის) სკოლები, რომლებშიც მოსწავლეები იღებენ საშუალო ზოგად განათლებას წარმოებიდან მოუწყვეტლივ; ბ) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლები საწარმოო სწავლებით, რომლებშიც რვაწლიან სკოლაში კურსდამთავრებული პირები ღებულობენ სამი წლის განმავლობაში საშუალო განათლებას და პროფესიულ მომზადებას; გ) ტექნიკუმები და სხვა საშუალო სპეციალური სასწავლებლები, რომლებშიც აგრეთვე რვაწლიანი სკოლის კურსდამთავრებულები ღებულობენ საშუალო ზოგად და სპეციალურ განათლებას.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის კვალიფიციური მუშების მომზადების მიზნით, კანონი ითვალისწინებდა პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის შექმნას, რომელშიც გაერთიანებული იქნებოდა ქალაქებისა და სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები.

კანონში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი აგრეთვე უმაღლესი სკოლის მუშაობის გარდაქმნას და მისი შემდგომი განვითარების საკითხს. 1958 წლის კანონით ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლას მოსწავლეებისათვის ზოგად განათლებასთან ერთად პროფესიული მომზადებაც უნდა მიეცა სწავლების თერთმეტწლიანი კურსის ფარგლებში. პრაქტიკულად ამის განხორციელება ძნელი შეიქნა: სკოლა ვერ ახერხებდა საწარმოო სწავლების საქმის სათანადოდ დაყენებასა და მოსწავლეთა პროფესიულ მომზადებას. მნიშვნელოვნად შეფერხდა სკოლაში ზოგადსაგანმანათლებლო საგნებში მეცადინეობა, გაუარესდა სწავლების ხარისხი. ამიტომ იყო, რომ ხელმძღვანელმა ორგანოებმა 1964 წელს მიიღეს ახალი დადგენილება, რომლის თანახმად საწარმოო სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოიხსნა. ამასთან დაკავშირებით სწავლების ხანგრძლივობა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში ათი წლით განისაზღვრა.

კანონში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საშუალო, უმაღლეს და სპეციალური განათლების საკითხს.

კანონი კონკრეტულად მიუთითებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის როლზე ბუნებისმეტყველებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრაში, სკოლებისათვის მაღალკვალიფიციური მასწავლებლების მომზადებაში.

კანონი ითვალისწინებდა მასწავლებელთა მომზადების გაუმჯობესებას პედაგოგიურ ინსტიტუტში, სკოლის დაკომპლექტებას უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებლებით.

პედაგოგიურ ინსტიტუტში ამაღლდა სწავლების მეცნიერულ-თეორიული დონე. შესამჩნევად გაძლიერდა საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკა, პედაგოგიურ პრაქტიკას მიენიჭა უდიდესი მნიშვნელობა მასწავლებელთა მომზადების საქმეში.

მუსიკის, ფერწერის, თეატრალური და ხელოვნების სხვა დარგებში უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადებისათვის ფართოდ გამოიყენეს წარმოებისაგან მოუწყვეტელი სწავლების სისტემა, რათა ასეთი განათლების მიღების შესაძლებლობა მიეცეს მშრომელთა ფართო მასებს. საჭიროდ მიიჩნიეს კულტურისა და ხელოვნების უმაღლეს სასწავლებლებში გაფართოებულიყო სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებებისათვის საგუნდო, თეატრალური და სხვა

მხატვრული კოლექტივების კვალიფიციური ხელმძღვანელების მომზადება.

უმაღლეს სასწავლებლებს დაევალათ ასპირანტურის მეშვეობით სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების საქმის გაუმჯობესება; ამასთანავე, გათვალისწინებული იყო, რომ ასპირანტთა მომზადება უნდა მომხდარიყო არა მარტო სამეცნიერო დაწესებულებებისა და სასწავლებლებისათვის, არამედ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებში სამუშაოდაც.

მეტი ყურადღება დაეთმო სტუდენტთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას, მარქსისტულ-ლენინური თეორიის სწავლების გაუმჯობესებას, ახალგაზრდობაში კომუნისტური მორალის მაღალი პრინციპების, შრომისადმი სიყვარულის, ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით აღზრდას.

ამაღლდა უმაღლესი სასწავლებლების როლი მეცნიერული გამოკვლევების განხორციელებაში, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის.

საგრძნობლად გაფართოვდა და განმტკიცდა უმაღლეს სასწავლებელთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, უახლესი მოწყობილობით აღიჭურვა ლაბორატორიები და სასწავლო კაბინეტები, გაიზარდა საერთო საცხოვრებლების რიცხვი, გაუმჯობესდა სტუდენტთა საზოგადოებრივი კვება. ამასთანავე, განმტკიცდა და გაფართოვდა საღამოსა და დაუსწრებელი უმაღლესი განათლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც, რამაც უზრუნველყო კინოს, რადიოს, ტელეხედვისა და სხვა თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა ფართოდ გამოყენება.

1961 წლის ოქტომბერში სკკპ XXII ყრილობამ მიიღო პარტიის ახალი პროგრამა. სახალხო განათლების დარგში პროგრამა ითვალისწინებს დიდმნიშვნელოვან ღონისძიებათა გატარებას, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს სახალხო განათლების მთელ სისტემას საბჭოთა კავშირში და აიყვანს მას ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე. პარტიის ახალი პროგრამის მიხედვით დაიწყო საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა. დიდი ყურადღება მიექცა სკოლამდელი აღზრდის სისტემის გაფართოებას, სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განმტკიცებას, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების შემდგომ განვითარებასა და აღმავლობას.

პარტიის XXIII ყრილობამ, რომელმაც მიიღო სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმა, მნიშვნელოვანი ღონისძიებები დასახა სახალხო განათლების დარგში.

პარტიის XXIII ყრილობის დირექტივები და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის ნოემბერში მიღებული დადგენილება „საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სახალხო განათლების განვითარების შემდგომ პერსპექტივებს სახავენ.

დიდი როლი აკისრია მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის საქმეში კომუნისტური პარტიის ერთგულ თანაშემწეს ლენინურ კომკავშირს.

საკ. ალკკ XV ყრილობის გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ სასკოლო კომკავშირის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს, აღზარდოს ყოველ მოსწავლეში მაღალი დისციპლინიანობა, პასუხისმგებლობა, ცოდნის კეთილსინდისიერად და შემოქმედებითად დაუფლებისაკენ მისწრაფება.

1968 წლის მაისში შეიკრიბა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მასწავლებელთა III ყრილობა.

ყრილობამ აუცილებლად ცნო, კვლავაც ვითარდებოდეს ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლა, რომ სკოლის მთავარი ამოცანაა ახალგაზრდობის მეცნიერებათა საფუძვლების ცოდნით შეიარაღება, მოსწავლეებში მაღალი კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება და ცხოვრებისათვის, პროფესიის შეგნებულად არჩევისათვის მომზადება. სკოლამ საზოგადოების განვითარების კანონების ცოდნით უნდა აღზარდოს მოსწავლეები საბჭოთა ხალხის რევოლუციურ და შრომით ტრადიციებზე, გაუღვიძოს მათ საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალი გრძნობა, შთაუნერგოს სოციალისტური სამშობლოს დასაცავად მზადყოფნის პასუხისმგებლობა. საბჭოთა სკოლა მოწოდებულია, ახორციელებდეს მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდას, რასაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოზარდის იდეურ და ზნეობრივ ჩამოყალიბებაში, აგრეთვე უზრუნველყოფდეს მოსწავლეთა ნორმალურ ფიზიკურ განვითარებასა და ჯანმრთელობის განმტკიცებას.

ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებმა ახალგაზრდობის აღზრდის დარგში მთავარ ამოცანად დასახა, 1970 წელს ძირითადად დამთავრდეს ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა და ერთდროულად განხორციელდეს სასკოლო განათლების შინაარსის შეფარდება ჩვენში სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის წინსვლასთან, მკვეთრად გაუმჯობესდეს სწავლების ხარისხი და კომუნისტური აღზრდის საქმე და რომ ამ ამოცანის გადასაჭრელად საბჭოთა საქართველოში უკვე გადადგმულია პირველი ნაბიჯები.

1968 წლის 2 ივლისს კრემლის ყრილობათა სასახლეში შეიკრიბა

მასწავლებელთა სრულიად საკავშირო II ყრილობა. ყრილობას დაესწრნენ მოძმე სოციალისტური ქვეყნების დელეგატებიც. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები.

მასწავლებელთა სრულიად საკავშირო ყრილობამ მიიღო მიმართვა სსრ კავშირის ყველა მასწავლებლისადმი, სახალხო განათლების მუშაკისადმი, მშრომელებისა და საზოგადოებრიობისადმი და გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, სსრ კავშირის მასწავლებლები, სახალხო განათლების მუშაკები მშობლებთან და მთელ საბჭოთა საზოგადოებრიობასთან ერთად მჭიდრო თანამშრომლობით უზრუნველყოფენ სკოლის შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებას, მთელ ძალ-ღონეს მოახმარენ იმას, რომ მოამზადონ კომუნისტური საზოგადოებისათვის იდეურად მტკიცე, შრომისმოყვარე, აქტიურ მშენებელთა თაობა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს საბჭოთა საქართველო სახალხო განათლების დარგში კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლებით შეხვდა. ამ დიდი თარიღისათვის საქართველოში იყო 4685 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა 927800 მოსწავლითა და 69000 მასწავლებლით, საბავშვო ბაგა და ბაგა-ბაღი 91400 აღსაზრდელით, 18 უმაღლესი სასწავლებელი 81400 სტუდენტით, 92 საშუალო სპეციალური სასწავლებელი 43200 მოსწავლით. 1967 წელს ყოველ ათი ათას მცხოვრებზე უმაღლესი სკოლის 177 სტუდენტი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებისა და ტექნიკუმების 94 მოსწავლე მოდიოდა.

კიდევ უფრო მეტი აღმავლობა შეინიშნება საბჭოთა საქართველოს სახალხო განათლების დარგში 1968-1972 წლებში.

სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, ითვალისწინებს, რომ ახალ ხუთწლედში დამთავრდება საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა, რაც ფართო შესაძლებლობას მისცემს ოითოეულ ადამიანს აირჩიოს პროფესია მოწოდების მიხედვით და უკეთ გამოიყენოს თავისი ნიჭი მთელი საზოგადოების საკეთილდღეოდ. ამასთანავე, დიდი ყურადღება მიექცევა პროფესიულ-ტექნიკურ განათლებას, განვითარდება უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების საქმე, ამაღლდება მოსწავლეთა სწავლების ხარისხი, უფრო აქტიურად და მიზანშეწონილად მომზადდებიან ისინი საზოგადოებრივი სასარგებლო შრომისათვის.

XXIV ყრილობის დირექტივები ამისათვის საჭიროდ თვლის პე-

დაგოგთა კადრების მომზადების ხარისხის გაუმჯობესებას, მათი კვალიფიკაციის დონის ამაღლებას, მუშაობის გაძლიერებას მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისათვის, ახალგაზრდობის მიდრეკილებათა და კვალიფიციურ კადრებზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების გათვალისწინებით; ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებას, მათ აღჭურვას თანამედროვე მოწყობილობით და სწავლების ტექნიკური საშუალებებით; უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების შემდგომ განვითარებას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნების შესაბამისად, მომავალ სპეციალისტთა მომზადების და მათი იდეურ-პოლიტიკური აღზრდის გაუმჯობესებას, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა სტიპენდიების გადიდებას.

სკკპ XXIV ყრილობის რეზოლუციაში ნათქვამია, რომ „ახალგაზრდობის განათლებისა და აღზრდის მთელი საქმე უნდა ემსახურებოდეს ახალი თაობისათვის კომუნისტური მრწამსისა და მორალის, სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების ჩანერგვას“.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისათვის დიდია სახალხო განათლების დარგში მოპოვებული წარმატებები. 1710 საბავშვო ბაღსა და ბაგა-ბაღში 113740 ბავშვია, 4585 სკოლაში სწავლობს 1.050.000 მოსწავლე, მათი სწავლებისა და კომუნისტურად აღზრდის საპასუხისმგებლო ამოცანას ემსახურება 71320 მასწავლებელი, 100 ტექნიკუმსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებელში 54000 ახალგაზრდა ეუფლება სხვადასხვა პროფესიას.

განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდიან პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები. არსებობის 33 წლის მანძილზე რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლებმა მოამზადეს 260 ათასზე მეტი ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა. დღეს 71 პროფტექნიკურ სასწავლებელში 33000-ზე მეტი მოსწავლე ეუფლება 200 სხვადასხვა პროფესიას. შეიქმნა ახალი ტიპის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, სადაც პროფესიასთან ერთად ახალგაზრდობა ეუფლება სრულ საშუალო განათლებას. მე-9 ხუთწლედის ბოლოს საქართველოში იქნება 120 მარტო საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, სადაც ისწავლის 72000 ახალგაზრდა.

რა თქმა უნდა, სახალხო განათლების დარგში დღესაც ბევრია სიძნელეები და ჯერ კიდევ გადაუჭრელი საკითხები. ყოველივე ეს, ცხოვრების მოთხოვნილების მიხედვით, შემდგომ სრულყოფასა და განვითარებას საჭიროებს. ეჭვი არ არის, რომ სახალხო განათლების ფრონტის წინაშე წამოჭრილი ახალი ამოცანები წარმატებით იქნება გადაწყვეტილი, რითაც საბჭოთა სკოლა და საბჭოთა განათლების სისტემა კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე იქნება აყვანილი.

პედაგოგიკური მეცნიერების განვითარება 1941—1972 წლებში

1941-1945 წლების სამამულო ომით გამოწვეული დიდი სიძნელეების მიუხედავად, საქართველოში პედაგოგიკური მეცნიერების შემდგომი ზრდა და განვითარება არ შეფერხებულა. პედაგოგიკურ ლიტერატურას შეემატა მეტი მეცნიერული სიღრმე და მაღალი იდეურ-პოლიტიკური დონე. საქართველოს სსრ დაწყებითი და საშუალო სკოლის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ ცნობილი ქართველი მეცნიერები: დ. უზნაძე, რ. ნათაძე, ალ. ფრანგიშვილი (ფსიქოლოგია), დ. ლორთქიფანიძე, გ. თავზიშვილი (პედაგოგიკა, პედაგოგიკის ისტორია), გ. გეხტმანი, დ. დონდუა (გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკა), ს. ფურცელაძე (რუსული ენის სწავლების მეთოდიკა), მ. მირიანაშვილი, მ. კონიაშვილი (ფიზიკა-მათემატიკის სწავლების მეთოდიკა), ა. ნამორაძე (ისტორიის სწავლების მეთოდიკა) და სხვ.

1944 წლიდან, როდესაც ინსტიტუტი პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად გადაკეთდა, სამუშაოდ მოწვეული იყვნენ პროფ. შ. ნუცუბიძე, პროფ. ს. დანელია, პროფ. რ. ნიკოლაძე და სხვ.

ინსტიტუტთან დაარსდა გამომცემლობა და შეიქმნა სამეცნიერო ორგანო — „შრომები“. გარდა ორიგინალური ნაშრომებისა და სახელმძღვანელოების შედგენისა, ინსტიტუტი ეწეოდა პედაგოგიკის კლასიკოსთა თხზულებათა თარგმნასა და გამოცემას. ინსტიტუტთან არსებულმა ასპირანტურამ აღზარდა პედაგოგიკური მეცნიერების დარგში მომუშავე მრავალი მეცნიერი, რომელთაგან დიდი უმრავლესობა წარმატებით ეწევა მეცნიერულ-პედაგოგიურ მუშაობას.

განმტკიცდა და გაფართოვდა საქართველოს უმაღლეს სასწავლებელთა პედაგოგიკისა და პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრები. მრავალფეროვანი და უფრო ღრმა მეცნიერული ხასიათი მიიღო სამეცნიერო-კვლევითმა მუშაობამ. გამდიდრდა ქართულ ენაზე გამოცემული პედაგოგიკური ლიტერატურის ფონდი, გამოიცა წიგნები პედაგოგიკის თეორიის, პედაგოგიკის ისტორიის, პედაგოგიკური ფსიქოლოგიის, სკოლამდელი აღზრდისა და ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლების მეთოდიკების დარგში. ქართველმა მკითხველმა მიიღო პედაგოგიკის მრავალი კლასიკოსის თხზულებანი.

სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში აქტიურად ჩაება სკოლებისა და

სახალხო განათლების ორგანოების ბევრი პრაქტიკოსი მუშაკი, რასაც ხელი შეუწყო რაიონებში პედაგოგიურმა კითხვებმა და რესპუბლიკურმა სამეცნიერო-პედაგოგიურმა კონფერენციებმა. კარგი შედეგები გამოიღო პედაგოგიური კითხვებისა და სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციების მონაწილეთა საუკეთესო მოხსენებების გამოქვეყნებამ კრებულებსა და ჟურნალ-გაზეთებში.

მრავალი საყურადღებო შრომა გამოქვეყნდა სწავლების თეორიის საკითხებზე. 1944 წელს საქართველოს სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა გამოსცა კრებულ „პედაგოგიკის“ ორი ტომი. ორივე ტომი ამ კრებულისა წარმოადგენს ინსტიტუტის შრომებს და შემდგომ წლებში იგი სწორედ „შრომების“ სახელწოდებით გამოდის. კრებულ „პედაგოგიკის“ I და II ტომის გამოსვლით საფუძველი ჩაეყარა ინსტიტუტის მუშაკთა მიერ შექმნილ მეცნიერულ-პედაგოგიკური ლიტერატურის სისტემატურ გამოცემას.

1944 წელს გამოვიდა პროფ. დ. ლორთქიფანიძის ნაშრომი „სწავლების პრინციპები, ორგანიზაცია და მეთოდები“. აღნიშნული ნაშრომი მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე აშუქებს საბჭოთა დიდაქტიკის ძირითად საკითხებს: სწავლების გნოსეოლოგიური და ზოგადდიდაქტიკური საფუძვლები, გაკვეთილი და მისი აგების ძირითადი პრინციპები, სწავლების მეთოდები, მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება და შეფასება და სხვ. წიგნში ფართოდაა გამოყენებული საბჭოთა სკოლის მდიდარი გამოცდილება. აღნიშნულმა ნაშრომმა გარკვეული დახმარება გაუწია ჩვენს მასწავლებლობას დიდაქტიკის საკითხების მეცნიერულად დაუფლებაში. წიგნმა დიდი მოწონება და გამოხმაურება პოვა, იგი შემდგომ წლებში რამდენჯერმე გამოიცა არა მარტო ქართულ ენაზე, არამედ რუსულ ენაზე მოსკოვში და ჩეხურ ენაზე პრაღაში. დ. ლორთქიფანიძის „სწავლების პრინციპები, ორგანიზაცია და მეთოდები“ მთლიანად შევიდა პედაგოგიკის სახელმძღვანელოს ქართულ ორიგინალურ კურსში.

1947 წელს გამოიცა პროფ. უ. ობოლაძის „პედაგოგიკა“ (პირველი ნაწილი), რომელშიაც მეცნიერული თანმიმდევრობითაა გაშუქებული სწავლების თეორიის უძირითადესი საკითხები. აღნიშნულმა წიგნმა გარკვეული დახმარება გაუწია ჩვენი რესპუბლიკის პედაგოგიური სასწავლებლების ქართველ მოსწავლეებს პედაგოგიკის კურსის დაუფლებაში.

ავტორთა კოლექტივმა პროფ. დ. ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით დაამუშავა და 1956 წელს გამოსცა პედაგოგიკის სახელმძღვანელო. ეს იყო მნიშვნელოვანი ნაბიჯი ქართულ ენაზე პედაგოგიკის სრულყოფილი სახელმძღვანელოს შექმნის გზაზე. პედაგოგიკის მეორე, უფრო სრულყოფილი ორიგინალური სახელმძღვანელო უმაღლესი სკოლისათვის გამოიცა 1969 წელს.

1971 წელს პედაგოგიური ფაკულტეტებისათვის ნ. მექვაბიშვილის, ი. ხარშილაძის, გ. ნიკოლაიშვილის, ვ. გაგუას, პ. კვირკელიას ავტორობით გამოვიდა პედაგოგიკის სახელმძღვანელო.

სწავლების თეორიის ყველაზე მნიშვნელოვან და აქტუალურ პრობლემებს წარმოადგენს სწავლების შინაარსისა და სისტემის განსაზღვრა მეცნიერულ საფუძველზე, სწავლების ორგანიზაციის ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფა და რაციონალიზაცია. ეს პრობლემები განსაკუთრებული სიმწვავით დაისვა მეცნიერებისა და ტექნიკის წინსვლასა და განვითარებასთან დაკავშირებით.

სწავლების შინაარსისა და სისტემის განსაზღვრის მიმართულებით საბჭოთა საქართველოში გარკვეული მუშაობა ტარდება. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს პოლიტექნიკური სწავლების, სწავლების მწარმოებლურ შრომასთან შეერთებისა და პროფესიული მომზადების საკითხები. სწორად უნდა გადაიჭრას ზოგადი პოლიტექნიკური და პროფესიული მომზადების ურთიერთკავშირის საკითხი. ამ მხრივ ერთგვარ შეცდომებსა და დამახინჯებებს ჰქონდა ადგილი ორმოცდაათიან წლებში. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საწარმოო სწავლების შემოღებამ გამოიწვია მეცნიერებათა საფუძვლების ცოდნის მოცულობის შეკვეცა და პრაქტიციზმით გატაცება, რაც ეწინააღმდეგებოდა მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას ახალგაზრდობის აღზრდისა და განათლების შესახებ. 60-იანი წლების მეორე ნახევარში გაბედული ნაბიჯები გადაიდგა ამ დამახინჯებათა აღმოსაფხვრელად.

დამუშავდა ახალი სასწავლო გეგმები, პროგრამები, სახელმძღვანელოები. საბჭოთა დიდაქტიკის წინაშე დაისვა ახალი ამოცანა — დაპროგრამებული სწავლების ათვისება. დაპროგრამებული სწავლება, უკავშირდება რა ტექნიკის თანამედროვე საშუალებათა გამოყენებას, სწავლების აქტივიზაციისა და რაციონალიზაციის ახალ მძლავრ საშუალებად გვევლინება.

საქართველოში დაპროგრამებული სწავლებისა და სწავლებაში თანამედროვე ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების საკითხებზე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ტარდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სათანადო კათედრებზე და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტში.

უკანასკნელ ხანებში დიდაქტიკის პრობლემებზე მუშაობაში ფარ-

თოდ ინერგება პედაგოგიკური ექსპერიმენტი. პედაგოგიკურ ექსპერიმენტს, სკოლების მოწინავე გამოცდილების შესწავლისა და თეორიული განზოგადების მეთოდს უფრო მეტად იყენებენ პედაგოგიკის კათედრები, რაც კვლევით მუშაობას მეცნიერულ სიღრმეს მატებს.

აღზრდის თეორიაში უკანასკნელი 30 წლის მანძილზე უმთავრეს პრობლემებად რჩება: ზნეობრივი აღზრდა, შრომითი აღზრდა, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის აღზრდა, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდა, აღზრდა ოჯახში, სკოლა და საზოგადოებრიობა, პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა.

აღზრდის თეორიის ამ ძირითად პრობლემებზე შექმნილია მეცნიერული პროდუქცია, რომელიც შევიდა პედაგოგიკის სახელმძღვანელოს კურსში მესამე ნაწილად, საერთო სათაურით — „აღზრდის თეორია“. გარდა ამისა, გამოქვეყნებულია მთელი რიგი საყურადღებო მეცნიერული შრომებისა, რომლებიც შეეხება ზნეობრივ, ესთეტიკურ, ფიზიკურ და შრომით აღზრდას, კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სკოლა-ინტერნატებში აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსის, ფორმებისა და მეთოდიკის მეცნიერული შესწავლის, ბავშვთა და მოზარდთა უმეთვალყურეობის წინააღმდეგ ბრძოლის, ძნელად აღსაზრდელ, ყრუ-მუნჯ და უსინათლო ბავშვებთან მუშაობის საკითხებს.

აღზრდის თეორიაში დღემდე გამოქვეყნებულ შრომებს შორის მაღალ შეფასებას იმსახურებს აკად. გ. ჯიბლაძის ვრცელი მონოგრაფიული ნაშრომი „ესთეტიკური აღზრდის პრინციპი“, რომელიც 1968 წელს გამოვიდა. ამ შრომაში ვრცლად, საფუძვლიანად და გარკვეული მეცნიერული სისტემითაა განხილული ესთეტიკური აღზრდის თეორიული საკითხები.

გარდა ამისა, ყურადღებას იმსახურებს ვ. გაგუას „შრომისმოყვარეობის აღზრდა უმცროს სასკოლო ასაკში“ (1958 წ.) და „მოსწავლეთა მორალური აღზრდა საბჭოთა სკოლაში“ (1966 წ), პროფ. პ. ჯანელიძის „კომუნისტური აღზრდის საკითხები“ (1972) და სხვ.

რა თქმა უნდა, აღზრდის თეორიის ბევრი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი და დამუშავებული სათანადო მეცნიერული სიღრმითა და სისრულით, ბევრი საკითხი მოითხოვს საფუძვლიან გამოკვლევას იმ ახალი ამოცანების შუქზე, რომელიც დღეს დგას საბჭოთა სკოლის წინაშე. ეს შეეხება უმთავრესად იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას, მშობლების ფორმირებას, შრომით აღზრდას და სხვ.

დღის წესრიგში დგას უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის საკითხების დამუშავება. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ მუშაობა უკვე დაწყებულია.

პედაგოგიკურ ფსიქოლოგიაში სამეცნიერო-კვლევით მუშაობას საქართველოში 1950 წლამდე სათავეში ედგა ცნობილი ქართველი მეცნიერი, ქართული ფსიქოლოგიის სკოლის ფუძემდებელი აკად. დ. უზნაძე. 1944 წელს გამოვიდა დ. უზნაძის კაპიტალური შრომა „ზოგადი ფსიქოლოგია“. შრომა ეხება ფსიქოლოგიის ძირითად პრობლემებს და ავტორი იძლევა ამ პრობლემათა ახლებურ გადაწყვეტას განწყობის თეორიაზე დაყრდნობით. წიგნი ღირსშესანიშნავია ძირითადი ფსიქოლოგიური პრობლემების ღრმა ანალიზით და მდიდარი ფაქტობრივი მასალებით.

1947 წელს გამოვიდა დ. უზნაძის „ბავშვის ფსიქოლოგია“. ავტორი წიგნში არკვევს ბავშვის ფსიქოლოგიის ამოცანებს, კვლევის მეთოდებს და იძლევა ბავშვობის ასაკის პერიოდიზაციას. ყველა საკითხთან დაკავშირებით ავტორი იძლევა აღმზრდელისათვის საჭირო დასკვნებს.

1942 წელს გამოვიდა პროფ. ა. ფრანგიშვილის საყურადღებო ნაშრომი „როგორ უნდა შედგეს გაკვეთილების ცხრილი“. ნაშრომში განხილულია საბჭოთა პედაგოგიკის თეორიისათვის მეტად საინტერესო საკითხები: გაკვეთილის ცხრილის მნიშვნელობა, მისი სტაბილურობა, სასწავლო გეგმის გათვალისწინება, სასწავლო საგანთა თანმიმდევრობა, ცხრილის შედგენის ფსიქოლოგიური და ზოგადპედაგოგიკური საფუძვლები.

„ჩვენს რესპუბლიკაში საბჭოთა პედაგოგიკის განვითარების საქმეში თვალსაჩინო როლი შეასრულა საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სათამაშოებისა და დიდაქტიკური მასალების სამეცნიერო-კვლევითმა ლაბორატორიამ, აქ მომზადდა და 1943 წელს გამოიცა კრებული, რომელიც განკუთვნილი იყო სკოლამდელი აღზრდის მუშაკთათვის. კრებულში გაშუქებულია პრაქტიკული მუშაობის საკითხები და მოცემულია აგრეთვე სკოლამდელ ბავშვთა შორის დიდაქტიკური მასალების გამოყენების შედეგების მეცნიერული ანალიზი. კრებულში მონაწილეობდნენ როგორც პრაქტიკოსი მუშაკები, ასევე სახელმოხვეჭილი მეცნიერები — დ. უზნაძე, რ. ნათაძე და სხვ. აღსანიშნავია დ. უზნაძის სტატია — „დაჯგუფების ცდა სკოლისწინარე ასაკში“, რ. ნათაძის სტატია — „ზოგადი ცნების დაუფლების ერთ-ერთი ფორმა სკოლამდელ ასაკში“, ბ. ხაჭაპურიძისა და ქ. მაჩაბლის სტატია — „აბსტრაქციის უნარის განვითარება ახალი დიდაქტიკური მასალებით მუშაობის პირობებში“ და სხვ. აღნიშნული კრებულის II ნაწილი 1945 წელს გამოიცა. ეს ნაწილიც

ეხებოდა დიდაქტიკური მასალების პრაქტიკულ მუშაობაში გამოყენების შედეგებს. 1946 წელს ეს კრებული რუსულ ენაზეც იქნა გამოცემული.

1948 წელს გამოვიდა ბ. ხაჭაპურიძის დამხმარე წიგნი საბავშვო ბაღის მუშაკთათვის — „დიდაქტიკური მასალებით მუშაობა საბავშვო ბაღში". ნაშრომი შეიცავს საბავშვო ბაღის მუშაობის ძირითადი ფორმების თეორიულ დასაბუთებას და დიდაქტიკური მასალების გამოყენების მეთოდიკას.

1950 წელს საქართველოს სსრ პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტმა გამოსცა „კრებული პედაგოგიკური ფსიქოლოგიის საკითხებზე", რომელიც შეიცავს პროფესორების ა. ფრანგიშვილის, შ. ჩხარტიშვილის, ვ. ნორაკიძის, ზ. ხოჯავას და სხვათა მეცნიერულ ნარკვევებს პედაგოგიკური ფსიქოლოგიის პრობლემებზე. მასში განხილულია ზნეობრივი აღზრდის საკითხები და აღზრდის ფსიქოლოგიური საფუძვლები (ყურადღება, მეხსიერება, ნებისყოფა და სხვ.).

ფსიქოლოგიის ინსტიტუტში დამუშავდა და 1964 წელს გამოიცა კრებული — „ბავშვთა ფსიქოლოგია" (სკოლამდელი ასაკი), რომელშიც შეტანილია ფრიად საყურადღებო და მნიშვნელოვანი მეცნიერული ნაშრომები ბავშვთა ფსიქოლოგიის ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიცაა სკოლამდელი ასაკის ბავშვის ქცევის ძირითადი თავისებურებანი, აზროვნების განვითარება დაბადებიდან 7 წლამდე, ბავშვის მეტყველების განვითარების ფსიქოლოგია და სხვ. ბავშვის ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკურ ფსიქოლოგიაში დიდ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევიან სსრკ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფ. რ. ნათაძე, პროფ. ა. ფრანგიშვილი, პროფ. შ. ჩხარტიშვილი და სხვ.

ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობაა ჩატარებული ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლების მეთოდიკების დარგში. შექმნილია ქართული ენის, ქართული ლიტერატურის, ქართულ სკოლებში რუსული ენისა და მათემატიკის სწავლების მეთოდიკების ორიგინალური მეცნიერული კურსები. შინაარსიანი შემოქმედებითი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობაა გაშლილი აგრეთვე ბუნებისმეტყველების, ფიზიკის, გეოგრაფიის, უცხო ენებისა და რიგ სხვა სასწავლო დისციპლინათა სწავლების მეთოდიკაშიც.

სწავლების მეთოდების მეცნიერულ დამუშავებაში დიდი წვლილი შეიტანეს აკადემიკოსმა ვ. თოფურიამ, პროფ. მ. თალაკვაძემ, პროფ. ვ. რამიშვილმა, პროფ. ლ. კვაჭაძემ, დოც. მ. ჩინჩალაძემ (ქართული ენის სწავლების მეთოდიკა), პროფ. მ. ზანდუკელმა, პროფ. პ. კეკელიძემ, პროფ. ა. თოფურიამ, პროფ. ვ. მახარაძემ, დოც. გ. ბარამიძემ,

დოც. ო. დოლაბერიძემ (ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა), ს. ფურცელაძემ, ვ. ავალიშვილმა, ლ. ჯაფარიძემ, კ. მაჭარაშვილმა (რუსული ენის სწავლების მეთოდიკა), ა. ხარაბაძემ, შ. იაშვილმა (მათემატიკის სწავლების მეთოდიკა), ი. კვაჭაძემ, ი. გვარჯალაძემ (უცხო ენების სწავლების მეთოდიკა) და სხვ.

ორმოციანი წლებიდან მოყოლებული ფართოდ გაიშალა სამეცნიერო კვლევითი მუშაობა ქართული პედაგოგიკისა და საქართველოში სახალხო განათლების განვითარების ისტორიის შესწავლა-დამუშავების სფეროში. ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა რუსეთისა და საზღვარგარეთის კლასიკოს პედაგოგთა მემკვიდრეობის შესწავლასა და მათ თხზულებათა ქართულ ენაზე თარგმნასა და გამოცემას.

ქართული პედაგოგიკის ისტორიაში ინტენსიურ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევიან პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი და პედაგოგიური ინსტიტუტების პედაგოგიკის კათედრები. ამ მუშაობის შედეგად გვაქვს მეტად საინტერესო, ღრმა და შინაარსიანი მეცნიერული შრომები, რომელნიც შუქს ფენენ ქართული პედაგოგიკისა და საქართველოში სახალხო განათლების ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებს.

1940 წელს გამოვიდა პროფ. დ. ლორთქიფანიძის „იაკობ გოგებაშვილის დიდაქტიკა". ავტორს განხილული აქვს იაკობ გოგებაშვილის როგორც ზოგადპედაგოგიკური შეხედულებანი, ასევე დიდაქტიკის ძირითადი პრინციპები და ამ თვალსაზრისით მისი სახელმძღვანელოები „დედა ენა", „ბუნების კარი", „რუსკოე სლოვო".

1941 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული გ. თავზიშვილის, დ. ლორთქიფანიძის, გ. ახვლედიანის, ნ. კეცხოველის, დ. მელიქსეთბეგის, გ. კიკნაძის, ს. ვაჩნაძის, დ. მგელაძის, პ. ჭანიშვილისა და სხვათა სტატიებით.

ი. გოგებაშვილის საიუბილეო დღეებიდან დაიწყო მისი მდიდარი პედაგოგიური მემკვიდრეობის ღრმად შესწავლა და დამუშავება. 1948 წელს გამოვიდა დ. ლორთქიფანიძის წიგნი „დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი". მასში განხილულია ი. გოგებაშვილის ზოგადპედაგოგიური და ზოგადდიდაქტიკური იდეები, მისი მოძღვრება სწავლა-აღზრდაში მშობლიური ენის როლის შესახებ, რუსული ენის და მისი სწავლების პრინციპები, ბუნებისმეტყველება და მისი ადგილი სწავლების სისტემაში, ისტორიის როლი სწავლებასა და აღზრდაში და სხვ. შემდგომ წლებში ეს წიგნი რამდენჯერმე გამოვიდა ქართულ და რუსულ ენებზე. 1949 წელს გამოვიდა გ. თავზიშვილის ნარკვევი „იაკ-

ობ გოგებაშვილის მხატვრული შემოქმედება", რომელშიაც ავტორი ეხება ი. გოგებაშვილს, როგორც საბავშვო მწერალს, მისი მოთხრობების აღმზრდელობით მნიშვნელობას, მხატვრულ სტილსა და სხვ. 1952 წელს გამოვიდა გ. თავზიშვილის ვრცელი მონოგრაფიული ნაშრომი „იაკობ გოგებაშვილი". მასში ასახულია იაკობ გოგებაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, მსოფლმხედველობა, პედაგოგიკური მოძღვრება და მხატვრული შემოქმედება. 1957 წელს ეს წიგნი მცირე შემოკლებით რუსულ ენაზეც გამოქვეყნდა. გარდა ამისა, 1960 წელს, ი. გოგებაშვილის დაბადებიდან 120 წლისთავთან დაკავშირებით, გამოიცა საიუბილეო კრებული.

მართალია, დიდი ქართველი პედაგოგის ი. გოგებაშვილის პედაგოგიკური მემკვიდრეობის შესწავლის ამოცანა ყოველთვის იდგა და დგას ქართველ მეცნიერთა წინაშე, მაგრამ ამ ამოცანის გადაწყვეტა მთელი სისრულით 1952 წელს მოხდა. საქართველოს სსრ პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტმა მთელი რიგი წლების განმავლობაში აწარმოვა ი. გოგებაშვილის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ან ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ნაწერების შესწავლა, შეუდგა მისი თხზულებების ათტომეულის გამოცემას. პირველი ტომი გამოიცა 1952 წელს, ხოლო მეათე 1965 წელს. გამოცემის რედაქტორები არიან დ. ლორთქიფანიძე და გ. თავზიშვილი. თხზულებათა ათტომეულის გამოსაცემად მომზადებაში ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვით ვ. ქაჯაიასა და ზ. კიკნაძეს.

ქართული პედაგოგიკისა და საქართველოში სახალხო განათლების ისტორიის საკითხებზე შექმნილია რიგი მეცნიერული გამოკვლევებისა, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პროფ. გ. თავზიშვილის კაპიტალური ნაშრომი „სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორია საქართველოში (1801-1870 წწ.)". ამ წიგნით ავტორმა შეაჯამა ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის სფეროში ჩატარებული ნაყოფიერი კვლევითი მუშაობის შედეგები, რომელსაც იგი მრავალი წლის მანძილზე აწარმოებდა. ეს წიგნი, რომელიც 1948 წელს გამოიცა, წარმოადგენს ფუნდამენტალურ გამოკვლევას და ნათლად ასახავს ჩვენში სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების განვითარების გზას 1801 წლიდან 1871 წლამდე.

გარდა აღნიშნულისა, გამოქვეყნებულია მნიშვნელოვანი მეცნიერული გამოკვლევები: ტ. ხუნდაძის „ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში", უ. ობოლაძის „ნარკვევები დაწყებითი განათლების ისტორიიდან საქართველოში" და „ნარკვევები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ისტორიიდან რევოლუციამდელ საქართველოში", ტ. სარიშვილის „სკოლა და პედაგოგიკური მიმდინარეობანი რევოლუ-

ციამდელ საქართველოში" და „ოსეთ-საქართველოს კულტურულ-პედაგოგიური ურთიერთობა", ს. სიგუას „საშუალო განათლების ისტორია საქართველოში (1869-1880 წწ.)," „ნარკვევები სახალხო განათლებისა და პედაგოგიურ იდეათა განვითარების ისტორიიდან საქართველოში (1900-1907)" და „სახალხო განათლება რევოლუციამდელ საქართველოში (1907-1917)" და სხვ.

ძველი საქართველოს პედაგოგიკური აზროვნების საკითხებს უძღვნეს რიგი გამოკვლევებისა შ. ნუცუბიძემ, ს. ყაუხჩიშვილმა, ა. როგავამ, უ. ობოლაძემ, სვ. გამსახურდიამ და სხვ.

გარდა ზემოაღნიშნული შრომებისა, სახალხო განათლების დარგის მოღვაწეთა საქმიანობას და მათ პედაგოგიკურ შეხედულებებს აცნობს მკითხველებს ვ. ქაჯაიას „ქართველი პედაგოგები", მისივე რედაქციით გამოსული სამი კრებული „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები", ვ. ზამბახიძის „ნიკო ნიკოლაძის პედაგოგიკური იდეები", მ. კეკელიძის „სემიონოვის პედაგოგიური მოღვაწეობა საქართველოში", ი. ჭყუასელის „ლუარსაბ ბოცვაძე" და სხვ.

დიდი მუშაობა ჩატარდა რუს და უცხოელ კლასიკოსთა თხზულებების თარგმნისა და გამოცემისათვის. 1954 წელს პროფ. დ. ლორთქიფანიძის რედაქციით გამოიცა დიდი რუსი პედაგოგის კ. დ. უშინსკის რჩეულ პედაგოგიურ თხზულებათა ორტომეული რედაქტორის ვრცელი შესავალი წერილით, მისივე რედაქტორობით გამოიცა პედაგოგიკის გამოჩენილი კლასიკოსის იან ამოს კომენსკის თხზულებათა ორტომეული. 1949 წელს გამოიცა ჟ. რუსოს ცნობილი პედაგოგიკური თხზულება „ემილი, ანუ აღზრდის შესახებ" დოკ. ე. გოგინავას ვრცელი შესავალი წერილით. 1950 წელს ვ. ქაჯაიას წინასიტყვაობითა და რედაქციით გამოიცა შესანიშნავი რუსი მოაზროვნის ბ. გ. ბელინსკის რჩეულ პედაგოგიკურ თხზულებათა ერთტომეული. 1956 წელს პროფ. გ. თავზიშვილმა გამოსცა გამოჩენილი რუსი პედაგოგისა და ქირურგის ნ. ი. პიროგოვის რჩეულ პედაგოგიკურ თხზულებათა ერთტომეული და სხვ.

დიდი მოწონება და საყოველთაო აღიარება დაიმსახურა პროფ. დ. ლორთქიფანიძის ფუნდამენტალურმა მონოგრაფიებმა იან ამოს კომენსკისა და კ. დ. უშინსკიზე. „კ. დ. უშინსკის პედაგოგიკური მოძღვრება" გამოცემულია ქართულ ენაზე, რუსულ ენაზე მოსკოვში, უნგრულად ბუდაპეშტში და სლავურ ენაზე ბრატისლავაში; „იან ამოს კომენსკი" გამოიცა ქართულ, რუსულ და ჩეხურ ენებზე.

ქართული პედაგოგიკის ისტორიის მკვლევართა ყურადღებას იპყრობს საბჭოური პერიოდი. საბჭოთა საქართველოს სკოლისა და სახალხო განათლების ისტორია (1921-1931 წწ.) სათანადო მეცნიერული

სიღრმითაა განხილული პროფ. უ. ობოლაძის ვრცელ ნარკვევებში „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა საბჭოთა საქართველოში“, ტ. I და ტ. II.

საბჭოთა საქართველოს სახალხო განათლებისა და პედაგოგიკის მეცნიერებათა განვითარების ისტორიის ასახვას იძლევა კრებული „სახალხო განათლება და პედაგოგიკის მეცნიერებანი საბჭოთა საქართველოში 1921-1961 წწ.“, რომელიც 1962 წელს გამოიცა გ. ნიორაძის, გ. საყვარელიძისა და დ. გურგენიძის რედაქციით.

საბჭოთა საქართველოში პედაგოგიკური მეცნიერების განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს რუსულ საბჭოთა პედაგოგიკასთან მჭიდრო ურთიერთობა. ქართულ ენაზე გამოცემულია საბჭოთა პედაგოგიკის თვალსაჩინო წარმომადგენლების ნ. კრუპსკაიასა და ა. მაკარენკოს უმნიშვნელოვანესი თხზულებები. 1972 წელს ითარგმნა და გამოიცა სსრკ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამძღვილი წევრის, პროფ. ნ. გონჩაროვის შესანიშნავი წიგნი „ლენინი და პედაგოგიკა“. ამავე წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრის წევრებმა რ. ბერიშვილმა, თ. კაპანაძემ და რ. სიხარულიძემ შეადგინეს და გამოსცეს წიგნი „ლენინი აღზრდისა და განათლების შესახებ“. ორჯერ გამოიცა დოკ. შ. კუპუხიძის წიგნი „ლენინი მასწავლებლის შესახებ“, რომელიც ქართველ მასწავლებლებს დახმარებას უწევს ლენინის პედაგოგიკური მოძღვრების უკეთ დაუფლებაში. ყურადღებას იპყრობს პროფ. ო. ქინქლაძის ნაშრომი „საბჭოთა პედაგოგიკის ისტორია“, რომელიც 1972 წელს გამოიცა რუსულ ენაზე. ეს წიგნი მკითხველს საშუალებას აძლევს თვალი გაადევნოს პედაგოგიკის მეცნიერების განვითარებას 1917-1970 წწ. და ამასთანავე დაინახოს საბჭოთა პედაგოგიკის მეცნიერების დამახასიათებელი ისეთი თვისებები, როგორიცაა პარტიულობა, ხალხურობა, ინტერნაციონალური ხასიათი და სხვ.

ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელს საბჭოთა კავშირში, შექმნილია ყველა პირობა პედაგოგიკის მეცნიერებათა შემდგომი განვითარებისათვის. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარდა ჩვენში ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას ეწევიან რესპუბლიკის პედაგოგიური ინსტიტუტების პედაგოგიკის კათედრები. თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 1957 წლიდან მინიჭებული აქვს უფლება საკანდიდატო დისერტაციების საპაექროდ გამოტანისა.

ეჭვი არ არის, რომ შემდგომი წლები კიდევ უფრო მეტად ნაყოფიერი იქნება ქართული საბჭოთა პედაგოგიკის განვითარებაში.

სარჩევი

შესავალი 3
ქართული პედაგოგიკის ისტორიის საგანი, წყაროები და პერიოდიზაცია . . . 3

თავი პირველი

აღზრდა პირველყოფილი თემური წყობილებისა და ადრეკლასობრივი საზოგადოების დროს 6
1. აღზრდა პირველყოფილ თემურ საზოგადოებაში 6
2. აღზრდა-განათლება ადრეკლასობრივ საზოგადოებაში 11

თავი მეორე

აღზრდა-განათლება და პედაგოგიური აზროვნება ადრეფეოდალურ ხანაში 20
1. დაწყებითი სკოლები 20
2. დაწყებითი სწავლა-განათლების შინაარსი 23
3. წერა და მისი სწავლების საშუალებანი 25
4. სწავლების დაწყების ასაკი 28
5. პედაგოგიური ტერმინები 28
6. უმაღლესი განათლება 29
7. კულტურის დონე და პედაგოგიური აზროვნება 38

თავი მესამე

1. აღზრდა-განათლება და პედაგოგიური აზროვნება განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში (XI—XII სს.) 48
უმაღლესი განათლების ქართული კერები 51
ა) ათონის ივერთა მონასტრის აკადემია 51
ბ) პეტრიწონის აკადემია 57
გ) გელათის აკადემია 61
დ) იყალთოს აკადემია 63
2. პედაგოგიური აზროვნება საქართველოში 65
ა) იოანე პეტრიწონელის პედაგოგიური იდეები 67
ბ) შოთა რუსთაველის პედაგოგიური შეხედულებები 69

თავი მეოთხე

განათლება XIII-XVIII სსუკ. საქართველოში 74
ა) ვითარების მკვეთრი შეცვლა XIII ს. პირველი ნახევრიდან. საეკლესიო-სამონასტრო განათლების კერები 74
ბ) საერო აღზრდა-განათლება საქართველოში XVII-XVIII საუკუნეებში 87

გ) პროფესიული განათლება — საერო აღზრდა-განათლების მნიშვნელოვანი დარგი 92
დ) აღზრდა-განათლება XVIII ს. მეორე ნახევარში. თბილისისა და თელავის სემინარიები 97

თავი მეხუთე

პედაგოგიური იდეები XVII-XVIII საუკუნეების საქართველოში . . 105

თავი მეექვსე

სახალხო განათლება XIX საუკუნის პირველ ნახევარში 126
სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ვითარება 126
სასულიერო სასწავლებლები და სასულიერო სემინარია 130
საეკლესიო, სამონასტრო და კერძო სკოლები და პანსიონები . . . 132

თავი მეშვიდე

სოლომონ დოდაშვილი 138

თავი მერვე

სახალხო განათლება XIX საუკუნის მეორე ნახევარში 148
60-იანი წლების რეფორმები სახალხო განათლების დარგში 148

თავი მეცხრე

ილია ჭავჭავაძის პედაგოგიური იდეები 157

თავი მეათე

დიდი ქართველი პედაგოგი ი. გოგებაშვილი 173

თავი მეთერთმეტე

სახალხო განათლება XX საუკუნის დასაწყისში (1901-1917 წწ.) . . 197

თავი მეთორმეტე

ლ. ბოცვაძის პედაგოგიური შეხედულებანი 215
1. ზოგადპედაგოგიური შეხედულებანი 217
2. დიდაქტიკური შეხედულებანი 222

თავი მეცამეტე

შიო ჩიტაძის პედაგოგიური შეხედულებანი 229

თავი მეთოთხმეტე

სკოლა და პედაგოგიკა საბჭოთა საქართველოში 1921-1941 წლებში . 238
საბჭოთა სახალხო განათლების სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება 1921-1931 წლებში 238

თავი მეთხუთმეტე

სკოლა და პედაგოგიკა საბჭოთა საქართველოში 1941-1972 წლებში . . 251
სახალხო განათლება საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის პერიოდში (1941-1945) წლებში) 261
სახალხო განათლება 1945-1958 წლებში 264
ახალი ეტაპი სახალხო განათლების სისტემის განვითარებაში (1958-1972 წ.წ.) 271